

BULLETIN DU MUSÉE DE GÉORGIE

საქართველოს მუზეუმის

ბოლნისი

06

ს-333

ტომი VI Tome

1929.1930



ბუილისი TIFLIS

1931

საქართველოს მუზეუმის მოამბე

VI

# BULLETIN

## DU MUSÉE DE GÉORGIE

Tome VI

1929. 1930



TIFLIS—1931

# საპარტიო მუზეუმის

## მღამბე

ტომი VI

1929 და 1930

P-11792



თბილისი—1931



ბეჭდვა დაიწყო 1930 წ. მარტში, დასრულდა 1931 წ. ოქტომბერში.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. ტრესტის მე-1 სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5.

ტირაჟი 500 ცალი.

შეკვ. № 898.

მთავლიტი 1.

## შინაარსი.

აგლაძე, დ. მასალები კაცასიური Canidae'ბის შესახებ . . . . .	1
Lantz, L. A. Note sur la forme typique d'Ophisops elegans Ménétries . . . . .	31
Плавильщиков, Н. Материалы к изучению жуков-дровосеков Кавказа и сопредельных стран. Жуки-дровосеки Кав- каза. I: Группа Cerambycini (Coleopt., Cerambycidae) . . . . .	43
Бартенев, А. О весенней и осенней одонатофауне Грузии и других мест Закавказья . . . . .	85
Redikorzev, V. Contribution à l'étude de la faune des pseudo- scorpions du Caucase . . . . .	97
Рошковский, Вацлав, О происхождении <i>Molge vulgaris lantzi</i> Wolt . . . . .	107
Vierhapper, F. Ueber einige kritische Erigeron-Sippen aus dem Kaukasus . . . . .	115
Rouchadzé, J. Notice sur les Belemnites et les Nautilus de l'Aptien de Koutaïs . . . . .	125
ნიორაძე, გ. ზემოაეჭალის სამარე . . . . .	139
ბერძენიშვილი, ნ. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა . . . . .	229
ჩუბინაშვილი, გ. 973 წლის ჯვარი იზხანიდან . . . . .	297
ყაუხჩიშვილი, ს. პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ . . . . .	315
ინგოროყვა, პ. ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5—8 საუკუნის ძეგლებში . . . . .	373
კრატიკა და ბიბლიოგრაფია. Открытое письмо заведывающему Крым- ско-Кавказской секцией института геологической карты А. П. Герасимову—А. Джanelidze . . . . .	
საქართველოს მუზეუმის 1928—30 წწ. მუშაობის ანგარიში . . . . .	463
ნეკროლოგები . . . . .	494

## Sommaire.

Agladse, D. Materialien über die Caucasischen Canidaen . . .	27
Lantz, L. A. Note sur la forme typique D'Ophisops elegans Ménétries . . . . .	31
Plavilchtchikov, N. Contribution à l'étude des Cerambycini du Caucase . . . . .	43.
Bartenev, A. Sur l'odonatafaune de Géorgie et des autres ré- gions du Transcaucase . . . . .	85
Redikorzev, V. Contribution à l'étude de la faune des pseudo- scorpions du Caucase . . . . .	97
Rochkovski V. Sur l'origine de Molge vulgaris lantzi Wolt .	107
Vierhapper, F. Ueber einige kritische Erigeron-Sippen aus dem Kaukasus . . . . .	115
Rouchadzé, J. Notice sur les Belemnites et les Nautilus de l'Aptien de Koutaïs . . . . .	125
Nioradze, C. Das Grab von Semoawtschala . . . . .	221
Berdznichvili N. Un document de Mzkhetha du XI siècle . .	229
Tschubinaschwili, G. Ein Vortragekreuz aus Ischchani vom J. 973 . . . . .	313
Kauchtschischwili, S. Die Angaben von Procopius Caesariensis über Georgien . . . . .	315
Ingorokwa, P. Der altgeorgische Kalender nach den Denkmälern von V—VIII Jhd . . . . .	373
Critique et bibliographie . . . . .	447
Le Musée de Géorgie en 1928—1930 (rapport officiel) . . .	463
Nécrologes . . . . .	494

## მასალები კავკასიური Canidae'ების შესახებ

კავკასიური *Canis lupus*'ის თავის ქალათა განაზომები და მათი ვარიაციული სტატისტიკის შეთოდით დამუშავება, როგორც ნარკვევი *Canis familiaris*'ის წარმოშობის საკითხისათვის.

### 1. ზოგადი მიმოხილვა.

*Canis familiaris*'ის ჯიშურ მოდიფიკაციათა სიმრავლე მუდამ აძნელებდა მისი წარმოშობის საკითხის გაშუქებას: ამ მხრივ პრეისტორიული ხანის — თუ შეიძლება ასე ითქვას — ქაოსში ერთგვარი წესიერებისა და რიგის შეტანა Studer'ის<sup>1</sup> უდავო დამსახურებას შეადგენს. პრეისტორიული და აწ მცხოვრებელი Canidae'ების თავის ქალათა გაზომვამ, ისევე როგორც მათმა შესწავლამ შედარებითი ანატომიის თვალსაზრისით, სათანადო საბუთების თანდართვით კულტურის ისტორიიდან, გაუადვილა მას ყველა დღევანდელი შინაური ძაღლებისათვის რამოდენიმე პრეისტორიული ძირითადი ფორმის მონახვა. ასეთები არიან:

I. **პალეარქტიკული ძაღლი** (ეკროპა, ჩრდილო-ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია):

- ა. *Canis familiaris* Rütimeyer'ის ტიპი,
- ბ. „ „ Inostranzewi Anutschin'ის ტიპი,
- გ. „ „ Leineri Studer'ის ტიპი,
- დ. „ „ intermedius Woldrisch'ის ტიპი,
- ე. „ „ matris optimaе Jettel's'ის ტიპი.

II. **სამხრეთის ძაღლი** (სამხრეთი აზია, ავსტრალია, აფრიკა):

- ა. დინგო, ტიბეტური დოგო, მწვეარი, Tengerhund, Pariahund.

<sup>1</sup>) Studer, Zwei grosse Hunderassen aus der Steinzeit der Pfahlbauten, Bern 1893. Studer, Die prähistorischen Hunde: *Abhdl. d. Schweiz. pal. Ges.* 1901.

არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე, რომ ეს პრეისტორიული ძირითადი ფორმები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქმნება მიჩნეული დღევანდელი ჩვენი ძაღლების [გარეულ ფორმებად. ამას ჯერ ისევ Studer-ი აღიარებდა, ხოლო უფრო გვიან იგივე აღნიშნა Antonius-მა<sup>1</sup>. შინაური ძაღლისათვის სათანადო გარეული ფორმის მონახვის საკითხს, საზოგადოდ, სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა გვარად განმარტავდა. ზოგნი ფიქრობდნენ<sup>2</sup>, ვითომც დილუვიუმში ნამდვილ გარეულ Canidae-ებს ეცხოვრნათ და ვითომც ეს Canidae-ები არც მგლის, არც ტურის ჯგუფის ყოფილან, არამედ ქვეშარიტი Canis familiaris. მეორენი იმ აზრს იზიარებდნენ<sup>3</sup>, თითქოს ძაღლის წინაპარი ტურა ყოფილიყვეს; სხვები კიდევ ამტკიცებენ<sup>4</sup>, შინაური ძაღლის წინაპარი ტურაც იყო და მგელიცო.

ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ადგა აგრეთვე ნერიინგი, რომელმაც პირველმა აღნიშნა, თუ რაოდენად დიდი არის სხვაობრიობა მგლებში და როგორ ცვლილებას განიცდიან ხოლმე მგლის თავის ქალა და კბილები ტყვეობაში. ნერიინგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მგელი ტანადი ძაღლების წინაპარი უნდა იყოს, ხოლო ტურა კი მომცრო ტანის შინაური ძაღლებისა.

შტუდერმა სრულიად უარყო ტურის წინაპრობა ძაღლისათვის და გულისხმობდა, რომ დილუვიუმში მგლის გარდა კიდევ საშუალო ტანადობის გარეულ ძაღლს უნდა ეცხოვრა, რომელიც იმავე უბნებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, როგორც მგელი, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სამხრეთისაკენ მისი გავრცელების არე უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე მგლისა. ამ საშუალო ტანადობის გა-

<sup>1</sup>) Antonius, Grundzüge einer Stammesgeschichte der Haustiere, Jena 1922.

<sup>2</sup>) Blainville, Ostéographie des Mammifères, Tom II (avec atlas de 117 planches), Paris 1839-1864. Bourguignat, France à l'état fossile pendant la période quaternaire: *Annales d. sc. géol.* IV, Paris 1875. Woldrich, Über einen neuen Hund aus der Bronzezeit: *Mitteil. d. Anthr. Ges. in Wien.* Bd. VII, Wien 1878.

<sup>3</sup>) Gueldenstaedt, Schacalae Historia: *Novi Com. Acad. Sc. Petropol.* Tom. XX (1875), Petropoll 1776.

<sup>4</sup>) Geoffroy St. Hilaire, Mammifères et oiseaux de l'expédition scientifique de Morée, Paris 1833. M. Hilzheimer, Die Haustiere in Abstammung und Entwicklung, Stuttgart 1909. M. Hilzheimer, Beiträge zur Kenntnis der nordafrikanischen Schakale, Stuttgart 1908. J. Eitel, Stammväter unserer Hunderassen, Wien 1877.

ზემოაღნიშნული ლიტერატურა მოყვანილია Götze და Dornheim-ის ნაშრომის მიხედვით (იხ. ქვემოთ).

რეულ ძაღლებს შორის შესაძლებელი ყოფილა გარჩევა ორი, როგორც ჰაბიტუსით, ისევე თავის ქალის აგებულობით განსხვავებული ქვესახეებისა, სახელდობრ: *Dingo australiensis* და ჩრდილოეთის გარეული ძაღლის ფორმისა. ამ უკანასკნელის მთავარი წარმომადგენელი უნდა იყოს *Canis Poutiatini*, რომლის პალეოლითური ნაშთი რუსეთში იყო აღმოჩენილი, გრაფ პუტიატინის მამულში. შტუდერი ფიქრობს, რომ სწორედ ეს გარეული ძაღლი დაუახლოვდა ადამიანს და მოშინაურდა; ხოლო მისმა გადაჯვარვამ მგელთან წარმოშვა ტანადი ძაღლები; ერთ-ერთი ნაგალა ფორმიდან კი, რომელიც *Canis Mickii Woldr.*'ის სახელით არის ცნობილი, წარმოიშვა *Canis f. palustris* და მისი აწ არსებული წარმომადგენლებიო.

ზემოთ მოხსენებული Studer' ისეული შეხედულება ანტონიუსმა<sup>1</sup> კიდევ შეასხვაფერა: შტუდერის მიერ მოხსენებული გარეული ძაღლები, დინგო, *Canis Poutiatini*, და *Canis Mickii Woldr.* ამ მკვლევარს არ მიაჩნია ნამდვილ გარეულ ფორმებად, ვინაიდან მათ თავის ქალის აგებულობაში უკვე ეტყობათ დომესტიკაციის ნიშნები.<sup>2</sup> *Canis Poutiatini* ანტონიუსს ძაღლის ყველაზე უფრო უძველეს, დომესტიკაცია-განცდილ, ფორმად, ხოლო დინგო კი გაგარეულელებულ შინაურ ძაღლად მიაჩნია, რაც შეეხება პირველი შინაური ძაღლის გამოსაველ ფორმას, ანტონიუსი ფიქრობს, რომ ასეთად მიჩნეული შეიძლება იქმნეს სამხრეთში ბინადარი მგლის მომცრო ტანის სახენაირობანი. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ანტონიუსს ამ სახეთა შორის სახელდობრ არც ერთი არ მოჰყავს. ამ მომცრო ტანის სახენაირობებს უკავშირებს სწორედ ხსენებული ავტორი წარმოშობას როგორც დინგოსი და მისი მონათესავეებისა, ისევე *Canis Poutiatini*'ს და მისი შთამომავლობისას, *Canis palustris Rütim.* — ტიპისა, *Canis intermedius Woldr.* — ტიპისა და *Canis matris optimae* — ტიპისას. იმავე მომცრო ტანის მგლების გადაჯვარვას ჩრდილოეთში მცხოვრებელ ტანად მგლებთან უნდა მოეცა ევროპიული პრეისტორიული შინაური ძაღლი იმ ტიპისა, როგორც *C. f. inostranzewi Anutschin* და *C. f. Leineri Studer*'ი.

ანტონიუსის აგან დამოუკიდებლად აგრეთვე Schäme<sup>2</sup> მივიდა იმ დასკვნამდე, რომ *Canis familiaris*'-ის ერთად ერთს წინაპრად

<sup>1</sup>) Antonius, Grundzüge einer Stammesgeschichte der Haustiere Jena 1922.

<sup>2</sup>) Schäme, Die Grundformen des Haushundschädels: *Jahrbuch f. Jagdkunde*, 1922, Bd. 6. Heft. 4. S. 209.

მიჩნეული უნდა იქმნეს *Canis lupus* და რომ ტურასთან გადაჯვარება ან ტურისაგან წარმოშობა არ უნდა მართლდებოდეს.

ამ დასკვნამდე ეს ორივე ავტორი სრულიად სხვა და სხვაგვით მივიდა; აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ მათი შეხედულება მგლის ორი ძირითადი ფორმის არსებობის შესახებაც პრინციპიალურად შეთანხმებულია: ან ტონიუსი ჰგულისხმობდა ერთის მხრივ მომცრო ტანის სამხრეთის მგლებს, ხოლო მეორე მხრივ ჩრდილოეთის ტანად ჯიშებს, შემეკი — ერთის მხრივ დეკუმანიდური ტიპის და მეორე მხრივ ველტრიდული ტიპის მგლებს<sup>1</sup>. ეს ორი უკანასკნელი ტიპი შემემ აგრეთვე შინაურ ძაღლებს შორის აღნიშნა და ამით საკითხს განსაკუთრებული ინტერესი მოუპოვა. ვინაიდან თუ ნამდვილად დადასტურდებოდა მისგან მოპოებული შედეგი, მაშინ შეტუდერის მიერ დადგენილი და ზემოთ უკვე ჩამოთვლილი ხუთი ძირითადი ფორმა მხოლოდ ორ ფორმად დაიყურსებოდა და ეს ორი პრიმიტივი ფორმა მიგვიყვანდა უშუალოდ შინაური ძაღლის წინაპრებთან, ანუ *Canis lupus*'ის ზემოთ დასახელებულ ორსავე ტიპთან.

შემეს მიერ მოპოებული შედეგის შემოწმება დაიწყო *Götze*'მ და *Dornheim*'მა<sup>2</sup> ნაწილობრივ *Schämé*'სეული რიცხვების გამოყენებით, ხოლო უდიდეს ნაწილად კი ძაღლების თავის ქალათა საკუთარს მასალაზე დაყრდნობით. ყველა ამ განაზომთა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით გადამუშავებამ ხსენებული მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შემეს მიერ აღნიშნული ორი ძირითადი ფორმა შინაური ძაღლის თავის ქალისა, სახელდობრ დეკუმანიდური და ველტრიდული ტიპი, ნამდვილად არსებობს. მაგრამ ერთის დამატება კი აუცილებელია ამ დასკვნისათვის: *Schämé*'სებური გაგებით ამ ფორმებია ტიპური წარმომადგენლები შედარებით მცირე რიცხვად იქმნა აღნიშნული. სახელდობრ: *Götze*'ს და *Dornheim*'ის მიერ გამოკვლეულ მთელ მასალაში (74 თავის ქალა) მხოლოდ 5 თავის ქალა (ე. ი. 6,7%) ეკუთვნოდა ხალას დეკუმანიდურ.

<sup>1</sup>) სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ *Götze* და *Dornheim*'ი (იხ. ქვემოთ) რომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რამდენად შესაძლებელია შემეს მიერ ანატომიური ნიშნების მიხედვით, ხოლო ანტონიუსის მიერ გავრცელების არის მიხედვით გამოჩენილი მგლის ამ ფორმების ერთმანერთთან დაკავშირება. ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ ხსენებული ავტორები ძაღლის წინაპრად მგლის ორ ფორმას ჰგულისხმობენ.

<sup>2</sup>) *Götze u. Dornheim, Messungen und variationsstatistische Untersuchungen an Haushundschädeln. Ein Beitrag zur Abstammungsfrage. Zeitschrift f. Tierzüchtung usw. Bd. V.*

ტიპს და 13 თავის ქალა (ე. ი. 17,6%) კი ხალას ველტრიდულ ტიპს; დანარჩენი 56 თავის ქალა (ე. ი. 75,6%) შერეულ ფორმას წარმოადგენდა. ამ მოვლენის განმარტება ერთი განსაზღვრული მიმართულებით საინტერესო დასკვნებს მოგვცემდა. მაგრამ წინამდებარე წერილის ფარგალში ჩვენთვის ეს პირველ მნიშვნელობისა არ არის და სათანადო შემთხვევისას ჩვენ ამას კვლავ დაუბრუნდებით.

შემეს ზემოთ უკვე მოხსენებულ, თავისთავად მეტად საინტერესო სამუშაოს ერთი ნაკლი აქვს, სახელდობრ: ავტორი მის განკარგულებაში მყოფი შედარებით დიდი ნარევი ფორმების მასალიდან უბრალო თვალადი განსჯის შედეგად გამოჰყოფს ტიპურ წარმომადგენლებს იმ ძირითადი ფორმებისათვის, რომელთა არსებობის დამტკიცებასაც სცდილობს და მერმე ამ წარმომადგენლების მიხედვით აწესებ, ტიპისათვის დამახასიათებელი ინდექსების მიჯნებს. ეს მანკი შესწორებულ იქმნა Götze'სა და Dornheim'ის ნაშრომში, რომელთაც, როგორც უკვე ნათქვამი იყო, Schäume'სეული მასალა (153 თავის ქალა) თავის საკუთარ განაზომებთან ერთად გადაამუშავეს ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით და უკვე მოხსენებულ შედეგს მიაღწიეს.

მაგრამ თუნდაც არ მივიღოთ სახეში Schäume'სებური გაგებით ტიპური დეკუმანიდური და ველტრიდული ფორმების მცირე რაოდენობა და ხსენებულ ავტორთაგან მოპოებული შედეგი განვასაზოგადოთ, მაშასადამე, — ერთი რამ მაინც შესამოწმებელი რჩება, სახელდობრ: რამდენად ნამდვილია მგლებს შორის იმავე ძირითადი ფორმების არსებობა. საქმე ის არის, რომ თვითონ შემეს მგლის მხოლოდ რვა თავის ქალა ჰქონდა დამუშავებული, ხოლო Götze და Dornheim'ის საკვლევ მასალას მარტო ძალის თავის ქალები წარმოადგენდა.

როგორც ამ უკანასკნელმა მკვლევარებმა საკითხის ხელმეორედ დასმით შეამოწმეს და დაადასტურეს Schäume'სეული შედეგი, ისევე ჩვენ განვიზრახეთ მგლის თავის ქალათა უფრო ვრცელ მასალაზე განმეორებით განგვეხილა იგივე საკითხი. ჩვენი მიზნის განხორციელებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ საქართველოს მუზეუმში მეტად ძვირფასი მასალა აღმოჩნდა დაგროვილი.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულწრფელი მაძლობა გამოუტყხადო საქართველოს მუზეუმს, იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმომიჩინეს იმდროინდელმა ვიცე-დირექტორმა დოც. ნ. იოსელიანმა და ძოლოლოგიური განყოფილების გამგემ ივ. ჩხიკვიშვილმა მასალის დათმობით და სამუშაოს პირობების გაადვილებით.

## 2. მეთოდი და მასალა.

უკვე ის მდგომარეობა, რომ წინამდებარე ნაშრომის მიზანს Schäume 'სეული შედეგების შემოწმება შეადგენს, გვაიძულებს უცვლელად გამოვიყენოთ აგრეთვე მეთოდი, რომლითაც შემეშაობდა; მით უმეტეს რომ ჩვენ შემეს განაზომებსაც გამოვიყენებთ ჩვენი მასალის გადამუშავებისას, როგორც შესაძარებელ რიცხვებს.

წინააღმდეგ სხვა ავტორებისა, შემე ტოპოგრაფიულ განაზომთა ერთეულებს კი არ იღებს, — როგორც არის პროფილის სიგრძე, დინგის სიგრძე, ყვრიმალის ძვლის სიგანე და სხ. — არამედ თვითეულ ძვალს იკვლევს. ტოპოგრაფიულ განაზომთა შეფარდება მას კარგს საზომად მიაჩნია ჯგუფობრივი განსხვავების განსასაზღვრავად, ხოლო ისეთი კვლევისათვის, სადაც საკითხი ძირითადი ფორმების დადგენას შეეხება, ტოპოგრაფიული საზომი უმეტეს ნაწილად გამოუსადეგარი უნდა იყოს, ვინაიდან იგი შეიძლება შედგებოდეს ორი სრულიად სხვადასხვა სიდიდის ნაწილისაგან. ისევე როგორც ორი თანაბარი რიცხვობრივი ჯამი მუდამ არ მიიღება თანაბარივე ნაწილისაგან, არამედ ეს უკანასკნელი შეიძლება განსხვავებულნი იყვნენ, — სწორედ ასევე თვითეული ცალკე ძვალი მნიშვნელოვნად განსხვავებული შეიძლება იყოს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ძვლების ტოპოგრაფიული ერთობილი ზომები შეიძლება თანაბრობას იჩენდეს. ამიტომ ამ ტოპოგრაფიული ერთობილი ზომის დაშლით მის შემადგენელ ნაწილებად და მათი განცალკევებით გამოკვლევის საშუალებით, ჩვენ ალბათ უფრო მალე და ადვილად შევძლებთ პრიმიტივი ნიშანთვისებების დადგენას. მაგრამ აღსანიშნავია, მეორე მხრივ, ისიც, რომ ტოპოგრაფიულ ზოგიერთ ზომაზე შემეც ვერ ამბობს საბოლოოდ უარს და ამათ რიცხვში მას გამოყენებული აქვს სახელდობრ, ფორმის ბაზილარი სიგრძე, ფუძის სიგანე და ყვრიმალის ძვლის სიგრძე. საზოგადოდ კი შემეს შვიდი განაზომი აქვს აღებული, სახელდობრ:

1) ზედაყბის სიგრძე — განიზომება ყვრიმალის (os zygomaticum) ორი მორჩით გაჩენილი კუთხის წვეროდან (ამ მორჩებს შემე Prozessus zygomaticus 'ს უწოდებს) ვიდრე ზედაყბის (os maxillare) წინა ბოლომდე, სადაც ზედაყბისა და ყბათაშუაძვლის (os incisivum) ნაკერი თავდება საკბეჩი კბილის (dens caninus) წინ.

2) ზედაყბის სიგანე — განიზომება dens sectorius 'იდან ვიდრე dens sectorius 'ამდე, სახელდობრ იმ გვარად, რომ ცირკულს გვირგვინის ორი ბორცვის შუა ჩაღრმავებულ ადგილს მივადებთ.

ზედაყბის სიგანე ტიპების დიაგნოსტიკასათვის ყველაზე მნიშვნელოვანად ითვლება და მას ზედაყბის სიგრძესა და ბაზისის სიგანეს შეუფარდებენ. ხოლმე.

3) თხემის ძვლის სიგრძე — განიზომება იმ ადგილიდან, სადაც თხემის ძვლის — ძირითადი ძვლის — და შუბლის ძვლის ნაკერები იყრიან თავს (თხემის ძვლის წინა წერტილი), ვიდრე *Linea nuchalis superior*-თან თხემის ძვლის მოსახვევამდე, ფუძეკრანული ღერძის პარალელად.

4) შუბლის ძვლის სიგრძე — განიზომება „თხემის ძვლის წინა წერტილიდან“ ვიდრე შუბლის ძვლის, ზედა ყბისაკენ მიქცეული, მორჩის წინა ბოლომდე, თვალბუდის ნაპირთან. შუბლის ძვლის სიგრძეს შეუფარდებენ ხოლმე თხემის ძვლის სიგრძეს და იგი მოზარდობის, ისევე როგორც წლოვანობის, დიაგნოზისათვის მეტად მნიშვნელოვანად არის აღიარებული.

5) ყვრიმალის ძვლის სიგრძე — განიზომება ყვრიმალის მორჩთა კუთხის წვერიდან, ვიდრე *arcus zygomaticus*'ის მობრუნების ადგილამდე, ე. ი. სასმენი ძვლის ხერელიდან დორზოლატერალი მიმართულებით მდებარე აბორალ კიდურამდე.

6) ბაზილარი სიგრძე — განიზომება კეფის დიდი ხერელიდან, ვიდრე საჭრელი კბილების ალვეორალ კიდემდე. ბაზილარი სიგრძე მოზარდობის, ფორმისა და სხვა ზომებთან დაკავშირებით ზედაყბის სიგრძის შესამოწმებლად იხმარება.

7) ფუძის სიგანე — განიზომება სასმენი ძვლის ხერელის ზემოთ *os petrosum*'ის და საფეთქლის ძვლის კორძის შემაერთებელ ნაკერიდან — ნაკერამდე. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ განაზომის აღებისას ხშირია ხოლმე შეცდომა, გამოწვეული სასმენი ხერელის ძალუმი განვითარებით.

რაც შეეხება ამ განაზომებზე დომესტიკაციის გავლენას, შემეფიქრობს, რომ მას მხოლოდ ზედაყბა უნდა განიცდიდეს ერთგვარად, სახელდობრ როგორც სიგრძის, ისევე სიგანის მხრივ. ამის დასამტკიცებლად ხსენებულ ავტორს მოჰყავს შედარებითი განაზომები ტყვეობაში და თავისუფლად გაზრდილი გარეული ძაღლებისა. ამავე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარტო დომესტიკაცია არ უნდა იყოს მოკლე და გრძელი ზედაყბის მექანი თავის ქალების არსებობის მიზეზი. თავის ქალის ნორმალური განვითარებისას სიგრძის ეს სხვადასხვა გვარობა მართალია გამოწვეულია მეორადი ხასიათის, მექანიკური და მოდიფიკაციის განმსაზღვრელი რაიმე გავლენით, — როგორც ამას განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს მგლისა

და მგელთან გადაჯვარვის პროდუქტთა თავის ქალების ანალიზი,— მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივი მნიშვნელობისა უნდა იყოს; ხსენებული სხვადასხვა გვარობის ძირითადი მომენტი, შეემეს აზრით, უნდა იყოს მუტანტური, მემკვიდრული და დამოუკიდებელი სხვაობა.

იქ, სადაც ზედაყბის სიგრძე დომესტიკაციის გავლენით ყოფილა შემცირებული, — წინააღმდეგ ბუნებრივად, მემკვიდრულად, მოკლე ზედაყბის მექონი თავის ქალებისა — ყბათაშუაძვლის დამოკლების გარდა ადგილი აქვს ხოლმე აგრეთვე ზედაყბის *dentes incisivi* და *canini*'ს ქვედა ყბის იქით მიჯრას, ისევე როგორც პრემოლარების გამრუდებას და, ხშირად აგრეთვე, ზედაყბის დაგანიერებასაც. დომესტიკაციის ასეთი გავლენა ზოგიერთი ჯიშებისათვის ფიქსირებულია (მაგალითად ბულდოგებში) და იგი უკვე გარეგნულადაც ადვილად შესამჩნევია ხოლმე. მაგრამ ასეთი ცვლილება აღნიშნული შეიძლება იქმნეს არა ნორმალურად და უნდა ითქვას, რომ შინაურ ძაღლებში თითქმის 99% დომესტიკაციით გამოწვეული დამოკლებისა ნორმალური არის; ესე იგი გამოწვეულია იმით, რომ მგლის *Prozessus zygomaticus maxillae* წვეტიან კუთხედსა ჰქმნის და წვეტიან  $M_1$  არის გადაცილებული, იმ დროს როდესაც შინაური ძაღლის *Prozessus* სწორ კუთხედად ბოლოვდება დაახლოვებით  $M_1$ -შუადაღილთან. ამ მეტი სიგრძის გამოკლების შემდეგ მგლის ზედაყბის სიგრძე აღარაფრით აღარ უნდა განსხვავდებოდეს. შინაური ძაღლის (სათანადო ტიპების) ზედაყბის სიგრძისაგან. უნდა აღინიშნოს მეორე მხრივ კიდევ ისიც, რომ აგრეთვე შინაურ ძაღლებს შორის ვხვდებით ისეთ თავის ქალებს, რომელთა *Proc. zyg.*, სწორკუთხედიანობის მიუხედავად, ზედაყბის სიგრძე მაინც ისეთი არის, როგორც მგლისებურად წვეტიანკუთხედი *Proc. zyg.* მექონი თავის ქალები, და წინაუკმო: მგლის თავის ქალათა შორის შესაძლებელია ისეთების აღნიშვნა, რომელთა ზედაყბის სიგრძე ზოგიერთი ძაღლის ზედაყბის სიგრძეს ჩამოუვარდება.

ამრიგად შემიღებულა დამტკიცებულად თვლის, რომ საღი და ნორმალურად განვითარებული ძაღლების ზედაყბის დამოკლება, როგორც შედეგი შეცვლილი მექანიკური გავლენისა, არც თუ ესოდენ მნიშვნელოვანი არის, და რომ სამაგიეროდ სხვადასხვა სიგრძის ზედაყბის არსებობა როგორც ძაღლების, ისევე მგლების რიცხვში შედეგია — ნორმალური და არა ბულდოგისებური განვითარების წინასწარი გულეებით — ორი პირველადი დამოუკიდებელი და მემკვიდრული ხასიათის ტიპის არსებობისა. ამ ტიპის განსხვავება ცოცხალ ცხოველ-

ზედაც უნდა იყოს შესაძლებელი უბრალო თვალთ; თავის მოყვანილობის მიხედვით; ხოლო პრეპარატად დამზადებული თავის ქალები კი იმით გაიმიჯნებიან უკეთესად, რომ ერთნი გრძელი თხემის ძვლისა, მოკლე შუბლის ძვლისა და მოკლე ზედაყბის მექონნი არიან, ხოლო მეორენი კი მოკლე თხემის ძვლისა, გრძელი შუბლის ძვლისა და გრძელი ზედაყბის მექონნი: პირველი სჩვევიათ საზოგადოდ სანადირო ძაღლებს და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მოჩანს ეს, მაგალითად, გერმანული დოგის თავის ქალის აგებულებაში. ვინაიდან Nehring 'ის<sup>1</sup> თქმით ამ დოგის პრეისტორიული წინაპარი *canis decumanus* უნდა იყოს, ამიტომ ამ ტიპს შემეც დეკუმანიდურ ტიპს უწოდებს. რაც შეეხება მეორეს, იგი ყველაზე უფრო აშკარად მწვევართა თავის ქალის აგებულებაში გამოსჭევივის ხოლო; ვინაიდან ამ ტიპის ძალთა პრიმიტივი ურუსის ფორმა *Canis familiaris veltrides* უნდა ყოფილიყო, ამიტომ თვითონ ტიპიც ველტრიდულად არის სახელდებული.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, შემეც ეს ორივე ძირითადი ტიპი ჯერ უბრალო თვალთ განსჯის საშუალებით ჰქონდა განსხვავებული ცოცხალ ერთეულებზე, ხოლო შემდეგ პრეპარატად გამზადებულ თავის ქალებზე დადგენილი განაზომებით. ეს განსხვავება აგრეთვე რიცხობრივად იქმნა დადასტურებული. ამ მიზნით თვითეული ძვლის ზემოთ უკვე განმარტებული შვიდი განაზომიდან გამოანგარიშებულ იქმნა მათი რიცხობრივი შეფარდება, მათი ინდექსები, სახელდობრ:

1) თხემის ძვლის სიგრძე: შუბლის ძვლის სიგრძე: ზედაყბის სიგრძე;

2) ზედაყბის სიგანე: ზედაყბის სიგრძე;

3) ზედაყბის სიგრძე: ყვრიმალის სიგრძე: ბაზილარის სიგრძე;

4) ფუძის სიგანე: ზედაყბის სიგანე: ზედაყბის სიგრძე.

ძალის თავის ქალათა დამუშავებისას შემეც, ისევე როგორც Götze და Dornheim 'ი მოზარდობის სხვადასხვა ფორმებს განასხვავებენ და ყოველ ფორმას განცალკევებულად განიხილავენ. ასეთ ფორმებად მათ მიაჩნიათ: 1. ნორმალური ან უსაშუალო მოზარდობის ფორმა (*Canis familiaris intermedius* და *Canis familiaris matris optima*), 2. მცირე მოზარდობის ფორმა

<sup>1</sup>) A. Nehring, Über eine grosse wolfsähnliche Hunderasse der Vorzeit und über ihre Abstammung: *Sitzungsber. d. Ges. d. Natur-Freunde zu Berlin*, № 9. Brl. 1884.

(*C. fam. palustris*) და 3. ზორბამოზარდობის ფორმა (*C. fam. Inostranzevi*). მოზარდობის ეს თვითეული ფორმა, — რომელთა კუთვნილი პრეისტორიული ძაღლები ჩვენ აქვე მოვიხსენიეთ, — წარმოდგენილი არის, როგორც თავის ქალის განვითარების ცალკე სტადია, შერჩევითი მოშენებისა თუ გარემოს რაიმე პირობების გავლენით კონსტანტად ქცეული და თვითეული ჯიშისათვის დამახასიათებლად ფიქსირებული. უნდა ითქვას, რომ შემეც მსჯელობა ამ დებულების ირგვლივ არც თუ სავსებით დამარწმუნებელი არის, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საკითხი თავის ქალის აგებულების მემკვიდრულსა და არამემკვიდრულ მომენტებს შეეხება. მაგრამ ჩვენ აქ თამამად შეგვიძლია ამ მხარეს გვერდი აუხვიოთ, ვინაიდან ჩვენი მასალის ანალიზისათვის მოზარდობის ზემოთ მოხსენებული არც ერთი ფორმა უშუალო ინტერესს არ წარმოადგენს. სრულიად სხვა საკითხია, თუ რამდენად არის შესაძლებელი მოზარდი მგლების თავის ქალათა იმგვარივე შემოწმებით დადასტურდეს თავის ქალის განვითარების ის სხვადასვა სტადიები, რომელიც შემეც აქვს განმარტებული ახალგაზრდა ძაღლის თავის ქალათა განხილვით. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ძაღლის აწინდელ ჯიშებს ადამიანის მომშენებლობითი საქმიანობის ძლიერი გავლენა აქვს განცდილი; ეს მდგომარეობა კი უმნიშვნელო არ არის, თუ ვიგულისხმებთ, რომ თავის ქალის განვითარების ასეთი თუ ასეთი სტადია ამა თუ იმ ჯიშისათვის გარდაიქცა, სრულიად განსაზღვრულ მიზეზთა გამო, დამახასიათებელ ნიშანთვისებად, ხოლო რომელიმე მეორე სტადია კი რომელიმე სხვა ჯიშებისათვის. ჩვენ ამ საკითხს მაშინ დაუბრუნდებით, როდესაც საჭირო მასალის საკმარისი რაოდენობით დაგროვებას შევძლებთ.

წინამდებარე ნამუშევარისათვის კი ინტერესს ის დებულება შეადგენდა, რომ ძაღლის ყველა ჯიშისათვის ორი ძირითადი ტიპის დადგენა არის შესაძლებელი და რომ — ეს არის ჩვენთვის სწორედ მთავარი — იგივე ტიპები აგრეთვე მგლებში მოიპოება. ჩვენ შეუდექით მგლის თავის ქალათა განხილვას არა როგორც შინაური ძაღლის სხვადასხვა ჯიშთა პირველ წყაროს, არამედ შინაური ძაღლის ყველა ჯიშებში არსებული ორი ძირითადი ტიპის გამოსავალ წერტილს.

ცხრილში № 1 მოცემული ყველა განაზომი ჩვენ მგლის თავის ქალათა ერთს პოპულაციად გვაქვს მიჩნეული და ისე გადაამუშავებული, როგორც ამას ვარიაციული სტატისტიკა გვასწავლის. ის სირთულე, რომელიც თანსდევს ხოლმე თვითეული ინდივიდის მეორგსთან შედარებას, მათი მსგავსებისა თუ განსხვავების (გარეგ-

ნულად, ცხადია) აღსანიშნავად, ამ მეთოდით მნიშვნელოვანად არის გამარტივებული. სათანადოდ აგებული მრუდეები<sup>1</sup> ორ- ანუ მრავალწვეტიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებული მასალა სხვადასხვა ჯიშებისა თუ ფორმების ნარევეს წარმოადგენს. ხოლო თუ მასალის შემადგენლობაში შემავალი ფორმები თუ ინდივიდები მხოლოდ მცირე განსხვავებას იჩენენ, მაშინ თვითეული წვეტის გამოწვევი მაქსიმუმი შემცირდება და მრუდე ერთწვეტიანი იქნება. ეს ერთწვეტიანობით დახასიათებული მრუდე შესაძლებელია იყოს ამავე დროს მეტად წოწოლა, მეტად დაბალი ანუ გადაკვეთილ-წვეტიანი და სხვა.

ყოველივე ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ მრუდე ორი- ანუ მრავალწვეტიანი არის, აქიდან მხოლოდ იმის დასკვნაა შესაძლებელი, რომ ჩვენი მასალა ორსა თუ უფრო მეტ ფენოტიპს შეიცავს. მაგრამ, რაც შეეხება ამ ფენოტიპების გენოტიპურ რაობას, — რაც პირველ რიგში არის წინამდებარე შრომის მსგავსი კვლევისათვის საინტერესო — ამის გამოსარკვევად სპეციალური ექსპერიმენტი საჭირო. თუ აღმოჩნდა, რომ გარეგნული განსხვავება გამოწვეული არ ყოფილა რაიმე ეგრეთწოდებული პარატიპური გავლენით, მაგალითად კვების გავლენით, ხნოვანობით და სხვა, მაშინ საჭირო ექსპერიმენტი მიმართული უნდა იქნეს მასალაში მრუდის სახედ აღნიშნული განსხვავების მემკვიდრული გიების გამოკვლევისაკენ. ცხადია, წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს უკანასკნელად მოხსენებული გეზით წარმოებული კვლევის შედეგს. ჩვენ ამ აღვილას მესამედ უნდა შევზღუდოთ ის ფარგალი, — რომელიც შეიძლება ახასიათებდეს საზოგადოდ Canidae'ბის გენეზისის კვლევას, — და აღვნიშნოთ, რომ ამ კონკრეტ შემთხვევაში ჩვენ კავკასიური მგლების (რამდენადაც ხელი მიგვიწვდებოდა) თავის ქალათა განაზომების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით დამუშავება განვიზრახეთ მხოლოდ, როგორც ერთგვარად შემამზადებელი და საორიენტაციო სტადია Canidae'ბის გენეზისის გარკვევისათვის საზოგადოდ. მართალია, სტატისტიკური მეთოდებით ბიოლოგიურ პრობლემათა გაშუქება საბოლოო შედეგს მოკლებულია, მაგრამ ერთს განსაზღვრულ დონემდე იგი მაინც აუცილებელია, როგორც საკვლევი მასალის განმცხრილველი და საჭირო ბიოლოგიური ექსპერიმენტისათვის, ნაწილობრივ, აგრეთვე გეზის მიმცემი.

მას შემდეგ, რაც — ზემოთ უკვე განმარტებულის თანახმად, —

1) W. Johansson, Elemente der exakten Erblichkeitslehre, Jena 1926.

შინაური ძალის წარმოშობის საკითხის კვლევამ აგრეთვე მგლებში არსებულ ორ ტიპთან მიგვიყვანა, უფრო სწორედ: გვაგულვებინა ამ ორი ტიპის არსებობა, მომავალი ექსპერიმენტებისათვის მასალის სწორედ ისეთი გაცხრილვაა აუცილებლად საჭირო, როგორც ამას ზემოთ ვამბობდით.

წინამდებარე ნაშრომში განხილული მასალა საქართველოს მუზეუმის კოლექციებში ინახება მომდევნო ცხრილში № 1 აღნიშნული საინვენტარო ნომრებით, საიდანაც აგრეთვე მისი სადაურობა და სქესი ჩანს. აქ აღნიშნული უნდა იქმნეს მხოლოდ, რომ ყველა თავის ქალა სრულიად დაუზიანებელი არის და უნდა ეკუთვნოდეს ზრდადამთავრებულ, სრულიად ნორმალურად განვითარებულ ინდივიდებს.

### 3. განაზომთა ანალიზი.


ცხრილში № 1 მოცემულია თვითეული თავის ქალის ყველა შვიდი განაზომი და აგრეთვე ამ განაზომთა ურთიერთთან შეფარდება საჭირო ინდექსების მისაღებად, როგორც ეს ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული.

ყველა ამ განაზომთა მრუდის მისაღებად ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით დამუშავებისას ჩვენ თითო სხვაობად (ვარიანტად) მიჩნეული გვაქვს თითო ინდექსის რიცხვი, თხემის ძვალზე გადაანგარიშებული შუბლისა და ზედაყბის ძვლის სიგრძეთათვის, ისევე როგორც თითო ინდექსის რიცხვი ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძისათვის. ამ რიგად ეს სწორედ ის ინდექსის რიცხვებია, რომელნიც შემეს განსაკუთრებით დამახასიათებლად მიაჩნია თავისი ძირითადი ფორმებისათვის, და ასეთი სხვაობის მწკრივების უპირატესობა გარდა ამისა აგრეთვე ისიც არის, რომ — როგორც Götze და Dorheim იც აღნიშნავენ — ამით განსაზღვრული შეიძლება იყვეს ზემოთაღნიშნული თითოეული განაზომის კორელატიური სხვაობრივობა თხემის ძვლისა თუ ზედაყბის სიგანის მიმართ; გამოდის — და ეს მეტად მნიშვნელოვანია —, რომ ამნაირად შემოწმებული შეიძლება იყოს თითოეული განაზომი განცალკევებულად, ამა თუ იმ ტიპისადმი კუთვნილობის აზრით. ზემოთაც ვამბობდით და აქაც უნდა აღინიშნოს, რომ მასალის ასეთ დამუშავებას გაცილებით მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე Schäme სეულ ხერხს.

ამრიგად, ჩვენ სამი სხვაობის მწკრივი და აქიდან უკვე აგრეთვე სამი კიბური მრუდე გვაქვს შედგენილი, ამათში მრუდე




№ 1 გადმოგვეცემს სხვაობრიობას თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული შუბლის ძვლის სიგრძისას, მრუდე № 2 თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებულ ზედაყბის სიგრძისას და, ბოლოს, მრუდე № 3 კი ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებულ ზედაყბის სიგრძის სხვაობრიობას განასახიერებს.



მრუდე № 1


ამ სამი მრუდის მიხედვით ძნელი სათქმელია თითქოს, რომ გამოკვლეულ მასალაში ნამდვილად არსებობდეს ორი, ერთი მეორი-

საგან მკაფიოდ განსხვავებული ნიშანთვისებებით გამიჯნული ჯგუფი, ორი ფენოტიპი, როგორც ეს ჩვენ ზემოთაც სახელვდეთ. აშკარად გამოსახული მიდრეკილება ორწვეტიანობისა განსაკუთრებით ახასია-




რუდე № 2

თებს მრუდეს № 1, უფრო სუსტად იგივე აგრეთვე მრუდე № 2-ში მოჩანს; სამაგიეროდ მრუდე № 3 ტიპური ერთწვეტიანია, ამავე დროს საკმაოდ მცირე სხვაობის სიგანის მქონე და წოწოლა. პირველ ორს შემთხვევაში თითო მრუდის ორი წვეტის ერთი მეორისაგან გამიჯნულობა ესოდენ მცირეა და შუამდებარე კლასთა ესოდენ მცი-



ბრუდე № 3


რე რიცხვით დაშორებული, რომ დამკვირვებელს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ორივე წვეტი მხოლოდ საჭირო სხვაობათა (ვარიანტების) ნაკლებობით ყოფილიყვეს გამოწვეული. და მართლაც, ჩვენი ეს მასალა Schäume'სეული მგლის თავის ქალათა განაზომებითა რომ შევავსოთ ასეთ სურათს მივიღებთ:



მრუდი № 4


შემესული განაზომების მიმატებამ სრულიად გააქრო პირველი, უფრო დაბალი წვეტი, სახელდობრ იმით, რომ გაზარდა 9,5—10,0 mm. კლასის კუთვნილი ფრეკვენცი. ამრიგად, ახლად მიღებული მრუდე № 4 ერთწვეტიანია, მაგრამ ასიმეტრული. დაახლოვებით იმავე შედეგს მივიღებთ აგრეთვე მეორე განაზომისათვის:

№ 4



მრუდე 5.


ახალი რიცხვების მიმატებამ აქ, მართალია, სავსებით გააქრო ცალკე წვეტი, მაგრამ სამაგიეროდ მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მუზეუმის მონაბე, VI.



უამისოდაც მცირე დონის გამიჯნულობა, ორ წვეტს შორის რომ არსებობდა აქამდე. სრულიად უცვლელი დარჩა მრუდის მსვლელობა ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძისათვის, როგორც ამას მრუდე № 6 გვიჩვენებს. მრუდე აქ ისევე ერთწვეტიანი დარჩა და შემესეული განაზომების მიმატებამ გაზარდა მხოლოდ საკმაოდ სიმეტრული მრუდის ფარგალში მოყოლილი ცალკე კლასების ფრეკვენცი.

მაგრამ შემესეული განაზომების აქ გამოყენებას მარტო აღნიშნული მიმართულებით კი არა აქვს ინტერესი, არამედ იგი აგრეთვე მგლების გეოგრაფიული გავრცელების შესახებ ზოგ რასმე საგულგებელსა ხდის. ჩვენ, ჩვენი აქ განხილული მასალის მიხედვით, ცხადია, სრულიად არაფრის თქმა არ შეგვიძლიან ამ საკითხის ირგვლივ. ამას საგანგებო კვლევა ესაჭიროება გაცილებით უფრო ვრცელს მასალაზე დამყარებით და მასალის გადამუშავებისას სრულიად სხვა თვალსაზრისის ხელმძღვანელობით. მაშინ იქნებ იმ საკითხმაც პოვოს საბოლოო პასუხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი შემეს და ანტონიუსის (იხ. ზემოთ) მიერ სხვადასხვა გვარად გამიჯნული მგლის ფორმების ურთიერთთან დაკავშირება. თუ სახეში ვიქონიებთ ნერინგის მიერ აღნიშნულ დიდ სხვაობრიობას, რომელიც მგლებს ახასიათებს, მაშინ მოულოდნელი მაინცადამაინც არ უნდა იყოს, რომ ჩვენი მასალის მიხედვით შედგენილი სხვაობის მწკვირვში თავსდება აგრეთვე შემესეული მასალის განაზომები. იგივე მით უფრო აღარ იქმნება მოულოდნელი, რომ გარდა სხვაობრიობისა, რომელიც ერთს შემთხვევაში შეიძლება ვარიაცია იყვეს, ხოლო მეორეში მოდიფიკაცია,—ჩვენ აგრეთვე კომბინაციებთან გვაქვს ხოლმე საქმე. და აი, ყოველივე ამის გათვალისწინება იქნებ შესაძლებელს გაჭხდიდეს თუნდაც ტერიტორიულად ერთი მეორეს დაცილებულ ჯგუფთა შორის უთუოდ ერთი მეორისაგან სავსებით განსხვავებული ინდივიდები არ ვიგულისხმობთ ხოლმე, და წინაუკმო. ეს არ უნდა ჰსპობდეს, რასაკვირველია, შესაძლებლობას, რომ ერთს რომელსამე ტერიტორიულ ერთეულზე დანარჩენებისაგან ნამდვილად განსხვავებული ინდივიდები იყოს თავმოყრილი. მაგრამ ეს არ იქნება კანონისებრი აუცილებლობით თანდართული მოვლენა, და მაშასადამე, უთუოდ უარყოფას არ უნდა შეჭხედეს. ჩვენი გულგება, რომ შემეს მიერ გამოკვლეული და ჩვენი საანალიზო მასალის ინდივიდები, შესაძლოა, ერთისადაიმავე გენოტიპური ჯგუფის სხვაობრიობის წევრები იყვნენ.

ეს, რასაკვირველია, დამოუკიდებელი საკითხი არის. ჩვენი მსჯე-



ბრუნდე 6.

ლობის ჰირდაპირს თემას თუ დაუბრუნდებით, ვფიქრობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემეც მიერ ნაგულისხმევი ორი ძირითადი ფორმის არსებობა სისწორეს მოკლებული მაინცადამაინც არ უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ, სახელდობრ, რომ ამ ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები მემკვიდრეობითი უნდა იყოს და ყოველი მათგანი, როგორც შემეც აღნიშნავს, მენდელისეულ მემკვიდრეობას განიცდის; თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მრავალმხრივ გადაჯვარვას როგორც ამ ძირითადი ტიპებისას, ისევე მათგან მიღებული დათიშვის პროდუქტებისას, — მაშინ მოულოდნელი სრულიადაც არ უნდა იყოს ერთი მხრივ საზოგადო სიმცირე ხალასი დეკუმანიდური თუ ველტრიდული ტიპებისა, ხოლო მეორე მხრივ არსებობა ისეთი ფორმებისა, რომელნიც ნიშანთვისებათა ერთს ნაწილში ერთ ტიპს მიემსგავსებიან, და ნიშანთვისებათა მეორე ნაწილში კი — მეორე ტიპს. ნათქვამის სქემატური ილუსტრაცია სრულიად მარტივად არის შესაძლებელი მენდელისეული ფაქტორთა-კომბინაციების სახით. რომ წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ვითომც აქ მრუდის საშუალებით გადმოცემული ნიშანთვისებანი (ამა თუ იმ ძვლის ინდექსის რიცხვებად გამოთქმული განაზომები) ცალკე ფაქტორით. ანუ ფაქტორთა კომპლექსით არიან გამოწვეული, თითოეული მათგანი ერთი პირობითი ნიშნით აღნიშნოთ, ვთქვათ A უდრის შუბლის ძვლის დიდ ინდექსს, B ზედაყბის ძვლის დიდ ინდექსს (თხემის ძვალზე გადაანგარიშებულს), C — ზედაყბის ძვლის დიდ ინდექსს (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებულს), რის გამო a, b და c სათანადო ალელომორფთა კენტები უნდა იყოს, — მაშინ შემეცს მიერ ნაგულვები ორი ძირითადი ტიპის გადაჯვარვით მიღებული ინდივიდი ასეთი გენოტიპური ფორმულის მქონე იქნება: AaBbCc; ამ უკანასკნელთა ერთმანერთში მომრავლებამ შემდეგ თაობაში უნდა მოგვცეს რვა ერთი მეორისაგან განსხვავებული კონსტანტი ფორმა, როგორც ამას ტრიჰიბრიდული გადაჯვარვისას აქვს ხოლმე ადგილი. ეს ფორმები იქნება:

1) AABbCC — შუბლის ძვლის დიდი ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი.

2) AABbCc — შუბლის ძვლის დიდი ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი.

3) AAbbCC — შუბლის ძვლის დიდი ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) პატარა ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი.

4) AAbbcc — შუბლის ძვლის დიდი ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი.

5) aaBBCC — შუბლის ძვლის მცირე ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი.

6) aaBBcc — შუბლის ძვლის მცირე ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი.

7) aabbCC — შუბლის ძვლის მცირე ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) დიდი ინდექსი.

8) aabbcc — შუბლის ძვლის მცირე ინდექსი, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) მცირე ინდექსი.

განმარტებას არა საჭიროებს, ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ ზემოთხამოთვლილი კომბინაციები თეორიული ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც აქ მხოლოდ სქემის მაგალითისათვის არის ნაგულისხმევი ყველა ამ ფაქტორის არსებობა. ნამდვილად არსებობენ იგინი თუ არა და სახელდობრ რა ხასიათისაა ყოველი მათგანი (დომინანტიური, ინტერმედიარი და სხ.), ეს სპეციალური ექსპერიმენტის საკითხია. ამ თავითვე უთუოდ ნაგულისხმევი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ თუ ეს ფაქტორები ანუ სათანადო ფაქტორთა კომპლექსები ნამდვილად არსებობს, მაშინ რა ხასიათისაა არ უნდა იყოს იგინი, მეორე თაობის დათიშვის პროდუქტთა შორის რამოდენიმე კონსტანტი ფორმა გვეყოლება. ამასვე ექნება ადგილი, თუ ნაცვლად აქ აღებული ინდექსებისა სათანადო განაზომთა აბსოლუტურ რიცხვებს ავიღებთ და მათთვის ვიგულისხმებთ მენდელისეულ ფაქტორთა არსებობას. შესაძლებელი კონსტანტი ფორმების რიცხვი მეორე თაობაში, ცხადია, შეიცვლება იმისდა მიხედვით, თუ ჰიბრიდიზაციაში მონაწილე რამდენ ფაქტორს ვიგულებთ. მაგრამ ერთი რამ, რაც ჩვენთვის ამ ადგილას ყველაზედ უფრო საინტერესოა, ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება: ორი პირვანდელი ძირითადი ტიპის გადაჯვარვით მიღებული უნდა იყოს რამოდენიმე, ერთი მეორისაგან ნაწილობრივ თუ სავსებით განსხვავებული ფორმა.

ასეთი წინასწარი მოსაზრებების შემდეგ რომ მივმართოთ ჩვენი განაზომების ანალიზს, აღნიშნული უნდა იქნეს უწინარეს ყოვლისა ის, თუ რა სხვაობის სიგანე ახასიათებს ჩვენ მიერ მოპოვებულ

მრუდეების ფარგალში მოთავსებულ ცალკე წვეტებს. ჩვენ ვხედავთ, რომ თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული შუბლის ძვლის სიგრძის მრუდე ორწვეტიანია და რომ პირველი უფრო დაბალი წვეტით განსახიერებულ მრუდის ფარგალში მოთავსებული ინდივიდების ამ ნიშანთვისების სხვაობრიობა 8,0—10,0 მმ. სხვაობის სიგანით ხასიათდება; მეორე წვეტით განსახიერებული მრუდის ფარგალში მოთავსებული ინდივიდებისათვის კი იმავე სხვაობის სიგანე 10,0—12,5 მმ. უდრის. (იხ. მრუდე № 1). თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძის მრუდეში (იხ. მრუდე № 2) პირველი დაბალი წვეტისათვის სხვაობის სიგანე უდრის 13,0—14,0 მმ., ხოლო მეორე წვეტისათვის კი 14,—17,5 მმ. აღწევს. ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძის მრუდეში ჩვენ მხოლოდ ერთი წვეტი გვაქვს (იხ. მრუდე № 3) და ამ ნიშანთვისების სხვაობრიობა მრუდის ფარგალში მოთავსებული ინდივიდებისათვის 12,0—16,0 მმ. ხასიათდება. როგორც მრუდეებზე №№ 4, 5 და 6 ვხედავთ, შემეცნული განაზომები თავისუფლად ლაგდება აღნიშნული სხვაობის მწკვრივებში. მაშასადამე, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მსჯელობას დაქვემდებარებული პირველი ნიშანთვისებისათვის პირობით ნაგულისხმევი მენდელისეული ფაქტორის A რიცხვობრივი გამოსახულება ჩვენს მასალაში არის  $10 : (10,0—12,5)$ ,  $a=10 : (8,0—10,0)$ ; B=10 : (14,0—17,5) b=10 : (13,0—14,0). რაც შეეხება მესამე ნიშანთვისებას, ე. ი. ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებულ ზედაყბის სიგრძეს, აქ ჩვენ მხოლოდ ერთი სხვაობის სიგანით დახასიათებული მწკვრივი გვაქვს, სახელდობრ,  $10 : (12,0—16,0)$ , რომელიც, მართალია უფრო დიდია ვიდრე ამას შემეცნულ მასალაში ვხედავთ, მაგრამ რომელიც არავითარ პრინციპიალურ წინააღმდეგობას არა ჰქმნის, ვინაიდან ჩვენს მასალაში ფრეკვენცთა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია. ცნობილია, რომ პოპულაციაში შემატებულ ყოველ ახალ ინდივიდს შეუძლია იქამდე არსებული სხვაობის სიგანე გაზარდოს. ჩვენ ამას სხვა ნიშანთვისებათა მიმართაც ვხედავთ. ჩვენ თამამად შეგვიძლია სხვაობის ეს სიგანე, მივიჩნიოთ ჩვენ მიერ პირობით ნაგულები C—მენდელისეული ფაქტორის რიცხვობრივ გამოსახულებად, რის დასაპირისპირებლად c—ფაქტორისათვის რომელიმე სხვა სიგანე, მაგალითად,  $10 : (10,0—12,0)$ <sup>1</sup> შეგვიძლიან ვიგულოთ.

ამრიგად, შემეცნული მიერ ნაგულისხმევი ორი ძირითადი ტიპის გადაჯვარებით მიღებულ მეორე თაობის დათიშვის პროდუქტთა შო-

<sup>1</sup>) შემეცნული მასალის მიხედვით არის შედგენილი.

რის, ზემოგანმარტებული სქემის მიხედვით, რომელიმე AABBC ფორმა ასეთი რიცხვობრივი ოდენობით უნდა ხასიათდებოდეს: [10: (10,—12,5)] : [10: (14,0—17,5)] : [10 : (12,0—16,0)], ხოლო რო-

ცხრილი № 2.

გამოკვლეული ინდივიდის მორიგი №№ (ცხრილი № 1 მიხედვით).	თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშ. შუბლ. ძვლის სიგრძე.	თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშ. ზედაყბის სიგრძე.	ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე.	გამოკვლეული ინდივიდის სადაურობა.
2	10.31	14.76	13.62	ბორჯომი
4	10.61	15.31	13.62	"
8	10.08	14.74	12.67	"
10	12.25	17.02	14.27	"
11	10.37	16.00	13.11	"
12	10.20	14.60	13.16	"
15	10.24	15.36	14.52	"
17	11.32	15.56	13.91	"
20	10.67	15.81	13.88	"
22	10.34	16.40	14.97	"
23	10.30	15.64	13.88	"
27	10.66	15.52	13.53	"
28	10.40	15.32	12.88	"
29	10.30	15.49	14.70	"
30	10.31	15.22	13.45	"
31	11.27	16.50	14.65	"
32	10.66	16.12	14.33	"
33	10.28	15.42	14.63	"
36	10.35	16.26	13.85	"
38	11.55	16.06	13.57	"
39	10.32	15.42	14.93	"
43	11.66	16.63	14.32	"
47	11.45	14.59	13.96	ბზბი
48	10.23	15.22	13.54	"
49	10.41	15.90	14.06	"
50	10.78	16.55	13.91	"
51	10.42	15.70	13.46	"
53	10.22	15.13	14.13	"
54	10.99	16.22	13.64	"
55	10.32	15.19	14.25	"
56	11.60	16.32	13.52	"
57	10.03	14.60	14.32	"
58	10.80	15.28	14.04	"
60	10.53	16.58	14.21	"
66	10.61	15.32	14.11	ტფილისი
67	10.13	15.93	13.93	"
69	11.08	16.95	13.84	ყარაია
75	10.26	16.12	15.08	გეოქ-თაფა
77	10.99	16.58	14.84	ყუბანის ოლქი

მელიმე aaBBCC ფორმა კი, ასეთი რიცხვობრივი ოდენობით  $[10 : (8,0—10,0)] : [10 : (14,0 : 17,5)] : [10 : (12,0—16,0)]$  და ასე შემდეგ.

ჩვენი მომდევნო ამოცანა უნდა იყოს ჩვენი განაზომების მთელი მასალა უკვე განმარტებული შესაძლებელი ფორმების მიხედვით დავაჯგუფოთ. ცხრილები №№ 2, 3 და 4 ასეთი დაჯგუფების შედეგს წარმოადგენენ სწორედ.

ცხრილში № 2 შუბლის ძვლის სიგრძე მერყეობს 10,3—12,25 mm. ანუ,—თუ სხვაობის მწკვრივისათვის კლასთა შუამანძილად 0,5 mm. ავიღებთ, როგორც ეს მრუდის აგებისას გვქონდა, — 10,0—12,5 mm. ხოლო ეს რიცხვობრივი ოდენობა ჩვენ მენდელისეული A — ფაქტორისთვის გვქონდა პირობით ალებული. ზედაყბის სიგრძე (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) მერყეობს 14,60—17,02 mm. მიჯნებში, რაიც იმავე კლასთა შუა მანძილისას უდრის სხვაობის სიგანეს 14,0—17,5. ეს უკანასკნელი ჩვენ ვიგულისხმეთ მენდელისეული B—ფაქტორის რიცხვობრივს გამოსახულებად. ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე, როგორც ვხედავთ 12,67—15,0 mm. ფარგალში მერყეობს, ე. ი. თავსდება იმ სხვაობის მწკვრივში (12,0—16,0), რომელიც ჩვენ მთელი ჩვენი მასალისათვის გვაქვს აღნიშნული და რომელიც მენდელისეული ფაქტორის C-ს რიცხვობრივ გამოსახულებად მივიჩნიეთ. გამოდის, რომ ცხრილში № 3 თავმოყრილი ოცდაცხრამეტი ინდივიდი ეკუთვნის AABBCc ფორმას, ე. ი. ხასიათდება შუბლის ძვლის დიდი ინდექსით, ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშებული) დიდივე ინდექსით და აგრეთვე დიდი ინდექსით ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძისათვის:  $[10 : (10,0—12,5)] : [10 : (14,0—17,5)] : [10 : (12,0—16,0)]$ .

ისევე როგორც ცხრილში № 2, მომდევნო № 3 ცხრილშიც შეგვიძლიან შუბლის ძვლის სიგრძისათვის აღნიშნული სხვაობის სიგანე 8,18—9,87 mm. გაუთანაბროთ სხვაობის სიგანეს 8,0—10,0, რომელსაც კლასთა შუამანძილად 0,5 mm. ალების შემთხვევაში მივიღებთ და ვთქვათ, რომ ეს სხვაობის სიგანე არის რიცხვობრივი ოდენობა მენდელისეული a—ფაქტორის მიერ განაღდებული ნიშანთვისებისა. რაც შეეხება ზედაყბის სიგრძეს (თხემის ძვალზე გადაანგარიშებულს) და ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებულ იმავე განაზომს, შეგვიძლია ვთქვათ, პირველის სხვაობის სიგანე ამ ცხრილში 14,14—15,58 mm., ისევე როგორც მეორისა 13,11—15,94 mm. არ აღემატებიან იმ რიცხვობრივ ოდენობებს, რომელნიც ცხრილში № 2 განვსაზღვრეთ მე-

ცხრილი № 3.

გამოკვლეული ინდივიდის მორიგი №.№ (ცხრილი № 1 მიხედვით)	თხემის ძვლის სიგრძეზე გადანგ. შუბლ. ძვლის სიგრძე.	თხემის ძვლის სიგრძეზე გადანგარიშებ. ზედაყბის სიგრძე.	ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე.	გამოკვლეული ინდივიდის სადატურობა
3	9.91	14.70	13.13	ბორჯომი
6	9.25	15.00	13.11	"
7	9.75	15.22	13.84	"
9	9.59	14.59	15.57	"
13	9.11	14.52	14.25	"
14	9.52	15.29	14.25	"
16	9.04	15.15	14.48	"
18	9.32	14.76	13.82	"
19	9.48	15.48	13.65	"
21	9.15	14.67	15.12	"
25	9.13	14.45	13.71	"
26	9.64	14.31	13.13	"
34	9.78	14.77	13.64	"
37	9.75	15.58	13.95	"
40	9.83	15.15	14.41	"
41	9.19	14.49	14.11	"
42	8.92	14.38	13.34	"
44	8.28	14.14	14.88	"
45	9.37	14.48	13.78	"
46	8.93	14.52	13.62	"
52	9.41	14.83	14.88	ბ. ბ. ი. ბ. ი.
59	8.94	14.40	13.79	"
61	9.39	15.12	13.74	"
62	9.84	14.92	13.19	"
63	9.87	14.28	14.09	"
64	9.30	14.81	14.29	"
65	9.56	14.95	14.19	"
70	9.75	15.38	15.94	ყარაია
71	8.18	14.36	13.99	ლაგოდები
72	8.41	15.29	14.11	ფოილო
79	4.79	15.35	14.84	სოხუმი
74	9.03	14.92	13.64	ბორჩალო
76	9.15	15.52	14.17	ენშიაძინი

ნდელისეული B და C ფაქტორების მიერ განაღდებული ნიშანთვისებებისათვის, რის გამოც, მაშასადამე, ცხრილში № 3 თავმოყრილი ოცდაცამეტი ინდივიდი ეკუთვნის aaBBCC ფორმას, ე. ი. ხასიათდება შუბლის ძვლის მცირე ინდექსით და ზედაყბის ძვლისათვის ორივე დიდი ინდექსით:

$$[10 : (8,0—10,0)] : [10 : (14,0—17,5)] : [10 : (12,0—16,0)].$$

ამ ცხრილში (№ 4) შუბლის ძვლის სიგრძე და ზედაყბის (ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული) სიგრძე ისეთივე სხვაობის სიგანით

ხასიათდება, როგორც წინა ცხრილში (იხ. ცხრილი № 3). სამაგიეროდ თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე წინა ორივე ცხრილისაგან განსხვავდება. ამ ნიშანთვისებისათვის სხვაობის სიგანე უდრის 13,13—13,94 mm. ანუ, კლასთა შუამანძილად თუ იმავე 0,5 mm. ავიღებთ, 13,0—14,0, რაც ჩვენ უკვე მენდელისეული b — ფაქტორის რიცხვობრივ ოდენობად მივიჩნიეთ. მაშასადამე, ცხრილში № 4 თავმოყრილი ხუთი ინდივიდი aabbcC ფორმას ეკუთვნიან, ე. ი. ხასიათებიან შუბლის ძვლისა და ზედაყბის (თხემის ძვალზე გადაანგარიშების შემთხვევაში) მცირე ინდექსებით და ზედაყბის სიგანეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძის დიდი ინდექსით:

$$[10 : (8, -10,0)] : [10 : (13,0 - 14,0)] : [10 : (12,0 - 16,0)].$$

ყოველსავე ზემოთქმულს თვალი რომ გადავაკვლოთ, შეგვიძლიან იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეული ინდივიდები ეკუთვნიან იმ სამს ფორმას, რომელთა მიღება აუცილებელია რვა შესაძლებელი ფორმის რიცხვში, თუ კი შემეს მიერ ნაგულისხმევი ძირითადი ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს შემკვიდრობითი ერთეულებით გამოწვეულად წარმოვიდგენთ და მათი გადაჯვარვით მიღებულ ინდივიდებს ერთმანერთში მოვამრავლებთ. თუ რამდენად შეეფარდება სინამდვილეს ასეთი შემკვიდრული ერთეულების არსებობა და როგორია მათი თაობიდან თაობაზე გადასვლის ხასიათი, ანუ ჰომოძიგოტნი არიან თუ (მონო-დი-ტრი) ჰეტე-ძიგოტნი აქ განხილული პირობითი ფორმები, — ეს, რასაკვირველია, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი არის და, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ შეადგენდა.

#### ცხრილი № 4.

გამოკვლეული ინდივიდის მორიგი №. № (ცხრილის № 1 მიხედვით).	თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული შუბლის სიგრძე.	თხემის ძვლის სიგრძეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე.	ზედაყბის სიგრძეზე გადაანგარიშებული ზედაყბის სიგრძე.	გამოკვლეული ინდივიდის სადაურობა.
1	8,48	13,13	13,52	ბორჯომი
5	4,37	13,43	13,24	„
24	8,51	13,42	12,46	„
35	8,69	13,43	13,75	„
68	8,18	13,94	15,46	ტფილისი

ჩვენ გვსურდა აღგვენიშნა, თუ რა 'სხვაობრიობა ახასიათებს კავკასიური *Canis lupus*'ის ინტერესის მქონე ნიშანთვისებებს და რამდენად იქნებოდა შესაძლებელი მისი დაკავშირება შემეც მიერ ნაგულვებ პირვანდელ ძირითადს ტიპებთან. მოპოებულმა შედეგმა, მართალია, არ გამოაჩინა ჩვენს მასალაში უთუო ველტრიდული ანუ უთუო დეკუმანიდური ტიპის არსებობა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენმა მსჯელობამ, თუნდაც პირობითი გამოსავალი წერტილით, უფრო განამტკიცა რწმენა შესაძლებლობისა, რომ ველტრიდული და დეკუმანიდური პირვანდელი ტიპები ნამდვილად არსებობენ ანუ არსებობდნენ. ჩვენი კვლევისას მოხმარებული მეთოდი, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, სწორედ ამ შესაძლებლობისათვის ხაზის გასმით ამოიწურება და ნაგულვების უდაოდ ქმნას სულ სხვა გვარი კვლევა, — ექსპერიმენტი საკუთრივ მისთვის — ესაჭიროება. იქ მიღებული შედეგი იქნება სწორედ საბოლოო სიტყვა დასმული პრობლემის შესახებ, ხოლო იქამდე, — ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიდან გამომდინარე დასკვნების არეში, — ჩვენ შემეც გულვების სისწორეს შესაძლებლობა უცილოდ უნდა დავადასტუროთ.

#### D. AGLADSE.

#### MATERIALIEN ÜBER DIE CAUCASISCHEN CANIDAEN.

(Messungen und variationsstatistische Untersuchungen an caucasischen Wolfsschädeln als ein Beitrag zur Abstammungsfrage des Haushundes).

Eine Reihe von Autoren hat in neuer Zeit festgestellt, dass innerhalb des gesamten Hundegeschlechtes zwei erblich festge-

legte Typen mehr oder weniger deutlich zu unterscheiden sind, nämlich die Decumanidesform und die Veltridesform. Das wichtige Ergebnis dieser Untersuchungen (Schäme), speziell in Bezug auf die Klärung der Abstammungsfrage unserer Haushunde, ist das, dass auch unter den Wölfen und Wolf-haushundkreuzungen genau dieselben beiden Typen auftauchen. Als wilde Ausgangsform für unsere rezente Haushunde kommt also der Wolf, *canis lupus*, in Betracht. Der Schacal soll in dieser Beziehung wesentlich andere Verhältnisse aufweisen.

Während das Material von Haushundschädeln gross genug war, um oben erwähnte Schlüsse ziehen zu können, verlieren die Ergebnisse dieser Arbeiten hinsichtlich der wilden Ausgangsform teilweise dadurch an Überzeugungskraft, dass eine kleine Zahl der Wolfsschädel zur Untersuchung kam.

Wir hatten die Gelegenheit diesen Mangel gewissermassen zu rechtfertigen, denn aus den Schädelkollektionen des georgischen Museums könnten wir 77 Wolfsschädel der Betrachtung unterziehen.

Insofern als die vorliegende Arbeit eine Nachprüfung Schäme's Untersuchungen darstellen sollte, sollte auch die von ihm verwendete Messtechnik eine Anwendung finden. Nur in Bezug auf die Verarbeitung der Messungsergebnisse haben wir den Weg vorgezogen, dem Götze und Dornheim bei ihren Untersuchungen folgten, nämlich die variationsstatistische Methode.

Die Ergebnisse unserer Untersuchung sind in Tabelle № 1 (Messungen an einzelnen Knochen und betreffende Indices) und Kurven №№ 1, 2 und 3 niedergelegt (als Varianten sind die Indexzahlen für die auf das Scheitelbein bezogene Stirnbein- und Oberkieferlänge und die auf die Oberkieferbreite bezogene Oberkieferlänge angesehen). Die Kurven №№ 4, 5 und 6 stellen die Variationskurven derselben Indexzahlen dar, nur mit Schäme's Daten ausgefüllt.

Man ersieht daraus, dass während die Kurven für die Indexzahlen der auf das Scheitelbein bezogenen Frontal- und Maxillarlänge (Kurven №№ 1 u. 2) eine schwache Neigung zur Zweigipfeligkeit aufweisen, die Kurve für Indexzahlen der auf die Maxillarbreite bezogenen Maxillarlänge eingipfelig ist (Kurve № 3). Das heisst aber, dass eine ausgesprochene Veltrides- oder Decumanidesform in

unserem Material nicht vorhanden ist, dass wir vielmehr mit Mischformen zu tun haben. In den Tabellen №№ 2, 3 und 4 sind diese verschiedene Mischformen getrennt zusammengebracht, wobei als Grundlage für eine solche Klassifikation die Variationsgrenzen für einzelne Indexzahlen gedient haben. Somit haben wir in der Tabelle № 2 (39 Wolfsschädel) solche Individuen zusammengestellt, die durch grosse Frontallänge (bezogen auf das Scheitelbein), Maxillarlänge (bezogen auf das Scheitelbein) und auf die Maxilliarbreite bezogene Maxillarlänge charakterisiert sind:

$$[10 : (10,0—12,5)] : [10 : (14,0—17,5)] : [10 : (12,0—16,0)].$$

Tabelle № 3 (33 Wolfsschädel) umfasst diejenigen Individuen, die durch kleine Frontallänge (bezogen auf das Scheitelbein) und durch grosse Maxillarlänge (bezogen auf das Scheitelbein und die Maxilliarbreite) charakterisiert sind:

$$[10 : (8,0—10,0)] : [10 : (14,0—17,5)] : [10 : (12,0—16,0)].$$

Und, endlich, in der Tabelle № 4 (5 Schädel) finden wir solche Individuen, die kleine Frontal- und Maxillarlänge (bezogen auf das Scheitelbein) und grosse, auf die Maxilliarbreite bezogene, Maxillarlänge aufweisen:

$$[10 : (8,0—10,0)] : [10 : (13,0—14,0)] : [10 : (12,0—16,0)].$$

Nehmen wir jetzt an, dass jedes von diesen Merkmalen durch einen selbständigen Mendelfaktor verursacht ist, dann sollte die Veltridesform eine genotypische Konstitution von AABBCc haben (nehmen wir an, es sei homozygotisch), andererseits sollte der Decumandesform eine solche von aabbcc eigen sein. Zwischen den Nachkommen dieser gekreuzten Grundformen hätten wir, wie bekannt, acht konstante Formen, von denen manche AABBCc, aaBBCC und aabbcc wären. Diesen genotypischen Konstitutionen entsprechen gerade die von uns untersuchten Individuen, vorausgesetzt, wie schon gesagt, dass in der Tabelle № 1 angegebene Messzahlen für verschiedene Knochen, bzw. ihre Indicien von den Mendelfactoren A, B, C bzw. a, b, c bedingt sind.

Selbstverständlich, hat die vorliegende Arbeit mit der Feststellung oder Charakterisierung irgendwelcher Erbfactoren, die verschiedene Schädeltypen bedingen sollen, nichts zu tun. Wir hatten uns zur Aufgabe gestellt eine variationsstatistische Untersuchung durchzuführen und nur insofern, als sich dabei ergebener Kurvenver-


Fig. 5.

L'ornementation du fossile se caractérise par son apparition tardive; les tours internes, par exemple, ne montrent pas de traces de côtes. C'est seulement après que la coquille a atteint un diamètre de 70 mm., que l'ornementation apparaît en forme de côtes vagues, se fortifiant de plus en plus avec l'âge. Celles-ci s'inclinent en avant sur le bord ombilical et la marge externe, tandis que sur le milieu des flancs elles sont inclinées en arrière ainsi que sur le pourtour externe où elles forment un angle de  $80^{\circ}$  à  $85^{\circ}$  (fig. 5). Parmi 66 côtes (33 sur un demi tour) principales qu'on voit commencer vers le bord ombilical, quelques unes seulement restent simples, les autres se divisent généralement en deux, rarement

en trois, branches égales et on compte ainsi plus de 140 côtes secondaires fortes et espacées sur le pourtour externe.




Fig. 6.

La ligne de suture (fig. 6) de *N. tsqaltsithelensis* n. sp. est beaucoup plus compliquée, que celles des formes du groupe de *N. radiatus* Sow. Cette complication se manifeste dans l'apparition de sinuosités assez marquées.

La position du siphon est subcentrale.

La chambre d'habitation étant conservée seulement en partie, la bouche n'est pas visible.

*N. tsqaltsithelensis* n. sp. appartient probablement à un groupe à part; il paraît être rare dans le gisement fossilifère de Koutaïs.

დოც. გ. ნიორაძე.

## ზემოავჭალის სამარე.

სამარის აღმოჩენა და მისი ინვენტარი.


1927 წლის დეკემბერში საქართველოს მუზეუმში მოქ. ბიქტორ მელქაძემ განაცხადა, ზემოავჭალაში (12 კმ ტფილისიდან) ბავშთა ახალშენის მიდამოში, მიწის გადამრუნების დროს, მუშები პოულობენ ადამიანის ძვლებს, თიხის ჭურჭლის და ბრინჯაოს ნამტვრევებსო.

მუზეუმის დავალებით მაშინვე გავემგზავრე ნახსენები ადგილის დასაზვერავად. მისვლისთანავე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მუშებს სასაფლაოს უმეტესი ნაწილი გადაებრუნებიათ, რასაც მოწმობდა მიწის ზემოპირზე გაბნეული აუარებელი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და ადამიანის ძვლები. ცხადი იყო აგრეთვე, რომ სასაფლაო ღრმად არ იყო მიწაში, ვინაიდან მიწის გადამრუნება ხდებოდა 55 cm სიღრმეზე. მიწის გადამრუნებამდე სასაფლაო არა ერთხელ ყოფილა დაზიანებული, რადგან ეს ადგილი დიდი ხნის განმავლობაში სახნავ მიწად იყო გამოყენებული.

გადამრუნებულ მიწაზე მე შევუდექი სანიმუშო ორმოების ამოღებას. ერთს მათგანში, რომელიც ბავშთა ახალშენის მთავარ შენობას დასავლეთის მიმართულებით 140 m მანძილზე იყო დაშორებული (სურ. 1), 65 cm სიღრმეზე, ახალი ალუვიონის ეგრეთწოდებულ ლიოსის მაგვარ დანალექ მეოთხეულის ფორმაციის ფენში (სურ. 2 c), გამოჩნდა გატეხილი დოქის ნაპირები (სურ. 3 A).


როგორც შემდეგში გამოირკვა, ამ ახალ ალუვიონს ქვეშ (სურ. 2 c) მისდევდა ხვინჯა-რიყის ქვის ფენი—ძველი ალუვიონი<sup>1</sup> (სურ. 2 b), რომელიც უთანხმოდ ზედ ედო ოლიგოცენის დანაოჭებულ ქვიშა-ქვას (სურ. 2 a). უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი ალუვიონის

<sup>1</sup>) მტკვრის ყოფილი ტერასი.



სურ. 1. ხემოავკალის ბავშთა ახალშენის მიდამოს გეგმა. ვარსკვლავით აღნიშნულია სამარის ადგილმდებარეობა; a—ახალშენის მთავარი შენობა. ჰორიზონტალები მოცემულია მეტრებში.

მიწა არის იქვე მახლობელი გორაკებიდან ნაკადების მიერ ჩამორეცხილი.




სურ. 2. a—ოლიგოცენის ქვიშა-ქვა, b—მეოთხეულის ნარიყალი (ძველი ალუვიონი) და c—თანამედროვე ფორმაციის ლიოსისებური ნალექი (ახალი ალუვიონი).

ეტყობოდა, რომ მიწის ბრუნების დროს გატეხილმა დოქმა არ მიიქცია მუშების ყურადღება და მით განადგურებას გადაარჩა მის გასწვრივ და ქვემოთ მდებარე ნივთები. არც მუშებს მოუსურვებიათ ამ ადგილის უფრო ღრმად გათხრა, რადგან მათთვის ეს საჭიროებას არ შეადგენდა.

მე მაშინვე შევეუდექი ნაპოვნი დოქის პრეპარაციას და მის გარშემო მდებარე მიწა მეტად თხელ ფენებად, პატარა ზომის ფუნჯების საშუალებით, ერთი მეორეს გადავაცილე.

მალე გამოჩნდა სხვა ნივთებიც; გამოჩნდა თიხის ფიალი (სურ. 3 B), თავის ქალა (სურ. 3 C), ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი (სურ. 3 D) და მის ქვეშ მდებარე ფეხების (სურ. 3 E) და მარცხენა მკლავის (სურ. 3 G) ძვლები და წინა-მხარზედ წამოცმული ორი ბრინჯაოს სამაჯური (სურ. 2 F); მახვილის ბოლოსთან ახლოს გამოჩნდა ნეკნების ძვლები—costae (სურ. 3 H) და მენჯის (pelvis) ნაწილები (სურ. 3 I). მახვილის ტართან ახლოს, ორ რიყის ქვას შუა, გამოჩნდა დანის ანუ ხანჯლის სრულებით ჟანგად ქცეული ნაშთი.

(სურ. 3 J), ბრინჯაოს თაევამობურცული, მოკლე ზომის 20 ცალი ლურსმანი (სურ. 4 a) და მრგვალი პატარა ზომის თხელი ფირფიტა სურ. 3 K და სურ. 4 b), რომლებიც ზემოხსენებული ხანჯლის ანუ




სურ. 3. ზემოაგჭალის სამარე პრეპარაციის შემდეგ.

დანის ტარის და მის ბოლოს სამკაულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. იქვე ახლოს იყო ორი პატარა ზომის ქოთანის (სურ. 3 M და L):

მახვილის ტარის ქვეშ და მის მახლობლად იყო წინა ტერფის ძვლები — ossa metatarsalia და ფეხის ფალანგები (სურ. 3 D და N). მარცხენა ბარძაყის ძვლის ზემო თავთან (caput femoris) იყო ბრინჯაოს მახათი (სურ. 3 O).

როდესაც ფიალი გავასუფთავეთ, მიწა მოვაცილეთ, მის შიგნით გამოჩნდა პატარა ზომის თიხის ჯამი (სურ. 3) და ამ ჯამის შიგნით—მარჯვენა წინამხრის ძვლები (სურ. 3 R) და ხელის თითების ფალანგები (phalanges digitorum) ერთი გატეხილი ბრინჯაოს ბეჭდით: ფიალსა და პატარა ჯამის ნაპირებს შუა იყო ადამიანის კბილები და ქვემო ყბის ნაწილები. მახვილის ბოლოს ქვეშ აღმოჩნდა მარჯვენა მხრის (humerus) ძვალი (სურ. 3 S).

თავის ქალასა და ფიალს შუა იყო მარცხენა ხელის თითების ფალანგები და ერთ მათგანს წამოცმული ჰქონდა ბრინჯაოს ოთხი ბეჭედი (სურ. 3 T და სურ. 5). მარჯვენა ფეხის მუხლთან



სურ. 4. ბრინჯაოს ლურსმნები და ფირფიტა (3/4 ნატ. სიდ.).

ახლოს იყო რკინის შუბი (სურ. 3 U და სურ. 6) და მის ქვეშ ცხენის კბილები ქვემო ყბით (სურ. 6)<sup>1</sup>. ნეკნების ძვლების მარცხენა მხრის და მენჯის ძვლებს შუა ვიპოვეთ სამი ცალი ნახევარსფეროსებური ბრინჯაოს ლილი (სურ. 7), 37 ცალი სარდოლიკის (სურ. 8), ერთი ცალი კვარცის (სურ. 9), ორი ცალი მსხვილი, შუშისმაგვარი (სურ. 10) და 15 ცალი წვრილი მოცისფრო, ესეც შუშის მაგვარი მძივები (სურ. 11).

აი ყველა ის ნივთი, რომელიც ჩვენ მიერ გათხრილ სამარეში აღმოჩნდა.

<sup>1</sup>) თუ რა ჯიშის ცხენს ეკუთვნოდა ეს კბილები, ამის გამოკვლევა ვერ შევძელით, ვინაიდან ამისათვის საჭირო შეღარებითი მასალა ადგილობრივ არ მოგვეპოვებოდა: კბილები მომცრო ზომისაა და შესაძლოა Equus caballus minor<sup>1</sup>ს ეკუთვნოდეს.

აღნიშნული ნივთებისა და ჩონჩხის გარშემო ერთი მეტრის სიგანე მიწა გაფთხარეთ, მაგრამ ვერავითარი ნაშთი ჩონჩხისა ან სხვა რაიმე საგნისა ვერ ვიპოვეთ.



სურ. 5. ხელის თითების ფალანგები და მათზე წამოცმული ბეჭდები (დაახლოვებით ნატ. სიდ.).


სამარის ძირი სწორი იყო და მიწის ზემო პირს 95 cm დაცილებული. მისი სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით



სურ. 6. რკინის შუბი და მის ქვეშ ცხენის ქვემო ყბა კბილებით ( $\frac{2}{5}$  ნატ. სიდ.).


1,4 m, სიგანე — 1,3 m<sup>1</sup>, ასე რომ სამარეს დაახლოვებით მრგვალი

<sup>1</sup>) სამარის ძირის სიგრძე-სიგანეს ჩვენ ვანგარიშობთ დაახლოვებით იმ სიგრძის მიხედვით, რომელიც ეჭირა სამარეში მდებარე საგნებს.



სურ. 7. ბრინჯაოს ლილები (ნატ. სიდ.).

ან კვადრატული ფორმა ჰქონდა და შესაძლოა იმ რიყის ქვებით იყო შემოვლებული, რომლებიც სამარის ახლოს საკმაოდ მოიპოვებოდა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ რიყის ქვები ჩვენ გვხვდებოდა მხოლოდ სასაფლაოს კულტურულ ფენაში იმ დროს, როდესაც მახლობლად მდებარე ადგილებში, სამარის ძირის ჰორიზონტის გასწვრივ, რიყის ქვები სრულიად არ მოიპოვებოდა. არც ამ რიყის ქვებ-



სურ. 8. სარდოლიკის მძივები (ნატ. სიდ.).

თან გვხვდებოდა სილა ან ხვინჯკა, რომ ადამიანს ეფიქრა, რომ რიყის ქვები მდინარით იყო მოტანილი და არა ადამიანის ხელით. მაგრამ, თუ როგორ ავლებდენ საფლავს რიყის ქვებს, ან რა მიზნით იყო გამოყენებული სასაფლაოსათვის ეს რიყის ქვები, ამის გამორკვევა


ყოვლად შეუძლებელი იყო. აგრეთვე ძნელი იყო გამორკვევა, თუ რით ხურავდნენ საფლავს, რომელიც, როგორც შემდეგში დავინახავთ, მიცვალებულის დასაფლავების დროს მიწით არ იყო ამოვსებული.



სურ. 9. კვარცის მძივი (ნატ. სიდ.).

### მიცვალებულის მღვთააკოვლა.

ნახევრად მტვრად ქცეული ჩონჩხის ნაშთები, რომლებსაც სპირტში გახსნილი შელლაკის საშუალებით ვამაგრებდით, გვიჩვენებდა, რომ მიცვალებული ფეხებმოკეცილი, დამჯდარი იყო სამარეში ჩასვენებული. მიცვალებულს დასაფლავების დროს მუხლებზე მახვილი დაუდევს, მარჯვნივ ცხენის ყბა<sup>1</sup> და შუბი, წინ კი ორ ქვაზე — რკინის დანა (ან ხანჯალი) და გარშემო თიხის ქურჭელი შემოუწყვეს; პირი სამხრეთისკენ მიუბრუნეს და ზურგით საფლავის კედელს მიაყრდნეს.



სურ. 10. შუშის მაგვარი მძივები (2 ნატ. სიდ.).

მიცვალებულის დასაფლავების დროს სამარეში მიწა არ იყო ჩაყრილი; ამას მოწმობს ძვლების ერთს ჰორიზონტზე მდებარეობა, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის გამო, რომ სამარე მიწისგან თავისუფალი იყო და, მიცვალებულის დაშლის დროს, ყველა ძვალი სამარის ძირზე ერთს კულტურულ ფენში მოექცა.

მიცვალებული მარჯვნივ იყო გადაქანებული; თავიც მარჯვნივ ჰქონდა გადავარდნილი. უნდა ვიფიქროთ, რომ, მიცვალებულის და-

<sup>1</sup>) ყბას მშვენივრად აქვს კბილები შერჩენილი.

საფლავების დროს, სამარეს ზემოდან ხის ტოტები ან ფიცრები ჰქონდა დაფარებული და შემდეგ მიწა იყო დაყრილი.



სურ. 11. მოცისფრო შუშის მაგვარი მძივები (2 ნატ. სიდ.).

რომ მიცვალებული ფეხებ-მოკრუნჩხულად დამჯდარი იყო სამარეში ჩასვენებული, ამას ჩვენ გავარკვევთ, თუ დავაკვირდებით სურ. 12-ს. ამ სურათზე  $N_1$  არის ფეხის, ხოლო  $I_1$  — მენჯის ძვლის ნაშთების პროექცია ვერტიკალურს სიბრტყეზედ.


ამ ძვლების ერთი მეორესთან მდებარეობა გადმოცემული გვაქვს სამარეში აღგილობრივ გაზომის დროს.

ამავე სურათზე  $V_1$  და  $V$  წარმოადგენს საფლავის კედელს, ხოლო  $N$ ,  $N$  და  $I$  — ფეხების და მენჯის ძვლების პროექციას ჰორიზონტალურ სიბრტყეზედ. რადგან ჩვენ უკვე ვიცით ფეხის და მენჯის ძვლების პროექცია და აგრეთვე დაახლოებითი ზომა ბარძაყის (femur) და დიდი წვივის (tibia) ძვლების, ამიტომ ჩვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს ამ პროექციით მოენახოთ მუხლის თავის მდებარეობა. ამისთვის საკმარისია  $N_1$  - დან (რადიუსით, რომელიც უდრის დიდი წვივის ძვლის სიგრძეს,) და  $I_1$  - დან (რადიუსით, რომელიც უდრის ბარძაყის ძვლის სიგრძეს.) შემოვხაზოთ წრეები. ამ წრეების კვეთილის წერტილი მოგვცემს მუხლის თავის პროექციას  $a$ -ს. როდესაც  $a$  წერტილს შევუერთებთ ამ წრეების ცენტრებს, მივიღებთ სქემატიურად ბარძაყის და დიდი წვივის ძვლების მდებარეობას საპროექციო ვერტიკალურ სიბრტყეზედ.

აგრეთვე ხერხემლის ძვლების მდებარეობას გამოვარკვევთ, თუ ჩვენ  $b$  წერტილიდან შემოვხაზავთ წრეს, რომლის რადიუსი (52 cm) ბაზიონის და მენჯის შუა სიგრძეს უდრის. ამ წრის და სამარის კედლის საერთო წერტილი მოგვცემს ბაზიონის მდებარეობას.


ჩვენს სურათზე ხერხემლის ძვლებსა და სამარის კედლებს შუა პატარა სივრცე დაეტოვეთ, რადგან მხედველობაში გვქონდა მიცვალეულის ტანთსამელი და ზურგის რბილი ნაწილები, რომლებიც არ მისცემდნენ საშუალებას ხერხემლის ძვლებს მჭიდროდ სამარის კედლებს მიყრდნობოდნენ.

ხელის მდებარეობა, რასაკვირველია, საკამათოა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ხელი მიცვალბულს ისეთნაირად ჰქონდა მუხლზე დადებული, როგორც ეს ჩვენ გვაქვს სურათზე ნაჩვენები. ამგვარი



სურ. 12. სქემა ჩონჩხის რეკონსტრუქციისათვის.

წარმოდგენა მით უფრო მართლდება, თუ მხედველობაში ვიჭონიებთ გათხრების დროს აღმოჩენილი მკლავის შუა ნაწილის და მუხლის თავის ერთად მდებარეობას (სურ. 3); თანაც ხელის ამგვარი მდებარე-



სურ. 13. ზემოთ (A)—მიცვალბულის მდებარეობის რეკონსტრუქცია დასაფლავების დროს; ქვემოთ (B)—ჩონჩხის და სამარის ზოგიერთი ინვენტარის მდებარეობა პრეპარაციის შემდეგ.

რობა მჯდომარე ადამიანისათვის უფრო ბუნებრივია და მოხერხებულად.

ამ სქემის (სურ. 12) მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ მთლიანი რეკონსტრუქცია მიცვალებულის მდებარეობისა იმ სახით, როგორც ეს იყო დასაფლავების დროს (სურ. 13 A)

ახლა, თუ ჩვენ მიერ მიღებულ რეკონსტრუქციას, რომელიც წარმოადგენს მჯდომარე ადამიანის პროექციას ვერტიკალურ სიბრტყეზე (სურ. 13 A), შევადარებთ ფოტოგრამას (სურ. 3 და სურ. 13 B), რომელიც თავის თავად მჯდომარე ადამიანის დაახლოვებითი პროექცია არის ვერტიკალურ სიბრტყეზე<sup>1</sup>, დავინახავთ, რომ ორივე პროექცია ერთი მეორეს ეფარდება, რასაც ნათლად ვარჩევთ სურათზე პუნქტირების საშუალებით. მაშასადამე მიცვალებულის მჯდომარე მდებარეობა ჩვენთვის ცხადი ხდება არა მხოლოდ სურათიდან, არამედ პროექციების საშუალებითაც.

#### ჯემოავჯალის სამარის მნიშვნელობა.

მიცვალებულის მჯდომარე მდებარეობას აღნიშნავს ფ. ბაიერნი სამთავროს ვერეთწოდებულ „ძირა სართულის“ (untere Etage) ანუ „გუმბათოვან“ (Kuppelgräber) საფლავებში<sup>2</sup>; მაგრამ მის მიერ მოყვანილი ცნობები და მტკიცება არ არის დამაკმაყოფილებელი, მით უმეტეს, რომ ფ. ბაიერნი არც ერთს ფოტოგრამას არ იძლევა მიცვალებულის ნაშთების მდებარეობის შესახებ, ხოლო მის მიერ მოცემული ორი ორმოსამარის ჩანახატი სრულიად მიუღებელია და დაუჯერებელი. ეს მეტად პრიმიტიულად შესრულებული ჩანახატები მოყვანილი აქვს ფ. ბაიერნს თავის შრომაში: Untersuchungen, S. 32. Fig. 11 und 12.

<sup>1</sup>) ფოტოგრამა № 3 აღებული გვაქვს სამარის ნაპირიდან „ხემოდან დახედვით“.

<sup>2</sup>) Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, herausgegeben von Rud. Virchow. Supplement zu Band XVII der *Zeitschrift für Ethnologie*, S 3. (Berlin 1885).

სახელწოდება „გუმბათოვანი სამარე“ ვერ აქვს ფ. ბაიერნს მოხერხებულად ნახმარი. ამის შესახებ რუდ. ვირხოვი შენიშნავს და ამბობს, რომ უმჯობესია „Kuppelgräber“-ის მაგივრად ვიხმართო სახელწოდება «Brunnengräber». R. Virchow, Die kaukasischen und transkaukasischen Gräberfelder: *Verhandlungen der Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte*. S. 474 (Berlin 1882). ჩვენ სრულებით ვეთანხმებით რუდ. ვირხოვს და „გუმბათოვანი“ სამარეების მაგივრად ვიტყვი „ორმოსამარეები“, მით უმეტეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება სარწმუნო მასალა იმის შესახებ, რომ სამთავროს სამარეებს გუმბათისებური თალი ჰქონდა.

ერთს მათგანზე (Fig. 11) სამარე წარმოდგენილია „ზემოდან დახედვით“ (Ansicht von oben), ხოლო მეორეზე — პროფილით (Fig. 12). პირველ ჩანახატზე მოცემულია თიხის ჭურჭელი, მიცვალებულის ჩონჩხი სწორად, გაჭიმული ფეხებით და მეტად გრძელი (1 m 22 cm) რკინის მახვილით, რომელიც სრულიად არ შეესაბამება სამთავროს. ორმოსამარეების კულტურას. მაშასადამე, არც ამ ჩანახატზე მოცემული დამარხვის ფორმა არის მცხადები სამთავროს უძველესი კულტურისათვის.

დაუშვათ, რომ ამ ჩანახატებზე მოცემული სამარე თავისი მახვილით და ჩონჩხის მდებარეობით დამახასიათებელია სამთავროს ორმოსამარეების უძველესი კულტურისათვის და რომ ფ. ბაიერნი იძლევა დამარხვის სრულიად გარკვეულ ფორმას. მაშინ მინც სრულიად გაუგებარი რჩება, თუ რად იძლევა ფ. ბაიერნი ამავე სამარის შეუსაბამო პროფილს (Fig. 12), რომელზედაც დამარხვის სულ სხვა ფორმა არის წარმოდგენილი. იქნებ ამ ჩანახატზე სულ სხვა პერიოდის, სულ სხვა კულტურის დამახასიათებელი სამარის პროფილია მოცემული. თუ ასეა, რომლის? ეს სრულებით არ ჩანს ფ. ბაიერნის შრომებიდან, და ამიტომ სამთავროს უძველეს ორმოსამარეებში მიცვალებულის დამარხვის ფორმა ბურუსით არის მოცული.

სიმართლე რომ ითქვას, ფ. ბაიერნს არც შეეძლო ორმოსამარეებში დამარხვის ფორმის აღდგენა, ვინაიდან ეს სამუშაო მეტად დიდ დროს, დაკვირვებას და ფაქიზს პრეპარაციას ითხოვდა. ფ. ბაიერნი სამარეების გათხრას მეტად ცოტა დროს ანდომებდა და ხანდახან სამარეში ნივთების აღმოჩენას დაქირავებულ მუშებს ანდობდა. თუ როგორი სიჩქარით აწარმოებდა ფ. ბაიერნი სამარეების გათხრას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან ორი კვირის განმავლობაში შესძლო აღმოეჩინა 3 m სიღრმეზედ მდებარე ჩვიდმეტი ორმოსამარე და ამასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოს მოთავება<sup>1</sup>.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ჩვიდმეტ „ძირა სართულის“ (untere Etage) ორმოსამარეებს ზემოთ მისდევდა „ზემო სართულის“ სულ სხვა ტიპის, ფიქალი ქვებით ნაკეთები აკლდამები, რომლების გათხრა და ადგილობრივ შესწავლა არა ნაკლებ დროს ითხოვდა. ორი კვირა ამგვარი რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოსათვის წარმოუდგენელია.

იმის დასამტკიცებლად, რომ მიცვალებული სამარეში იჯდა და არ იწვა, ფ. ბაიერნი ეყრდნობა იმ გარემოებას; რომ ჩვეულებრი-

1) Fr. Bayern, Untersuchungen, S. 30.

ვად თავის ქალა და ქვემო ყბის ძვალი იდგა მიცვალებულის ჩონჩხის გარშემო მდებარე სხვადასხვა ჭურჭლებში, სახელდობრ ყბის ძვალი — წინაში (ესე იგი ჩონჩხის წინ მდებარე ჭურჭელში), თავის ქალა — უკანაში<sup>1</sup>.

მაგრამ ამგვარი მტკიცება ფ. ბაიერნისავე წინააღმდეგ არის მიმართული. ცხადია, თუ მიცვალებული იჯდა იმ სახით, როგორც ამას ფ. ბაიერნი გადმოგვცემს სურათზე<sup>2</sup>, თავის ქალა არასგზით უკან არ დაეცემოდა; თავის ქალის სიმძიმის ცენტრი ვისცერალური ნაწილისაკენ არის გადმოწეული და ამიტომ თავის ქალა ყოველთვის წინ დაეცემოდა და არა ზურგის უკან. არც მიცვალებულის ამგვარად „დამჯდარი“ მდგომარეობა, როგორც ეს ჩახატული აქვს ფ. ბაიერნს (Fig. 12), დასაჯერებელი არაა, ვინაიდან მიცვალებული მხოლოდ ფეხების თითებზედ არის დაყრდნობილი, თუმცა ფ. ბაიერნი აღნიშნავს, რომ მიცვალებულის ამგვარ მჯდომარე მდგომარეობას თიხის ჭურჭლების გარშემო მიყუდების საშუალებით აღწევდნო<sup>3</sup>. იმ შემთხვევაში, როდესაც სამარეში არავითარი ჭურჭელი არ იყო, ხოლო მიცვალებულის ჩონჩხი მაინც მჯდომარე პოზით ერჩენებოდა, მაშინ ფ. ბაიერნი სამარეში „პოულობდა“ იმდენ ქვას, რამდენიც თავის ქალა იყო და ადასტურებდა, ვითომც ამ ქვებს ადებდენ მიცვალებულს მუხლებზედ და ამგვარი ხერხით აძლევდენ მჯდომარე პოზას<sup>4</sup>.

თუ როგორ ძნელია მიცვალებულის მართლაც რომ მჯდომარე პოზით დაყენება<sup>5</sup>, საჭიროა მოვიგონოთ ძველი პერუანელები.

რივეროს და ჩუდის გადმოცემით, მჯდომარე პოზით დასამარხავ მიცვალებულს, პერუანელები ჯერ თოკით შეჰკრავდენ და შემდეგ მიწაში, ბარძაყებს შუა, ჯოხს გაურჭობდენ, რომ გვამი გვერდზე არ გადაზრუნებულიყო<sup>6</sup>.

ამიტომ, თუ ყოველსავე ზემოთ აღნიშნულს. გავითვალისწინებთ, ადვილი გასაგებია, რომ ფ. ბაიერნის ნათქვამს და ნაწერს საერთოდ შეტად ფრთხილად და ეჭვის თვალით ეკიდებოდენ. გამოჩენილმა არქეოლოგმა ა. უვაროვმა სრულიად უარყო ფ. ბაიერნის ეგრეთწო-

1) Museum Caucasicum. B. V, Archeologie, S. 64, Tiflis 1902.

2) Fr. Bayern, Untersuchungen S. 32, Fig. 12.

3) Fr. Bayern, Untersuchungen. S. 31; Mus. Cauc. S. 63.

4) С. Ф. Сцепура, Опыт антропологического исследования ма-кроцефалических черепов, стр. 21—22. Тифлис 1875.

5) რასაკვირველია არა ფეხის თითებზედ დაყრდნობით.

6) შეად. Г. О б е р м а й е р, Доисторический человек, стр. 488. Москва 1913.

დებული „გუმბათოვანი“ სამარეები და, როდესაც თვით სამთავროში გათხრების ადგილზე ა. უვაროვმა ფ. ბაიერნს კონტროლი გაუკეთა, ამ უკანასკნელმა ვერაფერის გზით ვერ დაარწმუნა ა. უვაროვი „გუმბათოვანი“ საფლავების არსებობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ა. უვაროვის შემდეგი დასკვნა: „ვერაფითარი ქვის წრეები, ვერაფითარი თალები რიყის ქვიდან ნაშენი, როგორც ამას ფ. ბაიერნი ამტკიცებდა, ვერ შევნიშნეთ“<sup>1</sup>.

გ. ტიზენჰაუზენი, რომელმაც ორჯერ გაარჩია ფ. ბაიერნის ნათქვამი და ნაწერი სამთავროს სასაფლაოს შესახებ, თითქმის სასაცილოდ იგდებს ფ. ბაიერნს და ამბობს, ფ. ბაიერნის დასკვნები და მოსაზრებები სულ ერთიანად უღონო და შეუწყნარებელი არისო<sup>2</sup>.

თუ ჩვენ მოვიგონებთ ფ. ბაიერნის მართლაც რომ ახირებულ აზრს, ვითომც სამთავროში ნაპოვნი „შემწვარი“ ადამიანის თავის ძვლები ანთროპოფაგიას ადასტურებენ<sup>3</sup>, დავრწმუნდებით, რომ ფ. ბაიერნი მეტად ცუდად ერკვეოდა როგორც ძვლების მდგომარეობაში, აგრეთვე მათ მდებარეობაში.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ არამც თუ ფ. ბაიერნის მტკიცება მიცვალებულის საფლავში მდებარეობის შესახებ (სადაც მას ნახევრად მტვრად ქცეულ და ერთი მეორეში არეულ-დარეულ ძვლებთან ჰქონდა საქმე), არამედ მისი დასკვნები თვით საფლავის ძირზე შემოვლებული რიყის ქვების, საფლავის ფორმისა და მისი ნაშენობის შესახებ დაუჯერებელი შეიქნა ისეთი სახელოვანი და გამოცდილი არქეოლოგისათვის, როგორც იყო ა. უვაროვი, რომელიც ფ. ბაიერნის გათხრებს არა ერთხელ დაესწრო ადგილობრივ, სამთავროში.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან თვით ფ. ბაიერნის ნაწერებიდან ცხადი ხდება, რომ ის არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც მან აწარმოვა სამთავროში, ყოველად შეუწყნარებელია მეთოდურად.

ცალცალკე ნივთების ამოღება სამარიდან, სანამ ეს უკანასკნელი არ არის მთლიანად პრეპარირებული და არ არის გამორკვეული საერთოდ ყველა ნაშთების ერთი მეორესთან მდებარეობა, დაუშვებელია. ხოლო ფ. ბაიერნი, როგორც კი ნივთი ან რომელიმე ძვლის ნაშთი გამოჩნდებოდა, მაშინვე ამოიღებდა (ამის მაგალითები

<sup>1</sup>) А. С. и П. С. Уваровы, Взгляд на Мдхетский могильник: *Труды Московского Археологического Общества*, Т. X, стр. 10. Москва 1885.

<sup>2</sup>) შეად. ილ. ჭავჭავაძე, *ერი და ისტორია*, ტ. V გვ. 138. ტფილისი 1927.

<sup>3</sup>) С. Ф. Сценура, стр. 21—22.

ჩვენ გვაქვს), და ნუ გაგვიკვირდებათ, თუ ფ. ბაიერნი ხანდახან „die zertrümmerten Knochen... fand theilweise im herausgeworfenen Schutte“<sup>1</sup>.

მოხუცმა გარსევანი შვილმა, რომელიც ფ. ბაიერნთან მუშაობდა მიახლო: „როდესაც ჩვენ, მუშები, გათხრილ სამარეში, ნივთს აღმოვაჩინდით, ამისთვის ცალკე საჩუქარი იყო“.

ცხადია, ამნაირად დაყენებული არქეოლოგიური გათხრა, როდესაც მუშები აღმოჩენილ ნივთს ერთი მეორეს ხელში სტაცებდენ, რომ საჩუქარი მიეღოთ და როდესაც სამარიდან ამოყრილ ძვლებს მიწის ზემო პირზე არჩევდენ, ვერასოდეს გარკვეულ სურათს ვერ მისცემდა და გაუგებრობას გამოიწვევდა.

საქმის გაურკვეველ მდგომარეობას სამთავროს უძველეს „გუმბათოვან“ სამარეებში დამარხვის ფორმის შესახებ ვითომც შევლის ე. პჩელინა, რომელიც ახდენდა არქეოლოგიურ გათხრას საგურამოში.

საგურამოს სასაფლაოში (სამთავროდან 8 km დაშორებით) ე. პჩელინა ადასტურებს მიცვალებულის მჯდომარე, გაჭიმული ფეხებით მდებარეობას; პჩელინას აზრით — სამთავროს და საგურამოს სამარეები „მხოლოდ დამარხვის ტიპის მიხედვით არიან ნამდვილად ერთნაირი“. „Самтаврский и Сагурамский могильники — амбობს. ე. პჩელინა — только на основе типа погребений<sup>2</sup> являются действительно тождественными и единственно тождественными“<sup>3</sup>.

„სამთავროში და საგურამოში — განაგრძობს ე. პჩელინა, — იყო დამარხული ერთი და იგივე ხალხი, ან სხვადასხვა ხალხი, რომელიც ერთსა და იმავე რელიგიურ რიტუალს მისდევდა“<sup>4</sup>.

საგურამოს სასაფლაოს ყველა სამარეში დამარხვის ტიპს ე. პჩელინა აღნიშნავს ჩონჩხის მჯდომარე მდებარეობით, გაჭიმული ფეხებით, და თავის შრომაში კიდევაც მოჰყავს ამგვარი მდებარეობის მრავალი ჩანახატი (იხ. მაგ. Е. Пчелина, გვ. 153, 155, 157 და სხვა), ხოლო, სამწუხაროდ, არაა მოთავსებული არც ერთი ფოტოგრაფია, თუმცა ამის საშუალება მას ჰქონდა<sup>5</sup>.

1) Friedrich Bayer, Untersuchungen, S. 29.

2) აქ პჩელინა გარკვევით ამბობს: „только на основе типа погребений“ და არა на основе типа могил.

3) Е. Пчелина, Отчет о раскопках близ деревни Сагурамо. საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. III. გვ. 150. ტფილისი 1927.

4) Е. Пчелина, Отчет. стр. 150.

5) ე. პჩელინა იძლევა ისეთს სურათებს, რომლებსაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო ასეთ დიდმნიშვნელოვან სამარის ტიპის სურათს არ გვაძლევს.

ჩანს, ე. პჩელინაზე დიდი გავლენა ჰქონდა ფ. ბაიერნის ზემონახსენებს ჩანახატებს, ვინაიდან ფ. ბაიერნის და ე. პჩელინას ახატები თითქმის ერთნაირია<sup>1</sup>.

ე. პჩელინას ნაწერებისა და ჩახატების მიხედვით ცხადია, რომ, თუ საგურამოში და სამთავროში ერთი და იგივე ხალხი იმარხებოდა (ან სხვადასხვა ხალხი, რომელსაც ერთი და იგივე რელიგიური რიტუალი ჰქონდა) და თუ „Самтаврский и Сагурамский могильники только на основе типа погребений являются действительно тождественными и единственно тождественными“; ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთად ერთი დასკვნა მივიღოთ, რომ სამთავროშიდაც მიცვალებულებს ასაფლავებდენ მჯდომარეს, გაჭიმული ფეხებით.

ჩვენ გვგონია, რომ ე. პჩელინას ამგვარ დებულებასა და დასკვნებს სამთავროს ორმოსამარეების შესახებ, სრულიად ეწინააღმდეგება გათხრილობა ზემოავჭალის სამარისა, რომელიც მართლაც რომ განუყრელად უკავშირდება სამთავროს უძველესი დროის სამარეებს, როგორც დროთი, აგრეთვე ერთი და იმავე კულტურით, ერთი და იმავე ინვენტარით და სხვა. ზემოავჭალის სამარის ინვენტარი სრულიად ისეთივეა, როგორც ინვენტარი სამთავროს უძველესი დროის სამარეებისა; რომელთაც ფ. ბაიერნი უწოდებს „ძირა სართულის“ ანუ „გუმბათოვან“ სამარეებს, და რომელთაც ის ადარებს საფრანგეთის და სარდინიის კუნძულ ბორნჰოლმის სამარეებს, „murgers“-ის სახელით წოდებულს და აღწერილს „Mémoires de la Société royale des Antiquaires du Nord 1872. Recherches sur le premier âge de fer dans l'île de Bornholm, par E. Vedel“<sup>2</sup>.

მართალია, ფ. ბაიერნმა თავის გათხრილობებში არ დაადგინა განსხვავება სხვადასხვა ტიპის სამარეების ინვენტარისა და სრულებით არივდარივა ერთმანეთში სამარეების ინვენტარი<sup>3</sup>, მაგრამ, მიუ-

<sup>1</sup>) F. Bayern, Untersuchungen. S. 23. Fig. II; E. Пчелна. Отчет. Рис. 5, 8, და სხვა, გვ. 153—162. ე. პჩელინა აღნიშნავს აგრეთვე, რომ „Раскопки в Сагурамо с несомненностью доказали наличие в Сагурамо „колодцев со сводами“ (E. Пчелна, стр. 150). როგორც ვნახეთ ფ. ბაიერნმა, საკონტროლო გათხრების დროს, ვერას გზით ვერ დაარწმუნა ა. უვაროვი არამც თუ გუმბათოვანი სამარეების არსებობაში, არამედ თვით სამარის ძირზე შემოყოლებული რიყის ქვების არსებობაშიაც.

<sup>2</sup>) B. W yrouboff, Objets d'Antiquité du Musée de la Société des amateurs d'Archeologie au Caucase გვ. 4. Tiflis 1877.

<sup>3</sup>) Mus. Cauc. S. 71.

ხედავად ამისა, ფ. ბაიერნისავე ნაწერებიდან, მაგალითად Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, Berlin 1885, S. 29—30 და B. Wyruboff-ის უკვე ნახსენები შრომიდან „Objets d'Antiquité“, ჩვენ მაინც შეგვიძლია გამოვყოთ სამთავროს უძველესი დროის სამარეების მეტად დამახასიათებელი ნივთები. თავის შრომაში „Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie“<sup>1</sup> ფ. ბაიერნი აღტაცებით იხსენიებს მის მიერ ნახულს ერთ-ად ერთს ბოლოკვეთილ ბრინჯაოს მახვილს aus den Kuppelgräbern der unteren Etage von Samthawro, რომელსაც ის სთვლის საუკეთესოდ და მეტად ღირსშესანიშნავ აღმოჩენად და ათარილებს რკინის ხანის დასაწყისის დროით.

ეს მახვილი დაცულია საქართველოს მუზეუმში, ხოლო მისი რეპროდუქციები მოყვანილია ვ. ვირუბოვის, ფ. ბაიერნის, პ. უვაროვის, ე. შანტრის და სხვათა შრომებში<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ მოხსენებული ზემოაღვქალის მახვილი არც ორნამენტით, არც ფორმით, არც ლითონით და არც სხვა რაიმე ნიშნით სრულებით არ განსხვავდება ფ. ბაიერნის მახვილისაგან, რომელიც მან იპოვა სამთავროს უძველეს გუმბათოვან სამარეებში. ორივე მახვილის ტარის ბოლოზე მოცემულია ერთი და იგივე ასტრონომიული მოტივი ორნამენტის სახით; ტარზე ერთნაირად სტილიზირებული ფოთლებია, პირზე ერთნაირი სპირალები და გერმანელი არქეოლოგების მიერ წოდებული Blutrinne. განსხვავება არის მხოლოდ ზომაში, რაც იმით აიხსნება, რომ თვითეული ამგვარი მახვილის ჩამოსხმის დროს ყოველთვის ახალს ყალიბს აკეთებდენ; ყალიბი ერთხელ ხმარების შემდეგ აღარ იყო გამოსადეგი, ვინაიდან ეს ყალიბი სანთლისა და აყალო მიწის საშუალებით კეთდებოდა და ნივთის ჩამოსხმის შემდეგ ტყდებოდა. მახვილების ზომა არ უნდა ყოფილიყო ერთნაირი სხვათა შორის იმიტომაც, რომ შემკვეთნი, ცხადია, სხვადასხვა სიმაღლისა იყვნენ.

სამთავროს უძველესი გუმბათოვანი სამარეების კერამიკა, რომელიც ფ. ბაიერნმა<sup>3</sup>, პ. უვაროვმა, ვ. ვირუბოვმა<sup>4</sup> და ე. შანტრ-

<sup>1</sup>) *Verhand. der Berl. Gesellschaft für Anthr., Ethn. u. Urgeschichte*, Berlin 1882, S. 352

<sup>2</sup>) *Objets d'Antiquité*, Pl. III F. 5; *Untersuch.* Taf. XI, Fig. 4; *Mus. Cauc.* Taf. VIII; *Le Caucase*. Paris—Lyon 1886 T. II Atlas, Pl. XLV III.

<sup>3</sup>) *Friedrich Bayern, Untersuchungen*, Taf. XV, Fig. 5, 9 u. 12

<sup>4</sup>) *Mus. Caucas.* 69—71

მა<sup>1</sup> აღწერეს და დაასურათეს, არც თიხის დამუშავებით და გამოწვით; არც ფერთ, არც სწორი გეომეტრიული მოყვანილობით, არც საერთო ფორმების სიმარტივით (მაგ. შეადარეთ ჩვენი ფიალი სურ. 3 B. სამთავროს ფიალს; <sup>2</sup> შეადარეთ აგრეთვე ჩვენი დოქი, სურ. 3 A, სამთავროს დოქს) <sup>3</sup> და არც სხვა რაიმე ნიშნებით სრულებით არ განირჩევა ზემოავეჭალის სამარის კერამიკისაგან.

აგრეთვე უკვე ცნობილი სამთავროს „ძირა სართულის“ სამარეების ინვენტარი, როგორცაა მაგალითად — შუბი, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, მახათი, უძველესი სამარეებისათვის დამახასიათებელი შრევალი ფორმის გახეხილი სარდოლიკის მძივები, <sup>4</sup>—სრულიად ანალოგიური არის ზემოავეჭალის სამარის ინვენტარისა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ შეცდომა არ იქნება, თუ ზემოავეჭალისა და სამთავროს „ძირა სართულის“ გუმბათოვან სამარეებს მივაკუთვნებთ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე კულტურას, ერთსა და იმავე ხალხს, რომელსაც ერთი და იგივე დამარხვის წესი ჰქონდა.

ზემოავეჭალის სამარეში მიცვალებული მჯდომარე იყო, მუხლებმოხრილი, მაშასადამე სამართლიანი იქნება თუ დავასკვნით, რომ სამთავროს უძველესი დროის სამარეებში მიცვალებულები ამავე წესით იყვნენ დამარხული.

ხოლო რაც შეეხება „გუმბათოვანი“ სამარეების საკითხს; რომელსაც ფ. ბაიერნი გადაჭრილად სთვლიდა და რომელიც ე. პჩელინას დამტკიცებულად მიაჩნია <sup>5</sup>, ჯერ-ჯერობით ისევ გაურკვეველად უნდა დარჩეს, ვინაიდან ჩვენ კიდევ არ მოგვეპოვება ამის დასამტკიცებელი სანდო მასალა, არც ფ. ბაიერნის; არც ე. პჩელინას და არც სხვის მიერ მოცემული.

„გუმბათოვანი“ სამარეები ჯერ კიდევ საჭიროებენ დამტკიცებას არამც თუ სამთავროსათვის, არამედ თვით საგურამოსთვისაც. ვინაიდან ნახშირი, რომელიც ე. პჩელინამ ნახა საგურამოს სამარეში, სრულიადაც არ აისი იმის დამამტკიცებელი საბუთი, ვითომც ეს ნახშირი (угли) „могут являться остатками сгнившего дерева—досок или балока, придерживавших свод над могилой“ <sup>6</sup>.

<sup>1</sup>) E. Chantre, Le Caucase T. II. Pl. L—LIII.

<sup>2</sup>) Objets d' Antiquité Pl. IX, f. 1—13; Pl. X, f. 1—12.

<sup>3</sup>) Friedrich Bayern, Untersuchungen Taf. XV, Fig. 12, Wyrouboff Pl. X, f. 10—11; Chantre Pl. LIII.

<sup>4</sup>) Fr. Bayern Untersuch. Taf. XV, Fig. 12; Wyrouboff Pl. X f. 6.

<sup>5</sup>) А. С. и П. С. Уваровы, Стр. 11.

<sup>6</sup>) Е. Пчелина. Стр. 150

<sup>7</sup>) Е. Пчелина. Стр. 132.

საგურამოს სამარეში ნაპოვნი ნახშირი არის ცეცხლის დანთების და არა ხის დაღობის შედეგი. — შემთხვევით მოხვედრილია სამარეში გათხრების დროს, რომ ცეცხლი მართლაც ყოფილა დანთებული სამარის თავზე დამარხვის დროს, ამის ნიშნები — ნაცარი და ნახშირი — ხომ თვით ე. პჩელინამ ნახა სამარის თავზე „между холмиками из галки и верхом „свода“ могилы“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა, დასაფლავების სხვადასხვა ფორმებთან ერთად, ჩვენ გვხვდება პალეოლითის დროიდან (გამოქვაბული La Ferrassie, Grotte des Enfants, Laugerie Basse და სხვა) და დღესაც შერჩენილია ბევრს ქვეყანაში, მაგალითად ამერიკაში, ავსტრალიაში, ტასმანიაში, მელანეზიაში, პოლინეზიაში, აფრიკაში, ინდოეთში და სხვაგან<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ, სადაც კი მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა გვხვდება, ყველგან ვხედავთ მიცვალებულს ფეხებმოკრუნჩხულს და არა ფეხებგაჭიმულს, როგორც ამას ფ. ბაიერნი (F. Bayern, Unters. Fig. 11, S. 32) და ე. პჩელინა E. (Пчелина, Отчет; рис; 5, 8, 9, и друг. стр. 153—162) გვისურათებენ.

მაგალითად, სამხრეთ ინდოეთში, ინდოსტანში, რიო-გრანდე-დო-სულში და ბევრს სხვა ადგილას ხშირად შეხვდებით ფეხებმოკრუნჩხული მიცვალებულის ურნაში ჩადებას და შემდეგ მიწაში დამარხვას. იაპონიის ზოგიერთი უღარიბესი ხალხი მიცვალებულს ერთი მეტრის სიმაღლის ყუთში ათავსებს მჯდომარეს, ფეხებმოკრუნჩხულს და ისე მარხავს.

ჰოტენტოტები, ბანტუ და აფრიკის ბევრი სხვა ხალხი ჯერ შიალეზინებენ მიცვალებულს მჯდომარე, ფეხებმოკრუნჩხულს პოზას, შემდეგ მაგრად შეჭკრავენ<sup>3</sup> და ისე ასამარებენ. ასეთივე წესი აქვთ იუკონის ესკიმოსებს, ავსტრალიელებს და ბევრს სხვას<sup>4</sup>.

ზოგიერთს ქვეყნებში, მაგალითად ავსტრალიაში (კუპერ-კრიკში) მიცვალებულის შეკრვის გარდა ხელის და ფეხის თითების შებორკვასაც არ ერიდებიან. ადელაიდაში აღმოაჩინეს შეკრული მჯდომარე მუშია, ფეხებმოკრუნჩხული პოზით; ამ მუშიას ცხვირის ნესტოები ემუს

<sup>1</sup>) ibidem გვ. 158

<sup>2</sup>) G. Wilke, Hockerbestattung: *Reallexikon der Vorgeschichte*. B. V, S. 335, Berlin 1926. K. Schuchhardt, *Alteuropa*. S. 22 Berlin 1926.

<sup>3</sup>) Laugerie Basse-ში პალეოლითის დროის აღმოჩენილი ჩონჩხიც შეკრული უნდა ყოფილიყო. O b e r m a i e r, *Донисторический человек*, стр. 239. Москва 1913.

<sup>4</sup>) Hermann Klaatsch, *Der Werdegang der Menschheit und die Entstehung der Kultur*. S. 231—232. Taf. 30; S. 233, Abb. 181 Berlin 1920.

ბუმბლით ჰქონდა დაცობილი, ხოლო ტუჩი და უკანა გასავალი—აკერილი; ამავე ადგილებში ბევრი მუშია არის აღმოჩენილი მჯდომარე პოზით და შეკრული<sup>1</sup>.

### რატომ მარხავდნენ მჯდომარე პოზით.

სანტერესოა ვიცოდეთ, რა მოტივები აიძულებდა ჭირისუფლებს, როდესაც ისინი თავიანთ მიცვალებულს მჯდომარე პოზით მარხავდნენ? რა იყო მიზეზი ამგვარი დამახვის წესის?

აი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია მეცნიერებაში და რომლის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს, ეს საკითხი მარტივად გადაჭრას და გამოთქვამს აზრს, რომ ვინაიდან მიწა „დედად“ იყო აღიარებული, ამიტომ ჭირისუფლები ცდილობდნენ მიცვალებული „დედა“ მიწაშიაც იმ პოზით ჩაედოთ, როგორც მას ჰქონდა ემბრიონალური განვითარების დროს<sup>2</sup>.

მაგრამ ამგვარი სანტიმენტალურ-ფანტასტიური ახსნა უსაფუძვლოა, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვის ხანის დროის ადამიანს სცოდნოდა და ან პრიმიტიულმა ხალხმა იცოდეს ემბრიონალური მდებარეობა საშვილოსნოში. თანაც ამ აზრის შესახებ სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებების მოყვანაც შეიძლება, რაზედაც ჩვენ არ შევჩერდებით.

არ შეგვიძლია აგრეთვე გავამართლოთ დამარხვის ზემოთ აღნიშნული ფორმა იმ გარემოებით, ვითომც ჭირისუფლები იძულებული იყვნენ მიცვალებული ისეთნაირად მოეკრუნნათ რომ მას ცოტა სივრცის საფლავი დასჭირვებოდა, რის გათხრაც დიდ მუშაობას არ გამოიწვევდა.

ჩვენ ვერც იმ მკვლევართა აზრს გავიზიარებთ. სავსებით, რომლებიც ცდილობენ მჯდომარე მიცვალებულის დამარხვის ახსნას იმ მოსაზრებით, ვითომც ცოცხალი ადამიანისათვის მჯდომარე პოზია იყოს ყველაზედ სასიამოვნო და საყვარელი, ვინაიდან ამგვარი პოზით ადამიანს შეუძლია დასვენება და აგრეთვე დაძინება<sup>3</sup>. შეიძლება ამგვარი წარმოდგენით მართლაც სარგებლობდნენ ზოგიერთი ჭირისუფლები თავიანთი მიცვალებულების დასაფლავების დროს, მა-

<sup>1</sup> H. Klaatsch, S. 236.

<sup>2</sup> Klaatsch S. 239. იხ. აგრეთვე *Rev. arch.* 1864, I 289; Wosinsky, *Das prähist. Schanzwerk von Lengyel* 1891, S. 48.

<sup>3</sup> *Reallexikon der Vorgeschichte*, B. V, S. 335, Berlin 1926.

გრამ საერთოდ ამნაირი წარმოდგენით არ აიხსნება მთელს მსოფლიოზედ ერთს დროს გავრცელებული და დღესაც ბევრს ადგილას შერჩენილი მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა, ვინაიდან ამას ეწინააღმდეგება ძალდატანებითი, არა ბუნებრივად ერთი მეორესთან სხეულის ნაწილების შეკრვა; მაგალითად, იურაკის ესკიმოსები მიცვალებულს თავს მუხლებს შუა ჩაუდებენ და ისე კრავენ; თითქმის ამგვარადვე იქცევიან ავსტრალიელები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ტუჩებს და უკანა გასავალსაც კი უკერავენ, ფეხის და ხელის თითებს უბორკავენ და სხვა და სხვა.

უნდა სცდებოდეს ე. ბეკლენიც, რომელიც მიცვალებულის ფეხებმოკრუნჩხულ პოზას ახალმთვარის ფორმას უკავშირებს<sup>1</sup>.

ჩვენის შეხედულებით ამ საკითხის ახსნას სარჩულად უნდა დაედოს მიცვალებულის მიერ გამოწვეული შიში და წინასწარი ზომების მიღება, რომ მიცვალებული ან მისი „სული“ უკანვე არ „დაბრუნდეს“ და უსიამოვნება არ მიაყენოს ღირისუფალს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რიხარდ ანდრეე<sup>2</sup>.

რომ მიცვალებულს ან მის „სულს“ (რომელიც პრიმიტიული წარმოდგენით სხეულთან არის დაკავშირებული) მოუსპონ „სიარულის“ საშუალება, ამიტომ საჭიროდ სცნობენ გვამისათვის დაჯდომილი პოზის მიცემას და შებორკვას. ამგვარად დამარხული და შებორკილი მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთებს ჩვენ ვპოულობთ უკვე პალეოლითიდან მოყოლებული, ხოლო თუ ეთნოგრაფიულ მასალებს თვალს გადავავლებთ, დღესაც, თანამედროვე პრიმიტიულ ხალხთა შორის და ხანდახან უფრო კულტურულად განვითარებულ ტომებშიაც, ვიპოვიან ამის უამრავ მაგალითს.

სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მიცვალებული უკან არ „დაბრუნდეს“, ურნებს, სადაც მიცვალებულია მოთავსებული, თავდაღმსდებენ მიწაში, და ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც სდებენ, მაგალითად რიო-გრანდე-დო-სულში და სხვაგან. ამავე მიზნით კუნძულ ლიუცონზე (ფილიპეს კუნძულები) მიცვალებულს ჯერ სახლის წინ დასვამენ და შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში სევდიანის ხმით ეხვეწებიან უკან აღარ დაბრუნდეს მეგობრის ან ნათესავის წასაყვანად; დაბოლოს კი ამავე პოზით, ფეხებმოკრუნჩხულს ჩასდებენ მიწაში.

<sup>1</sup>) E. Böklen, Die Entstehung der Sprache im Lichte des Mythos, 1922, S. 2, 188 ff.

<sup>2</sup>) Richard Andree, Ethnologische Betrachtungen über Hockerbestattung: *Archiv f. Anthropologie*. Braunschweig, 1907, Neue Folge, Bd. VI, S. 282—307

ამავე მიზნით ავსტრალიელები ხელების და ფეხების თითებს მავრად უკრავენ მიცვალებულს, სხეულს უბორკავენ, ფრჩხილებს სკრიან და სწვავენ, რომ საფლავიდან არ ამოფოფქდეს და სხვა და სხვა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ნახეს მუშიად ქცეული მიცვალებული მჯდომარე პოზით. შეკრული, რომელსაც ტუჩები და უკანა გასაველი აკერილი ჰქონდა, ცხვირის ნესტოები კი დახშული<sup>1</sup>. საკითხავია, რით ხელმძღვანელობდნენ ამგვარს შემთხვევებში მიცვალებულის ჭირისუფლები? პასუხი ერთია: რომ მიცვალებული ან მისი „სული“ უკანვე არ „დაბრუნებულიყო“.

ამგვარი მაგალითების მოყვანა, ცხადია, ბევრი შეიძლებოდა თანამედროვე პრიმიტიულ ხალხთა ცხოვრებიდან, მაგრამ ესეც საკმაოა, რომ ამნაირი პარალელებით ახსნილ იქმნეს მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა ძველ დროში.

რასაკვირველია, მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა არ იყო დასაფლავების ერთად-ერთი ფორმა; ჩვენ ვიცით, რომ დამარხვის ამგვარ ფორმასთან პარალელურად არსებობდა დამარხვის სხვა ფორმებიც. მაგრამ, ვინც დამარხვის ამგვარ წესს მისდევდა, მას უეჭველია სხვადასხვა მოსაზრებებთან ერთად უმთავრეს მიზნად დასახული ჰქონდა მიცვალებულის თავიდან მოშორება ისე, რომ მას არ შესძლებოდა უკან „დაბრუნება“, თუმცა ამავე დროს მას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყოველგვარ საჭირო ნივთს და საჭმელსაც სამარეში თან ატანდნენ<sup>2</sup>.

### თავის ქალა.

ზემოაეჭალის სამარის თავის ქალა დედაკაცის არის. ამ თავის ქალას ქვედა ყბა აღარ აქვს შერჩენილი და წარმოადგენს calvarium-ს.

თუ ველკერის სქემით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ზემოაეჭალის სამარის თავის ქალის მქონე ადამიანის ხნოვანება 30—40 წლამდის უნდა ვიანგარიშოთ, რადგან ქალაზე შერჩენილი კბილები

<sup>1</sup>) Hermann Klaatsch, S. 236.

<sup>2</sup>) კარლ შუხჰარდტიც ეხება ამ საკითხს, მაგრამ მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვის ახსნას სრულიად გვერდს უხვევს. ამბობს მხოლოდ, რომ სამარეში გვერდზე დაწოლილი და ფეხებმოკრუნჩხული მიცვალებული მიმგვანებული უნდა იყოს მძინარე ადამიანს. Karl Schuchhardt, S. 23. შეად. Jakob-Friesen, Grundfragen der Urgeschichtsforschung. Hannover 1928, S. 154.

და საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ნაკერები (სურ. 17 და 18) adultus-ის პერიოდს ეფარდება.

როგორც ყოველ თავის ქალაზე, აგრეთვე ზემოავეჭალის სამარის თავის ქალაზედაც ორი უმთავრესი ნაწილი — ცერებრალური (Neurocranium) და ვისცერალური (Splanchnocranium) უნდა გავარჩიოთ. ამ ნაწილებს ფილოგენეტიურად და ფუნქციონალურად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და თანაც ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორეში გარჩევის საშუალებას გვაძლევს<sup>1</sup>.

ზემოავეჭალის სამარის თავის ქალას კარგად აქვს განვითარებული ცერებრალური ნაწილი და ნაკლებად — ვისცერალური. ეს გარემოება კი საშუალებას გვაძლევს გადაჭრით ვთქვათ, რომ ზემოავეჭალის სამარეში აღმოჩენილი თავის ქალა ეკუთვნოდა კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომ ადამიანს.

ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად გარკვეულ კრიტერიუმს იძლევა თავის ქალის მოცულობაც, თუ ჩვენ, რასაკვირველია, ატავისტურსა და პათოლოგიურ მოვლენასთან (მაგალითად Mikrocephalie; Hydrocephalie და სხვა) არა გვაქვს საქმე. ამ მხრივ ზემოავეჭალის სამარეში აღმოჩენილი თავის ქალა კულტურულად კარგად განვითარებულ ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან მისი თავის ქალის მოცულობა 1367,89 ccმ უდრიდა<sup>2</sup>.

აქვე საჭიროა მოვიგონოთ, რომ ევროპიელის თავის ქალის მოცულობა საშუალოდ 1500 ccმ არის მამაკაცებისათვის და 1350 ccმ — დედაკაცებისათვის; მაშასადამე, ზემოავეჭალის სამარის თავის ქალის მოცულობა არც ისე პატარა ზომის გამოდის, რომ ის კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს მივაკუთვნოთ.

<sup>1</sup>) ცნობილია, რომ კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანის თავის ქალის ცერებრალური ნაწილი უფრო კარგად არის განვითარებული და ნაკლებად — ვისცერალური, ვიდრე დაბალი კულტურის მქონე ადამიანისა. ანთროპოგენეტიურად ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ თავის ტვინის განვითარებას შედეგად მოსდევს თავის ქალის ცერებრალური ნაწილის გადიდება და ვისცერალური ნაწილის დაპატარავება, რადგან ამ შემთხვევაში საღეჭავი აპარატი რედუქციას განიცდის.

<sup>2</sup>) თავის ქალის მოცულობა ჩვენ გამოვიანგარიშეთ პე არ სონ ის და ლ ე ე ს მიერ მოცემული ფორმულით:  $[2C=0,400 (L-11) (B-11) (OH-11) + 206]$ . E Fischer und Th. Mollison, Allgemeine Anthropologie. Anthropologie unter Leitung von G. Schwalbe und E. Fischer, S. 45. Leipzig u. Berlin 1923. ეს მოცულობა ვიანგარიშეთ აგრეთვე სხვანაირადაც. თავის ქალის შიგნით foramen occipitale magnum-იდან თხელი ბუშტი ჩავდევით და ამრიგად წყლით გავავსეთ ცერებრალური ნაწილი. წყლის დარწყვამაც დაახლოებით ზემომხსენებები რიცხვი მოგვცა.

საერთოდ დადასტურებულია, რომ კულტურის განვითარებას და მის ზრდას შედეგად მოსდევს ამ კულტურის მატარებელი ხალხის ტვინის ზრდა და ამ უკანასკნელზე დამოკიდებული თავის ქალის მოცულობის გადიდება. ჩვენი თავის ქალის მოცულობა იმდენად დიდია, რომ თამამად შეგვიძლია მისი მქონე სუბიექტი მაღალი კულტურის მატარებელ ადამიანს მივაკუთვნოთ და ფ. სარასინის მიერ მოცემული სქემის თანახმად aristencephal-ად ვაღიაროთ <sup>1</sup>.

**თავის ქალის ზომები.**

ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შესადარებლად, გარდა თავის ქალის ცერებრალური და ვისცერალური ნაწილების მხედველობაში მიღებისა, ზოგიერთი მნიშვნელობა აქვს თავის ქალის გარეგნულ ფორმასაც, რომლის გასარკვევად საჭიროა კრანომეტრიული ზომები. ამ მხრივ უმთავრეს და მნიშვნელოვან ზომებად უნდა ჩაითვალოს თავის ქალის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე.

ეს ზომები შემდეგია:

სიგრძე—193 mm (glabella-სა და opisthocranion-ს შუა),

სიგანე — 125 mm (tuber parietale-ბს შუა) და

სიმაღლე — 151 mm (basion-სა და bregma-ს შუა) <sup>2</sup>.

ამის მიხედვით:

სიგრძე-სიგანის ინდექსი  $\left( \frac{100 \cdot \text{სიგანე}}{\text{სიგრძე}} \right)$  უდრის. 64,77-ს,

სიგრძე-სიმაღლის „  $\left( \frac{100 \cdot \text{სიმაღლე}}{\text{სიგრძე}} \right)$  „ 78,24-ს და

სიმაღლე-სიგანის „  $\left( \frac{100 \cdot \text{სიგანე}}{\text{სიმაღლე}} \right)$  „ 82,78-ს.

**სიგრძე-სიგანის ინდექსი.** ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შესადარებლად სიგრძე-სიგანის ინდექსს, Anders Retzius-ის მეტად საყურადღებო შრომის <sup>3</sup> შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა. ამ ინდექსის მიხედვით და საერთოდ შემოღებული კლასიფიკაციის თანახმად ზემოაქვალის სამარის თავის ქალა hyperdolichocephal-ებს უნდა მივაკუთვნოთ <sup>4</sup>.

<sup>1</sup>) E. Fischer und Th. Mollison, S. 44.

<sup>2</sup>) გაზომვას ვახდენდით თავის ქალის ვერეთწოდებულ „ფრანკფურტის ჰორიზონტალური მდებარეობის“ მიხედვით, თუმცა შვალბე ამგვარ ზომებს ახდენდა glabella—inion-ის ერთს დონეზე დაყენების დროს.

<sup>3</sup>) Om formen af Nordboernes Cranier. Stockholm 1842.

<sup>4</sup>) თავის ქალის ყველაზე პატარა ინდექსი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პათოლოგიურ ცვალებადობას (სკაფოცეფალიას), იყო აღმოჩენილი მიკლუხა მაკლაის მიერ ერთი ავსტრალიელის თავის ქალაზედ. ეს ინდექსი უდრიდა 53.

სიგრძე-სიგანის ინდექსის საშუალებით ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შედარების საკითხში მეცნიერთა შორის დიდი უთანხმოება არსებობს დღესაც.

თავის თავად იგულისხმება, რომ მართა ამ „ნიშნით“ არ შეიძლება ადამიანთა ერთი მეორეში გარჩევა და, თუ ყველა გარემოებას მხედველობაში არ მივიღებთ, შეგვიძლია აბსურდამდე მივიღეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ეს „ნიშანი“ გამოვიყენოთ, ვინაიდან ვიცით, რომ ყოველსავე განსაზღვრულ ადამიანთა ვარიეტეტს დაახლოვებით ერთი და იგივე სიგრძე-სიგანის ინდექსი აქვს. მაგალითად ავსტრალიელების უმეტესი ნაწილი (89%) დოლიხოცეფალები არიან, ხოლო უმნიშვნელო პროცენტი (11%) მეზოცეფალები. თავის ქალები დიზენტიდან თითქმის ყველა (94%) ბრახიცეფალური გამოდგა.

ცხადია, რომ ამგვარად დაყოფისათვის სიგრძე-სიგანის ინდექსს საკმაო მნიშვნელობა აქვს, როგორც თანამედროვე, აგრეთვე უკვე გადაშენებულ ადამიანთა ვარიეტეტების შესასწავლად და ერთგვარი კონვენციონალური კლასიფიკაციისათვის.

ევროპის იმ ადგილებში, სადაც დოლიხო- ან მეზოცეფალები ცხოვრობდნენ, დღეს ბრახიცეფალებს ვხედავთ. როგორ უნდა ავხსნათ ჩვენ ამგვარი ცვლებადობა სიგრძე-სიგანის ინდექსის მიხედვით? პასუხი ერთად ერთია: „სხვა ადამიანთა ვარიეტეტების შემოსევით და შერევით, ვინაიდან ეს ცვლებადობა არ არის გამოწვეული დოლიხო-მეზოცეფალების თავისთავად ბრახიცეფალებად გარდაქმნით.

ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, სიგრძე-სიგანის ინდექსს დიდი მნიშვნელობა აქვს: ის გვშველის გავერკვეთ, თუ როგორ ირეოდნენ ერთი მეორეში, ან როგორ ენაცვლებოდნენ ერთი მეორეს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ვარიეტეტები<sup>1</sup>.

**სიგრძე-სიმაღლის ინდექსი.** ჩვენი თავის ქალის სიგრძე-სიმაღლის ინდექსი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, 78,24-ს უდრის; მაშასადამე თავის ქალა hypsicephal-ებს უნდა მივაკუთვნოთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ სიგრძე-სიმაღლის ინდექსს

<sup>1</sup>) აქვე აღვნიშნავთ, რომ, როდესაც ამონათხარ თავის ქალასთან გვაქვს საქმე და გვსურს მასი შედარება თანამედროვე ადამიანთა თავებთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამონათხარი თავის ქალის სიგრძეს და სიგანეს შეიღ-შვიდი მილიმეტრი უნდა მიუმატოთ. ცხადია, რომ ამ გზით კონტროლერები შესაძლებელია, ვინაიდან თავის რბილი ნაწილების სისქე სხვადასხვა ინდივიდუუმებს სხვადასხვა აქვს, მაგრამ ასეთი წინდახედულება მაინც საჭიროა, რომ სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიყოთ. E. Fischer und Th. Mollison, S. 46.

იგივე მნიშვნელობა აქვს „რასების“ კლასიფიკაციისათვის, როგორც სიგრძე-სიგანის ინდექსს.

**სიმალღე-სიგანის ინდექსი.** რაც შეეხება სიმალღე-სიგანის ინდექსს, ის ჩვენ თავის ქალას საკმაოდ პატარა (82,78) აქვს. ამ ინდექსის მიხედვით, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ბროკას მიერ შემოღებული კლასიფიკაციით, ზემოავჭალის სამარის თავის ქალა *tapeinocephal*-თა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

**თავის ქალის ფორმა ჰორიზონტალურ პროექციაში.** ვინაიდან სიგრძე-სიგანე-სიმალღის გაზომით და ინდექსებით თავის ქალის ფორმის მოყვანილობის მიღება სავსებით არ შეიძლება, ამიტომ თავის ფორმის გამოსარკვევად სერჯიმ (Sergi) შემოიღო ერთგვარი კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად თავის ქალის კონტურ-ფორმა დაუდო. ამ უკანასკნელის მიხედვით ჩვენი თავის ქალა ჰორიზონტალურ პროექციაში (*Forme du crâne à la projection horisontale*) მოგვცემს ოვოიდალურ მოყვანილობას, რაც ნათლად ჩანს სურათზე-დაც (სურ. 17).

**შუბლის ძვალი (os frontale).** შუბლის ძვლის მოყვანილობა გაიგება, როგორც მისი რკალის და ქორდის გაზომით და ინდექსით, აგრეთვე შვალბეს მიერ მოცემული სქემით, რომელიც შუბლის კუთხის გამოანგარიშებაზეა დამყარებული. ამ ძვლის რკალი (*Frontalbogen*), თუ მას *nasion*-სა და *bregma*-ს შუა გაზომავთ, უდრის 141 mm, ქორდა (*Frontalsehne*)—118 mm, მისი ინდექსი (*frontaler Sehnen-Index*)—86,52, რაც ჰგულისხმობს თავის ტვინის წინა ნაწილის საკმაოდ განვითარებას.

*Torus supraorbitalis* განვითარება, რომელიც *homo primigenius*-ის და პრიმიტიულ ადამიანთა ვარიეტეტების დამახასიათებელ თვისებად ითვლება, ჩვენ თავის ქალას არ ეტყობა. არ ეტყობა აგრეთვე განვითარება სამკუთხოვანი ფორაკის (*glabella*), რომლის ფორმა საგიტალურ სიბრტყეზე ისეთს მოხაზულობას მოგვცემს, რომელიც ბროკას აქვს აღნიშნული პირველი ნუმერიო<sup>1</sup>.


**თხემის ძვალს (os parietale)** მეტად ცოტა მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიაში. ამ ძვლის რკალის (*Parietalbogen*) სიგრძე *bregma*-სა და *lambda*-ს შუა უდრის 130 mm, ქორდა (*Parietalsehne*)—118 mm, მხოლოდ ინდექსი კი (*parietaler Bogen-Sehnen-Index*) 90, 78-ს არ აღემატება.

თუ *bregma*-სთან ჩვენ თავის ქალაზე მედიალურ კრილს (*For-*

1) П. Б р о к а, Антропологические таблицы для краниологических и кефалометрических вычислений. Вып. II, стр. 28; Москва 1879.

me du crâne en face) გავიყვანოთ, მაშინ ეს უკანასკნელი რკალის მეტად მოღუნულ მოყვანილობას მოგვცემს.

**კეფის ძვალი** (os occipitale)<sup>1</sup>. ეს ძვალი საგიტალური კრილის პროექციაში არ არის დიდზე გამოწეული და protuberantia occipitalis externa ამ კრილზე იღებს ისეთს მოხაზულობას, რომელიც ბროკას სქემაში მეორე ნუმრით არის აღნიშნული<sup>2</sup> (სურ. 14—15). ამავე ძვალზე ჩვენ ვამჩნევთ, რომ protuberantia occipitalis interna დიდზედ არის დაცილებული torus occipitalis-ს, რომლის მიზეზად ფილოგენეზი უნდა ჩაითვალოს; თვით torus occipitalis-ის თვალსაჩინო სიმრუდე ამავე მიზეზს უნდა მიეწეროს. Os occipitale-ს ზემო ნაწილზე ჩვენ თავის ქალას არ ახლავს პატარა ძვლები, რომლებიც os Inka-ს სახელით არიან ცნობილი.



სურ. 14. ზემოაქვალის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis.

Os occipitale-ს რკალი (Occipitalbogen) უდრის 111 mm, ამავე ძვლის ქორდა (Occipitalsehne)—98 mm, ხოლო მისი ინდექსი (occipitaler Bogen-Sehnen-Index)—88, 29.

ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად ამ ინდექსს ჯეროვანი მნიშვნელობა ეძლევა ანთროპოლოგიაში.

**Mediansagittalbogen.** აქვე უნდა აღინიშნოს მედიან-საგიტალური რკალი, რომლის სიგრძე nasion-იდან opisthion-ამდის 382 mm-ს

<sup>1</sup>) Os occipitale-ს ხვესურები „კუნჭულას“ უწოდებენ.

<sup>2</sup>) П. Брокa, стр. 29.

უდრის. ამაზედ დამოკიდებული თავის უმთავრესი ძვლების ინდექსები, რომლებსაც ანთროპოლოგიური მნიშვნელობა აქვს, შემდეგია:

frontaler Sagittal-Bogen-Index-ი	უდრის	36,91
parietaler	„ „ „ „	34,03
occipitaler	„ „ „ „	29,05

**ნაკერი (sutura)**<sup>1</sup>. რაც შეეხება საზოგადოდ ნაკერს, უნდა აღენიშნოთ, რომ შუბლის ძვლის ნაკერი glabella-დან დაწყებული (სურ. 16) პატარა სივრცეზე ჩვენს თავის ქალას გახსნილი აქვს, მაგრამ ეს გარემოება მეტოპიზმით მაინც არ აიხსნება. ეს არის მხოლოდ შედეგი თავის ქალაზე ზემოდან მიწის დაწოლისა.

ამავე ძვალზე დანარჩენი ნაკერი მშვენივრად არის ერთი მეორეში შეკავშირებული და bregma-სთან ოთხი ნაკერი თვალსაჩინოდ არ იყრის ერთად თავს, როგორც ამას მეტოპიზმის დროს აქვს ხოლმე ადგილი.



სურ. 15. ზემოავეკალის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis.

თავის ქალის დანარჩენი ნაკერები, მაგალითად sutura coronalis (სურ. 17) უახლოვდება ბროკას სქემაში მეორე ნუმრით აღნიშნულს ნაკერს, ხოლო sutura sagittalis და sutura lambdoidea (სურ. 17 და 18) უფრო რთულია და ბროკას ავე სქემის მე 4-ე ნუმერს ეფარდება.

**კეფის დიდი ხვრელის (foramen occipitale magnum)** სიგრძე basion-სა და opisthion-ს შუა უდრის 37 mm, ხოლო მისი განი

1) Sutura-ს ხევსურეთში „შენაყარს“ ეძახიან.

—25 mm. კეფის როკების (condyli occipitales) შუა სიგანის აღება ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან მათ თავები აღარ აქვთ შერჩენილი.

**Pterion**-ის ფორმას ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად რამოდენადმე აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენს თავის ქალას ცალ მხარეზე სულ არ აქვს pterion-ი შერჩენილი და მეორე მხარეზე კი იმდენად დაზიანებულია, რომ მისი დახასიათება შეუძლებელი ხდება.

**დეფორმაცია.** ადამიანის თავის ქალის დეფორმაცია შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად სინოსტოტიური, ხელოვნური, პათოლოგიური და სხვა.



სურ. 16. ზემოაუქალის ადამიანის თავის ქალა. Norma frontalis.

ჩვენს თავის ქალას დეფორმაცია აქვს მიღებული მაწაში მოხვედრის შემდეგ (სურ. 14—19). გათხრების დროს აღმოჩნდა, რომ ქალა მარჯვენა გვერდით იყო მიწაზე დადებული (სურ. 3. C). მას ნათლად ეტყობოდა მიწის ზემოდან დაწოლა და ფორმის ცოტად თუ ბევრად შეცვლა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თავის ქალის შიგნითა მოცულობა ტვინის გახრწნის შემდეგ ერთ დროს თითქმის ცარიელი იქნებოდა, სანამ ჩანაჭონი წყლის საშუალებით მიწით ამოივსებოდა. ამ ხნის განმავლობაში და რამდენადმე შემდეგშიც თავის ძვლებს არ შეეძლოთ თავისუფლად მიწის სიმძიმე აეტანათ და ამიტომ იცვლიდნენ თავის ფორმას. ასეთი ცვალებადობა ეტყობა ჩვენს თავის ქალას, რასაც სხვათა შორის მოწმობენ, როგორც შუბლის ძვალზე გახსნილი ნაკერები, აგრეთვე თავის ქალაზე დამსკლარი ადგილები (სურ. 17), რომლებიც პერპენდიკულა-

რულად ხედებიან საგიტალურ ქრილს. აქიდან ადვილი წარმოსადგენია, რომ თავის ქალა ცოტად გაბრტყელდებოდა, ე. ი. მისი სივანე მოიკლებდა.

მაგრამ აქვე იბადება საკითხი, შესაძლო იყო თუ არა, რომ თავის ქალის ძვლებს თავისი ზომა შეეცვალათ მიწის დაწოლის გავლენით, ე. ი. შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ეს ძვლები გადიდებულიყო ან დაპატარავებულიყო? ამაზე ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ მიწის დაწოლას ძვლებზე ან სულ არავითარი ცვლილება და ან მეტად უმნიშვნელო გავლენა უნდა მოეხდინა, ვინაიდან ჩვენი თავის ქალის ძვლებს შერჩენილი აქვს სხვადასხვა მარილების შემადგენლობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ასეთი ძვლების გაგრძელება და შემოკლება ან სრულიდ არ შეიძლება და



სურ. 17. ზემოავკალის ადამიანის თავის ქალა. Norma verticalis.

ან მეტად უმნიშვნელოდ. მხოლოდ ამავე ძვლების მოღუნვა კი შეიძლება, ვინაიდან ამისათვის არის საჭირო, რომ თავის ქალის ამოდრეკილმა ზედაპირმა სულ ოდნავ მოიმატოს, ხოლო შიგნითა პირი ცოტად შეიკუმშოს. ამგვარ „მოღუნვას“ ხელს უწყობს აგრეთვე თავის ქალის ბრტყელი ძვლის გარეთა პირის დაბზარვაც.

აღსანიშნავია, რომ ძვლის მოღუნვის დროს ზომის მხრივ ცოტა ცვალებადობას განიცდის მხოლოდ ძვლის გარეთა და შიგნითა პირი, ხოლო შუა გული კი თითქმის უცვლელად რჩება. ამიტომ მოღუ-

ნული ბრტყელი ძვლის ზომა შეიძლება უცვლელად ჩაითვალოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მილიმეტრით განსხვავებას. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ თავის ქალის „ბრტყელი“ ძვლის მოლუნვის დროს რკლების ზომა თითქმის უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მათი ქორდები. აი სწორედ ეს გარემოება უნდა გვექონდეს მხედველობაში, როდესაც ჩვენი თავის ქალის ზომებს სხვა თავის ქალის ზომებს შევადარებთ<sup>1</sup>.



სურ. 18. ხეშოავჭლის ადამიანის თავის ქალა.

ტრეპანაცია, რომელიც უმთავრესად ჰგულისხმობს თავის ქალაზედ ხელოვნურად ხვრელის გაკეთებას, იყო გავრცელებული უძველესი დროიდან (ნეოლითიდან) თითქმის მთელ მსოფლიოში. ზოგიერთი რეცენტული „რასა“ დღესაც მიმართავს ტრეპანაციას მაგიური მნიშვნელობით<sup>2</sup>.

ტრეპანაციას უკეთებდნენ როგორც ცოცხლებს, ისე მიცვალებულებს. ტრეპანაციის დროს სურდათ ან ბოროტი სულის „გამოშვება“ თავიდან, ან ამოჭრილი ძვლის ამულეტად გაკეთება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამულეტისათვის თავის ქალიდან ძვლის ამოჭრამიცვალებულებზე ხდებოდა. ამ მიზნით თავის ქალაზე ძვლის ამოჭრის დროს გაკეთებული ხვრელი სხვადასხვაობას განიცდიდა, როგორც ფორმით, აგრეთვე ზომით.

<sup>1</sup>) შედარე Н. В. Берви, О методе исследования ископаемых и современных черепов. *Русский антропологический журнал* № 1, стр. 48—69, Москва 1903.

<sup>2</sup>) მაგალითად წითელკანა ილინოსები.

ჩვენს თავის ქალას frontale-ს ძვლის მარცხენა მხარეზე frontale-სა და coronale-ს ნაკერებს შუა, bregma—დან 27 მმ დაცილებით ოვოიდალური ფორმის კრილი აქვს (სურ. 17), რომელიც დასულია ძვლის ქვემო პირამდე. ამ კრილის სიგრძე არის 28 მმ, სიგანე—7 მმ; კრილის ნაპირების უმეტეს ნაწილს ნათლად ეტყობა ძვლის წამოზრდა. მაშასადამე, ზემოავკალის სამარის თავის ქალის მქონე ადამიანს, ამ კრილობის მიღების შემდეგ, კიდევ დიდხანს უცოცხლია. ეს კრილი რომ გახვრეტილი ყოფილიყო, უნდა გვეფიქრა, რომ ტრეპანაციასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა არ არის დასაშვები. უფრო სამართლიანია ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას თავს ზემოდან დაარტყეს რამე (ქვა, ჯოხის ბოლო, შუბის წვერი ან სხვა) და ის დაზიანდა, რასაც მოჰყვა ექიმობა. კრილობა მორჩა და მისმა ნაპირებმა ზრდა იწყეს. ეს ზრდა ნათლად ეტყობა თავის ქალაზე მიყენებული კრილობის ნაპირებს (სურ. 17).



სურ. 19. ზემოავკალის ადამიანის თავის ქალა. Norma basilaris.

ჩვენ არ გვაქვს აგრეთვე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენ დაუმთავრებელ ტრეპანაციასთან გვქონდეს საქმე. რომ ეს კრილობა დაუმთავრებელი ტრეპანაციის შედეგი იყოს, რასაც ამ თავის ქალის მქონე ადამიანის სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა, მაშინ კრილობის ნაპირების წამოზრდას ადგილი აღარ ექნებოდა. ჩვენი თავის

ქალის კრილობა კი გვეუბნება, რომ ადამიანს ამ კრილობის მიღების შემდეგ კიდევ უცოცხლია, ამიტომ ამას მოუთავებელ ტრეპანაციად ვერ ჩავთვლით. მაშასადამე, არის ერთად ერთი დასაშვები აზრი, რომ ჩვენი თავის ქალის მქონე ადამიანს კრილობა ჰქონდა მიყენებული სიცოცხლეში და რომ ეს კრილობა მორჩენილი იყო.

**პირის სახის ქალა.** პირის სახის ქალა არ არის განვითარებული; მას მეტად კარგად ეტყობა, როგორც საღეჭავი აპარატის, აგრეთვე ცხვირის რედუქცია (სურ. 16). პირის სახის ფორმა (Forme de ia face) უფრო ტრიანგულარულია, ვიდრე ოვოიდალური. პირის სახის სიმაღლე nasion-იდან prosthion-ამდე (დაახლოვებით) 64 mm-ს უდრის. პირის ზემო სახის ინდექსი—69, 57 არის, ვინაიდან os zygomaticum-ებს შუა სიგანე 92 mm უდრის.

**თვალბუდე ანუ ორბიტა (orbita).** ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორბიტის ფორმას და მის ინდექსს. ჩვენი თავის ქალის ორბიტას ოთხკუთხი ფორმა აქვს (სურ. 16). მისი სიგანე—38 mm, სიმაღლე—32 mm, ხოლო მისი ინდექსი—84,21 mm, რაც გვაძლევს საშუალებას იგი mesokonch-ების ჯგუფს მივაკუთვნოთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ორბიტები 16 mm-ით არიან ერთი მეორეს დაცილებული და ნაპირები ცოტად თუ ბევრად მომრგვალებული აქვთ.

**ყვრიმალის ძვალი (os zygomaticum) <sup>1</sup>.** ამ ძვლის გარეგნული შეხედვითაც ნათლად ირკვევა, რომ ჩვენს თავის ქალას მონოლოიდალურ ტიპთან, როგორც ეს ზოგიერთებს გონია, საერთო არაფერი აქვს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, თუ ცხვირის ძვლების წინ ფრონტალურ სიბრტყეს გავავლებთ, მაშინ os zygomaticum-ის tangete-ბი მეტად დაცილებული რჩება, რაც სრულიად არ არის მონოლოებისათვის დამახასიათებელი.

**ცხვირი.** ცხვირის ფორმას და მის ინდექსს თვალისაჩინო მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიაში, მაგრამ მიუხედავად ბევრი ცდისა, ჩვენ მაინც ვერ შევძელით მთლიანად ცხვირის ძვლების რესტავრაცია და მისი ფორმის აღდგენა.

ცხვირის სიგრძე დაახლოვებით 50 mm უდრის, სიგანე—21 mm და ინდექსი კი—42. ასე რომ, ამ ინდექსის მიხედვით, შესაძლო ხდება სახის ქალის leptorhin-ად აღიარება.

ვერც apertura piriformis აღდგენა მოხერხდა, ვინაიდან naso-spinale სრულიად აღარ არის შერჩენილი.

<sup>1</sup>) ამ ძვალს ხვესურები ეძახიან „ქურის ქიმს“.

**კბილები.** კბილებსაც საკმაო მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად.

სპეციალური ოდონტოლოგიური და ანთროპოლოგიური ლიტერატურა ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა. ადამიანთა კბილების სიდიდე, მათი ფორმა და რიცხვი, მათი ხელოვნური დეფორმაცია და სხვა ერთგვარ საშუალებას გვაძლევს ადამიანთა ვარიეტეტების გარჩევისათვის. ამიტომ კბილების შესწავლა ანთროპოლოგიური გამოკვლევების დროს, არამც თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც.

სამწუხაროდ Geoffroy Saint-Hillari-ს დაკვირვებანი და შრომები ქვემო და ზემო incisiva-ს შესახებ, რომლითაც ჩვენ შეგვეძლო. ამა თუ იმ ვარიეტეტის დადასტურება, ჩვენთვის უნაყოფო რჩება ვინაიდან ჩვენს თავის ქალას არც ეს კბილები და არც მათი ბუდეები (alveoli) შერჩენილი არა აქვს.

არც P. Broca-ს (*Des différentes espèces de prognathisme: Bull. de la Soc. d'Anthr. de Paris 1873*) და H. Welcker-ის დაკვირვება კბილების მიხედვით პროგნათიის და ორთოგნათიის გასარჩევად და ან რომელიმე ტაპის აღსადგენად ჩვენთვის საიმედო არ ხდება, რადგან ამისთვის საჭირო ქვემო და ზემო ყბის ნაწილები და მათში ჩასმული კბილები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ მოგვეპოვება. Owen-მა და Pruner—Bey-მ თავისი გამოკვლევებით დაამტკიცეს, რომ, თუ თეთრკანა ადამიანებს საძირე კბილები წინიდან უკანისკენ თანდათან უფრო უპატარავდებათ, პრიმიტიული ადამიანის ეს კბილები წინიდან უკანისკენ თანდათან უდიდდებათ. საერთოდ კბილების სიდიდე მაღალი კულტურის მქონე ადამიანს არ ახასიათებს.

ზემოაქალის ადამიანის კბილების ინდექსი 41,8 არის და ამიტომ W. H. Flower-ის კლასიფიკაციით ის უნდა მივაკუთვნოთ მიკროდონტს.

Magitot-ის და Galippe-ს გამოკვლევით, კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ხალხს მარჯვენა ყბის კბილები უფრო მჭიდროდ აქვთ ერთიმეორესთან, ვიდრე მარცხენა, რაც არ შეიძლება ითქვას კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხზე. Darwin-ის, P. Broca-ს და Mantegazz-ის გამოკვლევებით „სიბრძნის კბილის“ ნაკლებობა ახასიათებს მაღალი კულტურის მქონე ადამიანს. ეს კბილი კულტურულად განვითარებულ კაცობრიობას თანდათან ეკარგება<sup>1</sup>. ჩვენს

1) R. Wiedersheim, *Der Bau des Menschen als Zeugnis für seine Vergangenheit*. Tübingen 1908, S. 202.

თავის ქალას ეს კბილი შერჩენილი აქვს, მაგრამ განუვითარებელია. შერჩენილი კბილები არც ერთი არ აქვს გაფუჭებული.

**თავის ქალის წონა.** ჩვენი თავის ქალის წონა 370 გრ უდრის. მართალია, თავის ქალას სრულებით აკლია ქვემო ყბა<sup>1</sup> და ზოგიერთი ნაწილი, მაგრამ ამ დანაკლისი ნაწილების წონა საერთოდ 70—80 გრ—ს არ უნდა აღემატებოდეს; ასე რომ ზემოავეჯალის სამარის თავის ქალის წონა დაახლოვებით 440—450 გრ უნდა ყოფილიყო, რაც შეტად ცოტაა თავის ქალის წონისათვის<sup>2</sup>.

**ზემოავეჯალის ადამიანის სიმაღლე.** ჩონჩხის სიგრძე, ანუ ზემოავეჯალის ადამიანის სიმაღლე, ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ მხარის ძვლის (humerus) მიხედვით, ვინაიდან, გარდა ამ ძვლისა, არც ერთი მთლიანი ძვალი არ ჰქონდა ჩონჩხს შერჩენილი. ამ ძვლის სიგრძე უმაღლეს წერტილ caput humeri-დან trochlea-ს ქვემო ნაპირამდის (საგიტალური სიბრტყის პროექციაზედ) უდრის 275 mm, მაშასადამე, თუ ჩვენ Manouvrier-ის ტაბულას მხედველობაში მივიღებთ<sup>3</sup>, მაშინ ჩვენი ჩონჩხის სიგრძე გამოვა 1470 mm. ამავე ზომას მივიღებთ დაახლოვებით, თუ ჩვენ ამას გამოვიანგარიშებთ Pearson-ის მიერ მოცემული ფორმულით<sup>4</sup>.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მთელს მსოფლიოში ქალის სიმაღლე საშუალოდ 1540 mm უდრის და, თუ ჩვენ ტოპინარის კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ზემოავეჯალის ადამიანის (ქალის) სიმაღლე საშუალო ტანის სიმაღლის ზომამზე ნაკლებად უნდა ჩავთვალოთ.

**რა სქესის იყო ზემოავეჯალის ადამიანი?** ადამიანის თავის ქალის მიხედვით სქესის გამორკვევა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს და ზოგიერთს შემთხვევაში—შეუძლებელიც არის, განსაკუთრებით, თუ პრიმიტიულ ადამიანთან გვაქვს საქმე. მაგრამ, თუ კულტურულად განვითარებულ ადამიანთა ვარიეტეტებს ავიღებთ, მაშინ თავის ქალის მიხედვით სქესის გამორკვევა უმეტეს შემთხვევაში (90%/ი) შესაძლებელია.

<sup>1</sup>) დედაკაცის ქვედა ყბის წონა საშუალოდ უდრის 56 გრ, ხოლო მამაკაცის—88 გრ.

<sup>2</sup>) დედაკაცის თავის ქალის წონა საშუალოდ აღებული უდრის 555 გრ, მამაკაცის—731 გრ.

<sup>3</sup>) L. Manouvrier, La détermination de la taille d'après les grands os des membres: *Mem. de la Soc. d'Anthrop.* t. IV, Paris 1893.

<sup>4</sup>)  $706,41 + (2,894 \times 275)$ . K. Pearson, *Mathematical Contributions to the Theory of Evolution. V. On the reconstruction of the stature of prehistoric races: Phil. Trans. Vol. 192. A. p. 169, London 1899.*

ჩვენი ზემოავეჭალის ადამიანის თავის ქალა, როგორც თავიდანვე იყო აღნიშნული, დედაკაცის არის. ამას გვეუბნება თავის ქალის habitus-ი და კრანომეტრიული ზომები. ამასვე ამტკიცებენ თავის ქალის ძვლების წონა, თხელი 4 mm-სისქე თხემის ძვალი (os parietale), თავის ქალის მოცულობა (კაპაციტეტი), როგორც აბსოლუტური, აგრეთვე რელატიური, პატარა foramen occipitale magnum, დვრილისებური ზორჩის (processus mastoideus) და აგრეთვე ყველა კუნთოვანი მორჩების და ხაზების მეტად სუსტი გამოხატულება, განუვითარებელი glabella და arcus superciliaris, დაქანებული შუბლი, რომელიც ჯერ სწორად არის განვითარებული და შემდეგ კი უცხად გადაზნეკილი, საკმაოდ ამოხერხილი თხემის ბორცვები და კეფა, მეტად პატარა ზომის ვისცერალური ნაწილი, პატარა ზომის კბილები და სხვა.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნები საკმაოდ არის გამოხატული და საერთოდ გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ზემოავეჭალის ადამიანის თავის ქალა დედაკაცის არის.

ამასთანავე თუ მოვიგონებთ ჩონჩხის სიგრძეს და სამარის ზოგიერთ ინვენტარს, სახელდობრ— მკლავზედ წამოცმულს ბრინჯაოს ორს, პატარა ზომის ( $D=5,4$  cm) სამაჯურს, პატარა ზომისავე ( $D=1,8$  cm) 5 ცალ ბეჭედს, მახათს და მრავალ მძიეს,— მაშინ უფრო ცხადი გახდება, რომ ზემოავეჭალის სამარეში აღმოჩენილი ადამიანი ქალი უნდა ყოფილიყო.

როგორი თავის ქალები იყო აღმოჩენილი ზემოავეჭალის მახლობლად? საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი თავის ქალები იყო აღმოჩენილი ზემოავეჭალის მახლობლად, განსაკუთრებით სამთავროს უძველესი დროის ორმოსამარეებში, რომლებსაც მჭიდროდ უკავშირდება ზემოავეჭალის სამარე.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ მეტად ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვება. ფ. ბაიერი ამბობს, რომ მან სამთავროს „ძირა სართულის სამარეებში“ აღმოაჩინა «Macrocephalen Schädel»<sup>1</sup>. ამგვარსავე მაკროცეფალურ თავის ქალებს აღნიშნავენ ჰენ. ფრიჩი (H. Fritsch) სამთავროში<sup>2</sup> და რუდოლფ ვირხოვი და სხვანი სამთავროს სასაფლაოდან, მაგრამ რა ტიპის სამარეებიდან— არ ვიცით<sup>3</sup>.

1) F. Bayern, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie: *Verhandlungen*, S. 340, Berlin 1882.

2) *Verhandlungen*, S. 149, Berlin 1875.

3) *Verhandlungen*, S. 478, 1882.

სამთავროს სასაფლაოში აღმოჩენილ მაკროცეფალურ თავის ქალებს აღწერს ს. სცეპურა<sup>1</sup>, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ აღწერილი თავის ქალები არის ფიქლო ქვებით ნაშენი აკლდამებიდან ამოღებული. როგორც ჩანს, მაკროცეფალური თავის ქალები აღმოჩენილი ყოფილა, როგორც ძირა სართულის ორმოსამარეებში, აგრეთვე ფიქლო ქვებით ნაშენებ აკლდამებშიდაც. ეს მაკროცეფალური თავის ქალები ის თავის ქალები გახლავსთ, რომლებზედაც ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული ცნობები ჰიპოკრატეს ნაწერებში: «De aëre aquis et locis». თუ როგორი იყო ამ Macrocephalenschädel-ების გვერდით სხვა თავის ქალები სამთავროს ორმოსამარეებში, ეს ჩვენ არ ვიცით.

მართალია რ. ვირხოვი ერთს თავის შრომაში ამბობს, სამთავროს სასაფლაოს თავის ქალები გრძელი და ვიწრო არიანო<sup>2</sup>, მაგრამ აქ არ უნდა იყოს ნაგულისხმევი ძირა სართულის ორმოსამარეები<sup>3</sup>.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ბევრს სხვადასხვა ადგილას არის ნახული (მაგალითად მდინარე დონის ნაპირზე, როსტოვის ახლოს, სამარის მიდამოებში, ციმბირში, — ტომსკთან, უნგრეთში, ავსტრიაში, რაინის ნაპირზედ, საფრანგეთში, ჩრდი-

1) С. Ф. Сцепура, Опыт антропологического исследования макроцефалических черепов. Тифлис 1875.

2) *Verhandlungen*, S. 479, 1882.

3) აღსანიშნავია, რომ დეფორმირებული მაკროცეფალური თავის ქალები აღმოჩენილია აგრეთვე სარძაქალაში (*Verhandl.*, S. 478. 1882), ვახიანში (ჩემს მიერ, გასულ წელს. იჩახება საქ. მუზეუმში), ყირიმში (განსაკუთრებით ქ. ქერჩის მიდამოებში), ქვემო ავსტრიაში და სხვაგან.

ყირიმში და ქვემო ავსტრიაში აღმოჩენილ მაკროცეფალურ თავის ქალებს აკადემიკოსი ბერი (Baer) ავარელების შემოსევის დროს აკუთვნებდა და შესაძლებლად სთვლიდა, რომ ეს თავის ქალები ეკუთვნოდა რომელიმე ტომს, რომელიც ავარელების კავშირში (*der avarische Bund*) შედიოდა (*Die Makrocephalen im Boden der Krym und Oesterreichs u. s. w. St. Petersburg 1860*). ეს შრომა შოთავსებულია: *Mémoires de l'Académie Imper. des sciences de St. Petersb.* VII Serie, Tome II, № 6).

ბროკა (Broca) ამბობდა, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ეკუთვნიან კიმერებს (შეადარე სცეპურა გვ. 11).

რუდ. ვირხოვი არ ასახელებდა, თუ რა ხალხს ეკუთვნოდა მაკროცეფალური თავის ქალები, მაგრამ ფიქრობდა, რომ „წინაისტორიულ“ დროში ყირიმიდან დაწყებული სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთის ველებამდის ერთი მერესთან დამოკიდებული მოსახლეობა (*zusammenhängende Bevölkerung*) იყოთ. *Verhandlungen*, S. 479—480. Berlin 1882.

ლო იტალიაში, ინგლისში და სხვა და სხვა. ვიცით აგრეთვე, რომ მაკროცეფალური თავის ქალის მიღებას დეფორმაციის საშუალებით დღესაც მისდევენ ბევრს სხვადასხვა ადგილას (Бушан, Наука о человеке, стр. 232—233, Москва 1911; Любоп Недерле, Человечество в доисторические времена, стр. 507—508, Петербург 1898), ამიტომ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ერთსა და იმავე ტოპს ან ხალხს არ მიეწერება, როგორც ეს ერთს დროს ეგონათ<sup>1</sup>.

**რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ეკუთვნოდა ზემოავჭალის ადამიანი?** თუ რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ან ხალხს<sup>2</sup> ეკუთვნოდა ზემოავჭალის ადამიანი, ამის თქმა შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ ერთს და ისიც არა მთლიანად შენახულ ადამიანის ნაშთთან და მეტად ცოტა სამარის ინვენტართან გვაქვს საქმე.

კრანიომეტრული და საერთოდ ანთროპოლოგიური ზომები გვეუბნება, რომ ზემოავჭალის ადამიანი დაბალი ტანის იყო; პირის სახე მოგრძო და ტრიანგულარული. ფორმის ჰქონდა, ხოლო თავი კი — „გრძელი“, ე. ი. ის გრძელთავა იყო<sup>3</sup>. რაც შეეხება მის კულტურულ განვითარებას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ეკუთვნოდა მაღალი კულტურის მქონე ხალხს, რასაც სხვათა შორის ნათლად უჩვენებს თავის ქალის კარგად განვითარებული ცერებრალური ნაწილი.

დრო, როდესაც ცხოვრობდა ზემოავჭალის ადამიანი, უნდა

<sup>1</sup>) დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. Д. Н. Анучин, О деформированных черепах, найденных в России: *Изв. Общ. любителей естеств. антроп. и этногр.* XLIX, стр. 367, Москва 1887.

<sup>2</sup>) ადამიანთა ვარიეტეტი ანუ „რასა“, როგორც ამას გროსსე (Grosse) განმარტავს, შესაძლოა ადამიანთა ერთს დიდ ჯგუფს ეწოდოს, რომელსაც თანდაყოლილი და ჩამომავლობითი სომატიური და ფსიქიური თვისებები ერთი მეორესთან აკავშირებს და ამავე დროს ეს თვისებები სხვა ადამიანთა ჯგუფიდან ასხვავებს.

ცნება „ხალხი“ კი უმეტეს შემთხვევაში უფრო ფართოა, ვიდრე ცნება ვარიეტეტი. ხალხი უმეტეს ნაწილად ადამიანთა სხვადასხვა ვარიეტეტებიდან შედგება. „ხალხს“ ახასიათებს საერთო ენა, კულტურა, ზნეჩვეულება და სხვა და სხვა. შეადარე Jacob—Friesen, Grundfragen der Urgeschichts-Forschung, S. 2—3, Hannover 1928 და Eugen Fischer, Anthropologie, S. 124, Berlin und Leipzig 1923.

<sup>3</sup>) მართალია კრანიომეტრულმა ზომებმა Hyperdolichocephal-ი მოგვცა, მაგრამ ეს ზომები ცოტა გადამეტებული იყო, ვინაიდან თავის ქალას დეფორმაცია ჰქონდა განცდილი მიწაში მოხვედრის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ჩვენი თავის ქალა Dolichocephal-ური მაინც რჩება.

განვსაზღვროთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის დაბოლოვებით და რკინის ხანის დასაწყისით. ეს კი დაახლოვებით ის დრო არის, როდესაც წინა აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ადამიანთა სხვადასხვა ვარიეტეტების ერთი მეორეში მეტად ინტენსიური შერევა ხდებოდა.

თუ ჩვენ ანთროპოლოგიურ შრომებს და უმთავრესად თანამედროვე გამოჩენილ ანთროპოლოგ ევგენი ფიშერის<sup>1</sup> გამოკვლევებს დავემყარებით, დავინახავთ, რომ უძველეს დროში მთელს წინა აზიაში (განსაკუთრებით სირიაში, მცირე აზიაში და მის ჩრდილო-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებში, მაშასადამე საქართველოშიდაც) გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული „წინა აზიური“ „რასა“, რომელსაც სხვათა შორის ხეთებიც კი ეკუთვნოდნენ (vorderasiatische Rasse. Syn. armenoid, alarodisch, kappadokisch, protoarmenisch, hethitisch)<sup>2</sup>. ეს წინააზიური „რასა“ იყო უძველესი „რასა“ და თანაც მეტად ძველი კულტურის მატარებელი მთელს წინა აზიაში.

ამ „რასის“ სომეტიური თვისებები განათხარი ანთროპოლოგიური მასალების, ძველი ბარელიეფების და თვით თანამედროვე ადამიანების მიხედვით, ნათლად და მკაფიოდ არის გამოხატული.

ამ „რასის“ ანთროპოლოგიურ თვისებებს შეადგენს საშუალო ზომის ტანი, მოკლე (85—86 ინდექსი) და თანაც მაღალი ფორმის თავი, გრძელი სახე, მეტად დიდი ცხვირი, მოშავო ფერის სქელი თმა და შავი თვალწარბი.

ეს „რასა“ დღესაც ცხოვრობს ამიერ კავკასიაში, სომხეთში, სპარსეთში, მცირე აზიაში, სირიაში და სხვაგან.

ამ უძველეს წინააზიურ „რასას“ თითქმის ყოველი კუთხიდან ერეოდნენ სხვა „რასები“. ხოლო მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ჩვენ წელთაღრიცხვამდე მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან შეერია ინდო-გერმანული კულტურის მატარებელი ხალხი, რომელშიდაც ნაწილობრივ „ჩრდილო რასა“ (nordische Rasse) შედიოდა და რამაც წინა აზიას 5—10%<sup>3</sup> ქერათმა და გრძელთავა (Dolichocephalie) ადამიანები შემატა.

მეორე თვალსაჩინო „რასათა“ შერევა წინა აზიაში მოხდა სამხრეთის მხრიდან, საიდანაც მეტად მრავალრიცხოვანი სემიტთა ხალ-

<sup>1</sup>) Eugen Fischer, Spezielle Anthropologie: Rassenlehre. Sammelwerke «Anthropologie», S. 170—174. Leipzig und Berlin 1923.

<sup>2</sup>) ამ „წინააზიურ რასას“ ანთროპოლოგი Recherche უწოდებს «Homo fauricus»: *Reallexikon der Vorgeschichte*, B. V, S. 378, Berlin 1926.

ში მოაწყდა. ეს სემიტთა ხალხი უმთავრესად „ორიენტალურ“ (orientalische) „რასას“ ეკუთვნოდა და ფიქრობენ არაბეთიდან უნდა ყოფილიყო გამოსული. ამ ორიენტალური „რასის“ თვისებებს შეადგენდა: დაბალი ტანი, შავი თმა და შავი თვალწარბი, სუფთა, ლამაზი ცხვირი და გრძელი ვიწრო თავი.

აი ამ სამი „უმთავრესი“ (წინააზიური, ინდო-გერმანული და ორიენტალური) „რასების“ შერევა მოხდა წინა აზიაში უძველეს დროში.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ შერევას შედეგად მოყვა ის, რომ წინა აზიის სამხრეთ მხარისკენ მცხოვრებთ უფრო „ორიენტალური“ „რასის“ კომპონენტები აქვთ, ხოლო ჩრდილო მხარისკენ მცხოვრებთ—„ჩრდილო რასის“ ნიშნები ეტყობა, თუმცა ამავე ადგილებში დღესაც ბლომად შეხვდებით ნამდვილ წმინდა „წინააზიურ რასის“ წარმომადგენლებს.

ცხადია, რომ წინა აზიაში სამი უმთავრესი „რასის“ გარდა სხვა „რასებიც“ (მაგალითად, მედიტერანული) არიან შეჭრილი და შერეული და ამიტომაც არის, რომ „რასათა“ პრობლემა, საერთოდ ყოველ კუთხეში, დღეს მეტად რთულ და მრავალ მხრივ სადაო საგნად არის გადაქცეული.

ამიტომაც, რომ ჯერ ჯერობით გარკვეულის რისამე თქმა, თუ რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ანუ „რასას“ ეკუთვნოდა ზემოავჭალის ადამიანი, ყოველად შეუძლებელია (საქმეს ართულებს აგრეთვე განათხარი ანთროპოლოგიური მასალების უქონლობაც).

ძნელია აგრეთვე იმის თქმა, თუ რომელ ხალხს ან რომელ კულტურულ წრეს ეკუთვნოდა იგი, ვინაიდან ამისათვის ჯერ კიდევ მეტად ცოტა განათხარი ინვენტარი მოგვეპოვება და თანაც, როგორც საქართველო, ისე ამ უკანასკნელის მოსაზღვრე ქვეყნები, არქეოლოგიურად შეუსწავლელი არიან, რომ ადამიანს შესძლებოდა საერთო კულტურული ელემენტების ამოკრეფა და სინთეზის მოხდენა.

**გვხვდება თუ არა საომარი იარაღით დამარხული ქალების ჩონჩხი?** სამარეები, რომლებშიაც საომარი იარაღით დამარხული ქალები ყოფილიყოს, მეტად ცოტა მოეპოვება არქეოლოგიას.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ იუტლანდიაში აღმოაჩინეს ქალის სამარე, რომელშიაც ბრინჯაოს ხანჯალი იყო ჩადებული<sup>1</sup>. ვიცით აგრეთვე, რომ დანიაში აღმოჩენილია ქალების რამდენიმე ჩონ-

<sup>1</sup>) Carl Schuchardt, Alteuropa, S. 180, Berlin und Leipzig 1926.

ჩნი ბრინჯაოს სატევრებით<sup>1</sup>, მაგრამ მთელს მსოფლიოზე არქეოლოგიურმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ არ იცის არც ერთი შემთხვევა, რომ ეპოვნოსთ ბრინჯაოს მახვილით, ხანჯლით და შუბით შეიარაღებული ქალი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემოავეჭალაში, და, თუ გამოჩენილი, მსოფლიო მეცნიერი მონტელიუსი დანიაში აღმოჩენილ ხანჯლით შეიარაღებულ ქალებს უკავშირებდა ამაზონების ანუ ამორძლების შესახებ წარმოშობილ მოთხრობებს<sup>2</sup>, მით უმეტეს, ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემოავეჭალის შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც ჭრილობა ჰქონდა მიღებული, მეომარი ქალი უნდა ყოფილიყო, ქალი, რომელმაც ცხენოსნობა კარგად იცოდა, რადგან მას ცხენის თავის ნაწილები შუბის თავთან ერთად აღმოაჩნდა სამარეში.

ასეა თუ ისე, ეს ღირსშესანიშნავი აღმოჩენა მეტად გვაგონებს ძველი მწერლების გადმოცემებს ამაზონების შესახებ.

საქმის ასეთი გარემოება მით უფრო დამაფიქრებელია, რომ ამაზონები ძველი გადმოცემების მიხედვით ცხოვრობდნენ შავი ზღვის მახლობლად და, ცნობილი როსტოვცევის სრულიად ახალი გამოკვლევებით, ნახევრად ისტორიული ხალხია<sup>3</sup>; ამაზონები ომის დროს ეხმარებოდნენ კიმერიელებს, ბალკანეთის თრაკიელებს და დიდ პატივისცემაშიაც იყვნენ მეზობელი ერების თვალში<sup>4</sup>.

### ბრინჯაოს ნივთები.

**მახვილი.** სამარის ინვენტარის აღწერას ჩვენ დავიწყებთ ბრინჯაოს მახვილით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია (სურ. 20; ტაბ. IV, სურ. 1).



სურ. 20. ზემოავეჭალის სამარის მახვილი.

<sup>1</sup>) Любор Нидерле, Человечество в доисторические времена, стр. 302, Петербург 1898,

<sup>2</sup>) Нидерле, S. 302.

<sup>3</sup>) М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, Российская Академия истории материальной культуры, стр. 1, Ленинград 1925.

<sup>4</sup>) Проф. В. А. Городцов, К вопросу о киммерийской культуре, Труды Секции Археологии, 4, стр. 49. Москва 1927.

ზომით ჩვენი მახვილი მოკლე მახვილთა ტიპს ეკუთვნის. მისი სიგრძე მთლიანად 58 cm უდრის, ხოლო ცალკე აღებული პირის სიგრძე—47,3 cm. ხელის მოსაკიდი ანუ ტარი—8,2 cm, ტარის თავის სიმაღლე—2,5 cm, ხოლო მისი დიამეტრი—4,5 cm. პირის სიგანე ვადასთან უდრის 7,8 cm, ბოლოში—4,3 cm; წონა—1060 gr.

მახვილის ბოლო არ არის არც წაწვეტილი და არც მომრგვალებული და მჭრელი, როგორც ეს საერთოდ სჩვევიათ სხვა ტიპის მახვილებს, არამედ სრულიად ბლაგვი და სწორკუთხოვანია; ასე რომ მახვილის ბოლოს გნდე თითქმის პერპენდიკულარულად ხედება მახვილის პირის შუა ღერძის ხაზს. ამიტომ ჩვენს მახვილს უნდა ვუწოდოთ ბოლო-სწორკუთხოვანი ანუ ბოლოკვეთილი მახვილი <sup>1</sup>.

a



ბ




სურ. 21. ზემოავჭალის (a) და ქედაბეკის (b) მახვილის პირის კრილის მოხაზულობა.

მახვილის პირი ვადიდან ბოლოსკენ თანდათან სქელდება, ასე რომ პირის სისქე ვადასთან, შუა ღერძის გასწვრივ, 8 mm უდრის, შუა წელში—9 mm და ბოლოში კი—12 mm. პირის სისქე ზურგი-

<sup>1</sup>) ერთი შეხედვით ჩვენი მახვილი გვაფიქრებინებს, რომ მას ბოლო მოტეხილი აქვს. მაგრამ, თუ ჩვენ დავაკვირდებით ამავე ტიპის მახვილების კოლექციას, რომელიც ჟანგისგან სრულებით არ არის შეცვლილი, შევამჩნევთ, რომ ამ კოლექციის მახვილები ყველა ბოლო-სწორკუთხოვანი ანუ ბოლოკვეთილია. ავიღოთ, მაგალითად, ბაკურციხის მახვილი (ტაბ. V, სურ. 1), რომელიც მშვენივრად არის შენახული და რომელიც ჩვენი მახვილისაგან მხოლოდ ზომით განირჩევა, დანარჩენი ნიშნები კი (დამუშავების ტექნიკა, ტარის და პირის ფორმა, ორნამენტები და სხვა) იგივე აქვს, როგორც ჩვენს მახვილს. ბაკურციხის მახვილის ბოლო კი არავითარ ეჭვს არ ბადებს, რომ ის ბოლოკვეთილი იყო (მისი ბოლოს გნდე წიგნივ ოდნავ შეზნექილიც არის). ბოლოკვეთილია აგრეთვე ბაკურციხის სხვა მახვილებიც (ტაბ. V, VI და VII), რომელთა ბოლოები უცვლელად არის შენახული და რომლებიც ჩვენი მახვილის ტიპს ეკუთვნის. რომ ჩვენი მახვილი ბოლომოტეხილი არ უნდა იყოს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას მთელი პირის გასწვრივ არსად არ აქვს ისეთი სქელი ნაწილი, როგორც ბოლოში: ასეთ ადგილას გადატეხა ყოვლად წარმოუდგენელია.

დან დაწყებული ნაპირებისკენ თანდათან კლებულობს და ნაპირებთან ერთი მილიმეტრის სისქეს არ აღემატება; ამიტომ, თუ მახვილის პირის კრილის მოხაზულობას წარმოვიდგენთ, მივიღებთ რომბს (სურ. 21a).

თუ ჩვენ ჟანგით დაფარულ მახვილის პირს დავაკვირდებით, მის ორსავე მხარეზედ ერთსა და იმავე ორნამენტებს შევამჩნევთ. ვადის ახლოს მახვილის პირს გარდიგარდმო მიყვება ერთი რიგი ფართოდ გაშლილი S—სპირალ ორნამენტები (სურ. 22a). ამ სპირალებიდან 7 cm დაცილებით მიყვება ამგვარივე სპირალების მეორე რიგი (სურ. 22b).



სურ. 22. ზემოავეკალის მახვილი.

ჩვენი მახვილის S—სპირალებს მოეპოება ანალოგები. მაგალითად, ბოლასკეიში (ხეთთების ძველ ქალაქში) აღმოჩენილ რელიეფზე, რომე-

ცნობილია, რომ სპირალები ქვის ხანის ძველი დროიდან (პალეოლითი-დან) იხმარებოდა, როგორც დეკორატიული მოტივი, და დღესაც ამ მოტივს გავრცელება აქვს მთელს მსოფლიოში. ცხადია აგრეთვე, რომ სპირალები იმდენად უბრალოსა და მარტივ ტექნიკურ ორნამენტს წარმოადგენენ, რომ მათი წარმოშობა მსოფლიოს ბევრს სხვადასხვა კუთხეში უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მათი წარმოშობის პირობები (ნიჟარები, მცენარის ნაწილები, მოწვნის ხელობა და სხვა) ყველგან გვხვდება. მაგრამ, მიუხედავად საქმის ამგვარი გარემოებისა და თვით სპირალების სხვადასხვაობისა, შესაძლო არის სპირალების ცალკ-ცალკე ვარიანტებად დაყოფა და მითი გავრცელების ადგილების აღნიშვნა, როგორც ეს მოახდინა, მაგალითად, ბელაუმ ზოგიერთი სპირალების შესახებ<sup>1</sup>, ანუ როგორც ამას ცდილობდა მ. ჰერნესი<sup>2</sup>.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით სპირალების საკითხს, დავინახავთ, რომ

<sup>1</sup>) Johannes Boehlau, Die Spiralen in der Bandkeramik, S. 54—98 *Præhistorische Zeitschrift*, B. XIX, Heft 1/2, Berlin 1928.

<sup>2</sup>) Moritz Hoernes, Præhistorische Archäologie, S. 379. მეექვსე ნაწილში („Anthropologie“) კრებულისა „Die Kultur der Gegenwart“. Leipzig und Berlin 1923.

ლიც ღვთაებას ან მეფის სახეს გამოხატავს, ამოკვეთილია სპირალები, რომელიც ახლო დგას ჩვენი მახვილის სპირალებთან<sup>1</sup>. აგრეთვე ტროიას პითონის და ქედაბეკის ბრინჯაოს ქამრის სპირალები<sup>2</sup> თითქმის სრულებით ისეთივეა, როგორც ზემოავჭალისა (შეად. K. Schuchhardt, Alteuropa, 249).

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ნახსენებ ხეთთების რელიეფის სპირალებს მრავლად ახლავს თევზის ფხის მოტივები (Fischgrätenmotiv); ეს ის მოტივებია, რომლებიც მეტად მკაფიოდ და მრავლად არის მოცემული ზემოავჭალის მახვილის მავგარ იარაღების ბოლოზე (სურ. 23; ტაბ. IV, V და VI).



სურ. 23. ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილის ბოლო.


ჩვენი მახვილის პირზე ამოკრილ სპირალებს ქვემოთ, ორივე ნაპირის გასწვრივ, პარალელურად მისდევს ორ-ორი წვრილი ღარი (შაშარი), გერმანელი არქეოლოგები რომ Blutrille-ს უწოდებენ (სურ. 22c); ეს ღარები მახვილის ბოლომდის ვეღარ ატანს და წყდება ბოლოდან 21,5 cm დაცილებით. ღარები დაშორებულია ნაპირებს 2 cm-ით. ღარების შიგნივ მახვილის პირს, ღერძის გასწვრივ, მისდევს ნიკბებიანი ხაზი (სურ. 22d). სხვა ხაზები ან რაიმე გამოხატულება მახვილის პირს აღარ უნდა ჰქონდეს, თუმცა ამის გადაჭრით თქმა ძნელია, ვინაიდან მახვილის პირი მეტად არის დაჟანგული და ყოველად შეუძლებელი ხდება მასზედ სხვა რაიმე ხაზების შემჩნევა.

მახვილის ტარის ყელი მრგვალი ფორმისაა და არაა თანაბარი სისხოსი (სურ. 20; ტაბ. IV, სურ. 1). ვადასთან მისი სისხოს დიამეტრი 27 mm უდრის, შუა წელში—24 mm, ხოლო ქუდთან—

1) ბოლასკეიში აღმოჩენილ რელიეფზე ამოკვეთილი სპირალები დასურათებული აქვს პუხშტაინს და მოყვანილია სხვათა შორის შუხჰარდტის შრომაშიც (სურ. 60. იხ. აგრეთვე Ed. Meyer, Reich und Kultur der Chetiter, S. 54, 1914.

2) R. Virchow, Über die Culturgeschichtliche Stellung des Kaukasus, Abb. 3. Taf. II, Berlin 1895.

34 mm-ს. ტარის ამგვარი მოყვანილობა საჭირო იყო, ჯერ ერთი, რომ ტარს ხელი კარგად მოვლებოდა და არ მოტეხოდა დაკვრის დროს; აგრეთვე იმიტომაც, რომ მოქნევის დროს მახვილი ხელიდან არ გასხლეტილიყო (შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I<sup>3</sup>, გვ. 11, ტფილისი 1928). ტარზე გამოყვანილია ამობურცული წინწკლებით ფოთლის მსგავსი ორი ორნამენტის და ორიც სწორი ხაზი. თუ ამ ორნამენტებს სიბრტყეზედ გავშლით, მოვიღებთ ისეთ მოხატულობას, რომელიც ჩვენს სურათზეა (სურ. 24) მოცემული.



სურ. 24. ზემოაქალის მახვილის ტარზე გამოყვანილი ორნამენტი.

ეს ამობურცული წვრილი მძივისებური წინწკლები კონსტრუქტიულად საჭირო იყო, რომ კაცს ხელი არ აცურებოდა და თანაც ხელი მარჯვედ მოეკიდა.

ცხადია, ტარის სიგრძე ჩვენს მახვილს მეტად პატარა აქვს, მაგრამ საერთოდ ბრინჯაოს მახვილებს თითქმის ყველას მოკლე ტარი აქვს ჩვენი ხელის სიდიდესთან შედარებით. მაგალითად, ბრინჯაოს ერთს მახვილს, რომელიც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში არის დაცული და რომელიც ბაკურციხეშია აღმოჩენილი (ინვენტ. № 4349, ტაბ. V, სურ. 4), 87 mm-იანი ტარი აქვს. ამ საკითხმა კარგა ხანია არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო და ბევრი სხვადასხვა ახსნა განმარტება გამოიწვია.

გაბრიელ დემორტილიე, ე. შანტრი და სხვანი ამ გარემოებას ორიგინალური თეორიით (période bôhémienne ou triganienne)<sup>1</sup> ხსნიდენ. მორტილიეს აზრით ბრინჯაოს გაკეთება პირ-

<sup>1</sup>) G. de Mortillet, Origine du Bronze, Paris 1876. იხილეთ აგრეთვე რევენზია *Revue d'anthropologie*, 1875, 650.

ველად გამოიგონეს ინდოეთში და აქიდან ბრინჯაო და ბრინჯაოს ნივთები ბოშებმა გაავრცელეს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ „ინდური“ ანუ „ბოშური“ თეორიის დასამტკიცებლად მორტილიეს სხვადასხვა მოსაზრებანი მოჰყავს და სხვათა შორის კიდევაც აღნიშნავს, რომ ინდოელების და ბოშების ხელები პატარა ზომის არისო. ამიტომ მათ მიერ გაკეთებულ მახვილებს და ამ მახვილებიდან განვითარებულ სხვა მახვილებს პატარა ტარი შერჩათო. მონტელიუსისა და რანკეს აზრით, ვინაიდან მახვილი თავდაპირველად სატევარის დანიშნულებას ასრულებდა და საჩხვლეტ (საგმირავ) იარაღს წარმოადგენდა, ამიტომ აუცილებელი არ იყო დიდი ზომის ტარი, რადგან მასზედ მთლიანად ხელის მოკიდება საჭირო არ იყო<sup>1</sup>. ამგვარადვე ხსნიან მახვილის ტარის პატარა ზომას ვილენოიზი<sup>2</sup> და ვინკლერი<sup>3</sup>.

თუ მორტილიეს ორიგინალურსა და დაუჯერებელ „ბოშურ“ თეორიას მხედველობაში არ მივიღებთ, ზემოთ აღნიშნული სხვა ახსნანი ბრინჯაოს მახვილების ტარის სიმოკლის შესახებ, ჩვენი მახვილისათვის (და, ვფიქრობთ, სხვებისთვისაც) სრულიად მიუღებელია. ჩვენი მახვილის ბოლო არ არის წაწვეტილი და მას არც ჰქონია საჩხვლეტი იარაღის დანიშნულება, რომ ადამიანს მისი ტარისთვის რამოდენიმე თითით ხელი მოეკიდა და ტარის ქუდი (თავი) ხელის გულზედ მიეყრდნო. ჩვენ გვგონია, რომ, ვინაიდან უპრიმიტიულესი მახვილის დანიშნულება უმთავრესად „დაჩეხა“ იყო, ამიტომ მისი კონსტრუქცია მოითხოვდა, ხელი მისთვის ისეთნაირად მოეკიდათ, რომ სიმძიმის ცენტრი მახვილის ბოლოსკენ გადასულიყო, რაც საჭირო იყო დაკვრის დროს მოპირდაპირისათვის ღრმა ჭრილობის მისაყენებლად. ამგვარ მიზანს კი მიაღწევდენ იმ შემთხვევაში, თუ ტარის თავს ხელის გულს მოავლებდენ, რომ სიმძიმის ცენტრი მახვილის ბოლოსკენ გადასულიყო; მკლავი, ასე ვთქვათ, მახვილის ტარის გაგრძელებას მოგვეცემდა და ადამიანს საშუალება ეძლეოდა მოპირდაპირისათვის ჭრილობის მისაყენებლად უფრო მძლავრად, მოწყვეტით დაეკრა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ძველ დროში, ბრინჯაოს ჩამოსხმის დროს, საერთოდ ერიდებოდენ დიდ, გრძელ ფორმებს და უფრო შეკუმშულ, მოკლე ფორმებს ამჯობინებდენ, რომ ამით უფრო გაადვი-

<sup>1</sup>) Проф. Ранке, Человек, стр. 678, Петербург 1896.

<sup>2</sup>) F. de Villenoisy, Du mode d'emploi des épées antiques: *Revue archeol.* 1894, 230

<sup>3</sup>) П. Винклер, Оружье, стр. 40, Петербург 1894.


ლებოდათ ნივთის ჩამოსხმა ცოტა ბრინჯაოს დახარჯვით<sup>1</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ მახვილის ტარის ზომა ინდივიდუალურ ხელის სიდიდესთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული და ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ზომის ტარს (ტაბ. IV, V, VI, VII და VIII).

ჩვენი მახვილის ტარის ქული ნახევარ-სფეროსებურია; მისი დიამეტრი 45 მმ-ს უდრის და მასზე გეომეტრიული (წრის და სამკუთხოვანი) ორნამენტების საშუალებით ასტრონომიული მოტივები არის მოცემული (სურ. 25). საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ეს ასტრონომიული მოტივი?



სურ. 25. ზემოაეკალის მახვილის ტარის თავი.

ჩვერის აზრით ეს უნდა იყოს ვენერას გრაფიკული გამოსახვარვასხივიანი ვარსკვლავის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ვენერას გრაფიკული გადმოცემა ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ხალხთა



სურ. 26. ვენერას გრაფიკული გადმოცემა ძველ სუხაში.

შორის; მაგალითად, ირანელების რვადღიანი კვირა, სადაც თვითვეულ დღეს თავისი საკუთარი პლანეტა ჰქონდა მიჩნეული, ანუ არაბების

1) შემდეგში კი, როდესაც მახვილის „საჩეხ“ დანიშნულებას „საჩხვლეტი“ დანიშნულებაც მოემატა, მაშინ მახვილის სიმძიმის ცენტრიც შეიცვალა, ტარი კი დარჩა ისევ პატარა ზომის.

რვასხივა ვარსკვლავი—თილისმა, რომლის თვითეული სხივი ცალკე პლანეტას წარმოადგენდა, და რვა ერთად პლანეტათა სისტემას გადმოსცემდა, ვენერას გრაფიკული გადმოცემით ისახებოდა. ძველ სუზაშიდაც ვენერას რვასხივა ვარსკვლავით ხატავდნენ<sup>1</sup>.

ბაბილონში ნახულს იშტარის გამოსახულებას კისერზე რვასხივა ვარსკვლავი აქვს<sup>2</sup> და თვით იშტარიც ხანდახან სიმბოლოურად: რვა ან შვიდსხივა ვარსკვლავით გადმოიციემოდა<sup>3</sup>.

ღვთაება ნანას თავის ზემოთ რვასხივა ვარსკვლავი აქვს გამოსახული<sup>4</sup>. როგორც ღვთაების სიმბოლო, რვასხივა ვარსკვლავი აქვს გამოყვანილი ასურბანიპალის ყელის სამკაულს. ღვთაების სიმბოლოა აგრეთვე სარგონ II-ის სტელაზე ამოკვეთილი რვასხივა ვარსკვლავი<sup>5</sup>. პერგამენელების „ჯადო“, რომელიც რ. ვიუნშს აქვს შესწავლილი<sup>6</sup>, რვა ზონად არის დაყოფილი და, ვოლფგანგ შულციის გამოკვლევით<sup>7</sup>, ვენერას დასურათხატებას უნდა წარმოადგენდეს რვასხივა ვარსკვლავის საშუალებით. ძველი ბაბილონელების საჯადოქრო იდეოგრამაც რვასხივა ვარსკვლავით ისახებოდა<sup>8</sup> (სურ. 26).

ზემოთ მოყვანილი პარალელები ბადებს აზრს, რომ ჩვენი მახეილის ტარის ბოლოზე მოცემული რვასხივა ვარსკვლავი ვენერა უნდა იყოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ძველ აღმოსავლეთში ვენერა, როგორც საღამოს მნათობი, ცნობილი იყო ბედნიერების და სიყვარულის ღვთაებად, ხოლო, როგორც დილის ვარსკვლავი, ცნობილი იყო ომის ღმერთად (Kriegsgott). პირველ შემთხვევაში ის ითვლებოდა დედრობით სქესად, ხოლო მეორეში—მამრობითად<sup>9</sup>.

<sup>1</sup>) Ferdinand Bork, Planetenreihen: *Zeitschrift für Ethnologie*, S. 162, Heft 3/6, Berlin 1929. სურათები იხილე ბორკის შრომაში.

<sup>2</sup>) Manuel d'Archeologie Orientale par E. Babelon. Fig. 89, Paris 1888.

<sup>3</sup>) Eckard Unger, *Göttersymbol: Reallexikon der Vorgeschichte*. B. 4, zweite Hälfte, S. 440, Berlin 1926.

<sup>4</sup>) Eckhard Unger, S. 440.

<sup>5</sup>) სურათები იხილე: *Reallexikon der Vorgeschichte*. B. 4, zweite Hälfte, Taf. 207 und 208.

<sup>6</sup>) R. Wünsch, *Antikes Zaubergerät aus Pergamon*. Berlin 1905.

<sup>7</sup>) Wolfgang Schultz, *Das System der Acht im Lichte des Mythos: Memnon*, Bd. 4, S. 72, 1910.

<sup>8</sup>) Fr. Bork, Planetenreihen, S. 183—184.

<sup>9</sup>) Fr. Bork, *Kalender, Siernglaube und Weltbilder: Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien*, S. 83, Bd. 52, 1922.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ სუმერები და აკადები რელიგიური მიზნით სახავდენ თავიანთ ბეჭდებზე რვასხივა ვარსკვლავს<sup>1</sup> და, უძველეს დროში, რომ მაგიური მნიშვნელობით იარაღზე ვარსკვლავის გამოსახულებას აკეთებდენ, ამაზე მოგვითხრობს ამულეტების და თილისმების საუკეთესო მკოდნე მეცნიერი ს. ზელიგმანიც<sup>2</sup>. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტიც ვთქვათ. არამც თუ მახვილის ტარის ბოლოზე გამოხატულ რვასხივა ვარსკვლავი ომის ღმერთის ვენერას გადმოცემა არის, არამედ თვით სპირალების რიცხვს „5“ (თვითეულ რიგში), რომელიც მოცემულია მახვილის პირზე (სურ. 22 a და b; სხვათა შორის თვითეულს მახვილს, რომელიც ჩვენი მახვილის ტიპს უდგება, ყველას ხუთ-ხუთი სპირალი აქვს), ვენერასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ფ. ჰომელი ამბობს, რომ ვენერას კავშირი აქვს ხელის თითების რიცხვთან, 5-თან<sup>3</sup>. არაბებმაც ვენერა „ფატმას ზელს“ დაუკავშირეს და „ხუთთითა ხელის“ გამოხატულებას, როგორც ამულეტს, ხმარობენ. თილისმებსა და სხვა სამკაულებს უკეთებენ ხუთ-ხუთ ძეწკვს, ანუ ხუთ-ხუთ მძივს, ღილს, თვალს და სხვა, ვინაიდან ეს რიცხვი ხელის თითების რიცხვია. ზოგიერთ შეთხვევაში კიდევაც ცდილობენ ადამიანის სახელი იმნაირად შეარჩიონ, რომ რიცხვ „ხუთთან“ ჰქონდეს კავშირი (მაგალითად Hamis ანუ Hmeis) და მით ამ სახელის მატარებელი უბედურებისგან იყოს დაცული<sup>4</sup>.

ამრიგად, რიცხვი „ხუთი“, რომელიც ჩვენს მახვილზეა მოცემული სპირალების სახით, მაგიური დანიშნულების უნდა იყოს. შესაძლოა ამ რიცხვს ვენერასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რიცხვი ხუთი თვით ხელის სიმბოლოურად გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხელს კი, როგორც „იარაღების იარაღს“, როგორც ორგანოს, რომელმაც კაცობრიობას გზა გაუკაფა ცივილიზაციისაკენ, უძველესი დროიდან ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ხელის შემოქმედების დიდი როლი უძველესი დროიდან შეიგნო

<sup>1</sup> სურათები იხ.: *Reallexikon der Vorgeschichte*, Bd. 4, zweite Helfte, Taf. 154, Abb. i u. m; Taf. 155, Abb. a, b, c, d, u. e; Taf. 156, Abb. b; Taf. 158, Abb. e, c, g u. s. w.

<sup>2</sup>) S. Seligmann, *Der böse Blick und Verwandtes*, Bd. II, S. 154, Berlin 1910.

<sup>3</sup>) F. Hommel, *Die babylonisch-assyrischen Planetenlisten*. *Hilf-recht Anniversary Volume*, S. 88—170, 1909.

<sup>4</sup>) Fr. Bork, *Planetenreihen*, op. cit, S. 173.

აგრეთვე რელიგიურმა და მისტიურმა აზროვნებამაც (H. Я. Марр., Яфетическая теория, стр. 91. Аз. Гиз. Баку 1928) <sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ მახვილის პირზე გამოყვანილი ნიკებები (სურ. 22 d) გველის ან ზღვის იდეოგრაფიული გადმოცემა იყოს. ამგვარი აზრი მით უფრო მისაღებია, რომ ჩვენ ვიცნობთ მთელ რიგ ქვეყნებს, სადაც ნიკებების საშუალებით გადმოსცემდნენ როგორც ზღვას, ისე ზღვის ღვთაებად ქცეულ გველს. მაგალითად, ამგვარი აზრი დაადასტურა ელამის უამრავ ძეგლებზე (შეღებულ კერამიკაზე, ცილინდრებზე და სხვა) P. Toscanne-მა თავის მეტად საყურადღებო შრომაში: *Mémoires de la Délégation en Perse* XII, Etudes sur le serpent.

რომ ჩვენს მახვილზე მოცემულს სხვადასხვა გამოხატულებას მაგიურ-საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს აზრი ადვილად დასაშვებია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ უძველეს დროში სხვადასხვა ხალხი (მაგალითად ეგვიპტელები, ბაბილონელები, ასურელები და სხვები) ცხოვრების უმთავრეს მომენტებს მაგიურ-რელიგიური მოქმედებით გამოხატავდა <sup>2</sup> და თანაც უმთავრეს იარაღს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს და სხვას მაგიურ-რელიგიური ნიშნებით ამკობდა.

დე შელეთი აღნიშნავს, რომ დღესაც ბევრი პრიმიტიული ხალხი თავიანთ იარაღზე სახავს თავისივე კულტის ობიექტებს და ამით „იმსახურებს“ მათთან კარგ განწყობილებასო <sup>3</sup>.

თუ ჩვენი მახვილის ტიპის მახვილებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათზე სხვებთან ერთად გვხვდება ზეცის, დედამიწის და წყლის ატრიბუტების გამოხატულება. ზეცის ატრიბუტად თვითვე მახვილს აქვს რვასხივა ვარსკვლავი, წყლის—თევზი ან მისი დერივატი გველი და დედამიწის ატრიბუტად—ირემი <sup>4</sup>.

რვასხივა ვარსკვლავის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული. რაც შეეხება მახვილის ბოლოზე თევზის ბოლოს მსგავსის გამოსახ-

<sup>1</sup>) ძველი არიელების წარმოდგენა ხელზე, როგორც „Werkzeug aller Werkzeuge“, ბაბილონის მისტიური სახელი „die Stadt der Hand des Anu“, ან პირამიდა ბორსიბა, როგორც მარჯვენა ხელის „საცხოვრებელი“ სახლი და სხვა ბევრი ამგვარი იხილე Thurnwald-ის შრომაში: „Handsclag“: *Reallexikon der Vorgeschichte*, 5. Band, S. 96.

<sup>2</sup>) Theodor—Wilhelm Danzel, *Magie und Geheimwissenschaft*, S. 10. Stuttgart 1924.

<sup>3</sup>) Dèchelette, *Manuel d'Archéologie préhistorique, celtique et gallo—romaine* I, 268. Paris. 1908.

<sup>4</sup>) ირმის გამოხატულება ყველა მახვილს არ აქვს.

ვას (სურ. 23), აქაც უეჭველად მაგიურ-საკულტო მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე და არა რეალისტური სუეეტის გადამახინჯებულ სიმბოლიზაციასთან<sup>1</sup>. ცხადია აგრეთვე, რომ მაგიურ-საკულტო მნიშვნელობით არიან დადგმული ქვისგან გამოკვეთილი ვეშაპები ბევრს სხვადასხვა ადგილას.

მაგიურ-საკულტო მნიშვნელობით აკეთებდნენ ძველი ეგვიპტელები ქვის სატევრის ბოლოს თევზის ბოლოს მსგავსად (სურ. 27); მაგიურ მნიშვნელობას აძლევს თევზს ბევრი სხვადასხვა პრიმიტიუ-



სურ. 27. ეგვიპტეში აღმოჩენილი ქვის სატევარი, რომლის ბოლო თევზის ბოლოს მსგავსია.

ლი ხალხი, როგორც, მაგალითად, ციმბირის შამანები, რომლებიც დღესაც ამკობენ თავიანთ ტანსაცმელს თევზის ქვემო ყბის გამოსახულებით. ასეთივე მნიშვნელობით აკეთებდნენ წინააზიელები თევზის გამოხატულებას ზარებზე (*Reallexikon der Vorgeschichte* Bd. 4, 2, Hälfte. Taf. 144, Abb. b). ასურელებიც ნილაბს თევზის გამოხატულებით იკეთებდნენ, როდესაც სურდათ ავადმყოფის განკურნება მავნე „სულისგან“ (Eckard Unger, *Göttersymbol: R. d. V. B.* 4, S. 432). წყლის „ღმერთქალს“ ევასაც ხომ თევზის ფორმის ტანსაცმელი ჰქონდა და „შეეძლო“ ბოროტი „სულის“ განდევნა<sup>2</sup>.

მაგიურ-საკულტო დანიშნულება აქვს ირემსაც, რომლის გამოხატულება, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჩვენი

<sup>1</sup>) თუ ჩვენ სხვადასხვა ქვეყნების მითოლოგიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ თევზი ანუ მისი დერივატი გველი, ვეშაპი და გველეშაპი ქვეცას მცხოვრებია და ბუნების სტიქიასთან—წყალთან დაკავშირებული, წყლის მფლობელი. წყალი კი სიკეთის და ბოროტების მომცემი. წყალში ყოველ დღე ვსვენება „დედამზე“ და ბნელეთი იცავს სამყაროს, ბოროტება მეფობს, მაგრამ წყალი ისევ შობს „დედა-მზეს“ და ისევ შუქით იმოსება ყველაფერი, იმარჯვებს სიკეთე. ერთი სიტყვით დამყარებულია სიკეთის და ბოროტების, სიკვდილის და სიცოცხლის დაუბოლოვებელი ერთი მეორის შენაცვლება, დაუბოლოვებელი დამარცხება და გამარჯვება, დაუბოლოვებელი ბრძოლა. შესაძლოა, რომ ბოლოკვეთილ მახვილებზე მოცემულ ატრიბუტებში, სხვადასხვა მაგიურ-საკულტო მნიშვნელობასთან ერთად, ამგვარი მითოლოგიაში მოცემული იდეაც იყოს ჩაქსოვილი.

<sup>2</sup>) აქვე აღვნიშნოთ, რომ „თევზხერხა“-ს (*pristis antiquorum*) ცხვირის წინა ძვალი კბილებით იზმარებოდა როგორც იარაღი.

მახვილის ტიპის მახვილებზე. ხალხური გადმოცემით ირემი დედამიწასა და ზეცას შუა კავშირის გამბმელია. ირმის ნახტომების კვალს დღესაც „არჩევს“ ხალხი ცაზედ თეთრი ზოლების და შავი წერტილების სახით. ხალხური გადმოცემით ირმის რქები დედამიწიდან ზეცას აღწევენ და ცის კიდურს ებჯინებიან და ამიტომ რა გასაკვირია, თუ ამ არაჩვეულებრივი თვისებებით წარმოდგენილს ცხოველს არაჩვეულებრივ გავლენას მიაწერდენ.

ჩვენს მახვილზე გამოსახულ ვარსკვლავს შუა გულზე აქვს წრე (სურ. 25), რომელიც ორად არის გაყოფილი. წრის შიგნით ოთხი ცალი პატარა ზომის ლურსმანი უნდა ყოფილიყო ჩარჭობილი. ჩვენს მახვილს აქვს შერჩენილი მხოლოდ ორი ლურსმანი ნახევარ-სფეროსებური თავებით (სურ. 25); ლურსმნის თავის დიამეტრი 6 mm არის, ხოლო ლურსმნის სიგრძე—14 mm.

მახვილის ტარის ბოლოზე დაფანჯრული ადგილები (სურ. 25) ხის ნაწილებით ივსებოდა და წრის შუაგულში ჩარჭობილი ლურსმნები ხისავე ნაწილებით მაგრდებოდა. მართალია, ამ ხის ნაწილებიდან დროთა ვითარების გამო, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ გაშავებულმა და ისიც ნახევრად მტვრად ქცეულმა ნაშთებმა, მაგრამ მათმა ქიმიურ-მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ (მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის ლაბორატორიაში) დაადასტურა, რომ ისინი ეკუთვნიან ფართო ფოთლოვან ხეს (უკანასკნელის სახე ვერ იქნა გამოკვლეული). აქვე იღვნიშნავთ, რომ უძველეს დროში, ევროპის ჩრდილო მხარის მცხოვრებლები მახვილის ტარის ბოლოზე დაფანჯრულ ადგილებს ქარვით და სხვადასხვა ფერადი თვლებით ავსებდენ, რომ მახვილს უფრო ლამაზი შეხედულობა ჰქონოდა <sup>1</sup>.

მახვილის ტარი მასივური კი არ არის, არამედ ის გამოფულრულია. ამგვარად მის გაკეთებას ის უპირატესობა ეძლევა, რომ ცოტა მასალის დახარჯვით მახვილის ტარი სიმაგრესთან ერთად ღებულობს დიდს სიმჩატეს და ამრიგად სიმძიმის ცენტრი თავისთავად მახვილის ბოლოსკენ გადადის, რომ ხელი შეუწყოს მახვილის უმთავრეს დანიშნულებას, „ჩეხვას“. ამავე დანიშნულებას ხელს უწყობს უკვე ზემოთ აღნიშნული მახვილის პირის ბოლოს სისქეც.

მახვილის ტარი და პირი ერთსა და იმავე ყალიბში მთლიანად და ერთად არიან ჩამოსხმული. ყალიბი არ უნდა ყოფილიყო ქვის, რადგან ჩვენს მახვილს არ ეტყობა არავითარი შემაერთებელი ნაწიბურები, რომლებიც ქვის ყალიბში ჩამოსხმულ ნივთებს თან ახლავს. უფრო საფიქრებელია, რომ ჩვენი მახვილისათვის ჯერ იყო

<sup>1</sup>) Р анке, стр. 675.

დამზადებული სანთლის „მოდელი“, რომლის გარშემო აყალიბდა მიწის ყალიბი იყო გაკეთებული. როდესაც ამგვარად გაკეთებულ ყალიბში ბრინჯაოს ასხამენ, მაშინ სანთელი ღნება და სპეციალურად ყალიბში დატანებულ მილში გადის, ხოლო მის ადგილს ბრინჯაო იკვრის. რომ ჩვენი მახვილი ამავე წესით არის ჩამოსხმული, ამას მოწმობს მასზე მეტად ლამაზად და სუფთად გამოყვანილი სხვადასხვა ორნამენტები.<sup>1</sup> (შეადარე: M ö t e f i n d e, Geschichtsblätter für Technik 1914, S. 147 f; Z. f. Ethn. 1915, S. 309 ff.).

მახვილის მდიდრად მორთული ტარის და პირის ერთი მთლიანობა გვეუბნება, რომ ჩვენი მახვილი არ არის უპრიმიტიულესი; ის კარგად განვითარებულ ბრინჯაოს ინდუსტრიას მოწმობს. ჩვენ ვიცით, რომ უპრიმიტიულეს ბრინჯაოს მახვილებს ტარი არ აქვს ბრინჯაოსი; მათ აქვთ პირის ზემო ნაწილთან რამდენიმე ნახვრეტი ხის, ძვლის ან რქის კოტების დასაგებად; ან პირის ზემო ნაწილი აქვს სრულიად უორნამენტო, სადა, ბრტყელი ფორმის კურწი (Angelgriff) ტარის გასაკეთებლად, ან ზედ თოკის ან ტყავის შემოსახვევად, როგორც ეს ჰქონდა ყველაზე უძველეს კვიპროსის მახვილებს.

მახვილის პირის მოყვანილობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სწორად გადაკვეთილს ბოლოს, გვეუბნება, რომ ჩვენმა მახვილმა უკვე განიცადა ერთგვარი ევოლუცია და მახვილის უძველეს ფორმებს სრულებით დაშორდა. მაგალითად, თუ ჩვენი მახვილის პირს დავაკვირდებით, ნათლად შევამჩნევთ, რომ მისი ფხები ბოლოსკენ ორივე გვერდით ერთგვარ ჩაზნექილ რკალისებურ ფორმას იღებენ, რაც არ სჩვევია უძველეს მახვილებს, რომლებსაც ფხები ან პარალელურად მისდევენ ერთი მეორეს დიდს მანძილზე ან ტრიანგულარულ ფორმას იღებენ, როგორც, მაგალითად, ეს ემჩნევა სირიელების, ფილისტერების, კეფტიუსს და სხვა ხალხთა მახვილებს.

ჩვენი მახვილის პირის საერთო კონსტრუქციული მოწყობილობა გვეუბნება, რომ მახვილს ჰქონდა არა მხოლოდ „საჩხი“ და ღრმა ჭრილობის მიმცემი დანიშნულება, არამედ თვით გრძელი ჭრილობის მიმცემისაც, ვინაიდან მისი ბოლოსკენ ჩაზნექილი რკალისებური ფხები, დაკვრის დროს, თავის თავად უკანვე იწევს და ამრიგად „უსვამს“ და აღიდებს ჭრილობის სიგრძეს. მიუხედავად მისი ასეთი გაუმჯობესებული კონსტრუქციული მოწყობილობისა, ჩვენს მახვილს მაინც აქვს საკმაო არქაული ნიშნები შერჩენილი; მა-

<sup>1</sup>) სპირალები და ლარები მახვილის ჩამოსხმის შემდეგ არის ამოკვეთილი. ექსპერიმენტალურად დადასტურდა, რომ ბრინჯაოს უძველეს ნივთებზე ბრინჯაოსვე „საკვეთით“ შეეძლოთ სხვადასხვა სახეების ამოჭრა.

გალითად, მეტად ფართო პირი ტართან, მოკლე პირი<sup>1</sup> და ტარი და სხვა. ყველა ეს ნიშანი ნათლად გვეუბნება, რომ ჩვენი მახვილი დიდი ხანი არ არის რაც დასცილდა ზოგიერთ თავის პროტოტიპს, უძველესი დროის ფართო პირიან მოკლე სატევარს და „ნაჯახს“, და უმთავრესად შეინარჩუნა დაჩეხის თვისებები, რისთვისაც მას სიმძიმის ცენტრი ბოლოსკენ აქვს გადატანილი.

ჩვენი მახვილის ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი შემადგენლობა ბრინჯაო არის, რომელიც შეიცავს 90,07% სპილენძს (Cu), 9,89% კალას (Sn), 0,04% რკინას (Fe) და ფოსფორს (P)<sup>2</sup>. ეს ორი უკანასკნელი ნივთიერება განზრახ არ უნდა ყოფილიყო შერეული, არამედ შემთხვევით მოხვედრილა ან ბრინჯაოს გაკეთების, ან სპილენძის და კალის დამუშავების დროს, რაც სრულიად ადვილად იყო შესაძლებელი, რადგან სპილენძის მადანს თითქმის ყოველთვის თან ახლავს რკინის, ტყვიის, ნიკელის და სხვა მადნები. რომ ეს ნივთიერებანი (Fe და P) განზრახ ყოფილიყო შერეული, ბრინჯაოს ხარისხის შესაცვლელად, მაშინ მათი რაოდენობა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო.

ერთს დროს ცდილობდნენ ბრინჯაოს ანალიზის მიხედვით გამოეცნოთ, როგორც ბრინჯაოს ნივთის „ხნოვანება“, აგრეთვე ადგილი მისი გაკეთების, მაგრამ ამ მხრივ ჩატარებულ მუშაობას ჯერ კიდევ არ აქვს დასაყრდენი წერტილები<sup>3</sup>. ბრინჯაოს ნივთების ანალიზის მიხედვით ვიცით მხოლოდ, რომ უძველესი დროის ბრინჯაოს კალას შემადგენლობა 1—3% არ აღემატება, ხოლო უფრო ახალ დროისაში კი 6—16%-მდე აღის<sup>4</sup>.

<sup>1</sup>) შუხჩარდტი (გვ. 52) აღნიშნავს, რომ პირველყოფილი მახვილები მეტად მოკლე იყო.

<sup>2</sup>) ანალიზი გააკეთა სამეცნიერო ქიმიურ-ტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიკოსმა პ. ცისკარიშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას უცხადებთ.

<sup>3</sup>) ამ მხრივ საყურადღებოა ოსკარ მონტელიუსის შრომები: Findet man in Schweden Ueberreste eines Kupferalters? და Bronzezeit: *Reallexikon der Vorgeschichte*, B. II, S. 179—188.

<sup>4</sup>) კავკასიის ბრინჯაოს ნივთების ანალიზის შესახებ ცნობები აქვს მოყვანილი ა. უვაროვს, ი. არნიპოვს, კ. პეტროვს, რ. ვირხოვს, ვ. სკინდერს და სხვებს, მაგრამ ეს ცნობები ვერ არის გამოსაყენებელი რაიმე საყურადღებო შედეგების მისაღებად. უძველესი დროის ნივთების ქიმიური ანალიზების შესახებ საყურადღებო შრომა აქვს Helm-ს. Über die Bedeutung der chemischen Analyse bei vorgeschichtlichen Untersuchungen: *Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien*. Bd. XXX, Heft I; O. K r ö h n k e, Chemische Untersuchungen an vorgeschichtlichen Bronzen, 1900, S. 42 ff.; *ZfEthn Verhandlungen* 1897, S. 344, O l s h a u s e n u. a.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი მახვილის წარმოშობა? ცნობილია, რომ მახვილი კარგად განვითარებული ლითონის ინდუსტრიის დროს არის წარმოშობილი, და მის პროტოტიპად უძველესი დროის ლითონის სატევარია დასახული.

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს აგრეთვე, მახვილის პროტოტიპად ხის კეტი უნდა დაისახოსო. მართლაც, ავსტრალიის პრიმიტიულ ხალხთა შორის დღესაც ვხვდებით ხისგან გაკეთებულს „მახვილისებურ“ იარაღს. ოკეანიის მცხოვრებლები ამგვარ იარაღს უკეთებენ ხვიმენის ანუ ნათელთევზას კბილებს, ხოლო ძველი მექსიკის მცხოვრებლები—ობსიდიანის ნამტვრევებს, და ამრიგად იღებენ ერთგვარ დასარტყმელს და თანაც ჭრილობის მიმცემ იარაღს, რომელიც ყოველ შემთხვევაში მახვილის დანიშნულებას ასრულებს<sup>1</sup>. მაგრამ ამგვარი ხის იარაღის მახვილის პროტოტიპად აღიარებას მეტად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ადვილად შესაძლოა, რომ ეს იარაღი (ხის „მახვილი“) ლითონის მახვილის შემოდების შემდეგ წარმოიშვა. აგრეთვე დაუჯერებელია ის აზრი, ვითომც მახვილის პროტოტიპი დანა იყოს.

ჩვენი მახვილის პროტოტიპებად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხის „მახვილს“, უნდა ჩავთვალოთ სპილენძის ფართოპირა სატევარი და აგრეთვე მეტად გრძელი პირის მქონე ნაჯახი, რომლების მაგვარი უკვე გავრცელებული იყო როგორც წინა აზიაში, აგრეთვე ბევრს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს პროტოტიპები (სპილენძის სატევარი და ნაჯახი) იძლეოდნენ იდეას, რომ მათი უმთავრესი თვისებები ერთს იარაღში ყოფილიყო მოცემული, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მოპირდაპირისათვის მძიმე ჭრილობის მიყენება მანძილზედაც.

ზოგიერთის აზრით მახვილის იდეა უნდა მიეცა ტრიანგულარული ფორმის სატევარს, რომელსაც ტარი ისეთ ნაირად ჰქონდა დაგებული, როგორც ეს სურათზედ არის ნაჩვენები (სურათი იხილე შუხპარდტის შრომაში: *Alteuropa*, Abb. 17, S. 51). ამგვარად ტარდაგებულ სატევარს, ცხადია, ადამიანისათვის შეეძლო მიეცა იდეა მახვილის შექმნისათვის, მაგრამ ჩვენთვის თვით ამნაირად ტარდაგებული სატევარი მეტად საეჭვოა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეგვიპტეში აღმოჩენილს ქვის სატევარს, რომელიც უძველეს დროს ეკუთვნის, ბოლო თევზის ბოლოს მაგვარად აქვს გამოყვანილი (სურ. 27). სრულიად ამგვარივე ბო-

<sup>1</sup>) H. Schurtz, *Urgeschichte der Kultur*, S. 334, Leipzig und Wien 1912.

ლო ეტყობა ჩვენი მახვილისთანა ტიპის მახვილს, რომელიც ბაკურ-ციხეშია ნაპოვნი და რომლის ბოლოზე თევზის ფხის მოტივები არის მოცემული (სურ. 23). რომ ამგვარი ბოლო და ორნამენტი შემთხვევითი არ არის, ამაში გვარწმუნებს ბაკურციხეში აღმოჩენილი სხვა ამგვარისავე ტიპის მახვილები (ტაბ. IV, V და სხვა). მართალია, ჩვენს მახვილს ასეთი ბოლო და ორნამენტები დღეს აღარ ეტყობა, ვინაიდან მისი ბოლო ჟანგით არის შექმნილი და შეცვლილი, მაგრამ საფიქრებელია, რომ მასაც ამგვარივე ბოლო ჰქონდა თავდაპირველად. ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ეგვიპტის კაჟის ქვის სატევეარს უშუალო გავლენა ჰქონდა ჩვენი მახვილის ბოლოს წარმოშობაზე, მაგრამ დასაშვებია აზრი, რომ, როგორც ეგვიპტური სატევერის გამკეთებელს, აგრეთვე ჩვენი მახვილის ტიპისთანა მახვილების გამკეთებელს, თავდაპირველად ერთი და იგივე იდეა ასულდგმულედა.

შესაძლოა, ეგვიპტის კაჟის ქვის სატევერის მაგვარი სატევერები ერთს დროს კიდევაც იყო გავრცელებული წინა აზიაში და, თუ ჩვენ დღეს მათ ჯერ-ჯერობით ვერ ვპოულობთ, ამით მათი უარყოფა კიდევ არ შეიძლება.

დღეს მეცნიერებას ბლომად მოეპოვება სხვადასხვა ტიპის მახვილები, რომლების ფორმა და დამუშავების ტექნიკა გვეუბნება, რომ მათი განვითარება სხვადასხვა ევოლუციონური გზით მიდიოდა. ამავე მახვილებს ეტყობა, რომ მათი წარმოშობის ცენტრი მარტო სპილენძით მდიდარი კუნძული კვიპროსი არ უნდა იყოს, როგორც ეს ზოგს ჰგონია, მათი წარმოშობის ცენტრები ბევრს სხვადასხვა ადგილას არის საძებარი, რადგანაც მახვილის წარმოსაშობად ბევრს ქვეყანაში მოიპოვებოდა საჭირო მასალა და პირობები.

**ტიპოლოგიისათვის.** აღნუსხვა ყველა იმ მრავალფეროვანობის, რომელიც დღეს მახვილებს აქვს, ჩვენს პატარა წერილში შეუძლებელია და არც ჩვენს მიზანს შეადგენს მათი ტიპოლოგიის დადგენა. მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მახვილთა უმთავრესი ტიპების აღნიშვნა, რათა წარმოდგენა გვქონდეს, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს ჩვენს მახვილს, მახვილთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში.

ბრინჯაოს მახვილების რიცხვი, სხვა ბრინჯაოს ნივთებთან შედარებით, უფრო მცირე მოეპოვება არქეოლოგიას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც იმდენი მოგვეპოვება ძველი დროის დამახასიათებელი მახვილები და მათი გამოსახულებანი (მაგალითად კედლის მხატვრობა, ბარელიეფები და სხვა), რომ შეგვიძლია მათი ერთგვარი ტიპოლოგიის დადგენა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ჩვენ არ შეგვხვებოდა მთელს მსოფლიოში გავრცელებულს სხვადასხვა მახვილებს ფორმებს და არც მათს მთლიან ტიპოლოგიას, აღნიშნავთ მხოლოდ უმთავრესად საქართველოს მეზობლად. ან ცოტად თუ ბევრად დაშორებულს ქვეყნებში აღმოჩენილ მახვილებს, რომ შევძლოთ მათი ერთი მეორესთან შედარება. დავიწყოთ ქედაბეკიდან.

ქედაბეკში აღმოჩენილია ორი მახვილი; ერთი მათგანი ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში (სურათი იხ. *Материалы по археологии Кавказа*, вып. VI, табл. I, рис. 3), მეორე კი—საქართველოს მუზეუმში, ინვენტარის № 31—16/1. ეს მახვილები აშკარად განსხვავდება ზემოაგქალის მახვილისგან, როგორც თვით პირის და ბოლოს მოყვანილობით, აგრეთვე ტარითაც. იმ დროს, როდესაც ჩვენი მახვილის ტარი ბრინჯაოსი არის და ტარს შიგნით ღრუ აქვს დატანებული, ქედაბეკის მახვილმა ტარის ღრუსრულებით არ იცის და თანაც ტარის კონსტრუქციას სრულებით არაფერი აქვს საერთო ჩვენი მახვილის ტართან. ქედაბეკის მახვილს პირის გასწვრივ ქედის გამოსახვა არ ეტყობა (სურ. 21b); პირი თხელია; ღარები უფრო ხშირი, ფართო და ღრმა აქვს და თანაც ლამაზი სუფთა ნახელარია; პირის კრილი სულ სხვა მოხაზულობას იძლევა, ვიდრე ზემოაგქალის მახვილის პირის კრილი (სურ. 21a). ასე რომ მათი ტიპი სულ სხვა არის, ვიდრე ზემოაგქალის მახვილის.

ქედაბეკის მახვილის ტიპის მახვილები სხვადასხვა ადგილას არიან აღმოჩენილი. ამ ტიპის მახვილებს შემდეგში ჩვენ ყველას მოვიხსენიებთ.

კასპიის ზღვის ნაპირებზედ მდებარე ადგილებში, მაგალითად, ტალიში (სპარსეთი) მორგანის მიერ აღმოჩენილი მახვილები ტრიანგულარული ფორმის არის და ბოლოწაწვეტილი (Morgan, *Delegation en Perse: Memoires VIII*, p. 277, 283, 296, 318, 328), თუმცა ტალიში, როგორც ამას აღნიშნავს ჰანს ბონნეტი<sup>1</sup>, მოწვეტილი და დაშორებული იყო ძველი ორიენტის უმთავრეს კულტურულ ცენტრებს და ძნელი წარმოსადგენია, რომ მას კავშირი ჰქონოდა მცირე აზიის და ეგეოსის ქვეყნებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტალიშის მახვილების ტარი, პირის სქელი შუა ქედი და სხვაგვებუნება, რომ ამ მახვილებს ნათესაობა აქვთ ხმელთა შუა ზღვის ქვეყნების მახვილებთან და ამ უკანასკნელის ფორმებზედ არის აღმო-

<sup>1</sup>) Hans Bonnet, *Die Waffen der Völker des alten Orients*, S. 76<sup>1</sup> Leipzig 1926.

ცენებული. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტალიშის მახვილებს ზოგი ისეთი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ, რომლებითაც ისინი ხმელთა-შუა ზღვის ქვეყნების მახვილებისაგან განსხვავდებიან.

ასურელების და ბაბილონელების მახვილს ფხები ჯერ თითქმის პარალელურად აქვს, შემდეგ ფხები უცბად ერთდება და მახვილის პირს ბასრ, წვეტიან ბოლოს აძლევს<sup>1</sup>. ეს მახვილები ახლო ენათესავენა კვიპროსის მახვილს, რომელიც ბრინჯაოს ძველ ხანას ეკუთვნის (2500—2000) და რომლის სამშობლოდ თვით კვიპროსი ითვლება<sup>2</sup>. ამ კვიპროსის მახვილიდან განვითარდა სხვადასხვა ხალხთა მახვილები, მაგალითად, სირიელების, ფილისტერების და სხვათა. მართალია, ამ მახვილებს ტრიანგულარული ფორმა აქვს, მაგრამ ისინი მაინც უახლოვდებიან კვიპროსის მახვილს. ამ მახვილებთან ერთად ჩვენ გვხვდება სულ სხვა ფორმის მახვილიც, რომლის პირი დარღულია და ჭილის ფოთლის ფორმის მიმგვანო; პირს აქვს დატანებული კურწი კოტას. გასაკეთებლად და ბოლო კი წვეტიანია. ამ ტიპის მახვილი კარგად არის ცნობილი. მის სამშობლოდ ევროპა ითვლება; ის გაჩნდა მე-13 საუკუნის მიწურულში. საბერძნეთში ეს მახვილები ცნობილია მიკენის დროს, ხოლო კვიპროსზე და ეგვიპტეში— უფრო ახალ დროში.

ამ ტიპის მახვილებს პირის მოყვანილობით წააგავს ხეთების მახვილიც, თუმც ხეთების მახვილების ტარები სხვადასხვაობას განიცდიან. მართალია, ამონათხარ მასალებში ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ხეთების მახვილი, მაგრამ ამას გვეუბნება ხეთების ბარელიეფებზედ გამოყვანილი მახვილის ფორმები.

ეტყობა ხეთების მახვილს გავლენა ჰქონდა ასურელების მახვილზედ. სალმანასარ II-ის ანუ-ადად-ის ტაძარში ჩვენ ვხედავთ მახვილის გამოსახულებას, რომელსაც ნათლად ეტყობა ხეთთური მახვილის გავლენა. ასურელების მახვილი იმით განსხვავდება ხეთების მახვილისგან, რომ ამ უკანასკნელის ტარი და პირი ცალცალკე კეთდებოდა, იმ დროს როდესაც ასურელების მახვილის ტარსა და პირს ერთად ჩამოასხამდნენ ხოლმე. მაგრამ ეს გარემოება მარტივად აიხსნება: ჩვენ ვიცით, რომ ასურელების სატევარის პირი და ტარი მთლიანი იყო; ამიტომ მათ (ასურელებმა), როდესაც ხეთების გა-

<sup>1</sup>) *Zeitschrift für Ethnologie* 1890, p. 26 f.; Koldewey, *Tempel von Babylon und Borsippa*, p. 26; იხილეთ აგრეთვე: *Reallexikon der Vorgeschichte*. Her. v. M. Ebert. B. 4. 2 Hälfte, Tafel 268, Abb. c.

<sup>2</sup>) შეადარე Schurtz, S. 334 და Bonnet, S. 74.

ვლენით მახვილის კეთება დაიწყეს, აქაც მახვილს ერთი მთლიანი ტარი და პირი შეუქმნეს.

აღნიშნავთ კიდევ ერთს მეტად საყურადღებო, სრულიად ახალი ტიპის მახვილს, რომელიც თუმცა ეგვიპტეშია ნაპოვნი, მაგრამ რომლის სამშობლოდ ეგვიპტე არ ითვლება. ეს მახვილი არის მოკლე, მეტად ფართო პირი აქვს, ფხები პარალელურად ერთი მეორეს მისდევენ და პირის ბოლოზედ რკალისებურ ფორმას იღებენ. ამნაირი მახვილი აღმოჩენილია კრეტაზედ და მონტელიუსი და ნაუე აკუთვნებენ 1400 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

თუ მახვილის ზემოთ აღნიშნულს უმთავრეს ტიპებს ჩვენს მახვილს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ზემოაღვქალის მახვილი სულ სხვა ტიპისაა. ჯერ ერთი, ჩვენს მახვილს ბოლო სწორკუთხოვანი აქვს, პირის ფორმა არ არის არც ტრიანგულარული, არც კილის ფოთლის მაგვარი და არც ფხები მიჰყვება ერთი მეორეს პარალელურად. ზემოაღვქალის მახვილის ფხები ბოლოსაკენ ჩაზნექილი და რკალისებური მოყვანილობისაა; ტარიც თავისებურად არის გამოყვანილი, ასე რომ ჩვენი მახვილი სრულიად განსხვავებულ, განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მას განსაკუთრებულ ტიპად გამოვჰყოფთ და სახელად ზემოაღვქალის მახვილს უწოდებთ.

**ქრონოლოგიისათვის.** ჩვენ ვიცით, რომ მახვილები, ლითონის სხვა იარაღებთან შედარებით (მაგალითად, ნაჯახებთან, ისრის და შუბის წვერებთან, სატევრებთან და სხვა), უფრო ახალ დროს ეკუთვნიან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ქვის ხანაში მახვილი არ არსებობდა, ხოლო ლითონის ინდუსტრიის დასაწყისში კი ისეთი იარაღების კეთება დაიწყეს, რომლებიც ქვის ხანაში ცნობილი იყო. ქვის ინდუსტრიაში მახვილს არც შეეძლო წარმოშობა, ვინაიდან ქვის მახვილი თავისი სიმძიმით ყოველად უვარგისი იქნებოდა სახმარებლად.<sup>1</sup> ხოლო ხე და ძვალი, რომელსაც აგრეთვე ხმარობდენ იარაღის საკეთებლად, მახვილისათვის არ ვარგოდა. აქიდან ცხადია, რომ, ვინაიდან მახვილს არც პალეოლითში და არც ნეოლითში არ ჰქონია „წინასახე“, მას არც შეეძლო წარმოშობა ლითონის უძველეს ხანაში. მხოლოდ შემდეგში, როდესაც ლითონის ინდუსტრია უფრო განვითარდა, როდესაც მახვილის პროტოტიპებმა (სატევრებმა და ნა-

<sup>1</sup>) თუმცა ეგვიპტეში არის ნახული კაჟის ქვისაგან გაკეთებული გრძელი მახვილის პირი, რომელიც ხელით სახმარად სრულიად არ ვარგა და უნდა ვიფიქროთ, რომ მას მხოლოდ რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. О бермайер, стр. 164.

ჯახებმა) სხვადასხვა სახე მიიღეს, მახვილმაც იწყო განვითარება თავისებური ევოლუციონური გზით და საუკეთესო საომარ იარაღად გადაიქცა.

მართლაც, თუ დავაკვირდებით არქეოლოგიის მიერ მოპოვებულ უძველესი დროის სპილენძ-ბრინჯაოს ნივთებს, იქ მახვილებს ვერ შევხვდებით. უძველესი მახვილები აღმოჩენილია სპილენძით მეტად მდიდარ კუნძულ კვიპროსზე და უნდა მივაკუთნოთ, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მესამე ათასეულის მეორე ნახევარს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

თუმცა ზოგიერთი მეცნიერი კუნძულ კვიპროსს მახვილის სამშობლოდ სთვლის, მაგრამ ეს საკითხი გადაჭრილად არ შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, კუნძულ კვიპროსის მახვილის ფორმა ბევრს ქვეყანაში გვხვდება (მაგალითად, ჩრდილო ევროპის მხარეში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში), მაგრამ ეს კიდევ საბოლოოდ არ სწყვეტს საკითხს მახვილის სამშობლოდ მარტო კუნძულ კვიპროსის აღიარებისა. შესაძლოა მახვილები კვიპროსის გარეშე სხვადასხვა ადგილებშიდაც წარმოიშვა, მით უმეტეს რომ ამის პირობები ყველგან იყო შემზადებული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ამის მაჩვენებელი ნიშნებიც მოიპოვება. როდესაც კვიპროსის მახვილებმა მცირე აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში იწყეს გავრცელება, იქ ისინი შეხვდნენ სხვა გვარის ტიპის მახვილებს, რომლების სამშობლოდ კვიპროსი არ უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოების შესახებ ბონნეტი თავის ახალ შრომაში<sup>1</sup> აღნიშნავს: „Auch dieser ist kauni im Lande (ამბობს მცირე აზიაზე) selbst entstanden, denn er (მახვილი) zeigt deutlich Verbindung mit europäischen Typen“. ჩვენ გვგონია, რომ ბონნეტის ასეთი აზრი ნაადრევია. მართალია, ის ხმარობს სიტყვას „kauni“ და გადაჭრით არ ამბობს, მცირე აზიაშიდაც წარმოიშვა მახვილები, მაგრამ დღეს ჩვენ ვიცით, რომ მცირე აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში იყო ისეთი ტიპის მახვილები, რომლებიც მკაფიოდ განირჩეოდა ევროპისა და სხვა ქვეყნების ტიპის მახვილები-საგან. მოვიგონოთ ის სურათი, რომელიც გამოხატულია მენ-ხეპრ-პასენებას საფლავის კედელზე და რომელიც წარმოადგენს ძღვენის მირთმევის სცენას ტოტმოს მესამისადმი (მე XVIII დინასტია; W. M. Müller, Egyptological Res. II p. 18, pl. 14). ამ სურათზე სხვათა შორის მოსჩანს ერთი აზიელი, რომელსაც ბოლო-სწორკუთხოვანი მახვილი ხელში უჭირავს. საქართველოს მუზეუმში მოიპოვება

<sup>1</sup>) H. Bonnet, Die Waffen der Völker des alten Orients, S. 72. Leipzig 1926.

ხეთური ბარელიეფი, რომელზედაც ბოლო-სწორკუთხოვანი მახვილი უნდა იყოს გამოსახული<sup>1</sup>. ზემოაქალის, სამთავროს, ბაკურციხის და ზოგი სხვა ადგილების მახვილებიც ხომ ყველანი ბოლო-სწორკუთხოვანი და თავისებური კონსტრუქციის არის! მაშასადამე, მცირე აზიაში და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში მოიპოვება ისეთი მახვილები, რომელთა მაგვარი წინა აზიის გარეშე ქვეყნებში არ გვხვდება და რომელთა წარმოშობის ცენტრიც ისევ აზიაში უნდა ვიგულოთ.

ბაბილონელებს მახვილი უკვე ჰქონდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასეულის მიწურულში, ხოლო ასურელებსა და ხეთებს შორის მახვილის ხმარება კიდევ უფრო ადრე იყო გავრცელებული. ეგვიპტეში ჰიქსოსების დროს<sup>2</sup> (XIV—XVII დინასტია 1680—1580 წ.) მახვილი უკვე ხმარებაში იყო და 18 დინასტიის (1580—1350) დროს სირიელები და პალესტინელებიც უკვე იცნობდნენ მახვილს.

ვინკლერი აღნიშნავს (Vorderasien im 2 Jahrtaus., S. 61), რომ რამზეს II-ს (1348—1281) ხათუზილმა რკინის მახვილი გაუგზავნაო. ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ წინა აზიაში, არამც თუ ბრინჯაოს მახვილები, რკინის მახვილების კეთებაც ცოდნით უკვე მეორე ათასეულის მეორე ნახევარში.

რაც შეეხება ჩვენი მახვილის დათარიღებას ამის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.

სამთავროს უძველეს სასაფლაოს, სადაც ბოლო-სწორკუთხოვანი მახვილი იყო აღმოჩენილი, აგრეთვე კობანის და „რედკინ-ლაგერის“ კულტურას მონტელიუსი ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს. იმ დროს, როდესაც მორგანიო კავკასიის უძველეს სამარეებს (ე. ი. სამთავროს, კობანს, რედკინ ლაგერს და ზოგიერთს კიდევ სხვას) 3000—2500 წ. აკუთვნებს<sup>3</sup>, ამავე დროს ვირხოვი კობანის სასაფლაოს ყველაზედ უძველესად სთვლის, რასაკვირველია, იმ საფლავებთან შედარებით, რომლებიც დღემდის ცნობილია კავკასიაში, და მას მე XI—X საუკუნით (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ათარიღებს<sup>4</sup>. მაშასადამე-

<sup>1</sup>) ეს ბარელიეფი გამოცემული აქვს მორგანს Mission Scientifique au Caucase (II, pl. V) და Б. А. Тураев-ს, К истории хеттского вопроса, таб. VI, Петербург 1900. არც მორგანი და არც ტურაევი არ აღნიშნავენ, რომ ბარელიეფზე გამოსახულ ფიგურას მარჯვენა ხელში მახვილი უჭირავს.

<sup>2</sup>) *Annales du Service des Antiquites de l'Egypte* VII. pl. zu p. 114

<sup>3</sup>) Нидерле, Человечество, стр. 248.

<sup>4</sup>) R. Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Ossete Kaukasus, S. 118 u. 124. Berlin 1883.

მე ვირხოვის გამოანგარიშებით, სამთავროს სასაფლაოს<sup>1</sup>, ასე ვთქვათ, ხნოვანება მე-XI—X საუკუნის აქეთ უნდა გადმოვიტანოთ.

ფინელი არქეოლოგი ა. მ. ტალღრენი „რედკინ-ლაგერის“ და ყაზბეგის კულტურას, რომლის ხნოვანება ზემოაქალის სამარისას უახლოვდება, მე-XIII—IX საუკუნით ათარილებს<sup>2</sup>.

პროფ. ვ. გოროდცოვი ერთ კერძო წერილში მატყობინებს, ბოლოკვეთილი მახვილები მე XV საუკუნეს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეკუთვნიანო.

ბ. ფარმაკოვსკი რკინის ხანის დაწყებას კავკასიაში აკუთვნებს X საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, ზემოაქალის სამარეც ამავე დროს უნდა მივაკუთვნოთ, ვინაიდან ამ სამარის ხნოვანება ამიერ კავკასიაში რკინის ხმარებაში შემოღებით ხასიათდება<sup>3</sup>.

შანტრი უფარდებს კობანის კულტურას ჰალმშტადტისას, ესე იგი რკინის ხანის დასაწყისს ევროპაში<sup>4</sup> და ამრიგად მისი დათარილება ვირხოვისას უახლოვდება.

ა. ს. უვაროვი აღნიშნავს ასურეთის კულტურის გავლენას კობანის კულტურაზე და ფიქრობს, რომ ეს გავლენა ასურეთის მეფის სარიუკინის (სარგონის) დროს (721—704) უნდა მომხდარიყო. ეს ის დრო არის, როდესაც სარგონმა ეგვიპტე დაიმორჩილა და შემდეგ ომით მოადგა ურარტუს, ანუ კავკასიას. თუმცა აქვე აღნიშნავს უვაროვი, რომ ასურეთის გავლენას მე-IX საუკუნეშიდაც უნდა ჰქონოდა ადგილი, როდესაც ასურეთს მიზნად ჰქონდა კავკასიის დაპყრობა<sup>5</sup>.

<sup>1</sup>) როდესაც სამთავროს სასაფლაოს ვამბობთ, ჩვენ აქ ვგულისხმობთ სამთავროს ორმოსამარეებს, რომლების ხნოვანება ეფარდება ზემოაქალის სამარის ხნოვანებას.

<sup>2</sup>) A. M. Tallgren, *Kaukasus: Reallexikon der Vorgeschichte*, S. 266 B. VI. Berlin 1926. *The Kazbek Treasure. Eurasia Septentrionalis Antiqua*, V.

<sup>3</sup>) Б. В. Фармаковский, *Архаический период в России*, стр. 44: *Материалы по Археологии России*, №34. Петроград 1914.

<sup>4</sup>) Ernst Chantre, *Recherches Anthropologiques dans le Caucase: Etudes paleontologiques dans le bassin du Rhone. Age de bronze* Tome 2, p. 245.

<sup>5</sup>) А. С. Уваров, *К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе: Труды Арх. Съезда в Тифлисе*, стр. 8—9, Тифлис 1881.

ა. ს. უვაროვს ეთანხმება პ. ს. უვაროვაც და კიდევაც ცდილობს თავის დიდს შრომაში ეს აზრი უფრო დაასაბუთოს<sup>1</sup>.

ფ. ბაიერნის აზრით სამთავროს სასაფლაო კობანის სასაფლაოზე უფრო ძველია, ხოლო „რედკინ-ლაგერის“ სასაფლაო კი ამათხედ ძველი<sup>2</sup>. სამთავროს სასაფლაოს შესახებ ის საერთოდ ამბობს, რომ ეს სასაფლაო ეკუთვნის მე-VI საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-VI საუკუნემდის ჩვენი წელთაღრიცხვისა<sup>3</sup>. ი. ტოლსტოისა და ნ. კონდაკოვის აზრით კავკასიაში ცნობილი სამარეები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებზე ადრე არ უნდა მივაკუთვნოთ<sup>4</sup>.

აქ შეგვიძლო კიდევ მოგვეყვანა ბევრი სხვადასხვა მეცნიერთა აზრები, მაგრამ ყველა ზემონათქვამიდანაც ცხადია, თუ როგორი დიდი უთანხმოება არსებობს კავკასიის სამარეების დათარიღების საკითხში და გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს შეთანხმება არამც თუ აბსოლუტურს, არამედ შედარებითს დათარიღებაშიც.

რაც შეეხება ზემოაღვალის სამარის დათარიღებას, ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკმაო მასალები ამ რთული საკითხისათვის. შედარებითი მეთოდის მიხედვით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ის ერთად-ერთი უძველესი სამარეა, რომელიც ჯერ-ჯერობით საქართველოს ტერიტორიაზეა ცნობილი. შეგვიძლია აგრეთვე ვთქვათ, რომ მისი ხნოვანობა არ უნდა მივაკუთვნოთ მე XIII საუკუნეზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) უფრო ადრინდელ დროს; ამის საბუთს გვაძლევს ფიბულა, რომელიც ფ. ბაიერნმა აღმოაჩინა სამთავროში ჩვენი ზემოაღვალის ტიპის მახვილთან, ეგრეთ წოდებულ ორმოსამარეში<sup>5</sup>.

ჩვენ ვიცით, რომ ფიბულების სამშობლოდ სამხრეთი ევროპა ითვლება, საიდანაც ისინი სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელდნენ<sup>6</sup>. ვი-

<sup>1</sup>) П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, стр. 361—365: *Матер. по арх. Кавказа*, вып. VIII, Москва 1900.

<sup>2</sup>) Fr. Bayern: *Verhandlungen*, S. 327, 340 u. 346. Berlin 1882.

<sup>3</sup>) შეად. *Museum Caucasicum* ტ. V, გვ. 71.

<sup>4</sup>) И. Толстой и Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, стр. 109 и 126, вып. 3, Петербург 1890.

<sup>5</sup>) F. Bayern, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie, S. 340: *Verhandlungen*. Berlin 1882. ამ ფიბულის სურათი მოყვანილი აქვს ვირუბოვს ტაბ. V და თვით ბაიერნსაც შრომაში: «Untersuchungen über die ält. Gr. u. Schatzf. in Kauk.», Taf. XII, Fig. 1.

<sup>6</sup>) თუმცა ჯაკ დე-მორგანს ჰგონია, რომ ფიბულა ცენტრალურ აზიაში წარმოიშვა. Жак де-Морган, Доисторическое человечество, стр. 181,

კით აგრეთვე, რომ სულ უპრიმიტიულესი ფიბულის წარმოშობა მე XV—XIV საუკუნეებს შუა არის მოქცეული. ამ დროს განმავლობაში ფიბულები მეტად იშვიათად გვხვდება და, თუ გვხვდება, ისიც ევროპის რამოდენსამე განსაზღოვლ ადგილას. ფიბულების ფართო გავრცელება იწყება ევროპაში ჰალმშტადტის პერიოდიდან. მართალია, ხმელთა-შუა ზღვის მხარეში, სახელდობრ მიკენში, მე-XIV საუკუნეში არის აღმოჩენილი ერთად ერთი ფიბულა, რომლის ფორმა უპრიმიტიულესია, ესე იგი ვიოლინოს რკალისებური (Violinbogenförmig) <sup>1</sup>, მაგრამ ეს იყო იშვიათი შემთხვევა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამთავროს ფიბულა, რომლის ფორმა ნახევარ-წრის ფორმის მაგვარია და არ ეკუთვნის სულ უპრიმიტიულეს ფიბულათა ტიპს, და რომელიც ცოტად თუ ბევრად დაცილებულია თავის წარმოშობის ცენტრს, არ უნდა მივაკუთვნოთ მე-XIV—XIII საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხანას. ამიტომ თვით მახვილიც, რომელთანაც ეს ფიბულა იყო აღმოჩენილი, მე-XIV—XIII საუკუნეზე ადრე ვერ მოხვდებოდა სამარეში. მაგრამ სამთავროში აღმოჩენილი მახვილი თითქმის ხომ ისეთივეა, როგორც ზემოავეკალის, მაშასადამე ჩვენი მახვილიც, დაახლოვებით, ამავე დროს უნდა მივაკუთვნოთ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამთავროში ჩვენი მახვილის ტიპის მახვილთან აღმოჩენილია ამაზონების ცული, რომლის გამოხატულება ხეთთების მეფის ფიგურაზე არის მოცემული და რომელიც დაახლოვებით ამავე დროს მე-XIV—XIII საუკუნეს ეკუთვნის <sup>2</sup>. ამავე დროს ეკუთვნის აგრეთვე ხეთთური ბრტყელი უყურო „ნაჯახი“ რომელიც ფ. ბაიერნმა აღმოაჩინა სამთავროში ბოლო-სწორკუთხოვან მახვილთან ერთად <sup>3</sup>.

**სად არის ნაპოვნი ზემოავეკალის მახვილის ტიპის მახვილები?** ერთი ცალი არის ნაპოვნი ფ. ბაიერნის მიერ სამთავროში <sup>4</sup>. ერ-

Москва 1926. ასეა თუ ისე, ყოველს შემთხვევაში ფიბულა შემოსულია საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთიდან და არა აღმოსავლეთიდან.

<sup>1</sup>) Moritz Höernes, Prähistorische Archäologie, S. 427; Undest, Zu den ältesten Fibeltypen: *Zeitschrift für Ethnologie*, S. 206. Berlin 1889.

<sup>2</sup>) ამგვარი ცულები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბოლასკეიში და ამიერ კავკასიაში არის ცნობილი.

<sup>3</sup>) ბრტყელ „ნაჯახებს“ ფართო გავრცელება ჰქონდათ. ეს „ნაჯახები“ თანახმად კიმერების (ანუ კიმერიელების), ჰალმშტადტის, რუსეთის ძველ აღმოსავლურ კულტურას და სხვა. ჩვენის ფიქრით ამ ბრტყელ „ნაჯახებს“ ხელეწილნი იყვნენ და შეცდომით არიან ნაჯახებად აღიარებული.

<sup>4</sup>) სურათი მოყვანილია Museum Caucasicum, ტ. V, გვ. 64, ტაბ. VIII. ამ მახვილის შესახებ ცნობები აქვს აგრეთვე ვირუბოვს, Objets d'Antiquite ტაბ. III, სურ. 4 და ბაიერნს, Untersuchungen, ტაბ. XI, სურ. 4. მახვილი ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 1620.

თიცი აღმოჩენილია ზემოავჭალაში (აღწერა და სურათი ამავე შრომა-შია მოყვანილი). ზემოავჭალის ტიპის დანარჩენი მახვილები, რომლებიც საქართველოს მუზეუმს და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს მოეპოვება, შემდეგია:

სად არის ნაპოვნი	პირის სიგრძე ვადამდის	ტარის სიგრძე მთლიანად	პირის სიფართოება დასიახ	პირის სიფართოება ლოში	ინვენტარის ნომერი	
	cm	cm	cm	cm		
სოფ. საცხენისი . . . . .	43,8	11,2	8	4,4	21—26	(ტაბ. IV, 2) გადატეხი- ხილია შუაზედ.
(აღმოჩენის ადგი- ლი გაურკვეველია) . . . . .	48	11	7,8	3,6	88—12	(ტაბ. IV, 3) პირის ორი- ვე მხარეზე აქვს ერთი თხის (?) და სამი ირმის გამოხატულება.
ზაქათალის ოლქი . . . . .	53,5	11,5	7,5	5	161-16	(ტაბ. IV, 4) მხრები მა- ლალი და დაქანებუ ლი აქვს, ზურგის ქე- დი რელიეფურია.
ბაკურციხე . . . . .	54,5	10,8	7,5	4,9	4344	(ტაბ. V, 1).
" . . . . .	49,2	11	7,8	3,9	4345	(ტაბ. V, 2).
" . . . . .	50,2	10,2	8	4	4346	(ტაბ. V, 3).
" . . . . .	51,5	8,7	8,4	4	4349	(ტაბ. V, 4).
" . . . . .	—	—	—	—	4354	(ტაბ. VI, 1) ტარი აკლია; ოთხად არის გატეხილი.
" . . . . .	49,5	10	7,8	3,7	4352	(ტაბ. VI, 2).
" . . . . .	52,2	10,5	8,3	3,9	4351	(ტაბ. VI, 3).
" . . . . .	53	10,3	7,8	4,4	4348	(ტაბ. VI, 4).
" . . . . .	53	11	7,8	3,8	4343	(ტაბ. VII, 1).
" . . . . .	50,3	10,2	7,9	3,7	4350	(ტაბ. VII, 2).
" . . . . .	47,5	10,5	7,2	3,2	4347	(ტაბ. VII, 3).
სოფ. ნინოწმინდა . . . . .	47,3	10,2	8,4	4	3667	(ტაბ. VIII, 4).
ზემო მაჩხაანი . . . . .	51	10	8,4	3,8	4353	(ტაბ. VIII, 1).
კახეთი . . . . .	—	10,5	7,6	—	148	(ტაბ. VIII, 2) ბოლო აკლია.
სოფ. ნინოწმინდა . . . . .	—	11,5	8	—	4215	(ტაბ. VIII, 3) ბოლო აკ- ლია.
სოფელ კაკაბეთის თაევზე . . . . .	45,7	10,2	7,7	2,7	3235	(ტაბ. VIII, 4).
კახეთი . . . . .	—	10	7,5	—	150	(ტაბ. VIII, 5) ბოლო აკ- ლია.

შენიშვნა: ამ ცხრილში აღნიშნული პირველი სამი მახვილი ინახება საქართველოს მუზეუმში, დანარჩენები—საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში. ბაკურციხის მახვილები შემთხვევით ყველა ერთად არის აღმოჩენილი 1925 წ. მიწის მუშაობის დროს, კურგანის ძირში. მათთან ერთად აღმოჩენილია ექვსი ცალი ბრინჯაოს სატევარი, სამი ცალი ამაზონების ბრინჯაოს ცული, სამი ცალი ბრინჯაოს ეჩო, ოთხი ცალი ბრინჯაოს შუბის თავი, ხუთი ცალი რკინის შუბის თავი, 25 ცალი დიდი ზომის და 13 ცალი პატარა ზომის ბრინჯაოს რგოლები (ეტყობა ფულებზედ იყო ნახმარი), ბრინჯაოს ზოდები და სხვადასხვა წვრილი ნივთები.

ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილები მოეპოვება აგრეთვე მოსკოვის საისტორიო მუზეუმს სამი ცალი. ერთი მათგანი (ინვ. 55280) მუზეუმმა „სტროგონოვის“ სასწავლებელში შეიძინა და არ იციან, თუ სად არის იგი ნაპოვნი<sup>1</sup>. მეორე—ნაყილია ბაქოში, ხოლო მესამე—შეძენილია ტფილისში<sup>2</sup>.

ამავე ტიპის ორი მახვილი დაცულია ერმიტაჟში; ერთი მათგანი ნაპოვნია სოფ. ბოდბისში 1892 წ. ამ მახვილის სიგრძე 56 cm ტარის-ანად, პირის სიგრძე 45,5 cm; მეორე შეძენილია ზაქათალის ოლქიდან. მისი სიგრძე 58 cm, პირის სიგრძე ეფესამდის 48 cm.

აი ყველა ის მახვილი, რომელიც ზემოავჭალის მახვილის ტიპს ეკუთვნის და რომელიც ჯერ-ჯერობით მეცნიერებას მოეპოვება. მართალია, ზემოავჭალის ტიპის ერთ მახვილს (სატეგარის სახელწოდებით—Poignard en bronze) აღნიშნავს დე მორგანი „რედკინ-ლაგერიდან“<sup>3</sup>, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს ზემოთ მოხსენებული, სამთავროში აღმოჩენილი მახვილია და შეცდომით „რედკინ-ლაგერს“ მიწერილი. რამდენადაც ვიცით „რედკინ-ლაგერში“ არც ერთი მახვილი არ აღმოუჩენიათ, როგორც ამას ადასტურებს ფ. ბაიერი, რომელსაც ეკუთვნის „რედკინ-ლაგერის“ ვრცელი დამუშავება<sup>4</sup>.

როგორც სურათებიდან ჩანს, ზემოთ ნახსენები მახვილები ერთსა და იმავე (ზემოავჭალის მახვილის) ტიპს ეკუთვნის და წარმოდგენილია რამოდენიმე ვარიანტით, რომლებიც ერთი მეორისგან განსხვავდებიან როგორც ზომით, წონით, ბოლოს და მხრების მოყვანილობით; აგრეთვე ზურგის ქედის განვითარებით. ყველა ამ მახვილს ახასიათებს სრულიად ბლაგვი ბოლო, მრუდე, შიგნივ ჩაზნექილი რკალისებური ფხები, ტარის ღრუ, ტარის ბოლოზე რვასხივიანი ვარსკვლავი, ერთნაირი სპირალები და ღარები, თევზის ფხის ორნამენტი და სხვა; ყველა ეს აკუთვნებს ამ მახვილებს ერთსა და იმავე კულტურულ წრეს და ამავე დროს სხვა მახვილებისაგან ნათლად ასხვავებს<sup>5</sup>.

აქვე აღსანიშნავია ერთგვარი მახვილები, რომლებიც ზემოავ-

1) პროფ. გოროდცოვი წერილით მატყობინებს, ეს მახვილი ტფილისში არის ნაყილი.

2) ამ მახვილების აღწერა და სურათი იხ. Проф. А. Захаров, Кавказ, Малая Азия и Эгейский мир: Труды секции Археологии III, стр. 37, таб. II, рис. 2 и 4. Москва 1927.

3) Mission Scientifique au Caucase. Paris 1889. ტ. I, გვ. 95, სურ. 41.

4) F. Bayern, Untersuchungen, S. 8 u. 32.

5) საგულისხმოა აღნიშნით, რომ არქეოლოგიურს ლიტერატურაში ჩვენ დღემდის არა ვაქვს ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეშე.

ქალის მახვილის ტიპის მახვილებთან ახლოს ჩნდება და რომლებსაც მეცნიერულ ლიტერატურაში, შეცდომით, ზემოავეჭალის მახვილის ტიპს აკუთვნებენ<sup>1</sup>. არც ამ მახვილების რიცხვი არის დიდი. ერთი ამ მახვილთაგანი აღმოჩენილია ყოფილი ყაზახის მაზრაში<sup>2</sup>, ერთი — ლორუთში<sup>3</sup>, ერთი — ქედაბეკის ქარხნის ახლოს<sup>4</sup>, ერთი — სოფ. აკურაში<sup>5</sup>, ერთი — მდინარე არპაჩაის ნაპირას (ლენინაკანის ციხის მახლობლად)<sup>6</sup>, ორი ცალი — ქედაბეკის და კალაქანეთის ახლოს<sup>7</sup> და ერთიც — სოფ. ბოიანში (აზერბეიჯანი)<sup>8</sup>. ლიტერატურული წყაროების მიხედვით ამგვარი მახვილები უნდა იყოს აგრეთვე აღმოჩენილი შუშისა და განჯის რაიონებში, მაგრამ სად ინახება ეს მახვილები, ან რა ადგილას არის ისინი აღმოჩენილი, ჩვენ არ ვიცით.

ამ ორი ტიპის მახვილების გავრცელების რაიონებიც სხვადასხვა არის. პირველი ტიპის (ზემოავეჭალის) მახვილები გავრცელებულია ეხლანდელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა მხარისკენ, ხოლო მეორე ტიპის — აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში, მტკვრის მარჯვენა მხარისკენ (სურ. 28).

ზემოავეჭალის ტიპის მახვილს ეტყობა სხვადასხვა კულტურული წრეების გავლენა; მაგალითად, მასზედ გამოყვანალი სპირალები მცირე აზიის და ეგეოსის ზღვის ქვეყნებისკენ მიგვითითებს, ტარის მოყვანილობა და საერთოდ მისი კონსტრუქცია ხეთთურ გავლენას განიცდის; ხეთთურ გავლენას განიცდის აგრეთვე ტარის ყელზედ გამოყვანილი „ზონარ-ორნამენტი“ (ტაბ. VIII, 3); ტარის ბოლოზედ მოცემული ასტრონომიული მოტივი (ვარსკვლავი) და მახვილის პირზე გამოხატული ცხოველები ასურელების გავლენას გულისხმობს, ხოლო ზოგიერთი მახვილის მხრების ფორმა — სპარსულ აკინაკისას. ეტყობა ზემოავეჭალის ტიპის მახვილის გავრცელების რაიონში სხვა-

<sup>1</sup>) Проф. А. Захаров, Кавказ, Мал. Азия и Эгейский мир, стр. 37.

<sup>2</sup>) ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 28—15/1.

<sup>3</sup>) ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 51—05/4.

<sup>4</sup>) ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 31—16/1.

<sup>5</sup>) ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 1—29/1.

<sup>6</sup>) ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში, ინვ. 54322. სურათი და აღწერა იხილე ა. ზახაროვის შრომაში: Кавказ, Малая Азия и Эгейский мир, გვ. 36—37, ტაბ. II, სურ. 5.

<sup>7</sup>) ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში, სურ. იხ. А. А. Ивановский: *Материалы по археологии Кавказа*, вып. VI, табл. I, рис. 1 и 3.

<sup>8</sup>) Г. Филимонов, Закавказские древности: *Вестник О-ва древне-русского искусства*, стр. 100—102, № 11—12, Москва 1876.



დასხვა კულტურული წრეები ერთმანერთს ხედებოდა, ერთი მეორეზედ გავლენას ახდენდა და ადგილობრივ ფორმებთან ერთად ქმნიდა ჰიბრიდებს.

რადგანაც ლითონის დამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე კარგად იყო განვითარებული ძველ დროში, ზემოაღვალის ტიპის მახვილები ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული<sup>1</sup>. მართალია, დღეს ჩვენში კიდევ არ არის ბრინჯაოს ჩამოსასხმელთ ყალიბები აღმოჩენილი, მაგრამ ჩვენი არქეოლოგიური განათხარები თითქმის სულ სასაფლაოებია, სადაც ლითონის დამუშავების ნიშნების პოვნას (მაგალითად, ყალიბებს, ბრინჯაოს სადნობ ჭურჭელს და სხვა) არ უნდა მოველოდეთ. ჩვენში ხშირად პოულობენ სპილენძის და ბრინჯაოს ზოდებსა და ნამტვრევებს, მეტად მსხვილსა და დიდი ზომის ბრინჯაოს რგოლებს, რომლებიც ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელად უნდა ყოფილიყო დამზადებული. მართალია, ჩვენში არ არის კალა (ყოველს შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ზოგიერთები ადასტურებენ, რომ კავკასიის ახლო მდებარე ქვეყნებში, უძველეს დროში კალას ჰპოულობდნო, მაგალითად, მცირე აზიაში, კასტამუნში (სინოპიდან დასავლეთის მხრივ), კასპის ზღვის სამხრეთისკენ<sup>2</sup>, სპარსეთში, ავღანისტანში და სხვაგან),<sup>3</sup> მაგრამ ეს ჩვენს აზრს მაინც არ ეწინააღმდეგება. ჩვენ ვიცით ქვეყნები, სადაც არც კალა და არც სპილენძი ადგილობრივ არ მუშავდებოდა, მაგრამ ადგილობრივ, მიუხედავად ამისა, მეტად ბევრ ბრინჯაოს ნივთებს აკეთებდნენ, მაგალითად, შვეციაში და შვეიცარიაში. დღეს ამ ქვეყნებში განვითარებული ძველის დროის ბრინჯაოს ინდუსტრია ყველასათვის დამტკიცებულად ითვლება (Ранке; стр. 674). ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ შვეციაში, ძველ დროში, არც კალას და არც სპილენძს ადგილობრივ არ ამუშავებდნენ, თუმცა ეს მადნები იქ საკმა-


<sup>1</sup>) რომ ბრინჯაოს ინდუსტრია გავრცელებული იყო კავკასიაში, ამას ბევრი მკვლევარი მხარს უჭერს. მაგალითად Rudolf Virchow-ი ერთს თავის შრომაში ამბობს: «Man wird daher wohl annehmen dürfen, dass in der Gegend von Kalakenet und Schuscha Centren der Metalltechnik bestanden haben» (Ueber die culturgeschichtliche Stellung des Kaukasus: *Abhandlungen der Königl. Preuss. Akademie der Wissenschaften zu Berlin* 1895). მორიც ჰოერნესი ამბობს, რომ ბრინჯაოს გაკეთებას თავდაპირველად ამიერ-კავკასიაში, ან მის მოსაზღვრე ქვეყნებში მიხედნო.

<sup>2</sup>) E. Tietze, Die Mineralreichthümer: Persiens. *Jahrbuch d. k. k. geologisch. Reichsanstalt in Wien* XXIX, S. 640, 1879.

<sup>3</sup>) Fischer: *Neues Jahrb. f. Mineralogie*. Bd. II, 1882, S. 91, 92. Prof. Arzruni, Über das Vorkommen von Zinnstein und die Bronzeindustrie des Kaukasus: *Verhandl.* Berlin 1884, S. 58.

ოდ მოიპოვებოდა. ბრინჯაო ზოდებად შედიოდა ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში და იქ ადგილობრივ ამზადებდენ სხვადასხვა ნივთებს<sup>1</sup>.

რომ ბრინჯაო ჩვენში მზადდებოდა, ამის დასამტკიცებელი მასალა დღეს კიდევ არ მოგვეპოვება, მაგრამ არც ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ლითონი ჩვენში არ მზადდებოდა; არ შეგვიძლია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩვენი მახვილი იმპორტის ან ნადავლის შედეგია, ვინაიდან განათხარი ამგვარი მახვილები ჩვენ არც ერთს სხვა ქვეყანაში არ ვიცით, გარდა ჩვენი მხარისა. ამიტომ ჩვენი მახვილის ტიპის მახვილების განვითარება და წარმოშობა, განათხარი მასალების მიხედვით, ჯერ-ჯერობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას უნდა მივაკუთვნოთ და ავთოხთონურად ჩავთვალოთ.



სურ. 29. ბრინჯაოს სამაჯურები.

**სამაჯურება.** მარცხენა, წინა მკლავის ძვლებზედ წამოცმული იყო ორი ცალი ბრინჯაოს სამაჯური (სურ. 29 და სურ. 3F); ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში შედიოდა Cu 88,06%, Sn 9,31%, ხოლო სხვადასხვა ნივთიერებანი 2,63%.

სამაჯურებს უფრო ოვალური ფორმა აქვთ, ვიდრე წრის; ამიტომ თვითეულ მათგანში ორს სხვადასხვა ზომის დიამეტრს (პატარა D=5,4 cm, ხოლო დიდი D=6,2 cm) ვარჩევთ.

სამაჯურები წარმოადგენენ გახსნილ რგოლებს ერთი მეორეზედ თავებ-შექცეულს, ასე რომ ყოველთვის არის შესაძლებელი მათი მორგება მკლავის სხვადასხვა ადგილას.

სამაჯურები ნაკეთებია მსხვილი ოთხწახანაგოვანი „მავთული-საგან“, რომელსაც სამი გვერდი თითქმის ბრტყელი აქვს, ხოლო მეოთხე (გარეთა) — ამოდრეკილი. ამ მავთულის საშუალო სისხო 0,6 cm არის; არავითარი ორნამენტი მას არ ამკობს და ეტყობა მეტად პრიმიტიული ხელობა.

<sup>1</sup>) Нидерле, Человечество в доисторические времена, стр. 282. Петербург 1898.

ამგვარი სამაჯურები არის აღმოჩენილი კავკასიის სხვადასხვა კუთხეში. სხვათა შორის აღმოჩენილია კობანშიდაც და შ ა ნ ტ რ ი ამ უკანასკნელის სასაფლაოს შესახებ ამბობს: ის ჩონჩხი, რომელსაც მაჯაზე ორი სამაჯური აქვს შერჩენილი, დედაკაცის არისო <sup>1</sup>.

**ბეჭდები.** მარცხენა ხელის უსახელო თითის პირველ ფალანგზე წამოცმული იყო ოთხი ბეჭედი (სურ. 5); ამათგან სამი—მთლიანად იყო შენახული, ხოლო მეოთხე—ჟანგისგან სრულებით დაშლილი. ბეჭდის ნატეხები ვიპოვეთ აგრეთვე ფიალის შიგნით, სადაც მარჯვენა ხელის ძვლის ნაწილები იყო მოხვედრილი.

ბეჭდები, ისე როგორც სამაჯურები, მთლიან რგოლებს არ წარმოადგენენ; თავები ამათაც ერთი მეორეზე აქვთ შექცეული. ბეჭდები 2 mm-ის სისხო მავთულისაგან არიან ნაკეთები და გარდღივარდმო დაღარული. თვითეული ბეჭდის დიამეტრი—1,8 cm. ქიმიურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ბეჭდები ბრინჯაოსია, რომლის შემადგენლობაში შედის Cu 88, 47<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო Sn—11,68<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

**მახათი** ბრინჯაოსია და სიგრძით 10,5 cm უდრის. მას ყური მოტეხილი აქვს, ცოტად თუ ბევრად მოღუნულია და თანაც ოთხად არის გატეხილი (სურ. 3 1). აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მახათებს უმეტეს შემთხვევაში ყოველთვის მოღუნულს. პოულობენ სამარეებში.

**ღილები** (ბრინჯაოსი) სამი ცალი ვიპოვეთ. ამათი ფორმა ნახევარსფეროსებურია და „კედლის“ სისქე 1 mm არ აღემატება (სურ. 7).

**ფირფიტა** (ესეც ბრინჯაოსი) ვიპოვეთ ხანჯლის ანუ დანის სრულიად ჟანგად ქცეულ ნაშთებთან (სურ. 4 b) და, ცხადია, გამოყენებული იყო ნახსენები იარაღის ტარის ბოლოს სამკაულად. ფირფიტის სისქე 1,5 mm-ა. მას მომრგვალო ფორმა აქვს. ერთი მისი დიამეტრი 2,8 cm-ა, ხოლო მეორე—2,4 cm.

**ლურსმნები**-ც ბრინჯაოსია და ფირფიტასთან ერთად იყო აღმოჩენილი. უეჭველია, რომ ესენიც ზემოთ ნახსენები იარაღის ტარის სამკაულად იყო ხმარებული. თვითეულს ლურსმანს თავი ნახევარსფეროსებური აქვს, ბოლო სრულებით ბლაგვი, სიგრძე კი 1 cm არ აღემატება.

#### აკინის ნივთები.

**შუბის თავი.** სიგრძე დაახლოვებით 23 cm-ა, აქვს ღრუ ბუნის დასაგებად (სურ. 6).


<sup>1</sup>) Chantre, Matériaux pour l'histoire primitive et naturelle de l'homme. შეადარე Rudolf Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, S. 42, Berlin 1883.

ხანჯალი (ანუ დანა) სიგრძით 20 სმ-ამდის არის. პირი სქელი უნდა ჰქონოდა (სურ. 3 J).

ეს ორი ზემოთ ნახსენები რკინის ნივთი (შუბის თავი და ხანჯალი) იმდენად არის ჟანგიოთ შეცვლილი და ფრაგმენტებად ქცეული, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მათზე რისამე თქმა. ამათ გარდა სხვა რაიმე რკინის ნივთი სამარეში არ აღმოჩენილა.

### თიხის ჭურჭელი.

ფიალი. თიხის ჭურჭელი სამარეში აღმოჩნდა მხოლოდ ხუთი ცალი. მიცვალბულის მარჯვენა მხარეს ჩადებული იყო ფიალი (სურ. 3B და 30), რომლის სიმაღლე 175 მმ უდრის, ზემო ნაპირის წრის დიამეტრი—460 მმ. ფიალის ზემო ნაპირთან დატანებულია მოკლე მილი, რომლის სიგრძე, ფიალის გარეთა პირიდან, 12 მმ-ს უდრის. მილი დაცვილებულია ფიალის კიდეს 16 მმ-ით. მილის დიამეტრი 17 მმ-ს არ აღემატება, ხოლო მისი სისქე—7 მმ-ს. ფიალის ნაპირი სამი სანტიმეტრის სიგანეზე ცოტად შიგნით არის გადაქანებული და თავდება მრგვალი ფორმის კიღურით, რომელიც გარეთა პირისკენ არის მომართული. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიალი გადაკვეთილი კონუსის ფორმას გვაგონებს, თუ ამ კონუსის მცირე ფუძეს ფიალის ძირად წარმოვიდგენთ. თიხა, რომლიდანაც ფიალი არის ნაკეთები, კარგად დამუშავებულია და თანაც მშვენივრად გამომწვარი, თუმცა მას მოშავო ფერი დაჰკრავს.



სურ. 30. ფიალი (ზემო ნაპირთან დატანებული მილი მოჩანს).

ფიალი მორგვე <sup>1</sup> არის ნაკეთები და არავითარი ორნამენტი მას არ ამკობს. ამგვარი ფიალები ნახული აქვს ფ. ბაიერსს სამთავროს უძველეს («Kuppelgräber» ანუ Brunnengräber) საფლავებში,

<sup>1</sup> მორგვი უკვე ჰქონდათ ხმარებაში ეგვიპტელებს 1900 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მაგრამ ამ ფიალებს ნაპირზე არ უნდა ჰქონდეს მილი დატანებული-  
ყოველ შემთხვევაში ეს არ არის მათს აღწერაში მოხსენებული და  
არც მათს სურათზე ჩანს (B. Wyruboff, Pl. X, f. 10, 12).

ზოგიერთი მკვლევარი ფიალის წარმოშობას მეტად ძველ დროს-  
აკუთვნებს (მაგალითად, Klemm-ი ერთს თავის შრომაში «Handbuch  
der germanischen Alterthumskunde»). საერთოდ კი ზემოთ ნახსენები  
ფორმის ჭურჭელი ბევრს სხვადასხვა ადგილას არის ცნობილი ნეო-  
ლითის დროიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდის.



სურ. 31. ფიალი, რომლის შიგნით მოჩანს ჯამი და წინამხრის ძვლები.

ჯამი, რომელიც ფიალის შიგნით იყო ჩადებული პატარა ზო-  
მისაა და ნაპირები შემოკეთებული აქვს (სურ. 30 და 31). ამ ნაპირე-  
ბის წრის დიამეტრი 222 მილი უდრის. ჯამს საკმაო (57 მილი) სიღრმე  
აქვს და სისქით 8 მილი-ს არ აღემატება. მისი თიხა კარგადაა და-  
მუშავებული და საკმაოდ გამომწვარი. ჯამი მორგეზე არის ნაკელები  
და არ აქვს ორნამენტები. ჯამის ჩამომტვრეულ ნაპირებს თუ და-  
ვაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მისი შიგნითა და გარეთა პირი  
სრულებით შავია და თანაც მოპრიალეებული, ხოლო გულისკენ კი  
მოწითული ფერი დაჰკრავს.

სამარეშივე იყო ერთი მოკლე ყელიანი, დიდ პირიანი და ფართო მუცლიანი დოჭი (სურ. 3 A და 32), რომლის სიმაღლე 287 მმ უდრის, ხოლო მუცლის უდიდესი დიამეტრი—270 მმ; ყელის სიმაღლე—61 მმ; ამავე ყელის ზემო პირის დიამეტრი—95 მმ, ხოლო ქვემოსი—73 მმ. ძირი ბრტყელია და მისი დიამეტრი 96 მმ-ია. დოჭის კედლების და ძირის სისქე 7 მმ-ს უდრის. ტარი იმდენად პატარა აქვს, რომ მოზრდილი ადამიანის ხელისათვის სრულიად შეუფერებელია. ტარის ცალი თავი მიმაგრებულია ყელის ზემო ნაპირზე.



სურ. 32. დოჭი.

ამ ჭურჭლის თიხა არ არის ძალიან წმინდა და აქვს მუქი ნაცრის ფერი. დოჭი გაკეთებულია მორგვზე, მშვენიერად არის გამომწვარი და მუცლის გარშემო, ტარისკენ უფრო ახლოს ვიდრე ძირისკენ, სამი ამოღარული წრე უვლის პარალელურად 8 მმ-ით ერთი მეორეზე დაშორებული. სხვათა შორის, ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ტრაპიზონში (მეექვსე შრე).

**კოჭობი:** ჩონჩხის წინ იდო. პატარა ზომის, დაბალი ორყურა კოჭობი (სურ. 3), რომლის მუცლის შუა ადგილი ირგვლივ თვალსაჩინოდ არის გარეთ გამოწეული (სურ. 33b და სურ. 34b). ამ ჭურჭლის სიმაღლე 94 მმ-ია, დიამეტრი—125 მმ, ზემო ნაპირების წრის დიამეტრი—67 მმ, ძირის დიამეტრი—62 მმ. ჭურჭლის ყურები ორივე

გვერდით გახვრეტილია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ჩამოკიდება, ან ხელის მოსაკიდის გაკეთება (სურ. 34 ბ).




a

b

სურ. 33. მუცელვიწრო (a) და ორყურა (b) კოჭობები.

ზემოთ აღნიშნული ჭურჭლის გვერდით წაქცეული იდვა ძალიან პატარა, მუცელვიწრო კოჭობი. მისი სიმაღლე უდრის 83 mm-ს; ხოლო მუცლის დიამეტრი 62 mm-ს (სურ. 33 a და 34 a); პირის წრის დიამეტრი 39 mm-ია, ხოლო ძირის 32 mm.



a

b

სურ. 34. მუცელვიწრო (a) და ორყურა (b) კოჭობები (ზემოდან დახედვით).

ამ ორი უკანასკნელი ჭურჭლის კედლების სისქე ცოტა უფრო ნაკლებია, ვიდრე დანარჩენი ჭურჭლის კედლების; ორივე მორგვზეა გაკეთებული და მათი თიხის ფერი, დამუშავება, გამოწვა—თითქმის იგივეა, როგორც სხვა უკვე ნახსენები ჭურჭლის. ძირი ამათაც ბრტყელი აქვს.

საერთოდ, როდესაც ზემოავჭალის სამარის ჭურჭელს თვალს გადავაგლებთ, შევამჩნევთ, რომ მისი ფორმები ან მოკვეთილ კონუსს მოგვაგონებენ (მაგალითად, ფიალი, სურ. 30), ან ორ მოკვეთილ კონუსს, ძირა ფუძეებით ერთად შეერთებულს (მაგალითად, ორყურა კოჭობი, სურ. 33, დოქი, სურ. 32). ეს გარემოება ამთავითვე უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ შესაძლოა შემდეგში ამგვარი ფორმის ჭურჭელი ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ცალკე გამოვყოთ.

ზემოთ უკვე იყო მოხსენებული, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილ ზემოავჭალის ჭურჭელს არ აქვს ისეთი ფერი, რომელიც ჩვეულებრივ, თანამედროვე, კარგად გამომწვარ თიხის ჭურჭელს სჩვევია, არამედ — მოშაო (მუქი ნაცრის ფერი).

როგორ უნდა ავხსნათ ასეთი გარემოება?

ჩვენ ვიცით, რომ წმინდა თიხა, რომელიც უმეტეს ნაწილად არის შედგენილი ფელდშპატების დაშლისა, თავისი ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს წყალნარევ ალუმინიუმის სილიკატს და გამოიხატება ფორმულით  $Al_2O_3 \cdot 2 SiO_2 \cdot 2 H_2O$ ; მაგრამ ამგვარი შემადგენლობით თიხა ბუნებაში თითქმის სრულიად არ გვხვდება; მას ყოველთვის აქვს შერეული სხვადასხვა ორგანიული და არაორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც წმინდა თიხის მოთეთრო ფერს ბევრნაირად სცვლიან: მომწვანოდ, მოლურჯოდ, მოშავოდ და სხვა. თიხის კარგად გამოწვის დროს, ყველა ორგანიული ნივთიერება იწვის; ხოლო არაორგანიული — (როგორიც არის უმთავრესად რკინის ქანგი) აძლევს გამომწვარ თიხას მოჩალისფრო ან მოწითურ ფერს.

თუ აყალო მიწას არ აქვს რკინის ქანგი და თანაც ორგანიული ნივთიერებით სულ შავად არის შეღებილი, ასეთი აყალო მიწა გამოწვის შემდეგ ლებულობს თეთრ ფერს.

მაშ როგორ არის, რომ მიწაში ნაპოვნ, ძველი დროის კარგად გამომწვარ ჭურჭელს, ზოგიერთ შემთხვევაში შავი ან მოშავო ფერი აქვს ხოლმე, როგორც, მაგალითად, ჩვენს მიერ ნაპოვნ, ზემოთ მოხსენებულ ჭურჭელს. ამგვარ გარემოებას სხვადასხვა ნაირად ხსნიან: მაგალითად, F. J ä g e r-ი (*Verhandl.* 1878, S. 228. *Verh.* 1879, S. 43; *Verh.* 1882, S. 457) თიხის ჭურჭლის შავ ფერს აწერს თიხისავე ჭურჭლის უხერხულად გამოწვას, რომლის დროს ვითომდა კვამლით იმურებოდა თიხა და ამიტომ ჭურჭელი შავ ფერს ლებულობდა<sup>1</sup>. ეტყობა Rudolf Virchow-იც ამ აზრს ადგია კობანის სასა.

<sup>1</sup>) დღესაც აფრიკის ზოგიერთი ზანგები თიხის ჭურჭელს უმორგვოთ აკეთებენ, ახშობენ მზეზე, შემდეგ ყოველ მხრივ შემოუწობენ თივას და ცოტად თუ ბევრად ახერხებენ გამოწვას.

კლასს შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში (Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, S. 110, Berlin 1883). ამავე გარემოებით ხსნის უვაროვი კობანსა და მცხეთაში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის შავ ფერს (Уварова, Могильники Северного Кавказа: *Материалы по археологии Кавказа*, вып. VIII, стр. 72, Москва 1900. Die Sammlungen des Kaukasischen Museums B. V, S. 69, Tiflis 1902). И. П. Красников-ი აღნიშნავს, რომ თიხის ჭურჭელს შავი ფერი მიეცემოდა, მას (ჭურჭელს) გამოწვამდის წაუსვამდენ ფისს, ქონს, სანთელსა და სხვა ამგვარ ნივთიერებას და შემდეგ, გამოწვის დროს, ასეთი ჭურჭელი კვამლის გავლენით იღებდა მუქს, ხან სრულიად შავ ფერს<sup>1</sup>. ზოგიერთი თიხის ჭურჭლის შავ ფერს ხსნის იმ გარემოებით, რომ მასში (თიხაში) „გრაფიტი“ (მინერალური ნახშირი) არის გარეული<sup>2</sup>. მაგრამ გრაფიტნარევი თიხა, თუ ის ძლიერ კარგად გამოძწვარი არ არის, ადვილად გამოსაცნობია, ვინაიდან დანითაც კი შეიძლება მისი დაჭრა და ამ ნაჭრების, როგორც თანქრის, გამოყენება.

ზემოაღწილასა და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილი შავი კერამიკა გრაფიტის გარეგით არ აიხსნება. ამ კერამიკის შავი ფერი სხვა მიზეზებით არის გამოწვეული.

ჩვენ გვგონია, რომ კერამიკის შავი ფერი აიხსნება სხვადასხვა გარემოებით და აგრეთვე თვით აყალო მიწის მოშავო ფერითაც, რომელიც მას ჰქონდა მიღებული ორგანიული და არა ორგანიული ნივთიერებიდან. ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში კერამიკა კარგად არ იყო გამოძწვარი, ამიტომ სულ მთლად ერთიანად არ იწოდენ აყალო მიწაში შერეული ნივთიერებანი და თიხის ჭურჭელს „გამოწვის“ შემდეგ მოშავო ფერი რჩებოდა. რომ მართლაც შავი თიხის ჭურჭელს თან ახლავს ორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც მას მოშავო ფერს აძლევენ, ამაში ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ ექსპერიმენტალურად. ამისათვის საჭიროა შავი თიხის ნატეხი ან მთელი ჭურჭელი კარგად გამოწვავთ და ჩვენ მივიღებთ მოწითალო ფერს, ვინაიდან თიხაში შერეული ორგანიული ნივთიერებანი დაიწვის და რკინის ჟანგი, რომელიც თიხაში ურევია, ბუნებრივ თეთრს თიხას მოწითალო ფერს ჰისცემს. მაგრამ აქვე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ

<sup>1</sup>) Керамика и ее сохранение. Изд. Государств. Академии Истории Матер. Культ. стр. 28 и 30. Ленинград 1926.

<sup>2</sup>) Alfred Götze u. J. Kostzewski, Graphit u. graphitierte Gefässe: *Reallexikon der Vorgeschichte*. B. IV, zweite Hälfte, S. 498. ახ. აგრეთვე Museum Caucasicum, B. V, S. 69. Tiflis 1902.

მეორედ, კარგად გამოწვის დროს, დაიწვის არა ორგანიული ნივთიერებანი, არამედ ის „მური“, რომლითაც გაშავებული იყო ჭურჭელი პირველად გამოწვის დროს. რომ ამგვარი აზრის დაშვება ყოვლად მიუღებელია; ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგში.

თუ საქართველოში განათხარ შავი თიხის ჭურჭლის ნამტვრევებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ისინი ოთხ უმთავრეს ჯგუფად დაიყოფა; პირველ ჯგუფს შეადგენენ ისეთები, რომელთაც კედლების მთელ სისქეზე თანაბარი შავი ან მოშავო ფერი აქვს. მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ისეთები, რომელთა კედლის შუა გული შავია, ხოლო მის გარშემო მდებარე ორივე პირები (შიგნითა და გარეთთა)—მოწითალო. მესამე ჯგუფს შეადგენენ ისეთები, რომელთაც გარეთთა პირი შავი, ცოტად მოპრიალეებული აქვთ, ხოლო შიგნითა—მოწითალო. მეოთხე ჯგუფსაც ეკუთვნიან ისეთები, რომელთა კედლის შუა გული წითელია, ხოლო მის გარშემო მდებარე ორივე პირები (შიგნითა და გარეთთა)—მოშავო. როგორ უნდა ავხსნათ ჩვენ საქმის ამგვარი გარემოება?

ავიღოთ პირველი შემთხვევა. ჩვენ აქ საქმე გვაქვს შავ თიხასთან, რომელიც არ არის კარგად გამომწვარი და რომელსაც თან ახლავს კიდევ ორგანიული მოშავო ფერის მიმცემი ნივთიერებანი. შესაძლოა, რომ ამავე შემთხვევაში კერამიკის ფერი შეცვლილი იყოს ჩანაყონი წყლით, რომელშიდაც გახსნილი იყო სხვადასხვა ნივთიერება. მეორე შემთხვევაში თიხა მთლიანად არ არის ბოლომდის გამომწვარი, თანაც ორგანიული ნივთიერებანი დამწვარი და ამიტომ მოწითალო; კედლის შიგნითა გული კი შავად არის დაარჩენილი, ვინაიდან მას არ ჰქონდა საკმაო ტემპერატურა და მქევაბი, რომ სრულიად დამწვარიყო. ყველა ის ნივთიერება, რომელმაც მას მოშავო ფერი მისცა. მესამე შემთხვევაში კი თიხა უფრო კარგად არის გამომწვარი, ხოლო გარეთთა პირი ხელოვნურად შეღებილი და მოპრიალეებული იმ წესით, როგორც ეს ზემოთ უკვე იყო ნახსენები. მეოთხე შემთხვევაში უეჭველად გავლენა ჰქონდა ჩანაყონ წყალს და მასში გახსნილ ნივთიერებას.

რომ შავ კერამიკას კვამლის საშუალებით არ აქვს შავი ფერი მიღებული, ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, თუ თიხის ჭურჭელს მოწითალო ან მოთეთრო ფერის აყალო მიწისგან გავაკეთებთ და მოვაქცევთ არა დიდს ტემპერატურაში და თანაც შევქმნით ისეთ პირობებს, რომ ის რამდენისამე დღის განმავლობაში მუდამ კვამლში იყოს გახვეული. ამ შემთხვევაში, მართალია, ჭურჭლის კედლები, როგორც შიგნით ისე გარეთ შავად გაიმურება, მაგრამ ჭურჭლის კედლის ში-

გნითა გული კვამლისაგან მაინც არ გაშავდება. მაშასადამე ის აზრი, ვითომც შავი ჭურჭლის კედლებში კვამლი იყოს შესული და მით შავი ფერი მიცემული, უარყოფილად უნდა ჩაითვალოს და შავი კერამიკის ფერი უნდა მივაწეროთ, ან თვით შავ აყალო მიწას და მოუთავებელ გამოწვას და ან ჩანაჟონი წყლის გავლენას, ვინაიდან შესაძლოა, რომ კარგად გამომწვარმა წითელი (თუნდ მოყვითალო) ფერის კერამიკამ შავი ფერი მიიღოს მიწაში მოხვედრის შემდეგ იმ ჩანაჟონი წყლის გამო, რომელშიდაც ორგანიული ნიეთიერებებია გახსნილი. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მეტად დიდ დროსთან (შავი კერამიკა უმეტეს ნაწილად ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის წინა დროს), რის განმავლობაშიც შეღებილი ჩანაჟონი წყალი მას ფერს უცვლის. ეს მით უფრო საფიქრებელია; თუ წარმოვიდგინთ გამომწვარი თიხის ფოროვანობას (დაცხრილვას) და შეღებილი ჩანაჟონი წყლის მაზედ სისტემატიურად მოქმედებას ათასი წლობით.

მართალია, კვამლს შეუძლია გავლენა იქონიოს კერამიკის ფერზე, მაგრამ ეს გავლენა სულ სხვა ხასიათისაა.

#### სარდოლიკის ანუ კარნეოლის მძივები.

სამარეში აღმოჩნდა 37 ცალი სარდოლიკის ანუ კარნეოლის მძივი, რომელიც შეგვიძლია სამ უმთავრეს ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს შეადგენს 14 ცალი გახეხილი, ელიპსოიდის ფორმის მძივი (სურ. 8); ამ მძივების პატარა ღერძის ზომა საშუალოდ 4 მმ-ს უდრის, ხოლო დიდი ღერძის—5 მმ-ს.

მძივის ნახვრეტი (მილი) არ არის თანაბარი ზომის: თავებთან, პატარა ღერძის ორივე ბოლოში უფრო ფართოა და შუაგულისკენ ვიწრო; ასე რომ მილის ფორმა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორ მოკვეთილ კონუსად, რომელთა მცირე ფუძეები მილის შუაგულში ხვდებიან. თუ მძივის პატარა ღერძზე გამკვეთ სიბრტყეს გავავლებთ, კვეთი მოგვცემს ორი მხრიდან შეზნექილს ექვსკუთხედს.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის 22 ცალი მძივი (სურ. 8), რომელიც თავისი ფორმით, ზომით, ნახვრეტის მოყვანილობით, ზედაპირის გახეხვით და სხვა თვისებით უახლოვდება პირველი ჯგუფის მძივებს, ხოლო ეს მძივები პირველი ჯგუფის მძივებისგან განსხვავდებიან თავიანთი ხუთწახნაგოვანობით. წახნაგები კი წარმოადგენენ მრუდე სიბრტყეებს. ამავე ჯგუფს ეკუთვნის ერთი ცალი კვარცის მძივი (სურ. 9).

მესამე ჯგუფს ეკუთვნის მხოლოდ ერთი მძივი, რომლის ფორ-

მას მივიღებთ, თუ ორ თანასწორ ფუძიან და სხვადასხვა სიმაღლიან კონუსების ფუძეებს ერთმანერთს შეუერთებთ (სურ. 8). ამ მძივის სიგრძე არის 16,5 მმ, დიამეტრი (იქ, სადაც კონუსების ფუძეები ერთმანერთს ხვდებიან)—8 მმ. მძივს აქვს ნახვრეტი მხოლოდ ცალთავზე (დიდი კონუსის წვერზე). ტექნიკური დამუშავების მხრივ ეს ნახვრეტი სრულიად არ განირჩევა ზემოთ აღნიშნული მძივების ნახვრეტისაგან. ამ მძივის ფორმა გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ, როგორც ეს მძივი, აგრეთვე მასთან ერთად სარდოლიკის სხვა მძივებიც, ყელის სამკაულად იყო ნახზარი და არა ტანსაცმელის ანუ თავსახურის მოსართავად<sup>1</sup>.

### „შუშის“ მძივები.

გარდა სარდოლიკის მძივებისა სამარეში აღმოჩნდა ორი ცალი მოყვითალო ფერის შუშისმაგვარი მძივი (სურ. 10). ამ მძივების ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათს შემადგენლობაში შედის  $\text{SiO}_2$  (58,30%),  $\text{CaO}$  (8,30%), რაც გვაფიქრებინებს, რომ მძივები შუშისმაგვარი ნივთიერების ან შუშის იყო. ამ მძივების ფორმაც მიიღებს ძირა ფუძეებით ერთად შეერთებულ ორ კონუსს. მათი დიამეტრი პოლუსებს შუა—5,5 მმ, ხოლო შუაწელზე—6,5 მმ.

სამარეშივე აღმოჩნდა აგრეთვე 15 ცალი მოცისფრო ფერის მეტად პატარა ზომის (სიგრძე 2 მმ,  $D=2$  მმ) მძივები (სურ. 11). ამათმა ანალიზმა ( $\text{SiO}_2$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ ,  $\text{Fe}_2\text{O}_3$ ,  $\text{CaO}$ ,  $\text{CaO}_3$ ,  $\text{Mg}$  და სხვა) გვიჩვენა, რომ ეს მძივებიც თავიანთი შემადგენლობით შუშის მძივებს უახლოვდება<sup>2</sup>.

თუ ჩვენ ზემოავეჯალის სამარის ინვენტარს ერთხელ კიდევ თვალს გადავაგვლებთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთი ნივთების წარმოშობაზე და განვითარებაზე, ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებთან

<sup>1</sup>) რაც შეეხება თვით სარდოლიკის პოვნას საქართველოს ტერიტორიაზე და მის პირველად აღმოჩენას სარდესში, ამის შესახებ უკვე გვქონდა აღნიშნული ჩვენს შრომაში „კარსნის ხევის სასაფლაო“ გვ. 17—18.

საერთოდ აღვნიშნავთ, რომ სარდოლიკის მძივებს მეტად ბევრს პოპულობენ; როგორც საქართველოს, აგრეთვე მის მოსაზღვრე ქვეყნების ძველი დროის სამარეებში. მაგალითად, ფ. ბ ა ი ე რ ნ მ ა ერთს სამარეში 5000 სარდოლიკის მძივი იპოვა. (*Verhandlungen*, S. 340, Berlin 1882).

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ბევრი ცდისა, სარდოლიკის მძივის გადალესვა და მიკროსკოპიულად შესწავლა ვერ მოვახერხეთ.

<sup>2</sup>) ერთი ცალი მძივი, მეტად დაზიანებული, ქიმიური ანალიზისათვის იქნა გაწირული.

ერთად, გავლენა ჰქონდა სხვადასხვა მხარეებიდან შემოჭრილ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც ადგილობრივ კულტურულ ელემენტებთან ერთად ჰქმნიდნენ თავისებურ ფორმებს, ჰიბრიდებს. ეს ითქმის. მაგალითად, მახვილზე და ზოგს სხვახედაც.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამარის ნივთების ტექნოლოგია თავისთავად უკვე მიგვიჩივებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციაზე, რომელშიდაც უნდა იყოს შერეული სულ სხვა საზოგადოებრივი ფორმაციების ზოგიერთი ელემენტებიც. ეს საზოგადოებრივი ფორმაცია არის გვაროვნული წესწყობილება.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტი ვთქვათ: ზემოაღვნიშნულ სამარის ინვენტარი ახასიათებს გვაროვნული წესწყობილების ისეთს ეპოქას, როდესაც უკვე მომხდარი იყო გვაროვნული საზოგადოების „დიდოჯახებად“ დაყოფა, ეკონომიური უთანასწორობა და კერძო საკუთრების ზოგიერთი ფორმების წარმოშობა.

რომ ეკონომიური უთანასწორობას, რომელიც სხვა მიზეზებთან ერთად შედეგი იყო გვაროვნული საზოგადოების ოჯახებად დაყოფის, ადგილი ჰქონდა ზემოაღვნიშნულ ადამიანის დროს, ამას გვეუბნება სამარის მეტად მდიდარი ინვენტარი. ცნობილია, რომ ძველ დროში მიცვალებულს სამარეში ხშირად თან ჩაატანდნენ ხოლმე (და ამას ეხლაც აქვს ადგილი კულტურის პრიმიტიულ საფეხურზე მდგომ ზოგიერთ ხალხში) იმ ნივთებს, რომლებიც მიცვალებულის „კუთვნილებად“ იყო ცნობილი და რომლებიც მიცვალებულისათვის აუცილებელ „საჭიროებას“ წარმოადგენდა „საიქიოში“. აქიდან ცხადია, რომ მდიდრებს, და საერთოდ მდიდარი ოჯახის შვილებს, მდიდარ ინვენტარს ჩაატანდნენ სამარეში, ხოლო ღარიბებს—ღარიბს.

სამარეში აღმოჩენილ კერამიკას ნათლად ეტყობა, რომ იმ დროში, ესე იგი ზემოაღვნიშნულ ადამიანის დროს, უკვე ყოფილან თიხის ჭურჭლის გაკეთების ცალკე სპეციალისტები; ამას ამხელს მისი ტექნოლოგია. მაგრამ ცალკე სპეციალისტები ყოფილან, არამც თუ თიხის ჭურჭლის დასამუშავებლად, არამედ ბრინჯაოს და რკინის ნივთების დასამუშავებლადაც. ამით ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ზემოაღვნიშნულ ადამიანის დროს უკვე ყოფილან მოხელეთა სხვადასხვა ჯგუფები, მაგალითად მჭედლები, ბრინჯაოს ჩამომსხმელები და სხვ., რაც გვიჩვენებს, რომ იმ დროს უკვე იქმნებოდა ელემენტები კლასობრივი დანაწილებისათვის და ალებ-მიცემობის განვითარებისათვის.

Dr. G. NIORADZE.

### DAS GRAB VON SEMOAWTSCHALA.

(Zusammenfassung und Ergebnisse).

Das Grab von Semoawtschala wurde von mit Ende Dezember 1927 in der Sowjet-Kinder-Arbeitskolonie (Abb. 1; die Stelle des Grabes ist mit einem Stern bezeichnet) entdeckt. Es befand sich in einer Tiefe von 65 cm. Die Schicht, wo unser Fund eingelagert war, bestand aus Verwitterungslehm der jüngeren Alluvialperiode (Abb. 2 c); unter diesem Alluvium lag noch eine ältere Alluvialschicht, welche aus kleinen Kieselsteinen und grobkörnigem Sand bestand (Abb. 2 b). Noch tiefer gehend, stiess man auf oligocänen Sandstein (Abb. 2 a).

Bei der vorsichtigen Präparation des Grabes erschien zuerst ein zerschlagener Krug (Abb. 3 A), dann der obere Teil einer grossen Tonschale (Abb. 3 B); hierauf kam ein Schädel zum Vorschein (Abb. 3 C); ihm folgte ein Bronzeschwert (Abb. 3 D); unter dem Schwert lagen Bein- und Armknochen (Abb. 3 E, S). An dem Oberarm waren zwei Bronze-Armringe (Abb. 3 F). Am Ende des Schwertes erschienen Rippen (Abb. 3 H) und die Reste von Beckenknochen (Abb. 3 I). In der Nähe des Schwertgriffes, zwischen 2 Steinen, befanden sich Reste eines eisernen Messers oder Dolches (Abb. 3 J), dessen Griff mit 20 Stück kleinen Bronzenägeln (Abb. 4 a), das Griffende jedoch mit einem Bronzeplättchen (Abb. 3 K u. 4 b) verziert waren. Alsdann erblickte ich 2 kleine Gefässe (Abb. 3 L u. M), eine Bronzeahle (Abb. 3), die eiserne Spitze einer Lanze, unter welcher der Unterkiefer eines Pferdeschädels lag (Abb. 6 u. 3 U). Zwischen dem Schädel und der Tonschale lagen diverse Fingerknochen, an denen sich Bronzeringe befanden (Abb. 3 T u. 5). Nachdem ich von der grossen Schale die Erde

entfernt hatte, bemerkte ich in ihr Reste eines menschlichen Unterkiefers mit Zähnen und einem Tonteller (Abb. 3P), auf dem ein Ellbogenknochen lag. Unter verschiedenen Beckenknochenresten sammelte ich 37 geschliffene Karneolperlen (Abb. 8), ein Stück Quarzperle (Abb. 9), zwei dicke (Abb. 10) u. 15 (Abb. 11) dünne glasartige Perlen und auch 3 halbkugelförmige Bronzeknöpfe (Abb. 7). Hiermit war dann der Inhalt des aufgedeckten Grabes erschöpft.

Der Boden der Gruft war flach geebnet und lag 17,2 m über dem Wasserspiegel des Flusses. Die Länge des Grabbodens war 1,4 m, die Breite—1,3 m, sodass sie kreisförmig schien, auch war sie aller Wahrscheinlichkeit nach mit Kieselsteinen ausgelegt, welche überall auf dem Erdboden zerstreut lagen; diese Annahme wird dadurch bestärkt, dass auf gleicher Höhe mit dem Grabhügel Kiesel nur in den Grenzen des Grabes zu finden ist, während er ausserhalb dieser Grenzen nicht mehr nachzuweisen ist. Wie die Gruft jedoch mit den Kieselsteinen ausgelegt war, oder zu welchem anderem Zwecke hier dieselben verwendet wurden, war nicht festzustellen. Desgleichen ist es unklar, in welcher Art die Gruft geschlossen wurde, denn, wie wir weiter sehen werden, wurde sie mit Erde nicht zugeschüttet.

Die Reste des Gerippes weisen auf den Umstand hin, dass der Tote in sitzender Stellung, mit hochgezogenen Knien bestattet war (Abb. 13 A). Auf den Knien des Toten ruhte das Schwert, zu seiner Rechten war der Unterkiefer des Pferdes und darauf die Lanze. Vor dem Toten, auf 2 kleinen Steinen, lagen die Reste des eisernen Messers oder Dolches und zu beiden Seiten verschiedene Tongefässe. Der Tote sass gegen Süden gerichtet mit dem Rücken scheinbar an der Hinterwand des Grabes angelehnt, welche letzteres, wie schon oben gesagt war, frei von Erde gelassen und wahrscheinlich oben mit Stäben oder ähnlichem dicht zugedeckt und darauf erst Erde geschüttet wurde. Die sitzende Stellung des Toten lässt sich an der Lage der aufgefundenen Knochen sicher feststellen, wenn man sich diese in restauriertem Zustande vergegenwärtigt, wie wir dieses auf der Zeichnung getan. Der obere Teil dieser Zeichnung (Abb. 13 A) stellt die ursprüngliche Stellung des Toten auf Grund des unteren Teiles der Zeichnung dar, welche wiederum getreu der photographischen Aufnahme (Abb. 3) nachgebildet wurde. Auf die sitzende Stellung des Toten weisen die entsprechenden Entfernun-

gen zwischen den aufgefundenen Knochen hin, z. B. die Entfernung zwischen den Becken- und Mittelfussknochen.

Gräber derselben Art und mit analogem Inventar (Bronzeschwert mit stumpfem Ende und ähnlichen Verzierungen, Keramik) waren von Bayern auf dem Samthawro-Felde aufgedeckt und als «Kuppelgräber» oder die «der unteren Etage» bezeichnet (vgl. Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, Berlin 1882, S. 28—40; *Verhandl.*, 1882, S. 352; ferner noch P. S. Uwarowa: *Museum Caucasicum*, Bd. V, S. 69—71 u. Taf. VIII und Wyruboff u. P. S. Uwarowa, Objets d'antiquité du Musée de la Soc. des amateurs d'archéologie au Caucase, Tiflis 1877 pl. III, fig. 4.

**Schädel.** Dem Schädel fehlt der Unterkiefer, so dass er ein Calvarium vorstellt. Nach dem von Welker aufgestellten Schema könnte der Schädel einem Menschen von 30—40 Jahren angehören. Beim Schädel ist der cerebrale Teil (das Neurokranium) gut entwickelt, der viscerale (das Splanchnokranium) dagegen schwach. Dies lässt darauf schliessen, dass es der Schädel eines Menschen war, der auf einer höheren Kulturstufe stand. Das Volumen des Schädelhohlraumes, seine Kapazität, beträgt 1367, 80 ccm.

**Schädelmessung.** Die Länge des Schädels von der Glabella bis zu dem Opisthokranion gemessen gleicht 193 mm. Die grösste Breite an der Stelle der grössten seitlichen Ausladung der Schädelkapsel ist 125 mm und die grösste Höhe zwischen Basion und Bregma—151 mm<sup>1</sup>. Wenn wir jetzt die Breite wie die Höhe in Prozenten zu der Länge ausdrücken, so ergibt sich folgendes:

der Längenbreitenindex—64,77,

der Längenhöhenindex—78,24,

der Höhenbreitenindex—82,78.

Auf Grund des Längenbreitenindex, können wir den benannten Schädel zu den hyperdolichocephalen zählen; die Längenhöhen- und Höhenbreitenindexe reihen ihn entsprechend in die hypsicephalen und tapeinocephalen ein. Die Horizontalkurve des Schädels ist ovo-oidisch.

**Stirnbein.** Seine Bogenlänge (Nasion—Bregma) beträgt 141 mm; die der Frontalsehne—118 mm, der frontale Bogensehnenindex

<sup>1</sup>) Als Orientierungsebene des Schädels wird von mir die Ohraugenebene (Frankfurter Horizontale) genommen.

—86,52. Daraus ist zu schliessen, dass der Vorderteil des Gehirns gut entwickelt war.

**Scheitelbein.** Die Länge des Parietalbogens zwischen Bregma und Lambda ist 130 mm, die der Parietalsehne—118 mm und der parietale Bogensehnenindex—90,78.

**Hinterhauptsbein.** Es tritt nicht sehr hervor. Die *Protuberantia occipitalis externa* erhält bei sagittalem Schnitt dieselbe Form, wie sie bei Broca in dessen Schema unter N<sup>o</sup> 2 bezeichnet ist. Die *Protuberantia occipitalis externa* ist bedeutend weiter entfernt von *Torus occipitalis*, was in der Phylogenesis seine Ursache hat. Die Länge des Occipitalbogens beträgt 111 mm, die der Occipitalsehne—98 mm und sein Index (occipitaler Bogensehnenindex)—88,29.

**Mediansagittalbogen.** Die Länge desselben (Nasion—Opisthion) ist 382 mm. Die auf diese Länge sich beziehenden Sagittalbogenindexe von anthropologischer Bedeutung sind folgende: frontaler—36,91, parietaler—34,03, occipitaler—29,05.

**Schädelnähte.** Die *Sutura coronalis* (Abb. 17) ähnelt der bei Broca in dessen Schema unter N<sup>o</sup> 2 angegebenen. *Sutura sagittalis* und *Sutura lambdoidea* sind sehr kompliziert und ähneln den bei Broca in dessen Schema unter N<sup>o</sup> 4 angegebenen.

**Hinterhauptsloch.** Die Länge (Basion—Opisthion) ist 37 mm, die Breite—25 mm.

**Deformation.** Im Laufe der Zeit hat sich der Schädel in der Erde deformiert und eine plattere Form angenommen. Daher ist in Betracht zu ziehen, dass diese Deformation bei der Schädelmessung zu einem anderen Resultat geführt hat, ganz besonders für die Sehnenlänge. Im linken Teile des Os frontale zwischen *Sutura frontalis* und *coronalis*, 27 mm von Bregma entfernt, ist eine Verletzung von ovoidischer Form zu bemerken (Abb. 17). Dieselbe ist 28 mm lang und 7 mm breit. Die Ränder der verletzten Stelle sind wieder ausgewachsen. Das zeugt davon, dass die Verwundete nach der Verletzung eine Zeitlang noch gelebt hat. Die verletzte Stelle ist keine Folge einer Trepanation, sondern durch einen Schlag mit einem harten Gegenstände (Stein, Speerspitze u. ä.) verursacht.

**Gesichtsschädel.** Die unterhalb des Stirnbeins gelegene Schädelpartie ist schwach ausgebildet. Ferner ist eine Reduktion

des Gebisses, wie auch die zunehmende Betonung des Gesichtssinnes auf Kosten des Geruchssinnes bemerkbar. Der Gesichtsschädel hat trianguläre Form.

Die Obergesichtshöhe (Nasion—Prostion) ist 64 mm; sein Index aber 69,57, da die Jochbogenbreite 92 mm beträgt.

Augenhöhlen. Die Form derselben ist viereckig mit stark abgerundeten Ecken. Ihre Länge ist 38 mm, die Höhe—32 mm, der Index—84,21, daher können wir sie zu den Mesokonchen zählen.

Nase. Höhe (Nasion—Nasospinale)—50 mm. Breite—21 mm. Index—42. Folglich, der Schädel gehört zu den Leptorhinen.

Zähne. Zähnenindex—41,8. Nach der von W. H. Flower aufgestellten Klassifikation gehören sie zu den Mikrodonten. Sie sind nicht cariös.

Schädelgewicht. Es beträgt 370 gr. Einige Teile fehlen; das Gewicht derselben kann nicht über 70—80 gr. betragen.

Wuchs. Auf Grund nur eines gut erhaltenen Oberarmknochens (Humerus) können wir den Schluss ziehen, dass der Wuchs des Semoawtschaler Menschen 1470 mm betrug.

Geschlechtsbestimmung. Benannter Schädel gehört einem Weibe. Dafür sprechen: der Habitus desselben, die kranio-metrischen Messungen, das geringe Gewicht (absolutes und relatives), der dünne Scheitelknochen (4 mm), die Kapazität, das kleine Hinterhauptsloch, der schwach ausgebildete Processus mastoideus, das im Verhältnis zur Schädelkapsel kleine Gesicht, die schwache Entwicklung der Glabella und der Superciliarbögen, der fliehende Verlauf der Stirn, die deutliche Ausprägung der Stirn- und Scheitelhöcker, die starke Wölbung des Schädeldaches, kleine Zähne u. a.

Auch das vorgefundene Grabinventar, wie z. B. zwei Armringe (D=5,4 cm) und fünf Fingerringe (D=1,8 cm), eine Ahle und viele Perlen können als Beweismaterial für unsere Behauptung dienen.

Skelettfunde von bewaffneten Weibern. In der Literatur sind einige Fälle bekannt, wo in Weibergräbern Dolche aus Bronze gefunden wurden. In unserem Fund ist nebst einem Dolch auch ein Schwert und eine eiserne Speerspitze gefunden worden.

Als Montelius die mit Dolchen bewaffneten vorgefundene Weiberskelette mit den Amazonen in Verbindung brachte, so konnte er es mit weniger Recht als wir jetzt tun.

**Schwert.** Das semoawtschaler Schwert ist kurz. Seine Länge mit dem Griff beträgt 58 cm. Die Klingenlänge ist 43,3 cm, der Handgriff—8,2 cm, die Höhe des Knaufes—2,5 cm und dessen Durchmesser—4,5 cm.

Die Breite der Schwertklinge am oberen Ende ist 7,8 cm, am unteren—4,3 cm. Die Dicke der Klinge verjüngt sich den Schneiden zu. Die Dicke der Mittelrippe beträgt am oberen Ende 9 mm, am unteren—12 mm.

Auf beiden Seiten der Klinge sind unterhalb des Griffes gleiche Ornamentmuster eingeritzt, die die Form eines S—Spirales haben. Ähnliche Spirale kommen auf den trojanischen Pithoi vor, auch an den hettitischen Torpfeilern, an welchen die in Relief ausgemeisselte Abbildung eines Gottes oder Königs zu sehen ist, und an dem kaukasischen Gürtel.

Von den Spiralen abwärts läuft die Blutrille und dazwischen eine Zickzacklinie. Andere Zeichnungen oder Darstellungen besitzt unser Schwert nicht, doch besitzen manche Schwerter vom semoawtschaler Typus eingeritzte Abbildungen von Tieren (Hirsch u. Steinbock) und Fischgrätenmotive (Abb. 23).

Der Handgriff ist mit hervorstehenden Blättermotiven und geraden Linien verziert.

Der Knauf ist halbkugelförmig und auf demselben ist ein achtstrahliger Stern (Abb. 25) abgebildet. Dieser Stern kann die Venus sein, deren graphische Darstellung in der altorientalischen Welt üblich war. Dabei ist noch zu bemerken, dass die Bronzeschwerter vom semoawtschaler Typus fischschwanzförmige Enden haben (Abb. 23) und mit Fischgrätenmotiven verziert sind. Der Handgriff ist hohl und der Knauf durchbrochen (Abb. 25). In den durchbrochenen Stellen fanden sich Spuren verfaulten Holzes vor.

Handgriff und Klinge bestehen aus einem Stück; für den Guss derselben wurde eine «verlorene» Gussform benutzt. Die Spirale, die Zickzacklinie und die Blutrille sind aber nach dem Guss eingeritzt.

Der reich verzierte Handgriff, die Art der Bearbeitung und die ganze Schwertform legen Zeugnis von einer gut entwickelten Bronzetechnik ab.

Die Analyse des Schwertes ergab 90,07% Kupfer (Cu), 9,89% Zinn (Sn) und 0,04% Eisen (Fe); auch Spuren von Phosphor (P) sind vorhanden.

Unser Schwert steht durch die Form seines Handgriffs, des Knaufs, der Klinge u. a. in der Literatur einzig da. Daher kann es als besonderer Typus unter die schon vorhandenen eingereiht werden und das «semoawtschaler Schwert» genannt werden<sup>1</sup>.

Schwerter vom semoawtschaler Typus kommen bisher nur in Ost-Georgien vor und zwar auf dem linksseitigen Ufer des Kuraflusses<sup>2</sup>. Auf dem gegenüberliegenden Ufer finden sich Schwerter von ganz anderem Typus vor (Abb. 28).

Unser Schwert ist weder eingeführt noch ein Beutestück, sondern an Ort und Stelle verfertigt worden.

Die grosse Meinungsverschiedenheit in der Alters-Bestimmung der aufgedeckten grossen kaukasischen Gräberfelder, lässt auch eine genauere zeitliche Bestimmung unseres Schwertes nicht zu. Doch sind wir geneigt es kulturhistorisch in den Beginn des Eisenzeitalters zu versetzen und halten es für möglich die Zeit um das XIII Jahrhundert vor unserer Zeitrechnung ansehen zu dürfen.

Die **Armbänder** (Abb. 29), die am Unterarm vorgefunden wurden (Abb. 3 F), sind aus dickem Bronzedraht (0,6 cm) gebogen mit aufeinander liegenden Enden. Die Analyse derselben ergab 88,06% Kupfer, 9,31% Zinn und 2,63% andere Bestandteile.

Die **Fingerringe** (Abb. 5) sind aus dünnerem (2 mm) Bronzedraht gebogen mit den Armbändern ähnlichen Enden. Um den Ring herum laufen Querfurchen.

Die **Ahle** (Abb. 3 i) ist ein wenig verbogen und ihre Länge beträgt 10 cm.

Was die Reste der vorgefundenen **Eisengegenstände** anbelangt, so sind sie durch Rost derart verändert, dass ihre genaue Form nicht mehr bestimmt werden kann.

Die **Tongefässe** aus dem semoawtschaler Grabe sind graufarbig und auf der Drehscheibe verfertigt. Unter diesen Gefässen befindet sich eine grosse Schale, deren oberer Rand mit einem Rohr versehen ist (Abb. 3 B u. 30). Die Tiefe der Schale beträgt 175 mm und der obere Durchmesser—460 mm.

Der Krug ist weitbauchig (Abb. 3 A u. 32) und ähnelt den trojanischen (aus der Troja VI). Die Höhe des Kruges ist 287 mm,

<sup>1</sup>) Das Gewicht des Schwertes ist 1060 gr.

<sup>2</sup>) Die bisher unbekannt gebliebenen Schwerter sind auf unseren Tafeln IV, V, VI, VII u. VIII abgebildet.

der Durchmesser des Bauches 270 mm. Die Henkelöffnung ist für einen Erwachsenen zu gering.

Von den beiden Tontöpfen ist der eine weitbauchig und mit zwei kurzen einander gegenüber stehenden durchlochtem Ansätzen versehen (Abb. 33 b u. 34 b), die zum Aufhängen dienen sollten. Die Höhe dieses Topfes ist 94 mm, der Durchmesser des Bauches 125 mm. Die Höhe des anderen Topfes ist 83 mm, der Durchmesser des Bauches 62 mm.

Die Gefässe sind ohne jegliche Ornamente, nur um den Krug laufen parallel zum oberen Rande drei Rinnen.

Die **Karneolperlen** (Abb. 8) sind sorgfältig bearbeitet und die natürliche Oberfläche poliert. Die Bohrlöcher an ihrer Innenwand sind glatt und nicht gleichmässig, sodass eine grosse Enge der inneren Lichteile bemerkbar ist.

## ნ. გერქენიშვილი.

### მცხეთის საბუთი XI საუკუნისა.

წინამდებარე საბუთი ქართული დიპლომატიკის ერთერთი უძველესი ძეგლია<sup>1</sup>. სამწუხაროდ, მისი დედანი დაღუპულია და ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ძეგლის ორი სხვადასხვა დროის პირი<sup>2</sup>. ეს ძეგლი სამჯერ არის გამოცემული პროფ. დ. ჩუბინაშვილისა<sup>3</sup> და თ. ჟორდანიას მიერ<sup>4</sup>. გარდა ამისა ის, როგორც ეს თ. ჟორდანიას ალნიშნა, ნაწილობრივ შეტანილია მ. ბროსეს მიერ გამოცემულ თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში“<sup>5</sup>. რა თქმა უნდა, უკანასკნელ გარემოებას ამ ძეგლის გამოცემასთან არა აქვს რა საერთო, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის ის მაინც საინტერესოა: საშუალება გვძლევს იქ შეტანილი ადგილები შევადაროთ ჩვენამდის მოღწეულ პირთა სათანადო ადგილებს.

პროფ. დ. ჩუბინაშვილს ძეგლი გამოუცია ერთ-ერთი ჩვენამდის მოღწეული პირის მიხედვით<sup>6</sup>.

თ. ჟორდანიამ კი პირველად გამოსცა ის პროფ. დ. ჩუბინაშვილის გამოცემისა და „დ. ბაქრაძისაგან შემოკლებით თვით ნამდვილის გუჯრიდან... გადმოწერილი პირი-“ს მიხედვით<sup>7</sup>.

რაც შეეხება თეიმურაზისეულ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ

1) ამაზედ უძველესია „XV საუკ. პირის“ სახით ჩვენამდის მოღწეული „ფავნელთ სიგელი X საუკუნისა“; იხ. თ. ჟორდანია, ისტ. საბ. შ.—მღ. მონ—ისა, გვ. 1—3.

2) ძეგლები დაცულია საქ. ცენტრარქივში № 13 და № 14.

3) „ქართული ქრისტიანობა... დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან“ 1863 წ. სპბურლი. გვ. 203 შდდ.

4) თ. ჟორდანია, ქრონიკები... წ. I, გვ. 182—188 და წ. II, გვ. 31—36.

5) „ქართლის ცხოვრება... გამოცემული დვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპ. აკად. მეცნიერებათა, 1849 წ. გვ. გვ. 212—213, 218, 220, 221—222.

6) სახელდობრ № 14 საქ. ცენტრარქივისა.

7) ქრონიკები I, გვ. 181, შენიშვნა.

ადგილებს, ისინი, წინააღმდეგ თ. ჟორდანიას განცხადებისა, ამოღებული უნდა იყოს არა „XII ს-ნის ხელით“ გადაწერილი პირიდან, არამედ იმ პირიდან, რომელსაც განსვენებული მკვლევარი XVII ს-ში გადაწერილად აღიარებს<sup>1</sup>.

არც ერთი აღნიშნული გამოცემა დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. პრ. დ. ჩუბინაშვილის გამოცემის სისუსტე ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ სამართლიანად აღნიშნა და მისი შესწორება სცადა. სამწუხაროდ, ვერც მან აიცილინა თავიდან მრავალი ტექსტუალური ხასიათის შეცდომა<sup>2</sup>, მაშინ როცა პირველ გამოცემელთან შედარებით ის უკეთეს პირობებში იყო: დ. ჩუბინაშვილმა ძეგლი დაბეჭდა ერთი პირის მიხედვით, თ. ჟორდანიას კი ორი პირი ჰქონდა ხელთ და ამდენადვე მეტი საშუალება ჰქონდა ძეგლის კრიტიკულ გამოცემას ცდილიყო<sup>3</sup>. არ ვიცი რა მოსახრებით, და განსვ. მკვლევარმა „XVII საუკუნის“ პირს უპირატესობა მისცა „XII ს-ის ხელით“ გადაწერილ პირთან შედარებით და ის დაუდო საფუძვლად ძეგლის მეორედ გამოცემას.

აღნიშნულ გამოცემათა ასეთი მდგომარეობა ჩვენ საკმაოდ საფუძვლად მივიჩნიეთ ძეგლის გამოცემის ხელახალი ცდისათვის. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დღეს ჩვენს განკარგულებაშია ამ სიგლის ორი სხვადასხვა დროის პირი. ასეთ პირობებში საჭიროა გამოირკვეს: ეს პირები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელივ არის. წარმომდგარი, თუ უძველესი მათგანი დედანია უფრო ნაგვიანევისა? პირველ შემთხვევაში ჩვენ თანაბრად სწორი გულისყურით უნდა შეგვესწავლა ორივე პირი და ასევე ორივეთი გვეხელმძღვანელა ძეგ-

1) ასეთი მოსახრების საფუძველს იძლევა ზოგიერთი ადგილების იგივეობა „ქართლის ცხოვრებაში“ და № 13 (379) პირში და მათი თანხმობლივი განსხვავება № 14 (378) პირის შესატყვისი ადგილებიდან. მაგალითად: ქ-ცა—„მახაროვანი“, № 13 „მახარონი“, № 14 „მახარონი“; ქ-ცა—„მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდენი“, ასევე № 13 პირშიაც, ხოლო № 14 პირში abest და; ქ-ცა 222—„შესავალნი იყვნეს“, № 13—ქალაქისა შესავალნი იყო, № 14—„ქალაქისა გასავალი იყო“; ქ-ცა 222—„ფოძითა სრულითა“, ასევე № 13 პირში, № 14 პირში კი—„ფოძითა სროლითა“. ქ-ცა 222—„მცხეთას სენაკი“, ასევე № 13 პირში, ხოლო № 14 პირში კი—„მცხეთის სენანი“. მოყვანილი შედარებანი, ყოველ შემთხვევაში, იმისათვის საკმარისი არიან, რომ განვაცხადოთ: ქ-ცა—ს ეს ადგილები № 631 პირთან უფრო ახლოა, ვიდრე № 14—თან.

2) არას ვამბობ სხვადასხვა მოსახრებათა მცთარობაზე. ამაზე ქვემოთ.

3) რა თქმა უნდა, დ. ჩუბინაშვილის გამოცემასთან შედარებით თ. ჟორდანიას გამოცემა, განსაკუთრებით მისი მეორე გამოცემა—დიდი ნაბიჯია წინ, მაგრამ თავის თავად ის დამაკმაყოფილებელი მაინც ვერ არის.

ლის გამოცემისას, ხოლო მეორე შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა გამოცემის დამყარება უძველეს მათგანზე.

რაც შეეხება ძველ გამოცემებს, ისინი ჩვენი ამოცანისათვის ყურადსაღები არ არიან, რადგან, როგორც ვიცით, ეს გამოცემები ემყარება ჩვენს ხელთ არსებულ პირებს ან ცალკ-ცალკე (დ. ჩუბინაშვილის გამოცემა № 14-ს; ქართ. ცხოვრება № 13 პირს), ან ორივეს ერთად (თ. ჟორდანიას მეორე გამოცემა).

ამრიგად, ჩვენს წინაშე უპირველეს ყოვლისა დგას საკითხი არსებული პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა. როგორც ქვემოთ ტექსტის შენიშვნებიდან დავინახავთ, № 13 პირი საკმაოდ განსხვავდება № 14 პირისაგან, ასე რომ პირველი შთაბეჭდილებით მათ შორის დედან-პირის ურთიერთობის აღიარება ძნელია. თავი რომ დავანებოთ ორთოგრაფულ განსხვავებულობას, ნაგვიანვე პირს უფრო ადრინდელთან შედარებით აკლია: სიტყვები („დამიც“—118, „ოქროფთა“—10, „ხუცესი“—124, „ძლიერო“—135, „დაწერილი და“—137, „ღ შემოქმედსა“—148), რიცხვის აღმნიშვნელი ასოები („ე“—51, „რ“—75), სიგლის განსაზღვრულ ნაწილებში დასმული ჯვრები ოთხწერტილით (სტ. 87, 147, 152, 166, 129, 135), წინადადება („რლსა სახელი არს“ 60); ამავე დროს მეტი აქვს: სიტყვები („მლდელი“ 154, „ღ“—73, „ღ“—144), წინადადებანი („და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა“—60, „ცათა შინა ღ ქვეყანასა ზედა“—132). მაგრამ ამ თვისებათაგან არც ერთი საკითხის გადამჭრელ საბუთად არ გამოდგება: ის, რაც ნაგვიანვე პირს აკლია ძველთან შედარებით, შეიძლება გადამწერის უგულისყურობით აიხსნას; ანგარიშგასაწევი იქნებოდა მეორე ხასიათის განსხვავებანი (ე. ი. სიტყვა-წინადადებათა მეტობა უფრო ნაგვიანვე პირში), რომ ისინი არსებითი ხასიათისა იყვნენ: ზემოთ მოყვანილი ზედმეტი სიტყვები და წინადადებანი ისეთი ხასიათისაა, რომ მათზე დამყარებით № 13 პირის წარმოშობილობის გადაწყვეტა შეუძლებელია და ეს მით უფრო, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლო საბუთებიც.

მართლა-და, როგორი ხასიათისაა № 13 პირის ეს „ზედმეტი“ სიტყვები და წინადადებანი? კავშირი „ღ“ როგორც მე-73-ე სტრიქონში („ჭერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეკი“), აგრეთვე 144/145 სტრიქონშიაც („მეცა კვრიკე მეფესა და დისწულსა კვრიკე მეფისასა“) სრულიად უადგილოდ არის ჩამატებული; პირველ შემთხვევაში „ჭერეთის მონასტერი დიდითა ძალითა“ უსახელოდ რჩება, რაც ეწინააღმდეგება ძველის საერთო ხასიათს და შეუძლებელიცაა, ხოლო მეორე შემთხვევაში კავშირი „და“ ისევე

ადვილად შეიძლება ამოგდებულ იქმნეს, როგორც ჩაუსვამთ: ამით წინადადებას არავითარი ზიანი არ მოუვა, ხოლო მისი წყობა კი უეჭველად მოიგებს; ასე რომ ეს კავშირი აქ სრულიად ზედმეტია. ასევე უწყინარ-ზედმეტია წინადადება: „და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა“, რომელსაც წინუძღვის: „ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძა“; უკანასკნელი სრულიად საკმაოდ გადმოსცემს მელქისედეკ ქ. კათალიკოზის აზრს და საესებით ეთანახმება სიგლის სხვა ანალოგიურ ადგილებს (იხ. სტრიქონები: 8, 11, 52, 55). ხოლო სიგლის კრულობით ნაწილში დართული წინადადება: „ცათა შინა ღ ქუეყანასა ზედა“ რომ მართლაც ზედმეტია, ამას დიდი დაკვირებაც არ უნდა: № 14-ით ეს ადგილი იკითხვის: „კრულმცა არის სულით ღ კორციით ორსავე ცხორებასა ამის გამტეხელი“, რაც საკმაო სრულსიტყვაობით დაატეხს დამნაშავეს წყევას „ორსავე ცხორებასა“ ე. ი. „ცათაშინა“-ც და „ქუეყანასა ზედა“-ც, ასე რომ მოყვანილი წინადადების აქ ჩართვა მის უვიცობით გამეორებას ჰნიშნავს მხოლოდ.

ზედმეტია აგრეთვე „მღღელი“ 154 სტრიქონში.

ეხლა განვიხილოთ სხვა ხასიათის განსხვავებებიც.

№ 14 პირით:

სტ. 71 რა აზნაოროჲ

„ 79 გასავალი

„ 143 შედეგად

„ 148 კლნ

„ 148 დავიკდრო

„ 151 :ქჳ:

„ 159/160 ამის მ(თი)

სა ბრძნებლისა

„ 162/163 (ლ)თისა

ს(იტყუი)თა, წდათა...

№ 13 პირით:

რა: აზნაორი:

შესავალი

შემდგომად

კუალად

დავიმკუიდრო

ქართლისა: პატრიარქსა:

ამის მიერ საბრძანებელისა...

ლთისა და მისთა წმინდათა..

როგორი ხასიათისაა ეს სხვაობანი? ჩვენ ვიცით, რომ № 14 ხელნაწერი თვით არის პირი, ამიტომ გადაწერის ნიადაგზე წარმოდგარე შეცთომებისგან არც ის არის დაზღვეული. ასეთი ხასიათის შეცთომად მიგვაჩნია ჩვენ № 14-ის გამოთქმა: „რა აზნაოროჲ“. უკანასკნელი სიტყვის ბოლოსართი „ოჲ“ გვიჩვენებს, რომ მას წინუძღოდა თავსართი „სა“. ამასვე მოითხოვს კონტექსტიც. პირიქით, სრულიად გაუგებარია: „კურბითს: რა: აზნაური: კარგი: სოფელი: ერთი“:; როგორც ეს აღუდგენია № 13 პირს. № 14 პირის გადამწერის მექანიკური შეცთომა მერმინდელ გადამწერს „გაუ-

სწორებია“, მაგრამ დაკვირვება არ ჰყოფნია და არსებული შეცთომისათვის („სა“-ს მაგიერად-„რა“) ახალი შეცთომა დაურთავს (გაუგებარი „აზნაოროდ“ გასაგებ „აზნაორი“-დ გადაუყეთებია).

ასევე შეცთომით გასწორებულად მიგვაჩნია ჩვენ „გასავალი“-ს „შესავალი“-თ შეცვლა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ გამოთქმას: „გასავალი იყო“ მოსდევს და ეთანხმება-„ამის წმიდისა ქალაქისაგან“, ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ აქ სწორედ „გასავალი“ უნდა იხმარებოდეს და მისი „შესავალ“-ად გასწორება (ალბათ 76 სტრიქონში გამოთქმულის ანალოგიით), შეცთომიდან და წინადადებას სრულად გაუგებარს ჰხდის, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვა „შესავალი“ ძველი გაგებით იქნება ხმარებული. № 13 პირის გადამწერს ეს ცნებები, როგორც ჩანს, აწინდელი გაგებით ესმის. მხოლოდ ამ ნიადაგზე ხდება გასაგები ასეთი გასწორების აზრი.

პატივთა გახსნის უცოდინარობის. ნიადაგზეა წარმომდგარი „შემდგომად“ „შედგად“-ისაგან, „კულად“ „კლნ“-საგან, „დავიმკუილრო“ „დავკდრო“-საგან (:ქპ:-ს „ქართლისა პატრიაქ“-ად გახსნის სწორობა-უსწორობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ზემომოყვანილ განსხვავებათა ცხრილიდან ორი უკანასკნელი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და საყურადღებოა. ისინი მტკიცე საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ № 13 პირი № 14 პირისაგან არის გადაწერილი.

გამოთქმა: „ამის მ(თი)სა ბრძნებლისა“ № 14 პირში დაზიანებულია: მეორე სიტყვიდან გადარჩენილია პირველი ასო „მ“-ანი და ბოლო მარცვალი „სა“. სრულიად არ არის (ამოგლეჯილია) ი-ნი და „თ“-ანის ნახევარილა (ე. ი. წრე) გადარჩენილი. პატივის ნიშანი ზის „მ“-ანსა და მის მომდევნო ასოს ზემოდან. თუ კონტექსტზედ დაკვირვება არა, ასეთ შემთხვევაში ადვილია „მ“-ანი და „თ“-ანის ნაშთი მათ ზემოდან არსებული პატივით მრ-ად იგულისხმოდ, შემდგომი (ამოგლეჯილი) ასო „ი“-ნი არ არსებულად, ხოლო უკანასკნელი მარცვალი „სა“ შემდგომ სტრიქონზედ მოთავსებული „ბრძნებლისა“-ს თავსართად აღიარო და მიიღებ: „ამის მიერ საბრძანებელისა“. სწორედ ასე მოქცეულა № 13 პირის გადამწერი, რითაც თვალსაჩინო ნიშანი დაგვიტოვა იმისა, რომ მას დედნად ჰქონია № 14 ხელნაწერი და რომ უკანასკნელი აღნიშნულ ნაწილში ამ დროს უკვე დაზიანებული ყოფილა.

ასევე შეცთომით აღუდგენია № 13 პირის გადამწერს № 14-ის დაზიანებული: „(ლ)თისა ს(იტყუი)თა“ „ლთისა ლ მისთა“-ს სახით. ამ გამოთქმაში „ლ“-ანი ამოგლეჯილია; „თისა“ გადარჩენილია პა-

ტივით „თ“-ანზე; გადარჩენილია აგრეთვე მომდევნო „ს“-ანის ქვედა ნაწილი, „უ“-ნის ბუნი და მისი მომდევნო „ი“-ნი. № 13 პირის გადაწერს „ლ“-ანი სწორად აღუდგენია, „სიტყუითა“-ს პირველი ასოს გადარჩენილი ნაწილი „ღ“-ონის ნაშთად მიუღია, შემდეგი ჩაკვირვებით თავი აღარ შეუწუხებია, „უ“-ნის გადარჩენილი ბუნი და მისი მომდევნო „ი“-ნი უგულვებელუყვია და დაზინებული სიტყვა შემდგომ სტრიქონზედ მისი დაბოლოების—„თა“-ს მიხედვით ორ სიტყვად აღუდგენია: „და მისთა“. გარდა იმისა, რომ ასოების ნაშთები, როგორც ვთქვით, ასეთი აღდგენის უფლებას არ იძლევიან, ასეთი „შესწორებული“ ტექსტი უჩვეულო და უხეიროა.. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად სრულიად ვკმაყოფილებით მხოლოდ იმით, რის წარმოჩენაც, ვფიქრობთ, საკმაო საფუძვლიანობით შევძელით: რომ № 13 ხელნაწერი გადაწერილია № 14 ხელნაწერიდან. ცხადია ისიც, რომ ხსენებული ადგილი „დედანში“ ამ დროს უკვე დაზინებული ყოფილა.

სწორედ ამ ნიადაგზევა წარმომდგარი № 14 ხელნაწერის კიდევ ერთი დაზინებული ადგილის (სტრიქ. 164) მცთარი აღდგენა № 13 პირის გადაწერის მიერ: „მისი, კრულმცა არს“. ასოთა ნაშთები ასეთი აღდგენის უფლებას არ იძლევიან.

ეხლა, მის შემდეგ რაც საკითხი ამ პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა გადავწყვიტეთ, და ერთი მათგანი მეორის დედნად აღვიარეთ, საკმარისია ჩვენი გამოცემა უმთავრესად სწორედ ამ „დედანზე“ დავამყაროთ.

ხელნაწერი № 14 ქალაღზე დაწერილი საბუთია. თავი აკლია. (№ 13 პირის მიხედვით 15 სტრიქონი აკლია, რაც დაახლოებით ჩვენი ხელნაწერის ოც სტრიქონს უდრის). კიდევბი ჩამოცრეცილი აქვს. ტექსტი აქა-იქ დაზინებულია, უმთავრესად მარჯვენა მხრიდან. აქ ხშირად თითო და ზოგჯერ ორ-ორი ასო აკლია. დაზინებას ვერ ასცდენია ტექსტის შუა ადგილებიც ქალაღის გაცრეცის გამო. მთელი სიგელი გადაწებოებულია სქელ საფენ ქალაღზე (ამ ქალაღის ქვირ-ნიშანი ხელთათმანია)<sup>1</sup>. საფენ ქალაღზე შევსებულია ნაგვიანევი ხუცურით ტექსტის ის ნაკლული ადგილები, რომელნიც სიგელს ამ ოპერაციის დროს (ე. ი. მისი საფენ ქალაღზე დაწებობის დროს) ჰქონია.

ეს შევსებანი № 13 პირის მიხედვით არ არის შესრულებული: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს პირი გადაწერილია № 14 ხელნაწერიდან

<sup>1</sup>) ამ ნიშნით ქალაღი XV ს-ის ახასიათებს. იხ. Лихачев-ის Палеографич. значение бумажных водяных знаков—ч. I стр. 65.—69, 128—130.

მის შემდეგ, რაც უკანასკნელმა ისეთი დაზიანებანი განიცადა, რომელნიც ღღესაც აღუდგენელია. მოხსენებული შევსებანი კი უეჭველია ამ დაზიანებებზედ უწინ არის შესრულებული, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შემვსებელი არც ამ ადგილებს დასტოვებდა და სხვების მსგავსად ამათაც აღადგენდა.

გარდა ამისა აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შემვსებელი ისეთ ასოებს ხმარობს, რომელთაც № 13 პირის გადამწერი სისტემატურად გაუბრბის. ასეთია ასოები: ჳ, ჟ ლ ლ (იხ. სტრიქონები 10, 16, 51).

რომ არსებული შევსებანი ზეპირად შესრულებული არ არის, ეს ჩანს იქიდან, რომ ზოგი შესწორებანი კონტექსტით აღდგენილი არ შეიძლება იყოს. ასეთია: „(სათანა)ოჲ“—სტრიქ. 30/31; „(ს<sup>ლ</sup>ფლ<sup>ვ</sup>ესა<sup>ჩ</sup>ა) ზედა“—სტრიქ. 91; „(მიწ)აჲ“—სტრიქ. 93; „ვე(ნაკი)“—სტრიქ. 95; „გასარ(ომელი)“—სტრიქ. 105.

როგორც აღვნიშნეთ, სიგელს თავი აკლია. № 13 პირი კი სრულია. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ამ პირის დედანი № 14 ხელნაწერია. მაშ № 13 პირის გადაწერის დროს № 14 სიგელი ჯერ კიდევ თავნაკლული არ ყოფილა. ეს გადაწერა კი, როგორც ვიცით, შესრულებული იყო ამ სიგელის საფენ ქალაღზე გადაწებობების კარგახნის შემდეგ. ამრიგად, ეს დაზიანება (თავის მოხევა) შემთხვევით ხელნაწერს მისი საფენ ქალაღზე დაწებობების შემდეგ.

არსებობს მესამე რიგის დაზიანებანიც. ეს—ტექსტის შიგნით, სიგლის საფენ ქალაღზე დაწებობების შემდეგ და № 13 პირის გადაწერამდის. ეს დაზიანებანი „დედანში“ აღდგენილი არ არის (როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ვერც № 13 პირის გადამწერს აღუდგენია ისინი სწორად).

სიგელი სამი ერთი მეორეზე გადაწებობებული კეფისაგან შედგება. მეორე კეფი მესამეზე გადაწებობებულია სიგლის გადაწერამდის: მე-100-ე სტრიქონის ხაზსზედა ასოები (ზ, მ, დ, მ, რ, ნ, ს, კ) თავიანთი ხაზსზედა ნაწილებით მეორე კეფზე, ხოლო ტანით (დახაზსქვედა ნაწილით—კ) მესამეზე არიან მოთავსებული. ესევე არ ითქმის პირველისა და მეორე კეფთა შესახებ. პირველი ჯერ დაწერილი და შემდეგ გადაწებობული შეიძლება იყოს მეორეზე.

სიგლის სიგრძე—უდრის 182 სანტ., განი 21,5; საფენი ქალაღის სიგრძე—186, განი—24,5. ტექსტის სიგრძე—177; განი—20,2.

პირველი კეფის სიგრძე—37 (როგორც ვიცით, ეს კეფი მხოლოდ ნაწილია მთელისა: თავი აკლია); მაზედ მოთავსებულია 30 სტრიქონი.

მეორე კეფის სიგრძე — 70; ზედ მოთავსებულია 69 სტრიქონი. მესამე კეფის სიგრძე — 78; ზედ მოთავსებულია 67 სტრიქონი. ძველი მთლიანად ერთი ხელითაა დაწერილი და გარეგანი იერთა და ნიშნებით XII საუკუნისა ჩანს. დამწერლობა ნუსხურია. მელანი შავი. სიგლის ზოგიერთი ნაწილები მთავრული ასოებით იწყება (სტრიქონები: 87, 135, 147, 153, 139).

ჩვენი ძეგლის ენა „კლასიკურია“. რაიმე მნიშვნელოვან გარდახვევებს ძველი ქართულის ნორმებიდან აქ აღვილი არა აქვს. ამ მხრით გადამწერს დედნის სახე კარგად დაუცავს. ესევე არ ითქმის ძეგლის ორთოგრაფიის შესახებ. აქ დიდი მერყეობაა. ასეთი რამ, მის უდიდეს ნაწილში მაინც, პირმშო დედნის დამახასიათებლად ძნელია აღიარებულ იქმნას. ის უფრო გადამწერის შენაძენი შეიძლება იყოს. ვამბობთ „უფრო“, რადგან ჩვენ არ გვაფიქვდება, რომ არც XI ს-ის დამდგის ორთოგრაფია არის ამ მხრით ურყევი და ზოგი რამ ქვემოთ ნაჩვენები ჩვენს პირს, უეჭველია, დედნისეული უნდა გამოჰყოლოდეს.

ასო **ც**. მთელს ძეგლში ამ ასოს ხმარების მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს: „მეფსო“ — სტრიქ. 146 და „კუტრცხის გოლი“ — სტრიქ. 51; უკანასკნელ შემთხვევაში **ც** შეიძლება არც XII ს-ის პირისეულია: ის საფენ ქალაღზე სწერია ნაგვიანევი ნუსხურით. როგორ უნდა ყოფილიყო ეს ფორმები დედანში? რა თქმა უნდა **ც** მე-XII ს-ში არ გაჩენილა და მისი ხმარება გაცილებით უფრო ძველ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ აქ წარმოდგენილი სახით ამ ასოს ხმარება, ვფიქრობთ, XII ს-ის პირისეულია. ამას ადასტურებს აქვე პარალელურად არსებული ფორმები: „კუერცხის გული“ — სტრიქ. 56 და „მეფეო“ — 137. ამავე დროს არც ერთხელ „უე“ კომპლექსი არაა წარმოდგენილი უც-თი. იხ.: სუეტი, დაუსუენენ, ბეზხუემი, ძუელად, ქუემომდენ და სხვ. ამიტომაც გამოცემაში ჩვენ ასო **ც** არ დავიცავით.

**ო** **ღ** **უ**. არც **ო**-ნისა **ღ** უ-ნის ერთი მეორის მონაცვალეობა არის განსაკუთრებული თვისება ჩვენი ძეგლის გადაწერის დროისა. ეს მოვლენა ამაზე ადრეც გვხვდება. მაგრამ თუ უძველეს ძეგლებში მას სპორადული ხასიათი აქვს, აქ ის მეტად ხშირია. ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არც ერთ მათგანს პირმშო დედანში აღვილი არ ჰქონია, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი სიმრავლით ეს მოვლენა მხოლოდ პირის<sup>1</sup> დამახასიათებელია.

1) სწორედ ეს მოვლენა გვაქვს ჩვენ ერთერთ ნიშნად მიღებული ძეგლის გადაწერის დროის განსაზღვრისას.

გამოცემაში ჩვენ ამ მოვლენას არ ვიცავთ და ძველ სახეს<sup>1</sup> აღვადგენთ.

შემთხვევები: აორაცხელნი—7; დაოსუენე—8 (იქვე: დაუსუენე—6,3); ცორვებოლნი—27, 23 (იქვე: ცურვებული—13, 47, 49); საცეცხორნი—23, 24 (იქვე: საცეცხურნი—21, 22); ზაფხოლი 32; შეკაზმოლი,—ლნი—34, 57 (იქვე: შეკაზმულნი—20); ოქსინოა 54, 56 (იქვე: უქსინოა—50); გოლი—52 (იქვე: გული—56) ხატუვანი—54; სუნდოსი—56, სუნდუსი 56; სხლუანი 64; აქოს 98, 133 (იქვე—აქუს—60); ხოთითა—61; სააზნაოროა—71; აყონეს—76; შეოვალად—77, 78; ფოძითა—92, 94; სროლითა—92, 94; დაუტეუს—104; აღესროლბოდის—114; წინამძღორად—116; შეოცვალეპელად—118; ანო—124, 152; ოარის მყოფელთა—128; კორაპალატო—136 (იქვე: კურაპალატსა—144); გაოგია—143 (იქვე: გაუგია 149); სულკურთხეოლსა—148.

უ<sup>2</sup> ლ<sup>3</sup> ვ. არც უ-ბრჯგუს გადმოცემა ვ ასოთი განეკუთვნება მაინც და მაინც XII საუკუნეს. პირიქით, ამ მოვლენას უფრო „კლასიკურ“ ქართულში აქვს ადგილი<sup>2</sup>. ამიტომ ჩვენს ძეგლში ის შეიძლება მთლად დედნისეულიც იყოს. მიუხედავად ამისა გამოცემაში ჩვენ მას არ ვიცავთ: ის სისტემატურად არაა გატარებული და ერთსა და იმავე პირობებში ხან უ-თი გადმოიცემა, ხან ვ-თი.

შემთხვევები: თვალითა—2; თვ<sup>2</sup>ალითა—6; თვალი—17; თვლითა—31 (იქვე: თუ<sup>2</sup>ლითა—10; თუალითა—12, 19); სხვაჲ 15, 12 (იქვე: სხუანი—22, 40; სხუაჲ—42); თვესა—113; გვარმან—120 (იქვე: გუარმან—161); ა<sup>2</sup>ვ (-ფესვ)—128; ს<sup>2</sup>ლისა<sup>2</sup>თვ<sup>2</sup>ნ 149; ჩემისათვს—122; მლ<sup>2</sup>დელთმოძღვართა—34 (იქვე: სამლდელთმოძღვროა); დაგვიწერია—122; დედა ქალაქისათვ<sup>2</sup>ს—59.

უ<sup>2</sup>ი ლ<sup>3</sup> ვ. „უ-ბრჯგუ პლუს ი ძველს ქართულში ჩვეულებრივად გადმოიცემის ვ ასოთი“<sup>3</sup>. ეს ასეა როგორც X საუკუნის მრავალ ტექსტებში, ისე ხანმეტ ტექსტშიაც. მაგრამ „გამონაკლისებს“ არც ეს

1) უფრო იდეალურ სახეს, ვიდრე შესაძლებელია ოდესმე არსებულს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დედანი ამ მხრით სავსებით „უნაკლო“ იყო, ამის თვალსაჩინო მაგალითს სვეტიცხოვლის გარეთი კარი-ბეის წარწერა იძლევა: სოლისა, დამყარებოლი.

გაუგებარია რატომ შეცვალა ეს ფორმები ს. კ ა<sup>2</sup>კ ა ბ ა ძ ე მ ხსენებული წარწერის „აღდგენისას“: სულისა, დამყარებული? თუ აწინდელი ორთოგრაფიის დაცვის მიზნით, მაშინ რატომღა აღადგენს და იცავს ფორმებს: ჩუენი, წმიდისაჲ. ეკლესიისაჲ ბჭჲ?

2) ბ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 8—10.

3) იქვე გვ. 10.

მოვლენა მოკლებული: არაერთი ძეგლი მოიპოვება IX—X საუკუნისა, სადაც—ზოგიერთში სპორადულად, ზოგიერთში თითქმის სისტემატურად—ჟი კომპლექსი გადმოიცემა არა ვ ასოთი, არამედ უი-თ<sup>1</sup>. უი-ს ვ-თი გადმოცემა დამახასიათებელია აგრეთვე XI—XII საუკუნეთა ნუსხურით შესრულებული ძეგლებისათვის (იოანე ღმერთის ცხოვრება; გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება; 1074 წელს გადაწერილი ალაპების ტექსტი; დავით აღმაშენებლის ანდერძი; მამასახლისი პავლეს მიერ ათონზე გაჩენილი ალაპები 1170—1184 წლებში და სხვა). ვამბობთ: „ნუსხურით შესრულებული ძეგლებისათვის“, რადგან, როგორც ცნობილია, ძველმა მდივანმწიგნობრულმა ვ (ისევე როგორც ჟ და ს) არ იცის<sup>2</sup> და იქ ჟი კომპლექსი ჩვეულებრივი უი-თ გადმოიცემის.

მეტად თავისებურია ამ მხრით ჩვენი ძეგლი. ის შესრულებულია ნუსხა-ხუცურით და 24 შემთხვევიდან მხოლოდ ორი თითქო უდავო მაგალითი გვაქვს ჟი კომპლექსის ვ-თი გადმოცემისა<sup>3</sup>. 19 შემთხვევაში ის უი-თ გადმოიცემის. სამი მაგალითი სადაოა: ჩემისთ<sup>4</sup> ვს—113; ჩმისთ<sup>5</sup> ვს—138; თქ<sup>6</sup> ნისთ<sup>7</sup> ვს—119. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქვე პარალელურად მოიპოვება ფორმები: მათისათუის—143; ჯოვანესთუის—159; ვისთუისცა—160 და კიდევ უფრო: დაგვიწერია—122; ქალაქისათ<sup>8</sup> ვს—59; ჩემისათ<sup>9</sup> ვს—122; ს<sup>10</sup>ლისათ<sup>11</sup> ვს—149 (უკანასკნელ ოთხ შემთხვევაში ვ, აშკარაა, ზ-ბრჯგუს მაგივრობას სწევს და არა ჟი კომპლექსისას),—მაშინ თითქო უფლება გვეძლევა „სადაო“ დაქარაგმებანიც ამათი ანალოგიით გავხსნათ: ჩემისათ<sup>12</sup> ვს, თქ<sup>13</sup> უნისათ<sup>14</sup> ვს. აქვე უნდა აღვიაროთ: უკანასკნელი სიტყვა ჩვენ მიერ აღდგენილი ფორმით უფრო საეჭვოა, ვიდრე პირველი, და ეს იმიტომ, რომ პატივის ნიშანი მას ჩვენთვის საყურადღებო ადგილზე არა აქვს, მაშინ როცა სხვა ორ შემთხვევაში ეს ნიშანი სწორედ ვ-ს აზის. როგორც არ უნდა იყოს ერთი ცხადია: ჟი კომპლექსის გადმოცემის საკითხში ჩვენი ძეგლი მერყეობას იჩენს ვ-სა და უი-ს შორის და დიდი უმრავლესობა მეორე ფორმას უჭერს მხარს.

<sup>1</sup>) საისტ. საფთ. სახ-მის მუზ-ბის კილეტრატის ხელნაწერი № 2123. იაკობის წირვა—იხ. К. Кекелидзе, Древне-грузинский архиепиратикон. უკანასკნელი ხელნაწერის ორთოგრაფიული მოვლენები ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იქნებოდა, რომ ეს ძეგლი ასომთავრულით არ იყოს შესრულებული.

<sup>2</sup>) მეტად საყურადღებო მოვლენაა მდივანმწიგნობრულის წარმოშობილობის დროისა ან პირობების გასათვალისწინებლად.

<sup>3</sup>) ასეთი სიტყვებია „ღვწა“ ღმ „თვნიერ“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ამ შემთხვევებშიაც ვ ჟ-ნის მაგივრობას სწევდეს და არა ჟი კომპლექსისას.

საფიქრებელი არაა, რომ ეს ასევე იყო პირმშო დედანში, თუ, რასაკვირველია, ის ნუსხა ხუცურით იყო შესრულებული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: 1) ან დედანი მხედრულით იყო შესრულებული<sup>1</sup> და კ-ს გაჩენა გადამწერის წყალობაა, ან 2) დედნისეული (ნუსხა ხუცურად დაწერილის) კ XII საუკუნის<sup>2</sup> გადამწერალმა შეცვალა უი-თ მხედრულ დამწერლობაში გამეფებული ორთოგრაფიის გავლენით<sup>3</sup>.

გამოცემაში ჩვენ ჭი კომპლექსს კ-თი გადმოვცემთ.

შემთხვევები: სამარტუილოჲ,-ონი—5; 9; 88; 108; მერტულ-ნი—127; რიცხუით 17; ხუირნი—19; ძტყუიან—42; ქალაქისათჳს—59; ყინცუისი—70; ამოგუიგდო—80; წისქუილნი—93; გუილო-ცვიდეს—105; ჩემისთჳს 118; თქნისთჳს—119; ჩემისათჳს—90; და-გვიწერია—122; ჩემისთჳს 138; მთისათუის—143; სლისათჳს—149; დოვანესთჳს—169; ვისთუისცა—160; ღვნოჲ—79; თჳნიერ.

ჲ. ჲ-ს ხმარებაშიაც ჩვენი ძეგლი მერყევიანია. ამ ასოს „წესიერ“ (ე. ი. ძველ ქართულში ჩვეულებრივ) ხმარების გვერდით „უწესო“ შემთხვევებიც მოიპოვება. ძეგლში არ გვხვდება არც ერთი ი-ნით დაწყებული სიტყვა—სულერთია, ხმოვანი მოსდევს ამ ასოს თუ თან-ხმოვანი,—რომ იქ ი-ნის მაგივრად ჲ არ იყოს. ამ შემთხვევებში ჲ ი-ნის ნაცვალა<sup>4</sup>. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. სიტყვის შუაში ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს ორიოდე გამონაკლისს გარდა. ყველა სხვა შემთხვევებში ჲ-ეს ხმარება ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია.

შემთხვევები: 1. სიტყვათა დასაწყისში: დაღვარი—38, 43 (ია კომპლექსი არსად სიტყვის შუაში ჲ-ს არ იძლევა: ზიარი—75, ეკ-ლესიასა—116, მათიანენი..); ძესჳ—128 (-ჲჳ; არც იე კომპლექსი იძლევა ჲ-ს სიტყვის შუაში: ძლიერო); დოვანე—35, 153, 159, 160; ძტყუნ 42; ძუდას—127; ძყო—79, 80, 102; ძხილნეთ—35; ძანვარსა—113; ძყავნ—152; გამოცემაში ჩვენ ამათ არ ვიცავთ.

ოჲ კომპლექსი. აქ ჲ-იე გატარებულია გამოუკლებლივ—არის ის ნომინატივის ნიშანი, შედის genitiv'ის (=ის; ოჲს), locativ'ის

1) ასეთ დაშვებას აძნელებს ზემორე აღნიშნული უ-ბრჯგუს კ-თი გადმოცემის მაგალითთა „არქაული“ ხასიათი.

2) „დედანსა“ და „XII ს-ის პირზედ“ საუბრისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ შესაძლებელია ჩვენი პირი პირმშო დედნის პირველი არ იყოს. ამაზე ქვემოთ.

3) უკანასკნელი შესაძლებლობა ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია.

4) დაუბრბილებელი ი-ნის. ჩვენ X—XII ს-ეთა ძეგლებშიაც ვხვდებით ასეთ შემთხვევებს მაგრამ საორადულად.

(=ით; ოათ) და ablativ'ის (=ით; ოათ) ნიშანში, თუ შემთხვევით კომპლექსს ქმნის. ასეთებია: სამარტუილო—5; სათანადო—31, 37; საწელიწდო—34, 38, 44; სამღვდელთმოდლო—49—50; ოქსინო—50, 54; ტონო—65; სააზნაორო—71; სასეფო—72; ღვინო—79; ეზო—112; ზემო—129; ოქროსნი—4, 19; ოქროსა—17; ოქროსა 39; ოქროსანი—20, 21; სასეფოხაგან—98 ზემოთ—100, 139; ზემოთგან—122; ქვემოთ—129; ოქროთა—1, 2, 3, 6, 10, 13, 15, 23, 27, 47, 52, 54; ოქროქსოალი—53. გამოცემაში ჩვენ ყველა ამოთუკანასკნელი დიალექტური მოვლენის გამოუკლებლივ (ოქროქსოვილი—ოქროქსოილი—ოქროქსოილი) ვიცავთ.

**აჲ კომპლექსი.** აქაც ა-იე გატარებულია სისტემატურად, — არის ის nominativ'ის ნიშანი, შედის genetiv'ის (=ის; —აჲს) ზე ablativ'ის (=ით—აჲთ) ნიშანში, თუ შემთხვევით კომპლექსს ქმნის:

წმიდა—2, 5, 107, 121, 125, 126; ცხორებისა—7, 126; ოქროსა—17; ღმრთისმშობლისა—10; მაცხოვრისა—12, 13; ვეცხლისა—13, 25, 27, 109, 110; მცემლისა—14; სახარება—31; გამოცხადება—35; ცხორება—37; კურთხევა—49, 133; განგება—43; მაჲზარა—51, 53; მაკანა—52; ორთა—62; ხარება—64; აგარა—65; პალავრა—69; მიწა—71, 93; ეკლესია—74; შეუვალობისა—78; რაეცა 80, 162; ქალა—91; ყანა—95; ჩემთა—125; მამა—125; ეკლესია—125; ღმრთაებისა—126; ეკლესია 125; არა 165; ბრძანება—151, 152; მისისა—139; კურთხევა—133; მიწაჲსა—18; ლუკაჲსი 29; რაჲსაცა—123; ეკლესიაჲსა—131, 163; ვეცხლისათა—33; აგარათა—61, 62, 67; ღმრთისათა—136, 140, 141; ტაშტაბრაჲგი—26; მაჲზარა—51; დამცაჲსჯების. გამოცემაში უკანასკნელ სამ შემთხვევას არ ვიცავთ.

**ძეგლში არსებული სხვა მოვლენები:** 1) ურედუქციო „ფორმები: ნათლის მცეჲლისა—14; შესავალისა—97; ღმრთისმშობლისა 10, 131; ქუეყანისათა 4; შესავალითა 70, 71, 74 ზე სხ. ამოთ გვერდით, მოიპოვება ფორმები რედუქციით. გამოცემაში ჩვენ დავტოვეთ ეს ორსახეობა. 2) ა-ეს „განდევნა“ ე-ნის შემდეგ. ასეთად გვეჩვენება: მათესი—29; აოვანესი—29; აოვანეს—35; აოვანესდა—153; აოვანესთუის—159. გამოცემაში ჩვენ ეს არ აღვადგინეთ, რადგან პირველი დედანში ასეთ ფორმათა არსებობის უეჭველობაში ჩვენ სავსებით დარწმუნებული არა ვართ, თუმცა მათ შესაძლებლობაში ეჭვი არ შეგვდის. ე-ნის შემდეგ ა-ეს ასეთი განდევნის ნიადაგზე წარმოშობილ დამახინჯებად შეგვეძლო მიგვეჩინა ფორმა: „ქპ მტკიცე აყავნ ბრძანებჲ მათი“ 151—152 „ქპ-

მტკიცეა ყავნ ბრძანება მათი-ს ნაცვლად. 3) ინდივიდუალობანი: დავდგენ—82 (ავაგენ-ის ანალოგიით); ღილოკილოთა ნაცვ. ღილოკილოთა)—33. შდრ. კალამოკოპის მონასტერი იხ. „ათონის... ხელნაწერი“ გვ. 270. 4) აღსანიშნავია: სენანი; შდრ. „მოსენაენი“ (იქვე ფთვმეს ცხორება); როგორც ჩანს, „სენაკი“-ს გვერდით არსებულა ამ სიტყვის მეორე ფორმაც—„სენაჟ“. შდრ. სენაკ-ები (შუშანიკის მარტილობაში); ძველი ფორმა: უნდეს—100 (კონაუნქტივი უნდოდეს ნაცვლად), ვირე—102, ვირემდის—107, 121 (ვიდრემდის ნაც.); „უღელი“ წყვილის გაგებით:—„უღლითა ანაფორითა“ 50. 5) შეცთომები: ეკლესისა 39 (ნაცვ. ეკლესიასა), კრულმცა რის (ნაცვ. კრულმცა არის)—132; რა აზნაოროჟ—71 (ნაცვ. სააზნაუროჟ); ქვ მტკიცე ყავნ ბრძანება მათი—151—152 (ნაცვ. ქვ მტკიცე ყავნ ბრძანება მათი); გავაგე 99—100 (ნაცვ. განვაგე) <sup>1</sup>.

ეხლა შეგვიძლია ვიკითხოთ: როდისაა შესრულებული ჩვენი პირი? ო-ნის უ-ნთან ხშირი მონაცვლეობა, ჟ-ეს სწორე ხმარების დარღვეულობა, ც-ის ჯერ ვერ მომაგრება,—ყველაფერი ეს ეთანხმება „ხელის“ მიხედვით მიღებულ განსაზღვრას—XII საუკუნით<sup>2</sup> (უფრო დაახლოებით: მისი პირველი ნახევრით). ამასვე უჭერს მხარს ასო უ-ნის ხასიათი. მისი ხმარების ოთხმოცი შემთხვევიდან ორმოცხელის სამკბილიანია, ხოლო ორმოცხელ ოთხკბილიანი (ჩვენი ცდა, რაიმე კანონზომიერება აღმოგვეჩინა ამ მოვლენაში—უშედეგო გამოდგა).

ეხლა გადასაწყვეტი გვაქვს საბუთის დედნის დაწერის თარიღი. ამ საკითხის გარშემო რამოდენიმე მოსაზრება არსებობს: ძეგლის პირველად გამომცემელი პროფ. დ. ჩუბინაშვილი, საფიქრებელია, ძეგლის თარიღად 280 ქრონიკონს (=1060 წ.) ჰგულისხმობდა, თუმცა უყურადღებოთ მას არც ტექსტის მეორე ადგილას ნაჩვენები ქრონიკონი ს<sup>2</sup>მ (=240). დაუტოვებია ღ საფუძვლიანად

<sup>1</sup>) ეს „შეცთომა“ საყურადღებო „ვულგარიზმია“.

<sup>2</sup>) საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებითაც შევნიშნათ, რომ ყველა ეს ენობრივი მოვლენები თავისთავად ძეგლის დათარიღების დამოუკიდებელ ნიშნებად ვერ გამოდგება და ეს მით უფრო, როცა საქმე გვაქვს არა კანონიკურ ტექსტთან ჩვენ არა ერთი ამ მხრივ „უცნაური“ ძეგლი გვხვდება X—XI სს—ში, რომელნიც სამწუხაროდ, აქამდის ამაოდ ელიან გამოცემას... ამიტომ ამ მოვლენების თანხმობის საფუძვლიანობა „ხელის“ მიხედვით მიღებულ დათარიღებისათვის პირობითია. უფრო სწორი იქნებოდა გამოთქმა, რომ ეს ნიშნები არ ეწინააღმდეგებიან „ხელის“ მიხედვით მიღებულ განსაზღვრას.

ცდილა მის შესწორებას <sup>1</sup>.

თ. უორდანიამ პირველად <sup>2</sup> დ. ბაქრაძის მიერ „თვთ ნამდვილის გუჯრითგან შემოკლებით გადმოწერილი პირის“ მიხედვით „სიგლის“ თარიღად 1040 წელი აღიარა.

მ. ბროსეს აზრით თარიღი 1020 წელი (ქრონიკონი სმ) საბუთის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხება. მაგრამ ამ ნაწილშიაც რომანოზ კეისრის მოხსენიება აეჭვებს მას და ჰკითხულობს: ხომ არ აკლია ქრონიკონს სმ ერთეულების აღმნიშვნელი ასო? <sup>3</sup>.

თ. უორდანიამ ძეგლის მეორედ გამოცემისას № № 14 (=378) ლ 13 (=379) პირთა თანხმობლივი ჩვენების მიხედვით სიგლის თარიღად გადაჭრით 1020 წელი აღიარა: „ორსავე: პირს ქრონიკონი უზის: სმ: (1020 წ.) და აქიღამ ცხადია, რომ ჩუბინაშვილი, ბაქრაძე და ბროსე შემცდარნი ყოფილან, როდესაც მათ ეს სიგელი მიაწერეს 1040 წელს“—ო <sup>4</sup>.

დ. ბაქრაძე სმ ქრონიკონს სმ-დ ჰკითხულობდა ლ ასეთ წაკითხვას ბროსეს მიერ წანაკითხს—სმ—უპირდაპირებდა. ასე რომ მისი აზრით ამ ძეგლის თარიღი უეჭველად 1040 წელია <sup>5</sup>.

ს. კაკაბაძემ წარსულ 1929 წელს „კიდევ სვეტიცხოვლის აშენების დათარიღების შესახებ“ ერთი ახალი მოსაზრების წამოყენებისას „ისარგებლა შემთხვევით ამ მელქისედეკ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემულ სიგელის თარიღის შესასწორებლად“. მკვლევარმა გაიმეორა ბროსეს აზრი 240 ქრონიკონის ძეგლის მთავარ ნაწილისადმი კუთვნილობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი თქვა იმ სიძნელის შესახებ, რომ სწორედ ამ მთავარ ნაწილში 1028 წლის დამლევს გამეფებული რომანოზი უკვე კეისრადაა მოხსენებული, რაც ბროსეს სამართლიანად აეჭვებდა.

ძეგლის დამამტკიცებელთა—ბაგრატი კურაპალატისა ლ კვირიკე რანთა და კახთა მეფის <sup>6</sup> თანამედროვეობა ს. კაკაბაძემ

<sup>1</sup>) „ქართული ქრისტომატია ნაწ. I... დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან... 1863 წ. გვ. 206.

<sup>2</sup>) თ. უორდანია, ქრონიკები I, 181.

<sup>3</sup>) M. Brosset, Histoire moderne de la Géorgie p. 450—451.

<sup>4</sup>) თ. უორდანია, ქრონიკები II, 31. მკვლევარის უკანასკნელი გამოთქმა სინამდვილეს არ შეფერება: არც დ. ჩუბინაშვილი ლ არც მ. ბროსე ამ ძეგლს 1040 წლით არ ათარიღებდენ, არამედ პირველი 1060 წლით, —ხოლო მეორე აღნიშნავდა ძეგლის თარიღს—1020 წელს (იხ. H. de la G. I, 302 n. 1), და ცდილობდა მის შესწორებას (იხ. H. moderne de la G. p. 450—451). მხოლოდ დ. ბაქრაძე ჰკითხულობდა ძეგლის ქრონიკონს სმ-ედ (=1040 წ.).

<sup>5</sup>) Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии.

<sup>6</sup>) შდრ. მ. ბროსე, op.cit. loc. cit.

1031—1040 წლებით განსაზღვრა და დაასკვნა: „მელქისედეკ კათალიკოზის სიგელის მეორე ნაწილი უნდა იყოს მაშასადამე დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში... თვით მელქისედეკის კათალიკოზობა კი მოდის დაახლ. 1010—1035 წლ. ახლო ხანებისთვის“ (საისტორიო კრებული IV, 114 შენ.).

დასასრულ მელქ. კ'ზის „დაწერილის“ თარიღს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი შეეხო. მკვლევარი მიაქცევს ყურადღებას ძეგლში რომანოზ კეისრის, როგორც მელქისედეკ კ'ზის თანამედროვის მოხსენიებას და დაასკვნის: „ეს თარიღი, 1020 წ., უეჭველია, მცდარია და დედანში არ შეიძლება ასეთი თარიღი ყოფილიყო“. შემდეგ, ძეგლში ნაგულისხმევი თანამედროვეობიდან ბაქრაძე კურაპალატისა, კვირიკე მეფისა და მელქისედეკ კათალიკოზისა პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს ცხადყოს „1020 წ. დაწერილობის წელიწადად მიჩნევის მთელი შეუსაბამობა“ და იმ დასკვნამდის მიდის, რომ „მელქისედეკ კათალიკოზის ამ საბუთის დაწერილობის თარიღად სჟ (260) ქრონიკონი ანუ 1040 წ. უფრო დასაჯერებელია, ვიდრე მე XII და XVII სს—ის გარდანაწერში დაცული 240 ქრონიკონი, ანუ 1020 წ.“ (ეკონომიური ისტორია, I).

როგორც ვხედავთ, ხსენებული საკითხის გარშემო მკვლევართ შორის თანხმობა არაა, რაც თვით ძეგლის ხასიათით აიხსნება.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობა: ბაქრაძის მიერ გადმოღებული პირის დედანი იგივე ჩვენ ხელთ არსებული № 14 პირია თუ კიდევ სხვა?!. უკანასკნელი შესაძლებლობის გამართლების პირობებში ბაქრაძისეულ ქრონიკონს (=260) გადამჭრელი მნიშვნელობა შეიძლება და მიჰნიჭებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ამავე დროს დამტკიცდებოდა, რომ ეს პირები ერთი მეორისაგან არ წარმომდინარეობენ. თ. ყორდანიას მიერ მოყვანილი ბაქრაძისეული გარდანაწერის სხვებურობათა შედარება № 14 პირის სათანადო აღგილებთან ამ ორი წყაროს თანხმობაზე მიგვითითებენ მხოლოდ. არსებული ორიოდე განსხვავება ბაქრაძის წანაკითხის მცთარობით შეიძლება აიხსნას.

როგორც ჩანს, ბაქრაძის წყაროსაც თავი ჰკლებია. [თუმცა ყორდანიას ამას არ ამბობს, მაგრამ ეს ჩანს იმ გარემოებიდან, რომ

1) რომ წინააღმდეგ თ. ყორდანიას განცხადებისა ბაქრაძის ხელთ არსებული „თვით ნამდვილი გუჯარი“ მხოლოდ პირი ყოფილა, ამას თვით ბაქრაძეც გვამცნობს (იხ. ზემოდასახელებული წერილი). მაგრამ ბაქრაძისმიერი დაჟინება: სჟ: ქრონიკონი გვაეკუვებს: ხომ არ ჰქონია დედნად განსვ. მკვლევარს ჩვენისაგან განსხვავებული პირი?

ის დ. ჩუბინაშვილისეული ტექსტისა ღ ბაქრადისეული პირის შედარებისას, აღნიშნავს რა პირველის თავნაკლულობას, არას გვამცნობს შესადარებელი ტექსტის თავსრულობაზე, მაშინ როცა მას არ ავიწყდება საგანგებოდ აღნიშნოს, რომ ქ<sup>ა</sup>ცაში ჩვენი ძეგლიდან ცნობების შემტან თეიმურაზს ხელთა ჰქონია ტექსტი, რომელსაც თავი არ ჰკლებია. დასასრულ, რომ ბაქრადისეულ გარდანაწერს თავი ისევე არა ჰკლებოდა, როგორც დ. ჩუბინაშვილის ტექსტს, უეჭველია, თ. ყორდანი ან ამ ნაწილს დაბეჭდავდა იმის მაგივრად, რომ ქ<sup>ა</sup>ცას თეიმურაზისეული გარდათხრობა მოეყვანა. ჩვენ კი ვიცით, რომ № 14 პირს XVII საუკუნეში ჯერ კიდევ თავი არა ჰკლებია: მისგან არის ამ საუკუნეში გადაწერილი № 13 პირი უთავნაკლულო, რომლითაც თეიმურაზმა ისარგებლა ქ<sup>ა</sup>ცაში ამ ძეგლიდან ცნობათა შეტანისას. ძნელი დასაჯერებელია, რომ ორ სხვადასხვა პირს ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად სავსებით ერთნაირი ზიანი განეცადოს, ამავე დროს სრულიად ბუნებრივია ასეთი რამ ამ ორი ძეგლის ერთი მეორისაგან წარმომდინარეობის პირობებში. ამ შემთხვევაში უეჭველია ორში ერთი: ან ბაქრადის გარდანაწერის დედანი თვით არის გარდანაწერი № 14 პირისაგან, მას შემდეგ რაც უკანასკნელს დასაწყისი დააკლდა, ან არა და ბაქრადის ხელთ სხვა პირი კი არ ყოფილა, არამედ იგივე № 14. ორივე შემთხვევაში მისი ქრონიკონი: ს<sup>ა</sup>ჲ: თვით ბაქრადის მიერ გადაწერის ნიადაგზე დაშვებული ისეთი შეცთომბაა, რომელიც სრულიად შემთხვევით უფრო ეთანხმება სხვა ისტორიულ ცნობებს, ვიდრე მისი დედნის აგრეთვე შემცდარი ქრონიკონი: ს<sup>ა</sup>მ<sup>ა</sup>.

ამრიგად, 1040 წელი, როგორც ჩვენი ძეგლის ერთერთი პირის მიერ მონაცემი თარიღი, მოხსნილია.

დავგჩა 1060 ღ 1020 წლები. პირველი წარმოდგა დ. ჩუბინაშვილის მიერ: ქ<sup>ა</sup>პ—გამოთქმის უმართებულო წაკითხვისაგან. სახელდობრ ის ჰკითხულობდა: „ქრონიკონსა პ“ ღ, რადგან მარტო პ-არი, ვითარცა რიცხვი (=80), აქ შეუძლებელი ჩნდა, გამომცემელს ეგონა, რომ ქ<sup>ა</sup>ნსა ღ პ<sup>ა</sup>რს შორის უნდა ყოფილიყო ს<sup>ა</sup>ნი, რაც უნდა წაშლილი ყოფილიყოს სიძველისაგან (op. cit. 208). ჩვენ ვიცით, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილი № 14 ხელნაწერით სარგებლობდა. ამიტომ გაუგებარია მისი: „უნდა იყოს სპ,—ს-ანი წაშლილია სიძველისაგან“. № 14 ხელნაწერში ს-ანის წაშლილობის არავითარი კვალი არა ჩანს. იქ სრულიად გარკვევით სწერია: რეცა სახელით: ქ<sup>ა</sup>: დამიმტკიცებია: ქ<sup>ა</sup>პ მტკიცე აყ<sup>ა</sup>ვენ ღ სხვა. უნდა ვიფიქროთ ორში ერთი: ან დ. ჩუბინაშვილის გამოთქმა არაა ზედმიწევნითი ღ

მას ჰსურდა ეთქვა: „უნდა ს<sup>3</sup>, ს-ანი გადამწერს (№ 14 პირისა) გამოჩენია, შესაძლებელია დედანში მისი დაზიანებულობის გამო“, ან არა ზ მას სხვა პირი ჰქონდა ხელთ და არა № 14. უკანასკნელი დაშვების პირობებში უდავო იქნებოდა ასეთი პირის № 14 ხელნაწერისაგან წარმომდინარეობა. ხოლო, რადგან № 14 ხელნაწერს თავი მხოლოდ მე XVII საუკუნის შემდეგ დააკლდა, ამისდა მიხედვით დ. ჩუბინაშვილისეული პირიც ამ ხნის შემდეგ დროში შესრულებული უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>. მაგრამ ასეთი დაშვების წინააღმდეგი არის თვით გამომცემლის გამოთქმა, რომ „ს-ანი წაშლილია სიძველისაგან“, რასაც 18 საუკუნეში გადაწერილი პირის მიმართ ის ვერ იტყოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, პირველი შესაძლებლობა უფრო მართებულია და ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ გამოთქმის ნაკლთან. როგორც არ უნდა იყოს, სულერთია: № 14 პირის მიხედვით აქ ქრონიკონის ჩვენება არ არის ზ, თუ მაინც ზ მაინც გამოთქმაში: ქ<sup>3</sup> პირველ ასოს „ქრონიკონ“-ად გავხსნით (რაც ყოვლად უჩვეულოა და მიუღებელი ჩანს), პ<sup>3</sup>არი ისეთ რიცხვითს ოდენობას იძლევა (=80), რომ მისი მიუღებლობა უკვე დ. ჩუბინაშვილისათვის აშკარა იყო.

ამრიგად, არ არსებობს 1060 წელი, როგორც ჩვენი ძეგლის ერთ-ერთი ქრონიკონი.

დაგვრჩა ს<sup>3</sup> ქრონიკონი.

პროფ. ჩუბინაშვილი, აკად. ბროსე და პროფ. ჯავახიშვილი ამ თარიღს შეუსაბამოდ სთვლიან, თუნდაც ძეგლის ნაწილისათვის, და მის შესწორებას სცდილობენ.

მხოლოდ თ. ყორდანიას და ს. კაკაბაძე შეუსწორებლად იწყნარებენ მას (კაკაბაძე, როგორც ძეგლის მთავარი ნაწილის თარიღს, ხოლო ყორდანიას, როგორც მთელი ძეგლის თარიღს). ძეგლის თარიღის დადგენის ცდისას ჩუბინაშვილი [?], ბროსე და კაკაბაძე იმ მოსაზრებიდან გამოდიოდნენ, რომ საბუთი ორი სხვადასხვა დროის ნაწილისაგან შედგება: პირველი, რომელსაც აბოლოებს ქრონიკონი ს<sup>3</sup> და მეორე, რომელიც ს. კაკაბაძის აზრით უნდა იყოს „დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში“.

ყორდანიას, ბაქრაძე და ჯავახიშვილი ძეგლს ასე არ ანაწილებენ და მათ მიერ მიღებული ესა თუ ის თარიღი

1) შესაძლებელია მართლაც ასე იყო ზ ამით აიხსნება ის მოკლეა, რომ ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში, თ. ყორდანიას ენით რომ ვთქვათ, „ორფორადიული თვისება იმ დროინდელის მწერლობისა სრულიად არ არის დაცული“ (ქრონიკ. I, 181).

შეეხება ძეგლს მთლიანად. ბაგრატის ასეთი თარიღია 1040 წელს ჟორდანიასი 1020 წელი, ხოლო ჯავახიშვილისა 1028 წლის შემდგომი დრო..

ასეთია ჩვენი ძეგლის დათარიღების აწინდელი მდგომარეობა.

უეჭველია, მართალი არიან ისინი, ვინც 240 ქრონიკონს შეუწყნარებლად სთვლიან, ეხება ის ძეგლს მთლიანად, თუ მის ერთ ნაწილს მხოლოდ.

მართლაც, მელქისედეკ კათალიკოზი თავისი „დაწერილის“ პირველ ნაწილში მოგვითხრობს საკუთარი საქმიანობის შესახებ მცხეთის საკზო საყდრის სასარგებლოდ. ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს, რომ მან შესძინა ეკლესიას... „ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოილი :ა:“ და სხვ., ან: „ბაგრატ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკარამანგი :ა:“, ეს იმას ჰნიშნავს, რომ კეისარ რომანოზს და ბაგრატ კურაპალატს მელქისედეკისათვის პირადად უბოძებიათ მოხსენებულნი ნივთები (აქ ტერმინი: „ნაბოძვარიც“ ამასვე გვაფიქრებინებს). ამიტომ შეუძლებელია რომანოზ კეისარში სხვა მეფე დავინახოთ. გარდა რომანოზ არგვროსისა, რომელიც გამეფდა 1028 წელს 28 ნოემბრის შემდეგ დღეებში<sup>1</sup>. ასე რომ, თუ ეს ქრონიკონი აქ დედნისეულია და აშიაზე მინაწერიდან ჩვენი პირის გადამწერის მიერ. ტექსტში შეტანილი არ არის, მაშინ დ. ჩუბინაშვილთან და მ. ბროსესთან ერთად უნდა დაუშვათ, რომ მას ერთეულის აღმნიშვნელი ასო აკლია. ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლება ბოდა ყოფილიყო.

რომანოზ კეისრის რომანოზ არგვროსად აღიარების შემდეგ ჩვენთვის სავალდებულოა მელქისედეკის მიმართვაში მოხსენებულნი და „დაწერილის“ დამამტკიცებელნი ბაგრატ და კვრიკე მეფენი ვიცნათ ბაგრატ IV (1027—1072 წ.) და უკანასკნელის თანამედროვე კვრიკე მეფედ.

ბაგრატ IV-ის თანამედროვე კვრიკეთა შესახებ ვიცით; კვრიკე დიდი „მეფე რანთა და კახთა“, რომელიც უნდა გამეფებულიყოს 1009 წელს (ქ. ცხ. 243, \*468—9). 1011 წელს ბაგრატ III დაატყვევა კვრიკე და სამფლობელო ჩამოართვა. უკანასკნელი კვლავ დაეპატრონა ჰერეთ-კახეთს მხოლოდ 1014 წლის შემდეგ გიორგი ბაგრატიძის გამეფების პირველ წლებში<sup>1</sup> (იქვე \*584). კვრიკე, საფიქრებელია, მხოლოდ ამის შემდეგ ითვისებს მეფის წოდებას; მფლო-

<sup>1</sup>) დაახლ. ამავე აზრს გამოსთქვამენ აკად. მ. ბროსე და პროფ. ი. ჯავახიშვილი.

ბელობის პირველ პერიოდში (1009—1011 წ.) ის „ქორეპისკოპოზად“ იწოდებოდა<sup>1</sup>. კვრიკე ცოცხალია ბაგრატ IV გამეფების შემდეგ დროშიაც: აწყობს შეერთებულ ლაშქრობას განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ—ეს უნდა ყოფილიყოს 1032 წლამდის<sup>2</sup>, „ყოვლადვე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“, ე. ი. უფრო დაახლოებით 1027—1030 წლებში. კვრიკე მეფე მოკლულ იქმნა 1037 წლის უწინ<sup>3</sup>.

მეორე კვრიკე მეფე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, იყო სომეხთა მეფე კვრიკე სამშვილდარ-ზორაკერტელი, დავითის-ძე, რომელიც გამეფდა 1046 წელს. ის იყო ძმა კახთა მეფის გაგიკ დავითის-ძისა, კვრიკე დიდის დისწულისა. მას თვით ეს კვრიკე სომეხთა მეფეც, შესაძლებელია, იყო კვრიკე დიდის დისწული.

მელქისედეკის „დაწერილი“-ს დამამტკიცებელი კვრიკე მეფე სწერს: „მეცა კვრიკე მეფესა დისწულსა კვრიკე მეფისასა კელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია“-ო.

ვინ უნდა იყოს ეს კვრიკე მეფე—დისწული კვრიკე-სი? პირველი შეხედვით ის თითქო „სომეხთა მეფე“ კვრიკე უნდა იყოს. მაგრამ აქ ის დაბრკოლებათა, რომ კვრიკე „სომეხთა მეფის“ თანამედროვეობა მელქისედეკ კათალიკოზთან მეტად სათუთა (თუ არ შეუძლებელი) და მეორეც, რა მოსატანი იყო კვრიკე „სომეხთა მეფისათვის“ კვრიკეს დისწულობა? რამდენადაც ცნობილია, მას ჰერეთ-კახეთთან რაიმე დამოკიდებულება არა ჰქონია.

<sup>1</sup>) ქ. ცხ. 243. ყოველ შემთხვევაში მათიანე ქართლისაჲს ავტორი ამ ხანებში მას მეფედ არ იხსენიებს.

<sup>2</sup>) ამ წელს „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის-ძემ და ივანე აბაზასძემ—ქართლის ერისთავმა შეიპყრეს ჯაფარ ამირა და დიდხანს ტყვედ ჰყავდათ, სანამ ბაგრატმა არ გაათავისუფლა ის. „მიერთგან დარჩამტერობა ლიპარიტით და ამირას შუა“—ქ. ცხ. 258. უეჭველია, კვრიკეს კოალიცია, რომელშიაც ჯაფარ ამირაც და ლიპარიტიც მონაწილეობდნენ, ამ ამბებზედ უწინარეს უნდა ყოფილიყო. ამასვე გვაძალეებს: „ყოვლადვე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“—ქ. ცხ. 257.

<sup>3</sup>) ტფილისის გარემოცვა ბაგრატის მიერ 1037—38 წელს დაიწყო (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია II, გვ. 434). ამ დროს კვრიკე მეფე ცოცხალი აღარ იყო და კახეთში მისი დისწული გაგიკ მეფობდა (ქ. ცხ., 258). სამწუხაროდ, გამოთქმას „მას ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე“ ისე როგორც იქვე: „მას ჟამსა იყო მეფე კახეთს გაგიკ-ძე დავით სომეხთა მეფისა“ უფრო ზედმიწევნით დათარიღების უფლებას არ გვაძლევს. „მას ჟამსა მოკლულ იყო“ სრულიად არ ჰნიშნავს თითქო კვრიკე იმ წელს მოიკლა, როგორც ეს თ. ყორდანიას ეგონა, ისე როგორც „მას ჟამსა მეფე იყო“ არ ჰნიშნავს, თითქო გაგიკ იმ წელს გამეფდა. შესაძლებელია, ბროსეს თარიღი კვრიკეს სიკვდილისა—1029 წელი უფრო სწორეც იყოს, ვიდრე ვახუშტის თარიღი 1038 წელი. ყოველ შემთხვევაში თ. ყორდანიას თარიღი—1048 წელი სრულიად მიუღებელია.

დავერჩა კვრიკე დიდი „რანთა და კახთა მეფე“. მ. ბროსე (op. cit.), დ. ბაქრაძე (ვახუშტის ისტ. გამოც. გვ. 325), თ. ჟორდანიანი (ქრ. I, 196) და ს. კაკაბაძე (საისტ. კრ. IV) სწორედ ამ კვრიკეს ჰგონებენ „დაწერილის“ დამამტკიცებლად. ამათგან მხოლოდ ბროსემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კვრიკე მეფე აქ კვრიკეს დისწულად უწოდებს თავის თავს. როგორც ჩანს, ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე თეიმურაზ ბატონიშვილსაც. მას გაუგებარი „დისწული“ გასაგებ „დისწულად“ შეუცვლია (ქ. ცხ. ბროსეს გამ. 222). კვრიკე დიდი მართლაც დისწული იყო კვრიკე II-ისა. მაგრამ სიძნელე ამით, რა თქმა უნდა, არ დაძლეულა. ჯერ ერთი, რატომ დისწულობით უნდა ემცნო თავისი თავი კვრიკე „რანთა და კახთა მეფეს“ და არა დავითის წულობით? მეორეც: კვრიკე დიდის პაპა „მეფე“-დ არ იწოდებოდა, ის „ქორებისკოპოზი“ იყო. ამიტომ კვრიკე დიდი დისწული იყო არა კვრიკე მეფისა, არამედ „კვრიკე ქორებისკოპოზისა“. ყველა ამის გამო თეიმურაზისეული შესწორება ტექსტისა უარსაყოფია. მაშ ვინდა იყო კვრიკე მეფე „დისწული კვრიკე მეფისა“?

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თ. ჟორდანიანის მიერ „აფხაზთა ქრონიკიდან“ ამოღებული ცნობა:—ქკს: სჰჰ. დასაბამითგან; ხქნბ [აქა მ--]--ვდა|დი----|დაჯდ---]კე კხთა. მკვლევარი ურთავს: ამ „ხუთ სტრიქონიან წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „აქა მოკ|ვდა|კე|დი|დი|და|დაჯდ|ა|კე კახთა“ ესე იგი: „აქა მოკვდა კვირიკე დიდი და დაჯდა კვირიკე კახთა“ (ქრონ. I, 196). თავი რომ დავანებოთ მოყვანილი ქრონიკის თარიღს, რომელიც, არ ვეჭვობთ, მცთარია, ეს ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ კვრიკე დიდის მემკვიდრეს კვრიკედვე იხსენიებს. ქ. ცხ.-დან ჩვენ კი ვიცით, რომ კვრიკე დიდის მემკვიდრე იყო გაგიკ „ძე სომეხთა მეფისა დავითისი“ (ქ. ცხ. 258 \*485, 261 \*488). შეიძლება ვიფიქროთ, რომ კახეთში გამეფებისას გაგიკ დავითის ძეს ბიძისა |==დედის ძმის| და მამობილის სამფლობელოსთან ერთად მისი სახელიც დაუმკვიდრებია, კვირიკედ უწოდებულა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია და გასაგები გაგიკ (=კვრიკე) კახთა მეფის მიერ კვრიკეს დისწულობით თავისი თავის მოხსენიება. კვრიკე დიდის დისწულობა გაგიკისათვის ლეგიტიმური საფუძველი იყო, ვითარცა კახთა მეფისათვის.

ამგვარად, მივიღეთ, რომ ძეგლის დამამტკიცებელი „კვრიკე მეფე დისწული კვირიკე მეფისა“ არის იგივე გაგიკ ძე სომეხთა მეფისა დავითისი და დისწული კვრიკე „რანთა და კახთა მეფისა“.

ასეთი მოსაზრების მიღებით ჩვენ მოვშალეთ ძეგლის თარიღის ის terminus post quem non' ი, რომელიც კვირიკე დიდის სიკვდილთან იყო დაკავშირებული. ასეთი საზღვარი წამოაყენა ს. კაკაბაძემ. ამ მკვლევარის აზრი მელქისედეკის დაწერილის რაობისა და თარიღების შესახებ შემდეგია: „ხსენებულ სიგელს აქვს თარიღი — ქორონიკონი 240... მაგრამ ეს თარიღი ეხება სიგელის მხოლოდ მთავარ ნაწილს. სიგელის მთავარ ნაწილში მელქისედეკ კათალიკოზი სხვათა შორის სწერს: „ესე ყოველი (მცხეთისა) სოფელი... შესავალნი იყუნენ და მე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიკადნეს“... ხოლო ამის შემდეგ კიდევ მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა ბაგრატ კურაპალატი (აფხაზთა მეფე) და კვირიკე კახთა მეფე“. შემდეგ კაკაბაძე სრულიად მართებულად გამოიყენებს ამ ბაგრატ მეფის გაკურაპალატების თარიღს (—1031 წ.), ვითარცა terminus ante quem non ჩვენი ძეგლისა, ხოლო რადგან ძეგლის მეორე დამამტკიცებელი „კვირიკე კახთა და რანთა მეფე მოკლულ იქმნა ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ ნახევარში დაახლ. არა უგვიანეს 1040 წლისა“ (ქ. ც'ბა I, 223), ამიტომაც „მელქისედეკ კათალიკოზის სიგელის მეორე ნაწილი უნდა იყოს მაშასადამე დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში“ (საისტ. კრ. IV, 114 შენ.).

შემდეგ კაკაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სიგელის მთავარ ნაწილში“ მოხსენებული ბაგრატ (მელქისედეკის „აღმზღელი“) კურაპალატი და ალი ამირა არიან ბაგრატ III (გარდ. 1014 წ.) და მისი თანამედროვე ამირა ტფილისისა და დასკვნის: „ყველაფერ ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ ახალს თარიღებს მცხეთის საყდრის სოფლების შეუვალად გახდომის შესახებ ბაგრატ III-ის დროს. თვით მელქისედეკის კათალიკოზობა კი, მოდის დაახლ. 1010—1035 წლ. ახლო ხანებისათვის“ (იქვე).

ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული დასკვნებიდან თავის თავად გამომდინარეობს ს. კაკაბაძის თარიღების შესწორების საჭიროება. რომ 240 ქორონიკონი მიუღებელია — სულ ერთია, ეხება ის ძეგლის მთავარ ნაწილს; თუ ძეგლს მთლიანად, — ეს უკვე დაინახეს და დამამტკიცეს დ. ჩუბინაშვილმა, მ. ბროსემ და ივ. ჯავახიშვილმა.

მართლაც და, როგორ შეიძლება ქორონიკონი 240 (=1020 წ.) როგორც „თარიღი“ „ეხებოდეს“ ძეგლის იმ „მთავარ ნაწილს“, სადაც რომანოზ კეისრის მიერ ნაბოძვარი შესამოსელია მოხსენებული? თუ ს. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ ეს რომანოზი მე-X

საუკ. კეისარია და არა მე-XI-სი, ეს, რა თქმა უნდა, შეცთობა იქნებოდა. მაგრამ თუ საბუთის „მთავარ ნაწილს“ მთლიანად ვერა (ისევე, როგორც მთელ საბუთს), ხომ არ შეიძლება ეს ქრონიკონი ს-მ ამ „ნაწილის“ რომელიმე მომენტს შეეხებოდეს?

ძეგლის აწინდელი აგებულობის დაცვის პირობებში ეს შეუძლებელია. ქრონიკონი ს-მ ისეთ ადგილას არის, რომ ის შეიძლება შეეხებოდეს მთელ „მთავარ ნაწილს“ მხოლოდ. წინააღმდეგის დაშვებისას ჩვენ უნდა დაუშვათ აგრეთვე, რომ ეს ქრონიკონი თავის ადგილზე არაა და რომ ის ან ტექსტის სხვა ადგილიდან არის გადმოსმული (რაც ყველაზე ნაკლებ დასაჯერებელია), ან აშიიდან არის შემოტანილი გადაშწერის მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია მთელ ამ „მთავარ ნაწილში“ გამოძებნა ისეთი მომენტისა, რომლის დაკავშირებაც 1020 წელთან შესაძლებელი იყოს.

ამრიგად, არსებულ პირობებში 240 ქრონიკონი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ძეგლის „მთავარ ნაწილს“ მთლიანად და ამიტომ ეს თარიღი ყოველად შეუწყნარებელია.

ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად არის მისი შესწორება ს-მთ ქრონიკონად (=1029 წ.), ე. ი. აღიარება, რომ XII ს-ის პირის გადმომწერმა შეცთობა დაუშვა თარიღის რიცხვითს გადმოცემაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ძეგლის ტექსტის აწინდელი აგებულობის მიხედვით ეს ქრონიკონი სრულიად არ არის უადგილოდ მოთავსებული, მაშინ ზემოთ ნაჩვენები „ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად“ შეიძლება ერთად ერთ მისაღებ მოსაზრებადაც აღვიაროთ.

ამავე დროს, ვფიქრობთ, შეუძლებელია ეს ქრონიკონი მთელ ძეგლს ეხებოდეს. ასეთი დაშვებისას თარიღის შესასწორებლად ერთეულების აღმნიშვნელი ასოს დართვა ამ ქრონიკონს აღარ უშველიდა: ძეგლის დამამტკიცებელი ბაგრატ კურაპალატი აქამდის ცნობილ წყაროთა დადებითი ცნობებით მხოლოდ 1031 წლიდან უნდა ყოფილიყო კურაპალატის პატივის მატარებელი<sup>1</sup>. ხოლო თუ ათეულების აღმნიშვნელი მ-ანი ა-ედ შევცვალეთ<sup>2</sup> მივიღებთ

<sup>1</sup>) ქ-ცას საამისო ცნობას ეთანხმება და ავსებს. დ. ბაქრაძის მიერ ზეგანში (სვანეთში) ნაპოვნი ერთი წიგნის ანდერძი: „... დაიწერა სვეტსა ზედა ჭყონდიდისასა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა ინდიკტიუნსა ს: ნ: ა: კელითა იუვანე მესვეტისათა. იხ. Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии. Прилож. LV т. З.И.А.Н. № 1, გვ. 112.

<sup>2</sup>) მ-ანის ნ-არად შეცვლა საქმეს არ უშველიდა. ამ შემთხვევაში საქტირო

ისეთ რიცხვს (=1040 წ.), როცა მელქისედეკი კარგა ხნის გარდაცვალებული თუ არა, დიდხნით უწინარეს კათალიკოზობიდან გადამდგარი უნდა ყოფილიყო.

და, რაც მთავარია, ამ ქრონიკონის მთელი ძეგლის თარიღად აღიარების პირობებში მისი მოთავსების ადგილი ქართული დიპლომატიკისათვის ყოვლად უჩვეულო და ამდენადვე უმართებულო იქნებოდა.

ს. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ძეგლი ორი ნაწილისაგან შედგება<sup>1</sup>; ამათგან „მთავარი ნაწილი“ დაწერილია 1020 წელს, ხოლო მეორე „დაახლ. 1031—1040 წლებში“. ამავე დროს მკვლევარმა იცის, რომ „მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა ბაგრატი კურაპალატი ლეკვირიკე კახთა მეფე“<sup>2</sup>. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მკვლევარი დასვამდა და გადაჭრიდა ბუნებრივად წამოჭრილ კითხვას, თუ რას წარმოადგენს „მელქისედეკ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემული სიგელი“? ორი ძეგლის მექანიკური შეერთებაა ის თუ ორგანულად მთლიანი ძეგლია?

ჩვენი აზრით, ეს ძეგლი, თუმცა ორი ნაწილისაგან შემდგარი, ერთი ორგანული მთლიანია. ის, როგორც ასეთი, დაწერილია ერთდროულად და წარმოადგენს მელქისედეკის ანდერძს<sup>3</sup>, სადაც მოანდერძე მოგვითხრობს აგრეთვე მცხეთის საკ. საყდრის სასარგებლოდ მის მიერ გაწეულ მთელ საქმიანობას.

რომ ეს ძეგლი ერთდროულად არის დაწერილი და ერთს დედააზრზედ აგებული, ამას ისიც მოწმობს აგრეთვე, რომ ძეგლის „მეორე“ ნაწილში მელქისედეკი ამბობს: ვინც „ნაქმარი და განწესებული... რომელ ზემოთგან ქუემომდენ დაგვწერია... აქციოს... ანუ ალაპი ჩემი და ძმთა ჩემთაჲ შეცვალოს, ჰრისხავსმცა“

იქნებოდა ერთეულთა აღმნიშვნელი ასოს დართვაც, რადგან ბაგრატის „კურაპალატობა“ 1030 წელს ისევე საეჭვოა, როგორც 1029 წელს.

1) ს. კაკაბაძე აქ მ. ბროსეს აზრს იმეორებს: იხ. H de la G. p. 316.

2) აქ კაკაბაძე განსხვავდება ბროსესაგან. უკანასკნელი ფიქრობდა, რომ ამ ძეგლში მეფეთა დამტკიცებანი კათალიკოზის მიერ თავისი სულისათვის განწესებულს შეეხება მხოლოდ და არა „პირველ ნაწილში“ ჩამოთვლილ მის საქმიანობას. იხ. იქვე.

3) ამ. მხრით ფრიად საყურადღებოა მელქისედეკის გამოთქმა: „ესე სიცოცხლესა ჩემსა განვაგე“ სტრ. 99. ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვა სრულიად უაზროა და უადგილოა მისი აწინდელი შინაარსით გაგებული, ხოლო სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია ის ამ ძეგლის ანდერძად გაგების პირობებში. ანდერძის დადებისას მოანდერძის „სიცოცხლე“ ე. ი არავადმყოფობა (ცოცხალი=ტანმრთელი) აუცილებლად უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რათა მის ნაანდერძევეს კანონიერი ძალა ჰქონოდა.

და სხვ. (იხ. ტექსტი, სტრ. 124—25). ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ მელქისედეს „ძმათა მისთა აღაპი“ ძეგლის „მეორე ნაწილში“ კი არ განუწესებია არამედ „პირველში“. (სტრ. 62—64).

ძეგლის ამ ორგანიულ მთლიანობაზე, მის ერთდროულად დაწერილობაზე სიგვეთითებს აგრეთვე შემდეგიც: „პირველი ნაწილის“ ბოლოს მელქისედეკი მიჰმართავს მის შემდგომ მყოფად კათალიკოზთ: ვინც „იხილნეთ ნაქმარნი ჩემნი წმიდასა ლოცვასა თქვენსა მომიკენეთ“-ო და სხვ. (სტრ. 85). იქვე „მეორე ნაწილის“ დაწყებისას მთელი „პირველი ნაწილის“ შესახებ ის ამბობს: „და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად“ (სტრ. 87) ჩემი სულის საქმე განვაგეო და სხვა. აშკარაა: მთელი ძეგლი ერთდროულად იწერება და „პირველ ნაწილს“ მელქისედეკი ნაქმარს უწოდებს.

ხოლო მას შემდეგ რაც ძეგლის „მეორე ნაწილში“ მოგვითხრო, თუ რა და რა განაწესა თავისი სულის სალოცავად და სთქვა: „ესე სიცოცხლესა ჩემსა განვაგე-ო (სტრ. 99),--ამის შემდეგ ის არც ერთხელ მის მიერ შექმნილ საბუთს ერთი ტერმინით არ იხსენიებს: „ვინცავინ... ჰნახნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი განგებულნი ღ განწესებულნი“, ნაქმარი ღ განწესებულნი“, „დაწერილი, ღ განგებულნი“, დაწერილი ღ განგებულნი (სტრ. 117, 121, 134, 137). ყველა აქიდან, ვფიქრობთ, მართებულია დავასკვნათ, რომ ძეგლის „პირველი ნაწილი“ აქ იგულისხმება „ნაქმარ“-სა და „დაწერილი“-ს ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი „განგებულნი“-სა და „განწესებულნი“-ს ქვეშ.

ასევე ესმოდათ ეს ძეგლის დამამტკიცებელთაც. ბაგრატით: მელქისედეს „დაუწერია და საქმე სულისა მისისაჲ გაუგია“ (სტრ. 139—140), კვირიკე მეფით: კათალიკოზს „სულისა მათისათვის გაუგია ღ დაუწერია“ (სტრ. 143); ამის მომდევნო დამტკიცებაში: მელქისედეს „დაუწერია ღ გაუგია...“ (სტრ. 149). იბადება კითხვა: თუ ძეგლი მთლიანია და ერთდროულად დაწერილი, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა შუაში თარიღს, რომელიც მთელ ძეგლს არ შეიძლება შეეხებოდეს?

ამ კითხვას მხარს უჭერს თითქო ძეგლის აგებულება: იქ, სადაც ეს ქრონიკონია, ძეგლი თითქო სრულდება (კუზის მიმართვა მის შემკვიდრე მყოფად ხელისუფალთადმი) და შემდეგ ახალი რამ იწყება (სტრ. 83 - 86 ღ შდ.).

უეჭველია, ეს ძეგლი მისი აწინდელი სახით გარეგნულად მართლაც ორი საბუთის შეერთების კვალს ატარებს. მაგრამ ჩვენ უკვე

დავრწმუნდით, რომ მისი შინაგანი მთლიანობა სადაო არ არის.

ამიტომ ჩვენი პასუხი ზემო კითხვაზე შეიძლება იყოს: მეღქისედეკის ამ ანდერძის წარმოშობამდის არსებობდა მისივე „დაწერილი“ მცხეთის საყდრისადმი, სადაც მოთხრობილი იყო მთელი მისი საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობა. ასეთი რამ შედგენილი იყო 1029 წელს. ამის შემდეგ მეღქისედეკი იკეთებს ეკვდერს, გაიჩენს სამარადისო მწირველს, რომელსაც უზრუნველჰყოფს საშვილიშვილო „გასა-რომელით“ და სწერს ანდერძს, რომელშიაც ბუნებრივად შედის მოთხრობა მთელი მისი სამეურნეო-საეკლესიო საქმიანობის შესახებ, ე. ი. მისი პირველი „დაწერილიც“. მაგრამ შედის არა მექანიკურად და სრულიად უცვლელად, არამედ შეცვლილი, თუმცა არც ისე საფუძვლიანად, რომ მისი კვალი ვერ შევამჩნიოთ. ასეთია, ვფიქრობთ, საბუთის დასაწყისში მეღქისედეკის განცხადება: „ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე“ სვეტიცხოველსო. როგორც სახელი „დაწერილი“ ისე „მოკსენება და შეწირვა“ საუცხოვოდ შეეფერება და გამოხატავს ყველა იმას, რაც „პირველ ნაწილშია“ „ნაქმარი“ და არა იმას, რაც მის „მეორე ნაწილშია“ „განგებული“ ღ „განწესებული“. ასეთივე ნაკვალევია მეღქისედეკის მიმართვა „პირველი ნაწილის“ ბოლოს მის შემდგომ მყოფად კ<sup>ა</sup>ზთადმი ღ ქრონიკონი: ს<sup>ა</sup>მ: ორივე ეს აწინდელი ძეგლის მთლიანობის თვალსაზრისით ზედმეტია. ამ მიმართვით ღ ქრონიკონით სრულდებოდა, უნდა ვიფიქროთ, მეღქისედეკის მცხეთისადმი „დაწერილი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: ძეგლის „მეორე ნაწილის“ დაწერილობის თარიღი არის მთელი ძეგლის თარიღიც; ეს „მეორე ნაწილი“ ცალკე არას დროს არ დაწერილა.

როდის არის ეს ძეგლი შესრულებული?

ს. კაკაბაძის „არა უადრესი“ (terminus ante) მართებული და მისაღები ჩანს: ბაგრატი IV-ის მიერ კურაპალატობის პატივის მიღების უწინარეს შეუძლებელია ძეგლი-დაეპტიციების ბაგრატი აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა“. ამ პატივის მიღება კი მოხდა „წელსა მესამესა“ რომანოზ კეისრის გამეფების შემდეგ (ქ<sup>ა</sup>ცა 256 \*482 და 361 \*592. შდრ. ს. კაკაბაძე; საისტ. კრებული IV, loc. cit.) ე. ი. 1031 წელს. ამასვე ადასტურებს ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი 1031 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძი, სადაც ბაგრატი უკვე კურაპალატად იხსენიება.

ს. კაკაბაძის „არა უგვიანესის“ (terminus post) შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი ძეგლის დამამტიციებელი კვირიკე მეფის ვინაობის ძიებასთან დაკავშირებით. ამ „კვირიკე მე-

ფის“ გაგიკთან გაიგივეების შემდეგ კვირიკე „რანთა და კახთა მეფის“ გარდაცვალების ს. კაკაბაძისეული თარიღი—1040 წ. (დამოუკიდებლად იმისაგან, რომ ეს თარიღი მიუღებელი ჩანს აგრეთვე, როგორც კვირიკე „დიდის“ გარდაცვალების წელიწადი), ვითარცა „არა უგვიანეს“-ი ჩვენი ძეგლისა, მიუღებელია.

რომ 1030 წელს მელქისედეკი ჯერ კიდევ კათალიკოზობდა, ეს უდავოდ ჩანს გრიგოლ ღვთისმეტყველის ქმნილებათა დავით ტბელიძისეული თარგმანის გადამწერის ანდერძიდან<sup>1</sup>. 1033 წელს კი ქართლის კათალიკოზად იოანე იხსენიება (*Матер. по Арх. Кавк.* вып. X. Приложение გვ. 10—11, მეტიის სახარების ანდერძი). საფიქრებელი იყო, რომ ეს ცნობა, რომელიც ერთხელ უკვე შეიწყნარა ს. კაკაბაძემ<sup>2</sup>, აიძულებდა მკვლევარს ანგარიში გაეწია მისთვის „მელქისედეკ კზის სიგელი“-ს დათარიღების დროსაც. მაგრამ რალაც მიზეზის გამო ის ამას არ სჩადის<sup>3</sup>.

ჩვენი ძეგლის დაწერის დროს მელქისედეკი, უეჭველია, მოქმედი კათალიკოზია და არა კათალიკოზობიდან გადამდგარი (იხ. ზემო შენიშვნა). ამიტომ, რადგან 1033 წელს ქართლის კათალიკოზი არის იოანე, ამ ძეგლის „არა უგვიანესი“-ც აღნიშნული წელი უნდა იყოს.

საბოლოო დასკვნით: მელქისედეკ კზის ეს ანდერძი შესრულებულია 1031—1033 წლებში, ხოლო ამ ძეგლში შეტანილი „დაწერილი“ მისი პირვანდელი სახით მელქისედეკს ჯერ კიდევ 1029 წელს დაუწერია.

<sup>1</sup>) თ. ჟორდანიას, *Опис. рукоп. церк. музея.* I, 1—2 და მისივე ქრონიკები, I, 169. „ქრონიკებში“ აღნიშნული, ჩვენი აზრით, სამართლიანი, დაკვირვება ამ ანდერძში მოხსენებულ წელთა სათვალავების სხვადასხვაობის შესახებ თ. ჟორდანიამ თავის „Описание“-ში არ გაიმეორა და ფაქტიურად უარყო. ს. კაკაბაძე უპირატესობას აძლევს „Описание“-ში მიღებულ ჟორდანიასეულ თარიღს.

<sup>2</sup>) იხ. საისტ. კრებული I, 1928, სადაც მკვლევარი სარგებლობს ამ ცნობით „X-XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სის“ დადგენია დროს. გვ. 101.

<sup>3</sup>) ხომ არ ფიქრობს ს. კაკაბაძე, რომ „სიგელის მეორე ნაწილი“ შეიძლება შესრულებული იყოს მელქისედეკის კათალიკოზობიდან გადამდგარობის შემდეგ? მაგრამ ასეთი მოსაზრების კატეგორულად საწინააღმდეგო მოწმობას იძლევა თვით ტექსტი: მელქისედეკი, როგორც მოქმედი კათალიკოზი მიჰმართავს მის შემდეგ მყოფად მესაქეებს მცხეთის საყდრისა: „აწ წმიდანო მღვდელთ-მოდგართა მთავარო რომელნი შემდგომად ჩუენსა (ხაზი ჩვენი) და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წინამძღურად წმიდასა ამას კათლიკე ეკლესიასა“ და სხვა.

ძეგლის დათარიღებით<sup>1</sup> ჩვენი ამოცანა არ შესრულებულა. გარდა იმისა, რომ ტექსტი ისეთ მომენტებს შეიცავს, რომელთა გაშუქება ზედმეტი არაა, ის აქა-იქ ნაკლულევანიცა და დამახინჯებულიც გვეჩვენება. ამათი აღნიშვნა-დადგენა მაინც (თუ აღდგენა ვერა) გამოცემის პირდაპირი დანიშნულებაა.

ს. კაკაბაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ მცხეთის მამულებისადმი შეუვალობის მიმნიჭებელი ბაგრატ კურაპალატი, რომელსაც მელქისედეკი თავის „აღმზრდელს“ უწოდებს, არის ბაგრატ III (საისტ. კრებ. IV, I. c.). იმის შესახებ, თუ როდის უნდა მიენიჭებია ამ მეფეს ხსენებული შეუვალობა, შეიძლებოდა ერთი მოსაზრების წამოყენება. მელქისედეკი ამბობს: „რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს ღმე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიკადნეს“ (სტრ. 76—78). შემდეგ კათალიკოზი მოგვითხრობს, თუ როგორ „ამოუგდო“ ალი ამირამ „რომელი ქალაქისა გასავალი იყო წმიდასა ამის დედაქალაქისაგან“ (სტრ. 79—80) ბუნებრივია კითხვა: განა ჰერეთ-კახეთში მცხეთის საკზო ეკლესიას მამულები არა ჰქონდა? უეჭველია ჰქონდა. უეჭველია, რომ ეს სოფლებიც „შესავალნი“ იყვნენ. მაშ რატომ არ „მოაკენა“ მელქისედეკ კზმა „რანთა და კახთა მეფეს“ და თუ „მოაკენა“ რად არ იხსენიებს? აკი ბაგრატის გვერდით ალი ამირა არ დაივიწყა? პასუხი შეიძლება იყოს: ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა ბაგრატ III-ეს ხელი მიუწვდება როგორც ქართლზე, ისე ჰერეთ-კახეთზე ე. ი. მის შემდეგ, რაც მან „დაიპყრა სრულიად ჰერეთი. და კახეთი, წარმოიყვანა კვირიკე, დაიმჭირა თვისსა კარსა ზედა“ (ქ. ცხ. 243\* 470). უკანასკნელ ამბავს ადგილი ჰქონდა, როგორც აღვნიშნეთ, 1011 წელს. აი ამ წლიდან ვიდრე 1014 წლამდის, უნდა ვიფიქროთ, შეუვალობა მიანიჭა ბაგრატ მეფემ მცხეთის მამულებს, როგორც მესხეთსა და ქართლში, ისე ჰერეთ-კახეთშიც. ამავე ხანებში „ამოუგდო“ ალი ამირამ რაც „ქალაქისა გასავალი იყო წმიდასა ამის დედაქალაქისაგან“.

ამ მოსაზრების გაზიარებით დასტურდება აგრეთვე მელქისედეკის კათალიკოზად კურთხევის საერთოდ მიღებული თარიღი—1010 წელი.

1) ამ თარიღების შეწყნარების შემდეგ სავალდებულოა ორი სხვა ქრონოლოგიური დასკვნაც: კვირიკე რანთა და კახთა მეფე უნდა მოკლულიყოს უწინარეს 1033 წლისა; ღმელქისედეკის კზობის დასასრულის terminus post-იც იგივე 1033 წელია.

ძეგლის დამამტკიცებელთა ვინაობის შესახებ ნაწილობრივ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ბაგრატ კურაპალატისა (==მეფე ბაგრატ IV, 1027—1072) და კვირიკე მეფის (==გაგიკ ძე სომეხთა მეფისა დავითისი) გარდა ძეგლს ამტკიცებს ორი კათალიკოზი.

ერთი ამათგანის ვინაობა სადაო არ არის. ის არის ქართლის კათალიკოზი ოქროპირი<sup>1</sup>, რომელიც კარგად არის ცნობილი სხვა წყაროებიდანაც<sup>2</sup>. ის ჩანს 1045 და 1048 წლებში.

ძეგლის დამამტკიცებელი მეორე კათალიკოზი თავის თავს სახელით არ იხსენიებს, მელქისედეკს კი ის თავის „გამზრდელსა“, „შემოქმედს“ და „მამას“ უწოდებს. საინტერესოა, რომ ოქროპირიც თავის „მამად“ იხსენიებს მელქისედეკს. მ. ბროსე და ს. კაკაბაძე ამ უსახელო მღვდელმთავარს იოანე კათალიკოზად ჰგულისხმობენ. ბროსე არ ასახელებს წყაროს, რაზედაც ეს თავისი მოსაზრება დაამყარა (H. de le g. I, 312, n. 1). ს. კაკაბაძე ჩვენი ტექსტის უორდანიასეულ შემტოარ წაკითხვას ემყარება, მისი ასეთივე შემტოარი შენიშვნით სარგებლობს და ამ, ასე ვთქვათ, მისთვის ფუძემდებელ ცნობებზე მითითების შემდგომ ერთს დადებითი ხასიათის ცნობასაც იშველიებს—მესტიის სახარების ანდერძს—, სადაც იოანე ქ. კათალიკოზი მართლაც იხსენიება 1033 წელს (სასტ. კრ. IV, 101).

როგორც წინამდებარე ტექსტიდან დაინახავს მკითხველი, იქ იოანე კათალიკოზის ხსენება არ არის და ამ „რეცა სახელით კათალიკოზი“-ს მესტიის სახარების ანდერძში მოხსენებულ იოანე ქართლის კათალიკოზთან გაიგივებებს იმდენი „ჰო“ შეიძლება ახლდეს, რამდენიც „არა“.

პირველ ყოვლისა უეჭველია, რომ ეს უსახელო კ-ზის დამამტკიცება სრული არ არის. მას კრულობითი ნაწილი აკლია და არაბუ-

<sup>1</sup>) როგორც დ. ჩუბინაშვილს, ისე თ. უორდანიასაც შევთომა მოსდით ოქროპირის წოდებულობის წაკითხვაში. ხელნაწერში მოცემული: ქეს: შრ:ქ: კ-ზისა ოქროპირსა“, სტრ. 157, მათ გაუხსნიათ: „ქრისტეს მიერ კათალიკოზსა ოქროპირსა“ და „ქართლისა“-ს აღმნიშვნელი :ქ:-ანი კი უგულვებელუყვიათ: თ. უორდანიას გამოცემას დაემყარა აკ. ნიკ. მარი და „ოქროპირ კათალიკოზი“ აფხაზეთის „ადვილობრივ კათალიკოზად“ აღიარა (იხ. *Церк. ведомости* № 3. გვ. 137. 19072.).

<sup>2</sup>) Д. Бакрадзе Сванетия, 93—94 ლაშთხვერის სახარების ანდერძი *Сборник мат. для опис. мссст. и племен Кавказа* XLIII. ლაშთხვერის სახარების ანდერძის მიხედვით 1048 (თუ 1046?) წელს ოქროპირი თუ უკვე გარდაცვლილი არა, მოდღევენებული მაინც არის: ამ დროს სტეფანე ხუცესი პალავრელი (ქართლიდან) „დაწესეს“ „მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა“.

ნებრივად წყდება. შემდეგ, საყურადღებოა, რომ დამამტიკებელი თავის თავს არ ასახელებს.

ასევე დამამტიკებელია, რომ ოქროპირი, რომელიც ამ „კ-ზი“-ს შემდეგ ამტიკებს მელქისედეკის „დაწერილსა და განგებულს“, არც ამ დამტიკებასა და არც მის ავტორს არ იხსენიებს, მაშინ როცა მას არ ავიწყდება ყველა სხვა დამტიკებათა მოხსენიება. იბადება ეჭვი: ხომ არ შეიძლება ეს ნაკლული დამტიკება ოქროპირ კ-ზის დამტიკების ნაწილად (=დასაწყისად) მივიღოთ? მაგრამ ასეთ შესაძლებლობას ამ დამტიკებების აგებულობათა მთლიანობა გამორიცხავს: მათი შეერთებით ჩვენ ყოვლად შეუწყნარებელ განმეორებებს მივიღებდით.

ამიტომ იძულებული ვართ აღვიაროთ: ეს დამტიკება დამოუკიდებელია და ის მაშინაც იყო, როცა ოქროპირი ამ საბუთს ამტიკებდა (ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ ოქროპირმა ეს ძეგლი დამტიკა მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ უკანასკნელის მწირველის, იოანეს თხოვნით).

თ. ჟორდანიამ სცადა ამ უსახელო კათალიკოზის სახელის ამოკითხვა უცნაურ გამოთქმაში „: ქპ (=ოქროპირ) (ქრონიკ. II; 35 შენ. \*\*). შემდეგ ერთი სადაო ცნობის მოპოვების გამო ეს თავისი წაკითხვა უარყო და XVII-XVIII ს-ის პირის თანახმად ქპ—გამოთქმა „ქართლისა პატრიაქი“-დ შეიწყნარა (იქვე, 95, შენ. 4). დ. ჩუბინაშვილმა როგორც უკვე მოვიხსენიეთ, „ქპ“ გამოთქმა „ქორონიკონი პ“-ად წაკითხა. ორივე წაკითხვა „ოქროპირი“-ცა და „ქორონიკონი“-ც შემცთარია და მიუღებელი ჩანს, როგორც ფორმალურად, ისე ნივთიერადაც. მაგრამ არც XVII-XVIII ს. პირისეული წაკითხვა „ქპ“ გამოთქმისა „ქართლისა პატრიაქი“ ჩანს უეჭველი.

ძნელია ისეთ პირობებში მსჯელობა და მით უფრო რაიმე დასკვნათა მიღება, როცა თვით ტექსტის სისწორეში არა ვართ დარწმუნებული, ხოლო მისი შესწორების საშუალება კი არა ჩანს. ამიტომ ჩვენ მიერ ამ საკითხის გარშემო გამოთქმული მოსაზრებანი და შესაწყნარებლად წამოყენებული დასკვნანი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყვნენ.

მაგრამ ჯერ იოანე კათალიკოზის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, იოანე ქართლისა კათალიკოზი მოხსებულია 1033 წელს გადაწერილი მესტიის სახარების ანდერძში. რაც შეეხება თ. ჟორდანიას მიერ ნაჩვენებ სხვა წყაროებს: მე-XIII საუკუნის სიგლის მოწმობა (ქრონიკ. II, 95-96), კარბელაშვილის

მეორე გადმოწერილი მინაწერი „სტოდიერისა“<sup>1</sup>, შიომღვიმის XIII ს. გადაწერილ ხელნაწერში დაცული კათალიკოზთა სია<sup>2</sup>, — ყველა ესენი სადაო ხასიათის მოწმობებია და თვით მოითხოვენ შესწავლა-დათარიღებას. მეორე დადებითი ხასიათის ცნობა იოანე ქართლის კ-ზის შესახებ XI ს-ის პირველი ნახევრისა ფოკათა (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერაა:

I სამხრეთის კარის ზემოდან საუცხოვოდ მოჩუქურთმებული ჯვარის მარჯვნივ ლამაზი მსხვილი ასომთავრულით:

ქე ძო და სტყო ლთსო აღე ალოგნე ოქროპრი ქართლსა კთლკზი ორთავე შინა ცხრებთა ან.

ე. ი. „ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო აღიდე ჟოვანე-ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა ამინ“.

II. ამავე ჯვარის მარცხნივ წინაწარწერის გასწვრივ, ისეთივე ასოებით:

ქე აღდე ბგრატ კორპლტი, ე. ი. „ქრისტე აღიდე ბაგრატ კორპალატი“.

III. იქვე კარის მარცხნივ კედელზე, ცალკე:

სახითა ღათა მე ბერელი ღრს	„სახელითა ღმრთისაჲთა მე ბევ-
ვიქმნ შებსა  წასა ამს ეკსა სა-	რელი ღირს ვიქმნ შენებისა წმი-
ფძლი დაიდვა მე თნა დავურ კ	დაჲსა ამის ეკლესიისა საფუძველი
ელსნი  ვყვ ოქროპრისა  ქკზისა <sup>3</sup>	დაიდვა მე თანა დავშუერ კელო-
	სანი ვიყავ ოქროპირისა ქართლი-
	სა კათალიკოზისა“.

ცხადია, ფოკათა ეკლესიას აგებს ქ. კზი იოანე-ოქროპირი. ბაგრატ მეფის კურაპალატობის ჟამს ე. ი. XI ს-ის პირველ ნახევარში, ან უფრო დაახლოვებით, 1031-1053 წლებში.

ამავე წარწერებიდან ცხადია, რომ ოქროპირი კათალიკოზს ერქვა იოანეც ან უკეთ: იოანეს ერქვა ოქროპირი<sup>4</sup>, და რომ ეს იოანე-

<sup>1</sup>) „ივერია“ - 1889 წლისა № 30. პროფ. კ. კეკელიძე ამ იოანეს XII ს-ში ჰგულისხმობს მეფე დემეტრე დავითის ძის დროს.

<sup>2</sup>) ქრონიკები I, 20. ს. კაკაბაძის ანგარიშით ამ სიის არც ერთი პირი XI ს-ის პირველ ნახევარს არ ეკუთვნის (საისტ. კრებული, I, 102).

<sup>3</sup>) ფრჩხილებში მოთავსებული განგებ არის ამოთლილი; ასეთი ბოროტმოქმედების სამწუხარო მაგალითები ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ჯავახეთში.

მოყვანილი წარწერანი გადმოღებულია 1927 წელს საქ. საისტ. საეთნ. საზ-ბის დახმარებით ჯავახეთში მოწყობილ საარქეოლოგიო მოგზაურობის დროს, სადაც მონაწილეობდნენ ასპირანტები: ლ. მუსხელიშვილი, გ. გოზალიშვილი, გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ი. ცინცაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

<sup>4</sup>) ეს იცის ანტონ კათალიკოზმაც; „იოვანე ვსთქვა მამათმვარ პირველ,

ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ ოქროპირად იხსენიებოდა.

ეხლა, თუ კი მხოლოდ „ნართაული სახელით“ შეიძლება მოხსენიებულიყო ეს კ-ზი, რატომ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ იგივე იოანე-ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ იოანედ წოდებულიყო?

ამგვარად, ჩვენი მოსაზრებაა: მელქისედეკის უშუალო მემკვიდრე მცხეთის საკ-ზო ტახტზედ იყო იოანე კ-ზი, რომელიც აგრერვე ოქროპირადაც იწოდებოდა<sup>1</sup>. ის ჩანს 1033-1048 წლებში.

თუ ეს ასეა, მაშინ ვინაა მელქისედეკის დაწერილ-განგებულის დამამტკიცებელი ეს უცნობი „რეცა კათალიკოზი“?

მაგრამ ჯერ ამ დამამტკიცებაში მოყვანილი: ქპ:—გამოთქმის შესახებ. რომ ეს არ შეიძლება იყოს „ქორონიკონი პ.:“, თუნდაც „ს“-ანის ჩართვით,=1060 წ.—ეს ყოვლად უდავოა: მისი მომდევნო დამამტკიცებელი კ-ზი ოქროპირი ამ შემთხვევაში 1060 წლის შემდეგ უნდა გვევლინებინა, რაც შეუძლებელია: 1058 წელს უკვე გიორგი კათალიკოზობს (თ. უორდანი, ისტ. საბ. შიომღვიმის მონ., 3-5).

რომ არც „ოქროპირი“ შეიძლება დავინახოთ ქპ: გამოთქმაში, არც ამას უნდა დიდი მტკიცება: ოქროპირი სწორედ ამის შემდეგ ამტკიცებს ძეგლს.

არც „ქართლისა პატრიარქი“ გვეჩვენება დამაკმაყოფილებელ წაკითხვად „ქპ“ გამოთქმისა. თავი რომ დავანებოთ წინადადების უხერრო და უჩვეულო წყობას („მეცა გლახაკსა უღირსსა რეცა სახელით კათალიკოზსა დამამტკიცებია ქართლისა პატრიარქსა“), როგორსაც ასეთი წაკითხვისას მივიღებდით, საქმე ისაა, რომ ეს „რეცა სახელით კათალიკოზი“, რომელსაც კანდიერებად მიაჩნია მისი „გამზრდელისა“ და „შემოქმედის“ მელქისედეკის „მამად“ წოდება, უკანასკნელს მხოლოდ კ-ზად მოიხსენიებს. ძნელი დასაშვებია, რომ მას იქვე თავისი თავისათვის „ქართლისა პატრიარქი“ ეწოდებია, სადაც მელქსიდეკს მარტივად „კ-ზს“ უწოდებს, ხოლო თავის თავს „კ-ზის“ სახელის ტარების ღირსადაც კი ვერ სთვლის. ასე რომ ხსენებული გამოთქმის გასაგებად, ჩვენი აზრით, სხვა გზაა საძიებელი.

ფიქრობთ, ერთ-ერთ მოსაზრებად შეიძლება წამოგვეყენებია ამ ადგილის შემდეგი წაკითხვა: „მეცა გლახაკსა უღირსსა რეცა სახელით კათალიკოზსა დამამტკიცებია. ქრისტემან პირ მტკიცეჲ ყაენ

ვინ ოქროპირი ინართაულსახელა“—წყობილსი ჟ.ყ.აობიდან. მომყავს კარბელა შვილის ამონაწერით.

<sup>1</sup>) თ. უორდანი, თითქოს ეჭვობს ამასვე, თუმცა ნათლად არ ამბობს, მან იცის და აღნიშნავს, რომ „იოანე და ოქროპირ ერთი-და-იგივე სახელია (ქრონ. II, 99, შენ. 4).

ბრძანებაჲ მათი და ვინმე აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტიანეთაგანმან კაცმან...“ (სხვა აკლია). რა თქმა უნდა, სიძნელე არის წარმოდგენილ წაკითხვაშიაც (ასეთი პატივის უჩვეულობა, „მტკიცე“-ს ნაცვლად „მტკიცე“-ს მოსალოდნელობა), მაგრამ ჩვენი წაკითხვის თანმხლები სიძნელენი ადვილად შეიძლება გადამწერის შეტომას მიეწეროს, სამაგიეროდ ფორმალურ-ნივთიერი დაბრკოლებანი ამ წაკითხვის დროს მოხსნილია...

ეხლა, თუ კ-ზი იოანე იგივე ოქროპირია და უკანასკნელი გარკვევით ჩანს მეორე დამტკიცებაში, ვინლა ეს პირველი დამტკიცების სუბიექტი — „რეცა სახელით კ-ზი“?

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დაუშვათ, რომ ის „აფხაზეთის“ კ-ზია, რომელიც ძეგლის დაწერის თანამედროვეა და მელქისედეკის სიცოცხლეშივე ამტკიცებს მას. რაც შეეხება ოქროპირის დამტკიცებას, ის უნდა ვიფიქროთ, მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ არის შესრულებული.

საკითხს იმის შესახებ თუ რა ხელი ჰქონდა აფხაზეთის ადგილობრივ კათალიკოსს მელქისედეკ ქართლის კ-ზ პატრიარქის საქმიანობასთან, — ამ საინტერესოს მაგრამ ჯერ შეუსწავლელ საკითხს ჩვენს შემთხვევაში ადვილად მოევლება: საშუალება გვაქვს მიუთითოთ ანალოგიურ ფაქტზე: XIII საუკუნის ერთს „დაწერილს“<sup>1</sup>, რომლითაც მიქაელ ქართლისა კათალიკოზი სოფელ ორომაშენს უწყალობებს მცხეთის სახლის მსახურთ-უხუცესს ვაჩე გუარამას ძეს მეფეთა და თვით მიქაელის დამტკიცებათა შემდგომ „დაწერილს“ ამტკიცებს „მრწემი სიწმიდითა მათისა [ე. ი. მიქაელ კათალიკოზისა] გლახაკი არსენ“, რომელიც არის აფხაზეთის კათალიკოზი არსენ ბულმაისიმის ძე<sup>2</sup>.

ამით შეგვეძლო ჩვენი მოჭარბებული საუბარი დაგვესრულებია, რომ ერთი გარემოება არ გვაიძულებდეს ჩვენი ძეგლის ერთი არსებობითი ხასიათის შესწორების შესაძლებლობაზე ჩამოვაგდოთ საუბარი.

ს. კაკაბაძემ თავის წერილში: „როდის არის აშენებული სვეტი-ცხოვლის ტაძარი“ (საისტორიო კრებული წ. I, 95-107) გა-

<sup>1</sup>) ს. კაკაბაძე, „მე-XIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები“ გვ. 5-7.

<sup>2</sup>) ამ არსენ ბულმაისიმის ძეს თ. ყორდანი, ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე ქართლის კათალიკოზად ჰგონებენ. ყველა ამათი საბუთიანობის განხილვა აქ შორს წაგვიყვანდა. ამიტომ იძულებული ვართ, უხერხულობის მიუხედავად, მკითხველს მიუთითოთ ერთს ჩვენ გამოუქვეყნებელ ნაშრომზე: „ქართული სავაზიროს გენეზისის საკითხები“, სადაც სხვათა შორის განხილულია საკითხი არსენ ბულმაისიმის ძის ვინაობის შესახებ.

ნაცხადა: „რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოსს არ ეკუთვნის სვეტი-ცხოვლის აშენება, ეს ცხადად სჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგელიდანაც“ (იქვე, 103).

მართლაც და, სვეტი-ცხოვლის აშენებაზე მელქისედეკის დაწერილში არაფერია ნათქვამი. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს გარემოება მსგავსი დასკვნის გამოყვანის უფლებას? ვფიქრობთ—არა.

ჩვენს ძეგლში არც ის არის ნათქვამი, თუ ვინ ააშენა სვეტი-ცხოველი და არც ის,—რომ ეს ტაძარი ჩვენი ძეგლის დამდებ მელქისედეკს არ აუშენებია. რომ ჩვენი ძეგლი პირმშო დედანი იყოს, ს. კაკაბაძის argumentum ad silentium-იც მართებული იქნებოდა. მაგრამ სიძნელეც იმაშია, რომ ჩვენი ძეგლი პირია (და, შესაძლებელია, არც პირველი პირი) და, რაც მთავარია, ის ნაკლულევანია და, საერთოდ, საკმაოდ დამახინჯებული, ხოლო სწორედ ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის აშენებაზედ ლაპარაკი (თუ ასეთი რამ კი იყო), XII ს-ის პირს აკლია, და ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ XVII-XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცთომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგამს წინ.

ამის გამო იმით დასაბუთება რისამე, თუ რა არ არის ასეთ ძეგლში, მკთარი ხერხია. აქ ტექსტი თვით მოითხოვს აღდგენა-დასაბუთებას. ამრიგად, ჩვენ იძულებული ვხდებით განვიხილოთ სვეტი-ცხოვლის აშენების საკითხი. მაგრამ არა მთლიანად.—ჩვენი მიზნისათვის საკმაოა ხსენებული საკითხის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც მელქისედეკ კ-ის სახელთან არის დაკავშირებული.

ს. კაკაბაძეც დასახელებულ წერილში<sup>1</sup> სვეტი-ცხოვლის ამ პერიოდს ეხება.

ჩვენც ვისარგებლებთ 3-ლი მკვლევარის ნაკლევით და მის ზოგიერთ დებულება-დასაბუთებათა კვალდა-კვალ განხილვით შევეცდებით გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ხსენებული საკითხისადმი, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ძეგლის შესაფერისი ადგილი ასე თუ ისე დავადგინოთ.

სვეტი-ცხოვლის შენობის გეგმის შესახებ დ. გორდეგვის დაკვირვებაზე<sup>2</sup> დაყრდნობით ს. კაკაბაძეც, აღნიშნავს რა ვახტან-

<sup>1</sup>) დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ ხსენებული წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სვეტი-ცხოვლის აგებას მირიან მეფისა ან ვახტანგ გურგასალის დროს და დავკმაყოფილებით ვახუშტის ცნობაზე მითითებით (გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 86).

<sup>2</sup>) მოსახრება, რომ სვეტი-ცხოვლის მელქისედეკისეულ შენობაში „არის... უფრო ძველი შენობის ნაწილებიც, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ანალიზის შეე

გისეული „დიდრი სიონის“ გადაკეთებას, იკვლევს დროსა და პირს, თუ ვის მიერ და როდის უნდა შესრულებულიყოს ტაძრის ეს „ხელახლაგ“ აშენება.

მკვლევარს მოჰყავს ხსენებული ტაძრის ორი კედლის წარწერა<sup>1</sup> და დაასკვნის: „ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძრის აღმაშენებელი არის მელქისედეკ კათალიკოზი, ხუროთმოძღვარი კიდევ არსაკისძე“.

„ვინ არის ეხლა ეს მელქისედეკ კათალიკოზი მცხეთის აღმაშენებელი?“—ჰკითხულობს ს. კაკაბაძე და აკეთებს „მცირე ექსკურსს“ X-XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის დასადგენად<sup>2</sup>. ასეთი ძიების შედეგად მკვლევარი იმ დასკვნამდის მიდის, რომ აღ-

წვობით, მაგრამ ისინი მელქისედეკის ხუროთმოძღვარის მიერ მოქცეულნი არიან-შენობის საერთო მწკრივში“, უკვე კარგა ხანია გამოთქმული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ, ასე რომ დ. გორდეეს არსებითად აქ ეკუთვნის ცდა მოყვანილი მოსაზრების შემოწმება-დამტკიცებისა (იხ. „არილი“ 110, შენ. 1).

1) ეს წარწერებია: 1) აღწ-ლწ ქეს მრ მქი|ხედ|ქკზი აწ||ალწნა ესე ევ|ელთა გლხკისა||მწსა მთს|||ა| რსკ ძთა || ღ-ნ გსე სლსა. 2) კ-ლი მოქნისა არსკ|ძ-ე შ-დთ. უკანასკნელი წარწერის წაკითხვა: „ველი მონისა არსა-ის ძისაჲ, შეუნდევთ“—სადაო არაა. ესევე არ ითქმის პირველის შესახებ. ს. კაკაბაძე მას ჰკითხულობს: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლის კათალიკოზი, ამინ. აღაშენა (ხაზი ჩვენია) ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ კელითა გლახაკისა მონისა მათისა არსაკისძისაჲთა, ღმერთმან განუსვენე სულსა“. მკვლევარი აქვე შენიშნავს: წარწერაში სწორი ფორმა არ არის „ღმერთმან განუსვენე (უნდა იყოს „განუსვენოს“)... შეიძლება აქ იყოს დამწერლობითი ხასიათის შეცთომა“... აქ მართლაც შეცთომა, მაგრამ უნდა იყოს არა „განუსვენოს“, არამედ, „განუსვენენ“ [=გსენ], ასე რომ წარწერაში მოცემულ გსე-ს მხოლოდ ბოლო კიდური ნარი აკლია. შემდეგ: გამოთქმა „აღწნა“ უნდა წაკითხულ იქმნეს „აღწენა“ და არა „აღაშენა“. ამის საბუთია ის გარემოება, რომ ამ სიტყვით ახალი წინადადება იწყება და მის წინ წერტილია ნაგულისმხმევი. ამ სიტყვის ასეთ თუ ისეთ წაკითხვას არსებითი ხასიათის კორექტივი შეუძლია შეიტანოს წარწერის გაგებაში. „აღაშენა“-ს პირობებში ტაძრის სხვა აღმშენებელი, გარდა მელქისედეკ-კ-ზა, გამორიცხულია. „აღწენა“-ს პირობებში კი, მართალია, მელქისედეკის აღმშენებლობა გ-მორიცხული არ არის და უეჭველად იგულისხმება, რომ ეს კ-ზი მონაწილეობს მასში, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ტაძრის შენება მელქისედეკის კათალიკოზად დაჯდომამდის დაეწყეთ და მის დროს მხოლოდ დასრულდა ის.

2) სამწუხაროდ, აქ არ შეგვიძლია არსებითად განვიხილოთ ავტორის მიერ წარმოდგენილი სქემა, შევნიშნავთ ზოგადად, რომ ეს საკითხი უფრო საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა; ვიდრე ეს პ-ლ მკვლევარს უკისრია. კერძოდ:—სრულიად გაუგებარია, თუ რატომ „არ შეიძლება“ „დასახელებულ სიაში მოხსენებული მელქისედეკი“ „იყოს 1020 და 1031 წლებში“ ცნობილი კათალიკოზი მელქისედეკი?—ან კიდევ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ეს სია (ავტორს მხედველობაში აქვს შიომღვიმის XIII ს-ში გადაწერილ ტიპიკონში მოყვანილი სია ქ-კ-ზა) შეი-

ნიშნული საუკუნეების სიგრძეზე სამ კათალიკოსს ჰპოულობს მელქისედეკის სახელით.

ერთი მათგანი, მისი ასრით, ჩანს 1093-1102 წ., მეორე—1020-1031 წ., ხოლო მესამე... არის ის, რომელიც სვეტი-ცხოვლის კედლის წარწერაში მოიხსენიება...

ს. კაკაბაძის საამისო საბუთებია: ...„XI ს-ნის დიდ ეკლესიათა აღმშენებლობის შესახებ ცნობები მათიანეში საკმაოდ არის დაცული. ბაგრატ III-ის შესახებ, მაგ.. ნათქვამია, რომ მან „აღაშენა საყდარი ბედიისა“, მანვე „აკურთხა ეკლესია ქუთათისა“. ბაგრატ IV-ის დროს (1027—1072 წ.) საზოგადოდ ეკლესიანი „ვერიკითხვებოდეს“, ხოლო დავით აღმაშენებლის დროს გელათის აშენებას მისი მემკვიდრე საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს. რომ დავით აღმაშენებლის დროს ადგილი ჰქონოდა სვეტიცხოვლის აშენებას, ამას მემკვიდრე უსათუოდ აღნიშნავდა. აგრეთვე აუცილებლივ იქნებოდა ეს ფაქტი მათიანეში აღნიშნული, რომ მას ადგილი ჰქონოდა ბაგრატ III-ის და მისი შვილის გიორგი II დროს (როგორც ამას ვხედავთ ბედიის და ქუთათის ტაძრების შესახებ). და რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოსს არ ეკუთვნის სვეტიცხოვლის აშენება, ეს ცხადად ჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემული სიგლიდანაც“ (საისტ. კრებ. I, 101).

ვფიქრობთ, აქაც მცთარ ხერხს მიჰმართავს ავტორი. ქ-ცას ცნობების დამოწმება (რა თქმა უნდა, სათანადო გაცხრილვა-შეჯერებით) ყოველთვის შეიძლება, მაგრამ მისი დუმილის დამოწმება— მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევაში მკვლევარმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის მემკვიდრე განსაზღვრული ცნობის მოყვანას გვერდს ვერ აუქცევდა და მეორეც: რომ ჩვენ ხელთ არსებული ტექსტი უნაკლულოა. ასეთ შრომას კი პ-ლი ავტორი თავის თავზე არ იღებს.

ძლება წარმოვიდგინდეს სახელებს შემდეგ მხოლოდ 1072-1073 წლებში მოხსენებულ გაბრიელ კათალიკოსისა-ი?!

რატომ უნდა დაეწყო ხსენებული ტიპიკონის გადამწერს კათალიკოსთა სია 1075 წლიდან, მაშინ როცა მეფეთა და დედოფალთა სიას X ს-ნის დამლევით იწყებდა? განა უფრო ბუნებრივი არაა ვიფიქროთ, რომ კათალიკოსთა სია სჯნქრონულად სწორედ ბაგრატ III-ის დროიდან იწყება?..

სად ჰგულისხმობს ავტორი იაკობის ჟამის წირვაში მოხსენებულ სვიმეონ ქ. კ-ს? რატომ ათავსებს საიქიოს იოანე კათალიკოსს 1115 წელს, მაშინ როცა ჯერ კიდევ 1123 წელს ის მცხეთის სააქაო საყდრის საქეთმპყრობელია, განა, როცა „თარიღები ნაჩვენებია მხოლოდ დაახლოვებით“, სავალდებულო არ არის დადებით ცნობას გაეწიოს ანგარიში?!

მაგალითად: ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა შიო მღვიმის დიდი ეკლესია ააგო. რას გვეტყვის მკვლევარი: რატომ არ იხსენიებს ამას „მისი მემატიანე“? და როცა უშუალოდ დავითის მიერ ეკლესიის აღმშენებლობას არ იხსენიებს, რა უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ის „უსათუოდ აღნიშნავდა“ „სვეტი-ცხოვლის აშენებას, რომელიც კათალიჭოზის (და არა მეფის) მიერ სწარმოებდა? <sup>1</sup>

ავტორს რომ თავისი ეს მოსაზრება ლოგიკურის თანმიმდევრობით ბოლომდის გამოეყენებია და რაღაც უცნაური მიზეზის გამო XI საუკუნით არ შემოფარგლულიყო, ის ვალდებული იქნებოდა აღმოეჩინა: „რომ სვეტი-ცხოვლის აშენებას ადგილი ჰქონოდა X ს-ში, ეს ფაქტი აუცილებელი იქნებოდა მათიანეში აღნიშნული“.

მართლაც და, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი, აღნიშნავს რა ქუთაისისა და ბედიის ეკლესიათა მშენებლობას (ამას ს. კაკაბაძე XI საუკუნისად სთვლის), სრულიად არ ივიწყებს ჭყონდიდის აშენებას (ქ. ცხ. 229, \*452) გიორგი აფხაზთა მეფის დროს X ს-ის პირველ ნახევარში და მოქვის აშენებას (იქვე, 233 \*457) ლეონ აფხაზთა მეფის მიერ X ს-ის მეორე ნახევარში. და თუ ჭყონდიდის აშენება კი აღნიშნა მემატიანემ, ს. კაკაბაძის თვალსაზრისზედ რომ დავდგეთ, განა მცხეთის სვეტიცხოვლის შენებას არ აღნიშნავდა, რომ ამას ადგილი ჰქონოდა X საუკუნის პირველ ნახევარში? მაშ როგორ და ამტკიცებს ავტორი, რომ სვეტიცხოვლის აშენება X ს-ის პირველ ნახევარში მოხდაო (იხ. ქვემოთ)? ან კიდევ, როცა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ლეონ აფხაზთა მეფის მიერ მოქვის ეკლესიის აგებას გვამცნობს, რატომ არ აღნიშნავს ის ამავე მეფის დროს 964 წელს აგებულ კუმურდოს შესანიშნავ ტაძარს?.

საქმე ისაა, რომ ესა თუ ის „მემატიანე“ სრულიადაც არ სთვლიდა თავის თავს ვალდებულად ყველა, დღეს ჩვენთვის საინტერესო მოვლენა აღენიშნა. თითოეული მათგანი განსაზღვრული მიზნით სწერდა და სწორედ ეს მიზანი სწვეტდა ამა თუ იმ ფაქტის მოხსენება-მოუხსენებლობის საკითხს. მკვლევარის ასეთი მარცხის სათავე, როგორც ვხედავთ, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცთომასაა ჩამარბული.

რაც შეეხება მკვლევარის მიერ მემატიანის დამოწმებას, რომ ბაგრატ IV-ის დროს ეკლესიანი „ვერ იკითხვებოდეს“, აქ ვფიქრობთ, გაუგებრობაა. რის თქმა სურს ს. კაკაბაძეს? ნუ თუ მისი აზ-

<sup>1</sup>) მიუხედავად ამისა ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მკვლევარს, რომ სვეტიცხოვლის „აშენება“-ს დავით აღმაშენებლის დროს არა ჰქონია ადგილი, მაგრამ საამისო ჩვენი საბუთები, რა თქმა უნდა, სულ სხვაა.

რით ეს გამოთქმა იმას ჰნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის დროს საქართველოში ეკლესიათა მშენებლობა მცირე იყო? ასეთი ზედპირული და წინდაწინ მარცხად განწირული მოსაზრება გვეძნელება მივაწეროთ მას...

მაშ, რა მოსატანი იყო ხსენებული მოწმობა?..

მელქისედეკის ანდერძის (აწინდელი მისი სახით) დუმილის დამოწმების მეთოდოლოგიური მცთარობა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ. ამგვარად, ს. კაკაბაძის ეს ზოგადი მოსაზრებები XI საუკუნეში სვეტი-ცხოვლის აშენების შეუძლებლობის შესახებ უარსაყოფია.

განხილული მოსაზრებებით წელმომავრებული ს. კაკაბაძე ცდილობს კიდევ უფრო ცხად ყოს ის, რაც, მისი აზრით, „ცხადად ჩანს მელქისედეკ-ის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგლიდანაც“. ამ მიზნით ავტორი განიხილავს ხსენებული ძეგლის სათანადო ცნობებს.

მკვლევარი აკვირდება მელქისედეკის ანდერძში დაცულ ცნობებს აღმშენებლობის შესახებ და დაასკვნის: „ამგვარად მელქისედეკ კათალიკოსს XI ს-ის პირველ მეოთხედში მცხეთაში აუშენებია მხოლოდ „გარეთი ბჭე“ და შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სვეტი-ცხოვლის სახურავის შეკეთება“ (საისტ. კრებ. I, 104).

ვერ გავგიგია, რად არის მკვლევარისათვის საეჭვო, რომ როგორც „სტოითა მოქმნა“ ისე „ზედა დაბურვა“ სწორედ სვეტი-ცხოველს შეეხება და არა „გარეთი ბჭე“-ს. „კონტექსტიდან“ მხოლოდ ასე ჩანს და სხვა გვარად გაგება არც შეიძლება. ამისდა მიხედვით ზემომოყვანილი დასკვნაც სათანადოდ უნდა შესწორდეს: მელქისედეკს მიეკუთვნება: 1) სვეტი-ცხოვლის დაბურვა (და არა „სახურავის შეკეთება“), მისი „სტოითა მოქმნა“ და „გარეთი ბჭის“ აგება<sup>1</sup>.

ეხლა, მას შემდეგ რაც მელქისედეკის დაწერილის დუმილი ტაძრის აშენების შესახებ მკვლევარმა ამ კათალიკოსის მიერ სვეტი-ცხოვლის აშენების უარსაყოფად დაიმოწმა, ამავე მიზნით ის ეხება გარეთი ბჭის ცნობილ წარწერას.

თავის დროზე თ. ჟორდანიამ ამ წარწერაში სწორედ იმის ცნობას ჰხედავდა, რომ ამ ბჭის აღმაშენებელი მელქისედეკ-ის თვით სვეტიცხოვლის ტაძრის მაშენებელიც არის (ქრონ. I. 176).

აწინდელი სახით ეს წარწერა ასეთია:

1) გარდა ამისა მან „წმიდათა მოწამეთა სამარტვლოსა შიგან შექმნა საფლავი“ და დადგა „საკურთხეველი“, მაგრამ ყოველივე ეს უშუალოდ აღმშენებლობას არ ეხება.

ქე აღე შნ მიწ დამყარებოლა მ'ფე ჩნი ქს შიერ მელ-  
ქიზედეკ ქართლას კათალიკოზი რწ მს მეორედ აღაშენა-წმ კა-  
თო[ლ]იკე... სოლისა მთისა<sup>1</sup>.

ამ წარწერას ს. კაკაბაძე ასე ჰკითხულობს: „ქრისტე აღიდე-  
შენ მიერ დამყარებული მეუფე ჩუენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ  
ქართლისა კათალიკოზი, რომელმან მეორედ აღაშენა წმიდისაჲ კა-  
თოლიკე [ეკლესიისაჲ ბჰს სალოცველად] სულისა მათისა“ (საისტ-  
კრებ. I, 105). ასეთი წაკითხვა მთავარ ნაწილში ყოვლად მიუღე-  
ბელი გვეჩვენება. საკითხი ეხება „წმ“ გამოთქმის წაკითხვას. უდა-  
ვოა, რომ პატივ ქვეშ მოცემული სიტყვა დასმულია სახელობით-  
ბრუნვაში. წარმოდგენილი წაკითხვისას კი ის უეჭველად ნათესაო-  
ბით ბრუნვაშია მოქცეული, ასე რომ პატივ ქვეშ დასმული სახელო-  
ბითი ბრუნვის მაჩვენებელი დ-ე აქ გაზედმეტებუღია და თანმიმდევ-  
რობა მოითხოვდა წამკითხველს ეს „ზედმეტი“ დ-ე სრულიად ამოე-  
გდო. ორში ერთი: ან ეს დ-ე უნდა უარვეყოთ, ან არა და წარმოდ-  
გენილი წაკითხვა მიუღებელია. მაგრამ ეს ასო ვერც პ-ლმა მკვლე-  
ვარმა უარყო და, თუმცა საჭირო თანმიმდევრობის გამრუდების  
ხარჯზე, მაგრამ მაინც შეინახა.

დარჩა მეორე შესაძლებლობა: წმ“-ში სახელობითი ბრუნვა-  
უნდა იქმნეს ნაგულისხმევი და მაშასადამე აღდგენაც ამას უნდა შე-  
უთანხმდეს.

ებლა წარწერის აღდგენილი ნაწილის შესახებ.

პირველ ყოვლისა არ შეგვიძლია ერთი რამ არ უსაყვედუროთ.  
პ-ლ მკვლევარს:

რატომ არ აღნიშნავს ის, თუ რა უფლების ძალით ურთავს  
ნაკლულევან ადგილას მოყვანილ სამ სიტყვას და არა ერთს ან,  
ვთქვათ, ორს ან ოთხს გინა მეტს? მას თითქო საშუალება ჰქონდა გა-  
მოერკვია დ. გ ო რ დ ე ე ვ ი ს ა და მ. კ ა ლ ა შ ნ ი კ ო ვ ი ს დახმარებით.  
(მათ ხომ მისი იქ ყოფნის დროს „გაზომეს და დეტალურად შეის-  
წავლეს“ ეს ბჭე?), თუ რამდენი აკლია იმ სვეტს, რომელსაც წარწერა  
ჩამოსდევს. ამის აღნიშვნით და მისდამი სათანადო ანგარიშის გაწე-  
ვით მკვლევარი თავის აღნადგენს (სხვა დანარჩენ მისაღებ პირო-  
ბებში) უფრო მეტ დამაჯერებელ იერს მისცემდა. თორემ რა დამა-  
ჯერებლობითი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ასეთ აღდგენას (სამ-

<sup>1</sup>) ეს წარწერა იწყება ფასადის შუბლის ჩრდილოეთი კუთხიდან, უჭარავს  
მთელი შუბლი, ჩამოსდევს სამხრეთის სვეტს, წყდება აქ ამ სვეტის ქვების გაც-  
რეცის გამო და სრულდება ჩრდილოეთის სვეტზე, სადაც მოთავსებულია წარწერის  
უკანასკნელი ორი სიტყვა.

სიტყვიანს) შედარებით თ. უორ დან იას აღდგენასთან, რომელიც არსებული ხარვეზის შევსებას ერთი სიტყვით ჰფიქრობდა? რა თქმაუნდა—არავეითარი.

ესლა ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა „წ<sup>ა</sup> კათოლიკე“-ს არსებობის პირობებში „ეკლესიისაჲ ბჰჰ“-ს აღდგენა. (მესამე აღნადგენი სიტყვა: „სალოცველად“ ან სხვა ამის მსგავსი, უეჭველია, იყო: ამას მოითხოვს გადარჩენილი: „სოლისა მათისა“)? მაგრამ ჯერ ვიკითხოთ: შესაძლებელია თუ არა ძველ ქართულში ფორმა: „ეკლესიისაჲ ბჰჰ?“—შეუძლებელია.

ძველ ქართულში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით მიღებული განმარტება, თუ ის წინ უსწრებს განმარტებულ სიტყვას, უცვლელად რჩება ამ ბრუნვაში მიუხედავად იმისა, თუ რა რიცხვში და ბრუნვაში დაისმის მის მიერ განმარტებული და მისი მომდევნო სიტყვა<sup>1</sup>, ხოლო თუ ასეთ განმარტებას წინუსწრებს მის მიერ განმარტებული, მაშინ ასეთი განმარტება ზედშესრულივით შეეთანხმება. ხოლო განმარტებულს ბრუნვასა და რიცხვში. ასე რომ პ-ლ მკვლევარს უნდა აღედგინა: ეკლესიისა ბჰჰ. ასეთ პირობებში კი „წ<sup>ა</sup>“-ს წაკითხვა „წმიდისაჲ“-თ ყოვლად დაუშვებელია, რათგან ეს სიტყვა შეთანხმებულია „ეკლესია“-სთან, როგორც რიცხვში, ისე ბრუნვაში. ასე რომ მკვლევარს უნდა მიეღო: „წმიდისა ეკლესიისა ბჰჰ“. ტექსტი კი იძლევა ფორმას: წ<sup>ა</sup><sup>2</sup>. ცხადია: აღდგენა მცთარია. უნდა: წ<sup>ა</sup>ში დაჲ. ასევე შეცთომა იქნებოდა: წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიისა ბჰჰ.

ამგვარად გამოთქმა: „წმიდაჲ კათოლიკე“ ვერ ითმენს „ეკლესიისა“-ს აღდგენას. მაგრამ შეუძლებელია აგრეთვე: „წმიდაჲ კათოლიკე ბჰჰ“; „კათოლიკე“ შეიძლება მხოლოდ ეკლესია, ტაძარი, საყდარი. ასე რომ კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან გამოთქმა „წ<sup>ა</sup>“ შეცთომაა და უნდა ყოფილიყო „წი<sup>ა</sup>სა“, ან არა და ნაკლებეან აღგილას ეწერა: „ეკლესიაჲ. სალოცველად“ და თ. უორ და-

1) ასეთი ჩანს წესი. ერთადერთი ამის საწინააღმდეგო მაგალითი თითქმის ნიკორწმინდის ეკლესიის ერთი წარწერაა (იხ. გ. ბოჭორიძის „რაქის ისტორიული ძეგლები“: საქ. მუხ. მოამბე № 5, გვ. 195). მაგრამ ეს წარწერა თვით შესამოწმებელ-შესასწავლია და მაზედ დაყრდნობა ძეგლის აღდგენისას შეუძლებელია: მას ეწინააღმდეგება ყველა სხვა შემთხვევები.

2) ძვ. ქართულში პატივთა ხმარების წესის მიხედვითაც კი „წ<sup>ა</sup>“-ს გახსნა „წმიდისაჲ“-თ უჩვეულო და უმართებულო ჩანს. შდრ. ტექსტის 164—წდ-სა კათოლიკე ეკლესიაჲსა; 132—წი-სა კათოლიკე ეკლესიაჲსა; 125—წ<sup>ა</sup> კათოლიკე ეკლესიაჲ; 81—წ-დისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი; 81—წ<sup>ა</sup> (=წმიდასა) კათოლიკე ეკლესიასა.

ნიას წაკითხვა არსებითად სწორია. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საბუთი არსებული გამოთქმა „წ-ა“ შეცთომად ვივარაუდოთ.

მეორე მხრით არც თ. უორდანიას წაკითხვაა სრული და უდავო. მართალია, ის გრამატიკული ხასიათის სიძნელეს არა ჰხედება, სამაგიეროდ შინაარსით არის საეჭვო: წარწერა ამოჭრილია გარეთი ბჭის ფასადზე, მოიხსენიებს კათოლიკე [ეკლესიის] აშენებას კ-ზის მიერ და არას ვამცნობს თვით ბჭის აშენებაზე, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშეა, სწორედ ამ მელქისედეკ კ-ზის აშენებულია. ამიტომ, როგორც გრამატიკული ისე შინაარსითი სიძნელენი რომ დაძლეული იყოს, ამ ძეგლის ჩვენი წაკითხვა იქნება: „ქრისტე აღიდე შენ მიერ დამყარებოლი მეუფე ჩუენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, რომელმან მეორედ აღაშენა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ და ბჭს ესე სალოცველად სოლისა მათისა“.

აქ შესაძლებელია<sup>1</sup> სიტყვა „ეკლესიაჲ“ არც ყოფილიყოს, მაგრამ ეს წანაკითხის შინაარსს ვერ შესცვლიდა: კათოლიკე თავის თავად ჰგულისხმობს „ეკლესიას“. მაშინ ეს ადგილი იქნებოდა: რომელმან მეორედ აღაშენა წმიდაჲ კათოლიკე [და ბჭს სალოცველად] სოლისა მათისა“.

ამრიგად, ჩვენი წაკითხვით გამოდის, რომ გარეთი ბჭის აღმაშენებელი კ-ზი მელქისედეკ სვეტიცხოვლის „მეორედ მაშენებელიც“ ყოფილა.

გავყვეთ ქვევით 3-ლი მკვლევარის საბუთიანობას.

„რომ გარეთი ბჭის და ტაძრის აღმაშენებელი მელქისედეკი სხვადასხვა ჰირნი არიან, ეს ჩანს წარწერათა პალეოგრაფიული თვისებებიდან. სვეტი-ცხოვლის წარწერას, მაგ., ახასიათებს, შედარებით ბჭის წარწერასთან, გარდამავალი სახის ასომთავრული კ მოკლე ფეხით და მეორე შემთხვევაში გრძელი ფეხითაც. მოკლე ფეხიანი ასომთავრული კ უფრო ძველი ხანის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს (საისტ. კრებ. I, 105). ... ზემოდ მოყვანილ მაგალითის და საერთო შთაბეჭდილების მიხედვით სვეტი-ცხოვლის წარწერანი უფრო ძველი დროისად სჩანან...“ (იქვე). ასეთია ორი საბუთი ს. კაკაბაძისა.

ასეთი „საერთო შთაბეჭდილების“ მიღების უწინარეს უსარგებლო არ იქნებოდა მკვლევარს ანგარიში გაეწია. (და თუ კი მხედველობაში მიიღო, აღენიშნა) იმ გარემოებისათვის, თუ სად იწერებოდა ესა თუ ის წარწერა. მას კარგად მოეხსენება, რომ ასოთა მო-

<sup>1</sup>) ასეთი „შესაძლებელია“ ჩვენ იძულებული ვართ ვივარაუდოთ, რადგან საშუალება არა გვქონდა გამოვევრკვია ხარვეზზე მოსათავსებელი ასოების დაახლოებითი რაოდენობა.

ხაზულობა, მათი ესა თუ ის სახე დიდად არის დამოკიდებული იმისაგან, თუ სად, როდის, ვის მიერ რაზედ და როგორ პირობებში იწერება ლაპიდარული ძეგლი. ამის საუკეთესო ილუსტრაცია სწორედ სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის წარწერაა, სადაც იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო ლიგატურები (თხზულები) არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია საწერი მასალის (დისკოები ქვებზედ) თავისებურობით.

რაც შეეხება „მოკლეთებიან ასომთავრულ „კ“-ს, აქ ავტორმა ისიც კი არ აღნიშნა, თუ როგორია ეს ასო დანარჩენ ოთხ შემთხვევაში: ეს კ-ანი ტაძრის ამ წარწერებში ექვსჯერ არის წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ იმ ერთადერთ შემთხვევაში ყველა ექვსიდან, სადაც კ-ანი მართლაც შედარებით მოკლე ფეხითაა წარმოდგენილი, ეს ასო განსხვავებულია არა მარტო ამ ნიშნით, არამედ შუა ტანის შედარებითი კუთხოვანობითაც. გარდა ამისა მას არც ის მოკლე ფეხი ჩამოუდის სწორად, ასე რომ აქ ასოს ამომჭრელის ხელმარცხთან უფრო შეიძლება გვქონდეს საქმე, ვიდრე დამწერლობის დამახასიათებლობასთან. ყველა სხვა დანარჩენი ასოები და მათ შორის კ-ანიც (5 შემთხვევაში) არაფერ განსხვავებულს, შედარებით ბჭის წარწერასთან, არ წარმოადგენენ. ასე რომ „წარწერათა პალეოგრაფიული თვისებები“, ვფიქრობთ, ს. კაკაბაძის დებულებას მეტად მკირედ ჰშველიან.

გარეთი ბჭის აღმაშენებელი მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლის აშენების უარყოფის შემდეგ ს. კაკაბაძე ეძებს დროს, სადაც უნდა მოათავსოს, როგორც სვეტიცხოვლის აშენება, ისე მისი აღმაშენებელი მელქისედეკის კათალიკოზობა.

მისი აზრით: „საფიქრებელია, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის ხელ-ახლად აგება ახალი გეგმით დაკავშირებული ყოფილიყო წინათ არსებული შენობის მიმართ რაიმე კატასტროფიული ხასიათის მოვლენასთან“ (იქვე). მისთვის აგრეთვე „ცნობილია“, რომ „X ს-ნის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა არაბების მიერ მცხეთის და მცხეთის პირდაპირ ჯვარი-პატიოსანის ტაძრის გადაწვას“. საამისოდ ის ქ-ცას იმოწმებს. უცნაურია, რომ ავტორი იმოწმებს მ. ბროსეს მიერ **გამოცემულ** ქართლის ცხოვრების სათანადო ადგილს, მაგრამ ისე რომ ტექსტს თავის გემოზე ასწორებს, ამას არ აღნიშნავს და ასეთ ციტატას ბრჭყალებში სტოვებს.

ხსენებული ადგილი ბროსეს გამოცემით (გვ. 197): „ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი“, რომელთა უკმობენ [Tvar. უკმობდეს] საჯობით, და მოტყვენეს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთა, და შე-

იქცეს, და წარვიდეს, და წარიტანეს თანა ჯვარი პატიოსანი დაჭრილი“... იგივე ადგილი ს. კაკაბაძის მიერ ციტირებული: „ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უკმობენ საჯობით და მოტყუენენს კახეთი და დაწვეს ჯუარი, მცხეთა და შეიქცეს და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი“ (საისტ. კრებ. I, 105). როგორც ვხედავთ აქ დედანთან შედარებით შეცვლილია, როგორც სიტყვათა მართლწერა („მოტყუენენს“, ჯუარი), ისე სასვენი ნიშნებიც. და რომ ყველა ეს არც ისე „უწყინარი“ ცვლილებაა, ამას აქვე დავინახავთ.

ბროსეს სრულიად მართებულად დაუცავს მეცნიერული სიფრთხილე და დედნიველი მართლწერა: „დაწვეს ჯვარი მცხეთა და შეიქცეს“ (ხაზი ჩვენია) ხელუხლებელი დაუტოვებია. და მართლაც, იმ დროს, როცა სხვა შემთხვევებში კავშირ „და“-ს უხვად ხმარობს მემატიანე, რალა მაინცადამაინც „ჯვარი მცხეთა“-ს დაწერილსა შეიპყრო ის უადგილო ლაკონურობამ? (და ეს ასეა ქცას ყველა არსებულ ხელნაწერებში).

ს. კაკაბაძემ ბროსეს სამართლიანი სიფრთხილე უსამართლოდ დაარღვია: მისი გამოცემული ტექსტი დააციტირა, „ჯვარი მცხეთა“-ს შორის არ არსებული მძიმე (,) დასვა და მიიღო: რომ სარკინოზებმა „მას ჟამსა“ ჯვარიც (მცხეთის) დაწვეს და მცხეთაც.

„ჯვარი მცხეთა“-ს შორის არა თუ მკვლევარის მძიმე (,), თვით ტექსტის მიერაც კავშირი „და“ რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ამ შემთხვევაშიაც კი ს. კაკაბაძის გაგება მისაღები ვერ იქნებოდა, რადგან უპირველეს ყოვლისა „მცხეთის“ დაწვა სრულიად არ ჰგულისხმობს სვეტი-ცხოვლის ტაძრის დაწვას. მაგრამ ასე ვერც იტყოდა მემატიანე. „დაწვეს ჯუარი და მცხეთა“ უსრული და გაუგაუებარი გამოთქმა იქნებოდა. თანამედროვე მკითხველს არ ეცოდინებოდა, თუ რომელი „ჯუარი“ დაწუეს სარკინოზთ; ბოლნისის, ატენის, მანგლისის, მცხეთის, თხოთის, უჯარმოსი თუ სხვა. ეს დღესაა, როცა „ჯვარი“ მცხეთის ჯვარის საკუთარ სახელად იქცა, თორემ ძველად ასე როდი იყო. „ჯუარი“ უძველეს დროს მრავალი იყო, ამიტომაც თითოეულ მათგანს ნიშანდობლივ ერთვოდა ის საგეოგრაფიო სახელი, სადაც ეს „ჯუარი“ იყო.

ასეთი ორნაწილადი სახელი შერჩა. მათ შემდეგ დროებშიაც კერძოდ „მცხეთის ჯვარი“-ს („ჯვარი მცხეთას“) სახელი საბოლოოდ დაუკავშირდა ჩვენში ნინოს მიერ ქართლის მოქცევის მოთხრობას, სადაც ამ მოთხრობის დამწერმა სცადა უძველესი წარმართული სალოცავისათვის ქრისტიანული დასაბამის გამონახვა.

მოთხრობის მიხედვით „მუნ აღმართა ჯვარი იგი დიდებითა“<sup>1</sup>.  
ლაპარაკია იმ ჯვარზე, რომელიც „თხოთისა“ და „უჯარმოს ჯვარი“-  
საგან განსასხვავებლად „ჯვარი მცხეთისა“-დ იწოდებოდა<sup>1</sup>.

ეს იყო, ასე ვთქვათ, ქრისტიანული ეტიმოლოგია ერთ-ერთი  
უძველესი სალოცავის სახელისა<sup>2</sup>: ადგილი, სადაც „მცხეთის ჯვარი“  
აღმართეს, ამ სახელით იწოდა, ესევე სახელი („მცხეთის ჯვარი“)  
უნეპრივად გადავიდა შემდეგ თვით იმ ტაძარზე, სადაც ეს ჯვარი  
ბუცო დაცული<sup>3</sup>. ასე რომ, თუ ვინმეს სურდა ძველად გადმოეცა ცნო-  
ია ამ „ჯვარის“ შესახებ, მას აუცილებლად ამ სახელის ეს განმარ-  
ტებითი ნაწილიც არ უნდა დაჰვიწყებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში  
მას ვერაფერს გაუგებდა. ამიტომ ჩენი მემატიანის „ჯვარი მცხეთა“-ში  
შეუძლებელია, ვფიქრობთ, სხვა რაიმე ვიგულისხმობთ გარდა მხოლოდ  
მცხეთის ჯვარისა.

ტექსტს აქ ს. ანი აკლია და უნდა ყოფილიყო: ...„დაწუეს ჯუა-  
რი მცხეთას“ (შდრ. „აღწერილი... აღმართებისათჳს პტროსნი და  
ცხვლმყოფლისა ჯიჴსა მცხეთას“. ე. თაყაიშვილი Описание... 787).  
შესაძლებელი იყო „მცხეთა“-ში აქ „მცხეთისაჲ“-ს გადამახინჯება გვე-  
ძია, მაგრამ პირველი შესაძლებლობა უფრო მისაღებად გვეჩვენება.

ამ რიგად ს. კაკაბაძის მძიმე (,) აქ მიუღებელია. სწყვეტს რა  
შუაზედ ერთ ცნებას, ის ვერც მეორეს ჰქმნის, ხოლო პირველს კი  
გაუგებარს ჰხდის: მისი წაკითხვით არც მცხეთის ტაძარი ჩანს დამა-  
წვარი და არც მცხეთის ჯვარი.

ჩვენი დასკვნაა: „მას ჟამსა“ (ს. კაკაბაძით 920-925 წლებ-  
ში) სარკინოზთ მცხეთა (და მით უფრო სვეტი-ცხოვლის ტაძარი) არ  
დაუწვავთ. მათ „მოტყვენეს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთას[ს],  
და შეიქცეს“... ეს იყო „კახეთის“ მორბევა და, როგორც ჩანს, ის  
ქართლს არ შეჰხებია.

<sup>1</sup>) ქ. ცხ. ბროსეს გამოც. გვ. 95, 96, 97: „შატბერდის კრებული“ გვ. 488 და  
ქვ.; ქართლის მოქცევის ჰელიოზურა ვარიანტი ე. თაყაიშვილის აღწერილობ-  
ებით. Опис. 787.

<sup>2</sup>) რომ მას უძველეს დროსაც „ჯვარი მცხეთისა“ ერქვა, ეს ჩანს ევსტათე  
მცხეთელის მარტილობიდან: მცხეთიდან წამოსული ევსტათი, მისი სახლელუნი და  
მცველები „ვითარ წიაღხდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარისა მცხეთისასა“  
და სხვ. (იხ. საქ. სამოთხე, 316).

<sup>3</sup>) როგორც ჩვენი, ისე ქართლის მოქცევის კონცეფციათა ისტორიულ მისა-  
ღებლობა-მიუღებლობის საკითხს ჩვენი ამოცანისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნე-  
ლობა არა აქვს: იყო რეალურად ასეთი რამ (ან მისი მსგავსი) თუ არა, —სულ-  
ერთია: თუ იყო, მაშინ ამის შემდეგ სწოდებია ამ ადგილს „მცხეთის ჯვარი“, თუ  
არა, მაშინ ძველად არსებული სახელის („მცხეთის ჯვარი“) ეტიმოლოგიის ცდას-  
თან გვაქვს საქმე.

ამ „კატასტროფულ ხასიათის მოვლენას“ სვეტი-ცხოვლის „წინად არსებული შენობის მიმართ“ ს. კაკაბაძე 920-925 წლებში ვარაუდობს. ამ ცნობაში „მოხსენებული საჯი“, მისი აზრით, „შეიძლება დაკავშირებულ იქნას ასოლიკის მიერ აღნიშნულ „უწმინდურ საჯთან“, რომელიც იყო იუსუფ აბუსაჯის ძე“ (საისტ. კრ. I, 106).

თავისი მოსაზრების შესამაგრებლად მკვლევარი მიუთითებს მკითხველს ასოლიკისა, მოსე კალანკატუელისა, იბნ ალ ასირის და „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობებზე.

იბნ ალ ასირით რუზიკები ბარდავში მოვიდენ 943-944 წელს; მოსე კალანკატუელით რუზიკების მოსვლის უწინარეს ბარდავი ეპყრათ დეილემიტთა (Ռէլէմէնէք) ტომს, რომელთა მეთაური იყო სალარი. „სალართა“ მიერ ბარდავისა და ადარბადგანის დაპყრობა კი „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს მოთხრობილი აქვს ფაღლას ქორეპისკოპოზად დაჯდომისა, „საჯთა“ მოსვლისა და დინარ დედოფლის მიერ ჰერეთის მწვალელობიდან მოქცევის მოთხრობის შემდეგ.

„მასადამე“, დასკვნის მკვლევარი, „მცხეთის და ჯვარის დაწვა საჯის მიერ მომხდარა 943 წელზე უწინარეს“. და განაგრძობს: „ამავე დროს ეს ამბავი მოხდა ფაღლას ქორიკოზად გახდომის ახლო ხანებში. გიორგის მეფობის დროს კი ფაღლას შემდეგ ქორიკოზად დაჯდა კვირიკე, რომელსაც 957 წ., როდესაც გიორგი I გარდაიცვალა, სასიძო შეიღი ყავდა. ფაღლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა გიორგი I-ის მეფობის პირველ ნახევარში. ამასთანავე სომხეთიდანაც არაბები განდევნას უშუაბათის შეიღმა მეფე აშოტმა (გრდ. 929), რომლის მემკვიდრე აბასი (929-953 წ.) უკვე მშვიდობიანად მართავდა თავის ქვეყანას. ამიტომ ყველა ამ მოსაზრებების გამო საჯის კახეთში შემოსევა, რასაც შედეგად ჰქონდა მცხეთის და ჯვარის დაწვა, უნდა მომხდარიყო მე-920 წლებში, დაახლოებით 925 წ. ახლოს“. (საისტ. კრ. I, 107).

ს. კაკაბაძე უეჭველად მართალია, როცა „საჯთა“ მიერ კახეთის მოტყვევნას 914-944 წლებს შორის ეძებს. ხოლო რაც შეეხება მის მიერ გაწეულ უფრო დაწვრილებით ქრონოლოგიურ ძიებას, არა გვეგონია თვით 3-ლ ავტორსაც აკმაყოფილებდეს ის.

ჯერ ერთი, რატომ შეიძლება „სარკინოზნი, რომელთა უკმობდეს საჯობით“, „დაკავშირებულ იქმნას ასოლიკის მიერ აღნიშნულ „უწმინდურ საჯთან?“ „მატიანე ქართლისაჲ“-ს (თუ მისი წყაროს) ავტორმა კარგად იცის იმ „საჯის“ სახელი, რომელსაც ს. კა-

კაბაძე ჰგულისხმობს (*Бюллетень КИАИ*, № 1-3, стр. 7) და რომ მემატიანეს ეს აბულკასიმი ჰყოლოდა სახეში, ის მას, საფიქრებელია, დაასახელებდა კიდევ. როგორც სჩადის ამას 908-914 წლის ამბების მოთხრობის დროს. „საჯთა“ ბატონობა სპარსეთში აბულკასიმ იუსუფს არც დაუწყია და არც დაუსრულებია. მას წინ უსწრებდა აფშინი აბუსაჯის ძე, უფროსი ძმა აბულკასიმისა. ხოლო მის შემდეგ (გარდ. 927) იყო აბულმოზაფფირფათჰი, ძე აფშინისა (გარდ. 930) და სხვა „მემკვიდრენი“ „საჯის“ სახლისა (*Лэн-пуль, Мусульманские династии*, перев. Бартольда, გვ. 10).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ უფრო მეტი უფლება გვაქვს, ვფიქრობთ, კახეთის მომრბევი „საჯი“ ამ სახლის ერთ-ერთ ნაკლებად განთქმულ ნაგვიანევ წევრში ვეძიოთ, ვიდრე აგრე მწვავედ დაუვიწყარ აბულკასიმში.

აგრეთვე მიუღებელი გვეჩვენება 3-ლი ავტორის წინამძღვარი, რომ 957 წელს ფადლას მემკვიდრე კვირიკეს „სასიძო შეილი ყავდა“, „ფადლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა გიორგი I მეფობის პირველ ნახევარში“. არა თუ შეილი შეილს, შეილის ჰასაკიც კი მამის მიერ ტახტის დაჭერის ქრონოლოგიისათვის ყოვლად ირაციონალი რიცხვია: მასში იმდენია „შემთხვევითი“, რამდენიც წელიწადი.

მოთხრობის თანმიმდევრობაზე ქრონოლოგიის აგება ჩვენ შემთხვევაში, ვგონებთ, მისაღებია. და ეს იმდენად, რამდენადაც. სხვადასხვა არაერთი მეორისაგან და არა საერთო წყაროსაგან დამოკიდებულ მემატიანენი თანხმობით იცავენ ასეთ თანმიმდევრობას. მაგრამ იმისაგან, რომ, შესაძლებელია, ჯერ კახეთის მოტყვევება მოხდა სარკინოზთაგან, მერმე „სალართა“ გაბატონება ბარდავისა და ადარბადანში, და შემდეგ კიდევ რუზიკთა მიერ ბარდავის აღება 944 წელს, ეს წყობა იმის მეტს მაინც არას გვეუბნება, რომ კახეთის მორბევა მოხდა უწინარეს „სალართა“ მიერ ბარდავის დაპყრობისა, რაც თავის მხრით მოხდა უწინარეს 944 წლისა. სხვა უფრო დაახლოებითს ქრონოლოგიას აქიდან ჩვენ ვერ მივიღებთ.

სომხეთის შესახები ამბების მოშველიებისას ს. კაკაბაძე სრულიად უყურადღებოდ სტოვებს თ. არწრუნის ცნობებს. ის კი როგორც ცნობილია, თანამედროვედ ითვლება 920-940 წლების ამბებისა, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსად ჰხდის მის ცნობებს.

მაგალ., ს. კაკაბაძით სომხეთში აბას სუმბატის ძის მეფობის დროს თარეშს ადგილი არ ჰქონია. თ. არწრუნით კი ელი-საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI.

სეს კათალიკოსობის დროს (936-943) და გაგიკის ვასფურაგანში მეფობის დროს (გარდ. 936 ახლო), ე. ი. ზე-10 ს-ის 40-იან წლებში, როცა სომხეთის ცენტრალურ ნაწილში აბას სუმბატის ძე მეფობდა (929-953), სომხეთს შემოესია საჯთა, როგორც მეფის ნაცვალთა სახლის, ერთერთი მემკვიდრე სპარსეთში. მან სწრაფად გამოვლო ქვეყანა, მოიწია დვინამდის და ხარკის ამკრეფნი დაგზავნა არარატის სანახებში. ეს ქვეყნები სწორედ აბას სუმბატის ძის სამფლობელო იყო. აბასი შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და საქართველოში ივლტოდა. შემოსეული მტერი გაგიკ ვასპურაკანელმა უკუ-გდო <sup>1</sup>. ბროსე არ ეკვობს, რომ ეს არაბი მხედართმთავარი საჯის ასახლის“ წარმომადგენელი იყო <sup>2</sup>.

აგრეთვე საყურადღებოა, რომ დელმიკების (*Դեկմաց*) შესახებ თ. არწრუნიც სწორედ ამის შემდეგ მოგვითხრობს. მათთან ბრძოლა ჰქონდა გაგიკ ვასპურაკანელს <sup>3</sup>. ამიტომ ეს ამბავიც დაახლ. ამავე ხანებშია საგულვებელი.

ეხლა რომ ვიკითხოთ: რა უპირატესობა აქვს 3-ლი მკვლევარის ქრონოლოგიას იმ შესაძლებელ ქრონოლოგიასთან, რომელიც „საჯის“ მიერ კახეთის მოტყვევნას 936 წლის ახლო დროით განსაზღვრავდა? პასუხი იქნება:—არავითარი.

თ. არწრუნი ყოველ შემთხვევაში მთლად ამ მეორე ქრონოლოგიის მხარის დამკერი იქნებოდა. მისი ცნობების თანახმად სუმბატ მეფის დაღუპვის შემდეგ აბულკასიმ იუსუფი სომხეთში (და უნდა ვიფიქროთ, საქართველოშიაც, რადგან აღმ. საქართველო, ალბანია და სომხეთი 898 წლიდან სპარსეთში მჯდომ არაბ ხელისუფალის საგამგეოში შედიოდნენ: ЛЭН-Пуль, Мус. дин. 103) არ შემოსულა. ასევე მისი მემკვიდრე ფათჰი ძე აფშინისა (გარდ. 930). ამის შემდეგ სპარსეთში ანარქია გამეფდა „საჯის“ სახლის კაცთა ურთიერთ შორის ბრძოლის ნიადაგზე და მხოლოდ 936 წლის ახლოს დასრულდა ის ერთი „საჯთაგანის“ გაძლიერებით, რომელმაც, როგორც კი ღონე მოეცა, არ დააყოვნა და გაურჩეულ სომხეთზე (უნდა ვიფიქროთ, საქართველო—ალბანიაზედაც) საჯთა სახლის შერყეული უფლებების აღდგენა სცადა.

<sup>1</sup>) *Թիվմայի վարդապետի Արծրունու պատմության თანს Արծրունեսայ.* Եფ. გამ. 488-492.

<sup>2</sup>) M. Brosset, Collection d'historiens arméniens, t. I, p. 241, n. 5. ლენ-პულით 931 წელს ადერბეიჯანის მმართველად დანიშნულ იქმნა იუსუფ აბუსაჯისძის მონაყოფილი დი მის მიერვე განთავისუფლებული მუფლიჰი.

<sup>3</sup>) *Թիվմայի Արծրունու պատմություն,* 492.

საინტერესოა, რომ ბროსე კახეთის აოხრებას „საჯის“ მიერ 938 წ. ახლო ხანით ათარიღებს<sup>1</sup>. ამავე წელს ჰგონებს ის ფადალას გაქორიკოზებას (საქ. ისტ. I, ლოლობერიძის თარგმ. 122).

ამრიგად, ს. კაკაბაძის თარიღი 920-925 წ. თავისთავად მეტად სათუთა, ხოლო მის მიერ ამ თარიღის სასარგებლოდ მოყვანილი სახელდახელო საბუთები უსაფუძვლოა.

სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა კიდევ ერთი ახალი ჰიპოთეზის შექმნის საბაზს აძლევს მკვლევარს.

მისი აზრით „ეს გარემოება (მეფის მოუხსენებლობა) უნდა აიხსნებოდეს არა მარტო იმით, რომ ტაძრის აშენებას აწარმოებდა თვით საკათალიკოზო ეკლესია, არამედ იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობითაც“ (საისტ. კრებ. 107) და მკვლევარი აღნიშნავს გიორგი I-სა და მის ძმა ბაგრატს შორის ხანგრძლივ ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც 931 წელს თითქო ბაგრატის გამეფებითაც კი აღნიშნულა და დაასკვნის: „ასეთ პირობებში გასაგები ხდება, რომ სვეტიცხოვლის აშენების თაოსნობა თვით ეკლესიას უნდა ეკისრა და საქმე შეუსრულებია კიდევ“ (იქვე).

უეჭველია აქ lapsus-თან გვაქვს საქმე. ავტორს, საფიქრებელია, სურდა ეთქვა: სვეტიცხოვლის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა აიხსნება იმით, რომ ტაძრის აშენება მხოლოდ საკ-ზო ეკლესიას უწარმოებია და მეფეს არავითარი მონაწილეობა ამ საქმეში არ მიუღია, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობით...

არც ეს ჰიპოთეზი ჩანს მისაღები. ჯერ ერთი, საიდან იცის პ-ლმა მკვლევარმა, რომ სვეტიცხოვლის წარწერებმა მთლიანად მოაღწიეს ჩვენ დრომდის?<sup>2</sup>. მეორე, განა ჩვენ შესწავლილ-გარკვეული გვაქვს ქართლის კ-ზისა და აფხაზეთა მეფეების ურთიერთობა, როცა ვავალებთ უკანასკნელთ უეჭველად ითაოსნონ სვეტიცხოვლის ტაძრის აღმშენებლობა?

ს. კაკაბაძემ იცის, რომ 951 წელს ქ. კ-ზი არის მიქელ ტაძრის აშენებას მისი აზრით 20 წელი მოუხსენებოდა. ასე აღმოაჩინა მან მის მიერვე აღმოჩენილი მეღქისედეკისათვის კ-ზობის წლები—925-945.

<sup>1</sup>) ბროსეც ს. კაკაბაძის მსგავსად ჰგონებს, რომ არაბებმა მცხეთის ჯვარიც დაწვეს და მცხეთაც [ტაძარი?].

<sup>2</sup>) ამით ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, რომ მეფის მოხსენება მაინცდამაინც მოსალოდნელი იყო. წინააღმდეგ, ვფიქრობთ, რომ ასეთი რამ არც უნდა ყოფილიყო, თორემ XIII ს-ის საეკ. მოღვაწენი—იხ. ქვემოთ.—ამის აღნიშნვას არ დააყოვნებდნენ... ჩვენი კითხვა აქ მხოლოდ მეთოდოლოგიურ მიზანს ისახავს.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, მთელი ეს ნაშენობა მიუღებელია. ის შემცთარ საფუძვლებზე ჩანს სახელდახელოდ აგებული.

ერთი წლის შემდეგ ს. კაკაბაძემ ამ თავისი ქრონოლოგიის სასარგებლოდ კიდევ ერთი ცნობის გამოყენება სცადა. მან ყურადღება მიაქცია ულუ დავითისადმი საეკლესიო კრების (XIII ს-ის 63 წლის ახლო)<sup>1</sup> მიმართვაში დაცულ ცნობას „დიდი კათოლიკე ეკლესიის“ შენების შესახებ: „ვიციტ, რომე მრავალნი კადრებენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭირობასა, მაგრა ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა; ჰასრე, რომე ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“<sup>2</sup>.

აქ მოხსენებული „უძნელბედესნი ჟამნი“ ავტორმა იმავე აბულკასიმის ლაშქრობას დაუკავშირა, ხოლო ჯაფარ ამირა ამ ლაშქრობის თანამედროვე ტფილისის ამირად აღიარა.

აქიდანვე მან „კონტექსტით ისეთი შთაბეჭდილება“ გამოიტანა, რომ მცხეთა ამ დროს „ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა“; ხოლო, მისი აზრით, ჯაფარ ბენ მანსურისა (X ს-ის მეორე ნახევარი) და ჯაფარ ბენ ალის (XI ს-ის პირველი ნახევარი) დროს „მცხეთა გარკვევით ქართველ ხელმწიფეთა ტერიტორიაზე მდებარეობს და ტფილისის საამიროს ფარგლებს გარეშე იმყოფება“ (საისტ. კრებ. IV, 114).

„ყველა ამის მიხედვით“ ავტორი ჰპოულობს „ახალს დადასტურებას იმ ფაქტისას, რომ სვეტი-ცხოვლის საყდრის ხელმეორედ აშენება მოხდა დაახლ. 925-945 წლებში გავლილ და ჯერ კიდევ არ შეწყვეტილ შემოსევათა და აოხრებათა დროს და მართლაც მეტად მძიმე ხანაში, როდესაც ტფილისის ამირად ჯაფარი იჯდა“ (იქვე).

მოკლედ, ს. კაკაბაძის ისტორიული სურათი ასეთია: 907-945 წ. ტფილისის ამირად იჯდა ჯაფარი. მცხეთა მის საგამგეო ტერიტორიაში შედიოდა. 907-908 წელს სომხეთსა და საქართველოს შემოესია ამირა აგარიანი, აბულკასიმ იუსუფი და 914 წლამდის საშინლად მძვინვარებდა აქ. ეს აოხრება მხოლოდ „აფხაზეთს“ არ შეჭებია. საქართველოს სხვა ნაწილებისათვის კი იგი იმდენად მძიმე იყო, რომ ეს ქვეყნები „ამის შემდეგ დიდხანს ვერ მოიკრებდნენ ძალას“. 920-925 წლებში აბულკასიმ იუსუფი კახეთს ეწვია კვლავ:

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია. წ. I, 1928 წ. გამოც., გვ. 50.

<sup>2</sup> საისტ. მოამბე წ. I. 1925 წ. გვ. 221; „ულუ-დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება“ გამოც. გ. გოზალიშვილისა; სასვენი ნიშნები. ჩვენია

ააოხრა ის, დაწვა მცხეთის ჯვარი, და თვით სვეტიცხოველი. ამავე დროს „აფხაზეთის“ ტახტის მემკვიდრეებს შორის (პოლიტიკურად ქართლი ამ დროს აფხაზეთში შედიოდა) გამუდმებული მკაცრი ბრძოლა იყო გამართული. ქვეყანა გარეშე და შინაური ომების ცეცხლში იყო გახვეული. ზავი და მშვიდობა სანატრელი ოცნება იყო.

აი ამ შავბნელ დროს კატასტროფაგავლილი (დამწვარი) „სვეტიცხოვლის აშენების თაოსნობა თვით ეკლესიას“ უკისრია, ძველი დაზიანებული შენობა ახალი გეგმის მიხედვით გადაუყეთებიათ და ქართული ხუროთმოძღვრების ეს უდიდესი და უმშვენიერესი ძეგლი შეუქმნიათ.

...და „მე-XIII ს.—ნის დასახელებული მიმართვის ავტორნი აბულ კასიმის და მისთა შემდგომთა საშინელ აოხრებათ გულისსმობდენ, როდესაც ჯელალ-ედინის და მონგოლების მიერ მიყენებულ აოხრებებთან შედარებით მაინც „უძნელბედეს ხანის“ შესახებ ლაპარაკობდნენ“ (საისტრ. კრებ. IV, 113).

წარმოდგენილი სურათის ზოგიერთი ფაქტები ჩვენ უცვლელად ვიხილეთ. შევეხოთ დანარჩენთ. ჯერ წინააღმდეგობათა შესახებ.

თუ მცხეთა საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა, რატომ უნდა აეოხრებია და დაეწვა ის აბულ კასიმს? და თუ საამიროს ტერიტორიასაც არ ინდობდა, რატომ ტფილისი არ ააოხრა? „პირველი“ შემოსევისას ის ტფილისში შემოვიდა ბრძოლით კი არა, არამედ როგორც უფროსი ხელისუფალი მის ქვეშეთ მყოფი მოხელის სახელისუფლოში. ავტორისაგან მოსალოდნელი იყო დამტკიცების ცდა რომ ამ დროს მცხეთა კახთა ქორიკოზების ტერიტორიაში შედიოდა. ეს ლოგიკური იქნებოდა მის კონცეფციასთან დაკავშირებით მემატიანე სწორედ კახეთის მოტყვევნაზე ლაპარაკობს და ჯვარი-მცხეთაც (კაკაბაძით; ჯვარი და მცხეთა) კახეთის ფარგლებშია საძიებელი და არა მის გარეთ.

„ჯვარი მცხეთა“-ს უპართებულო წაკითხვით და მცხეთის მიკუთვნებით ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე პ-ლი მკვლევარი ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვარდება.

აქვე ერთი კითხვა: თუ სვეტიცხოვლის ტაძარი, როცა მას აშენებდენ, ტფილისის საამიროს ტერიტორიაზე ირიცხებოდა, რად იყო მაინც და მაინც მოსალოდნელი, რომ მის აღმშენებლობაში „აფხაზთ“ მეფენი უეჭველად მონაწილენი იქნებოდნენ, რომ ურთიერთ შორის ხანგრძლივ (30 წლოვანს?) ბრძოლას მათი ტრფიალი ეკლესიათა მშენებლობისა არ შეეწინააღმდეგებინათ? განა აფხაზთა მეფენი, რომელთა სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებში მცხეთა არ შედიოდა, ისე-

თივე „ხელმწიფენი“ არ იქნებოდენ მცხეთის ტახტისათვის როგორც ადარნერსე „ქართველთა მეფე“, გურგენ დიდი ე-ევი ან კვირიკე კახთა ქორეპისკოპოზი? რატომ ამათ სახელის მოუხსენებლობის ახსნას არ სცდილობს პ-ლი მკვლევარი?

ს. კაკაბაძემ „უძნელბედეს ჟამთა“ სურათი მართლაც მუქი ფერებით წარმოგვიდგინა და ამ „ჯერ კიდევ არ შეწყვეტილ შემოსევათა და აოხრების დროს“ უდიდესი აღმშენებლობის ფაქტიც აღმოაჩინა. როგორ ეთანხმება ეს ორი მოვლენა ერთი მეორეს, ჩვენთვის გაუგებარია. პირიქით, აღმშენებლობის ისეთი ფაქტიდან, როგორც სვეტიცხოვლის ტაძარია (დღეს დიდად დაზიანებული მისი პირველ სახესთან შედარებით), ბუნებრივი და მართებული იყო მისი შენების დრო ქვიცის (მისი მოწინავე წოდების სახით) დიდი ქონებრივი დოვლათიანობის და კულტურული აყვავების ხანად მიგველო. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეკლესიის მიერ თუნდაც „საკუთარი თაოსნობით“ ასეთი აღმშენებლობის გაშლა ამ „მართლაც მძიმე ხანაში?“<sup>1</sup> აქი გაცილებით ნაკლებად მძიმე დროს (ამაში არ ეჭვობს. პ-ლი მკვლევარი), XIII საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესია არა თუ აღმშენებლობას ვერ ეწეოდა, მას ძველად შეწირულ-შეძენილი ქონებაც კი ვერ დაეცვა საერთო ხე-

<sup>1</sup>) სვეტი-ცხოვლის მშენებლობასთან დაკავშირების გარეშე, თავის თავად „უძნელბედეს ჟამთა“ ავტორისებური სურათის მუქი ფერები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა შესამჩნევად შერბილებულიყო. იუსუფ აბუსაჯის ძეს მთელი სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ სრულიად არ ულაშქრია. მისი ეს ლაშქრობა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო და შეეხო ამ „ორიენტაციის“ მომხრე ხელმწიფეთა ხელქვეშე ქვეყნებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უეჭველად ვიცით, რომ აოხრება არ შეჭებია არა აფხაზეთს. მარტო, როგორც ამას ს. კაკაბაძე ჰგულისხმობს, არამედ არც ტფილისის სამიროს და არც ადარნერსე ქართველთა მეფის სამფლობელოს. სომხეთშიაც ხომ ვასპურაკანის და სივნიეთის მეფე-მთავრები აბულ-ქასიმის მხარეზე იყვნენ და ბიზანტიის მომხრე სუმბატის დაღუპვით ხელს ითბობდენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ X ს-ნის სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესწავლისას ჩვენ შედარებით კარგ პირობებში ვიმყოფებით. სომხური, ქართული, ბერძნული და არაბული წყაროები უხვ მასალას იძლევიან როგორც შედარებით მთლიანი და ობიექტური ისტორიული სინამდვილის დასაცავად, ისე თითოეული მემბტიანის (თუნდაც თანამედროვესი) კრიტიკულად შესასწავლად. აქ ჩვენ არც ისე უმწიფონი ვართ, რომ ნება-უნებლიეთ ერთი რომელიმე მემბტიანის ცნობათა გავლენის ქვეშ მოვექცეთ. უხვად მოგვეპოვება მოვლენათა ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო გაშუქებანი, რაც საშუალებას გვაძლევს „მესამის“ როლში დავდგეთ და შედარების გზით ისტორიული სინამდვილე კრიტიკულად აღვადგინოთ. ს. კაკაბაძის მიერ მოცემულ სურათს სწორედ ეს არ ახასიათებს. აქ გათვალისწინებული ვერაა საწინააღმდეგო ან კორექტივის შემტან ცნობათა მნიშვნელობა.

ლისუფლებისა და დიდებულთა მიერ გამოწირვა-მიტაცებისაგან. XIII ს-ის საეკლესიო კრების მონაწილეებივით ჩვენც „სარწმუნოების შენელებით“ ხომ არ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა?

საჭირო იყო ავტორს მიეღო თავის თავზე შრომა და აეხსნა მკითხველისათვის ეს ბუნებრივი კითხვები, რომელნიც მისი კონცეპციის არსებობის პირობებში წამოიჭრებოდა.

დასასრულ, რას ჰგულისხმობენ XIII ს-ის საეკლესიო კრების მიმართვის ავტორნი? უპირველეს ყოვლისა უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ XIII ს-ის საეკლ. კრების მოღვაწენი თავიანთი მიმართვის ამ ადგილას „უძნელბედეს ჟამთა“ ძიებისათვის არიან განწყობილნი. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ, თუ „XIII ს-ნის დასახელებული მიმართვის ავტორნი აბულკასიმის და მისთა შემდგომთა საშინელ აოხრებათ ჰგულისხმობდენ, როდესაც ჯელალ-ედინის და მონგოლების მიერ მიყენებულ აოხრებებთან შედარებით მაინც „უძნელბედეს ხანის“ შესახებ ლაპარაკობდნენ“ (საისტ. კრებ. IV, 113) თუ ეს „ცხადია“, როგორც გვარწმუნებს ს. კაკაბაძემ, მაშინ მოსალოდნელი იყო ამ უძნელბედესი ჟამის მაძიებელი მამებრ თავიანთ ცოდნასა და უნარს არ დაზოგავდენ ასეთი ხანის დასახატავად და ყოველ მიზეზს გარეშე მოიხსენებდნენ იმ „საშინელებებს“, რომელთა გამოც სვეტი-ცხოვლის ტაძრის შენების დრო მათ „უძნელბედეს ჟამად“ მიაჩნდათ.

მცხეთის ტაძრის შენება ს. კაკაბაძემ, როგორც ვიცით, „საჯის“ მიერ მის დაწვას დაუკავშირა. XIII ს-ის საეკ. კრების მონაწილენი გათვალმახვილებული ეძებენ შავ ფერებს „უძნელბედესი ჟამის“ დასახატავად. მათ იციან როდის „შენებულა დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ“. რაღა იქნებოდა მათთვის იმაზე უკეთესი საბუთი ამ „უძნელბედესი“ ხანის ნათელსაყოფად, თუ არ საკ-ზო ტაძრის აოხრების ცნობა?<sup>1</sup> სინამდვილეში კი რას ვხედავთ? მიმართვის ავტორთა მიერ დახატული სურათი „უძნელბედეს ჟამისა“ მკრთალი ანარეკლიც კი ვერ არის იმ სურათისა, რომელიც ს. კაკაბაძემ წარმოგვიდგინა. მათი უმთავრესი და ერთად-ერთი საბუთი უძნელბედობისა ის არის, „რომე“, „ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა“, „ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“.

1) „ქართლისა ცხოვრებაჲ“ მათთვის უცნობი არ არის. ამას თვით აღნიშნავენ მიმართვის ავტორნი. და, თუ მიუხედავად ამისა „საჯის“ მიერ ტაძრის დაწვის ცნობა არ მოჰყავთ, ეს მხოლოდ იმას ჰნიშნავს, რომ XIII ს-ნის საეკლ. კრების მოღვაწეებს „დაწუეს ჯუარნი მცხეთა“ ისევე ესმოდათ, როგორც ჩვენ და არა ისე, როგორც ს. კაკაბაძემ გაიგო.

მაგრამ ან-კი რა უნდა ექმნათ საეკლესიო კრების მოღვაწეთ, როცა სხვა მასალები არა ჰქონდათ? სვეტი-ცხოვლის აშენების დრო უეჭველად იცოდნენ მაშინ (ეს თვით მათი მოწმობიდან ჩანს) და არ არსებული სურათის შეთხზვა მათ არ შეეძლოთ, რა გინდ დიდი სურვილი არა ჰქონდათ საამისო...

პ-ლი მკვლევარი არც იმაშია მართალი, თითქო მიმართვის, ავტორნი იმ „უძნელბედობის ჟამს“ ჯალალისა და მონღოლების მიერ საქართველოს თავს დატეხილ აოხრებებს აღარებდნენ: ორი ისტორიული მოვლენის შეფარდებით (ერთი 300 წლისა, ხოლო მეორე 30-40 წლის) ისინი მათი თანამედროვე ხანის უპირატესობას ვერ დაამტკიცებდნენ.

ისინი ერთი-მეორეს აღარებენ თავიანთ აწმყოსა, როცა საქართველო, მართალია მონღოლთ ვასალი, მაგრამ მაინც და ჯერ კიდევ მთლიანი სამეფო იყო, იმ დროსთან, როცა ტფილისი „სპარსთა“ ხელში იყო, როცა იქ მუსლიმანი ამირა „ჯდომილა“.

XIII ს-ნის მოღვაწეთა თვალში დედა-ქალაქის უცხოთა ხელში ყოფნა მართლაც „უძნელბედისი ჟამის“ მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მათ ვერ გაეთვალისწინებიათ, რომ მათი დროის ტფილისი, ეს ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი დიდი სახელმწიფოსი, სულ სხვა იყო შედარებით X-XI ს-ნის ტფილისთან.

მიუხედავად ამისა, მიმართვის ავტორნი, რა თქმა უნდა, მართალნი არ იყვნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ის დრო, როცა „დიდი კათოლიკე ეკლესია შენებულა“, „უძნელბედისი“ იყო იმ დროსთან შედარებით, როცა მონღოლთა განმანადგურებელი მოხარკეობით გალატაკებული მოწინავე წოდება და საერო ხელისუფლება საეკლესიო ქონების მიტაცებით სცილილობდა გასაჭირის შემსუბუქებას.

მართო ის ფაქტიც კი, რომ „უძნელბედისი ჟამში“, „დიდი კათოლიკე ეკლესია შენებულა“, ხოლო მათ დროს (XIII ს-ში) საეკლესიო ქონების მიტაცებას სისტემური და თითქმის დაკანონებული ხასიათი მიუღია, ფრიად საეჭვოდ ჰყოფს „ღირსთა მამათა“ ისტორიულ კონცეპციას „უძნელბედისი ჟამის“ შეფასების საკითხში.

ს. კაკაბაძე გადაჭრით აცხადებს „არავითარი „ჟამის ძნელბედობა“ საქართველოს არ ჰქონდა“ ჯაფარ ბენ მანსურისა (975 წლ. ახლო) და ჯაფარ ბენ ალის დროსაო (XI ს-ნის 20-ან-40-იანი წლები). პირველის დროს „იყო დავით კურაპალატის მძლავრების ხანა“, მეორის დროს კი ბაგრატ IV მეფობდაო (საისტ. კრემ. IV, 113).

გიორგი I მეფობის მეორე ნახევარში და ბაგრატ IV მეფობის პირველ ნახევარში ე. ი. 1020-1031 წ. „ძნელბედობის“ მძიმე სურა-

თის<sup>1</sup> დასახატავად ჩვენ ნამდვილი და არა სადარ და სათუო ისტორიული ცნობები არ შემოგვაკლდებოდა, მაგრამ ამას არ ჩავდივართ. რადგან ეს იქნებოდა მეთოდოლოგიური შეცდომა, ჩვენი შეხედულების თავზე მოხვევა XIII ს-ნის მოღვაწეთათვის. იმისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ რას ჰგულისხმობდნენ საეკ. კრების მიმართვის ავტორნი „უძნელბედეს ჟამში“, სრულიად არ არის საჭირო (და ეს შეცდომაცაა) ვეძებოთ უძნელბედესი, ჩვენი აზრით, ხანა ერთ-ერთის დროს სამ ცნობილ ჯაფარ ამირას შორის.

საჭიროა და სრულიად საკმაო იმის სწორად გაგება, თუ რისი თქმა სურდათ მათ. ისინი ნათლად გაძოსთქვამენ თავიანთ აზრს და სათუო ამ მხრით არა რჩება რა: „... ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა, ჰასრე რომე ჯაფარ ამირად ჯდომილა. თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“. ჩვენ მიერ ხაზგასმული წინადადება არის ის, თუ რას ჰგულისხმობდნენ XIII ს-ნის საეკ. კრების მიმართვის ავტორნი იმ გარდასული ჟამის უძნელბედესობაში, როცა „დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა“ და ყოველი სხვა ძიება ამ ჟამისა იქნებოდა ტექსტის არა სათანადო გაგება.

სამივე ხანა, როცა „ჯაფარ ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“, უკვე ამით „უძნელბედესი“ იყო XIII ს-ნის საეკ. მოღვაწეთა წარმოდგენით თავიანთ დროსთან შედარებით. ასე რომ, თუ ჩვენ სხვა რაიმე ნიშანი ვერა ვპოვეთ სვეტიცხოვლის ტაძრის აშენების დასათარიღებლად, აქ არჩევანს ვერ მოვახდენთ: სამივე ხანა თანასწორუფლებიანია<sup>2</sup>.

ეხლა, როცა ჩვენ განვიხილეთ ს. კაკაბაძის ყველა მოსაზრებები და აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი მისაღები და დამაჯერებელი არ არის, დაბრკოლება რაიმე გარეთი ბჭის წარწერის ჩვენს წაკითხვაში ამ მხრითაც არ არსებობს.

ს. კაკაბაძის მიერ ყურადღება-მიქცეული XIII ს-ნის ცნობა იმით არის ძვირფასი, რომ საშუალებას გვაძლევს უფრო დაახლოვებით განვსაზღვროთ სვეტიცხოვლის ტაძრის შენების დრო.

1) ამ დროებში დაახლ. უნდა გვეგულისხმა მცხეთის ტაძრის აშენება, თუ მის ამშენებლად ცნობილ მელქისედეკ კათალიკოსს მივიღებდით.

2) აქ შეგვეძლო ზოგადი მოსაზრებისათვის დაგვეთმო სარბიელი, თუ როდის ამ ხანაში იყო მეტი შესაძლებლობა ასეთი აღმშენებლობისა და სხვ., მაგრამ აღნიშნულ ეპოქათა იმ არა საკმაო ცოდნის პირობებში, როგორშიაც ჯერ კიდევ ჩვენი ისტორიული მეცნიერება იმყოფება, ყოველი ასეთი მსჯელობა მეცნიერული ცოდნის პრეტენზიებს მოკლებული ტყუილ-უბრალო საუბარი იქნებოდა.

ასე რომ ჩვენი დასკვნაა: სვეტიცხოვლის ტაძარი „მეორედ აშენებულა“ XI ს-ნის პირველი მესამედის მეორე ნახევარში მელქისედეკ ქ. კ-ზის თაოსნობით, როცა ტფილისში „ჯაფარ ამირად ჯდომილა და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“.

დასასრულ, არ შეგვიძლია დეკლარაციით აუაროთ ერთ მოვლენას, რომელსაც უამისოდ შეუძლია ჩვენი ასეთი დასკვნის სათულობა გააძლიეროს.

საქმე ისაა, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის გარეთი ბქის წარწერაში მოხსენებულია მელქისედეკ, რომელმან მეორედ აღაშენა წმიდა კათოლიკე ეკლესია და ბქც“...<sup>1</sup>, მაშინ როცა ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის წარწერაში მელქისედეკის დროს (და მის მიერ) „აღაშენა ეკლესია ესე“...<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, ერთი წარწერა მოგვითხრობს „მეორედ აშენებაზე“, მეორე კი „აშენებაზე“. როგორ ეთანხმება ეს მოვლენა ჩვენს დასკვნას?

სახუროთმომდგრო ტერმინის შესწავლა-დადგენა ხუროთმოძღვრების ისტორიკოსთა საქმეა. მათ აქვთ საშუალება აქ დამაჯერებელი საბუთიანობა წარმოადგინონ. სამწუხაროდ, ასეთი მუშაობა ჩვენში არავის გაუწევია. ამიტომ იძულებული ვართ სახელდახელო საბუთებით ვეცადოთ გავერკვეთ აქ წამოჭრილ კერძო საკითხში.

სათანადო დაკვირვებიდან ირკვევა, რომ ძველს ქართულში ტერმინი „აშენება“ ხუროთმოძღვრებაში ყოველთვის ერთი შინაარსით არ იხმარებოდა. ზოგჯერ „აშენება“ ახალის აგებას ჰნიშნავდა, ზოგჯერ კი ის მხოლოდ გადაკეთებას, განახლებას, რესტავრაციას ჰგულისხმობდა. ამ უკანასკნელი საქმიანობისათვის სხვა ტერმინებიც არსებობდა: „მეორედ აშენება“, „ახლად აშენება“ და სხვ.

ასე რომ ამ ორი რიგის ტერმინებს შორის პირველი (აშენება) გვაროვნული ცნების შინაარსისა ჩანს მეორის მიმართ, მეორე კი სახეობითისა პირუკუ—მაგალითები: ურბნისის სიონის განმაახლებელი თეოდორე ჯერ უზენაესისადმი მიმართვაში თავის თავს მაშენებელს უწოდებს და შემდეგ მოგვითხრობს, რომ როცა ის ეპისკოპოს იქმნა „იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა: ოთხნი კუთხენი და კონქი<sup>3</sup> გაპობილ იყვნეს, სვეტნი ქტცი (?) დამპალ იყვნეს და მომადლა ღმერთმა ამის ყოვლისა და აღაშენებდა“...<sup>4</sup>. იქვე სხვა წარწერა იმავე „აღმშენებელზე“ შემდეგს გვამცნობს: „დი-

1) 2) ხაზი ჩვენია. აგრეთვე წაკითხვაც.

3) დედნისეულ „ქი“ ბროსე „კათოლიკე“-დ ჰკითხულობს, თაყაიშვილი — „ქანკელი“-დ.

4) ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. და შენ. წ. I, 43-44; ხაზი როგორც აქ ისე ქვემოთაც ჩვენია.

დებამ შენდა ქრისტე, რამეთუ მოჰმადლე<sup>1</sup> თეოდორე ებისკოპოსსა ამისსა აღშენება...“ (ე. თაყაიშვილი, ო. ს. 44).

ამავე ტაძარს 1668 წელს განაახლებს დედოფალი მარია და სწერს „აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი“-ო... (ე. თაყაიშვილი, ო. ს. 48; Brosset, Voyage VI, 14-16).

ჩვენ კი ვიცით, რომ ამ „ძირითურთ აღმოფხრული“ ტაძრის როგორც პირვანდელი გეგმა—„სიონი“,—ისე უძველესი ნაწილები—ჩრდილოეთის კედელი—დღევანდლამდის დაცულია (ე. თაყაიშვილი, ო. ს. *MAK* IV, 142, Brosset, ო. ს.).

ასე რომ, როგორც თეოდორე, ისე მარიაში ურბნისის სიონის განმაახლებლები „მეორედ მაშენებლები“ არიან. წარწერებში კი ისინი „მაშენებლებად“, „აღმაშენებლებად“ იწოდებიან.

ცაიშის საყდარი აშენებული უნდა იყოს XI-XII საუკუნეში (თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II, 163). XVII ს-ნის დასაწყისში მიწის ძვრამ ძალზე დაახინა ის. მალაქია კ-ზი, რომელმაც აღადგინა ეს ეკლესია, სათანადო წარწერაში იხსენიება: „კ-ზი მალაქია აღმაშენებელი საყდრისა ამის“. შემდეგ იქვე თვით მოგვითხრობს, რომ მიწისძვრისას „საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავიდგან ვიდრე საფუძვლამდე“... და მეო „მეორედ კელ ვყავ აღშენებად ტაძარსა ამას“... მეორე ადგილას იგივე კ-ზი ამბობს: „...ახლად კელ ვყავ აღშენებად საყდარსა და აღვაშენე ცაიშისა... საყდარი“ (ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 166-168, Brosset, Voyage VII, 29, 33-34).

პროფ. ე. თაყაიშვილის მოწმობით ცაიშის საყდრის ძველი შენობიდან „შეთრყველად არის დაცული „აღმოსავლეთის მხარის ქვემო ნაწილი, განსაკუთრებით საკურთხეველი“, ასე რომ მალაქიას გამოთქმა: „შეიმუსრა თავიდგან საფუძვლამდე“—გადაჭარბებულია. ამდენადვე ეს კ-ზი ცაიშის „მეორედ მაშენებელია“, ან „ახლად მაშენებელი“ და არა „აღმაშენებელი“. ამავე დროს ის, როგორც უჩვენეთ, ცაიშის „აღმაშენებლად“ იწოდება.

ქცა-ს ცნობით გიორგი აფხაზთ მეფემ (X ს-ნის პირველ ნახევარში) „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განაშენა იგი“ (ქ. ცხ. 229, \*452). ამავე დროს, როგორც გეგმა („ჯვარი“), ისე მთელი ნაწილები ამ საყდრისა უძველესი დროიდან დაცულია (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II, 39-42, Brosset, Voyage VII, 11-17). ასე რომ გიორგი აფხაზთ მეფე შეიძლება მხო-

1) ბროსე კითხულობს: მიმადლე, თაყაიშვილი: მომმადლე.

ლოდ განმახლებელი იყოს მისი. ქცა-ს ცნობით კი მან „აღაშენა საყდარი“ და სხვ.

ნიკორწმიდის ტაძარი აგებულია ბაგრატ III დროს XI ს-ნის დასაწყისში (Brosset, Voyage XII, 55). ბაგრატ იმერთა მეფე კი 1534 წელს ამ ტაძრისადმი მიცემულ სიგელში ამბობს: ...კელვყავით აღშენებად დაკინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ წმიდისა“-ო და ცოტა ქვემოთ... „კელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა უენისა და გარდავაკედინეთ ზეთ ტყვიითა და სპილენძითა“-ო (ქრონ. II, 279).

მანგლისის ტაძრის წარწერები (სამწუხაროდ, აწ უკვე დაღუპული) გვარწმუნებენ, რომ „იქმნა დიდისა ამის საყდრისა აღშენებად ქორონიკონსა სმ (=1020 წ.) (E. Такайшвили, Арх. экск. разыск. и зам. III, 138-139. ბროსედან ნასესხი), ასეთი ცნობა აღშენების შესახებ იქ სამხელ ყოფილა განმეორებული. თითქო საეჭვო აღარა არის რა, რომ ეს ტაძარი მართლაც ამ დროს აუშენებიათ. მაგრამ ხუროთმოძღვრულმა ანალიზმა ნათელყო, რომ ამ დროს ტაძარი მხოლოდ გადაუკეთებიათ (Г. Н. Чубинов, Заметки о Манглисском храме: საქ. მუზ. მოამბე I, 33-62). ამრიგად აქაც „აშენება“ გადაკეთების შესატყვისობით არის ნახმარი.

დასასრულ, დღეს სადაო არავისთვისაა, რომ ალექსანდრე დიდმა მცხეთის ტაძარი მხოლოდ აღადგინა, რომ თემურ-ლენგის ურდოებს ტაძრის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლების დიდი ნაწილი დაუნგრეველი დარჩენიათ და რომ ამ ნაწილებმა ჩვენამდის მოაღწიეს. ალექსანდრე მეფე კი ამის შესახებ ლაპარაკობს, რომ მან კელყო „შენებად საყდრისა მცხეთისა“ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბ.: II 12), რომ კელყო... „ახლად განშენებად და განვრცომად“ (ქრონ. II, 237) და ბოლოს „აღვაშენე და განსრულდაო“ (იქვე) გვეუბნება. ასეთსავე გამოთქმებს („ვიგულსმოდგინე... საყდართა აღშენებად“; „საყდარნი... ახლად აღვაშენენ და შემაკუცნ“; „საყდარნი... ახლად აღგვიშენებინ...“) ხმარობს ის თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის საერთოდ მოთხრობის დროს 1440 წლის ცნობილ სიგელში (ქრონ. II, 248).

აქიდან, ვფიქრობთ, შემდეგი დასკვნა შეგვიძლია მივიღოთ: „აშენება“ ტერმინი იხმარებოდა, როგორც ახალის აგების (საამისო მაგალითების მოყვანა საჭიროდ არ დავინახეთ; ეს ისედაც ცნობილია), ისე განახლება, გადაკეთება, აღდგენის შინაარსითაც. „ახლად“ „კვალად“, „მეორედ აშენების“ ნაცვლად „აშენება“ ტერმინის ხმარებით ხაზს უსვამდენ განახლების სიდიდეს, მის საფუძვლიანობას.

ეხლა მეორე რიგის ტერმინების შესახებ.

ოპიზა ააშენეს ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი მონაზვნებმა<sup>1</sup>. აშოტ კურაპალატმა ოპიზა „მეორედ ააშენა“—„აშოტ კურაპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისაჲ და წმიდისა ამის საყდრისაჲ“<sup>2</sup>, ე. ი. აშოტმა უკვე არსებული მონასტერი და ეკლესია გადააკეთა<sup>3</sup>; ქცა კი გვაუწყებს: „და მოკუდა გუარამ, ძე აშოტისი და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“ (ქ. ცხ. 225, \*446). ეს ცნობად. ბაქრაძემ, მის შემდეგ რაც მან აშოტის ზემო მოყვანილი წარწერა იპოვა, შეცთომად აღიარა<sup>4</sup>. ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ ქცას-ცნობა სწორია, ხოლო განსვენებული მკვლევარი ცთება. ის ფაქტი, რომ გვარამ მამფალი ოპიზას დაიმარხა, დიდ ნდობას ანიჭებს ქცას ცნობას (აშოტი კი არტანუჯში დამარხეს მის მიერვე აგებულ ტაძარში); ამავ მოსაზრებას უჭერს მხარს ბაგრატი IV-ის სიგლის ცნობა: „...მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაჲ, რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნაძოროელთა ერჩოდეს“ (ისტ. საბ. შიომღვიმის მონ. 8).

გამოდის, რომ გვარამ აშოტის ძეს „მეორედ აღშენებია“ აშოტის მიერ უკვე „მეორედ აშენებული“ ოპიზა. აქ „მეორედ აშენება“ თითქო ტექნიკური ტერმინი ჩანს გადაკეთების, განახლების შინაარსით. ასევე ორი „მეორედ მაშენებელი“ სხვადასხვა დროისა ჰყავს სამთავისის საყდარს—ბროსსეს წაკითხვით ერთი XI, ხოლო მეორე XVII-XVIII ს-ნისა (Voyage, XVI p. 3 etc.).

გრიგოლ ხანძთელის დედის დისწული საბა იყო „იშნის მეორედ მაშენებელი“. და ეს იმიტომ, რომ „იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულიყო“ (ე. ი. „საყდარი“—ტახტი). „აწკუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ხორციელად მოლუაწებითა... მეფეთაჲთა“ (გრ. ხანძთ. გვ. ლ. 35-40).

კოსტანტინეპოლიდან მომავალ გრიგოლს და საბას „გამოეცხადა ღმრთისა მიერ... იშნისა პირველი დიდებულებაჲ დაბასა მისსა

<sup>1</sup>) ქართული მწერლობა, წიგნი II, 1909 წ. „ცხორებაჲ... სერაპიონისი“, გვ. 5.

<sup>2</sup>) დ. ბაქრაძე, ისტორია საქ—ლოსი, 214; ვახუშტი, საქ. ისტ. 122 შენ. ბ; Н. Марр, Жизнь Григ. Хандз. 160.

<sup>3</sup>) სწორედ ასევე ესმის ეს ავ. ნ. მარს op. cit., loc. cit.

<sup>4</sup>) დ. ბაქრაძე, ისტორია საქ—ლოსი 214; ვახუშტი, საქ. ისტ. 122, შენ. ბ.

და წმიდანი ეკლესიანი და ეუწყა: ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველისაებრ კელითა საბანისითა“ (იქვე, გვ. ით). ცხადია: „იშხნის მეორედ მაშენებელი“ საბა არის იშხნის კუალად განმანახლებელიც“ (ხაზი ჩვენია).

რუისის ძველი საეპისკოპოზო ტაძარი თემურ ლენგმა ისე დააქცევინა, რომ მისი შეკეთება, როგორც ჩანს, შეუძლებელი გამხდარა. ამიტომ ახალი ტაძარი (უფრო პატარა) აუგიათ ძველის ნანგრევებიდან. ეს ახლად აგება მოხდა ალექსანდრე დიდის სახელით და სათანადო წარწერაც ამ ეკლესიისა გვამცნობს: „ზე აღიდენ ღმერთმან შეფეთა მეფობა დიდისა ალექსანდრეს, რომლისა მიერ კუალად აღეშენა საყდარი ესე“<sup>1</sup>.

ამრიგად ალექსანდრე არის რუისის ეკლესიის „კუალად აღმაშენებელი“.

ს. ვალეს ბაზილიკა XVI ს-ნეში აღადგინა ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა. სათანადო წარწერაში კი გვამცნობს: ...მე... „დედისიმედმან მეორედ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“—ო<sup>2</sup>.

აქიდან, ვფიქრობთ, ცხადია, რომ: 1) „აშენება“ ტერმინში ახალის აშენების გარდა შეიძლება გადაკეთება, საფუძვლიანი შეკეთება, აღდგენა იგულისხმებოდეს; 2) ზოგჯერ „მეორედ აღშენება“-ის ან; „ახლად აშენება“-ის ნაცვლად „აშენება“ ტერმინს ხმარობდენ 3) „მეორედ აშენება“ არ შეიძლება ჰნიშნავდეს ძველთან ყოველგვარი მიმართების გაწყვეტას და ამიტომ 4) ახალი გეგმით რაისამე ახლად აგებას, საექვოა „მეორედ აშენება“ ეწოდოს; დასასრულ, 5) ამ გამოთქმაში („მეორედ აშენება“) უმთავრესად საფუძვლიან შეკეთებას ან გადაკეთებას ჰგულისხმობდენ.

შეიძლება ყველა ეს მოსაზრება სწორი არ აღმოჩნდეს, ზოგს კიდევ შესწორება დასჭირდეს,—ეს შემდგომი დაკვირვებისა და უფრო ზედმიწევნითი კვლევის საქმეა (საამისო ამ ჟამად არც დრო და არც საშუალება ჩვენ არა გვაქვს),—მაინც ვფიქრობთ, რომ პირველი ორი მოსაზრება საექვო არ არის და ჩვენთვის კი ეს სრულიად საკმაოა: ის სპობს იმ მოსაჩვენარ წინააღმდეგობას, ჩვენი დასკვნის შედეგად რომ წამოიჭრა მცხეთის ტაძრის კედლისა და გარეთი ბჭის წარწერათა გამოთქმებიდან. ნამდვილად კი კედლის წარწერა არ ეწინააღმდეგება ბჭის წარწერას: პირველი („აღეშენა“) ზო-

<sup>1</sup>) Brosset, Voyage VI, 7; ქრონიკ. II; 252; თაყაიშვილი არხ მოგზ. I 105-106.

<sup>2</sup>) *Изв. К. О. И. М. А. общества* вып. II 69-76; შდრ. *МАК* вып. IV-72 etc.

ვადი (გადაჭარბებით) გამოთქმაა მელქისედეკის საქმიანობისა ტაძრის მიმართ, ხოლო მეორე („მეორედ აღაშენა“) უფრო ზედმიწევნითი.

საბოლოოდ გამართლდება თუ არა ჩვენი დასკვნები, ამას ახალი ფაქტების მოპოვება გადასწყვეტს. ჩვენ ხელთ არსებული ცნობები კი როგორც დავინახეთ, არ იძლევიან საკმაო საბუთს მცხეთის ტაძრის შენების ეს ხანა XI ს-ნის 20-30-იან წლებს დავაშოროთ.

მიღებული დასკვნები გვაეალებს ექვის თვალით შევხედოთ მელქისედეკის ანდერძის ერთ ადგილს, რათა ამ ძეგლის მიერ ჩვენი დასკვნების არ დამოწმება ავსხნათ.

ჩვენი ძეგლის XVII ს-ნის პირის მიხედვით (სამწუხაროდ XII ს-ნის პირს ეს ადგილი არ შემოუნახავს) მელქისედეკმა „შეამკო“ მცხეთის ტაძარი. აქ მის „აშენებაზე“ ან „მეორედ აშენებაზე“ არაფერია ნათქვამი. მართალია, „შემკობა“ ფრიალ მნიშვნელოვანი ჩანს, მაგრამ ყოველივე ეს „აშენება“ ან „მეორედ აშენება“ კიდევე ვერ არის და რომ ამ „შემკობას“ არ ჰგულისხმობდენ „აღეწენას“. დამწერნი, ეს იქიდან ჩანს, თუ სადაა მოთავსებული ეს წარწერა. „აღეწენა“ და „მეორედ აღაშენა“ აქ გადატანითი მნიშვნელობით არ უნდა იყოს ნახმარი (რაც თამამად შეიძლებოდა ასეთ საფუძვლიან „შემკობას“ დარქმეოდა), არამედ მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავსვათ კითხვა: ხომ არ შეიძლება ასეთი ცნობა ჩვენი ძეგლის დამახინჯება ნაკლულევანებაში ვეძიოთ.

სახელდობრ ადგილი:— „მას ჟამსა ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა და შეეამკევ სალხინებელად“<sup>1</sup> და სხვ.— ხომ არ შეიძლება ნაკლულევანად მივიჩნიოთ და „შეეამკევ“ გამოთქმის წინ სიტყვა ან მთელი სტრიქონიც გამოტოვებულად ვივარაუდოთ, სადაც უნდა ყოფილიყოს ცნობა ტაძრის „აშენებისა“, „მეორედ აშენებისა“ თუ „ახლად განშენებისა და განვრცობის“ შესახებ?

აწ შესაძლებელია დაუშვათ აგრეთვე, რომ „შეეამკევ“-ის ნაცვლად აქ დედანში ეწერა „აღვაშენე“ ან „ქდ აღვაშენე“ და სხვა ამის შესატყვისი და გადამწერმა უგულისყურობით ქვემო სტრიქონის „შეეამკევ“ დასწერა ამის ადგილას?

მართებულია თუ არა, ჩვენი დასკვნა ასეთ დაშვებას გვავალებს.

1930 წ. იანვარი.

<sup>1</sup>) იხ. ტექსტი სტრ. 10-13.

## ტექსტი.

ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა ღმრთისა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელი-საჲთა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა ო პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწვევითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედა(5<sub>1</sub>)-რთა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა, სალოცველსა და სახლსა ღმრთისა დიდებისასა, და მას შინა ღმრთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ მყოფელსა და წმიდა მყოფელსა ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ პატრიარქმან მელქი(10<sub>1</sub>)ზედეკ მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე<sup>1</sup> ღირს ვიქმენ საჭეთ პურობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა. და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურქვითა. და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და (15<sub>1</sub>) მარგალიტითა და საღმრთოთა<sup>2</sup> [წიგნთა<sup>3</sup>] დაწერითა. და შევ<sup>4</sup>(0)ჭედესუეტი ცხოველი ოქროთა და ვეცხლითა; და შევჭედესუეტი ცხოველი ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა; და მოვჭედენ კანკელნი და კარნი საკურთხეველისანი ოქროთა და ვეცხლითა; და შევჭმენ ძელნი ცხორებისნი ოქროსანი: ბ-ნი: თუალითა და მარ(ა)გალიტითა; და შევქმენ წმიდაჲ ესე სამარტულო ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა. და ამასა შიგან დაუსუენენ ყოველთა წმიდათა ნაწილნი აურაცხელნი და ძელი ცხორებისაჲ;

და დაუსუენენ ხატი ოქროსაჲ, რომელი მიბოძა კო ს ტ ა ნ ტ ი ბერძენთა მეფემან, და სამარტულოსავე შიგან დაუსუენენ ხატი ესე წმ(10)იდისა ღმრთის მშობელისაჲ შემკობილი ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ბ ა ს ი ლ ი ბერძენთა მეფემან, და

<sup>1</sup>) ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწერია ტექსტისავე ხელით.

<sup>2</sup>) „და საღმრ“ — ეს ღრი სიტყვა A პირშიაც არის ამ სახით გადაჩენილი.

<sup>3</sup>) ამ სიტყვის მაგივრად სტრიქონს ზემოდან ტექსტისავე ხელით სწერია: „წიგნებით“.

<sup>4</sup>) აქამდის იხეკდება B პირის მიხედვით, ხოლო აქიდან დასასრულამდის A პირის მიხედვით.

ხატი ესე დიდი მაცხოვრისაჲ საროთითა და გარეშემო თუალითა შემკობილი, და სხუაჲ | ხატი მაცხოვრისაჲ ვეცხლისაჲ, ოქროათა ცურვებული, და ხატი ნათლისმცემელისაჲ: ა:-ი, და თევდორესი: ა:-ი, და საროთითა შექმ(15)ნილნი, ოქროათა და ვეცხლითა შექმ-დილნი, და სხუაჲ ხატები, საროთითა და ოქროფორტლითა და-წერილნი, ჩემნივე დასუენებუ<sup>1</sup>ლნი რიცხვთ: 57:

და ბარზიმ ბეშუემი ოქროასაჲ, თუალი\*|თა და მარგალიტითა ღ მიწაჲსა ხატებითა შემკობილი, კოვზი ოქ\*[რ]|ოჲსაჲ და ხვრნი ოქ-როჲსანი, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმ\*(20)ულნი, და სამწერო-ბელნი ოქროჲსანი და მარგალიტითა შემკობილნი, და საცეცხურნი და სასაკუმეველენი ოქროჲსანი, და სხუანი საცეცხურნი დიდნი ვეცხლისანი, სასაკუმეველენი დიდნი, ორნივე ოქროათა ცურვებულნი და სადაგნი საცეცხურნი, და სასაკუმეველენი ვეცხლისანი დიდნი; ა: და სათანაონი საცეცხურნი (25) და სასაკუმეველენი ვეცხლისანი ა:, და ჯუარი ვეცხლისაჲ სა\*თანაოჲ ა:, და ვეცხლისა ტაშტაბრაგი დიდი წყვილი ბ:, და ბე\*რ|ძუ\*ლი ტაშტაბრაგი ვეცხლისაჲ ოქროათა ცურვებული: ა\*:

და წიგ[ნ]ნი საღმრთონი, რომელთა სახელები ესე არს: სახარე-ბისა თარგმანი დიდი: ა:—მათესი, მარკოზისი და ლუკაჲსი, ღ იოვან-ნეს თავისა სა\*(30)ხარებისა თარგმანი წიგნი: ა; და სახარებანი ოთხ-თავნი: გ:, სა|თანაოჲ ოთხთავი სახარებაჲ: ა:—გარე თუალითა და მარგალიტითა |შემკობილი, და მოწამეთა წიგნი დიდნი—ზამთარი და ზაფხული, გარე ვე|ცხლითა შეკაზმულნი, დილოკილოათა ვეცხლისაჲთა: ბ:, და მღდელთ. მო|ძღუართა წიგნი დიდი საწელიწდოჲ ვეცხლითა შეკაზმული: ა:, და მარგ(35)ალიტი წიგნი წინამძღუარი: ა:, დევ-ლოლონი წიგნი: ა:, იოვანეს გამოცხადებ[აჲ] | წიგნი: ა:, დედი-ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა ანდრია სალოსი[ს] | ცხო[რებაჲ] წიგნი: ა:, დავითისა თარგმანი წიგნი: ა:, სათანაოჲ მრავალთავი | ა\*:, საწელიწდოჲ იადგარი ახალი: ა:, და კურთხევანი, რომელსა შინა სწერია ეკლესიისა კურთხევაჲ, ხუცეს დიაკონთა კურთხევაჲ, გარე ოქროჲსა ხ[ა]|(40)ტითა და ცუართა მოჭედილნი: ა:, კურთხევანი სხუანი საწელიწდონი სრ[უ]|ლნი ყოვლითა ფერთა, გარე ვეცხ-ლისა ცუართა მოჭედილნი: ა:, შჯულ[ის] | კანონი ახალი: ა:, მარ-ხვანი, რომელ სამეფოს იტყჳან: ა:; და სხუაჲ წიგნ\*ე|ბი თავ\*ი: 57:

1) ამ უ-ნის შემდეგ ნაგვიანევი ნუსხურით საფენ ქალაღზე სწერია გ.

\*) ვარსკვლავით აღვნიშნავ შემდეგ დროში გაცხოველებულ ასოებს, ხოლო შავად აწყობილი სიტყვა, მარცვალი გინა ასო საფენ ქალაღზე სწერია სხვა ზე-ლით.

და ორად გაყოფილი იადგარი მეხური, რომელსა შიგან განგებაჲ  
საწელიწდომ სწერია: ა:, მათიანენი საშინაონი და სააღაპენი  
ვე(45)ც\*ხლითა მოკედლინი: ა:, და მათიანენი სათანაონი ვეცხლითა  
მოცუარულნი: ა:, ჟამის წირვანი სათანაონი: ა:.

ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან | ჯუმლად არს თავი: კე:.

საწიგნენი ოქროთა და ვეცხლითა ცურვებულნი | ა: საკელაპ-  
ტრენი დიდნი სპილენძისანი: ა:, და შედეგნი: ა:, საკელაპტრენი  
ვეცხლითა ცურვებულნი: ბ:, საკელაპტრენი რკინისანი დიდნი: ა:.

და შესამოსელი სამლუდელთ(50)მოძღუროჲ ოქსინოჲ, უღლითა  
ანაფორითა, ხატოვანითა, ოქროვანი[თა] | და ყოვლითავე სრული: ე:,  
სამკლავენი: ა:, მაზარაჲ ნივანდარი: ა:, მწუანე ა:, და კუე<sup>2</sup>რცხის  
გული მაკ<sup>3</sup>ნა ბერძელი ოქროთა: ა:, და ბერძენთა მეფისა რომა-  
ნოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოვლი: ა:, და მაზარაჲ ოქ-  
როქსოვლი: ა:, სან[აწ]ილე ოქსინოჲ: გ:, და ზეასაპყრობელი ხატოვანი  
ოქროთა ა:, სადაგნი სანაწილე|(55)ნი: ბ: და რომელ ეზონი ჩემნი  
დაკიდებულნი არიან, ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძნა, და\* ვ-  
ჰკიდენ ოქსინონი: გ:, და სუნდუსნი: გ:, კუერცხის გული სუნდუსი  
ა:, ს\*კარამანგნი დიდნი გარე შეოღვილნი, ვეცხლისა გრგოლითა შე-  
კაზმულნი: ბ:, და ბაქრატი კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკა-  
რამანგი: ა:.

და მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მომიგიან ამის წმი-  
დისა დედაქალაქისათვის: ბერძენთა მეფემან ბასილი|(60) მიბოძა  
მონასტერი დიდი, რომლისა სახელი არს კესტორი, რომელსა სო-  
ფელი აქუს : რ<sup>1</sup>: და | ტაოს ვიყიდე სოფელი ზადკარეკი ხუ-  
თითა აგარაჲთა; და ძალლისკევს ვიყიდე | სოფელი ორთაჲ სა-  
მითა აგარაჲთა; ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაჲთა ქმათა  
ჩემთა განძითა ვიყიდენ და დაუდევ ამას წმიდასა დედაქალაქსა შიგან  
ალაპი | დღე ხარებაჲ; და კლარჯეთს მოვიგე სოფელი: ა: სხლო-  
ანი; და შავშეთს მოვიგე [ს]|(65)ოფელი დიდი სხლობანი,  
აგარაჲ მისი ნალუარევი; და ჯავახეთს მოვიგე [სო]ფელი ტონ-  
თოჲ; და კოლას მოვიგე და ავაშენე სოფელი დიდი ოროტანი  
აგარაჲთა; და ფანავრას ავაშენე სოფელი: ა: მახარონი; და  
საკო[-]ეთს შევიპყრენ და ავაშენენ სოფელნი: ბ: ნაქალაქევი  
და ბერდაძორი; და | ქართლს: მონასტერი პალავრაჲ ოთ-

1) აქ საფენ ქალაღზე უ-ნის შემდეგ ნაგვიანევი -ნუსხურით სწერია: „არლ“

2) აქ უ-ნის შემდეგ საფენ ქალაღზე სწერია: ბ.

3) აქ რადაც ასო ამოგლეჯილი უნდა იყოს:

ზითა სრულითა, და ცუქითი შესავა(70)ლითა მისითა, ყინ-  
ცუისი შესავალითა მისითა, და შინდებისა ნახევარი, და||  
კურბითს სააზნაუროდ კარგი სოფელი: ა; ჩოჩეთს უბანი: ა: მი-  
წად და ვ[ე]ნაკი სასეფოდ, ზეგანთა სოფელი: ა; შიდარი სო-  
ფელი: ა; დაკახეთს ახატანს უბანი: ა; და ნოსორნაჲ სოფე-  
ლი: ა; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდ ე'კი,  
და ჰერეთს ვე კატეხისა ეკლესიაჲ შესავალითა მისითა და  
კაკს ვაჭარ[ნ]||**(75)**: იბ: და ზიარი სოფელი. დიდი: ა; ესე ყო-  
ველი სოფელი, რომელ მე მომიგია: რ: ლ: ე:

და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედა-  
ქალაქსა, შესავალნი იყუნეს და|| მე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა  
ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამოკადნეს და მიბოძეს სიმ-  
ტკიცე შეუვალობისა და რომელი ქაქლაქისა გასავალი იყო ამის  
წმიდისა დედაქალაქისაგან: ცხუარი, ცხენი, ღკ**(80)**ნოჲ ზედანი და  
რაჲცა იყო, ყოველი ალი ამირამან ამოგვგდო და ავჰკადე | ამას  
წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა. და ყოველნი სოფელნი, რომელნი  
წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დაედგენ  
ყოველგან სახლნი, და ავაგენ ეკ\*ლესიანი რიცხვთ ყოველნივე.

აწ წმიდანო მღუდელთმოდლუართა მთავარნო, რომელნი შემ-  
დგომად ჩემსა ღირს იქმნეთ წინამძღურად წმიდასა ამას დედაქა-  
ლაქსა და იხილნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი, წმიდასა ლოცვასა თქუენსა  
შომიქსენეთ საწყალო**(85)**ბელი ესე სული ჩემი, რაჲთა თქუენცა  
ღმერთმან სასყიდელი მოგანიჭოს. ამინ. ქრონიკონი იყო: ს: მ.

და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად სამხრით სად-  
იაკონოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტვლოსა შიგან შეეკმენ საფ-  
ლავი | ჩემი და დაედგი საკურთხეველი, და ამა საკურთხეველსა ზედა  
დავაყენე **(90)** ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისა-  
თვს გაზრდილი | ჩემი იოვანე **საფლავსა ჩემსა ზედა**. და უჩინე  
ამა საკურთხეველსა ჩემსა და ჟა\*მის მწირველსა და მივსცენ თეძს  
გლეხნი სამნი ფუძითა | სრულითა და ვენაკი: ა; მიწაჲ: ა; წისქვლნი  
ა; და ქალაჲ, და ოტ|ათლოანს გლეხი: ა; ციხედიდს გლეხი:  
ა; ორნივე ფუძითა სრულითა |<sup>2</sup> **(95)** და ვენაკი: ა; მცხეთას სე-  
ნანი: ა; ბოსელი: ა; ყანაჲ: ა; და ვენაკი | მცირე; ესე ყოველი  
თავისუფლობით შეუვალად ჰქონდის ყოვლისა შესავალისა სასეფოჲ-

1) აქ ა-ნის შემდეგ ტექსტისავე ხელით ქ-ანი სწერია, რომლის შემდეგ უნ-  
და ყოფილიყო კვლავ ა-ნი (ქალაღი ამ ადგილას ამოგლეჯილია): „ქა“ შეცთო-  
მით ორჯერ დაუწერია.

2) აქ საფენ ქალაღზე ზედმეტი „თა“ სწერია.

საგან, დიდისა და მცირისაგან. და არავისა [ა]ქუს ამას ზედა კელი-  
თვნიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამას ჩემსა ზედა ჟამსა  
წირვადეს.

ესე სიკოცხლესა ჩემსა გა[ნ]ვა(100)გე და, ვითა ზემოთ დამი-  
წერია, იოვანე საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟა-  
მის მწირველად დავადგი, ნე და მიუთუაღე ესე გასარომელი. ვირც  
კოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს  
და მილოკვიდეს; და შემდგომად მისსა შეილთა და შეილის შეილთა  
მისთა დაუტეოს და იგი დგეს, ჟამსა წირ(105)ვიდეს და გვლოკვი-  
დეს. და შეუცვალეებელად ჰქონდის ესე გასარომელი | საკურთხეველსა  
ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველსა ხუცესსა უკუნისად-  
მდე ჟამთა, ვირემდის წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს. და ამა სა-  
მარტვლოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა, | მოვ-  
ქედე ვეცხლითა, დავდგი ბარზიმ-ბეშხუემი ვეცხლისაჲ და კრ(110)-  
ვზი ვეცხლისაჲ, სანაწილე და ასაპყრობელი, და საცეცხურნი, და სა-  
საკუმეველ ენი ვეცხლისანი, შესამოსელი სკარამანგი: ა; ზეწარი: ა;ჲ  
და დავჰკიდე | ეზოჲ სკარამანგი შეოლვილი ა; და ამას წმიდასა დე-  
დაქალაქსა შიგან | დავიდევ ალაპი თუესა იანვარსა: კ: დ:—დღესას-  
წაულსა ყოველთა წმიდათასა; ლამის თევით და ჟამის წირვით აღე-  
სრულებოდის.

აწ წმიდანო (115) მღუღელთ-მოძღუართა მთავარნო, რომელნი  
შემდგომად ჩუნენსა და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წინამძ-  
ღურად წმიდასა ამას კათოლიკე ეკლესიასა და | ჰნახნეთ ნაქმარნი  
ესე ჩემნი, განგებული ესე და განწესებული, რომელ კოდვილისა  
ამის სულისა ჩემისათვის დამიც და მიჩენია, შეუცვალეებელად და  
უქცეველად დაამტკიცეთ, რაჲთა შემდგომად თქუნენსა სულისა თქუე-  
ნისათვის განგებული და განწესებული თქუნენი და(120)ემტკიცოს.

და რომელმან ქართლისა კათალიკოზმან, გინა რამანცა გუარ-  
მან კაცმან შემდგომად ჩემსა და შემდგომითი | შემდგომად, ვირემდის  
წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს, ნაქმარი და განწესებული ესე სუ-  
ლისა ჩემისათვის შეცვალოს, რომელ ზემოთგან ქუემოდენ დავ-  
წერია, რასაცა ჟამსა რაჲსაცა მიზეზისა მოღებთა აქციოს და ამა  
საკურთხეველსა და საფლავთა | ჩემთა ხუცესი და ესე გასარომელი  
მისი მოაკლოს, ანუ ალაპი ჩემი და ძმათა (125) ჩემთაჲ შეცვალოს,—  
ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, და წმიდაჲ კათოლიკე ეკლე-  
სიაჲ | სუეტი ცხოველი ხატი ღმრთაებისაჲ, წმიდაჲ ღმრთისმშობელი,  
ძელი ცხორებისაჲ და | წმიდანი ესე მარტვლნი, და კიდემცა არს

წესთაგან საეკლესიოთა, და ნაწილიმცა მისი იუდას თანა | არს, რომელმან განყიდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე; და დამცაისჯების უარისმყოფელთა ღმრთისაქთა თანა.

ესე ვითა ზემოჲ დამიწერია, ესე ქუემოჲთ კელითა ჩემითა დამიმ(130)ტკიცებია. ვინ აქციოს, კრულია დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა, წმიდისა ღმრთის|მშობელისა მადლითა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა, წმიდათა მოციქულთა მადლითა და ყოველთა წმიდათა მადლითა; კრულმცა [ა]რის სულით და კორციით ორსავე ცხორებასა ამისი გამტებელი; და ვინ დაამტკიცოს, ჯუარი და კურთხევაჲ აქუს.

თქუენ, | წმიდანო მღუდელთ მოძღუარნო, რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისაჲ ჰნა(135)ხოთ, თქუენ სიმტკიცე დაწერეთ.

ღმრთივ დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და, ნებითა ღმრთისაჲთა. ყოვლისა აღმოსაეღეთისა კურაპალატო და | ძლიერო მეფეო<sup>1</sup> კვრიკე, არწმუნოს ღმერთმან მეფობასა თქუენსა, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათჳს კელითა თქუენითა დამიმტკიცეთ |.

ესე ვითა ზემოჲთ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია და საქმე სულისა მისისაჲ გაუ(140)გია, მე ბაგრატს, ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა კელითა ჩემითა დამიმტკიცებია. მტკიცე არს და უქცეველ ნებითა ღმრთისაჲთა |.

ესე ვითა, დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მათი, მელქიზედეკს ქართლისა კათალიკოზსა სულისა მათისათჳს გაუგია და დაუწერია და შედეგად, აღიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურაპალატსა კელითა მათითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა კვრიკე მეფესა, (145) დისწულსა კვრიკე მეფისასა კელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია. | მტკიცე არს და უქცეველ ესე და ვინ უქციოს, ესემცა ზემოკსენებულნი | წმიდანი ყოველნი ჰრისხვენ.

კვრიელემსონ, ესე ვითა სულდიდებულსა და სულკურთხეულსა გამზრდელსა და შემოქმედსა ჩემსა და, ვიკადრო, მამასა მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია და გაუგია თავისა სულისათჳს; აღიდენ (150) ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, მეცა გლახაკსა, უღირსსა, | რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკიცებია. ქრისტემან პირმტკიცე ყავნ ბრძანებაჲ მათი და ვინმცა | აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანმან კაცმან |.

<sup>1</sup>) აქ დედანი გაურკვეველია, საფიქრებელია „მეფეო“; წინარე სტრიქონი კი იძლევა ფორმას: „მეფსო“.

ესე ვითა სულდიდებულსა—მამასა ჩემსა მელქიზედეკს ქართლისა კათალიკოზსა იოვანესდა | დაუწერია, და მათისა სულისა მლოცველად ჟამის მწირველად დაუწუე(155)სებია, და მისი გასარომელი უჩენია, და თავისა კელითა სიმტკიცე | დაუწერია, აღიღწნ ლმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, და მეცა | გლახაკსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა ოქროპირსა ჩემითა კელითა | დამიწერია და მათი ბრძანებული დამიმტკიცებია. და მტკიცე არს უკუნისაღმდეგ | იოვანეს თვს, რ ნებიერი არს იოვანე [ყოვლისა] ამის მ[ათისა] (160) ბრძანებულისა ვისთვისა იოვანეს უნდეს მიცემად და დატევებად. და ვინცა ვინ, რამანცა გუარმან კაცმან, რასაცა ჟმსა ამისაგანი რააცა დააკლოს და შეცვალოს, კრულმცა არს [ღმრ]თისა ს[იტყუი]თა, წმიდათა მოციქულთა ჯუართა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და ჩუენითა ჯუართა მკუდარი და ცოცხალი | მისი . . . . |<sup>1</sup> (165) ათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვინ კულა არაჲ უქციოს, არცა ამისაგანი შეცვალოს, არსმცა კურთხეულ ღმრთისაგან და ჩუენგან.

#### პარიანტები.

A პირის მიხედვით: 2 თვალითა; 4 თვალითა; 5 სმრტულიდ; 6 თვალითა; 7 აორაცხელნი; 7/8 დაოსუენე; 9 სამარტუილოსავე; 12 სხვჲა; 15 სხვჲა; 17 რიცხუით; 18/19 ოქრომსა; 19 ხუირნი; 21 სასაკომეველნი; 22 სასაკომეველნი; 23 ცორვებულნი; საცეცხორნი; 23/24 სასაკომეველნი; 24 საცეცხორნი; 25 სასაკომეველნი; 26 ტაშტაბრაგე; 27 ცორვებული; ტაშტაბრაგე; 30 მოვანეს; 31 თვლითა; 32 ზაფხოლი; 34/34 მღდელთ მოძღვრთა; 34 შეკაზმოლი; 35 მოვანეს; 38 მადგარი; 39 ეკლესიისა; 42 მტყუნ; 43 მადგარი; 50 უქსინოჲ; 51 მაზარაჲ 52 გოლი; 54 ხატუგანი; 56 სუნდოსი; 57 შეკაზმოლნი; 59 ქალაქისათჴს; 61 ხოთითა; 64 სხლუანი; 71 რა აზნაოროჲ; 76 ყონეს; 77 შეოვალად; 78 შეოვლობისაჲ; 79 ყო; 79/80 ღვნოჲ; 80 ყო; ამოგუიგდო; 82 ეკლესიისნი; 83 რიცხუით; 85 მხილნეთ; 87 ყო; 87/88 სადიაკონოსა; 88 სამარტუილოსა; 91 მოვანე; 92 ფოძითა; 93 სროლითა; წისქუილნი; 94 ფოძითა; 98 აქოს; 99/100 გავაგე; 100 მოვანე; 102 ყოს; 104 დაუტუეს; 105 გუილოცვიდეს; 109 ბეხოშეში; 111 სასაკმელონი; 113 თვესა; 114 აღესროლებოდის; 116 წინამძღორად; 118 ჩემისთჴს; შეოცვა-

<sup>1</sup>) აქ № 631 პირი აღადგენს: „კრულმცა არს“. თუმცა კონტექსტით სწორედ ასეთი აღდგენა თითქოს სამართლიანია და დაზიანებული ადგილის ოდენობაც არ უწინააღმდეგება ასეთს, მაგრამ ასოების ნაშთები არ ამართლებენ მას.

ლზდ; 122 ჩემისათჳს; 122/123 დაგვიწერია; მიღებითა; 127 მარტულნი; 128 ფუდას; ოფლი; ფესჳ; 128/129 დამცაფსჯების; 129 თარისმყოფელთა; ზემოჲ; 131 ეკლესიანთა (ეკლესიანთა?); 133 აქოს; 136 მეფსო; 136/137 კორაპალატო; 138 ჩემისთჳს; 139 გაოგია; 142/143 მათისათუის; 143 გაოგია; 147 სულკურთხეოლსა; 149 სლსათჳნ; 150 ძლიერთა; 151 ქჳ მტკცე ფყვნ; 152 ანო; 154 ფოვანესდა 159 ფოვანესთჳს; 160 ვისთუისცა ფოვანეს.

**B პირის მიხედვით:** 1, წმიდისათა; 2, მშობელისათა; 3, ჯვარისათა; 4, მოვახსენე; 7, სვეტსა; 9, პატრიაქმან! 14, ოქროთა; 15, წიგნებით; 0 სვეტი, ოქროთა; 1 წმიდა, ოქროთა; 2 თვალთა, მოგვედეს; 3 ოქროთა; 4 ცხოვრებისანი, ოქროსანი, თვალთა; 5 წმიდა, სამარტულიო, ოქროთა; 7 ცხოვრებისა; 7/8 ოქროსა 10 ლთის მშობელისა, *omittit* ოქროთა; 12 სხვა; 13 მაცხოვრისა, ვეცხლისა, ოქროთა; 14 ნათლისმცემელისა; 15 შექმნულნი, სხვა; 16 დასვენებულნი; 17 ოქროსა, თვალთა, ბარძიმ! 18 მინასა, შემკობილნი; 18/19 ოქროსა, ოქროსანი; 20 ოქროსანი; 21 სასაკმევლენი ოქროსანი; 23 ოქროთა; 25 სასაკმევლენი, ვეცხლისა, სათანაო; 27 ვეცხლისა ოქროთა; 28 ლუკასი, 31 სათანაო, სახარება; 33 ღილკილოთა ვეცხლისათა; 35, წინამძღვარი, გამოცხადება; 37 ცხოვრება, სათანაო; 38 საწელიწდო; 39 კურთხევა, კურთხევა, ოქროსა; 40 ცურითა, სხვანი; 41 ცურითა, სჯულის; 42 იტყუიან; 43 რომელსა შიგან სწერია განგება საწელიწდო; 45 მოცუარილნი; 47 ოქროთა; 50 სამლუდელთმოდლო ოქსინო; 51 *om.* ე; მაზარა; 52 მაკანი, ოქროთა; 53 მაზარა, ოქროქსოილი; 54 ოქსინო, ხატუანი, ოქროთა, 57 საკარამანგნი, 58 საკარამანი; 59 დედა: ქალაქისათვის 60... ბასილი მიბოძა... აქ უმატებს: „და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა“; *om.*: რომლისა სახელი არს; 61 აგარათა; 62 ორთა, აგარათა, აგარათა; 63 დედა:ქალაქსა; 64 ხარება; 65 აგარა; 66 ტონთი; 67 აგარათა, მახაროვნი; 69 პალავრა, შესავლითა; 71 კურბითს: რა: აზნაორი, მიწა; 72 სასეფო; 73 ნოსორნა, ერეთს; 74 ერეთსე, ეკლესია; 75 *om.*: რ:ლე; 76 დედა:ქალაქსა; 77 მოვახსენე; 78 შეუვალობისა; 79 „გასავალი“-ს მაგიერად „შესავალი“ 79/80 ღვინო, რაცა; 81 ამოგვიდო; 84 წინამძღუარად; 86 რათა; 88 საღიაკუნოსა; 93 ჭალა; 95 სენაკი; 97 სასეფოსავან; 100 ზემოთ; 102 გასარმილი; 104 დგეს და; 108 საკარამანგითა; 109 ბარძიმ ბეშხომი ვეცხლისა; 110 ვეცხლისა; 111 საკარამანგი, დავეიდე; 112 ეზო, საკარამანგი; 117 განგებულნი, განწესებულნი; 111 *omittit* დამიცი; 119 თქუენისათუის, 121 წმიდა; 122 ჩემისათუის, რომელი ზე-

მოთგან ქუემომდე დაგვიწერია; 123 რასაცა; 124 *om.* ხუცესი; 125 ჩემთა; რისხავსცა, მამა, წმიდა, წმიდა, ეკლესია 126 ლთებისა; უმატებს: ყოვლად; წმიდა; ცხოვრებისა; 127 მარტულინი; და კიდემცა დაკლებულმცა; 128 იესო; 129 უარის მყოფელთა თანა ლთისათა. 129 ზემო, ქუემოთ, 132 კრულმცაარს — აქ უმატებს: ცათა შინა და ქუეყანასა ზედა; ცხოვრებასა; 133 კურთხევა; 137 მეუფებასა თქუენსა; *om.* დაწერილი და; 138 ჩემისათუის; 139 ზემოთ 140 მისისა; 141 ლთისათა; 142 ვითარ, ჰყუენ; 143 შემდგომად; 144 კვირიკე მეფესა და დისწულსა კვირიკე მეფისასა; 147 ყოველნი წმიდანი რისხვენ; კლნი კუალად; 148 *om.* და შემოქმედსა; დავიკადრო და მიმკუიდრო; 149 სულისათუის; მეცა უღირსსა გლახაკსა; დამიმტკიცებია: ქართლისა პატრიარქსა: მტკიცე იყავნ ბრძანება; 153 მელქისედეკს, 154 იოვანე; აქ უმატებს: მლდელი; 159 იოვანესთვის, იოვანე ყოვლისა: ამის: მიერ: საბრძანებელისა; 161/162 ამისგანი რაცა; 162 კრულმცა არს ლთისა და მისთა წმიდათა მოციქულთა; 165 არა უქციოს.

ზოგნიერთ ქარაგმიან სიტყვათა გახსნა.

ბრზიმ—ბარზიმ 109	საღგნი—სადაგნი 54
გმტებელი—გამტებელი 133	საკელპტრნი—საკელაპტრენი 48, 49
გვრმნ—გუარმან 120	სროთითა—საროთითა 15
კესტრი—კესტორი 60	სკარამანგნი, სკრამნგი, სკრმნგი—სკარამანგი 57, 111, 112
კლნ—კვირიელისონ 147	ქკ:—ქართლისა კათალიკოზი 138, 139, 142, 148, 154, 156
ქე—კვირიკე 137, 144, 145	ცრითა—ცუარითა 40, 41
მაკნდ—? 52	ძლისკევს—ძალისკევს 61
მაზრდ—მაზარად 51	
მეხრი—მეხური 43	
მოცრლნი—მოცუარულნი 45	
მლებითა—მოლებითა 122	

## 973 წლის ჯვარი იზხანიდან.

1930 წ. 10 ივლისს ღამით გატეხეს და გაძარცვეს ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, დაარსებული ამ რამდენიმე წლის წინათ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან. ჩვენი ძველი ხელოვნების დაზარალებულ სხვა ძეგლთა შორის, როგორც ჩანს, სამუდამოდ დაიღუპა ამ წერილის სათაურში დასახელებული, 973 წლით დათარიღებული, განსაცვიფრებელი ძველი ოქრომჭედური ხელოვნებისა. ვამბობ: „როგორც ჩანს სამუდამოდ დაიღუპა“, რადგან გაძარცვის შემდეგ—მიუხედავად ენერგიული გამოძიებისა-- აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ძეგლის საცოდავი ნამტვრევები, რომელთა სურათები ქვემოთ იქნება მოყვანილი. მუზეუმის გაძარცვის ამბავი ჩვენთვის წარმოადგენს მრისხანე memento-ს. აშკარაა, რომ არა თუ ადგილებზე დარჩენილ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა, არამედ მუზეუმში თავმოყრილ ძეგლებისაც, არა დგას ჯეროვან სიმაღლეზე. ჩვენი კოლექციები მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი ამნაირი მძიმე და აუნაზღაურებელი შემთხვევებისაგან, როდესაც ძალაში შევა მთავრობის დადგენილება მეტეხში ისტორიული და ხელოვნების მუზეუმების ქსელის დაარსების შესახებ.

### I.

იზხანის ძველი, ვიდრე ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში იქნებოდა მოთავსებული, ინახებოდა ცაგერში, ლეჩხუმის საეპისკოპოსო კათედრის ახალ ეკლესიაში. ჯვარი შეიძლება ითქვას, სულ უცნობი იყო. მართალია, ბროსემ<sup>1</sup> ამ ჯვრის წარწერები ჩამოთვალა და სცადა მათი ახსნა და შემდეგ გრაფ. პ. ს. უვაროვამაც<sup>2</sup> მოიხსენია ის, ხოლო წარწერები ხელახლა მოიყვანეს თ. ქორდანიამ და ა. ხახანაშვილმა<sup>3</sup>, მაგრამ ამან ოღნა-

<sup>1</sup>) Brosset, Rapports sur un Voyage archéologique, SPB. 1851, IX, 35—36.

<sup>2</sup>) МАК, т. X, Москва 1904, გვ. 182, № 308.

<sup>3</sup>) თ. ქორდანიამ, ქრონიკები და სხვა მასალა, I, ტფ. 1892, გვ. 91; МАК., т. X, прил. გვ. 32—33.

ვადაც ვერ შეუწყო ხელი ძეგლის გაცნობას და მის მოქცევას მეცნიერული კვლევა-ძიების რეალში. იგი რჩებოდა, როგორც უკვე ნათქვამი იყო, სრულიად უცნობი; და ასეთ მდგომარეობის თავიდან აცილებას ვერ უშველა ჯვარის დიდი ფორმატის ფოტოგრაფიულმა სურათებმაც, რომლებიც ერმაკოვის კოლექციაში ინახებოდა<sup>1</sup>. მხოლოდ როდესაც განათლების სახ. კომის. მეცნიერების მთავარ მმართველობის დავალებით გიორგი ჯაკობიამ 1924 წლის გაზაფხულზე ლეჩხუმში შეკრიბა ხელოვნების წვრილი ძეგლები და ეს ჯვარი ცაგერიდან მუზეუმში ჩამოიტანა, მან უცებ მიიქცია ჩვენი ყურადღება როგორც მთლიანი მხატვრული მიზანდასახულობით ისე სევადის გამოყენებით და ტექნიკით, ნაკეთის შესრულებით, ძვირფასი თვლებით, ხელოვნური მორთულობით და, დასასრულ, ყურადღება მიიქცია, როგორც შესადარებელმა მასალამ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ჰედვითი ხელოვნების ზოგიერთი საკითხების დასადგენად. დროის უქონლობამ თავის დროზე ნება არ მოგვცა ამის შესახებ სრული გამოკვლევა ჩავვეტარებინა. ეხლა, როდესაც ეს ძეგლი სამუდამოდ დაიღუპა, საჭიროა ახალ კვალზე მოვახდინოთ მისი მაქსიმალურად შესაძლებელი შეფასება, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ მთელი მის შესახები ფაქტიური (თუნდაც ფრაგმენტარული) მასალა.

ჯვარს, როგორც იგი წარმოდგენილია ფოტოგრაფიულ სურათზე (ტაბ. IX) სიმაღლე ჰქონდა 51 cm. ხოლო განი 36 cm. ეს ჯვარი აგვირგვინებდა, ე. ი. ის თავზე ჰქონდა გაკეთებული სპეციალურ კვერთხს, და იხმარებოდა საპროცესიო ჯვარად. კვერთხი, რომელიც დღესაც დაცულია, წარმოადგენს უწინდელ დამაგვირგვინებელ ბურთიანი სახელურის შეერთებას თვით კვერთხთან, რომელიც გაკეთებულია ცაგერის მიტროპოლიტის სოფრომის მიერ, როგორც ეს წარწერიდან ჩანს: ქ. ამ ჯვარის მადლო შეწიე | სოფრმს ცაგერელ მიტროპოლიტს. კვერთხის ახალი ნაწილი შედგება სამი ბურთისაგან, რომელთა სახეები დამშვენებულია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისთვის ტიპიური ჰედვით, და სამი წყვილი გლუვი ცილინდრული რგოლისაგან მათ შუა; კვერთხს ბოლოში აქვს რკინის წვეტი. მიტროპოლიტ სოფრომის დრო განისაზღვრება 1786 წლის წარწერით ცაგერის ეკლესიის კანკელზე<sup>2</sup>. თითონ ჯვარი შეკეთებულია—სახელდობრ მისი ქვედა ნაწილი დამატებულია და ორსავე მხარეს აქვს შეკეთების დროის ასომთავრული წარწერები (შეად. ტაბ. IX). წარ-

<sup>1</sup>) №№ 16787 და 16788.

<sup>2</sup>) Brosset, IX, 37.

წერათა მოხაზულობა მიგვითითებს გვიან დროზე, მე-16 მე-17 საუკუნეზე. ეს წარწერები ასე იკითხება<sup>1</sup>:

პირზე:		ზურგზე:	
ჩნ	მე	სერჰი	ნიკო
ფეთ	მეფ	ონ : ცა	ლოზ : ც
ემნი : პტონ	მნ:.	გერელ	გერელ
გნი : მეორედ :	გვკ	სა : აბ	სა : კუქი.
ეთედ : ჯრი : ესე :	წრ	შიძესა :	ძესა : შე
სმრთებელდ :	მეფო	შნდოს :	უნდოს :
ბისა : ჩენისათვის :	ლ	ლნ : ან :	ლნ : ან:.
ცდვო	ა : ჩნთ		
ა : შე	სნდო		
ბელ	ად:.		
	ან		

სხვა წყაროებიდან არც ცაგერელი სერაპიონ აბაშიძე, არც ცაგერელი ნიკოლოზ კუჭაიძე ცნობილი არ არიან. მხოლოდ 1610 წლის წყალობის წიგნში (ბოძებულია იმერეთის «მეფეთ მეფის» გიორგის მიერ, 1605—1639 წ.წ.) მოხსენებულია ცაგერელი მამათმთავარი სერაპიონი<sup>2</sup>. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს სერაპიონი არის წარწერაში მოხსენებული ცაგერელი სერაპიონ აბაშიძე<sup>3</sup>. მაშინ იშხანის კათედრის ბედი, ჩანს, მეტს სიცოცხლეს მიიღებს—მისთვის ბრძოლა და თანდათან სიკვდილი დაახლოვებით მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. მე-17 საუკ. დამდეგიდან დაწყებული ბრძოლა<sup>4</sup> თავდება უკანასკნელი იშხნელ ეპისკოპოსის 1687 წლის ქვეშე ხსენებით, როგორც შენიშნავს თ. ჟორდანიანი<sup>5</sup>. ამ

<sup>1</sup>) თითოეული სიტყვის შემდგომ წარწერებში ოთხ-ოთხი, rsp. ხუთ-ხუთი ან ექვს-ექვსი წერტილია დასმული.

<sup>2</sup>) ს. კაკაბაძე. საცაგერლოს გამოსავლის დავთარი, თბილისი 1914, გვ 9.

<sup>3</sup>) იმავე სერაპიონ ცაგერელის სხვა სიგელში იხსენიება აგრეთვე კუჭაიძის გვარი (იქვე, გვ. 9—10), შეად. აგრეთვე ცაგერელის სიგელი 1669 წლისა—Monumenta Georgica. Diplomata № 1, გვ. 73.

<sup>4</sup>) შეად. ვახუშტის მიერ აღნიშნული ცალკე ფაქტები აგრეთვე 1565, 1580, 1588 წ.წ. ქვეშ (ქართლის ცხოვრება, II ნაწ., სპბ. 1854, გვ. 162 \*241, გვ. 166 \*243) და შემდეგ საფარ-ფაშის (1625—1635 წ.) და როსტომ-ფაშის (1647—1659 წ.) საზოგადო დახასიათება (იქვე, გვ. 168 \*244 და გვ. 169 \*244); ან მესხური დავითნის ქრონიკაში 1578, 1580, 1587 წლ. ქვეშ (სამი ისტორიულ ბრონიკა, გამ. ექვ. თაყაიშვილის მიერ, 1890, გვ. 99, 108, 112).

<sup>5</sup>) ქრონ. და სხ., II, გვ. 506.

თარიღებს შუა, პ. ინგოროყვას მიერ გადმოცემული ცნობით, 1650 წლის თარიღით არის ცნობა იმის შესახებ, რომ „საფრიძეს მტბე-ვარს იშხნელობა და მაწყვერელობა მოუვიდა ხვანთქრისაგან“<sup>1</sup>. ეს მოასწავებს, ერთის მხრით, იშხანის კათედრის დაცემას და, მეორეს მხრით, კლარჯეთის დამოკიდებულებას უცხო ხელისუფლებისაგან; ხოლო საქართველოს მუზეუმის ხელნაწერის, კოლექცია A № 1, მინაწერიდან ჩანს, რომ ქართველთა ტალღა მოილტვოდა კლარჯეთიდან მცხეთაში და უკვე აქიდან მიდიოდა სხვადასხვა ადგილას დასამკვიდრებლად; მათ შორის იშხნელი ეპისკოპოსის ძმა ნიკოლოზ იხსენიება 1687 წლის თარიღით<sup>2</sup>, ე. ი. იშხანში დამოუკიდებელ ადმინისტრაციული ერთეულის საბოლოო მოსპობა ამ წლისათვის შეიძლება გამოკვეთულად ჩაითვალოს. ამნაირად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჯვარის გადატანაც ცაგერში მოხდებოდა სწორედ მე-17 საუკუნის დამდეგს.

ვიდრე მიმდინარე წელს ჯვარს გასტეხდნენ გაძარცვის მიზნით, ცაგერის ეპისკოპოსთა ორივე წარწერის მხოლოდ კიდური ასოების ნაწილები ჩანდა იმიტომ, რომ აქ იყო კიდევ ლითონის წვრილი ფირფიტა, მიკრული ოთხ ადგილას ჯვარის გასამაგრებლად. ეს ფირფიტა, უეჭველია, უფრო გვიანაა გაკეთებული (შეად. ტაბ. IX), შესაძლებელია, მე-18 საუკუნის დასასრულსაც, როდესაც სოფრომმა კვერთხი გააკეთებინა.

გარდა ჯვარის ქვედა მკლავისა, შეკეთებულია აგრეთვე 4 პალმეტი 6-დან, რომლებიც განსაკუთრებული ფირფიტით იყო მიმაგრებული ჯვარის ყოველ კუთხეზე, მართალია, თითონ პალმეტები უწინდებურია დარჩენილი, მაგრამ მათი მიმაგრება ხელახლადაა შესრულებული და თანაც მეტად უხეშად (შეადარე ტაბ. IX და XII).

სხვა მხრივ ჯვარი მშვენივრად იყო შენახული და წარმოადგენდა ძვირფასი თვლებით შემკობისა და ქედვის ხელოვნების იშვიათ სურათს ამ ხელოვნების სრული ორგანიული მთლიანობით, თვით ჯვარის სახელურამდე. სწორედ ამაში მდგომარეობდა დაღუპული ძეგლის განსაკუთრებული მხატვრული სიმშვენიერის საიდუმლოება.

ამ დიდი ჯვრის ცენტრში, რომლის ყოველ არეს აქვს ძლიერი კურვატური და ყოველ კუთხეში დამაგვირგვინებელი აქცენტები; მოთავსებულია სრულიად უბრალო ნაკეთი ჯვარცმულისა, დაყვანილი მინიმალურ მოძრაობამდე, და ის მოთავსებულია ასეთსავე სრუ-

<sup>1</sup>) ქრონ. II, 465 (შეად. 475).

<sup>2</sup>) თ. ყო რ დ ა ნ ი ა, Описание рукописей..., т. I, Тифлис 1903, № 1.

ლიად მარტივ სწორკუთხოვან ჯვარზე ასეთივე უბრალო ფორმის დამატებით: „ფერხთა ფიცარის“ და ზედა წარწერისათვის. ჯვარცმის მთელი გამონასახი თავისი ჯვარით ჩამოსხმულია და შემდეგ წინაპირზე გავლილია საკვეთით, ნახატი დამატებულია გრავურული ტექნიკით და ოქროს მოვარაყებითაა დამშვენებული. ჯვარის ზომა მთლიანად უდრის  $21,5 \times 15,3$  cm. ხოლო თითონ ნაკეთის სიმაღლე ფიცრიდან ნიშამდე (ამათი ჩათვლით) უდრის 17,4 cm.; უკანა ნაწილი, რომელიც ეხლაცა ჩანს, ღრუა. ნაპირების მიხედვით, მთელი ნაკეთის სისქე საშუალოდ უდრის 2—3 mm. ოქროთი მოვარაყებულია ჯვარი, ნიშბი, ტილო წელის გარშემო, შემდეგ წვერი, თმათაზე და აგრეთვე ლურსმნები ხელის გულეებზე. ჯვარისა და ნიშბის მთელ კონტურზე პუნცონად ამოჭრილია წყვილ-წყვილი პატარა პატარა წრე წერტილით ყოველი წრის შუაგულში (შეადარე ჯვარის ღერძის მორთულობა მთელი ჯვრის უკანა მხარეს); ტილოზედაც გაბნეულია ეს წრეები წყვილ-წყვილად; დასასრულ, მთელი ფონი წარწერით ჯვარცმულის თავზე აჭრელებულია ამავე პუნცონით. ამის გარდა დამატებით ამოჭრილია ხაზები თმასა, ტანისამოსა, „ფერხთა ფიცარსა“ და წარწერაში. წარწერა გამოყოფილია ასოთა გლუვი საპრტყეებით კონტურში. იგი იკითხება: „ესე იჲ მფცჳ ჰრთჲ“. ამნაირად, მთელი გამონასახის დამატებითი დასურათების ხერხებში ვხედავთ ისეთსავე მახვილ ნაუანსებს, როგორც დაფერადების მიდგომაში, სადაც ნაკეთის სხეული და პირისახე დატოვებულია თეთრად, დანარჩენი კი თითონ ჯვართან ერთად ოქროთია დაფერილი.

ჯვარის თავისუფლად დარჩენილი გარეგანი ნაწილები მორთული იყო დიდი ძლიერი აქცენტებით სპეციალური ფორმის როზეტებისაგან, რომელნიც თავის ოქროთი, ფერადი თვლებითა და მარგალიტის ელვარებით უფრო აფერადებდნენ ჯვარს. ჯვარის ყოველი არეს ქიმს გამოყოფილი ჰქონდა ზოლი, დაფარული სევადით, რომლის ფონზე გავლილი იყო ორნამენტალური მორთულობა ტალღისებური ღეროსაგან, რომელსაც ყოველ მუხლში ჰქონდა ნახევარფოთოლი. ჯვარის ყოველი მკლავის შინაგან არეზე, გარდა ძვირფასი თვლების როზეტებისა, ამოჭრილი იყო კიდევ ცალკე ორნამენტალური მოკაზმულობა. ხოლო ორივე ჰორიზონტალური მკლავის ქვეშ ამოჭრილია შემკვეთელის წარწერა:

იშხნსთს ილნ შქმნა ვ[ინ] გმვს შმცაჩნზლ არს.


ესე იგი: იშხანისათვის ილარიონ შქმნა, ვინ გამოკვის შემცაჩვენებელ არს. არეზე წარწერის ირგვლივ და აგრეთვე თითოეული

გრავეურული როზეტის ირგვლივ ან შიგნით (რაც როზეტის მოხაზულობისაგან დამოკიდებულია) პუნცონით იყო ამოჭრილი წრეები წერტილით; დანარჩენი ფონი-კი იყო გლუვი.

ეხლა ყველა ამ მოკახმულობისაგან გადარჩა—მუზეუმშია დაბრუნებული—მოწყვეტილი ჯვარცმა, ცალკეული როზეტები ნაწილობრივ ქვებითურთ, და ქვედა, გვიანა დროის, ნაწილი წარწერებით განახლების შესახებ. გადარჩენილი ნაწილები იძლევიან განსამარტებელ მასალას ძეგლის მხატვრული კაზმულობისთვის (ტაბ. XII): ყოველი როზეტი ცალკე ყოფილა დამზადებული ოქროსაგან და მხოლოდ შემდეგ სპეციალურ, ოქროთი დაფერილ ვერცხლის ბუდეში მიუმაგრებიათ თავის ადგილას ჯვარზე. დიდი ოვალური როზეტებიდან სამი ნაპოვნია: ესენი გვიჩვენებენ, რომ თვლის (ქვის) ოქროთი მოკახმულობის უკანა მხარე სპეციალურად დაზრუნებული ყოფილა ფილიგრანული ხელოვნებით და ნაწილობრივ გრეხილი ოქროს მათეულით: ერთი როზეტის შუალა მორთულობა განსხვავდება ორი დანარჩენისაგან. აგრეთვე ცალკე ქვების ნაწილი პირველად ჩასმული ყოფილა ბუდეებში თავისი ოქროს მოჭედილობით, როგორც გვიჩვენებს სამი ნაპოვნი როზეტიდან ორი. თვლები-საგან იქმნებოდა სრულიად დამთავრებული სისტემა—ყველა მსხვილი ქვები, როგორც მრგვალი როზეტების ცენტრში ჩასმულნი, ისე ცალ-ცალკე მოთავსებულნი, საფირონებია; მხოლოდ დიდი თვალი ჯვარცმის თავზე ამეთისტოა, რომელშიაც ჩასმულია მრავალი ოქროს ლურსმანი—ეს ძველი თავისებური ხერხია ქართულ ძეგლებში. ხოლო ოთხფოთლიან როზეტების ცენტრს წარმოადგენდნენ მწვანე ქვები (ზურმუხტები?) ცილინდრული ფორმისა შიგნითა ხერხით; ასეთი ფორმის ზურმუხტები გვხვდება სხვა ძველ ქართულ ძეგლებშიაც<sup>1</sup>. როზეტებში გამაგრებული ყოველი ქვა იყო აგრეთვე ორ ზოლად შემოვლებული საშუალო ზომის მარგალიტის ძაფებით, ცალკეული ქვები კი ერთ ზოლად. ამ მარგალიტის ძაფების გასამაგრებლად ყველგან ბუდეებში გაკეთებული იყო ოთხ-ოთხი, ან სამსამი კილო, ხოლო ოთხ-ფოთლოვან როზეტებში--რვა-რვა. მუზეუმში ჩაბარების დროს მარგალიტის ნაწილი უკვე აკლდა; ქვედა მკლავზე იყო ტლანქი (გვიანა, ამ ჟამად ხელახლად ნაპოვნი) ბუდე სამი ქვით—2 ზურმუხტით და 1 ლალით, რომელთაგან ერთი უფრო პატარა ზურმუხტი არაბული ან სირიული წარწერით შექველია. წარმოსდგება იმ ერთი ოვალური როზეტიდან, რომელშიაც ჩასმუ-

<sup>1</sup>) იხ. ჩემი წერილი „Ein Goldschmiedetriptychon des 8—9 Jh. aus Martvili, in: *Zeitschrift für bildende Kunst*, Bd. 64, 1930, S. 81 ff.

ლია უბრალო პატარა ქვა. როდესაც 1924 წელს ჯვარი მუზეუმს ჩააბარეს, რეგისტრაციაში გატარებული იყო მარგალიტის ასეთი განაწილება (ამ მარგალიტიდან სამ დაბრუნებულ როზეტზე საერთოდ 24 მარცვალა):



შენიშვნა: ორმაგი წრეებით ნაჩვენებია გაძარცვის შემდეგ ნაპოვნი ბუდეები.

თუ კარგი პირი ასე საუცხოვოდ და კომპოზიციური მკაფიო აწონვით იყო განსახიერებული, ზურგიც მხატვრის დიდი თავდაქვარილობის მიუხედავად. ააშკარავებს გადაწყვეტილების მოფიქრებას და სიყვარულით შესრულებას (ტაბ. IX). აქაც გამოყოფილია ქიმი მარტივი ორნამენტით, რომელიც შედგება გამეორებულ დამოუკიდებელ ელემენტებისაგან დაჩვეტილ (პუნცონით) ფონზე. მას არ გამოუყენებია აქ სევადა, რომელიც იძლევა ესოდენ ძლიერ გაშუქებას და მკაფიოებას, რადგან იგი იცავდა თანაბრობას და ერიდებოდა რისამე და სადმე ხაზის გასმას, გამახვილებას ამ ზურგზე. შინაგანი არე ეჭირა აგრეთვე ჩამოსხმულ, მაგრამ კოხტად გამოყვანილი ფორმის რელიეფურ ღერძს, რომლის დაბოლოებები ფორმის მხრივ ყოველ არეს შესაფერისად გაორდება (მისი ნამტვრევები დააბრუნეს მუზეუმში); ეს ჩამოსხმული ღერძი აძლევდა მთელ ძეგლს ძლიერების, მედგრობის ხასიათს და წონასწორობას ჰქმნიდა კარგი პირის მხარეზე მოთავსებულ რელიეფურ ნაკეთისადმი. ყველა ეს, ისე როგორც გადანაჭედის ძირითადი ადგილები, დამუშავებული იყო მორთულობით და ფორმით. დამახასიათებელია, რომ ღერძის ჯვარედინზე და განშტოებათა სამ ბოლოზე, გრავურულ წრეებში (ოთხფოთლოვანით მათ ცენტრში), მორთულობის ელემენტად გამოყენებულია შემოკლება წვრილი წრეებისა წერტილით შუაში, ისე, როგორც ეს ელემენტი გამოყენებულია ჯვარცმაზე; ასევეა მორ-

თული სამოსლის ნაოჭები 886 წლის ზარზმის ფერისცვალების ხატზე. ხოლო ამ ღეროს გვერდით სწორ ფონზე, რომელიც დაჩვრეტილია აგრეთვე პუნცონით, იყო ორნამენტალური მორთულობა—ზემით მცენარეთა სტილიზაცია, ხოლო გვერდის მკლავებზე წარწერები, რომელიც იყო განაწილებული ამნაირად:

ქ. ძელო ცხრბსო წწმძღრ და მფარველ ექმენ ილენ ებკპსა	
ქრ	ი
ონ	ყო
იკ	>რ:
მ	:ჟ:
ნი>:	გ:

ქე აღენ მფენი ჩენ[ნი] და ერი მთი დაიფრე > :

ე. ი.: ქ. ძელო ცხორებისაო წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ებისკოპოსსა. ქრისტე აღიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე. ქორონიკონი იყო რუგ (=973).

მთელი ჯვარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამაგრებულია სპეციალურ სახელურზე, რომელიც დღემდე დაცულია, თუმცა ძლიერ დაძველებული სახით. ეს სახელური შესდგებოდა ბურთისაგან, რომელსაც განმყოფელი რგოლის მნიშვნელობა ჰქონდა, და საკუთრივ სახელურისაგან. ორივეს მორთულობის მოტივს წარმოადგენდა თანაბარი სურათი საერთო ქსელით და ერთნაირი ელემენტით ყოველ ნაჭერში (სურ. 1). ფონი მთლად დაფარულია მთლიანი სევადით, რომელიც ყორანის ფრთის ფერად ბზინავს. სევადა დადებული იყო აქ სქელ ფენად, ისე როგორც თითონ ჯვარის პირის მხარეზე<sup>1</sup>. ხოლო ვერცხლის ორნამენტის ნახატში იყო ოქროს ქდე; ერთიანი გლუვი პროფილები კი ზემოთ და ქვემოთ ოქროთი იყო მოვარაყებული, ისე როგორც იმ პალმეტის ნაწილის ფონი, რომელიც თვით ჯვარზე გამოდის. ამ სახელურის დამზადების ტექნიკური მხარე მეტად საინტერესოა და გვიჩვენებს ხელოვნების სიმაღლეს—მიუხედავად ვერცხლის სისქისა ბურთი მაინც შემოჭედილია და ორი ნაწილისაგან არის შეკრული; თანაც შიგნიდან ეს შეერთების ადგილი დაფარულია ვიწრო, თხელი ვერცხლის ფირფიტით, გარედანაც თითქმის არ ჩანს იგი.

სახელურის მორთულობა სევადით განაგრძობს ამნაირად თითონ ჯვარის პირის მორთულობის ერთ-ერთ ელემენტს, ხაზს უსვამს მასთან კავშირს და მთელი მხატვრული შთანაფიქრის მთლიანობას.

<sup>1</sup> ამ ძეგლის ტექნიკურად და მხატვრულად სრული პარალელია მარტივლის მე-X საუკუნის გულსაკიდი ჯვარი დავით და ბაგრატისა.

## II

იშხანის ჯვარი წარმოადგენს ქართული ქედვითი ხელოვნების ძეგლს, რომელიც დგას ძველი და საკუთრივ საშუალო-საუკუნეების ეპოქების მიჯნაზე. თუ საშუალო-საუკუნეების გამომხატველად უნდა თავ-



სურ. I.

საქართველოს მუზეუმის მთაბე, VI.

დაპირველად ჩაითვალოს თვით კონცეფცია ასეთი სახეიშო, ჯვარცმის რელიეფით დამშვენებული, გამოსასვენებელი ჯვარისა, აგრეთვე მისი მორთვა ძვირფასი თვლებით შემკული მედალიონებით, სამაგიეროდ სევადის ტექნიკის მოხმარება (სწორედ ასეთი ხერხით), შემდეგ ორნამენტალური სახეები, რომელიც ამშვენებს ჯვარის ორსავე მხარეს, და წარწერების შესრულების ხასიათი, დასასრულ, თითონ ნაკვთი კარგ-პირზე უნდა მიეკუთვნოს ჯერ კიდევ ძველ ხანას, მის განსაკუთრებულ მხატვრულ განწყობასა და მიდგომას.

ამნაირად, გარდა თავისი ინდივიდუალური თვისებისა და მხატვრული ღირსებისა, ამ ძეგლს აქვს მნიშვნელობა, როგორც მიმდინარე ისტორიული პროცესის მაჩვენებელს, იგი გადადის შემდეგ საფეხურზე—სახელდობრ, საჭიროა განისაზღვროს ის ისტორიული ადგილი, რომელიც მას უჭირავს ქართული ტორეტიკის განვითარებაში მთლიანად. ამის გამოსარკვევად ჩვენ ხელსაყრელ პირობებში ვართ—ჩვენ ხელთა გვაქვს ამავე ტიპის სხვა ჯვრები ახლობელი დროისა. იშხანის ჯვრის შედარება მე-XI საუკუნის მარტვილის ჯვართან უმაღვე ამჟღავნებს მომხდარ სტილისტიურ ცვლილებას.

მარტვილის ჯვარი წარმოადგენს იმავე ფორმის ძეგლს, როგორცაა იშხანისა, საერთოდ იმავე ზომისას (55X36 см.) და ნაწილობრივ იმავე ტექნიკური დეტალებით<sup>1</sup> (ტაბ. X). ასე, პალმეტები ჯვარის კუთხეებზე აქაც ცალკეა შესრულებული და შემდეგ გამაგრებული კუთხეებზე. ზურგი მთლად დაფარულია ორნამენტალური მორთულობით და ისტორიული წარწერით. მაგრამ უკვე ამ პუნქტებშიაც შეიძლება შევნიშნოთ განსხვავება: ფორმის კონტურები მარტვილის ჯვარში შედარებით იშხანის ჯვართან უფრო მეტი შნოითაა შესრულებული, უფრო ხაზგასმულია მათი მეტად გაწეული ბოლოები. ზურგის ორნამენტი გრავურული როდია; იგი გაკეთებულია ძლიერი რელიეფით, თითქო ფონს ზემოთაა დადებული და ჩასმული მკაფიოდ შემოხაზულ ჩარჩოში, რომელშიაც გრავურით ამოჭრილია წარწერა.

ეტყობა, შესრულების ტექნიკაც განსხვავდება. თითონ ჯვარიც ძლიერ მასიურია და ალბათ ჩამოსხმულია და არა შეძერწილი ორი ფირფიტისაგან. პირის ყველა რელიეფური გამონასახი ღრუა, შექედილი და დაკავშირებულია ჯვარის სათანადო ადგილებზე. ფონის თავისუფალი ადგილები ფიგურებს შორის დაფარულია ცალკეული, გრავურული, ორნამენტალური მორთულობით. ხოლო ზურგის ძლიერ ამოწეული ორნამენტები, ეტყობა, ამორჩეულია ჩამოსხმული მასიდან და შემდეგ დამატებით არის გრავურებული. ჯვარიც გატეხილია ქვედა მკლავში და შეკეთებულია ზურგიდან მიმაგრებული ვერცხლის ფირფიტით, რომელიც ჰფარავს როგორც ამ ნაჭრის ორნამენტს, ისე წარწერის 2 ზოლს. დანარჩენში ჯვარი კარგად იყო შენახული უკანასკნელ დრომდე, როგორც გვიჩვენებენ ფოტოგრაფიები, შესრულებული 1913 წელს ადგილობრივ მარტვილში<sup>2</sup>. მხოლოდ ანტირელიგიური მოძრაობის (1924/25) წელს ეცადენ ჯვარის გადატე-

<sup>1</sup>) აწერილია კონდაკოვისა და ბაქრაძის მიერ, *Опись памятников древности...* 1891, გვ. 70-72 და სურ. 35. წარწერები მოყვანილი აქვთ თ. ყორდანიას, ქრონ. I, 1892, გვ. 174-175 და ექვ. თაყაიშვილს, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, 1914, გვ. 65-66 (წვრილმანი შეცდომებით):—კარგი-პირის მორთულობაში ქვემოთ მდგარი ფიგურა (წ-ა ი-ე) ძველადვეა შეკეთებული—პირვანდელი ნაკეთისაგან შენახულია მხოლოდ თავი ნიშნით და მხარ-ბეჭის ნაწილი. ყველა დანარჩენი წარმოადგენს მერმინდელ შეკეთებას (ვერცხლით, უოქროსვარაყოთ), რაც ჩანს ფოტოგრაფიული სურათიდანაც. ამ ფიგურის გვერდებზე გამოხატულია ნახევარ-ფიგურები შემდეგი წარწერებით: წ-ა ბსლი და წ-ა გრგი:

<sup>2</sup>) კონდაკოვის და ბაქრაძის მიერ 1891 წელს გადაღებულ ფოტოგრაფიული სურათების შედარებიდან ჩანს, რომ მას აქით გატეხილია პირისახეების ღვთისმშობლის და ანგელოზის გვერდით.

ბას, ამიტომ მისი ნაწილები გადაგრებილია, ზემოთმდგარი ნაკვთი სარტყელს ქვევით გატეხილია; გატეხილია აგრეთვე ქვედა ნახევარ-ნაკვთი (ბასილისა). ამ სახით ჯვარი შემდეგ ჩააბარეს ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს. 1930 წლ. დეკემბერში გამაგრების ვერცხლის ზოლი ჯვრიდან ამოღებული იყო და აღმოჩნდა წარწერის ნაწილი და ორნამენტაციის სახე (ტაბ. X, 3). წარწერაში ნაჩვენებია ხელოსანი—„შეიქნა კელითა ივანე დიაკონისაჲთა“<sup>1</sup>. ამნაირად ესაა იშვიათი შემთხვევა, რომ ჩვენ ვიცით მხატვრის სახელიც და სოციალური მდგომარეობაც.

ორივე ჯვარის ფიგურების განსახიერება რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ სტილის ყოველი განსხვავება მათ შორის დაკავშირებულია იმ ფსიქოლოგიურ განწყობასთან შინაარსისა და მიზნის მიმართ, რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა ეპოქებით. იშხანის ჯვარზე ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის საშუალო საუკუნეთა ხელოვნების საერთო განწყობის თანახმად, მხატვარი მთავარ ყურადღებას აქცევს, ძალას ატანს მკაფიო გამოსახვის მომენტს—ამას იგი აღწევს თავდაპირველად იმით, რომ მარტო ამ ერთ ნაკვთს უპირისპირებს ჯვარის უზარმაზარ დეკორატიულად დამშვენებულ სიბრტყეებს,—ცხადია, რომ ამით მხატვარი აღწევს მაყურებლის ყურადღების კონცენტრაციას, როდესაც კი მაყურებელი გულისყურს მიაპყრობს მისი ნაწარმოების შეგრძნებას. შემდეგ მხატვარი ამასვე აღწევს ოქროსა და ვერცხლის დაპირისპირებით—ოქროს ერთიან ფონზე მხოლოდ ნაკვთის სხეულია დატოვებული მკრთალ ვერცხლში.

სხვანაირადაა საქმე მარტვილის ჯვარზე. აქ ცენტრალური ნაკვთი ძლიერაა გადიდებული შედარებით იშხანის ჯვართან, თუმცა ორივე ჯვარი თანასწორი სიდიდისაა (იშხანის ჯვარს სიმაღლე აქვს ზედა ნიმიბიდან საფეხურამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით 17,4 cm., მარტვილის ჯვარს—23,5 cm.). და მარტვილის ჯვარის ყველა დარჩენილი ნაწილები გავსებულია აგრეთვე ცალკეულ ნაკვთებით და ნახევარ-ნაკვთებით: რაიმე კონცენტრაცია დამახასიათებელი სპეციფიკური გამოხატულების მხრივ, ან რაიმე განსაზღვრული ექსპრესივობა ცენტრალურ ფიგურაში ყოველად შეუძლებელი იყო ასეთ გარემოებაში—იგი მხოლოდ ერთი მრავალთავანია.

ეს განსხვავება საერთო კომპოზიციურ მიდგომაში უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა ცალკალკე ვსინჯავთ თითონ ნაკვთებს. იშხანის

1) წარწერის აღმოჩენილი ნაწილი იკითხება შემდეგნაირად: და|საღხინე-ბლად ცოდვილისა სოლი|სა ჩემისა[თ]ოვის ამენ. შეიქნა კლ|თა ივანე დიაკონისთა. ქე შ[ე]. ამ ნაწილს თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემაში მე-5 და მე-6 სტრიქონების შუა ადგილი უჭირავს.

ჯვარცმის მთელი ნაკეთი (ტაბ. XI) არის მხოლოდ განმარტივებული ფორმულა იმ განცდათა—ასე ვთქვათ, დაუბრკოლებლივ გასაგებად, რომელნიც კონცენტრიულად მყლაენდება ფიგურის თავში. თავი დახუჭული, ჩაცვივნიული თვალებით მახვილ სახეზე, რომელიც სავსეა სევდით, ატანილი წამებით, დაქანცულობით და დგას, თითქო შესვენების მოლოდინში იყოს. მთელი თავი მსუბუქადაა დახრილი,—ეს უფრო აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას. ამნაირად, აქ გამოხატულია არა ფიზიკური ტანჯვა, არამედ სულიერი. დეტალების პლასტიურ დამუშავებას, თავის ნაწილების შეფარდების მტკიცე რეალურ შესწავლას—ჩვენ ვერა ვხედავთ აქა. ამიტომ სხეული მოცემულია მხოლოდ ზოგადი ფორმებით, შეიძლება ითქვას, ერთნაირი შინაგანი დაძაბვით; ეს მეტადრე იგრძნობება სიმებივით დაჭიმულ ხელებსა და ფეხებში; ამასთან ხელის მტევენები ხაზგასმულია ზომით, გაჭიმულია, ხოლო ფეხის ტერფები თვალსაჩინოდ შეკუმშულია, ამნაირად, სხეულის, ისე როგორც თავის დამუშავებაში ჩვენ აშკარად ვხედავთ მხატვრის სრულიად შეგნებულ მიდგომას, მის მიზანშეგნებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ძეგლი რალაც პრიმიტივი კი არ არის, არამედ მასში განსაზღვრული მისწრაფებაა მიზნისადმი. ამიტომ მან სხეული განსახიერა, მაგრამ განსახიერა მხოლოდ ძირითად ნაწილებში, მთავარი ყურადღება კი მიაქცია შინაგან, სულიერ განცდებს, ამიტომ მან არად ჩააგდო და იქნება შეგნებით, განგებ მოერიდო ლამაზ განსახიერებებს.

ყველა ამ პუნქტებში მარტივის ჯვარის განსახიერება მიდის სულ წინააღმდეგი გზით. უწინარეს ყოვლისა, მთელი ნაკეთი შესრულებულია ლამაზი სრული მოხაზულობით—აქ ფიგურა, თითქოს განგებ გამოსარჩენად, გაწვდილი ხელებით დგას; აქ არა გვაქვს შედეგი ხანგრძლივი, ნაწამები, შინაგან ბრძოლისა და ძიებისა; ამიტომ მხატვარი ეძებს თავისუფალ, რბილ ხაზს სხეულსა და ხელებში, ფეხის დადგმაში და ხელის გულის და მტევენის თავისუფალ მოხრაში. თავი ლამაზადაა განსახიერებული, თმა და წვერი დავარცხნილია, წვერი თანაბრადაა დახუჭუჭებული; არც თვალბში, არც მთელ პირისახეზე არა ჩანს არავითარი დაძაბვა, არავითარი ემოციონალური ხაზგასმულობა, ნამცეცი წამება—სულიერი, ან გინდა ფიზიკური. თვით მჩვარი ლამაზადაა წამოსხმული წელზე, იმ დროს, როდესაც იშხანის ჯვარზე ის მძიმედაა ჩამოშვებული თითქო სხეულის დასათვარავად (შეად. ტაბ. X).


ამნაირად ამ ორი ძეგლის სტილი ცხადად გვიჩვენებს, რომ ერთ მიდგომას მეორე შეუცვლია. მე-10 საუკუნის ძეგლი არის ნაწარმო-

ები იმდროინდელ ექსპრესიონიზმისა, იმ დროს როდესაც მე-11 საუკუნის ძეგლი არის ანარეკლი ჰარმონიული, რეპრეზენტატიული, პლასტიურად განსახიერებული მონუმენტალიზმისა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე ხაზი გაუსვით იმას, რომ ასეთივე პროცესი სტილისტურ მისწრაფებათა ევოლუციისა, როგორც პასუხი სხვადასხვა ხანის ფსიქოლოგიური შენაცვლისა, შენიშნულია დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ხელოვნების განვითარებაშიც. მხოლოდ ამ პროცესის ქრონოლოგიური ჩარჩოები დასავლეთი ევროპისათვის სხვაა. როგორც მხატვრული განვითარების სხვა დარგებში, ისე პლასტიკაში (მეტადრე ოქრომჭედლობაში) საქართველო (13 საუკუნემდე) უფრო ადრე გადის განვითარების სათანადო ეტაპებს, ხოლო დასავლეთი ევროპა თანდათან ეწევა აღმოსავლეთს. ასე, ექსპრესიონიზმიდან გადასვლას ცალკეულ ნაკვეთის პლასტიურ დამუშავებაზე, როგორც მონუმენტალურ მხატვრულ ამოცანაზე, რომანული ხელოვნების განვითარებაში ვხედავთ მე-12 საუკუნის განმავლობაში, იმ დროს როდესაც საქართველოში ეს მოხდა მე-11 საუკუნეში. რასაკვირველია ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თანადროულ აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებასა და დასავლეთ ევროპის ხელოვნებას შორის არ არსებობდა არავითარი კონტაქტი, მაგრამ თვით არსი ხელოვნების ხასიათისა და მისი ცვლილების პროცესისა ერთსა და იმავე დროს ნაირ-ნაირია ევროპის და წინა აზიის კოლტურულ მსოფლიოს დაშორებულ ბოლოებში. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან აქ რურის ვერდენის ბრინჯაოს ჯვარცმის სურათს, რომელსაც აკუთვნებენ ადვალვიგის ხანას (1066-1081)<sup>1</sup>. მართალია, იგი დიდი ზომისაა (1 m. აქვს სიმაღლე), მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენს მხოლოდ მცირე ხელოვნებათა სათანადო ნაწარმოების გადიდებას, რომელთა შესაფერი სურათები მე არა მაქვს.

ვერდენის ჯვარცმას, შექმნილს 100 წლით გვიან იშხანისაზე, საფუძვლად სწორედ იგივე განწყობა აქვს; იმ ხანის განსაზღვრული მსოფლშეგნება. ინტერესით შინაგანი განცდისადმი და არა ცხოვრების გარეგანი ფორმისადმი, ხელს უწყობს ექსპრესიონული რიგის ნაწარმოებთა შექმნას, რომელთაგან მხოლოდ თანდათან გამოჩნდა ახალი გზა პლასტიურ მიღწევებისკენ. „საერთო შთაბეჭდილება ამ საუცხოვო ქმნილებისაგან,—სწერს მასზე ბენკენი—კეთილშობილურია; მაგრამ, თუ მას შემდეგი საუკუნის ნაწარმოებებს შევადა-

<sup>1</sup>) H. Beenken, Romanische Skulptur in Deutschland (11. und 12. Jh) Leipzig 1924, ტაბულა 19 და 20. ტექსტში კარგადაა ნაჩვენები სტილისტიური ევოლუციის პროცესი გერმანიის რომანული ხანის მონუმენტალურ ქანდაკებაში.



სურ. 2.

ვერდენ-ამ-რურ (Werden a. R.), ბრინჯაოს ჯვარცმა მე-11 ს. 70-იანი წლ.  
რებთ,—დუნეა: სხეული უნერგიო და გაუძაბავია. ეს განსხვავება  
დაფასების მხრივ კი არ არის, არამედ სტილის დახასიათების მხრივ“.  
„მე-12 საუკუნის ჯვარცმათაგან ვერდენის ჯვარცმა განსხვავდება“.

საკუთარი პლასტიური დამუშავების უქონლობით. აქ ვერ ვხედავთ კომპაქტურ დაზრგვალებას, როგორსაც ვხედავთ მოწიფულ მე-12 საუკუნეში; აქ მხოლოდ ნაზადაა დადებული ერთი მეორეზე კარგად გამართული პარალელური ფენები“. კერძოდ კი სხეულის ცილინდრული ფორმა, სიცოცხლეს მოკლებული კუნთები და ხელ-ფეხი წარმოადგენენ ერთიან, თითქო განუყოფელ გაგრძელებას; მხვარი წელზე მძიმედ, მაგრამ ამასთანავე ბრტყლადაა დადებული თანაბარი კეცებით—ყველა ეს სტილით და ნაწილობრივ კონკრეტული ფორმებით. მჭიდროდ უახლოვდება ამოცანის გადაწყვეტილებას იშხანის ძეგლში



სურ. 3.  
იშხანის 973 წლის  
ჯვარი: თავი (1/1 ნატურ. ხ.).



სურ. 4.  
მარტვილის მე-XI საუკ.  
ჯვარი: ჯვარცმულის თავი  
(1/1 ნატ. ზომისა).



სურ. 5.  
ვერდენის-ამ.რურ (გერმანია) მე-XI საუკ.  
ჯვარცმულის თავი (ბევრად შემცირებულია).

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმდინარეობა, რომლის ასეთი მკაფიო წარმომადგენელი გერმანიაში არის მე-11 საუკუნის 70-იანი წლების ვერდენის ჯვარი, იწყება გერმანიაში უკვე მე-10 და მე-11 საუკუნეების საზღვარზე, როგორც ამას გვიჩვენებს შატლიდას (973-1011) უძველესი ჯვარი ესენში (სიმაღლე აქვს დაახლ. 45 cm.), ან გიზელის ჯვარი რეგენსბურღის ნიდერმიუნსტერიდან მე-11 საუკუნის ნახევრისა (ამ უამად ინახება München-ის Reiche Kapelle-ში, 44×31 cm.) და მრავალი ნაირ-ნაირი წვრილი ბრინჯაოს ჯვარცმები, რომელნიც შენახულა ჯვრებიდან მოშორებულ ნაკვეთების სახით (სიმაღლით 15-დან 25 cm-მდე) და რომელნიც თანსდევნ განვითარებას ორი, სამი საუკუნის განმავლობაში.

დასავლეთ ევროპის ძეგლების, გინდ აქ ჩამოთვლილების, შედარებას ჩვენს ძეგლებთან შეუძლიან ბევრი ნაირ-ნაირი ხაზული შეიტანოს ამ დასავლეთ ევროპის ძეგლების გასაგებად<sup>1</sup>. მაგრამ ამ ამოცანის ასხნა აქ ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად, ვკმაყოფილდებით მხოლოდ უბრალო მითითებით. აქ მოყვანილი სურათების მიხედვით, აღვნიშნავ მხოლოდ დამაკავშირებელ ძაფებს თანადროული ხელოვნებისათვის: მე-11 და მე-12 საუკუნეების ევროპიული ძეგლების საყვარელ ხერხს—წვერის დახუჭუჭებას—ვხედავთ მარტვილის ძეგლზე და მის თანამედროვე ვერდენისაზე, ხოლო ვერდენის თავის საერთო დამუშავება გვაგონებს იშხანის ძეგლს, რომელიც 100 წლით ადრეულია ვერდენისაზე (სურ. 3, 4 და 5).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მსოფლიო ხელოვნების კონექსშიაც იშხანის და მარტვილის ჯვრები დაიჭერენ სრულიად განსაზღვრულ და საკმაოდ თვალსაჩინო ადგილს როგორც სხვა მრავალი ძეგლი ქართული ქედვითი ხელოვნებისა. მით უფრო აუნაზღაურებელია იშხანის ჯვარის დაკარგვა და მარტვილის ჯვარის გაფუჭება, რაც ჩვენ თვალწინ მოხდა.

1937. XII. 8.

<sup>1</sup>) აქ ღირს აღვნიშნოთ, თუ რამდენად სრულიად ცალმხრივ და შემცდარ დასკვნებს საზოგადო მიმართულებისა აკეთებენ, ჩვენი აღმოსავლეთის უცოდინარობის გამო, ისეთ შესანიშნავ და მოუქიბებით დაწერილ წიგნშიაც კი, როგორცაა G. Dehio, *Geschichte der deutschen Kunst*,<sup>3</sup> I, 1923, S, 189.

**G. TSCHUBINASCHWILI.****EIN VORTRAGEKREUZ AUS ISCHCHANI VOM J. 973.**

(Zusammenfassung).

In dem vorangehenden Aufsätze wird auf Grund von Photos und Registerangaben des Museums altgeorgischer Kunst das durch die Inschrift des Bestellers des Bischofs Illarion von Ischchani auf das Jahr 973 datierte silberne Vortragekreuz (51×36 cm.) herausgegeben (Taf. IX). Die untere Partie des Kreuzes selbst war bereits in früherer Zeit zerbrochen und wurde (im Anfange des 17 Jh. laut Inschriften) renoviert. Während eines Einbruches am 11. Juli 1930 in der Nacht wurde das Kreuz aus dem Museum geraubt und teilweise geschmolzen. Aufgefunden wurden nur einzelne Rosetten in Filigranausführung der Rückseiten, mit Saphir- und Perlenbesatz der Vorderseiten (Taf. XII in nat. Gr.) und die gegossene Kreuzigungsfigur (Taf. XI, ca.  $\frac{2}{3}$  nat. Gr.). In der Behandlung des Kreuzes selbst ist die Verwendung von Vergoldung neben Gravierungen und die Ornamentierung in Auftragniello besonders zu betonen (auf Taf. XII ein Kreuzarmteil in ca.  $\frac{1}{2}$  n. Gr.). Ausserdem ist im Museum der ebenfalls mit Niello geschmückte Griff erhalten geblieben (Abb. S. 305). Auf S. 303 wird die Anordnung mit der Zahl vorhandener Perlen an einzelnen Besatzteilen der drei ursprünglichen Kreuzarme, wie sie während der Aufnahme des Denkmals im Museum bestand, wiedergegeben.

Die stilistische Analyse des Denkmals wird im Vergleich mit einem annähernd ebenso grossen (55×36 cm.) Vortragekreuze aus der Kathedrale vom Martvili (Taf. X) geführt, das um die Mitte des 11. Jh. durch den Diakon Johann gemacht wurde, nämlich zur Zeit König Bagrat IV. (1027—1072). Auch dieses Kreuz war in früherer Zeit am unteren Kreuzarme gebrochen und dann mittels einer Silberplatte zusammengehalten. Dadurch war ein Teil der Inschrift und der Ornamentierung an der Rückseite zugedeckt. Dieser freigemachte Teil ist auf Taf. X, Abb. 3 einzeln wiedergegeben.

Der Vergleich beider Kreuze, ihrer Kreuzigungsfiguren und dann der Köpfe des Gekreuzigten (Abb. S. 311 in natur. Grösse) zeigt deutlich zwei stilistisch verschiedene Arten.

Zum Schluss ist noch der Hinweis auf die ähnlichen Kompositionen Westeuropas gemacht, deren ein Beispiel—das grosse Bronzekruzifix aus Werden a. R. (Abb. S. 310)—wiedergegeben wird. Bei der gesamten emotional bedingten Einstellung dieses Kunstwerkes, die also mit dem etwa 100 Jahre früher entstandenen Kreuz von Ischchani zusammengeht, finden wir Einzelheiten, die es auch mit dem gleichzeitigen Martwili-Kreuz zusammenzustellen erlaubt (vgl. die drei Köpfe auf S. 311 abgebildet).

P.S. Elms der Sapphirsteine vom ursprünglichen Schmucke des Ischchani-Kreuzes trägt eine arabische Inschrift. Ich wandte mich an den Kustos der orientalischen Münzabteilung der Eremitage in



Leningrad, R. R. Vasmer mit der Bitte dieselbe nach den zweifach vergrösserten Photoaufnahmen zu entziffern, was er liebenswürdigerweise getan hatte. In der brieflichen Mitteilung bemerkt er, dass die Inschrift so scharf sei, dass der Entzifferung keine Schwierigkeiten im Wege stehen. Sie lautet *العباس بن عيسى* *al 'Abbas ibn 'Isa*.

Den Schriftzügen nach kann sie ins 9. bis 11. Jh. unserer Zeitrechnung fallen. Den Namen mit bekannten Persönlichkeiten zu identifizieren sei ziemlich schwer. Der Name Abbas-ibn-Isa ist sehr geläufig und konnte von einem beliebigen adeligen Muselmanne, der damals in Georgien sich aufhielt, getragen werden.

7. IV. 1931.

პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი.

## პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ.

ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც დაუცავთ ცნობები საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნების შესახებ და რომელთა თხზულებებიც ჩვენამდე მოღწეულა, პროკოპი კესარიელი წარმოადგენს ყველაზე უფრო მდიდარ მასალას.

ბიოგრაფიული ცნობები პროკოპის შესახებ მეტად მცირეა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისევ მის თხზულებაა ანუ თუ ვგებულობთ რასმე<sup>1</sup>: სხვათა ცნობები (მაგ., ისტორიკოსების მენანდრესი და აგათიასი და ლექსიკოგრაფ სვიდასი) გაკვრით და მოკლედ (ორიოდე სიტყვით) ახასიათებენ პროკოპის, როგორც ისტორიკოსს.

პროკოპი დაიბადა პალესტინის კესარიაში 490 წლის მახლობლად. ის წარჩინებულთა წოდებას უნდა ჰკუთვნებოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი თავის თხზულებებში განსაკუთრებულის ყურადღებით იხსენიებს ამ წოდებას. თავის სამშობლო ქალაქში მას იურიდიული განათლება უნდა მიეღოს და დაესრულებიოს იგი მახლობელ ბერიუთში, სადაც ცნობილი სკოლა იყო სამართლის მეცნიერებისა, რის შემდეგაც სამოღვაწეოდ კოსტანტინეპოლში გამგზავრებულა.

527 წელს ჩვენ მას უკვე დიდ თანამდებობაზე ვხედავთ: იუსტინიანე კესარმა ის იურიდიულ მრჩეველად მიუჩინა ველიზარის, რომელიც ჯერ როგორც სარდალი და *dux Mesopotamiae*, ხოლო შემდეგ როგორც *magister militum per Orientem* სპარსეთის ფრონტებზე აწარმოებდა საომარ ოპერაციებს. მასთან დაჰყო მან 531 წლამდე (ამ წელს გადააყენეს ველიზარი). 533 წელს ის იმავე თანამდებობაზე მიჰყვება ველიზარის აფრიკაში, სადაც ის რჩება ველი-

<sup>1</sup>) ეს ცნობები თავმოყრილი აქვს Dr. Felix Dahn, *Procopius von Caesarea. Ein Beitrag zur Völkerwanderung des sinkenden Römerthums.* Berlin 1865, გვ.გვ. 12—31.

ზარის გაწვევის შემდეგაც, ხოლო 535 წელს ის მისდევს ველიზარის გუთებთან ბრძოლაში და იქ რჩება 540 წლამდე. 541 წელს ველიზარი ისევ სპარსეთის ფრონტზეა და მასთან ერთად პროკოპიც უნდა გამგზავრებულიყო.

პროკოპი კესარიელი მარტო იურიდიული მრჩეველი (consiliarius) არ ყოფილა ველიზარისთვის. მის თხზულებებში არა ერთი შემთხვევაა დასახელებული, როდესაც ის უშუალოდ იღებს მონაწილეობას საომარ ოპერაციებში. მაგალითად, ის აწარმოებს სამხედრო დაზვერვას (BV I 14), ნეაპოლში ტვირთავს ხომალდებს ხორბლით და ხუთასი ჯარისკაცით (BG II 4) და სხვ.. ქვემოთ მოყვანილი ტექსტებიდანაც დარწმუნდება ადამიანი, რომ საომარი ოპერაციების ასე დაწვრილებით აღმწერი (BP II 17; II 29 და სხვ.) მარტოდენ მრჩეველი იურისტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გამჭრიახი სამხედრო პირიც.

ველიზარისთან ერთად ბიზანტიის საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება გარდამწყვეტი მნიშვნელობისა იყო პროკოპის მომავალი მოღვაწეობისათვის. ამ ლაშქრობათა დროს ის დაწვრილებით ეცნობოდა როგორც საომარი ოპერაციების ტერიტორიას და მისი მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას, ისე ბიზანტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდუმალ კუნჭულებს. სახელმწიფოს ცხოვრებაში ასეთი უშუალო მონაწილეობის შედეგად მივიღეთ ჩვენ მისი თხზულებები, რომლებიც სამ ჯგუფად განიყოფება.

ა) Πολέμαχ. ეს ითვლება პროკოპი კესარიელის ძირითად თხზულებად; იგი ეხება იმ ომების აღწერას, რომელთაც აწარმოებდა ბიზანტია (იუსტინიანეს დროს) სამ ფრონტზე—სპარსელებთან, ვანდალებთან და გუთებთან, და შედგება რვა წიგნისაგან (Ἰστορικὸν ἐν βιβλίαις ἑξά: Phot. 63). ხელნაწერებში ამ თხზულების ჩვეულებრივი სათაურია: Προχοπίου Καισαρέας ἱστορικῶν... ἢ πρώτη, ἢ δευτέρα... ეს თხზულება დაწყებულია პროკოპის მიერ 543—545 წლებში, 550 წელს უკვე მზად იყო 7 წიგნი. 554 წელს პროკოპიმ დაუმატა მეოთხე. ფრონტების მიხედვით წიგნები ასეა განრიგებული:

I—II. De bello persico I—II (... ἱστορικῶν περσικῶν).

III—IV. De bello vandalico I—II (... τῶν περσικῶν πρώτη, δεύτερα; მეოთხე წიგნს O ხელნაწერში აწერია τὸ δ'ον/λαβικὸν β'ον)—შეიცავს ვანდალებთან წარმოებულ ომის ამბებს.

V—VII. De bello gothico. I—III (... τῶν γοთικῶν πολέμων... ἐν τῆσδε τῶν τόμοις διηρημένῃ)—ეხება გუთებთან ბრძოლას.

VIII. De bello gothico IV. ასეა აღნიშნული ეს წიგნი გამოცემებში. ხელნაწერი K-ც მას, როგორც გუთების შესახები წიგნების მომდევნოს, აღნიშნავს Πρ. ααϑ. *ιστοριαν γοθικαν τριχρητη*. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ამ წიგნში მოცემულია ცნობები ყველა ფრონტის შესახებ. ანიტომაც არის, რომ თითონ პროკოპი ამ უკანასკნელ წიგნს *παραλειψαι*-ს უწოდებს.

პროკოპის ეს, იუსტინიანეს დროინდელი ომების შესახები თხზულება სამართლიანად არის მიჩნეული საუკეთესო წყაროდ ბიზანტიის (და საქართველოს) VI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისათვის. იქ, როგორც ამბობს ისტორიკოსი აგათია, ზედმიწევნით არის აღწერილი მეტი წილი იუსტინიანეს დროინდელი ამბებისა (Hist. Gr. Min. II 137). მაგრამ პროკოპის „ომების“ ისტორია არ იყო მარტო ფაქტების გადმოცემა. ის ხომ გაცნობილი იყო ყველა იმ ადგილებს, სადაც საომარი ოპერაციები წარმოებდა და იძლევა ხოლმე ამბის უკეთესად გასაშუქებლად დაწვრილებითს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულს აღწერებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროკოპი ისეთი კუთხეების აღწერასაც გვაძლევს, სადაც თითონ არა ჩანს რომ ყოფილიყო. კერძოდ ეს შეეხება, ჩვენის აზრით, ლაზეთის აღწერას. როგორც ეს ქვევით თავთავის ადგილას აღნიშნული იქნება, პროკოპის ხანდახან ისე აქვს აღრეული ამ კუთხის შესახები გეოგრაფიული ცნობები, რომ ის, საფიქრებელია, პირადად ლაზეთში არ უნდა იყოს ნამყოფი<sup>1</sup>. მაგრამ არც ისეა წარმოსადგენი, რომ ის მხოლოდ ზეპირად გადმონაცემს ემყარებოდა. ასეთი შემთხვევებიც არის, რომ ის გაგონილს გადმოგვცემს, მაგრამ მისი აღწერილობანი (კუთხის ვითარების, საომარი ოპერაციების მსვლელობისა და სხვათა), როგორც ეს ნათლად ჩანს თხრობის ხასიათის მიხედვით, უმთავრესად იმ ოფიციალურ მოხსენებებს ემყარება, რომელიც ადგილებიდან მოსდიოდა სამხედრო შტაბს, სადაც თვით პროკოპიც იმყოფებოდა. გარდა ამისა მის განკარგულებაში იქნებოდა სამეფო საგანძურებში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც მისთვის, როგორც—ასე ვთქვათ—სამეფო კარის ოფიციალური ისტორიკოსისთვის, მუდამ ხელმისაწვდომი იყო.

როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირველია, გარკვეულს, იუსტინიანეს მთავრობის სასარგებლო ხაზს ატა-

<sup>1</sup>) რომ ის მოსაზღვრე არმენიაში ყოფილა, ამას თითონვე აღნიშნავს (BP. I 17).

რებს თავის თხზულებაში, და მის მიერ მონათხრობის გაცხრილვა, ცხადია, აუცილებელია ყოველ კერძო შეითხვევაში. განსაკუთრებით ახასიათებს პროკოპის, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, მისი მეორე თხზულება

ბ) Περὶ ἀεισμημάτων (De aedificiis, «შენობათა შესახებ»), რომელიც დაწერილია 560 წელს და ექვსი წიგნისაგან შედგება (მისი სრული სათაურია: Περὶ ἀεισμημάτων τῶν Ἱεροσολύμων καὶ ἀρχαῶν παρὶ τῶν τῶν δεσποτάων Ἰουδαίου καὶ ἀεισμημάτων). აქ ჩანს გადამეტებული ქება იუსტინიანესი. და ეს თავისთავადაც ცხადია: მას ეს შრომა ხომ შეკვეთილი ჰქონდა, მას ნაკარნახევი ჰქონდა ხოტბა შეესხა იუსტინიანესის იმ შენობათა აგებულების, რომელთაც მთავრობამ უამრავი თანხები დაახარჯა. მიუხედავად ამისა ამ თხზულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თავის აღწერილობითს ნაწილში. ის წარმოადგენს ძვირუფას წყაროს გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ეკონომიური ხასიათის ცნობებისათვის.

სულ სხვა ხასიათისაა პროკოპი კესარიელის მესამე ნაშრომი, ე. წ. „საიდუმლო ისტორია“.

გ) Ἀνέχθησα. ჯერ კიდევ სვიდას მიხედვით იყო ცნობილი, რომ „ომების“ წიგნის გარდა ამგვარივე ამბებისათვის პროკოპის «სხვა წიგნიც დაეწერა, ეგრეთწოდებული ანეკდოტა» (Ἐγραψε καὶ ἕτερον βιβλίον, τὸ ἀνέχθησα Ἀνέχθησα: Suidas s. v. Προκῆ-παις). ამ ნაშრომში—იმავე სვიდას მოწმობით—იუსტინიანეს და მისი მეუღლის, თეოდორას და, საზოგადოდ, მთავრობის პოლიტიკის ძაგებას ჰქონია ადგილი. მაგრამ, თუ რას წარმოადგენდა ეს თხზულება თავისი შინაარსით, არავინ იცოდა. მხოლოდ 1623 წელს აეხადა ფარდა ამ საიდუმლოებას, როდესაც ნ. ალემანი იმ აღმოაჩინა იგი ვატიკანის ბიბლიოთეკაში. ამ თხზულებაში გამოხატული აზრები იმდენად ეწინააღმდეგება პროკოპის მიერ სხვა ნაშრომებში გამოთქმულ აზრებს, იმდენად მძაფრი არის აქ მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა,—იმ მთავრობის, რომელსაც სხვაგან პროკოპი ქება-დიდებათ იხსენიებს,—რომ დიდხანს მეცნიერთ შორის დავა იყო ამ თხზულების ავტორკუთვნილობის საკითხის გარშემო. დღეს კი, ამ თხზულების შესწავლის შემდეგ როგორც შინაარსის ისე ენის მხრით, დამტკიცებულია, რომ იგი პროკოპის კალამს ეკუთვნის და დაწერილია მის მიერ 550 წლის მახლობელ ხანში, ე.ი. იმავე ხანში, როდესაც ის „ომების“ წიგნს ამთავრებდა. ირკვევა, მაშასადამე, რომ ოფიციალური ისტორიის პარალელურად პროკოპი სწერდა არაოფიციალურ, «საიდუმლო» ისტორიას, რომელიც მას არ გამოუქვეყნებია

(*ἱστορία*), ვინაიდან მისი გამოქვეყნება ავტორს მთავრობის რისხვას დაატეხდა თავს. მიზეზი პროკოპის ამგვარი ოპოზიციონერობისა უნდა ვეძიოთ იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებაში, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა იუსტინიანეს მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ მხრით ბიზანტიის ისტორიის ეს პერიოდი; სამწუხაროდ, შესწავლილი არ არის, მაგრამ წყაროების მითითებანი იმის შესახებ, რომ იუსტინიანე ებრძოდა მიწისმფლობელ არისტოკრატებს, ხოლო პროკოპი, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, სწორედ ამ წოდების წარმომადგენელი იყო, გვაფიქრებინებს, რომ «საიდუმლო ისტორიის» ავტორი ამ თავის თხზულებაში მთავრობის პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი ფენების იდეოლოგია.

ჩვენს განკარგულებაში იყო პროკოპი კესარიელის თხზულებათა შემდეგი გამოცემანი და თარგმანები:

Haury Jacobus, Procopii Caesariensis opera omnia. I—III. Lipsiae 1905—1913.

Dindorfius Guilelmus, Procopius (=Corpus Scriptorum Historiae Byzantinae) I—III. Bonnae 1833—1838.

Dewing H. B. Procopius (with an english translation) in seven volumes. I—V, London 1914—1928.

Comparetti Domenico, Le Inedite, libro nono delle istorie di Procopio di Cesarea. Testo greco emendato sui manoscritti con traduzione italiana [edizione postuma licenziata da Domenico Bassi]. Roma 1928.

De-Boor Carolus, Excerpta de legationibus (Excerpta Historica iussu Imp. Constantini Porphyrogeniti confecta), I—II. Berolini 1903.

Stritter J. G. Memoriae Populorum.... Tomus IV. Petropoli 1779.

Dieterich Karl, Byzantinische Quellen zur Länder- und Völkerkunde, I—II. Leipzi 1912.

Cousin, Histoire de Constantinople, depuis la règne de l'Ancien Justin jusqu'à la fin de l'Empire. I—II, Paris 1685.

Дестунис Спиридон (комментарий Гавр. Дестуниса), Прокопия Кесарийского История войн Римлян с Персами, вандалами и готами: а) История войн Римлян с Персами, кн. I—II. СПб 1876—1880; б) История войн с вандалами, кн. I. СПб 1891.

Coste D. Prokop. Vandalenkrieg, Lpz. 1885.

Coste, D. Prokop. Gothenkrieg (=Die Geschichtsschreiber der Deutschen Vorzeit Bd. 7). Lpz. 1922.

ჩვენ მიერ დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტს საფუძვლად უდევს ჰაურის გამოცემა.

## DE BELLO VANDALICO.

## მდინარე ფაზისი.

Κατὰ δὲ τὴν τῆς Ἀσίας μέραν,  
εἰη δ' ἔν ἐκ Καρχηδόνος ἐς ποτα-  
μὸν Φάσιν, ἐς ῥέων ἐκ Κέλγων  
κάτεισιν ἐς τὸν Πόντον, ἀνέεται  
τεσσαράκοντα ὄμβες ἡμερῶν (Haury  
I 309, 12—15)

I 1. აზიური ნაწილის გასწვრივ  
გზა კალქედონიდან მდინარე ფა-  
ზისამდე, რომელიც კოლხების ქვე-  
ყანაში მომდინარეობს და პონტო-  
ში ჩადის, გაივლება ორმოც დღე-  
 ცევდენ გზას. როდესაც მიაღწიეს  
 შუა კოლხეთს (სადაც ადგილი  
 ჰქონდა მედეას და იასონის ამბავს,  
 როგორც ამას პოეტები მოგვი-  
 თხრობენ), მოვიდა გუბაზი, ლაზ-  
 თა მეფე, ეთაყვანა ხოსროს კავა-  
 დის ძეს, ვითარცა ბატონს, და  
 თავისი თავი სამეფო ძალაუფლე-  
 ბითურთ და მთელი ლაზიკე გადა-  
 სცა მას.

პეტრა ზღვისპირა ქალაქია  
 კოლხეთში ეგრეთწოდებულ ევქსი-  
 ნის პონტოსთან; ის უმნიშვნელო  
 იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მე-  
 ფემ, გარეზღუდისა და სხვა მინა-  
 შენების საშუალებით გაამაგრა და  
 ყოველმხრივ გაამშვენებინა კიდევ.  
 როდესაც ხოსრომ გაიგო, რომ იქ  
 რომაელთა ჯარი იყო იოანეთურთ,  
 მან გაგზავნა მათ წინააღმდეგ ჯა-  
 რი და სარდალი ანიაბედი იმ მი-  
 ზნით, რომ მათ პირველი იერი-  
 შითვე აეღოთ ქარაიი. როგორც კი

τῆν ἐφοδὸν οὕτε τοῦ περιβόλου  
τινὰ ξῆω γενέσθαι οὕτε ἀπὸ τῶν  
ἐπάλξεων φανῆναι τοῖς πλεμίοις  
ἐκέλευσεν, ἀλλὰ πᾶν ἐξοπίσας  
τὸ στράτευμα πλησίον του τῶν  
πυλῶν ἔστησεν, ἐπιστείλας σιγῇ  
ἔχεσθαι, μίγτε ἦχον μίγτε φωνήν  
ἀφιέντας τινά. οἱ γοῦν Πέρσαι  
ἄγχιστά πρὸ τοῦ περιβόλου γενόμενοι,  
ἐπεὶ οὐδὲν σφίσι πολέμιον  
οὕτε καθειρωῖατο οὕτ' ἠκούετο,  
ἔρημὸν ἀνδρῶν εἶναι τὴν πόλιν,  
Ῥωμαίων αὐτῆν ἐκλειοιπότων,  
ἐνόμιζον. οἷ δὲ ἔτι μᾶλλον ἀμφὶ  
τὸν περιβόλον ἦλθον, ὡς κλίμακας  
εὐθύς, ἅτε οὐδενὸς ἀμυνθέντος,  
ἐπιθύσοντας. πολέμιόν τε οὐδὲν  
οὕτε ἑρῶντες οὕτε ἀκούοντες, πέμ-  
ψαντες παρὰ Χοσρόην τὰ πα-  
ρόντα σφίσι βεγγύον. καὶ ὅς τὸ  
μὲν πλείστον τῶν στρατοῦ πέμψας  
πανταχόθεν ἀποπειρασθαι τοῦ  
περιβόλου ἐκέλευε, κρινῶν τε τῇ  
μηχανῇ ἀμφὶ τὰς πύλας χρῆσθαι  
τῶν τινι ἀρχόντων ἐπέστελλεν, ἐν  
δὲ τῇ λόφῳ καθήμενος, ὅς δὲ τῇ  
πόλει ὡς ἀγχοτάτω ἐπίκειται, θεα-  
τῆς τῶν πρᾶσσομένων ἐγίνετο. αὐ-  
τίκα δὲ Ῥωμαῖοι τὰς τε πύλας ἀν-  
έκλινον ἐκ τοῦ ἀφηνίσιου καὶ ἀπρσι-  
δόκητοι ἐπιπεσόντες πλείστους  
τῶν πολεμίων διέφθειραν, καὶ μά-  
λιστα τοὺς ἀμφὶ τὸν κρινὸν τεταγ-  
μένους· οἱ δὲ λοιποὶ μόλις ξύν τῇ  
στρατηγῷ διαφυγόντες ἐσωθήσαν.  
ἡμῶν τε ὁ Χοσρόης ἐχόμενος  
Ἄνιαξέθην ἀνεσκολόπισεν, ἅτε  
καταστρατηγηθέντα πρὸς τῶν

გაიგო ითანემ თავდასხმის შესახებ,  
ბრძანა, რომ არავინ ზღუდის იქით  
არ გასულიყო და არც ვინმე კე-  
დლების ნიკებებიდან მტერს და-  
ნახვებოდა; მან მთელი ჯარი შეა-  
იარაღა, ქალაქის კარების მახლო-  
ბლად დააყენა და უბრძანა სიჩუმე  
დაეცვათ ისე, რომ კრინტი არა-  
ვის დაეძრა. და, აი, როდესაც  
სპარსელები ზღუდეს მოუახლოვ-  
დნენ, და მოწინააღმდეგეთაგან ვერც  
ვერავინ დაინახეს, ვერც ყური  
მოჰკრეს სადმე, ფიქრეს, რომ მე-  
ლებს ქალაქი დაუტოვებიათ და  
იგი დაცალიერებულაო. ამიტომ  
ისინი კიდევ უფრო ახლოს მივი-  
დნენ ზღუდესთან, რომ მაშინვე კი-  
ბეები მიედგათ, რადგან კერძის  
დამცველი არავინ იყო. ვინაიდან  
ისინი მტრისას ვერაფერს ვერც  
ჰხედავდნენ, არც ესმოდათ, გაუგ-  
ზავნეს ხოსროს კაცობი და აცნო-  
ბეს საქმის ვითარება. და იმანაც  
გაუგზავნა მეტი წილი ჯარისა და  
უბრძანა ყოველი მხრიდან ცდი-  
ლიყვნენ ზღუდის აღებას; ერთს  
მთავართაგანს იმასაც უბრძანებდა,  
რომ კარებისათვის კრიოს მანქანა  
გამოეყენებინა, ხოლო ის თვითონ  
იჯდა ბორცვზე, რომელიც ქალა-  
ქის მახლობლად აღმართულიყო,  
და უყურებდა, თუ რა ხდებოდა.  
მაშინვე რომაელებმა უცებ გააღეს  
კარები, მოულოდნელად თავს  
დაესხენ და ამოჟლიტეს მეტი წი-  
ლი მტრისა, განსაკუთრებით ისი-  
ნი, რომელნიც მანქანასთან იყ-  
ვნენ დაყენებული: დანარჩენები კი

Ἰωάννου, καπῆλου τε καὶ ἀπο-  
λέμου τὸ παράπαν ἀνδρός. τινὲς  
δὲ οὐκ Ἄνιαζέδην, ἀλλὰ τὸν ἄρ-  
χοντα, δεῖ δὴ ἐφειστήκει τοῖς τὸν  
κρίδον ἐνεργούσιν, ἀναγκολπισ-  
θηγνί φασιν. αὐτὸς δὲ ἄρας παντὶ  
τῷ στρατῷ ἀγχιστά τε τοῦ Πέ-  
τρως περιβόλου ἀφίκεται καὶ στρα-  
τοπεδευσάμενος ἐς πλιουρκίαν κα-  
θίστατο. τῇ δὲ ὑστεραία κήκλιφ  
περιῶν τὸν περίβολον, ἐπεὶ οὐ  
λίαν ἀξιόμαχον αὐτὸν ὑπώπτου-  
σεν εἶναι, τειχομαχεῖν ἔγνω. τό-  
τε στρατεύμα ὄλον ἐνταῦθα ἐπα-  
γαγῶν ἔργου εἶχετο, καὶ τοξεύειν  
ἄπαντας ἐπὶ τὰς ἐπάλξεις ἐκέ-  
λευε. Ῥωμαῖοι δὲ ἀμυνόμενοι  
ταῖς τε μηχαναῖς καὶ πᾶσιν  
ἐχθρῶντο τοξεύμασι. τὰ μὲν  
οὖν πρῶτα Πέρσαι, καίπερ συχνὰ  
κομιζῆ βάλλοντες, ἐλίγα τε Ῥω-  
μαῖους ἐλύπουσιν καὶ πάλλα πρὸς  
ἐκείνων, ἅτε ἄρ' ὑψηλοῦ βαλλόμε-  
νοι, κακὰ ἐπασχον. ἔπειτα δὲ (καὶ  
γὰρ ἔδει Πέτρον Χοσρόη ἀλῶναι)  
βληθεὶς Ἰωάννης τυχῆ τινὶ ἐξ τὸν  
τράχηλον θνήσκει, καὶ ἀπ' αὐτοῦ  
οἱ ἄλλοι Ῥωμαῖοι ἐς ἐλιγυρίαν  
ἀπάντων κατέστησαν. τότε μὲν  
οὖν βίρβαροι ἐς τὸ στρατόπεδον  
ἀνεχώρησαν ἤδη γὰρ καὶ ξυνε-  
σχόταξε. τῇ δὲ ὑστεραία δυνάμει  
ἐπὶ τὸν περίβολον ἐπενόουσιν τρὸ-  
παρ τοῖς δε.

ნეს კისერში ხვდება ისანი და  
რომაელები სრულიად მოღუნდებიან.  
შაშინ უკვე ბარბაროსები  
ბანაკში დაბრუნდენ, ვინაიდან  
უკვე ბინდდებოდა; ხოლო მეორე  
დღეს მათ მოისაზრეს გვირაბი  
შემდეგი ხერხით.

ძლივს გაიქცენ სარდალთან ერთად  
და გადაჩენ. გაჯავრებულმა ხო-  
სრომ ანიაბელი სარზე წამოაგე-  
ბინა, იმიტომ რომ მან თავი მოა-  
ტყვილებინა იოანეს, მეწვრიმალეს  
და სრულიად არამეომარ კაცს,  
ზოგიერთები ამბობენ, რომ სარზე  
წამოაგეს არა ანიაბელი, არამედ  
ის მთავარი, რომელიც მანქანას-  
თან მომუშავეებს ზედამდგომლო-  
ბდა. თვითონ ის კი წამოვიდა  
მთელი თავისი ჯარით, პეტრას  
ზღუდეს მიაღვა და იქ დაბანა-  
კებულმა ალყა შემოარტყა ქალაქს.  
ხოლო მეორე დღეს ზღუდეს რომ  
ირგვლივ შემოუარა და ის აზრი  
გამოიტანა, რომ ის არც თუ ისე  
ბრძოლის გამძლე იყო, გადა-  
წყვიტა სძგერებოდა მას. კიდევაც  
მიიყვანა იქ მთელი ჯარი და სა-  
ქმეს შეუდგა: გასცა განკარგულე-  
ბა, რომ ყველას ისრები დაეშინა  
კედლის ნიკებებისათვის. რომაელებიც  
მტრის მოგერიებისას ხმარობ-  
დენ მანქანებსა და ყოველგვარ სა-  
სროლ იარაღს. პირველ ხანებში  
სპარსელები მცირედ ვნებდენ რო-  
მაელებს, თუმცა ხშირ-ხშირად ის-  
როდენ, და, პირიქით, თვითონ დიდ  
ზიანს განიცდიდენ მათგან, ვინაი-  
დან რომაელები მათ მაღლიდან  
ესროდენ. შემდეგ-კი (პეტრა ხომ  
ხოსროს მიერ აღებული უნდა ყო-  
ფილიყო) რაღაც შემთხვევით იოა-  
ნეს კესარიელის მოღუნდებიან. შაშინ  
უკვე ბარბაროსები დასახვრევად  
გაეთხარათ ზღუდის დასახვრევად

Πέτρα ἡ πόλις πῆ μὲν ἐκ θαλάσσης ἀπρόσοδός ἐστι, πῆ δὲ ἐκ πετρῶν ἀποτόμων, αἱ τὰ ἴτη πινταχόθεν ἀνέχουσιν· ἀφ' οὗ δὴ καὶ τὴν προσηγορίαν ἔλαχε τὰ ὑτην. μίαν δὲ εἴσοδον ἐν τῷ ἑμαλεῖ ἔχει, καὶ ταύτην οὗ λίαν εὐρεῖαν· κρημνοὶ γὰρ αὐτῆς ἐφ' ἑκάτερα ἕξασιν ἀποκρέμονται. ἔνταυθα προσορώμενοι τὰ πρότερα οἱ τὴν πόλιν δευμάμενοι, μὴ σφίσι τὸ ἐκεῖνη τοῦ περιβόλου μέρος ἐπίμαχον εἴη, τείχη μακρὰ παρὰ τὸν κρημνὸν ἑκάτερον τῆς εἰσόδου ἐπὶ πλείστον πεποιήνται. τούτων τε τῶν τειχῶν ἑκατέρωθεν πύργους ἐτεκτίσαντο δύο, οὐχ ἥπερ εἰώθει, ἀλλὰ τρόπον ἑτέρω. κενὸν γὰρ τὸ ἐν μέσῳ τῆς οἰκοδομίας χωρὶν οὐδ' αὖτ' εἶασαν, ἀλλ' ὄλας ἐκ γῆς ἄχρι ἐξ ὕψους μέγα τὸς πύργους λίθους παμμεγέθεσιν ἀλλήλων ἐχόμενοις εἰργάσαντο, ὥπως δὴ κριῶ ἢ μηχανῆ ἀλλή ὡς ἦμιστα κατασειοῖντο. τὰ μὲν οὖν Πέτρας τοῦ περιβόλου ταύτη πῆ ἔχει, Πέρσαι δὲ λάβρα ἐς τὴν γῆν κατώρυχα ποιησάμενοι ἔνερθεν θιατέρου τῶν πύργων ἐγένοντο, τῶν τε λίθων ἐνθένδε πολλοὺς ἐκφοριῦντες, ξύλα ἐς τὴν ἑκείνων ἐτίθεντο χώραν, ἅπερ ὀλίγη ὑστερον ἔκαυσαν. ἡ τε φλόξ κατὰ βραχὺ ἀερομένη διέσφυσε μὲν τὴν τῶν λίθων ἰσχύν, ἔλασεν δὲ τὸν πύργον κατασειάσα ἐκ τοῦ ἀφονείου ἐς τὸ ἕδαφος καθέλεν αὐτίκα. Ῥωμαῖοι δὲ, οἱ ἐν

ქალაქი პეტრა მიუვალთა ჯერ ერთი ზღვის მხრით, მერე ციკაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრით არის აღმართული: აქიდან არის რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად. მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში. ისიც არც თუ ისე ფართე: ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული. რადგან იმათ, რომელთაც ქალაქი პირველად ააშენეს, წინასწარ განსჭერიტეს, რომ ზღუდის ეს ნაწილი არ ყოფილიყო ადგილი იერიშებისათვის, გრძელი კედლები გააკეთეს აქ დიდ მანძილზე მისავალის თვითეული კედლის გასწვრივ და ამ კედლების ორივე მხარეს ორი კოშკი ააგეს, ჩვეულებრივი წესით კი არა, არამედ სხვანაირად. შენობის შუაში იმათ არსად არ დასტოვეს ცარიელი ადგილი, არამედ მთელი ეს კოშკები მიწიდან დაწყებული უმაღლეს წვერამდე უდიდესი, ერთმანერთთან გადახლართული ქვებისაგან ააშენეს, რათა რაც შეიძლება ნაკლებ მოსახერხებელი ყოფილიყო მათი შერყევა კრიოთი ან სხვა მანქანით. აი, ასეთი იყო პეტრას ზღუდის მდგომარეობა. სპარსელებმა რომ მიწაში მალულად გვირაბი გაიყვანეს, ერთ-ერთი კოშკის ქვევით აღმოჩნდნენ; იქიდან გამოალაგეს მრავალი ქვა და მათ ადგილას შემები ჩააწყვეს, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი წაუქიდეს. ალი რომ თან-

τῶν πύργων ἦσαν, τοῦτον τῶν  
 πεισιμένων ἦσθοντο πρότερον,  
 ὅσον αὐτῶ μὴ ξυμπεσεῖν ἐς τὸ  
 ἔδαφος, ἀλλὰ φυγόντες ἐντὸς τοῦ  
 τῆς πόλεως περιβόλου γενέσθαι  
 παρήν, τε ἦδη τοῖς πλεμίοις ἐν  
 τῷ ἔμαλει τειχομαχοῦσι πόνον  
 οὐδενί<sup>1</sup> τὴν πόλιν κατὰ κράτος  
 εἰλεῖν. διὸ δὴ καταρραδηκότες  
 Ῥωμαῖοι τοῖς βαρβάρους ἐς λόγους  
 ἤλθον, καὶ τὰ πιστὰ ὑπὲρ τῶν  
 σωμάτων καὶ τῶν χρημάτων πρὸς  
 Χοσρόου λιβόντες σφᾶς τε αὐτοῦς  
 καὶ τὴν πόλιν ἔμολιγίζα παρέδο-  
 σαν. οὕτω μὲν Πέτρων Χοσρόης  
 εἶλε. καὶ τὰ μὲν Ἰωάννου χρήματα  
 λαν ἄδρᾶ εὐρῶν αὐτὸς ἐλβε, τῶν  
 δὲ ἄλλων οὐδενὸς οὔτε αὐτὸς οὔτε  
 τις τῶν Περσῶν ἦψατο, ἀλλὰ Ῥω-  
 μιῶι τὰ σφέτερα αὐτῶν ἔχοντες  
 τῶ Μήδων στρατῶ ἀνεμίγυσται.  
 აღმოჩნდა, თვითონ ხოსრომ წაიღო. სხვა არაფრისთვის ხელი არ  
 უხლიათ არც თვით ხოსროს, არც ვინმეს სპარსელთაგანს; რომაელებ-  
 მა თავიანთი ქონება თვითონ შეინარჩუნეს და ისე შეუერთდენ  
 მიღთა ჯარს.

<sup>1</sup>) ხელნაწერებში იკითხება *πόνον* ἔ, *οὐδενί*.

<sup>2</sup>) პეტრას მდებარეობა დღემდე გამოურკვეველია, და უბუნა დე მონ-  
 პერე (Voyage III, 86) ფიქრობდა, რომ პეტრას ნაშთი უჯენარში უნდა ვე-  
 ძიოთ წმ. ნიკოლოზის ფორტის 15 ვერსტის მოშორებით ნატანებსა და სკურდებს.  
 შუა. ბროსეს აზრით კი პეტრა ქობულეთის მახლობლად უნდა მდებარეობდეს.  
 (Additions IV, 103). ვინაიდან უჯენარი (დ. ბაქრადის მიხედვით «ვაშნარი»:  
 Арх. пут. по Гурин и Адчаре, გვ. 275; შდ. გაზეთი „Кавказ“ 1856, № 56, გვ.  
 225) ზღვას 20 ვერსტით არის მოშორებული, ცხადია, იქ პეტრას ძებნა სრულიად  
 შეუფერებელია, რადგან პროკოპი კესარიელი რამდენსამე ადგილას აღნი-  
 შნავს, რომ პეტრა ზღვისპირა ქალაქია (BP II, 15; II 17). პროკოპი კესარიე-  
 ლი უფრო დაწვრილებითაც აღწერს პეტრას მდებარეობას: ის ფაზისის მარჯვნივ  
 მდებარეობს (BP II, 29; BG IV, 2); მას რომ მიაღწიო, მდინარე ბოა უნდა გა-  
 დალაზო და ფაზისი მარჯვნივ დასტოვო (BP II 29, 23); გარდა ამისა პეტრადან  
 რომ მიდინარ სანზრეთით, მაშინვე რომაელთა საზღვრებს მიაღგები, სადაც მრავ-  
 ლად დასახლებული ადგილები (ათენი, რიზე) შეგხვდება (BP II 29, 22). მართა-

დათან ზევით იწვევდა, ქვების ძალა  
 შეარყია, მთელი კოშკიც შეან-  
 ძრია და უეცრად ძირს დაანარ-  
 ცხა მაშინვე. ხოლო რომაელებმა,  
 რომელნიც კოშკში იყვნენ, წინდა-  
 წინ იმდენად მაინც იგრძნეს, რაც  
 ხდებოდა, რომ მომობი მიიღოს და  
 ძირს კი არ დაეცენ, არამედ გაი-  
 ქცენ და ქალაქის ზღუდის შიგნით  
 აღმოჩნდნენ. ამით აიხსნება, რომ  
 მტერმა დაბლობში კედელი გაან-  
 გრია და ადვილად შესძლო ქალა-  
 ქის დაპყრობა. ამიტომ შეშინე-  
 ბულმა რომაელებმა მოლაპარაკება  
 გამართეს ბარბაროსებთან და, რო-  
 დესაც მიიღეს ხოსროსაგან პირო-  
 ბა მათი სიცოცხლისა და ქონების  
 შესახებ, ამ პირობით ჩააბარეს  
 მას თავიანთი თავი და ქალაქიც.  
 ასე აიღო ხოსრომ პეტრა<sup>2</sup>. იოან-  
 ნეს ქონებაც, რომელიც ბლომად

ნეს ქონებაც, რომელიც ბლომად

Ἐν τῷ δὲ Βελισάριος τε  
καὶ ὁ Ῥωμαίων στρατός, σὺ-  
θέν τι πεπυσμέναι τὴν ταύτην ἐπι-  
ράσσει, κόνιαυ πολλῶν ἐκ Δάρας  
πόλεως ἐπὶ Νίσιβιν ἦεισαν (H a u-  
r y I 224—228).

[სანამ კოლხიდაში 17. თავში მოთხოვნილი ამბები ხდება, სარდალი ველისარი აწყობს ლაშქრობას ნისიბინის და სისაევანონის სიმაგრის წინააღმდეგ, ხოლო სარკინოზთა მეფეს არეთას ჰგზავნის საბრძოლველად ასურასტანში. ხოსრო ყველაფერ ამას შემდეგ გაიგებს.]

Χοσρόη δὲ Πέτραν ἔλόντι ε-  
λίσარიος ἐπαχλῶν ἐξ ἡγῶν τῆν Περ-  
σίδα ἡγγέλλετο καὶ ἡ ἀμφὶ τὸ-  
λιν Νίσιβιν ξυμβολή, φρουρίῳ τε  
τῶν Σισαυράων ἡ ἀλασις, καὶ

II 18. ამასობაში ველისარი და რომაელთა ჯარი, რომელთაც არაფერი გაუგიათ, რაც აქ (ი. ი. კორხირაში) ხდებოდა, სრულის სიმწყობრით გამოემართენ ქალაქ და რადან ნისიბინისკენ.

ლია ძნელია იმ ცნობის გარკვევა, სადაც ბოას წყალზე და ფახისზეა ლაპარაკი, ვინაიდან პროკოპი კესარიელი ხშირად ერთმანერთში ურევს ამ მდინარეთა სახელწოდებებს, მაგრამ უკანასკნელი შენიშვნა (BP II 29, 22), ბოას (ჩვენის ახრით კოროხის) მოხსენებასთან დაკავშირებით, გვაფიქრებინებს, რომ პეტრა მდებარეობდა ბიზანტიის საზღვართან ახლოს, ისე რომ პეტრასა და ბიზანტიას შუა სხვა ღირსშესანიშნავი და ცნობილი ადგილი არ უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთით, ერთი დღის სავალ მანძილზე, ყოფილა აფსკრტე (აფსარუნტი), «ძველად მრავალცხოვრებინანი» ქალაქი, რომელსაც «გარშემო უფლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით», ხოლო პროკოპის დროს მის ნაშენობათა საძირკვლები და ყოფილა დარჩენილი (BG IV, 2).

ასე რომ პეტრა ეხლანდელი ბათომის მახლობლად უნდა ვეძებოთ, ზღვის ნაპირას. ასეთ ადგილებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გონიოს ციხე (ბათომის სამხრეთით) ან ციხისძირი (ბათომის ჩრდილოეთით). საბოლოოდ საკითხს გადასწყვეტს ზედმიწევნით არქეოლოგიური ძიება ადგილობრივ, ჩვენ გვინდა აქ მხოლოდ მიუთითოთ შემდეგ ორ გარემოებაზე:

1) სახელწოდება «პეტრა» უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ადგილობრივი სახელის ბერძნულ თარგმანს (ისევ როგორც «არქეოპოლის» = ნოქალაქებს, «როდოპოლის» = ვარდციხეს, «ჰიპოს» = ცხენისწყალს და სხვ.) და ვინაიდან ჩვენი გეოგრაფიული სახელებიდან ბევრია წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორმით (რკონი, ქვები და სხვ.), საფიქრებელია, რომ აქაც გვქონდეს მრავლობითი რიცხვის ფორმა, მით უმეტეს რომ, როგორც ზემოთ (გვ. 351—352) მოყვანილი შენიშვნიდან ჩანს, ხელნაწერები იძლევიან ფორმას  $\xi\gamma\ \pi\acute{\epsilon}\tau\rho\alpha\iota\varsigma$ , რომელიც XVI საუკუნის გამომცემელს შეუცვლია. რომ პეტრა ადგილობრივი სახელი იყო, ეს მტკიცდება აგრეთვე იუსტინიანეს ერთი, 535 წლით დათარიღებული ნოველით, სადაც ნათქვამია: «...შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა (ἡ Πετραία) [Var. Πετραία] ἐστὶ πῆλις»; ჩვენ მიერ იწოდა ის ქალაქად

ὄσα Τίγρηγ παταμόν διαβάν τὸ ξὺν  
 τῷ Ἀρέθῃ στρατεύμα ἔπρασεν.  
 ἀντίκι τε φυλακὴν ἐν τῇ Πέτρῃ  
 καταστησάμενος ξὺν τῷ ἄλλῳ  
 στρατῷ καὶ Ῥωμαίων τοῖς ἀλοῦ-  
 σιν ἐς τὰ Περσῶν ἡμῆ ἀπήλυ-  
 νε. ταῦτα μὲν ἐν τῇ δευτέρῃ Χο-  
 σρόνῃ ἐσβλήθη ξυνηγέθη γενέσ-  
 θαι. Βελισάριος δὲ βασιλεὺς ἐς  
 Βυζάντιον μετὰ πεμπτες ἑλθὼν  
 διεχειμάζειν (Haury I 238).

ჩაიღინა არეთასთან ერთად ჯარმა  
 მდინარე ტიგრის გადასვლის შემ-  
 დგ. მან მაშინვე ჩააყენა მცველე-  
 ბი პეტრაში და დანარჩენი ჯარი-  
 თა და დატყვევებული რომაელები-  
 თურთ გაემართა სპარსთა ქვეყა-  
 ნაში. ეს მოხდა ხოსროს მეორე  
 შემოჭრის დროს. ველისარი მეფის  
 მიერ ბიზანტიონში იქნა გამოწვეუ-  
 ლი და იქ დაიხამთრა.

### ღვინი და იბერთა აღებ-მიცემობა.

Ἔστι δὲ τὸ Δοξίσιος χῶρα τις II 25. ღუვი ისეთი ქვეყანაა,  
 τὰ τε ἄλλα ἀγαθῆ καὶ ἀέρων τε რომელსაც. ჭარბად აქვს ყოველ-  
 და ჩვენი კეთილშობილების სახელის მიხედვით მას იუსტინიანე დაერქვა» (Nov.  
 XXVIII=XXXI ed. Zachariae a Lingenthal I p. 192).

2) ჩვენი პეტრას ძიება უნდა დაუკავშირდეს იმ „პეტრას“ საკითხს, სადაც  
 ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა იყო. ლაზიკის ეპარქიაში ხომ ბერძნუ-  
 ლი წყაროები იხსენიებენ ოთხს ეპისკოპოსს (Georgius Cyprius, ed. Gelzer, p. 24):

ὁ Ῥοδ π λεως, ὁ τῆς Ἀβιασηγῶν, ὁ Περσῶν, ὁ τῆς Ζιγανέων  
 (აქაც ქალაქის სახელი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მიცემული).

მართალია, პროკოპის ჩვენების წაკითხვით შეიძლება მკითხველს ერთბა-  
 შად ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ქალაქი პეტრა იუსტინიანეს გაუშე-  
 ნების, მაგრამ საკმარისია გულდასმით ჩაუკვირდეთ პროკოპის ტექსტს, რომ  
 დავრწმუნდეთ, რომ იუსტინიანეს უკვე არსებული დასახლებული ერთეული უნდა  
 გაემაგრებინოს, ციხე-სიმაგრედ ექციოს. რომ პეტრა ითანე ციხეს იქ მისვლამდე  
 უკვე დასახლებული ერთეული და გარკვეული სავაჭრო ცენტრი არ ყოფილიყო,  
 ის ასე უცებ არ გადაიქცეოდა ვაჭრობის მონოპოლიის ლაზეთში გამტარებელი  
 ხელისუფლის რეზიდენციად. ჩანს, პეტრა ამ კუთხის მნიშვნელოვან ეკონომიურ  
 ცენტრს წარმოადგენდა, რის საშუალებითაც ლაზები აწარმოებდნენ იმ თავის სა-  
 ვაჭრო ოპერაციებს, რომელზედაც პროკოპი ლაპარაკობს (BP II 15; II, 28). და  
 ამ მნიშვნელოვანი საზღვაო პუნქტისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული სპარსეთის  
 მისწრაფებანიც, რომლის მთავარ ინტერესს ბიზანტიასთან ბრძოლაში ლაზეთის  
 გამო უთუოდ საზღვაო კარის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. ტყვილა ხომ არ ეუ-  
 ბნებოდა ლაზები ხოსროს: «ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით;  
 აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბი-  
 ზანტიონის პალატს მიაღწიო»-ო (იხ. ზემოთ გვ. 356).

[ლაზეთის ქალაქების საკითხისათვის საგულისხმოა აკად. თ. უსპენსკის  
 წერილი „Старинная крепость на устье Чороха“: *Изв. Ак. Наук.* 1917  
 № 2 163—169].

καὶ ἑτάτων εὐεξίαν διαρκῶς ἔχουσα, Θεοδοσιουπόλεως δὲ ἐδῆ ἡμερῶν ἔκτῳ διέχει. καὶ πεδίᾳ μὲν ἐνταῦθα ἰππύλατά ἐστι, κῶμαι δὲ πολλαὶ πολυανθρωπότητι φηγῆνται ἀγχιεσθῶ ἀλλήλαις· καὶ πολλοὶ ἔμποροι κατ' ἐργασίαν ἐν ταύταις οἰκοῦσιν. ἔκ τε γὰρ Ἰνδῶν καὶ τῶν πλησιοχώρων Ἰβήρων πάντων τε ὡς εἶπεῖν τῶν ἐν Πέρσει· ἐθῶν καὶ Ῥωμαίων τινῶν τὰ φορτία ἐσχυρίζομενοι ἐνταῦθα ἀλλήλοις ξυμβάλλουσι (Haury I 263—264).

დიდან და ერთმანერთში ალებ-მიცემობას აწარმოებენ.

გვარი სიკეთე, სალი ჰაერო და წყალიც; თეოდოსიუპოლს რვა დღის სავალი გზით არის დაშორებული. იქ არის მინდვრები ცხენსარბენი, მრავალი მჭიდროდ დასახლებული სოფელი გაშენებულია ერთმანერთის მახლობლად და მრავალი ვაჭარი ცხოვრობს იქ და იქიდან თაფის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების იქიდან მოვიდნენ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანერთში ალებ-მიცემობას აწარმოებენ.

### პერანის და მისი რაზმები.

[ფისონის სიმაგრის მახლობლად (მარტიროპოლის რაიონში) მდგომ რომაულ ჯარში მოღვაწეთა შორის დასახლებულია პერანის.]

Ἰουστὸς τε ὁ βασιλέως ἀνεψιὸς καὶ Περάνιος καὶ Ἰωάννης ἑ Νικίτου παῖς ἔσῃ τε Δομνετιόλη καὶ Ἰωάννη τῆ Φαγγᾶ τὴν ἐπίκλησιν ἐστρατιπεδεύσαντο πρὸς τῆ Φισῶν καλοῦμένη φρουρίᾳ, ὅπερ ἀγχιεσθῶ πη τῶν Μαρτυροπόλεως ἑρῶν ἐστίν (Haury I 262).

[24. თავში მოხსენებული პერანის დანარჩენ რომაელებთან ერთად იბრძოდა ანგლონთან (543 წელს). ამ ბრძოლაში რომაელები დამარცხდნენ და უკან დახევა დაიწყეს.]

οὗ τε ἀμφὶ τὸν Ἰουστὸν καὶ Περάνιον ἐσβαλόντες ἐς τὰ ἐπὶ Ταρσύναν χωρία καὶ ἐλίγα ἄττα ληιστάμενοι ἐμθῶς ἐπανήλθον (Haury I 268).

II 24. იუსტე, მეფის ძმისწული, და პერანის და ნიკეტას შვილი იოანე დომენტიოლითურთ და ფაგას მეტსახელით ცნობილი იოანეთურთ დაბანაკდნენ ეგრეთწოდებულ ფისონის სიმაგრის მახლობლად, რომელიც მარტიროპოლის საზღვრების მახლობლად არის.

II 25. იუსტესა და პერანის რაზმები შეიჭრენ ტარავონთან მდებარე სოფლებში და ზოგიერთი მათგანის დარბევის შემდეგ მაშინვე უკან გამობრუნდნენ.

[იგივე პერანი ბიზანტიელთა ჯარში იმყოფებოდა 544 წელს ედესაში, სადაც სპარსელებს უკვე ალყა ჰქონდათ შემორტყმული და ხელოვნურ ბორცვს აშენებდენ.]

Πέτρος δὲ ὁ Ῥωμαίων στρατηγός (ἐντεῦθα γὰρ ἦν Μακρινὸς καὶ Περσίνος ἐπίχρανον ἄν) τοὺς ταῦτα ἐργαζομένους ἀποπέμψαι ἐκέλευεν Οὐγγῶν τῶν οἰκιστῶν ἐπιπέμψαι τινὰς ἐπ' αὐτοὺς ἕπεμψεν (Haury I 272).

[ედესიდან ბიზანტიელებმა სთან მოსალაპარაკებლად].

Χοσρόης δὲ οὐ πρότερον ἀπακλήθησεν: ἀπολόγοι ἐνθένδε, εἰ μὴ Πέτρον τε καὶ Περσίνον αὐτῷ παραδόντες Ῥωμαῖοι, ἐπὶ δὴ οὐ, δούλοί γε ὄντες πατρίοι, τετολμήκασι ἀντιτάξασθαι. τούτοις δὲ ἦν μὴ ὄραν Ῥωμαῖοι ἐν ἡδονῇ ἔστιν, ἀλλὰ δούλοισιν αὐτοὺς ἐπιτάξαι ἐλάσθαι τὸ ἕτερον ἢ περὶ ταχέως κεντηνάρια χρυσῶν σφίσι δίδόναι, ἢ δέξασθαι τῆς πόλεως τῶν οἰκιστῶν ἐπιτηδεῶν τινὰς, οἱ τὰ χρήματα διερευνήσαντες ἀπαγορεύοντες τὸν μὲν χρυσὸν τε καὶ ἀργύρον, ὅσον δὴ ἐνταῦθα ἔμψαινει εἶναι, κινεῖσθαι ἐξ αὐτῶν ἕξασθαι, τῶν δὲ τούτων κίρῶν ἐξασθαι ἕξειν (Haury I 274).

[უკანასკნელი დამარცხება ედესასთან სპარსელებმა განიცადეს პრინციპალ: როდესაც სპარსელებმა გარეთა ანუ წინა კედელი (περιτείχισμα) აიღეს და დიდ კედელთან მეზობელებს ეძებრენ]

αὐτοὺς Περσίνος ἦν τε στρατιώταις πλείοις καὶ τῶν Ἐδουαργῶν τισιν ἐπέστειλε μάχῃ τε γιγνώσκοντες (Haury I 281).

II 26. რომაელთა სტრატეგოსმა პეტრემ (ის აქ იმყოფებოდა მარტინესთან და პერანისთან ერთად) გადაწყვიტა მომუშავეთა (სპარსელებთა) შეფერხება და გააგზავნა მათ წინაღობა ზოგიერთი მისი ხელქვეითი ჰუნნი.

ცნობილი ექიმი გააგზავნეს ხოსროსთან.

II 26. მაგრამ ხოსრო არ დათანხმდა იქიდან წასულიყო მანამდე, სანამ რომაელები მას არ გადასცემდნენ პეტრესა და პერანის, რომლებიც—ამბობდა ის—მისი მამაპაპეული მონები იყვნენ და გაბედეს მის წინააღმდეგ მოქმედება. ხოლო თუ რომაელებს ამის ასრულება არ სურთ, აუცილებელია მათ ორში ერთი აირჩიონ: ან მისცენ ხუთასი კენდინარი ოქრო, ან მიიღონ ქალაქში ზოგიერთი მისი კაცები, რომლებიც გამოჩნდნენ მთელ ოქროსა და ვერცხლს, რაც კი იქ აღმოჩნდება, და მას მოუტანენ, ხოლო დანარჩენ რამეებს პატრონებს დაუტოვებენ.

II 27. პერანი მრავალი ჯარისკაცითურთ და ზოგიერთი ედესელითურთ გამოვიდა ბრძოლით, გაიმარჯვა კიდევაც და განდევნა მტერი.

[544 წელს ედესასთან ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის დამთავრდა იმით, რომ სპარსელებმა ედესელებისაგან ხუთი კენჯინარი მიიღეს და შინ გაბრუნდნენ].

### ხუთწლიანი დროებითი ზავი (545 წ.).

Ἐπὸ τὸν χρόνον τούτον Ῥωμαίων τετελευτήκασιν στρατηγοὶ δύο, Ἰουστός τε ὁ βασιλεύς ἀνεβίβης καὶ Περσῶν δ' Ἰβηρ, Ἰουστός μὲν νόσῳ διαφθαρῆς, Περσῶν δὲ συνέβη ἐν κωνηγεσίῳ τῷ ἱπποῦ ἐκπεπτωκότι διαρραγῆναι. διὸ δὴ ἀντ' αὐτῶν βασιλεὺς ἑτέροισι καταστησάμενος ἔπεμψε Μάρκελλον τε, τὸν ἀδελφεὸν, τὸν αὐτοῦ ἄρτι γενειάσκοντα, καὶ Κωνσταντιανόν, ὃς δὴ ὀλίγω πρότερον ἅμα Σεργίῳ παρὰ Χοσρόην πρεσβεῶν ἐστάλη. ἔπειτα δὲ Ἰουστινιανὸς βασιλεὺς πρέσβεις παρὰ Χοσρόην ἐπὶ τῇ ξυμβάσει Κωνσταντιανόν τε καὶ Σέργιον ἔπεμψεν. οἱ δὲ αὐτὸν καταλαμβάνουσιν ἐν Ἀσσυρίοις... ἐνταῦθα ἐνταχόντες Χοσρόη οἱ πρέσβεις ἠξίουσαν μὲν τὰ ἐπὶ τῆς Λαζიკῆς χωρὶς Ῥωμαίοις ἀποδοῦναι, βεβαίωτατα δὲ πρὸς αὐτοὺς τὰ ἄμφι τῇ εἰρήνῃ κρατύνασθαι. Χοσρόης δὲ οὐ ἔχθισεν αὐτοὺς ἔφασκεν εἶναι ἀλλήλοισι ξυμβῆναι, ἣν μὴ τινα ἐκχειρίζαν ἕμε, οἱ πρότερον οὕτω τε ἀδεῆστε ὡς αἰ<sup>1</sup> ἔ; ἀλλήλους φοιτῶντες τὰ τε διάφορα διελθούσιν καὶ τὰ τῆς εἰρήνης ἐν τῷ ἀσφαλεῖ τὸ λοιπὸν ὑγίσονται. χρῆναι δὲ ὑπὲρ τῆς αἰ<sup>2</sup> ἐκχειρῆς

II 28. ამ დროის მახლობლად გარდაიცვალა რომაელთა ორი სტრატეგოსი: იუსტე მეფის ძმისწული, და პერსანი იბერიელი; იუსტე გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან, ხოლო პერსანი ნადირობის დროს ცხენიდან გადმოვარდა და სული აღარ აჰყოლია. ამიტომ მეფემ მათ ნაცვლად სხვები დანიშნა: სახელდობრ, მან გაგზავნა მარკელე, თავისი დისწული, რომელსაც ის იყო წვერი ამოდიოდა, და კონსტანტიანე, რომელიც ამ ცოტახნის წინათ სერგისთან ერთად ხოსროსთან იყო ელჩად გაგზავნილი. ხოლო შემდეგ იუსტინიანე მეფემ ხოსროსთან გააგზავნა ზავის შესაკრავად კონსტანტიანე და სერგი. იმათ ის ასურასტანში ნახეს.... ელჩები მოითხოვდნენ, რომ რომაელებს დაბრუნებოდა ლაზიკის სოფლები და შეკრული ყოფილიყო მათთან მტკიცე ზავი. ხოსრომ უთხრა, რომ მათ შორის შეთანხმება ადვილი არ არის, თუ ისინი წინასწარ ერთგვარ დროებითს ზავს არ დასდებენ და, როდესაც ამნაირად უფრო უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის მუდმივი მისვლა-მოსვლა, გადასწვევტენ სადავო საკითხებს და შეჰკრავენ მტკიცე ზავს, ასეთი სპობს Herwerden: *Mnemosyne* XXXIV

<sup>1</sup>) აἰ εἰ ἂν ἄρῃς Ἡ-ში. <sup>2</sup>) αἰ εἰ-ს (Haury III 392).

χρήματά τε οἱ τὸν Ῥωμαίων αὐτοκράτορα δοῦναι καὶ τινὰ Τριβούνον ὄνομα ἰατρὸν πέμψαι, ἐφ' ᾧ οἱ ξυνδιατρίψει ταχῶν τινὰ χρόνον. ἐτύγγανε γὰρ ὁ ἰατρὸς αὐτὸς νόσου τε αὐτὸν ἀπαλλάξας χαλεπῆς πρότερον καὶ ἀπ' αὐτοῦ φίλος τε καὶ ποθεινός ἐς τὰ μάλιστα ὦν. ταῦτα ἐπεὶ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς ἤκουσε, τὸν τε Τριβούνον καὶ τὰ χρήματα εὐθύς ἐπέμψε ξυμίντα ἐς κεντηνάριχ εἰκασιν. οὕτω τε αἰσπονηδὲ γέγονασι Ῥωμαίοις τε καὶ Πέρσαις ἐς ἐνιαυτούς πέντε, δέκατόν τε καὶ ἑνατον ἔτις Ἰουστινιανοῦ βσιλιέως τῆν αὐτὴν ἀτοκράρα ἀρχὴν ἔχοντας.

. . . Χρυσῶς δὲ, ὁ Περσῶν βασιλεὺς, ἐνδηλὸς γέγονε τῆν ἐκχειρίαν νῦν δελεῶν πρὸς Ῥωμαίους πεπονημένους, ἐφ' ᾧ δὴ αὐτοὺς διὰ τῆν εἰρήνην ἀναπεπτωκότας λαβῶν ἀνίκεστόν τι ἐργάσεται. τρίτῳ γὰρ τῆς ἐκχειρίας ἐνιαυτῷ μηχανᾶται τιαδέε ἦστην ἐν Πέρσαις ἀδελφοὶ δύο, Φάβριζός τε καὶ Ἰσδιγούσνας, ἀρχὰς μὲν περιβεβλημένω ἐνταῦθα μεγίστας καὶ ἄλλως λογισμῷ πονηρητάτω Περσῶν ἀπάντων καὶ δόξαν ἐπὶ τῆ δεινότητι καὶ κακοτροπίᾳ πολλὴν ἔχοντε. βουλευσάμενος οὖν πόλιν Δάρας καταλαβεῖν ἐξ ἐπιδρομῆς καὶ Λαζიკῆς ἐξοικίσαι Κόλχους ἀπαντας, Πέρσας δὲ ἀντ' αὐτῶν εἰκίτορας καταστῆσασθαι τῷ ἀνδρὲ τούτῳ ἐς ἄμφω τὰ ἔργα ὑπῆ-

ხანდაზმული ღროვებითი ზავისათვის საჭირო იყო რომაელთა თვითმპყრობელს მიეცა მისთვის ფული და გაეგზავნა ერთი ექიმი, სახელად ტრიბუნე, იმ მიზნით რომ ამას გარკვეული ხანი გაეტარებინა მასთან. ამ ექიმს, თურმე, მძიმე ავადმყოფობისაგან მოუტრეხინა წინათ; მისთვის ის ამიტომ ძვირფასი და განსაკუთრებით სასურველი იყო. როდესაც იუსტინიანე მეფემ ეს მოისმინა, მაშინვე გაუგზავნა მას ტრიბუნეც და ფულიც, ოცი კენდინარის რაოდენობით. ასე შეიკრა რომაელებსა და სპარსელებს შორის ზავი ხუთი წლით, მეცხრამეტე წელს იუსტინიანე მეფის თვითმპყრობელობისა

...ცხადი იყო, რომ ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ვერაგი განზრახვით შეკრა ღროვებითი ზავი რომაელებთან, სახელდობრ იმ მიზნით, რომ ეხელთა ის ღრო, როდესაც ისინი ზავის წყალობით გულხელდაკრეფილნი იქნებოდენ, და საშინელი რამ ჩაედინა. მესამე წელს ღროვითი ზავისა მან მოაწყო შემდეგი: იყო სპარსეთში ორი ძმა, თაბრიზი და ისლიგუსნა, რომელთაც იქ დიდი ძალაუფლება ეპყრათ და ყველა სპარსელზე უფრო ვერაგნი იყვნენ და სახელი ჰქონდათ გავარდნილი მოუხეშავობისა და ცუდზნეობისათვის. რადგან მან (ი. ი. ხოსრომ) გადასწყვიტა ქალაქი დარა აელო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები

ρετήσοντας εἶλετο· ἔρμαιεν γὰρ  
καὶ λόγους πολλοὺς ἄξιον εἶναι γῆν  
τῆν Κολλιδᾶ σφετερισαμένῃ ἐν  
τῷ βεβαίῳ τῆς κτήσεως ἔχειν,  
ξήμφορον λογιζαμένῃ τῆ Περσῶν  
ἀρχῆ κατὰ πολλὰ ἔσεσθαι τοῦτο  
γε. τῆν τε γὰρ Ἰβήρων ἐν τῷ  
ἀσφάλεϊ ἐξ τὸ ἔπειτα ἔξειν, οὐκ  
ἔστι ἐχόντων Ἰβήρων ἐφ' οὐσ-  
τιναις ἀνθρώπων ἀποστάντες σωθή-  
σονται· ἐπειδὴ γὰρ οἱ τοῦτων δὲ

დაესახლებინა, ეს ორი კაცი აირ-  
ჩია ამ ორივე საქმის მომგვარებლე-  
ბად. მას ხომ ღირსშესანიშნავ მო-  
პოვებად მიაჩნდა კოლხიდის ქვე-  
ყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრე-  
ბად მითვისებული, რადგან, მისი  
აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას  
ეს დიდს სარგებლობას მოუტანდა<sup>1</sup>;  
იბერიაც ხომ მომავალში უშიშ-  
რად ეპყროდა, რადგან იბერებს  
აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვის-

<sup>1</sup>) ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სპარსეთის მთავარი ყურადღება ბი-  
ზანტიელებთან ომის დროს სწორედ ლაზეთის ფრონტს ჰქონდა მიქცეული. რო-  
დესაც ხოსრომ ბიზანტიელებს საბოლოო ზავზე უარი უთხრა (იხ. ზემოთ გვ.  
367), მისი განზრახვა ნათელი იყო. როგორც დასაყრდენი პუნქტი მომავალი იერი-  
შებისათვის ბიზანტიის წინააღმდეგ, მას ესაჭიროებოდა ლაზეთი და არა დარა ან  
ედესა. ლაზეთის გზით ის 1) გადიოდა ზღვაზე, სადაც მნიშვნელოვანი სავაჭრო  
პუნქტი—პეტრა—მდებარეობდა; 2) ადვილად აწყობდა იერიშებს ბიზანტიის პრო-  
ვინციების—კაპადოკიის, გალატიისა და ბითინიის—წინააღმდეგ, საიდანაც ბიზან-  
ტიას შედიოდა დიდძალი ნედლეული; 3) უზრუნველყოფდა სპარსეთს ლაზეთის  
ჩრდილოეთიდან მომავალი ჰუნებისაგან და 4) განამტკიცებდა სპარსეთის ძალა-  
უფლებას იბერიაში, რომელიც 532 წელში დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ  
მუდამ მზად იყო აჯანყებულიყო (რაც კიდევაც მოხდა 572 წელს: Theoph.  
Byz. frg. 3, Hist. Gr. Min. ed. Dindorfii I 448). ამიტომ სპარსეთი ორ საქმეს  
ისახავდა მიზნად: 1) გაეჩინა ფლოტი შავ ზღვაზე—ამის საბუთია პროკოპის სი-  
ტყვები (BP II, 29): ხოსრომ «გაგზავნა ლაზიკეში აუარებელი ხე-ტყე, რომელიც  
ხომალდების გასაკეთებლად იყო გამოსადეგი, მაგრამ არავის გაუმზილა, თუ რის-  
თვის გაგზავნა ისინი, არამედ თქვა, ისინი გაგზავნენ პეტრას კედლებზე მანქანების  
დასადგმელად»; 2) გაეძლიერებინა სპარსული და საზოგადოდ უცხო ელემენტები  
ლაზეთის ტერიტორიაზე, ვინაიდან ლაზებზე დანდობა, ცხადია, ვერ გამოდგებოდა  
საწინდრად სპარსეთის ამ რთული მიზნების განხორციელებისა.

ვინაიდან სპარსეთს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ბიზანტიის  
დამარცხება სწორედ იმ წერტილში უნდა მომხდარიყო, სადაც იკვანძებოდა ბიზან-  
ტიის სავაჭრო პოლიტიკის ძაფები, და გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე ისიც,  
რომ საჭირო იყო ბიზანტიისათვის გამოეცლია ის ტერიტორია, სადაც ბიზანტია  
ფიქრობდა ახალი გზების გაჩენას საგარეო ვაჭრობისათვის, რითაც ის თავს დააღ-  
წევდა სპარსეთის შუამავლობას აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში,—ამიტომ,  
ცხადია, სპარსეთი მხოლოდ დროებით ზავს (5 წლით) თანხმდებოდა, რომ ამ წნის  
განმავლობაში მოემზადებინა ნიადაგი თავისი მიზნების მიღწევის გასაადვილებლად.  
როგორც შემდეგ თავებში პროკოპის მიერ მონათხრობი გვარწმუნებს, სპარსე-  
თი თავის დასავლეთ ფრონტზე სიწყნარეს იცავს (იცავს დროებითი ზავის პირო-  
ბას), ხოლო ჩრდილოეთით (ლაზიკეში) ის ფართე გეგმებს შლის.

λογιμώτατοι τῶν βαρβάρων ἑμοῦ  
 Γουργένη τῷ βασιλεῖ ἐξ ἀποστα-  
 σιν εἶδον, ὥσπερ μοι ἐν τοῖς ἔμ-  
 προσηε λόγοις ἐρρήθη, εὔτε βα-  
 σιλεῖ σφίσι κατστήσεσθαι τὸ ἐν-  
 φένθε ξυνεχώρουν Πέρσαι εὔτε  
 ἀυτογνωμο οὖντες Περσῶν κατή-  
 κοι Ἰβηρας ἦσαν, ἀλλ' ὑποψία  
 τε καὶ ἀπιτία ἐξ ἀλλήλους πᾶσιν  
 εἶχοντο. ἐνδηλοῖ τε Ἰβηρας ἦσαν  
 δυσανασχετοῦντές τε ἰσχυρότατα  
 καὶ νεωτεριοῦντες οὐ πᾶσιν ὑσ-  
 τερον, ἢν τινὸς ποτε καιροῦ λαβέσ-  
 θαι δυνατὸν εἶεν. καὶ πρὸς Οὐγγων  
 τῶν Λαζικῆ προσείκων ἀδύητον  
 μὲν τὴν ἰερσῶν ἀρχὴν ἐξ ἀεί-  
 ἔσεσθαι, ἔσθ' ἂν δὲ καὶ ἀπώτερον  
 αὐτὸς τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ ἐπι-  
 πέμψειν, ἦν ἴκα ἂν αὐτῶ βυλι-  
 μένω εἶη. οὐ γὰρ ἄλλο οὐδὲν τοῖς  
 ἐν Κασκάσφ ἀκούσι βαρβάρους ἢ  
 ἐπιτείχισμα Λαζικῆν εἶναι. μά-  
 λιστα δὲ πάντων κατὰ τοῦτο ξυ-  
 σσειν πρὸς Λαζικῆς ἐπικράτησιν  
 ἤλπιζε Πέρσαις, ὅτι δὴ ἐξ αὐ-  
 τῆς ἑρμώμενοι ξυνήσονται εὐδενὶ  
 πόνῳ καταθέλντες καὶ πεζῇ καὶ  
 ναυσὶ τὰ ἐπὶ τοῦ Ἐδξείνου καλυ-  
 μένω πόντῳ χωρὶα Καππαδόκας  
 μὲν καὶ τοῖς αὐτῶν ἐχόμενους  
 Γαλάτας καὶ Βιθυνούς παραστή-  
 σεσθαι, ἐξ ἐπιδρομῆς δὲ Βυζαν-  
 τῆος ἀιρήσειν, εὐδενὸς σφίσι ἀν-  
 τισταθέντες. τούτων μὲν δὴ ἔνε-  
 κα προσπαίεσθαι Χοσρόης Λαζι-  
 κῆν ἠθέλεν, ἐπὶ Λαζίς δὲ τὸ

თანაც ისინი, განდგომის შემთხვე-  
 ვაში, თავს გადაიჩინდნენ. მის  
 შემდეგ რაც ამ ბარბაროსთა დი-  
 დებულნი გურგენ მეფესთან ერთად  
 განდგომას იზრახავდნენ, როგორც  
 ეს ჩემ მიერ წინა მოთხრობებშია  
 ნაამბობი <sup>1</sup>, იმ დროიდან არც სპარ-  
 სელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე  
 ჰყოლოდათ, არც იბერები ემორ-  
 ჩილებოდნენ სპარსელებს თავისი  
 ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და  
 უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთ-  
 მანერთს. ცხადი იყო, რომ იბერებს  
 ძალიან უჭირდათ ასეთ მგომარე-  
 თბაში ყოფნა და ახლო მომავალში  
 განზრახული ჰქონდათ აჯანყება,  
 თუ კი შესძლებდნენ ოდესმე შიშ-  
 თიერი დრო ეხელთათ. აგრეთვე ლა-  
 ზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნენ-  
 ბისაგანაც სპარსელთა სახელმწი-  
 ფო სამუდამოდ დაუტრბეველი იქნე-  
 ბოდა, ხოლო გაცილებით უფრო  
 ადვილად მიუხევედა იმათ რომაელ-  
 თა სახელმწიფოს, როცა კი ეს მას-  
 თვის, სასურველი იქნებოდა: კავ-  
 კასში მოსახლე ბარბაროსთათვის  
 ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღ-  
 მდეგო ტიხრი. ყველაზე უფრო-კი,  
 მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით  
 გაძლიერება. სპარსელებისთვის  
 იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ  
 იქიდან შეტევით ისინი ადვილად  
 შესძლებდნენ თავს დასხმოდნენ,  
 ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთ-  
 წოდებულ ექსინის პონტზე მდებ-  
 ბარე სოფლებს, დაემორჩილებინათ

<sup>1</sup>) იხ. ზემოთ გვ. 326-328.

φαρσεῖν ἤμιστα εἶχεν. ἐπειδὴ γὰρ  
 Ῥωμαῖοι ἐκ τῆς Λαζიკῆς ἀνεχώρη-  
 σαν, Λαζῶν τὸ πλῆθος τῆ Περ-  
 σῶν ἀργῆ ἐπεικῶς ἤχθετο. μο-  
 νότροποι γάρ, εἶπερ ἄλλοι τινές,  
 εἰ Πέρσαι εἰσὶ καὶ τὰ ἐς τὴν διαί-  
 ταν ὑπεράγαν σκληροί. καὶ αὐ-  
 τῆς εἰ τε νόμοι δυσπρόσοδοι εἰσι  
 πρὸς πάντων ἀνθρώπων καὶ τὰ  
 ἐπιτάγματα οὐδ' αὖθι ἀνεκτά. πρὸς  
 μέντοι Λαζοὺς καὶ διαφερόντως τὸ  
 διαλλάσσειν τῆς τε γνῶμης ἀεὶ  
 καὶ τῆς διαίτης παρὰ πολὺ δια-  
 φαίνεται, ἐπεὶ Λαζοὶ μὲν Χρισ-  
 τIANCI εἰσι πάντων μάλιστα, Πέρ-  
 σαις δὲ ἀπ' ἐναντίας αὐτῶν τὰ  
 ἐς τὸ μείον ἀπαντα ἔχει. χωρὶς  
 δὲ τούτων ἄλλες μὲν τῆς Λαζიკῆς  
 οὐδ' αὖθι γίνονται, εὐ μὴν οὕτε σίτος  
 οὕτε εἰνός οὕτε τι ἄλλο ἀγαθὸν φύε-  
 ται. ἐκ δὲ Ῥωμαίων τῶν παρα-  
 λίων ἀπαντα ταῖς ναυσὶν ἐπεισέρ-  
 χεται σίσι, καὶ ταῦτα οὐ χρυσὸν  
 τῆς συμβάλλουσι προῖεμέναις,  
 ἀλλὰ δέρρεις τε καὶ ἀνδράποδα  
 καὶ εἰ τι ἄλλο ἐνταῦθα κατὰ  
 πολὺ περιεῖναι ξυμβαίνει τούτου  
 τε, ὡς τὸ εἰκός, ἀπεκλεισμέναι  
 τὸ λοιπὸν ἡσχαλλον. ὧν δὴ ὁ  
 Χριστὸς αἰσθόμενος προτερῆσι  
 ξὺν τῷ ἀσφαλεῖ, πρὶν τι ἐς αὐτὸν  
 γεωτερίσειαν, ἐν σπουδῇ εἶχε. καὶ

კაპადოკიელები, მათი მოსასაზღ-  
 ვრე გალატელები და ბითინელები,  
 და მოულოდნელად დაეპყროთ ბი-  
 ზანტიელები, ისე რომ მათ არა-  
 ვინ წინააღმდეგობას არ გაუწევ-  
 და. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლა-  
 ზიკის შემოერთება, ხოლო ლაზე-  
 ბისადმი ნდობა მას ძალიან ნაკლე-  
 ბად ჰქონდა. ვინაიდან, როდესაც  
 რომაელები ლაზიკიდან წავიდნენ,  
 ლაზთა უმეტესობა სპარსელების  
 ხელისუფლების ქვეშ საგრძნობ-  
 ლად შეწუხდა: სპარსელები სხვებ-  
 ზე უფრო ერთფეროვანი ცხოვრე-  
 ბის მოყვარულნი განმარტოებულ-  
 ნი არიან და ცხოვრებაში ზო-  
 მაზე მეტად მკაცრნი, და მათი კა-  
 ნონებიც მიუწვდომელია ყველასა-  
 თვის და მათი დადგენილებანი  
 სრულებით მიუღებელი. ლაზების  
 მიმართ მაინც განსაკუთრებით  
 ძლიერ იჩენს თავს განსხვავება  
 მსოფლმხედველობისა და ცხოვრე-  
 ბისა, რადგან ლაზები ქრისტიანენი  
 არიან, ყველაზე უფრო მეტად,  
 სპარსელებში-კი, პირიქით, ღმერ-  
 თის კულტი-ყველაფერია. ამის  
 გარდა ლაზიკეში არსად არ არის  
 მარილი, არც ხორბლეული მოდის,  
 არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე<sup>1</sup>.  
 ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნა-  
 ვებით რომაელთა სანაპიროებიდან,

<sup>1</sup> რომ მარილი და ხორბლეული ლაზებს არ მიაგოვებოდათ, ამაზე პრო-  
 კოპი ზემოთც. ლაპარაკობს (BP I 12; II 15; იხ. ზემოთ გვ.გვ. 329 და 350). აქ  
 კი, ისევე როგორც BP II 15 (ზემოთ გვ. 350), ის დამატებით აღნიშნავს ზოგიერთ  
 იმ საგანს, რომელიც ბიზანტიას გაჰქონდა ლაზეთიდან. ეს არის ტყავეულობა, რო-  
 გორც ნედლი მასალა ბიზანტიის წარმოებისათვის, და მონები, როგორც მუშა-ხე-  
 ლი იმავე წარმოებისათვის.

οὐ βουλεσομένῳ ξυμφορώτατον  
 ἔδοξεν εἶναι Ἰουβιάζην τὸν Λαζῶν  
 βασιλέα ἐκποδῶν ἕτι τάχιστα  
 ποιησομένῳ Λαζῶς ἐνθενδε παν-  
 δημῆι ἀναστήσειν, οὕτω τε Πέρ-  
 σᾶς καὶ ἄλλα ἄλλα ἔθνη ξυνοι-  
 κιῆσιν ἐν ταύτῃ τῇ χώρᾳ (H a u-  
 r y I 282—287).

ბოდენ, წინასწარ უზრუნველ ეყო თაჟისი მდგომარეობა. და მას, ამის განმზრახველს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თავიდან მოეცილებინა ლახთა მეფე გუბაზი და ლახები იქიდან სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც.

და ამაში ისინი ფულს-კი არ აღ-  
 ლევენ მიმწოდებლებს, არამედ ტყა-  
 ვებს, მონებს და თუ სხვა რამ სი-  
 ჭარბით აღმოაჩნდებათ, ცხადია, ეს  
 რომ დაჰკარგეს, გამწარებული იყ-  
 ვენ. რადგან ხოსრომ ეს იცოდა,  
 ის იმის ცდაში იყო, რომ, ვიდრე,  
 ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდ-  
 ბოდენ, წინასწარ უზრუნველ ეყო თაჟისი მდგომარეობა. და მას, ამის განმზრახველს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თავიდან მოეცილებინა ლახთა მეფე გუბაზი და ლახები იქიდან სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც.

პავლე ინგოროძე.

## ქველ-ქართული წარმართული კალენდარი

მე-5—8 საუკუნის ძეგლები.

წერილი პირველი.

### I

#### მე-8 საუკუნის წინა-დრინდელ მწერლობაზე წინასწარი შენიშვნები.

საკითხი ქველ-ქართული წარმართული კალენდარის შესახებ ჩემს წინაშე აღიძრა ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების დათარიღების კითხვასთან დაკავშირებით.

ქართული მწერლობის შესახებ მე-8 საუკუნის უწინარესი ხანი-სა ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით. ქართული ლიტერატურის ისტორია, არსებულს მდგომარეობაში, დაგვისახელებს მხოლოდ თხუთმეტამდე ტექსტს, რომელთა შესახებ შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ ისინი ეკუთვნიან მე-8 საუკუნის ნახევარზე აღრინდელ დროს. ესენია:

- ა) ბიბლიური ტექსტები ახალი და ძველი აღთქმისა;
- ბ) ორი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები: მარტვილობა შუშანიკისი და ევსტათი მცხეთელისა<sup>1</sup>;
- გ) და რამდენიმე თარგმნილი თხზულება, აღმოჩენილი ხანმეტ-ჰაემეტ პალიმფსესტებში, როგორცაა — ტვიკონის ფრაგმენტი, აპოკრიფული აქტები მოციქულთა, და ზოგიერთი პატრისტული ტექსტი, დაცული ხანმეტ „მრავალთავში“.

ამავე დროს ამ ტექსტების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქის ქართული მწერლობა, არათუ გვიან, არამედ უკვე თვით მე-5

<sup>1</sup> მესამე ჰაგიოგრაფიული ტექსტი «წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ», ჩვენის დასკვნით, აგრეთვე ამავე ხანას ეკუთვნის, მაგრამ მას აქ არ ვასახელებთ, რადგან არც მისი თარიღი და არც წარმოშობის საკითხი დღემდე საბოლოოდ არ ყოფილა გარკვეული ჩვენს საისტორიო მწერლობაში.

საუკუნეშიაც წელ-მომავრებულია და ტრადიციების მექონე. მართლაც, უძველესი ძველი ქართული ორიგინალური მწერლობისა, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა, მარტვილობა შუშანიკისი (— მე-5 საუკუნის 70-იან წლებში დაწერილი) — იმდენად მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოებია, და ამასთან ისეთის შეზომილი და რთული წმინდა-მხატვრული ხერხებით დაწერილი, რომ მისი წარმოშობა ხანგრძლივსა და ინტეგრალურს ლიტერატურულს ტრადიციას იგულისხმებს.

რომ ქართული მწერლობა ამ ხანისა ფართე დიპაზონისა უნდა ყოფილიყო, ამას გვანიშნებს თითონ საერთო ფონი ამ ეპოქის ქართული კულტურული ცხოვრებისა, — ის ინტენსიური იდეური ძიებანი და გონებრივი მოძრაობა, რომლის შესახებ დაცულია რეალიები კვრიონ დიდის მიწერ-მოწერაში და საერთოდ „წერილთა წიგნი“.

[აღსანიშნავია ამასთან „პეტრე იბერიელის ცხორება“ — რომელიც ამ ეპოქის კულტურული მილიეს შესახებ საერთო წარმოდგენას გვაძლევს].

პირველ-წყაროებს შემოუნახავს ფრაგმენტარული ცნობები და გადმოცემანი ამ ხანის ზოგიერთ ქართველ მწერალთა შესახებაც. ასე, მწერალი ჯალი, რომელიც, გადმოცემით, მე-5 საუკუნის დასაწყისის მოღვაწე ყოფილა. — მემატიანე გრიგოლ, მოხსენებული «ქართლის მოქცევაში», რომლის შესახებ ზედმიწევნითი თარიღი არა გვაქვს, მაგრამ რომლის მოღვაწეობა მე-4—7 საუკუნეთა ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ. — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობა, რომელიც დაუცავს ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსს — მობიდანის შესახებ. მობიდან, ამ გადმოცემით, მე-5 საუკუნის ნახევრის მოღვაწე ყოფილა, და მას, მემატიანის ცნობით, რამდენიმე თხზულება («წიგნები») დაუწერია, რომელიც მართლ-აღმსარებელი ქრისტიანობის საწინააღმდეგო იდეებს შეიცავდა.

მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ გაცილებით მეტსაც ვფიქრობ. ზოგიერთი რეალიები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ ხანაში საერო ქართული მწერლობაც უნდა არსებულიყო. მაგრამ ეს იმდენად რადიკალური შეხედულებაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის, და თანაც იმდენად რთულს პრობლემას წარმოდგენს [იგი დაკავშირებულია ზოგიერთი ძეგლების ან ძეგლთა ცალკე ნაწილების გადათარიღებასთან, ზოგიერთი ტექსტების ახალ ინტერპრეტაციასთან], რომ ამ კითხვას აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ და იგი სპეციალური მიმოხილვის საგანი იქნე-

ბა. მოვიხსენებთ აქ მხოლოდ ერთ ფაქტს: ქართული ლექსთწყობა ამ დროს უკვე დამუშავებული ყოფილა; ქართული ლექსი, საფიქრებელია საერო მწერლობიდან, ლიტერატურის სხვა დარგებშიაც შემოხიზნულა; ასე, ერთს უძველეს ჰაგიოგრაფიულს ძეგლში, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ჩვენ გვხვდება ციტატი—ლექსი, მეტრულად გამართული. და ეს არა ერთი მაგალითია ქართული ლექსის ხმარებისა ამ უძველეს ხანაში.

აი ასეთ საერთო კონტურებში ისახება ჩვენს წინაშე მე-8 საუკუნეზე უწინარესი ხანის ქართული მწერლობა.

რომ ქართული მწერლობა მე-5—7 საუკუნეებისა მაღალ კულტურულ დონეზე უნდა მდგარიყო, ეს ზოგჯერ მოსჩანს ისეთი რელიეზებიდან, რაც პირველის შეფასებით წვრილმანად გვეჩვენება.

ავილოთ თუნდ ასეთი, პირველის შეხედვით მეორე-ხარისხოვანი წმინდა ტექნიკური მხარე, როგორცაა—განკვეთილობის, სასვენი ნიშნების ხმარების ისტორია.

ვინც გაცნობილია პირველ-წყაროებს,—ძველ-ქართულ ხელნაწერებს მე-8 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნის პირველ ნახევრამდე<sup>1</sup>, — მისთვის რასაკვირველია აშკარაა, რომ მე-8—11 საუკუნის ქართული მწერლობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამდენად მდიდარია და არც ერთს ამ ეპოქის ახლო-აღმოსავლეთის მეზობელ ხალხთა მწერლობას არ დაუვარდება, —აი ამ შემდგომი ხანის, მე-8—11 საუკუნის მწერლობაში ჩვენ ვერ ვპოულობთ განკვეთილობის ნიშანთა ხმარების რაიმე გარკვეულს; მკვიდრად ჩამოყალიბებულს გრამატიკულ სისტემას.

განკვეთილობის ნიშანთა ხმარების გარკვეული წყობა შემოულიათ მხოლოდ მე-11 საუკუნეში, ჯერ ცნობილ ქართველ მწერალს გიორგი მთაწმიდელს (—საგალობელთა წიგნში), შემდეგ კი ეს სისტემა ჩამოუყალიბებია მეორე ცნობილ ქართველ მეცნიერს—ეფრემ მცირეს<sup>2</sup>. ეფრემ მცირე გადმოგვცემს, რომ ძველ-ქართველ მწერლებს—გარდა გიორგი მთაწმიდელისა—„არა რაა ელუაწათ წერტილითა განკუჴთისათჴს საკითხავთაჴსა, ამისთჴსცა ზეპირითა უკმდა განკუჴთაჴ ყოველთა სახელოვანთა მკით-

<sup>1</sup>) მხედველობაში მაქვს მანუსკრიპტები — ცნობილი ჭილ-ეტრატის ჰიმნოგრაფიული კრებულის დროიდან დაწყებული ვიდრე ათონური ხანის ხელნაწერებამდე.

<sup>2</sup>) ჩვენ აქ არ ვებნებით უფრო გვიანი დროის — პეტრიწონულ-გელათური სკოლის რეფორმას, რომელიც უკვე მე-11—12 საუკუნის საზღვარეკუთვნის.

ხველთა“; ამის გამო, —სწერს ეფრემ მცირე, —ქართველი მოღვაწის იოანე ფარაკნელის ბრძანებით, მე შემომამქვს ერთგვარი ჩამოყალიბებული წესი სასვენი ნიშნების ხმარებისა —საკითხავთა „მართლად განკუთხილობის“ მიზნით<sup>1</sup>.

ეფრემ მცირე მართალი იყო, როცა აღნიშნავდა განკვეთილობის ნიშანთა უსისტემობას მე-8—11 საუკუნის მწერლობაში; მაგრამ მას არ სცოდნია, რომ ბევრით უფრო ადრე, მე-5—7 საუკუნეებში, ასეთი სისტემა ქართულს ლიტერატურაში უკვე არსებობდა.

განკვეთილობის ნიშანთა ხმარებას მე-6—7 საუკუნის ქართულს პალიმფსესტებში პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება<sup>2</sup>. ამის შემდეგ ჩვენ შემთხვევა გვქონდა სპეციალურად შეგვესწავლა ერთი პალიმფსესტი, რომელიც მე-6—7 საუკუნის საზღვარს ეკუთვნის (საქართველოს მუზეუმის კოლექციის ხელნაწერი № 999, პალიმფსესტი A — ოთხთავი). [თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ სასვენი ნიშნების აღდგენა ამ პალიმფსესტში მთლიანად და სავსებით მოხერხდა, რადგან ყველა იმ შემთხვევებში, სადა კი სასვენი ნიშნები იხმარება, სიტყვათა შორის აქ დატოვებულია გარკვეული მანძილი]. და აი ამ ხელნაწერის შესწავლამ სრულიად მოულოდნელი სურათი წარმოგვიდგინა. ამ მე-6—7 საუკუნის ხელნაწერში ისეთის სიზუსტით არის ჩამოყალიბებული განკვეთილობის ნიშანთა ხმარება, ისეთის ზედმიწევნილობით შეფარებულია იგი კითხვის ბუნებრივ მდინარებასთან და ენის გრამატიკულ წყობასთან, რომ ამ მხრივ ამ მე-6—7 საუკუნის ძეგლში წარმოდგენილი სისტემა არაფრით დაუფარდება ეფრემ მცირის მიერ შემოღებულ წესს. პირიქით, ზოგ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ ამ მე-6—7 საუკუნის ხელნაწერს უნდა მიეკუთვნოს. ასე, მაგალითად, აქ ჩვენ გვხვდება მიმართვის გამოყოფა სასვენი ნიშნებით, რაც ეფრემის ნაწერებში მიღებული არაა. ამას გარდა, სამ- და ექვსწერტილელი ეფრემის სისტემისა, რაც ასე აჭრელებს ტექსტს, მე-6—7 საუკუნის ხელნაწერში შეცვლილია უფრო მარტივი, მაგრამ არა ნაკლებ ზუსტი წყობით.

ეს რაც შეეხება განკვეთილობის ნიშნების ხმარებას:

მაგრამ, ამას გარდა, მეტის აღნიშვნაც შეიძლება. მე-6—7 საუკუნეთა პალიმფსესტების გაცნობა ადასტურებს, რომ არსებობდა არა მარტო სისტემა საკითხავთა „მართლად განკუთხილობისა“.

<sup>1</sup>) ქრონიკები I, გვ. 218.

<sup>2</sup>) იხ. წერილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები“ (ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, II, გვ. 369).

არამედ უნდა არსებულებოდა საერთოდ სწავლა ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, მის გრამატიკულ ნორმებზე და ორთოგრაფიის შესახებაც, სულ ერთია ჩაწერილი იყო ეს სწავლა, თუ ლიტერატურის ტრადიციებით დაკანონებული.

მე-8 საუკუნის უწინარესი ხანის მწერლობაში ჩვენ ორს ორთოგრაფიულს სკოლას ვხვდებით: 'ხანმეტს' და 'ჰაემეტს' <sup>1</sup>. რომ აქ სკოლაა, და არა უბრალო დიალექტური მრავალსახეობა, ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ სხვაობა ამ ორ მიმართულებას შორის ეხება მხოლოდ ერთს გარკვეულს ფონეტურს ელემენტს (—ზმნისა და ზედშესრულის გარკვეულ გრამატიკულ კატეგორიებში). დანარჩენში კი მართლწერა ორივე მიმართულებებისა—ერთი და იგივეა. და არა მხოლოდ მართლწერა. საერთოდ, გადაჭრით შეიძლება აღინიშნოს, მე-6—7 საუკუნის ქართულს ძეგლებში ჩვენ გვაქვს იმდენად ჩამოქნილი ლიტერატურული სტილი, ლექსიკაში გამოიხატება ეს თუ სინტაქსში, აქ ისეთის სიმწყობრით არის ჩამონაკეთილი ენის, სტილისტური და გრამატიკული სახე, რომ ამისი არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დიდი ლიტერატურული ტრადიციისა და ენის ზანგრძლივი კულტურისა, რომელსაც თავი დაუღწევია დიალექტური მერყეობისათვის და შეუმუშავებია მტკიცე, ზოგადი სალიტერატურო ნორმები <sup>2</sup>.

დასასრულ, კიდევ ერთი დეტალი,—ძველ-ქართული ხელნაწერების შესრულების წმინდა ტექნიკური მხარე,—კალიგრაფია.

ვისაც გადაუშინჯავს ძველ ქართული პალიმფსესტები მე-6 - 7

1) ხანმეტობა და ჰაემეტობა პარალელურად არსებობდა და არა ერთი-მეორის შემდგომ. [ეს სიხანს ხელნაწერი მასალებიდან. ასე, ხანმეტობა დამოწმებულია მე-6 საუკუნის დასაწყისიდან (ბოლნისის წარწერა) ვიდრე მე-8 საუკუნის დასაწყისამდე (ხანმეტი მრავალთავი). ამავე დროს ჰაემეტობის კვალი ჩვენ იმავე მე-6 საუკუნეშიაც გვხვდება (კემბრიჯის პალიმფსესტი), ხოლო მე-7 საუკუნის დასაწყისში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გადაწერილია ჰაემეტად მთელი ტექსტი „მცირე კანონისა“. — ჰაემეტობა შემდეგაც გვხვდება სპორადულად (გრაცის ლექციონარი, „დიდი კანონის“ ტექსტი, ჰადისის ოთხთავის ორიგინალი).—ამრიგად აქ პარალელურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.]

2) ჩვენ აქ არ ვეხებით ხანმეტობა-ჰაემეტობის წარმოშობის საკითხს. ცხადია იგი თავდაპირველად დიალექტურ ნიადაგზე აღმოცენდა. მაგრამ ჩვენ აქ ხახს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მე-5—7 საუკუნეებში სალიტერატურო ენის დიალექტიური მრავალსახეობა უკვე დაძლეულია; ხანმეტობა-ჰაემეტობა ამ ეპოქაში წარმოადგენს მხოლოდ გადანაშთს, რომელიც არ არ ჰყვებს სალიტერატურო ენის მკაფიოდ ჩამონაკეთილს სახეს, სალიტერატურო ენა ამ ხანაში მტკიცედ ჩამოყალიბებულს ორთოგრაფიულსა და გრამატიკულ-სტილისტიურ ზოგად ნორმებზე ემორჩილება.

აუკუნეებისა, იგი დაგვეთანხმება, რომ ეს ძეგლები, წერის ტექნიკის მიხედვით, ქართული დამწერლობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოგვიდგენენ. კალიგრაფიული ხელოვნება აქ მართლაც დიდ სიმალღემდეა აყვანილი. ამ მხრით ეს ძეგლები მე-6 საუკუნიდან ვიდრე მე-8 საუკუნის დასაწყისამდე არათუ დაუვარდება, არამედ მაღლა დგას კიდევ მე-9—10 საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით (ჩვენ წი მე-9—10 საუკუნე ქართული კალიგრაფიის კლასიკურ ხანად მიგვაჩნდა). ისეთი არტიკული კალიგრაფიული ხელოვნებით დაწერილი ხელნაწერი, როგორცაა მაგალითად ხანმეტი მრავალთავი № 3092, ან ხანმეტი ოთხთავები № 89 და 999 და საერთოდ თითქმის ყველა ხელნაწერი მე-6—7 საუკუნეებისა, შემდეგს უფრო გვიან ეპოქაში იშვიათად თუ შეგვხვდება.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ზოგად მოხილვას მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობისა, და მასთან დაკავშირებით მწიგნობრობის ტექნიკის.

ჩვენ აქ შევჩერდით ამ ზოგიერთ დეტალებზე, რომ საერთო ხაზებში მაინც გვეჩვენებია ზოგადი კონტურები მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობისა, რომელიც ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ჩვენ აქ მიუთითეთ მხოლოდ ისეთ ხაზებზე, რაც პირველი გაცნობიდანვე ცხადი ხდება, და რაც გვანიშნებს, რომ მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობა წელ-მომავრებული და ტრადიციების მექონი ლიტერატურა უნდა ყოფილიყო და მისი დიაპაზონი, საფიქრებელია, არ დაუვარდებოდა შემდეგი ხანის მე-8—10 საუკუნის ქართული მწერლობისას.

\*

და აქ იბადება საკითხი, რა ბედი ეწია ძველი პერიოდის ამ მწერლობას?

რასაკვირველია, ის გარემოება, რომ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით მე-8 საუკუნეზე ადრინდელი ხანის ლიტერატურის შესახებ, რომ ჩვენ დღეს საშუალება გვაქვს დავასახელოთ მხოლოდ თხუთმეტიოდნე ტექსტი მე-5—7 საუკუნეებიდან, ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ქართული მწერლობის სამეცნიერო შესწავლა ახალი საქმეა. ჩვენ დღეს ძეგლების რიგიანად დათარიღებასაც კი ვერ ვახერხებთ. ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით, მაგალითად, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ცალკე სტადიების შეხახებ, რომ დათარიღების დროს ენის ჩვენებას დავემყაროთ. ქართული მწერლობის ისტორია, იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი ამჟამად იმყოფება, საშუალებას გვაძლევს მე-5—7 საუკუნის თარიღი მივაკუთვნოთ მხოლოდ ისეთს

თხზულებებს, სადაც ან პირდაპირ თითონ ტექსტშია მოცემული და-  
მათარიღებელი ჩვენება (როგორც მაგალითად შუშანიკისა და ევსტა-  
თი მცხეთელის მარტვილობაში), ან და ისეთს ძეგლებს, რომელთაც  
ჩვენ ვპოულობთ მე-6—7 საუკუნის პალიმფსესტებში.

მაგრამ ამას გარდა ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დაუთარიღებელი  
ტექსტებისა.—ჯერ მარტო ექვსი ქრესტომათია — «მრავალთავი»  
მე-9—10 საუკუნეებისა (სინას მთის ხელნაწერი 864 წლისა, სიძვე-  
ლეთა მუზეუმის ხელნაწერები № 19, 95, 144 და 1103, და ათონუ-  
რი № 80)— შეიცავს ორასზე მეტს დაუთარიღებელს ნაწარმოებს.—  
აგრეთვე მეორე ტიპის კრებულებში ჰაგიოგრაფიული ხასიათისა  
(—„ცხოვრებანი“ და მარტვილთა აქტები)—დაუთარიღებელი თხზუ-  
ლებანი ასეულობით აღირიცხება. რასაკვირველია ყველა ეს ტექს-  
ტები მე-9—10 საუკუნეებს არ ეკუთვნის, არამედ ნაწილობრივ უფრო  
ძველი დროიდან მოდის.

რომ მე-9—10 საუკუნის ხელნაწერებში ბევრი ძველი ტექსტია  
გადმოწერილი, ეს შემდეგი გამოკვლევიდანაც ცხადი გახდება. ჩვენ  
ქვემოთ სპეციალურად ვეხებით ქართულ კალენდარს, რაც გარკვე-  
ულს კრიტერიუმს იძლევა ტექსტების დასათარიღებლად, და მარტო  
ამ ერთი საქრონოლოგიო მაჩვენებლის მიხედვით შესაძლო ხდება  
საგრძობელი შემატება შევიტანოთ ჩვენს ცოდნაში მე-5—7 საუკუ-  
ნის მწერლობის შესახებ. სახელდობრ, ამ მაჩვენებლის თანახმად ირ-  
კვევა, რომ იმ დაუთარიღებელ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც მე-  
9—10 საუკუნის ხელნაწერებში შენახულა, 16-მდე ჰაგიოგრაფიული-  
თხზულება და 2 ეგზეგეტიკური ტექსტი ეკუთვნის უფრო ძველ დროს,  
მე-8 საუკუნის ნახევარზე აღრინდელ ხანას, მე-5—7 საუკუნეებს. ამას  
გარდა შესაძლო ხდება წინათ ცნობილ ნაწარმოებთა დათარიღებაში  
მეტი გარკვეულობა შევიტანოთ.

ამ 18 ახალი ძეგლის შემატება მე-5—7 საუკუნის ქართული-  
მწერლობისათვის შესაძლო ხდება, როგორც აღვნიშნეთ, მარტო ერ-  
თი საქრონოლოგიო მაჩვენებლის აღმოჩენის, ქართული კალენდრის  
განმარტების შემდეგ. მაგრამ, რასაკვირველია, მე-5—7 საუკუნის  
ნაწარმოებთა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს იმ დაუთარიღე-  
ბელ ტექსტებს შორის, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულა. [კალენდა-  
რის მიხედვით შესაძლოა მხოლოდ ზოგიერთი ტექსტების გამორჩევა,  
სახელდობრ ისეთებისა, სადაც კალენდარული ხასიათის ცნობებია  
დაცული; მაგრამ დიდი უმრავლესობა უთარიღო ტექსტებისა სრუ-  
ლებით არ შეიცავს არავითარ საკალენდრო ცნობებს და მათი  
თარიღის გარკვევის საკითხი ჯერ ისევ ღია რჩება]. მომავალში, რო-

ცა ქართული მწერლობის შესწავლა გაღრმავდება, და კეოსოდ ქართული სალიტერატურო ენის ისტორია საფუძვლიანად იქნება გამო-რკვეული, ჩვენ, გარდა კალენდრისა, არა ერთს და ორს სხვა დამატარილებელ კრიტიკრიუმს მივიღებთ და საშუალება მოგვეცემა გამოეყოთ დაუთარილებელი ტექსტებიდან სხვა ძველი თხზულებებიც, რომლებიც მე-5—7 საუკუნეებს ეკუთვნიან. უეჭველია მუშაობის ამ გაღრმავების შემდეგ ჩვენ გვექნება ბევრად მეტი რიცხვი მე-5—7 საუკუნის ძეგლებისა, ვიდრე დღეს საშუალება გვაქვს დავასახელოთ.

ეს ასეა. მე-5—7 საუკუნის მწერლობა სჩანს არც ისე მთლად უკვალოდ გამქრალა. მაგრამ მაინც ჩვენ დიდად შემცდარი ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ ყველა ეს მოღწეული ძეგლები მე-5—7 საუკუნისა, დათარილებული, თუ ჯერ დაუთარილებელი, მთლიანს წარმოდგენას გვაძლევს მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ. მთელი რიგი მოსაზრებათა ჩვენ საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობის მთავარი ნაწილი [— და დაუმატებთ, რომ მასთან ერთად, საფიქრებელია, აღ-რინდელი წარმართული ხანის მწერლობაც]—დაღუბულია და ჩვენამდე არ მოღწეულა.

ჩვენ აქ მოგვიხდება ამ კითხვაზე შევჩერდეთ, რათა სწორი პერსპექტივი გვქონდეს მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობის მოცულობის შესახებ. ამ სწორი პერსპექტივის დადგენა საჭირო ხდება როგორც წინამდებარე გამოკვლევისათვის, ისე წერილების იმ სერიისთვის, რომელსაც ეს ნარკვევი სსნის. ამის გარეშე, ვიდრე ჩვენ ნათლად არ გვაქვს გათვალისწინებული უძველესი ხანის ქართული მწერლობის ბედი, და ის კატასტროფა, რომელიც ამ მწერლობამ განიცადა, შესაძლოა მოულოდნელად გვეჩვენოს ზოგიერთი რადიკალური დასკვნა, რომელსაც გამოკვლევის შედეგად ვღებულობთ.

ჩვენ ვამბობთ, რომ მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობის ძეგლთა მეტი ნაწილი დაღუბული უნდა იყვეს და ეს უმთავრესად შემდეგს სამს მოვლენას უნდა გამოეწვიოს.

\*

1. კულტურულ - კონფესიური ტრადიციების შეცვლა.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთი საქართველო ანუ იბერია, რომელიც მე-4—8 საუკუნეებში თუ ერთად-ერთი არა, ყოველშემთხვევაში მთავარი მატარებელი იყო ქართული მწიგნობრობისა, — მე-7 საუკუნის დასაწყისისათვის იბერია საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონფესიურად, როგორც ქრისტიანობის ერთი ფრთის, ქალკედონიანთა

მოდღვრების მიმდევარი. მაგრამ ქალკედონიანთა აღსარების საბოლოო გამარჯვებას დიდი რელიგიური ბრძოლები უძლოდა წინ. მე-7 საუკუნის დასაწყისამდე იბერიამ რამდენჯერმე შეიცვალა კონფესიური ტრადიციები. ასე, ეხლა უკვე ცნობილია, რომ მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე მე-6 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ე. ი. მთელი საუკუნის განმავლობაში იბერიაში გაბატონებული იყო ანტიქალკედონური აღსარება.—ამავე ხანებში ჩვენში გავრცელება ჰქონიანესტორიანობასაც.— უფრო ადრე, მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ეს დიდის გონება-მახვილობით გამოარკვია ივ. ჯავახიშვილმა, აღმოსავლეთ საქართველოში იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული მანიქეველობა, რომ ერთხანად მას ხელმძღვანელი როლიც ჰკუთვნებია იბერიის კონფესიურ ცხოვრებაში<sup>1</sup>.—ჩვენ აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ მახდებიანობაც და ძველი ქართული წარმართობაც ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. წარმართობას და მახდებიანობას არ დაუთმია საბოლოოდ ასპარეზი ქრისტიანობისათვის თვით მე-7 საუკუნემდე, როგორც ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ძველ-ქართული მატიანეც—„მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ასე, მემატიანე მოგვითხრობს, თუ რა ზომები მიიღო ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ საქართველოში „სჯულის განსაწმედელად“ (მე-7 საუკუნის 20—30-იან წლებში):

„ამან ჰერაკლს ტფილისს, და მცხეთას, და უჟარმას განავლინა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის-მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს, [არამედ] ზაკუფით თანა აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“<sup>2</sup>.

ამგვარი წესი „შჯულის განწმედისა“ სისხლითა და მახვილით უეჭველია არა ერთგზის ჩატარებულა როგორც მე-7 საუკუნეში, ისე ამაზე ადრეც.

გასაგებია ამის შემდეგ, რომ როცა მეშვიდე საუკუნეში ქალკედონიანობამ საბოლოოდ გაიმარჯვა იბერიაში და ერთად-ერთი „მართალი აღსარების“ ადგილი დაიჭირა, ამან საბედისწერო როლი ითამაშა ძველი ხანის ქართული მწერლობის დაღუპვის საქმეში. გა-

<sup>1</sup>) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ., წიგნი I, გვ. 280—290, 316—318.

<sup>2</sup>) იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II, გვ. 726.

მარჯვებულ ეკლესიას, გადატანილი ბრძოლების შემდეგ, რომელიც არა მარტო იდეური ბრძოლა იყო, არამედ ზოგჯერ სისხლითაც იყო შესვრილი, რასაკვირველია ყველაზედ ნაკლებ ახასიათებდა შემწყნარებლობა. ყველა ის ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, რომელთაც კი მოწინააღმდეგე ბანაკის იდეებთან რაიმე კავშირი ჰქონდა, — მონოფიზიტობა იყო ეს, ნესტორიანობა, თუ მანიქეველობა, მით უფრო მაზდეიანობა თუ წარმართობა, — აღვიღად. გასაგებია, რომ ეს ძეგლები თანდათან მოისპო და დაიღუპა.

[არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ძველ-ქართული მატრიანების თვით ოფიციალურ კრებულში, მიუხედავად იმ ცენზურისა, რომელშიაც იგი გატარებულია, მაინც შენახულა ყრუ გამოძახილი იმ დევნისა, რომელსაც არა-ორთოდოქსალური მწერლობა განიცდიდა. ასე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის ცნობით, მანიქეველის მობიდანის წიგნები, რომელიც მართლმორწმუნეობის თვალსაზრისით „საცაურს“ შეიცავდა და ფარულად ვრცელდებოდა, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ყოფილა დევნის საგანი და «ყოველი წერილი» მობიდანისა და მისი მიმდევრებისა დაუწვავს მიქაელ კათოლიკოსს.]

და დაიღუპა არა მარტო ამგვარი. „მწვალებლური“ ან „წარმართული“ და საერთოდ „სარწმუნოებიდან განდგომილთა“ ნაწერები, არამედ საუკუნეთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და დაიკარგა თვით ის ორთოდოქსალური ხასიათის ძეგლებიც კი, რომლებიც „მწვალებლობასთან“ და „წარმართობასთან“ ბრძოლას ისახავდა საგნად. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ქალკედონიანობის საბოლოო გაბატონების შემდეგ ასეთი თხზულებანი აღარ წარმოადგენდნენ აქტუალურ ინტერესს. და ამას გარდა, ასეთი თხზულებების არსებობა ეწინააღმდეგებოდა იმ შეხედულებას, რომელიც შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში, თითქო „ქართველთა ნათესავი“ თავიდანვე „მართალი“ სარწმუნოების (ე. ი. ქალკედონიანობის) მიმდევარი იყო. ასე, მაგალითად, დიდი ქართველი მეცნიერი, და ამავე დროს საეკლესიო იდეოლოგიის კანონმდებელი მეთაური მე-11 საუკუნეში, გიორგი მთაწმიდელი აცხადებს: „არცა ოდეს წვალეებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი (ე. ი. ქართველობა)... რაჟამს ერთგვის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა მარჯულ“. — იმავე შეხედულებას, როგორც საერთოდ მიღებულს, იმეორებს მეორე ქართველი მეცნიერიც — ეფრემ მცირე, რომელიც ამბობს: „არსმცა და ჰგიეს საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა ვიდრე მოაქამომდე უცვალებელად დაცული ნათესავი ჩუენი“. — ესევე შეხედუ-

ლება დაკანონებულია და ერთგვარ დოგმატად არის აღიარებული რუსის-ურბნისის ძველის-წერაში, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის ძირითად აქტს წარმოადგენდა შემდეგი საუკუნეებისათვის. ამავე შეხედულებას, როგორც საყოველთაოდ მიღებულს დებულებას, აღიარებენ ყველა სხვა ქართველი მწერლები მომდევნო საუკუნეებისა<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ასეთს პირობებში შეუძლებელია გადაჩენილიყო არათუ „მწვალებლური“, „მანიქეური“, „წარმართული“ და ყოველგვარ „სარწმუნოებიდან განდგომილთა“ თხზულებანი, არამედ თვით ის ორთოდოქსალური ქალკედონური აღსარების გამომსახველი ნაწერებიც კი, რომელიც ქართულ „მწვალებლობასთან“ პოლემიკის ჩვენებას შეიცავდა, რაკი აქედან ცხადი ხდებოდა მწვალებლობის არსებობა საქართველოში და არღვევდა ამ საყოველთაოდ აღიარებულს დოგმას ქართველთა სარწმუნოების „უცთომელობისა“ და „ბიწ-შეუხებლობის“ შესახებ საქართველოს გაქრისტიანების პირველი დღიდანვე.

აი ეს იყო, უეჭველია, ერთ-ერთი მიზეზი, რამაც საბედისწერო როლი ითამაშა უძველესი ხანის ქართული მწერლობის ძველთა დაღუპვის საქმეში. კულტურულ-კონფესიური ტრადიციების არა-ერთგზისმა შეცვლამ და ქალკედონიანობის საბოლოო გამარჯვებამ მე-7 საუკუნეში, იმსხვერპლა სწორედ ის ნაწილი ძველი მწერლობისა, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმო უნდა ყოფილიყო, და სადაც ასახვა უნდა ჰქონოდა მე-5—7 საუკუნეთა მრავალფეროვანს იდეურ მოძრაობას.

[ამას ემატება კიდევ ერთი გარემოება, რაც შემდეგი გამოკვლვიდან ცხადი გახდება: შექმნილმა პირობებმა ხელი შეუწყო არა მარტო ზემოთ-დასახელებული ჯგუფის ნაწერების მოსობას, არამედ ამასთან ერთად ნიადაგი გამოაცალა საერთოდ არა-სარწმუნოებრივი ხასიათის, საერო მწერლობის არსებობას. საერო მწერლობა, რომლის არსებობა ამ უძველეს ხანაში დასტურდება ზოგიერთ გარკვეულ ჩვენებათა მიხედვით, ცხადია აღმოცენებული უნდა ყოფილიყო და გავრცელებით-სარგებლობდა არა იმ საზოგადოებრივ ფენებში, რომელიც ქრისტიანული პროზელიტიზმით, ვიწრო სარწმუნოებრივი განკერძოებით იყო შემოზღუდული. ამას გარდა, საერო მწერლობის არსებობის შესაძლებლობას ცხადია ხელს უწყობდა საერთოდ ის გარემოებაც, რომ ამ ხანაში არ ჰქონდა განუსაზღვრელი ბატონობა ერთს ეკლესიას, რელიგიური წრეები შინაგან განხეთქილებას და ბრძოლას მოეცვა, და ამრიგად „ერთად-ერთი და უცთომელი“ აღსარების მკაცრი ცენზურა არ ზღუდავდა თავისუფალ აზროვნებას. ხოლო შემდეგ, როცა ქალკედონ-

<sup>1</sup>) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ., წიგნი I, გვ. 280—282.

ნურმა ეკლესიამ მე-7 საუკუნეში საბოლოოდ გაიმარჯვა და „ერთად-ერთი მართალი“ სარწმუნოების ადგილი დაიჭირა, ამ მებრძოლ ეკლესიას რასაკვირველია ყველაზე ნაკლებ ახასიათებდა შემწყნარებლობა, ამან ცხადია საბოლოოდ ჩამოაყალიბა ვიწრო-კონფესიური განკერძოება, საეკლესიო ცენზურა გააბატონა და საერო მწერლობის არსებობას ნიადაგი გამოაცალა.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ მარტო ესეც არ იყო მიზეზი საერო მწერლობის მოსპობისა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე კულტურის იმ საერთო დაქვეითებამ, რამაც თავი იჩინა მე-7—8 საუკუნის საზღვარზე, და რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. მაგრამ მთავარი როლი საერო მწერლობის მოსპობაში, უეჭველია, „ერთი და უცთომელი“ ეკლესიის გაბატონებას ეკუთვნის.

მე-7—8 საუკუნის საზღვარზე შეწყვეტილი საერო მწერლობის ტრადიცია ისევ განახლდა გვიან, მე-11 საუკუნეში, როცა სამისოდ ახალი სათანადო კულტურულ-საზოგადოებრივი პირობები შეიქმნა.]

\*

2. მეორე მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო უძველესი ხანის ქართული მწერლობის განადგურებას, ეს იყო უეჭველია არაბთა მფლობელობის პირველი ხანა.

ტეხილი, რომელიც გამოიწვია საქართველოს კულტურის ისტორიაში არაბთა მფლობელობის დამკვიდრებამ, დღემდე არაა მთელი სისავსით შეფასებული. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც მოხდა არაბთა მფლობელობის ერთგვარი სტაბილიზაცია, ქართულმა კულტურამ უეჭველია ბევრი რამ შეიძინა არაბებისაგან. მაგრამ პირველი ხანა არაბთა მფლობელობისა, მე-7 საუკუნის ნახევრიდან დაწყებული, და განსაკუთრებით მე-8 საუკუნის პირველი ნახევარი, სჩანს ნამდვილი კატასტროფა იყო.

თუ რამდენად დიდი იყო ეს კატასტროფა, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიაში, ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჯერ მარტო იმის მიხედვით, რომ არაბთა მფლობელობის დამკვიდრებას ქრონოლოგიურად უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა დენაციონალიზაციის დასაწყისი კავკასიის ერთი მნიშვნელოვანი ეთნიური ჯგუფისა, — კავკასიის ალვანებისა, რომელსაც წინა-არაბულ ეპოქაში როგორც რიცხვით, ისე კულტურ-პოლიტიკური წონით, თანაბარი ადგილი ეჭირა კავკასიაში ქართველებისა და სომხების გვერდით<sup>1</sup>.

<sup>1</sup>) ამ კითხვაზე უფრო დაწვრილებით ცალკე. — ალვანთა დენაციონალიზაცია, ხანგრძლივსა და რთულს პროცესს წარმოადგენდა. აქ რამდენიმე მომენტი მოქმედებდა, მაგრამ არა უკანასკნელი როლი აქ ითამაშა არაბთა შემოსევამ, რამაც წელში გასტეხა ალვანთა პოლიტიკურ-კულტურული კოლექტივი. ალვანთა დენაციონალიზაცია, დაწყებული არაბთა შემოსევების ხანიდან, დასრულდა მე-11—12 საუკუნეებში, როცა ძველი ალვანის ტერიტორიას თურქთა ახალი ტალღები მოაწყდა.

რაც შეეხება საქართველოს, მან ეს ქართველი თუმცა გადაიტანა, მაგრამ ბუნებრივია ამას უნდა მოჰყოლოდა, ეროვნულ დასუსტებასთან ერთად, კულტურული დაქვეითება.—არაბთა მხედართმთავრების ექსპედიციები, მასლამას თუ მურვან-ყრუს შემოსევები, სჩანს არაფრით განიჩეოდა შემდეგი საუკუნეების, მონგოლთა ნოინების ან თემურლენგის ექსპედიციებიდან. არაბთა შემოსევებს ზოგჯერ შედეგად მოჰყოლია მთელი პროვინციების განადგურება და უკაცურად გახდომა.

ასე, ქართული წყაროების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ სურათი არაბთა ერთი ექსპედიციისა, მურვანის მხედართმთავრობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-8 საუკუნის 30-იან წლებში.—აქ საკმაო იქნება მოვიყვანოთ უკომენტარიოდ თვით პირველწყაროების ჩვენებანი.

ასე, ერთი მატთანე მე-8 საუკუნისა (ექსცერპტის-სახით დაცული ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ქ რ ი ს ქ ა შ ი), გადმოგვცემს:

„მოვლო მურვან-ყრუ ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი და რილანისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა<sup>1</sup>... შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრიისისა [ნი]<sup>2</sup>, და ციხე იგი სამზღუდე შემუსრა, რომელ არს ციხეგოჯი<sup>3</sup>, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა<sup>4</sup>... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“<sup>5</sup>.

ამ განმანადგურებელი ექსპედიციის შემდეგ,—იმავე მემატანის სიტყვით:

„იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა, რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“<sup>6</sup>.

<sup>1</sup>) ქართლი, იმ დროინდელის ტერმინოლოგიის თანახმად, აღნიშნავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად (კლასიკურ იბერიას).

<sup>2</sup>) ეგრიისი—აღნიშნავდა ამ დროს დასავლეთ საქართველოს მეტ ნაწილს (შორაპნის ქვემოთ).

<sup>3</sup>) „ციხე-გოჯი“ (იგივე „ჯიხანქვიჯა“) სამეგრელოში იყო (ეზლანდელი ნა ქალაქევი).

<sup>4</sup>) ზღუდე კლისურისა — აფხაზეთშია (ცნობილი „კელასურის კედელი“).

<sup>5</sup>) აფშილეთი—აფხაზეთის ერთი თემია. — ცხუმი—ეზლანდელი სო-ზუმი. — მატანის ტექსტი იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემაში, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 200—201.

<sup>6</sup>) იხ. იქვე, გვ. 205.

ათეულმა წელმა განვლო ამ ექსპედიციის შემდეგ, მაგრამ ქვეყანა იმავე გაოხრების სურათს წარმოადგენდა; იგივე მემო უიანე მოგვითხრობს:

„წარკდა ამას შინა წელიწადი თორთმეტი, ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა... ყოველი პირი კავკასიისა რანით კერძო უმკვდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ქალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო“<sup>1</sup>.

განადგურებულა როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე დასავლეთის პროვინციებიც. მეორე ძეგლში [არგვეთელ მოწამეთა მარტიროლოგში, რომელიც „ძუელთა უწყებათა“ ემყარება] აღნიშნულია:

„გამოიხუნა [ყრუმან მურვან] ციხენი, და ქალაქნი ალაოკრა, და უვალ და უკაცურ ჰყო ქუეყანა მეგრელთა და აფხაზთა“<sup>2</sup>.

მესამე ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის მოწმობით, მურვან-ყრუს შემოსევის დროს უდაბნოდ ქცეულა თვით ისეთი მიუვალი და მთიანი მხარე, როგორც მაგალითად შავშეთი იყო. მოსახლეობა ომში გაწყვეტილა, ხოლო ვინც გადაჩა, უმსხვერპლნია ომის შედეგებს, შიმშილობას და ეპიდემიებს. და როდესაც მურვან-ყრუს შემოსევიდან 60—70 წლის შემდეგ აქ დამკვიდრდა ქართველი მთავარი აშოტ კურაპალატი, შავშეთი — ასეთი ხანგრძლივი დროის შემდეგაც — ჯერ კიდევ ვერ წამომდგარიყო ფეხზე, იგი თითქმის უკაცრიელი ყოფილა. მემატთანე გადმოგვცემს — რომ „კევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა... მცირედლა დაშეთს კაცნი ადგილ-ადგილ“<sup>3</sup>.

ასეთი იყო მარტო ამ ერთი ექსპედიციის შედეგები. — არაბთა შემოსევები ამ პირველ ხანაში ჩანს წარმოადგენდა არა უბრალო ომს, არამედ ძირითად შერყევას სამოქალაქო ცხოვრების საფუძვლებისა.

ამ შემოსევების დროს სჩანს პირველ რიგში განადგურდა სწორედ ცენტრალური ქართლის პროვინცია, რომელიც წინა-არაბულ ხანაში საქართველოს კულტურულ მეტროპოლიას წარმოადგენდა. ქართლის შუა-გული, ქალაქი ტფილისი არაბებმა თავის საჯდომად გაიხადეს. ამ ხნიდან იწყება ქართული მოსახლეობის შემცირება განსაკუთრებით სამხრეთ-ქართლში (გუგარეთში). მე-5—7 საუკუნეებში

<sup>1</sup>) იხ. იქვე, გვ. 209—210.

<sup>2</sup>) იხ. საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, გვ. 329.

<sup>3</sup>) იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 343.

სამხრეთი ქართლი ერთ-ერთი ძირითადი ქართული პროვინცია იყო, საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ მას პირველ რიგში ვხედავთ, ხოლო არაბთა მფლობელობის შემდეგ ქართული ელემენტი აქ ძალზე შემცირებული სჩანს<sup>1</sup>.

და საერთოდ არაბთა შემოსევების პირველ პერიოდთან დაკავშირებულია დიდი მიგრაციული პროცესები საქართველოში. ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით ქართლისა და კახეთის სამხრეთი პროვინციებიდან, მაგრამ ნაწილობრივ სჩანს შუა-ქართლიდანაც, დაიძრა ძველი ნაფუძარიდან და გადაიხიზნა ნაწილობრივ მესხეთის მთიან რაიონებში, ტაო-კლარჯეთში, ხოლო უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. [ამ ემიგრაციას და მოსახლეობის გადაჯგუფებას იმდენად ფართო ხასიათი ჰქონია, რომ ამას სჩანს გამოუწვევია დასავლეთ საქართველოს თვით ტომობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვანი შეცვლა].

რასაკვირველია ასეთი ძირითადი და ქარტეხილიანი შერყევა სამოქალაქო ცხოვრების საფუძვლებისა უშედეგოდ არ ჩაივლიდა, ამას საერთო დაქვეითება უნდა მოჰყოლოდა, როგორც ეკონომიური, ისე კულტურული. თვით ბიზანტიის იმპერია, რომელსაც, რასაკვირველია, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდა არაბთა ექსპედიციების სიმწვავე უფრო ადვილად გადაეტანა (ბიზანტიაში მხოლოდ პერიფერიები გახდა არაბთა შემოსევების მსხვერპლი), ჩვენ ვხედავთ, რომ ბიზანტიაც ნაწილობრივ ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა და აქაც ადგილი ჰქონდა ანალოგიური მიზეზების გამო კულტურული ცხოვრების მოღუწებას, და კერძოდ მწერლობის დაქვეითებას მე-7—8 საუკუნეთა საზღვარზე. — და თუ ასეთი იყო შედეგი არაბთა შემოსევებისა ბიზანტიის კულტურისათვის, რაღა უნდა ითქვას ისეთის შედარებით პატარა ქვეყნის შესახებ, როგორიც საქართველო იყო, სადაც არაბთა შემოსევის პირველ სარბიელს სწორედ ცენტრი—ქართლი, და საერთოდ ძველი იბერია წარმოადგენდა, და რომლის საზღვრით საზღვრამდე მოლახვა ბოლოს-და-ბოლოს მხოლოდ ერთი ექსპედიციის საქმე იყო.

მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო კულტურის ეს საერთო დაქვეითება, არამედ თითონ ძველი პერიო-

1) იმ მოვლენას, რომ შემდეგ ხანაში, მე-9—11 საუკუნეებში, სამხრეთ ქართლის ტერიტორიაზე არა-ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები ყალიბდება, — უეჭველია ხელი შეუწყო ქართული ელემენტის შემცირებამ ამ მხარეში:

დის მწერლობის ძეგლების ფიზიკური დალუპვა.—თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ შემოსევებს ძველი მწერლობის ძეგლთათვის, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უფრო ახლო დროის ანალოგიებიდან. ასე, მონგოლთა მფლობელობის და განსაკუთრებით თემურ-ლენგის ექსპედიციების შემდეგ (მე-14—15 საუკუნეთა მიჯნაზე) ქართულმა მწერლობამ, შეიძლება ითქვას, დაჰკარგა უდიდესი ნაწილი თავისი ძველი მემკვიდრეობისა. სხვათა შორის, ამ დროს დაილუპა თითქმის ერთიანად მე-11—13 საუკუნის საერო მწერლობის ძეგლები. რასაკვირველია შოთას პოემა არ იყო ასე განმარტოებული და მის გვერდით, უეჭველია, მე-12—13 საუკუნეებში ათეული დამეტი პოემები არსებობდა. ამას გარდა არსებობდა რასაკვირველია, მრავალი ნაწარმოები საერო მწერლობის სხვა დარგებიდანაც. მე-12 საუკუნის გადარჩენილ თხზულებებში ჩვენ, მაგალითად, გვხვდება ჩვენება მთელი რიგი ქართული რომანების შესახებ, ხოლო ეხლა ამ რომანებიდან ჩვენ მარტო გმირების სახელები ვიცით. ყველაფერის დაიკარგა. შოთას პოემა, და თითოეორადაც სხვა ძველი საერო მწერლობისა, შემთხვევით გადარჩენილი განძია.

ასეთივე სურათი ძველი ქართული მწერლობის ძეგლების განადგურების უნდა გვეჩინოდა მე-7—8 საუკუნეთა საზღვარზედაც. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ კატასტროფისა და სამოქალაქო ცხოვრების ძირითადი შერყევის დროს, რაც არაბთა პირველ შემოსევებს მოჰყვა, როცა მთელი პროვინციები უკაცრიელი ხდებოდა, ხოლო გადარჩენილი მოსახლეობა იყრებოდა ძველი ნაფუძრებიდან და გარბოდა სამშობლო თემებიდან, რომ ამ დროს ნაკლები კულტურული საგანძური განადგურდა, ნაკლები რიცხვისალიტერატურო ძეგლებისა დაილუპა, ვიდრე მაგალითად თემურლენგის ექსპედიციების დროს.

და ამას გარდა არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული მწერლობა, რომელიც არაბთა მფლობელობის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-9 საუკუნიდან აღორძინდა, რომ ეს განახლებული მწერლობა უფრო მდიდარი იყვეს, ვიდრე ის ძველი მწერლობა, რომელიც წინა პერიოდში, მე-5—7 საუკუნეებში არსებობდა, და რომელიც წინ უსწრებდა არაბთა შემოსევების ამ ქარტეხილს, და საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ტონუსის დაბლა დაწევას.

\*

3. დასასრულ დაგვრჩენია შევეხოთ აქ მესამე მოვლენასაც, რამაც აგრეთვე ერთგვარი როლი ითამაშა მე-5—7 საუკუნის ქარ-

თული მწერლობის ძველთა შემცირების საქმეში. ეს არის თვით სალიტერატურო ენის ნორმების შეცვლა, ხანმეტობა-ჰაემეტობის გადავარდნა.

როგორც ცნობილია, უძველესი ქართული ხელნაწერები (პალიმფსესტები), ხასიათდება სალიტერატურო ენის ამ თავისებურებით—ხანმეტობა-ჰაემეტობით. შემდეგ ეს ხანმეტობა-ჰაემეტობა ხმარებიდან გამოდის. როდის მოხდა სალიტერატურო ენის ტრადიციების ეს შეცვლა?

ეს კითხვა საკამათოდ არის მიჩნეული, ამის გამო საჭირო ხდება ამ კითხვაზე შევჩერდეთ აქ, თუნდ გაკვრით.

მთელი რიგი მოსაზრებათა ადასტურებს, რომ ხანმეტობა-ჰაემეტობის გადავარდნას ადგილი ჰქონია მე-7—8 საუკუნის საზღვარზე, არა უგვიანეს მე-8 საუკუნის პირველი ნახევრისა. ამ თარიღის დაშორება შეუძლებელია იმ ტეხილისაგან, რომელიც გამოიწვია საქართველოს კურტურულ ცხოვრებაში არაბთა მფლობელობის დამკვიდრების პირველმა ხანამ.

შევჩერდეთ ჯერ ლიტერატურული მასალების, ძველ ქართულ ხელნაწერთა ანალიზზე.

პირველ რიგში აქ ყურადღებას იქცევს ცნობილი ძველ-ქართული ხელნაწერი—ქილ-ეტრატის ჰიმნოგრაფიული კრებული. გადაწერილია ეს ხელნაწერი ან მე-8 საუკუნის დასასრულს, ან, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს მე-9 საუკუნის პირველი ნახევრისა. ზოგიერთი გარემოება გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ეს ხელნაწერი უფრო მე-8 საუკუნის დასასრულს ეკუთვნის, ვიდრე გვიან დროს: მისი თარიღი მიახლოებით 786—796 წლებს შუა ზღდება.

[ამ ხელნაწერის დათარიღების საკითხს უფრო დაწვრილებით გვხვებით „საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში“, I, რომელიც დასაბეჭდად მზადდება და აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ:

დრო, რომლის უადრეს არაა გადაწერილი ეს ხელნაწერი, ცნობილია; გადაწერილია იგი არა უადრეს 786 წლისა, რადგან აქ მოიპოვება ჰაბოს († 786 წ.) საგალობლები. აქ საძიებელია მეორე თარიღი, დრო რომლის უგვიანეს არ გადაწერილა ეს ხელნაწერი.

ერთ-ერთ თარიღად, რომლის უგვიანეს არაა გადაწერილი ეს ხელნაწერი, შეგვეძლო მიგველო 853 წელი; ატენის სიონის წარწერა, რომელიც 853 წელს ეკუთვნის, პალეოგრაფიული ნიშნების თანახმად—უფრო ახალ სახეს ატარებს, ვიდრე ჩვენი ხელნაწერის დამწერლობა.

მაგრამ თარიღის უფრო ზედმიწევნით გასარკვევად აქ მნიშვნელობა აქვს პალეოგრაფიული ტრადიციის ტერიტორიულ ლოკალიზაციას.

ჩვენი ხელნაწერი პალესტინიდან მომდინარეობს (გადაწერილია იგი,

როგორც ეს ირკვევა ერთი დეტალის მიხედვით, პალესტინის საენეში — პალესტინის სადაც ქართველები მკვიდრობდნენ). ხოლო მე-9 საუკუნის ნახევრიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, პალესტინის პალეოგრაფიული სკოლა სჩანს უკვე გადასულა დამწერლობის იმ ახალ ნორმებზე, რომელსაც კლასიკურს ვუწოდებთ, და რომელიც საერთო გავრცელებას ღებულობს მე-9—10 საუკუნეებში. პალესტინური 864 წლის მრავალთავი, მაგალითად, უკვე ამ ახალი პალეოგრაფიული სკოლის ძეგლია. ხოლო ჩვენი ხელნაწერი, ჭილ-ეტრატის კრებული, პალეოგრაფიული თვისებებით, უფრო ძველს ხანას ეკუთვნის, იგი ქართული დამწერლობის უფრო ძველ სახეს წარმოგვიდგენს, და საერთოდ შეიცავს მთელს რიგს ისეთი ნიშნებისას, რაც ახალ პალეოგრაფიულ სკოლაში უკვე აღარ გვხვდება. ასე, მაგალითად:

1. თავშეკრული დამწერლობა ასო ვ-ისი, სისტემატიურად, არ არის არც ერთი გამოცემისი. (ამას გარდა, სპორადიულად, სხვა ასოების თავშეკრული დამწერლობაც მოიპოვება. ასე, იხ. ტომი I, გვ. 40a, სტრიქონი 14 და სხვანი);
2. თავისებური მოხაზულობა ზოგიერთ ასოებისა, მაგ. ასო ნ-არის;
3. შემოკლებათა თავისებურობანი (მაგ. მარცვლები მ ა ნ და გ ა ნ სიტყვის ბოლოშიაც მოკლდება როგორც მ და გ);
4. პუნქტუაციის სიღარიბე და საერთოდ განსხვავებული სახე;
5. ორთოგრაფიის თავისებურობანი: დიფთონგი „ჟი“ ამ ხელნაწერში ყოველთვის იწერება როგორც „ოვი“ და არც ერთხელ არ გვხვდება ამ დიფთონგის აღსანიშნავად მარტივი „ჟ“. — დიფთონგი „ც“ უმრავლეს შემთხვევაში გადმოიკვამა ფონეტიური ტრანსკრიპციით „ჟა“. — და სხვანი.

ეს რაც შეეხება პალეოგრაფიულ მხარეს.

ხოლო თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ პალავრა სახეებით ააოხრეს სარკინოზებმა 796 წელს და ამის შემდეგ იგი კარგა ხნის მანძილზე აღარ განახლებულა, ამის მიხედვით ჩვენი ხელნაწერის თარიღად უნდა მივიღოთ 786—796 წლები.

და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პალეოგრაფიული ტრადიციების შეცვლა პალესტინეში, ყველა ნიშნებით დაკავშირებულია გარკვეულ გარემოებებთან და ეს მიჯნა ძველსა და ახალს შორის სჩანს იყო სარკინოზთა ზემოთ-დასახელებული აოხრება 796 წლისა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა პალავრას და საბაწმიდის ქართული კოლონიების ან მოსპობა, ან ძალზე შესუსტება. ხოლო როდესაც მე-9 საუკუნის დასაწყისიდან ხელახლა გაიზარდა ქართული კოლონიზაცია, და თუმცა პალავრა ამ დროს აღარ აღდგენილა, მაგრამ საბაწმიდაში ისევ გაჩაღდა სალიტერატურო მოღვაწეობა ფართე მასშტაბით, — ახალ კოლონიისტებს საქართველოდან სჩანს უკვე ახალი სალიტერატურო ტრადიციები მოუტანიათ, და კერძოდ ამ დროიდან უნდა განმტკიცებულიყო აქ ის ახალი პალეოგრაფიული სკოლაც, რომელსაც კლასიკურს ვუწოდებთ.

ხოლო თავისთავად ის ფაქტი, რომ 796 წლის განადგურების შემდეგ პალესტინის ქართული სალიტერატურო სკოლის განახლება მე-9 საუკუნის პირველ ათეულ წლებიდანვე დაიწყო, დასტურდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით. 826 წლის ახლო ხანებში საბაწმიდა ამ ძეგლში უკვე დასახელებულია როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი ქართული მწიგნობრობისა. (ასე, მაგ. აქედან ღებულობს გრიგოლ ხანძთელი „წესისა და განგების“ პირს. ამავე დროსვე, 826 წლის ახლო, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოიხსენება პალესტინიდან ჩამო-

სული მოღვაწე ილარიონ, რომლის შესახებ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მას „აქუნდეს კეთილნი ჴიგნნი“).

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყოველსავე აქ აღნიშნულს, რომ ჩვენი კილ-ეტრატის კრებული უფრო არქაულ ხაზებს შეიცავს ვიდრე კლასიკური ხანის დამწერლობა და წარმოადგენს პალესტინის ძველი პალეოგრაფიული სკოლის ძეგლს,—მისი თარიღი ვერ დაშორდება მე-8 საუკუნის დასასრულს, ანუ, უფრო მიახლოებით, 786—796 წლებს.

აღსანიშნავია ამასთან, რომ თითონ მასალაც, კილი (პაპირუსი), რომელიც გამოყენებულია ჩვენი ხელნაწერისათვის, ხელნაწერის სიძველის მაჩვენებელია.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ამით შეგვიძლია დავასრულოთ საუბარი ხელნაწერის თარიღის შესახებ.]

ჩვენი ხელნაწერის შესახებ ირკვევა აგრეთვე მეორე საგულისხმო გარემოებაც,—სახელდობრ ეს ხელნაწერი სჩანს არ წარმოადგენს პირველ-ნაწერს, პირველ-ორიგინალს, არამედ გადმოწერილია უფრო ძველი დედნიდან, რომელიც ამ დროს უკვე დაზიანებული ყოფილა. ხელნაწერის გადამწერი ამას რამდენჯერმე აღნიშნავს შენიშვნებში: „დედანი ურვილნი მქონდეს“, „დედაჲ აღქატი იყო“<sup>1</sup>.—ხოლო რაკი დედანი მე-8 საუკუნის ბოლოს უკვე დაზიანებული, ყოფილა, ცხადია იგი მე-8 საუკუნის ნახევარზე უფრო გვიანი დროისა არ უნდა ყოფილიყო. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ხელნაწერში არათუ არ ვგვხვდება ხანმეტობა-ჰაემეტობა, არამედ ვერავითარ ამის მოგონებასაც ვერ ვპოულობთ აქ, თუნდაც გადანაშთის სახით. სჩანს, რომ ამ ხელნაწერის თვით პირველ-ორიგინალიც არ ყოფილა ხანმეტ-ჰაემეტით ნაწერი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელრ დასაშვებია, რომ პირის გადმოღების დროს სადმე არ შერჩენილიყო ხანმეტ-ჰაემეტის კვალი.—ამრიგად ამ ხელნაწერის მიხედვით, ხანმეტ-ჰაემეტობა, მე-8 საუკუნის ნახევრიდან მაინც, უკვე დრო-გადასული მოვლენა ყოფილა.

ამ დასკვნას ეთანხმება და ამაგრებს ამ პერიოდის მწერლობის სხვა ძეგლთა ანალიზიც.

ასე, იოანე საბანისძის ცნობილი თხზულება, რომელიც მე-8 საუკუნის ბოლოს ეკუთვნის, სჩანს დაწერილი უნდა ყოფილიყო არა ხანმეტურად ან ჰაემეტურად, არამედ ახალი ნორმების მიხედვით. იოანე საბანისძის თხზულების ხუთი ძველი პირია ცნობილი, რომლებიც მე-9—10 საუკუნეებშია გადაწერილი, [მათ შორის „უდაბნოს მრავალთავე“ მე-9 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს] და ეს ტექსტები არ შეიცავს არავითარ გადანაშთს ხანმეტობა-ჰაემეტობისა.

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერის პირველი ტომი, გვ. 119b, 9a.

ყველაზე უფრო მეტ დროს ხანმეტობა-ჰაემეტობა უნდა შერჩენილიყო, ბუნებრივია, სახარებისა და საერთოდ ბიბლიის ტექსტებში, რომელთაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ, და სადაც უფრო მოსალოდნელი იყო ერთგვარი კონსერვატიზმი. მაგრამ აქაც-კი ამ ლიტერატურულ ნორმას მე-8 საუკუნის შემდეგ უკვე საფუძველი გამოცლილი ჰქონია. ასე, მე-9 საუკუნის ჰადიშის სახარების გადაწერის ხელთა ჰქონია ძველი ხანმეტ-ჰაემეტი დედანი, მაგრამ გადაწერის დროს ხანმეტ-ჰაემეტი გამოუშვია; ხოლო საცა კი შემთხვევით გაჰპარვია პირის გადმოღების დროს ეს ხანმეტ-ჰაემეტი, ისიც ამოუშლია<sup>1</sup>.

ხანმეტობა-ჰაემეტობა არ გვხვდება აგრეთვე «კანონი»-ს («იერუსალამის წესისა და განჩინების») კალის ხელნაწერში; ხოლო ეს ხელნაწერი, როგორც ამას ქვევით ვუჩვენებთ, მე-8 საუკუნეს ან მე-9 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (აქ ჩვენ გვაქვს ერთი წყება ასოების თავშეკრული დამწერლობა, რაც საქრონოლოგია მითითებას იძლევა).

გარდა აქ მოხსენებული ცალკე კონკრეტული მაგალითებისა, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ტექსტი მე-8 საუკუნის შემდეგი დროისა, არც ერთი პალეოგრაფიულ-ეპიგრაფიკული დოკუმენტი მე-8—9 საუკუნიდან მოკიდებული (ატენის 853 წლის წარწერა, 864 წლის მრავალთავი და სხ.) არ შეიცავს ხანმეტობა-ჰაემეტობის რაიმე კვალს. ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ეს სალიტერატურო ნორმა უკვე კარგახნით ადრე გადავიწყებული ყოფილა და ყოველ შემთხვევაში მე-8 საუკუნის ნახევრიდან ხმარებიდან გამოსულა.

ასეთია ის დასკვნები, რომელსაც იძლევა ხანმეტობა-ჰაემეტობის გადავარდნის თარიღის შესახებ ქართული მწერლობის ძეგლთა ანალიზი.

მაგრამ თარიღს კიდევ მეტის სიმკვიდრით ადასტურებს საერთო ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება. ასეთი დიდი ტეხილი სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ცხადია არ

<sup>1</sup>) რომ დედანი, საიდანაც გადმოწერილია ჰადიშის სახარება, შეიცავდა როგორც ჰაემეტობას, ისე ხანმეტობასაც, ეს ცხადია ტექსტის ანალიზიდან. ასე, აქ გვხვდება ხანმეტობიდან მომდინარე „ხოლო-მეტობა“. (გადამწერი იმდენად დაშორებული ყოფილა ხანმეტობის ტრადიციას, და იმდენად ვერ ერკვეოდა მასში, რომ მეტი ხანი („ხ“) მას მიუღია, როგორც შემოკლება სიტყვის „ხოლო“, და ხანმეტის ნაცვლად იგი ძალიან ხშირად „ხოლო“-ს სწერს. რომ ეს ასეა, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს ჰადიშის ტექსტის შედარება ხანმეტ პალიმფსესტთან № 999). ამას გარდა, ჰადიშის ტექსტში არის შემთხვევა ამოშლილი ხანების (ასე, იხ. ფოტოტიპური გამოცემა *MAK*, ტ. XIV, ტაბულა 197, სვეტი მე-6, სტრიქონი 7).

მომხდარა ex abrupto, არამედ დაკავშირებული იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის გადატეხასთან თვით საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. და მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს თარიღების მეტად საგულისხმო შეხვედრა, რაც რასაკვირველია შემთხვევითი არაა. სამწერლო ძეგლების ანალიზმა, როგორც ვნახეთ, გვიჩვენა, რომ თარიღი სალიტერატურო ნორმების შეცვლისა—ეს არის მე-8 საუკუნის ნახევრის წინარე დრო, მე-7—8 საუკუნის მიჯნა, ხოლო ეს თარიღი ზედმიწევნით უდგება არაბთა მფლობელობის დამკვიდრების პირველ ხანას. სალიტერატურო ენის ნორმების ეს შეცვლა, სჩანს, არაბთა მფლობელობის პირველ ხანასთან არის დაკავშირებული. ამრიგად, ეს მოულოდნელი ტეხილი სრულიად ბუნებრივ ახსნას პოულობს. სალიტერატურო ენის ნორმების შეცვლა ცხადია გამოწვეული იყო იმ დიდი მიგრაციული პროცესებით და კულტურის ცენტრების გადაადგილებით, რაც არაბთა მფლობელობის დამკვიდრებას მოჰყვა შედეგად. კატასტროფამ, რომელიც თავს დაატყდა ქართულ სახელმწიფოებრივობას და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას არაბთა პირველი ექსპედიციების დროს, გარკვეული ზღვარი გაავლო ძველსა და ახალს შორის. ხოლო როდესაც არაბთა შემოსევების პირველმა ქართველიმა გადაიარა, ახალი პოლიტიკური ვითარების ერთგვარი სტაბილიზაცია მოხდა და საქართველოში კულტურული და სალიტერატურო ცხოვრების თანდათან განახლება დაიწყო, სალიტერატურო ენასაც ახალი ელფერი მიუღია. მართალია სალიტერატურო ენის ტრადიცია არ შეწყვეტილა, მაგრამ ისეთი ელემენტები, რაც დროგადასული იყო, ან და განსაკუთრებით უცხო მოვლენას წარმოადგენდა იმ ქართველ ტომებისათვის, რომელნიც განახლებულ ლიტერატურაში ახლო მონაწილეობას იღებდნენ, (ხოლო ასეთი-კი, პირველ რიგში, ხანმეტობა-ჰაემეტობა ყოფილა),— ხმარებიდან გამოსულა.—ამრიგად, მე-8 საუკუნის ნახევრიდან მოკიდებული, განახლებული ქართული მწერლობა თითონ ენის მხრითაც ერთგვარად გადახალისებულად გვევლინება; გარდა ხანმეტობა-ჰაემეტობის გადავარდნისა, აქ ნაწილობრივ, სჩანს, განახლებულა ლექსიკონიც.

ეს გარემოება,—სალიტერატურო ენის ნორმების შეცვლა,—იმ მხრივ არის აქ ჩვენთვის საგულისხმო, რომ ამან არა უკანასკნელი როლი ითამაშა ძველი, მე-5—7 საუკუნის წერილობითი ძეგლების გაქრობის საქმეში. სალიტერატურო ენის ნორმების განახლების შემდეგ ძველი ხანმეტ-ჰაემეტი ხელნაწერები ხმარებიდან გამოვიდა. მართალია ხანმეტობა-ჰაემეტობა მხოლოდ გარკვეულ გრამატიკულ

ფორმებში იხმარება, მაგრამ იგი არსებითად სცვლის ენის საერთო ელფერს. ახალ სამწერლო ენას შეჩვეული მკითხველი ველარ ეგუებოდა ძველებური ხანმეტობა-ჰაემეტობით დატვირთულს ნაწერს. ამიტომ ეს ძველი ხელნაწერები შემდეგს საუკუნეებში მოხმარებულ იქმნა როგორც უბრალო საწერი მასალა. მკითხველს რასაკვირველია კარგად მოეხსენება, რომ ეტრათი, რომელზედაც დაწერილი იყო ძველი ხელნაწერები, იმ დროს ძვირად ფასობდა, ამიტომ ძველი გამოუსადეგარი ხელნაწერის ტექსტს გადარეცხავდენ ხოლმე და ეტრათის გადარეცხილს ფურცელს ახალი ტექსტის დასაწერად იყენებდენ. ამ-რიგად დაილუპა დიდი უმრავლესობა ხანმეტ-ჰაემეტი ხელნაწერებისა. როდესაც ათვალიერებთ ჩვენს ხელნაწერთა კოლექციებში ძველ-ქართულს პალიმფსესტებს, პირდაპირ გული გიღონდებათ, როცა ხედავთ, თუ რა ძვირფასად შესრულებული ხანმეტ-ჰაემეტი ხელნაწერი გადაურეცხიათ და საწერ მასალად გაუხმარიათ. მართო გარეგანი მხარე ამ პალიმფსესტებისა, გვიჩვენებს, თუ რამდენად მალლა მდგარა ქართული მწიგნობრობა და მისი ტექნიკა მე-6—7 საუკუნეებში, რა დროსაც ეს პალიმფსესტები ეკუთვნიან.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთად-ერთი ხანმეტი ხელნაწერი არის აღმოჩენილი, რომელიც გადარჩენია პალიმფსესტად ქცევას. ეს არის პალესტინური ხანმეტი ლექციონარი, რომელიც დღეს გრაცშია დაცული. ამ ხელნაწერის გადარჩენას ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ მე-10 საუკუნის ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმე სინელის განათლებულ მზრუნველობას და იმ წმინდა ისტორიულ-არქეოლოგიურ ინტერესს, რომელსაც ეს საინტერესო მწერალი ძველი ქართული ძეგლების მიმართ იჩენდა. თუ არ ჩავთვლით ამ ერთად-ერთს ხელნაწერს, ყველა დანარჩენი ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტები დღეს პალიმფსესტებში არის დამარხული.

რასაკვირველია ეს არ ნიშნავს, რომ ხანმეტ-ჰაემეტი ხელნაწერების თანდათან მოსპობასთან ერთად მთლიანად დაილუპა მე-5—7 საუკუნის ქართული მწერლობა. უეჭველია ბევრი ძველი ტექსტი გადმოწერილ იქმნა ახალ ხელნაწერებში, მხოლოდ ენის განახლებით, ხანმეტ-ჰაემეტის გამოშვებით. ამ გზით გადარჩა, მაგალითად, შუშანიკის მარტილობისა და ევსტათი მცხეთელის მარტილობის ტექსტები. ამის მსგავსად უეჭველია ბევრი სხვა ძველი ქართული ნაწარმოებიც გადმოღებულა მე-9—10 საუკუნის ხელნაწერებში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბევრი ძველი ტექსტი ხანმეტ-ჰაემეტ ხელნაწერებთან ერთად გაჰქრა. ასე, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ ძველ სამონასტრო მწერალს გადმოეწერა მაგალითად „მწვალე-

ბლური“ არა-ქალკედონური, ან მით უფრო წარმართულა ხასიათის თხზულება, ან თუნდაც საერო პოეზიის, საერო მწერლობის ძეგლები. თვით სასულიერო ტექსტების გადმოღების დროსაც უეჭველია ერთგვარი შერჩევა ხდებოდა. იწერდნენ მხოლოდ იმას, რაც ახალსალიტერატურო და იდეურ მიმდინარეობათა თვალსაზრისით მისაღები იყო, ან და კონფესიურ-რელიგიური საჭიროება მოითხოვდა, ხოლო ის, რაც ამ განახლებული მწერლობის სოფლხედვასა და იდეებს არ ეთანხმებოდა, ან ეწინააღმდეგებოდა, ან და საერთოდ ახალი დროისათვის აქტუალურ ინტერესს არ წარმოადგენდა, ამ-გვარი თხზულებანი ასეთს პირობებში, ბუნებრივია, განწირული იყვნენ დაღუპვისათვის.

ამ-რიგად ამ მოვლენამ, სალიტერატურო ენის ნორმების შეცვლამ, და ამის გამო ხანმეტ-ჰაემეტი ხელნაწერების თანდათანმა მოსპობამ, ბევრი ძველ-ქართული ძეგლი იმსხვერპლა; ის რაც გადაურჩა ჯერ მე-5—7 საუკუნეთა რელიგიურ ბრძოლებსა და შეურიგებლობას, შემდეგ გადაურჩა მე-7—8 საუკუნეთა არაბთა შემოსევების კატასტროფას, ეს ძალზე შემცირებული მემკვიდრეობა მე-5—7 საუკუნის მწერლობისა კიდევ უფრო შემცირდა და შემოკლდა შემდეგ საუკუნეებში, როცა ხანმეტ-ჰაემეტობა გადავარდა და ძველი ხელნაწერები თანდათან მოისპო.

ასეთი იყო უძველესი ხანის ქართული მწერლობის ბედი.

## II

### კალენდარული ტერმინოლოგია, როგორც საქრონოლოგიო მაჩვენებელი.

ძველ-ქართული კალენდარის საკითხამდე, როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩვენ პირველად მიგვიყვანა უძველესი პერიოდის ქართული მწერლობის ქრონოლოგიის პრობლემებმა, და კერძოდ კითხვამ, თუ რა გზით არის შესაძლებელი თარიღის გამორკვევა იმ ძველი ტექსტებისა, რომლებიც ნაგვიანვე ხელნაწერებში შენახულა.

ზემოთ-წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოირკვა, რომ შემდეგი დროის, მე-9—10 საუკუნის ხელნაწერებში მოსალოდნელია აღმოჩნდეს უძველესი დროის ტექსტებიც.

გავითვალისწინოთ ამის შემდეგ უფრო დაახლოვებით, რას წარმოგვიდგენს ეს მე-9—10 საუკუნის ხელნაწერები.

თუ მე-5—7 საუკუნის [და ამაზე ადრინდელი დროის] ქართული მწერლობა კატასტროფიულად დაიღუპა, შემდეგი ხანის, მე-9—10

საუკუნის შწერლობა შედარებით უფრო კარგად არის მოღწეული. ჩვენ ვამბობთ შედარებით, რადგან არაბთა მფლობელობის შემდეგაც ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, როგორც ცნობილია, არა ერთი და ორი განადგურება განიცადა, რამაც უეჭველია ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი იმსხვერპლა. მაგრამ მაინც ამ შემდეგ საუკუნეთა შწერლობის ნაშთები მეტი შენახულა, რადგან საქართველოში ამის შემდეგ ადგილი აღარ ჰქონია არც იმ შინაგანს გამწვავებულს რელიგიურ ბრძოლებს, რასაც მე-5—7 საუკუნეებში ვხედავთ, და არც სალიტერატურო ენის ნორმების იმგვარს შეცვლას, რასაც ხანშეტობა-ჰაემეტობის გადავარდნა წარმოადგენდა. [მართალია ძველ-ქართული სალიტერატურო ენის გვერდით ახალი სალიტერატურო ენაც ჩამოყალიბდა, ენა საერო მწერლობისა, მაგრამ ამით ძველი სალიტერატურო ენა არ მოსპობილა და პარალელურად განაგრძობდა არსებობას ახალთან ერთად].

სულ მე-9—10 საუკუნეებიდან ჩვენ დრომდე ასზე მეტი ხელნაწერი შენახულა. ბევრი ამათგანი წმინდა რიტუალური ხასიათის ტექსტებს შეიცავს, მაგრამ ბევრი მათგანი უფრო ფართე მნიშვნელობის სალიტერატურო ძეგლების კრებულებს წარმოადგენენ. როგორც ეს უკვე აღნიშნული გვექონდა, მარტო ექვს ქრესტომათიაში, რომელთაც „მრავალთავი“ ეწოდება, და რომლებიც მე-9—10 საუკუნეებშია გადაწერილი, ამ ექვს ქრესტომათიაში მოთავსებულია 213 ნაწარმოები (უმთავრესად პატრისტული ტექსტები). ან კიდევ მეორე ხასიათის კრებულებში, რომელთაც «მოწამეთაჲ», «მამათაჲ» და «დედათაჲ» ეწოდებოდათ, ასეულობით მოიპოვება ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა-და-სხვა ხასიათის «საკითხავებს», ხშირად ერთგვარ სასულიერო რომანებსაც, ან და ეკუთვნიან ბიოგრაფიულ ლიტერატურას.—ესევე ითქმის, თუმცა ნაკლების მოცულობით, ლიტერატურის დანარჩენ დარგთა შესახებაც.

რომელია ამ ტექსტებს შორის ახალი, და რომელია ძველი? მეტი ნაწილი ამ ტექსტებისა, უნდა ვიფიქროთ, იმავე მე-9—10 საუკუნეს ეკუთვნის, როცა გადაწერილია თვით ეს ხელნაწერები; მაგრამ ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, საფიქრებელია უფრო ძველი დროიდან, მე-5—7 საუკუნეებიდან მოდის.

ძველი და ახალი ტექსტების გასარჩევად ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება რაიმე მკვიდრი საქრონოლოგიო კრიტერიუმი. ამომწურავი მნიშვნელობის ჩვენებას ამ მხრივ რასაკვირველია სალიტერატურო ენის დაწვლილებული ისტორია მოგვცემდა, თუკი სალიტერატურო ქართულის განვითარების ყველა ნიუანსები გამოვკვეთული ყოფი-

ლიყო. მაგრამ უძველესი სალიტერატურო ქართული ენა ჯერ სათანადოდ შესწავლილი არაა. და ამას გარდა, ამ შესწავლისათვის არც არსებობს საკმაო მასალები. მარტო სახარებისა და ბიბლიური ტექსტების ენის შესწავლით ჩვენ სადაო საკითხებს ვერ გადავწყვეტთ. საქმე ის არის, რომ სახარებაში მოცემულია მხოლოდ ერთი გარკვეული წრისა და ერთი გარკვეული პერიოდის ენა, რომელიც მე-4—5 საუკუნის საზღვრებს ხვდება. და ამ სახარება-ბიბლიის ენის თვისებით, საფიქრებელია, არ განისაზღვრებოდა თვით მარტო მე-ხუთე საუკუნის ლიტერატურის ყველა დარგები. ხოლო რა განშტოებანი ჰქონდა საერთოდ ქართულ სალიტერატურო ენას მე-4—5 საუკუნიდან ვიდრე მე-11 საუკუნემდე, ეს ჯერ კიდევ საძიებელია. [როგორი იყო ნიუანსები ცალკე დარგების ენისა? ატარებდა თუ არა განსხვავებულს სტილს საერო მწერლობის ენა? ყოველ შემთხვევაში საგულისხმო მოვლენაა: ზოგ საისტორიო თხზულებას, მაგალითად, გარკვევით ემჩნევა საერო მხატვრული მწერლობის სპეციფიური სტილის გავლენა და ენაც აქ, ბევრ ხაზებში, თავისებურ ელფერს შეიცავს; ხოლო ეს, თუკი არა გვაქვს სწორი პერსპექტივი, ძველთა დათარიღების საქმეს აძნელებს, და შესაძლოა, ენის სხვაობის გამო, ერთი ეპოქის ძველები სხვადასხვა ხანას მივაკუთვნოთ.—ამას გარდა ისიც საძიებელია, რა ფაზები განვლო თვით სასულიერო მწერლობის ენამ. რა თავისებურობას შეიცავდა ამა თუ იმ ეპოქის სკოლები? ან როგორი იყო ამ სკოლათა ქრონოლოგიური რკალი და თანამიმდევრობა, ან და მათი ტერიტორიული გავრცელებისა და გავლენის ფარგლები? ჰქონდა თუ არა ადგილი ამა თუ იმ პროვინციულს ან ტომობრივს ნიადაგზე აღმოცენებულს სახე-სხვაობას? დამთელი წყება ასეთი კითხვებისა].

ამ შემთხვევაში ჩვენ ბევრს არას გვშველის მე-5—6 საუკუნეების რამდენიმე დათარიღებული თხზულება, როგორიცაა შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის მარტვილობანი, რადგან ისინი მე-10—11 საუკუნის პირების სახით მოღწეულა, და რამდენად არის აქ უცვლელად გადმოღებული ძველი ენის ნორმები, ამაზე გადაჭრილი პასუხი არა გვაქვს. რაც შეეხება მე-6—7 საუკუნის პალიმფსესტებს, მეტი წილი ამ პალიმფსესტებისა ჯერ გარჩეული არაა, ხოლო რაც ამოკითხულია, ისინი უმთავრესად ერთ წყებას, იმავე ბიბლიური ტექსტების გაყინულს ენას წარმოგვიდგენენ და კვლევისათვის დიდს გასაქანს არ იძლევიან.

ეს გარემოება, რომ მე-9—10 საუკუნეზე უწინარესი ძველი ტექსტების დასათარიღებლად ჩვენ არ მოგვეპოვება მტკიცე საქრონოლოგიო კრიტერიუმები, ბევრი შემცდარი დასკვნების წყაროდ

უამხდარა ჩვენი მწერლობის ძველი პერიოდის შესახებ. თვითელი მკვლევარი ამ შემთხვევაში აპრიორი, ხშირად ნაჩქარევად შემუშავებული სქემებით სწვევტს საკითხს, როგორც თარიღის, ისე ამა თუ იმ ძეგლის წარმოშობის შესახებ, იმ დროს როდესაც სხვა ქრონოლოგიურ რკალში მოქცეული, თითონ ძეგლის წარმოშობა და მასში მოცემული რეალიები სულ სხვანაირ გაშუქებას მიიღებდა.

და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქრონოლოგიის უქონლობის გამო, ჩვენი მწერლობის ძველი პერიოდის შესახებ ერთგვარი მოჯადოებული წრეა შექმნილი. ერთის მხრით ქართული სამწერლო ენის განვითარების სურათის აღდგენა ძნელდება, რაკი ძველი ქართული ტექსტების დიდი უმრავლესობა დაუთარილებელია; ხოლო მეორე მხრით თვით ამ თარიღების დადგენაც საძნელო ხდება, რადგან ენის ისტორია არაა გამორკვეული. ასეთს პირობებში რასაკვირველია საჭიროა სხვა საქრონოლოგიო კრიტერიუმების გამონახვა, რომ მივიღოთ საკმაო რიცხვი დათარიღებული ძეგლებისა, რომელთა საფუძველზე შესაძლო გახდება როგორც ენის ისტორიის სურათის უფრო მთლიანი აღდგენა, ისე ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა.

და ჩვენ აქ ერთი ასეთი საქრონოლოგიო კრიტერიუმის შესახებ გვექნება საუბარი. ეს არის ძველ-ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია, რომელიც, როგორც ვნახავთ, გარკვეულს დამათარილებელს მაჩვენებელს წარმოადგენს.

ვინც გაცნობილია ძველ-ქართულ ძეგლებს, მან რასაკვირველია იცის, რომ მე-9—10 და შემდეგს საუკუნეებში ქართულს მწერლობაში მიღებული იყო თვეების აღსანიშნავად **რომაული** საკალენდრო ტერმინოლოგია [—ე. ი. შემდეგი სახელები: იანვარი, თებერვალი, მარტი და სხვანი, ვიდრე დეკემბრამდე]. ეს რომაული თვეთა-სახელები, როგორც ცნობილია, გარკვეული დროიდან ფართე გავრცელებით სარგებლობდა ქრისტიანულ მსოფლიოში; კერძოდ იგი მიღებულ იქმნა ბერძნულში, ახლო აღმოსავლეთშიაც, და ქართველებსაც შეუთვისებიათ იგი ქრისტიანულ ხანაში როგორც ინტერნაციონალური, ზოგად-ქრისტიანული საკალენდარო ტერმინები.

მაგრამ, გარდა ამ რომაულ თვეთა-სახელებისა, ძველ-ქართულს ძეგლებში ჩვენ გვხვდება მეორენაირი თვეთა-აღრიცხვა, ადგილობრივი ქართული, რომელიც სჩანს წარმართობის დროიდან მოდის. ეს ძველ-ქართული თვეთა-სახელებია: ახალწლისაჲ, სთუელისაჲ, ტირისკნისისაჲ, ტირისდენისაჲ, სურწყუნისაჲ, აპნისისაჲ, იგრიკისაჲ, ვარდობისაჲ, ქუელთობისაჲ და სხვანი.

ეს ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვა ქართულს მწერლ.აბაში იხმარებოდა უფრო ადრე, ვიდრე რომაულ აღრიცხვას შემოიღებდნენ. შემდეგ კი, როცა რომაული ტერმინოლოგია შემოიღეს, ეს ძველ-ქართული აღრიცხვა ხმარებიდან გამოვიდა. რომ ეს ასეა, რომ პირველი აღრიცხვა უფრო ადრინდელია ვიდრე მეორე, ამას სრულის უეჭველობით ადასტურებს თვით ქართული ძეგლების პირდაპირი ჩვენება; ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვა ჩვენ გვხვდება სწორედ უძველესი პერიოდის წერილობითს ძეგლებში, როგორცაა ბიბლიური ტექსტები, შუშანიკის მარტილობა და სხვანი. მხოლოდ შემდეგ, ბევრად უფრო გვიან, ჩვენ ვხვდებით რომაული თვეთა-აღრიცხვის ხმარების მაგალითებს ძველ-ქართულის ნაცვლად.

ადელი გასაგებია, თუ რით იყო გამოწვეული ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვის უარყოფა. იგი წარმართულ ხანასთან, წარმართულ მოგონებებთან იყო დაკავშირებული; თვით თვეთა-აღრიცხვის ტერმინებიც კი, როგორც ეს ქვემოთ დაწვრილებით იქნება გამორკვეული, მიუთითებდა ამა თუ იმ წარმართულ კულტს, ან და წარმართულ დღესასწაულებს, რომლებიც ამა თუ იმ თვეში იმართებოდა. გასაგებია ამის გამო, რომ ქრისტიანობის მოშურნე მამებს ეს ძველ-ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია თანდათან ხმარებიდან გამოუგდიათ, და მის ნაცვლად რომაული თვეთა-აღრიცხვა შემოულიათ, როგორც ზოგად-ქრისტიანული. მართალია, თვით რომაული თვეთა-აღრიცხვაც იმავე წარმართულ წრეს ეკუთვნის, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან, ჯერ ერთი, იგი საერთო გავრცელებით სარგებლობდა ძირითად ქრისტიანულ ქვეყნებში, და ამას გარდა სიტყვები — იანვარი, თებერვალი, მარტი და სხვანი, ქართველი მორწმუნისათვის არაერთარ წარმართულ რემინისცენციას არ შეიცავდა, იმ დროს როდესაც ძველ-ქართული თვეთა-სახელები ამა თუ იმ საწარმართო კულტის ცოცხალ მოგონებას წარმოადგენდა.

ამ-რიგად, ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვა ერთის მხრით, და რომაული სათვეო ტერმინოლოგია მეორეს მხრით, ორი სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებელია. აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული საქრონოლოგიო კრიტერიუმი.

და თუ ჩვენ შევსძლებდით გამოგვერკვია, თუ სახელდობრ რა დრომდე იხმარებოდა ქართულს მწერლობაში ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვა, და შემდეგ რომელი დროიდან შესცვალა იგი რომაულმა თვეთა-აღრიცხვამ, ამით ჩვენ მკვიდრს საქრონოლოგიო ბაზას მივიღებდით მრავალი სალიტერატურო ძეგლის დასათარიღებლად, რომ-

მელთა ერთ ჯგუფში ძველ-ქართული სათვეო ტერმინოლოგია გვხვდება, ხოლო მეორე ჯგუფში რომაული თვეთა-აღრიცხვა არის მიღებული.

ჩვენც ამ კითხვის განხილვაზე გადავდივართ.

### III

#### რომაული თვეთა-აღრიცხვის შემოღების თარიღი.

თუ რა დროიდან დამკვიდრდა ქართულს მწერლობაში რომაული თვეთა-აღრიცხვა, ამისი გამორკვევა არსებული წყაროების მიხედვით შესაძლებელია.

წინასწარ, ვიდრე პირდაპირ ამ კითხვაზე გადავიდოდეთ, ჩვენ აქ მოგვიხდება ჯერ შევჩერდეთ რამდენსამე ძველ-ქართულ ხელნაწერზე.

1. ჩვენამდე მოღწეულა ქართული მწერლობის უძველესი პერიოდიდან ერთი ლიტურგიკული ძეგლი, რომელიც ცნობილი იყო «კანონი»-ს სახელწოდებით. «კანონი» ორს სხვადასხვა ხასიათის ტექსტს შეიცავს: 1) ტიპიკონს და 2) ლექციონარს.

პირველ ნაწილში—ტიპიკონში—მოთავსებულია საეკლესიო კალენდარი. [სახელდობრ აქ კალენდარულის თანამიმდევრობით ყოველი დღისათვის ნაჩვენებია ამა თუ იმ წმინდანის ხსენება ან დღესასწაული, ამავე დროს აღნიშნულია თუ სად უნდა გადაიხადონ ეს დღესასწაულები და რა საკითხავები უნდა წაიკითხონ ეკლესიაში თვითეული დღისათვის].—მეორე ნაწილი ანუ ლექციონარი წარმოადგენს პირველი ნაწილის ანუ ტიპიკონის ერთნაირს დამატებას: სახელდობრ აქ მოყვანილია თვით იმ საკითხავების ტექსტი, რომელიც ტიპიკონის თანახმად დანიშნულია თვითეული დღისათვის.

ლიტურგიკული პრაქტიკა, რომელიც წარმოდგენილია «კანონ»-ში, შეთვისებული ყოფილა საქართველოს ეკლესიის მიერ იერუსალიმიდან. ეს სჩანს თითონ კანონის ტექსტის მიხედვით. ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესია უძველეს პერიოდში თავის ლიტურგიკულ პრაქტიკაში იერუსალიმს მისდევდა, მოულოდნელს არას შეიცავს. უახლოესი კავშირი საქართველოს ეკლესიისა იერუსალიმთან ამ ხანაში დადასტურებულია იმ რეალიებით, რომელსაც შეიცავს მე-5 საუკუნის მოღვაწის პეტრე იბერიელის ცხოვრება, მე-6 საუკუნის დასაწყისის საბა პალესტინელის ანდერძი, ხოლო მე-6—7 საუკუნის საზღვარზე «წერილთა წიგნი» და კვირონ დიდის მიწერ-მოწერა.

ქართულს ენაზე ამ იერუსალიმური ტიპის «კანონი» - ს ორბრედაქცია არსებობს: ერთი—მოკლე, პირვანდელი სახისა, და მეორე—ვრცელი, უფრო გვიანდელი დროის. ამ ორი ტექსტის ერთმანერთისაგან გასარჩევად—პირველს, მოკლე რედაქციას «მცირე კანონი»-ს დავარქმევთ, ხოლო მეორეს, უფრო ვრცელსა და გვიანდელს «დიდი კანონი» -ს<sup>1</sup>.

ჩვენ აქ ჯერ საუბარი გვექნება მხოლოდ ამ პირველი უძველესი რედაქციის ანუ «მცირე კანონი» - ს შესახებ.

ეს «მცირე კანონი» აღმოჩნდა პალიმფსესტ ხელნაწერში<sup>2</sup>. ხელნაწერის ენას უძველესი პერიოდის სალიტერატურო ქართულისთვისება „ჰაე-მეტობა“ ახასიათებს. ერთი ნაწილი ამ «მცირე კანონი»-სა უკვე გამოცემულია პროფ. აკაკი შანიძის მიერ. (იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 354—388).

ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია «მცირე კანონი»-ს ტექსტი, უთარილოა. გამომცემელი პროფ. აკაკი შანიძე თარიღის საკითხს დაწვრილებით არ ეხება, და მხოლოდ, ზოგადად აღნიშნავს შემდეგს:

„ენის ფორმების მიხედვით, ჩვენი ძეგლი, უეჭველია ძველი ძეგლია, დაახლოვებით მერვე საუკუნისა, რასაც არ ეწინააღმდეგება აგრეთვე პალეოგრაფიული ნიშნებიც“.

პატივცემული მეცნიერი თუმცა დათარიღებაში სიფრთხილეს იჩენს და ამ ზოგადი განცხადებით კმაყოფილდება, მაგრამ რამდენადაც იგი მაინც უჩვენებს „დაახლოვებით მერვე საუკუნეს“, მას აქ მძიმე შეცდომა მოსდის. ძეგლი არ არის მერვე საუკუნის, არამედ ბევრად აღრინდელი; იგი ეკუთვნის მე-7 საუკუნეს, და ისიც არა მე-7 საუკუნის მეორე ნახევარს, არამედ მე-7 საუკუნის დასაწყისს.

რომ ეს ძეგლი მე-7 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, ეს ცხადი გახდება ქვემოთ, როცა მოვახდენთ მის შედარებას სხვა ძველ-ქართულ ხელნაწერებთან. ჯერ კი საკმაო იქნება ზოგადად აღვნიშნოთ terminus post quem non, დრო რომლის უგვიანეს არ არის დაწერილი ეს ხელნაწერი. ამ ხელნაწერის ენას, როგორც მოვიხსენიეთ, «ჰაე-მეტობა» ახასიათებს. ხოლო, როგორც უკვე განმარტებული გვქონდა, ეს

1) ტერმინი «დიდი კანონი» ძველ-ქართულ მწერლობაშიაც გვხვდება და მიემართება სწორედ ამ მეორე ვრცელს რედაქციას.

2) ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია „მცირე კანონი“ ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი ამ ხელნაწერისა დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში № 1329. ხოლო მეორე ნაწილი ამავე ხელნაწერისა სვანეთში, სოფელ იფარში იქნა აღმოჩენილი 1923 წელს პროფ. აკაკი შანიძის მიერ. ამ-ჟამად ეს მეორე ნაწილიც ტფილისშია ჩამოტანილი და საქართველოს მუზეუმში უნდა შემოვიდეს.

ძველი ნორმები, როგორც ხანმეტობა, ისე ჰაემეტობა, მერვე საუკუნეში გადავარდნილა; მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც არაბთა მფლობელობის «ჟამთა სიავე» შენელდა და ქართული ლიტერატურის ახალი აღორძინება დაიწყო, ხანმეტობა-ჰაემეტობა უკვე გადასულ მოვლენას წარმოადგენდა და განახლებულ ლიტერატურაში იგი უკვე ხმარებაში აღარა სჩანს. მაშასადამე, ერთად-ერთი, რაც ჩვენ ჯერ-ჯერობით გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ ჩვენი ხელნაწერის თარიღის შესახებ, არის ის, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყვეს არა უგვიანეს მე-8 საუკუნის ნახევრისა.

ხოლო როდის არის იგი სახელდობრ გადაწერილი, ვიდრე ამის გამორკვევას შევუდგებოდეთ, ჩვენ აქ მოგვიხდება მოკლედ შევეხოთ ორ სხვა ხელნაწერსაც (ლექციონარებს), რომელთაგან ერთი გრაცის (ავსტრიაში) უნივერსიტეტის წიგნთსაცავში არის დაცული, ხოლო მეორე საქართველოს მუზეუმის კოლექციაში ინახება (№ 999).

ა. გრაცის ხანმეტ-ჰაემეტის ლექციონარის ფოტოგრაფიული პირები მიღებულია ტფილისში და იგი უკვე დაბეჭდა ძველი პერიოდის ტექსტების იმავე დაულალავმა მკვლევარმა აკაკი შანიძემ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, გვ. 313—342).

ამ ხელნაწერის თარიღს აკ. შანიძე უფრო დაწვრილებით ეხება და სრულის საბუთიანობით აღნიშნავს, რომ ხელნაწერი არ შეიძლება მიეკუთვნოს მე-7 საუკუნეზე უფრო გვიან დროს. საფუძველი ასეთი დათარიღებისა არის ენის თვისებები. საქმე ის არის, რომ ხანმეტობა-ჰაემეტობა ამ ხელნაწერში მკვიდრს, სისტემატიურს სახეს ატარებს. იგი სჩანს გადაწერილია ისეთ დროს, როცა ეს ძველი ნორმები ჯერ კიდევ სავსებით მტკიცე მოვლენას წარმოადგენდა ლიტერატურაში. თუკი ძველი ენის ტრადიცია ამ დროს შერყეული ყოფილიყო, ძნელი წარმოსადგენია რომ ახალი ენის ფორმებს სადმე თავი არ ეჩინა. ხოლო ამ ხელნაწერში ეს ძველი ნორმები თავით ბოლომდე გატარებულია არა მარტო ბიბლიურ ტექსტებში, არამედ, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იგი ჩვენ გვხვდება თვით შენიშვნა-ხელწერილებშიაც. ენის ხასიათის მიხედვით ეს ძველი დიდად განირჩევა მეორე ხანმეტი ხელნაწერიდან—„მრავალთავიდან“ (რომელიც მე-7—8 საუკუნის საზღვარს ეკუთვნის და ყოველ შემთხვევაში მე-8 საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანი არაა). ხანმეტ „მრავალთავში“ ძველი ნორმები უკვე დარღვეულია, აქ ადგილი აქვს შერყეობას, ძველის გვერდით ხშირად გვხვდება ახალი ფორმები, მოკლედ—ძველი ენის ტრადიციები ამ დროს უკვე საფუძვლიანად შერყეული ყოფილა. ხოლო გრაცის ლექციონარში სულ სხვა სურათი გვაქვს, ძველი

უნის-თვალსაზრისით იგი თავიდან ბოლომდე მკვიდრი ნორმების მაჩვენებელი ძეგლია. ამის მიხედვით გრაცის ლექციონარი გარკვევით მე-7 საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს და ამაზე გვიან ხანას ვერ მიუწერება<sup>1</sup>.

ბ. მეორე ხანმეტი ლექციონარი, რომელიც საქართველოს მუზეუმშია დაცული (№ 999), პალიმფსესტს წარმოადგენს. შენახულა პალიმფსესტად ქცეული ცხრა ფურცელი.

პალიმფსესტის ამ 9 ფურცლიდან 4 ფურცელი ამოიკითხა და გამოსცა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა<sup>2</sup>. ეს გამოცემული ნაწილი შეიცავს ფრაგმენტებს დაბადების წიგნებიდან („შექმნათაჲ“ და „იგავნი სოლომონისნი“). ამის მიხედვით პროფ. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნია, რომ ეს პალიმფსესტი დაბადების ხელნაწერის ნაწყვეტს წარმოადგენს.

მაგრამ ეს დასკვნა არ არის მთლიანად სწორი.

საქმე ის არის, რომ ამ პალიმფსესტის დანარჩენ ფურცლებზე, რომლებიც დღემდე გარჩეული არ იყო, და რომლის სრულად ამოკითხვა შესაძლებელი გახდა, აღმოჩნდა სახარების ტექსტი (მთ. 24, 29—43).

ამის მიხედვით ეს პალიმფსესტი წარმოადგენდა არა დაბადების ხელნაწერს, არამედ ლიტურგიული დანიშნულების კრებულს—**ლექციონარს**, რომელშიაც შეტანილი ყოფილა საკითხავები როგორც დაბადებიდან, ისე სახარებიდან<sup>3</sup>.

ეს მეორე ლექციონარი აგრეთვე გარკვევით მე-7 საუკუნის ძეგლია. ხანმეტობა აქ მტკიცედ, სისტემატიურად არის დაცული თავით ბოლომდე და ამის გამო იგი შეუძლებელია მე-7 საუკუნეზე გვიან დროს მიეკუთვნოს. [ამ დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რომლის დასკვნით ეს ხელნაწერი, თუ უფრო ადრინდელი არა, ყოველ შემთხვევაში მე-7 საუკუნეზე გვიანი არ არის].

\*

დაუზღბრუნდეთ ამის შემდეგ პირველი ძეგლის—«მცირე კანონი»-ს თარიღის საკითხს. ამ ძეგლის, «მცირე კანონის» ზედმიწევნითი დათარიღება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს

<sup>1</sup>) იხ. ტფ. უნ. მოამბე 1929 წ., IX, გვ. 322—323.

<sup>2</sup>) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელნაწერები (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—1923 წ., გვ. 371—372).

<sup>3</sup>) რომ ეს ხელნაწერი სწორედ ლექციონარს წარმოადგენს, ამას რასაკვირველია განმარტება არ ესაჭიროება. ძველ-ქართული ხელნაწერების ტრადიციის თანახმად მხოლოდ ლექციონარში არის შესაძლებელი დაბადებისა და სახარების ტექსტებს ამგვარი გაერთიანება.

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, რადგან იგი ჩვენ საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, თუ რა დროიდან შემოვიდა ქართულს მწერლობაში რომაული თვეთა-აღრიცხვა. ამის გამო გვაპატივოს მკითხველმა, თუ ჩვენ, თარიღის გამორკვევის მიზნით, ცოტა ხნით დავდლით მის ყურადღებას ზოგიერთი წვრილმანებით ლიტურგიული პრაქტიკის ისტორიიდან.

ლიტურგიული წესების განვითარებას, როგორც ცნობილია, გრძელი ისტორია ჰქონდა. თავდაპირველად ქრისტიანული ღვდელმსახურება ბევრად მარტივი იყო, შემდეგში იგი თანდათან გართულდა.

ჩვენ აქ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ერთ მხარეს ლიტურგიული პრაქტიკისას,—სახელდობრ შემდეგს: სხვადასხვა ეპოქაში რა წიგნები იყო მიღებული ეკლესიაში, როგორც „საკითხავი“.

უძველეს ხანაში ეკლესიაში „საკითხავად“ დანიშნული იყო ორი წიგნი: 1) სახარება და 2) მოწამეთა ანუ მარტილთა აქტები.— ამას გარდა იხმარებოდა აგრეთვე დავითნი, მაგრამ არა როგორც „საკითხავი“, არამედ როგორც საგალობელთა წიგნი.

რაც შეეხება ახალი და ძველი აღთქმის დანარჩენს წიგნებს, მათი კითხვა ეკლესიაში უძველეს ხანაში არ იყო საყოველთაოდ დაკანონებული და მხოლოდ შემდეგ გახდა აუცილებელი ნაწილი საეკლესიო რიტუალისა.

მივმართოთ ამის შემდეგ ჩვენს „მცირე კანონს“, რომელიც ლიტურგიული პრაქტიკის წესსა და განგებას წარმოადგენს. ჩვენ ვხედავთ რომ „მცირე კანონი“ უაღრესად ძველს სახეს ატარებს: „მცირე კანონი“—მა ლიტურგიულ პრაქტიკაში იცის მხოლოდ ზემოთდასახელებული ორი წყება საკითხავებისა: 1) სახარებიდან და 2) მოწამეთა აქტებიდან („მოწამეთაჲ“, „მარტვრთაჲ“). არც ერთი ტექსტი არც ძველი აღთქმიდან, და არც ახალი აღთქმიდან, გარდა სახარებისა, „მცირე კანონში“ მოხსენებული არაა. ამ რიგად აქ ჩვენ გვაქვს ლიტურგიული პრაქტიკის უძველესი სახე.

რა დროს იყო მიღებული საქართველოში ასეთი ლიტურგიული წესი და რა დროიდან გადავარდა იგი?

თავდაპირველად აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ „მცირე კანონი“ მეტად საგულისხმო პარალელს შეიცავს შუშანიკის მარტილოზის ტექსტთან, რომელიც მე-5 საუკუნის დასასრულს ეკუთვნის. შუშანიკის მარტილოზაში, როგორც ცნობილია, დასახელებულია სამი წყება წიგნთა: 1) „ევანგელჲ“ (ე. ი. სახარება); 2) „წიგნი მოწამეთანი“; და 3) „დავითნი“. აქედან „დავითნი“, როგორც მოვიხსენეთ.

წარმოადგენდა არა საკითხავს, არამედ საგალობელთა წიგნს, რომლითაც, — როგორც ამას აღნიშნავს თვით ავტორი შუშანიკის მარტვიბისა, — «სათნოსა მას გალობასა შესწირვიდეს». ხოლო დანარჩენი ორი წყება წიგნთა «ევანგელს» და «წიგნი მოწამეთანი» — ის წიგნებია, საიდანაც იღებდნენ საეკლესიო საკითხავებს. საკმაოა დაუუკვირდეთ შუშანიკის მარტვილობის ტექსტს, რათა ცხადი გახდეს, რომ ამ საში წიგნის დასახელება წარმოადგენს იმდროინდელი ლიტურგიული პრაქტიკის ანარეკლს. [ეს წიგნები გარკვეულის მიზნითა აქვს მოხსენებული ავტორს: შუშანიკის მარტვილობის ავტორი ამით გვაგულისხმებს, რომ შუშანიკს, როდესაც იგი დატყვევებული იყო, და ამრიგად მოკლებული იყო საშუალებას ეკლესიაში ეარნა, თან ჰქონდაო ყველა ის წიგნები, რომელთაც კი ამ დროს ეკლესიაში ხმარობდნენ: „დავითნი“ — როგორც საგალობელი და „ევანგელს“ და „მოწამეთანი“ — როგორც საკითხავი].

ამრიგად ის ლიტურგიული პრაქტიკა, რომლის გამომხატველია „მცირე კანონი“, იგივეა, რასაც ადგილი ჰქონია შუშანიკის მარტვილობის დაწერის დროს, ე. ი. მე-5 საუკუნის დასასრულში (70-იან წლებში).

ამის შემდეგ გამოსაძიებელი დაგვრჩა, თუ რა დრომდე გასტანა ამ პრაქტიკამ? ამის გამორკვევაც შესაძლებელია.

ამის გამოსარკვევად დაეუბრუნდეთ იმ ორ ლექციონარს, რომლებიც ზევით გვქონდა აღწერილი: 1) გრაცის ლექციონარს მე-7 საუკუნისა; და 2) ლექციონარს საქართველოს მუზეუმისა № 999, რომელიც აგრეთვე მე-7 საუკუნეს ეკუთვნის.

ლექციონარი, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა (და როგორც ეს საერთოდ ცნობილია) წარმოადგენს ლიტურგიული დანიშნულების კრებულს და ემყარება ამა თუ იმ «კანონს» ანუ ტიპიკონს. ლექციონარი წარმოადგენს «კანონის» უბრალო დამატებას, და შეიცავს კრებულს იმ საკითხავებისა, რომელიც, «კანონის» თანახმად, უნდა წაკითხულ იქმნეს ეკლესიაში სხვადასხვა დღეს.

შევადაროთ ეხლა ეს ორი ლექციონარი — ჩვენს «მცირე კანონს».

შედარებიდან ვხედავთ, რომ «მცირე კანონი» უფრო ძველ დროს ეკუთვნის, ვიდრე ლექციონარები; ლექციონარები წარმოგვიდგენენ საეკლესიო რიტუალის განვითარების შემდეგს საფეხურს:

1) გრაცის ლექციონარი. — ეს ლექციონარი არაა მთლიანად მოღწეული; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ამ ხელთნაწერის გადაწერის დროს საეკლესიო „საკითხავების“ წრე არ განისაზღვ-

რებოდა მარტო სახარებით და მარტვილთა აქტებით (როგორც ეს მიღებულია „მცირე კანონში“ და შუშანიკის ცხორებაში). აქ ლიტურგიულ პრაქტიკაში სახმარებლად მოყვანილია, გარდა სახარებისა, ახალი აღთქმის სხვა წიგნებიც (ასე, პავლეს ეპისტოლენი).

2) ლექციონარი საქართველოს მუზეუმისა № 999 — კიდევ უფრო საგულისხმო სურათს წარმოადგენს; ამ ლექციონარში შეტანილია საკითხავები არა მარტო ახალი აღთქმიდან, არამედ ძველი აღთქმიდანაც (შენახულა ტექსტები დაბადების წიგნებიდან: „შექმნათაჲ“ და „იგავნი სოლომონისნი“).

ამრიგად, როგორც ვხედავთ მე-7 საუკუნის ამ ორი ლექციონარიდან, ის მარტივი ლიტურგიული წესი, რომელიც მიღებული ყოფილა „მცირე კანონის“ არსებობის დროს, უკვე გადავარდნილი ყოფილა მე-7 საუკუნისათვის. საქართველოში, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში მე-7 საუკუნიდან მოკიდებული, გავრცელება მიუღია უფრო რთულ ლიტურგიულ პრაქტიკას.

ამის მიხედვით „მცირე კანონი“ არ შეიძლება ეკუთვნოდეს უფრო გვიან დროს, ვიდრე მე-6 საუკუნის ბოლო, ან მე-7 საუკუნის დასაწყისი. —

„მცირე კანონის“ თარიღი შესაძლოა სხვა მხრივაც შევამოწმოთ და კიდევ უფრო ზედმიწევნით განვსაზღვროთ.

საქმე შემდეგია. „მცირე კანონი“, როგორც აღნიშნული გვქონდა, შეიცავს კალენდარს. (შენახულა კალენდარის ნაწილი 5 ნოემბრიდან — ვიდრე 1 დეკემბრამდე): კალენდარში დღეების თანამიმდევრობით მოხსენებულნი არიან „მარტვრნი“ და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ეს საეკლესიო მოღვაწეები, რომლებიც ჩამოთვლილია კალენდარში, ეკუთვნიან სხვა და სხვა დროს პირველი საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-6 საუკუნემდე (ჩვენი წელთაღრიცხვისა).

მოგვყავს აქ სრული ქრონოლოგიური სია ყველა იმ პირთა, რომლებიც კალენდარში მოიხსენება:

I საუკუნე: ანდრეა, იაკობ, ფილიპე მოციქულნი. — ლეონტი მარტვი 1. —

II საუკუნე: ეესტათი მარტვი 2. — ბიქტორ მოწამს 3. —

III საუკუნე: გრიგოლ ნეოკესარიელი († 266—270) 4. — თალელე მარტვი († 284) 5.

1) Сергий, Полный месяцеслов Востока, 1901 წელი, მეორე წიგნი, ნაწილი მეორე (В), 226. — 2) იქვე, ნაწილი პირველი (А), გვ. 289. 3) იქვე, А, 351, В, 465. — 4) იქვე, А, 356, В, 472. — 5) იქვე, А, 150, В, 189, (შეად. К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, გვ. 280—281).

- IV საუკუნე: ალფე, ზაქე, რომანე—მარტვრნი († 303) <sup>6</sup>.  
 გეორგი [მოწამს] († 303) <sup>7</sup>.  
 მენა მოწამს († 304) <sup>8</sup>.  
 აგაპი [მარტვრი] († 304—306) <sup>9</sup>.  
 ანტონინე და სხუანი მარტვრნი († 308) <sup>10</sup>.  
 პეტრე მთავარეპისკოპოსი [ალექსანდრიელი, მარტვრი] († 311) <sup>11</sup>.  
 აფთონ († 341—345) <sup>12</sup>.  
 პავლე ეპისკოპოსი მარტვრი († 350) <sup>13</sup>.
- V საუკუნე: პავლაჲ მაშნებელი (346—404) <sup>14</sup>.  
 იოანე პატრეარქი იერუსალმისაჲ 387—417) <sup>15</sup>.  
 პასარიონ ხუცესი († 429) <sup>16</sup>.  
 ეფთვი ხუცესი († 473) <sup>17</sup>.  
 ბასაჲ მაშნებელი (მე-5 საუკუნე) <sup>18</sup>.
- VI საუკუნე: პეტრე პატრიარქი იერუსალმისაჲ (524—544) <sup>19</sup>.  
 იესტინიანე მეფე (526—565).

აქ საგულისხმოა ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ამ სიაში არ გვხვდება არც ერთი მოღვაწე მე-6 საუკუნეზე უფრო გვიანი დროისა, რაც ეთანხმება „მცირე კანონი“ ს თარიღის იმ საერთო ფარგლებს, რაც უკვე ზევით გამოიკვავა;

ამავე დროს ამ სიაში ჩვენ გვაქვს გარკვეული terminus ante quem non, დრო რომლის უადრეს არაა დაწერილი „მცირე კანონი“. მცირე კანონის კალენდარში, როგორც ვხედავთ, უკვე შეტანილია მოსახსენებელი იუსტინიანე მეფისა († 565 წელს) და ამის მიხედვით მცირე კანონი ეკუთვნის დროს არა უადრეს მე-6 საუკუნის მეორე ნახევრისა.

ამრიგად, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ როგორც კალენდარის ამ ჩვენებას, ისე ყველა იმ სათარიღო ცნობებს, რაც ზევით გვქონდა გარკვეული (შედარება შუშანიკის მარტვილობასთან ერთის მხრით და მე-7 საუკუნის ლექციონარებთან მეორეს მხრით) ჩვენ ვღებულობთ შემდეგს გარკვეულს დასკვნებს:

1. იმგვარი ხასიათის ლიტურგიული წესი, რომელიც გადმოცემულია „მცირე კანონში“, საქართველოში არსებულა უძველეს ხანაში, მე-5—6 საუკუნეებში, და დამოწმებულია შუშანიკის მარტვილობის მოთხრობით.

2. თითონ ის ქართული ტექსტი «მცირე კანონისა», რომე-

<sup>6</sup>) С е р г и й, А, 357, В, 473—475.—<sup>7</sup>) იქვე, А, 119.—<sup>8</sup>) იქვე, А, 351, В, 464.—<sup>9</sup>) იქვე, А, 251.—<sup>10</sup>) იქვე, А, 353, В, 468—469. — <sup>11</sup>) იქვე, А, 365, В, 484—5.—<sup>12</sup>) იქვე, А, 341.—<sup>13</sup>) იქვე, А, 345, В, 456.—<sup>14</sup>) К. Кекелидзе, Иерус. Кан., 259—260. <sup>15</sup>) იქვე, 190.—<sup>16</sup>) იქვე, 253.—<sup>17</sup>) С е р г и й, А, 19, В, 31.—<sup>18</sup>) К. Кекелидзе, Иерус. Кан., 249.—<sup>19</sup>) იქვე, 190.

**ლიც ჩვენამდე მოღწეულა, ეკუთვნის მე-6—7 საუკუნის მიჯნას.** [1) არა უადრეს მე-6 საუკუნის მეორე ნახევრისა, რადგან ტექსტში მოხსენებულია იუსტინიანე; 2) არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა, რადგან მე-7 საუკუნიდან მოკიდებული საქართველოში უკვე გავრცელება ჰქონია უფრო რთულს ლიტურგიულ პრაქტიკას, რასაც ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული მე-7 საუკუნის ლექციონარები.]

ამრიგად „მცირე კანონი“-ს ტექსტის თარიღი გამოორკვეულია.

აქ მხოლოდ შეიძლება აღიძრას შემდეგი კითხვა. შესაძლოა დაგვეშვა ასეთი დებულება, რომ თუმცა „მცირე კანონის“ ქართული ტექსტი ეკუთვნის მე-6 საუკუნის მეორე ნახევარს, ან მე-7 საუკუნის დასაწყისს, მაგრამ თვითონ ხელნაწერი კი იქნებ ოდნავ უფრო გვიან არის გადაწერილი, მაგალითად მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, ან მე-8 საუკუნის დასაწყისში. (ამაზე უფრო გვიანი დრო კი თავისთავად გამორიცხულია, რადგან ხელნაწერი „ჰაიმეტს“ წარმოადგენს).

თუნდაც ასე ყოფილიყო, ამას ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა არ ექნებოდა. ჩვენთვის აქ საინტერესო იყო გამოგვეჩვენა, თუ რა დროს ეკუთვნის ეს ქართული ტექსტი, ხოლო გადაწერის თარიღს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმ საკითხებისათვის, რომელთაც ქვემოთ ვეხებით.

მაგრამ მაინც, საჭიროა აქ ისიც აღინიშნოს, რომ არა მარტო ტექსტი, არამედ თვითონ ხელნაწერიც ეკუთვნის დროს არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა. მართლაც, სხვანაირ დასკვნას არავითარი საფუძველი არ ექნებოდა. ჩვენი ხელნაწერი თავისი შინაარსით წარმოადგენს არა ლიტერატურულ ნაწარმოებს, არამედ პრაქტიკული ყოველდღიური ლიტურგიული საჭიროებისათვის გადაწერილს წიგნს, წესსა და განგებას.

ასეთი ხასიათის წიგნს, გარეშე ლიტურგიული პრაქტიკისა, რაიმე სხვა დანიშნულება არა აქვს; ამ პრაქტიკის გადავარდნის და სხვა უფრო რთული საეკლესიო წესების დაკანონების შემდეგ ასეთი ტექსტის გადაწერას უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა. ცხადია, ეს წიგნი გადაწერილია იმ დროს, როცა ის ლიტურგიული წესი, რომელსაც იგი მისდევს, ჯერ კიდევ ძალაში იყო და ხმარებიდან გამოსული არ ყოფილა, ე. ი. არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა.

დასასრულს, საჭიროა აქ ისიც ითქვას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილს თარიღს ამ ძეგლისას—ეთანხმება ხელნაწერის პალეოგრაფიული ნიშნებიც.

აქ ჩვენ გვაქვს თავშეკრული დამწერლობა გარკვეული წყების ასოებისა: ყ-არისა, ჯ-ესი, შ-ინისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია თავშეკრული ბ-ანი.

არა სჩანს მხოლოდ სრულის გარკვეულობით [პალიმფსესტის გადარეცხის გამო], იყო თუ არა ეს ასოები თავშეკრული ყველა შეთხვევებში, თუ აქ თავშეკრულ დამწერლობასთან ერთად თავგახსნილი დამწერლობაც იხმარებოდა. — ხელნაწერის დაკვირვებული განხილვა უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ აქ სჩანს ადგილი უნდა ჰქონოდეს მეორე შემთხვევას, ე. ი. თავშეკრული და თავგახსნილი დამწერლობის პარალელურს ხმარებას.

მთლიანი თავშეკრული დამწერლობა მე-6 საუკუნის ძველებში გვხვდება (ბოლნისი, მე-6 საუკუნის დასაწყისისა). ხოლო მეორე შემთხვევა, თავშეკრული და თავგახსნილი დამწერლობის პარალელური ხმარება დამოწმებულია მე-6—7 საუკუნის საზღვარზე (მცხეთის ჯვარის წარწერებში)<sup>1</sup>.

„მცირე კანონის“ დათარიღების საკითხზე იმის გამო შევჩერდით ასე დაწვრილებით, რომ ამ ძველში ჩვენ გვაქვს უძველესი ჩვენება რომაული თვეთა-ალრიცხვის შესახებ. **„მცირე კანონი“ რომაულს თვეთა-ალრიცხვას მისდევს.**

1) ჩვენ აქ მოგვიხდება ორიოდ სიტყვით შევხვით მცხეთის ჯვარის წარწერების თარიღსაც, რადგან ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქართული პალეოგრაფიის ისტორიაში, და კავშირი აქვს აქ აღძრულ საკითხთანაც. ამ საგანზე შემდეგი უნდა აღვნიშნოთ:

ა) მცხეთის ჯვარის წარწერებიანი ბარელიეფები (—სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსისა, დემეტრე ჯპატოსისა, ადარნერსე ჯპატოსისა, და ქობულ-სტეფანოსისა) სჩანს ერთ დროს ეკუთვნის. ამას სრულის უცილობლობით ადასტურებს მათი ტექნიკური განრიგება ამ სახუროთმოძღვრო ძველზე: ეს ბარელიეფები მოთავსებულია გარე-კედლების ერთ ზოლზე, ქვების ნაშენობის ერთი სარტყელის ხაზით.

ბ) ბარელიეფები სჩანს ეკუთვნის იმ დროს, როცა ქართლის (=იბერიის) ხელისუფლების მეთაურად ანუ მთავრად სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი იყო. ამას გვიჩვენებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ სტეფანოსს ცენტრალური ადგილი აქვს მიკუთვნებული ბარელიეფების ამ წყებაში; ხოლო განსაკუთრებით ცხადი ხდება ეს იმის მიხედვით, რომ წარწერებში მარტო სტეფანოსს მიემართება ზედწოდება „ქართლისა“ (—„ქართლისა პატრიკიოსი“). დანარჩენების ტიტულატურაში ზედწოდება „ქართლისა“ არ გვხვდება.

ამრიგად ამ ბარელიეფების სახით ჩვენ გვაქვს არა სხვა-და-სხვა დროის ქანდაკებანი, არამედ ერთდროულად შესრულებული ერთი ჯგუფი, სტეფანოს I-ის ხანისა. სტეფანოსს, თავის ქანდაკებასთან ერთად, თავის ოჯახის წევრთა ქანდაკებებიც მოუთავსებია. (დემეტრე ჯპატოსი, ქართული წყაროების ცნობით, ძმად სტეფანოსისა, ხოლო ადარნერსე არის სტეფანოსის მემკვიდრე. ქობულ-სტეფანოსის ვინაობის საკითხს ღიად ვტოვებთ).

აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ ერთ გარემოებას, რასაც არევა შეჰქონდა წარწერათა ზუსტი დათარიღების საკითხში. კითხვა ეხება ადარნერსე ჯპატოსს. ადარნერსე ჯპატოსი, სტეფანოსის მემკვიდრე, ბარელიეფის წარწერაში მოიხსენიება ბიზანტიური ტიტულით „ჯპატოსი“; მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ იგი

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტექსტი, «კანონი», არ არის შემთხვევითი ხასიათის ტექსტი, არ არის ვიწრო დანიშნულების, ან კერძო ხასიათის უბრალო სალიტერატურო ნაწარმოები, არამედ იგი ერთგვარს საეკლესიო-სალიტურგიკო კანონდების ძეგლს წარმოადგენს. იგი ფართო გავრცელებისათვის იყო დანიშნული პრაქტიკულის მიზნით სახმარებლად. ამის მიხედვით სჩანს, რომ რომაული თვეთა-აღრიცხვა უკვე ოფიციალურად ყოფილა მიღებული საქართველოში მე-6—7 საუკუნის საზღვარზე, არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა. —

ამ გამოსავალი თარიღის გამორკვევის შემდეგ აღვნიშნავთ აქ დანარჩენ ძველ ქართულ ძეგლებსაც, სადაც გვხვდება თვეთა-აღრიცხვის შესახები ცნობები.

2. მე-7 საუკუნის დასაწყისამდე, როგორც გამოიჩვენა, ჩვენში გავრცელება ჰქონია „მცირე კანონი“. — მე-7 საუკუნეში ხმარებაში

ამ დროს უკვე ქართლის მთავარი იყო. ეს ბიზანტიური ტიტული შესაძლოა ჰქონოდა მთავრის მემკვიდრესაც, ისე როგორც ეს ტიტული ჰქონდა მთავრის ძმას, — დემეტრე ჰაბთასს, რომელიც ქართლის მთავრად (ხელისუფლების პირველ მეთაურად) არასოდეს არ ყოფილა. რომ ადარწერს ამ დროს მხოლოდ მემკვიდრე იყო: (და იქნება თანაჰმართველიც, როგორც მემკვიდრე), და არა ქართლის მთავარი, ეს სრულიად ნათლად სჩანს იმის მიხედვით, რომ მის ტიტულატურაში, როგორც აღვნიშნეთ, არც კია ჩართული თვით ეს ზედწოდება — „ქართლისა“ — იგი უბრ ალოდ იწოდება „ადარწერსე ჰაბთასი“, იმ დროს როდესაც მთავრის ტიტულატურას თან ერთვის ზედწოდება „ქართლისა“ („სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი“).

სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსის მთავრობა, როგორც ეს უკვე გამოჩვენებულია, 586/591—604 წლებს ეკუთვნის, და მაშასადამე მცხეთის ჯვარის ბარელიეფები გარკვევით თარიღდება ამ წლებით.

ჩვენი საკითხისათვის აქ საგულისხმო ისაა, რომ ერთ-ერთი ბარელიეფის, ქობულ-სტეფანოსის წარწერაში, რომელიც ამრიგად მე-6—7 საუკუნის მიჯნას ეკუთვნის, უკვე გვაქვს ასობ-ანის თავგახსნილი დამწერლობა.

ამავე დროს მცხეთის ჯვარის ეპიგრაფიკაში ჩვენ გვაქვს მეორე წარწერა (რომელშიაც მოიხსენება თემესტია). ეს წარწერა თემესტიასი თუმცა აღნიშნავს ადრინდელია ბარელიეფების წარწერებთან შედარებით (იგი ნაშენობის უფრო ქვემო წყებაში არის ჩატანებული), მაგრამ მაინც, სჩანს, უახლოეს წლებსვე ეკუთვნის (— იმავე სტეფანოსის მთავრობის დასაწყისს, რადგან, მათიანის გარკვეული ცნობის თანახმად, მცხეთის ჯვარის აღმშენებლობა, «წელს ზემოთ», სტეფანოსის მთავრობის დროს იყო წარმოებული). ხოლო თემესტიას ამ წარწერაში ასობ-ანის თავშეკრული დამწერლობა გვაქვს.

ამრიგად, ჯვარის ეპიგრაფიკაში, მე-6—7 საუკუნის საზღვართან, ჩვენ დამწერებული გვაქვს პარალელურად ასობ-ანის ორგვარი დამწერლობა, როგორც თავშეკრული (— თემესტიას წარწერა), ისე თავგახსნილი (— ქობულ-სტეფანოსის წარწერა).

ყოფილა მეორე ტიპიკონი, რომლის მიხედვით შედგენილია ლექციონარები გრაციისა და საქართველოს მუზეუმისა № 999. — ხოლო ამის შემდეგ საქართველოში შემოსულა ეგრეთ-წოდებული «დიდი კანონი»

ეს ძველი აღმოაჩინა და აღწერა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. სინას მთაზე (1902 წელს), ხოლო ტექსტი, ორი სვანური ხელნაწერის მიხედვით, დაბეჭდა პროფ. კორნ. კეკელიძემ (1912)<sup>1</sup>.

ძველის გამომცემლის პრ. კ. კეკელიძის დასკვნით «დიდი კანონის» ბერძნული დედანი მეშვიდე საუკუნისაა, ხოლო ქართული ტექსტის თარიღი მე-8, საუკუნის ფარგლებს ხვდება.

რომ ეს დათარიღება სწორია; ამას, სხვათა შორის, ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ «დიდი კანონის» ერთ პირში შერჩენილია ჰაემეტობის კვალი<sup>2</sup>. ამის მიხედვით პირველი დედანი ან ჰაემეტო უნდა ყოფილიყო, ან იმ დროს დაწერილი, როცა ჰაემეტობა ჯერ კიდევ საბოლოოდ გადავარდნილი არ ყოფილა, ე. ი. არა უგვიანეს მე-8 საუკუნის პირველი ნახევრისა.

ამას გარდა, ისიც აღსანიშნავია, რომ არა მარტო ტექსტია ძველი, არამედ ერთ-ერთი ხელნაწერი «დიდი კანონისა», რომელიც ჩვენამდე მოღწეულა, სახელდობრ კალის ხელნაწერი, აგრეთვე დიდით არაა დაშორებული ამავე თარიღს; პალეოგრაფიულის ნიშნებით, კალის ხელნაწერი მე-8 საუკუნეზე (ან მე-9 საუკუნის დასაწყისზე) გვიან დროს ვერ მიეკუთვნება. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაგვესინჯა ამ ხელნაწერის ცალკე ფურცლების ფოტოგრაფიული პირები, გადმოღებული ე. თაყაიშვილის მიერ, და როგორც გამოირკვა, მისი დამწერლობა არქაულ სახეს ატარებს. აღვნიშნავთ, სხვათა შორის, რომ ამ ხელნაწერის გადაწერის დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა დავიწყებული ზოგიერთი ასოების თავშეკრული დამწერლობის ტრადიცია.

ჩვენი საკითხისათვის აქ საგულისხმო ისაა, რომ «დიდი კანონი», რომლის სახითაც ჩვენ გვაქვს გარკვევით მე-8 საუკუნის ძველი, რომაულ თვეთა-აღრიცხვას მისდევს.

3. შემდეგი ძველ-ქართული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ჩვენებას თვეთა-აღრიცხვის შესახებ, ეს არის ჭილ-ეტრატის ჰიმნოგრაფიული კრებული. ეს ხელნაწერი, როგორც აღვნიშნული გვქონდა, მე-8 საუკუნის ბოლოს ეკუთვნის, მაგრამ გადმოწერილია უფრო ძველი დედნიდან, რომელიც მე-8 საუკუნის ნახევარზე უფრო გვიანი დროისა არ უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>.

<sup>1</sup>) იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь, ტფილისი, 1912 (რუსული თარგმანი, ქართული ტექსტების დართვით).

<sup>2</sup>) იხ. აკ. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები (ტფ. უნივერს. მოამბე, III, გვ. 362)-

<sup>3</sup>) იხ. ზევით, გვ. 389—391.

ამ ხელნაწერშიაც ჩვენ აგრეთვე იგივე რომაული თვეთა-აღრიცხვა გვაქვს.—

მე-8 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული დათარიღებული ძეგლების მეტი რიცხვი შენახულა ჩვენ დრომდე და აქაც ყველგან სისტემატიურად იგივე რომაული თვეთა-აღრიცხვა გვხვდება:

— ჰაბოას მარტილობა მე-8 საუკუნის დასასრულისა (786 წლის ახლო დროისა);

— ატენის სიონის წარწერა 853 წლისა;

— კონსტანტი კახაას მარტილობა 853 წლის ახლო ხანისა;

— მაკარი ლეთეთელის მრავალთავი 864 წლისა (საკითხავთა ზედწერილები).

განსაკუთრებით საგულისხმოა აღენიშნოთ აქ სპეციალური საკალენდრო გამოკვლევა, რომელიც ძველ-ქართულ ლიტერატურაში შენახულა, და რომელსაც ეწოდება: „ცნობისათვის და უწყებისა ქემ-მარიტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ განსაზღვრებულად, გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა, თთუეთა და დღეთა“.

ამ გამოკვლევის ორი ვერსია შენახულა. ერთი ვერსია დაცულია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 38, რომელიც გადაწერილია 870—904 წლებს შორის<sup>1</sup>.

მეორე ვერსია ეკუთვნის მე-10 საუკუნის ცნობილ ქართველ მწერალს იოანე-ზოსიმე სინელს და ერთ-ერთი პირი გამოკვლევისა გადაწერილია 949 წელს. მაგრამ ეს მეორე ვერსიაც უფრო ძველი დედნიდან ყოფილა დამოკიდებული; ძირითადი ტექსტი ამ მეორე ვერსიისა (მისი პირველ-დედანი) გადაწერილი ყოფილა, როგორც ეს სპეციალურ ნარკვევში იქნება ნაჩვენები, 861 წელს, ხალიფა ჯაფარ მუთვაქელის დროს<sup>2</sup>.

საკალენდრო ტრაქტატის ორსავე ვერსიაში ჩვენ გვაქვს იგივე რომაული თვეთა-აღრიცხვა. და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, თვით ამ სპეციალური ხასიათის გამოკვლევებშიაც კი არ მოიპოვება არავითარი მოგონება იმისა, რომ წინათ ქართულს ლიტერატურაში სხვანაირი თვეთა-აღრიცხვა არსებობდა. სჩანს ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვა ამ დროს უკვე საფუძვლიანად გადავიწყებული ყოფილა. —

<sup>1</sup>) ამ ხელნაწერზე იხ. ჩვენს წერილში: „რა თარიღთან არის დაკავშირებული ქართული ქრწნიკონის დასაწყისი (ეტიუდი ძველ-ქართული წელთაღრიცხვის შესახებ)“.

<sup>2</sup>) იხ. იქვე.

დაგვრჩენია გავაკეთოთ დასკვნები.

როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოიკვეა, რომაული თვეთა-აღრიცხვა ქართულს ლიტერატურაში დამოწმებულია მე-6—7 საუკუნის საზღვარზე, არა უგვიანეს მე-7 საუკუნის დასაწყისისა; ამ დროს უკვე რომაული თვეთა-აღრიცხვა ოფიციალურად ყოფილა მიღებული, რადგან იგი გვხვდება არა შემთხვევითი ხასიათის ძველ-ში, არამედ «კანონ»-ში, რომელიც საეკლესიო წესსა და განგებას წარმოადგენს.

დაწყებული ამ დროიდან, მე-7 საუკუნის დასაწყისიდან, ჩვენ გვაქვს — როგორც ვნახეთ — მთელი წყება ძეგლებისა, რომლებიც ადასტურებენ, რომ მე-7 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-9 საუკუნემდე (და აგრეთვე, რასაკვირველია, შემდეგს საუკუნეებში) რომაული თვეთა-აღრიცხვა საყოველთაოდ მიღებული ყოფილა ქართულს ლიტერატურაში.

ამრიგად რომაული თვეთა-აღრიცხვა მე-6—7 საზღვარზე შემოვიდა ქართულს მწერლობაში, და დაიჭირა ძველი წარმართული თვეთა-აღრიცხვის ადგილი.—მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ ძველი წარმართული თვეთა-აღრიცხვის ხმარება ერთს დღეს შეწყდა და მაშინვე იქნა დავიწყებული. საფიქრებელია, რომ ძველი თვეთა-აღრიცხვა კიდევ განაგრძობდა ერთხანად არსებობას, რომაულთან ერთად. და ეს მართლაც ასე ყოფილა.

ჩვენამდე მოღწეული ძეგლები, სადაც გვხვდება ეს ძველი წარმართული თვეთა-აღრიცხვა, ორ ჯგუფად იყოფა.

პირველი ჯგუფი (რომელშიაც შედის 14 ჰაგიოგრაფიული მოთხრობა, ერთი ეგზეგეტიური ნაწარმოები და რამდენიმე ბიბლიური ტექსტი), — სრულებით არ იცნობს რომაულს თვეთა-აღრიცხვას და აქ მხოლოდ ეს ძველი, წარმართული დროიდან მომდინარე თვეთა-აღრიცხვა არის მიღებული. ეს ძეგლები (—რომელთა შორის ჩვენ გვხვდება რამდენიმე ბიბლიური ტექსტიც) — სჩანს წარმოადგენს ქართული მწერლობის უძველეს ნაშთებს, რასაც ეთანხმება, გარდა წარმართული ხანის სათვეო ტერმინოლოგიისა, სხვა ნიშნებიც, ასე — ენის განსაკუთრებული არქაულობა. ეს ძეგლები ამ პირველი ჯგუფისა სჩანს ეკუთვნიან მე-4—5 და 6 საუკუნეებს და მე-7 საუკუნის დასაწყისზე გვიანი არ არის.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქ ჩვენ უკვე გვხვდება შერეულად რომაული და ძველი თვეთა-აღრიცხვა. ამ მეორე ჯგუფს წარმოადგენს ტექსტები: მარტულობაჲ ფილექტიმონისი (ათონურ კრებულში № 57) და კომენტარი პავლეს ეპისტოლეებისა და მოციქულთა საქმე-

თა (—ხელნაწერი ყოფ. წერა-კითხვის კოლექციისა № 407 და 1138)<sup>1</sup>. აქ რომაულ თვეთა-აღრიცხვას თან ახლავს განმარტების სახით ძველი თვეთა სახელები, მაგალითად: „იენისი, რომელ არს თიბისაჲ“, „აპრილი, რომელ არს იგრიკაჲ“, და სხვანი.—ეს ძეგლები სჩანს უნდა მიეკუთვნოს გარდამავალ ხანას, როდესაც ძველი ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ყოფილა გადავიწყებული ე. ი. მეშვიდე საუკუნეს, ან მე-8 საუკუნის დასაწყისს.—ხოლო უკანასკნელად ასეთი შერეული ტერმინოლოგიის ხმარების მაგალითი ჩვენ გვხვდება მე-8 საუკუნის ნახევარში; ასე ყოფილა, სჩანს, დათარიღებული არჩილის მარტივილობის ძველი პირვანდელი მოსახსენებელი (20 მიჰრაკანი—მარტი), საიდანაც ეს შერეული თარიღი მოხვედრილა არჩილის იმ განახლებულ სვინაქსარში, რომელიც „ქართლის-ცხოვრებაში“ არის შეტანილი.

ხოლო მე-8 საუკუნის ნახევრიდან უკვე საბოლოოდ გამოდის ხმარებიდან თვით ეს შერეული რომაულ-ქართული ტერმინოლოგიაც და ძველი თვეთა-აღრიცხვა დავიწყებას ეძლევა. მერვე საუკუნის ნახევარს აქეთ ქართულ წერილობით ძეგლებში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერავითარ კვალს ძველი თვეთა-აღრიცხვის ხმარებისას, თუნდაც განაშთის სახით; მას არ იცნობს, როგორც აღვნიშნეთ, არც ჰაბოს მარტივილობა მე-8 საუკუნისა, არც „დიდი კანონი“, არც ჭილ-ეტრატის ჰიმნოგრაფიული კრებული, არც სპეციალური ტრაქტატები კალენდრის შესახებ, და არც სხვა რომელიმე შემდეგ-დროინდელი ძეგლი.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ზოგად ექსკურსს იმის შესახებ, თუ რა ქრონოლოგიურ ფარგლებში ხდება სხვა-და-სხვა ჯგუფი თვეთა-აღრიცხვისა. ჩვენი დასკვნები, მაშასადამე, შეგვიძლია საბოლოოდ ჩამოვაყალიბოთ შემდეგს ოთხს დებულებაში:

1. ძველი თვეთა-აღრიცხვა, წარმართული ხანიდან გადმოსული, ქართულს მწერლობაში გავრცელებით სარგებლობდა მე-6 საუკუნემდე.

2. მე-6—7 საუკუნის საზღვარზე (არა უგვიანეს მე-7 ს. დასაწყისისა) ქართულს მწერლობაში დამკვიდრდა რომაული თვეთა-აღრიცხვა.

3. მე-7 საუკუნიდან — მე-8 საუკუნის ნახევრამდე ჩვეულებრივ რომაული თვეთა-აღრიცხვა იხმარება, მაგრამ ამის გვერდით იშვიათად გვხვდება აგრეთვე შერეული რომაულ-ქართული ტერმინოლოგიის მაგალითებიც.

<sup>1</sup>) ანალოგიური შემთხვევა გვაქვს აგრეთვე პროკოპის მარტივილობის ძველი ვერსიის ერთ ადგილას, მაგრამ, როგორც ირკვევა, რომაული ტერმინი აქ სხვაგვარი წარმომობისაა. (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, ნარკვევი—„ქუელთაშის თფჳს“ შესახებ, სადაც სპეციალურად ვეხებით პროკოპის მარტივილობას).

4. მე-8 საუკუნის ნახევრიდან გამოდის ხმარებიდან გარდამავალი ხანის ეს შერეული ტერმინოლოგიაც და აპის შემდეგ ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვის კვალი ქართულს მწერლობაში აღარ გვხვდება; მის ადგილს საბოლოოდ იკვრს რომაული თვეთა-აღრიცხვა.

გადავდივართ ამის შემდეგ ძველ ქართულ კალენდართან დაკავშირებულ სხვა საკითხების განხილვაზე.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარს, როგორც საქრონოლოგიო მაჩვენებელს, რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ქართული მწერლობის უთარიღო ძეგლებიდან უფრო ძველი ხანის, 4/5—7 საუკუნის ნაწარმოებნი.

მაგრამ ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს წარმართული ქართული კალენდარი ქართული კულტურის ისტორიკოსისათვის, რასაკვირველია, არ ამოიწურება ამით. უფრო მეტი, ეს არ არის მთავარი. წარმართული ქართული კალენდარი, როგორც გამოირკვევა, ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავსვათ, და გადავჭრათ კიდევ, მთელი რიგი პრობლემებისა არქაული ქართული კულტურის ისტორიიდან.

ქართული მწერლობის ძეგლები ჩვენ გვტოვებენ მე-4 საუკუნის მიჯნაზე, როცა საქართველოში ქრისტიანობა განმტკიცდა და ოფიციალურ სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული. ხოლო უფრო ადრინდელი, თვით წარმართული ხანის მწერლობა, ჩვენამდე აღარ მოღწეულა იმ რთულ ისტორიულ პირობებში, რის შესახებაც ზემოთ ვგვიჩინდა საუბარი.

მაგრამ ამ დოკუმენტის, წარმართული ქართული კალენდარის სახით, ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო ნაშთი წარმართული ხანის ქართული ინტელექტუალური კულტურისა.

რა წარმოშობისაა ეს კალენდარი? რა დროს ეკუთვნის მისი ჩამოყალიბება? (და ამასთან, არის იგი ერთიანი მონოლითური ძეგლი, თუ აქ გვაქვს სხვა-და-სხვა ეპოქების დაფენებაც?) რა არის მასში ორიგინალური და რა არის აქ ნასესხები?

ძველ-ქართული მსოფლიო, ქართველური ენების მსოფლიო, დღემდე ირრაციონალურ ელემენტად ითვლება ძველი აღმოსავლეთის კულტურათა ციკლში. მაგრამ ბევრი რამ გვანიშნებს, რომ ძველი აღმოსავლეთის (და ხმელთა-შუა-ზღვის მსოფლიოს) კულტურის ერთ-ერთი ძირითადი პლასტი კავშირში უნდა იმყოფებოდეს ქარ-

თველური ენების მსოფლიოსთან. ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ ქართველური ენების მსოფლიო, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი რეგიონი, საიდანაც სათავეს ღებულობდა უძველესი კულტურის ერთ-ერთი დიდი ნაკადი. ბევრი ბუნდოვანი, გაურკვეველი ელემენტი ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთა-შუა-ზღვის მსოფლიოს ისტორიისა ქართულ მასალებში მოელის ახსნას.

წარმართული ქართული კალენდრის შესწავლას ერთგვარი შუქი შეაქვს ამ უაღრესად რთული პრობლემების კვანძში; იგი გვაძლევს საშუალებას რეალურ ნიადაგზე დავაყენოთ ზოგიერთი კითხვა ამ პრობლემათა ციკლიდან.

მაგრამ ამ დიდ საკითხებს, რომლებთანაც დაკავშირებულია წარმართული კალენდარი, ჩვენ აქ მხოლოდ ვანიშნებთ ეხლა, და ნათხე საუბარს ჩვენ ჯერ-ჯერობით გვერდზე გადავდებთ.

ჩვენი გამოკვლევის საგანს თავდაპირველად ვიწრო წრით შემოვფარვლავთ. ჩვენ აქ ჯერ შევხებით წარმართული ქართული კალენდარის სტრუქტურას, შევეცდებით აღვადგინოთ მთლიანად წარმართული ქართული კალენდარის სისტემა, თვეების სახელები, მათი თანმიმდევრობა, თარიღები, და სხვა, ე. ი. განვიხილავთ წარმართულ ქართულ კალენდარს ტექნიკური ქრონოლოგიის თვალსაზრისით.

ხოლო გამოკვლევის მეორე ნაწილში, ტექნიკური ქრონოლოგიის ამ მონოგრაფიული შესწავლის შემდეგ, ჩვენ შევხებით იმ ზოგად პრობლემებსაც, რომელთაც ჩვენს წინაშე აღძრავს წარმართული ქართული კალენდარი, და რომელსაც, როგორც ვთქვით, ბევრ ხაზებში ახალი სინათლე შეაქვს არქაული ქართული კულტურის ისტორიაში და მის ურთიერთობაში ძველი აღმოსავლეთის კულტურასთან.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავდივართ ჩვენი გამოკვლევის ამ პირველ ნაწილზე, წარმართული ქართული კალენდარის ტექნიკური ქრონოლოგიის მონოგრაფიულ შესწავლაზე.

#### IV

### ძველ-ქართული წარმართული კალენდარი.

#### საგნის ლიტერატურა.

არსებული საგამოკვლევო ლიტერატურა ძველ-ქართულ თვეთა-აღრიცხვის შესახებ თითქმის ამოიწურება იმ მოკლე შენიშვნებით, რომელსაც იძლევა საბა-სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში. სა-

ხელობრ, საბა განმარტავს, — რომაული კალენდრის რომელ დღეებს უდრის ძველ-ქართული სახელები.

საბას შემდეგ ამ კითხვას არავინ შეჰხებია სპეციალურად, და თუ ვისმე შემთხვევით უწერია ამ საგანზე, აქ მხოლოდ იგივე საბას ცნობებია განმეორებული.

საბას ლექსიკონი, დასაკვირველია, უაღრესად ანგარიშგასაწევი წყაროა. საბა დიდი და დაკვირვებული მეცნიერი იყო და ამჟამინ ძველ-ქართული ენის დიდ ერუდიტი. მაგრამ კერძოდ ამ შემთხვევაში, თვეების ძველ-ქართული სახელების განმარტების დროს, საბას შეცდომები მოსვლია.

საბას შეცდომები იმით არის გამოწვეული, რომ მის დროს ძველი თვეთა-სათვალავის შესახებ პირდაპირი გადმოცემა, დასაკვირველია, არ არსებობდა. ძველი თვეთა-აღრიცხვა, როგორც გამოირკვა, საბოლოოდ გამოსული იყო ხმარებიდან უკვე მე-8 საუკუნის ნახევრის შემდეგ; და არა თუ საბას დროს, არამედ ბევრად უფრო ადრეც, ასე მე-11 საუკუნეში, თვით გამოჩენილ მწიგნობრებს შეცდომები მოსდიოდათ ძველი თვეების მნიშვნელობის განმარტების დროს. მაგალითად, ცნობილი მოღვაწის პროტორე, ჯვარელის მიერ გადაწერილ ერთ კრებულში ჩვენ ვხვდებით შემცდარ ზედწერილ-გლოსსას, სადაც მიჰრაკანის თვის შესაფარდად ნაჩვენებია აპრილი<sup>1</sup>; ნამდვილად კი მიჰრაკანი, როგორც გამოკვლეული იქნება, სულ სხვა თვეს უდრის.

საბას მიერ წარმოდგენილი თვეთა-სათვალავის განმარტება ფილოლოგიური კვლევის ნაყოფია. მას ხელთა ჰქონია, ცოტა მეტ-ნაკლებობით, იგივე მასალები, რაც ამ ჟამად ჩვენა გვაქვს, და მათი მიხედვით გაუკეთებია დასკვნები.

ამ მასალების განხილვიდან ისიც ირკვევა, თუ საიდან წარმომდგარა საბას შეცდომები. ასე, ერთ-ერთი მიზეზი საბას შემცდარი დასკვნებისა ის ყოფილა, რომ ჩვენს ლექსიკოგრაფს ჰგონებია, თითქო ძველ-ქართულ თვეების აღრიცხვა იწყება ეხლანდელი თვეების პირველი რიცხვიდან; ნამდვილად კი თვეების ძველი აღრიცხვა ეხლან-

1) ჰაგიოგრაფიულ მოთხრობაში სპევსიპეს და თანამარტვილთა შესახებ წამების თარიღად თითქმის მოთხრობის ტექსტში აღნიშნულია 16 რიცხვი მიჰრაკანის თვისა. გადამწერი სცდილა ამ ძველი თარისის ახსნას და მოთხრობის სათაურში გაუკეთებია. ზედწერილი გლოსსა: 16 აპრილი. ამრიგად მიჰრაკანი მას აპრილის შეფარდება ჰგონებია და 16 მიჰრაკანი—16 აპრილად აუხსნია. (აღწერილობა პრობლემე, ჯვარელის ან ხელნაწერისა იხ. P. Peeters, De codice Hiberico: *Analecta Boliandiana*, XXI, გვ. 307).

დელისას უმეტესაკლებოდ არ უდრის, იწყება ერთ თვეში და გადმოდის მეორეში. ამას კი საბა შეცდომაში შეუყვანია თვეთა ნამდვილი რიგის აღდგენის დროს.

მეორე გარემოება, რასაც გამოუწვევება საბას შემცდარი დასკვნები, ის არის, რომ ძველს თვეთა-აღრიცხვაში ერთ თვეს ზოგჯერ ორი პარალელური სახელწოდება მოეპოვება; საბას ეს პარალელური სახელწოდებანი ორი დამოუკიდებელი თვის სახელად მიუღია, რასაც აგრეთვე თვეთა რიგის არევა გამოუწვევია.

ამის გარდა, არის კიდევ ერთი გარემოებაც, რასაც საბა შეცდომაში შეუყვანია (სახელდობრ, ზოგიერთ თვეთა სახელების ქართულ-უცხოური პარალელიზმები), მაგრამ ეს ჩვენთვის გასაგები გახდება ქვემოთ გამოკვლევის შემდეგ, და ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

აი ყველა ის მიზეზები, საიდანაც მომდინარეობს საბას არასწორი დასკვნები. ამის გამო საბას მიერ წარმოდგენილი თვეების განმარტება დეფექტიურია, მთელი რიგი თვეთა სახელებისა ვერ არის სწორედ განმარტებული, და ამის გარდა პარალელური სახელწოდებანიც ვერ არის ამოცნობილი.

მაინც საბას ღვაწლი ძველ-ქართულ თვეთა-აღრიცხვის შესწავლის საქმეში მნიშვნელობას მოკლებულად ვერ ჩაითვლება. ჯერ თავისთავად დასაფასებელია ის ფაქტი, რომ საბა პირველი მეცნიერია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ საგანს, ძველ-ქართული თვეთა-სათვალავის არსებობას. და ამის გარდა საბას ეს ნარკვევი თავის დროისათვის თვალსაჩინოდ უნდა ჩაითვალოს: საბას, რაც არ უნდა იყოს, მაინც მოუხერხებია მთელი რიგი თვეების მნიშვნელობის მიახლოებულნი განმარტება.

ხოლო განსაკუთრებით ძვირფასი საბას შრომაში ის არის, რომ მას დაუცავს ზოგიერთი ცნობები ისეთი პირველ-წყაროებიდან, რაც საბას დროს ჯერ კიდევ არსებულა, ხოლო დღეს უკვე დაკარგულია, ან ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა.

## V

### ქართული თვეთა-აღრიცხვის კავშირი ზოდიაკოთა რკალთან.

როდესაც ჩვენ ქართული თვეთა-აღრიცხვის შესწავლას შევედებით, პირველი მაგალითებიდანვე ცხადი გახდა, რომ ძველ-ქართული თვეების დასაწყისი არ უდრის ეხლანდელი თვეების პირველ რიცხვს. ქვემოთ, როცა ცალკე მაგალითებს განვიხილავთ, ენახავთ,

რომ 1 რიცხვი სურწყუნისის თვისა უდრის 22 დეკემბერს, 1 აპნისისა—უდრის 20 იანვარს, 1 მიჰრაკნისა უდრის 19 თებერვალს, 1 რიცხვი „ახალწლის თთვსა“ უდრის 23 აგვისტოს, და სხვა.

საკითხავია, რასთან იყო დაკავშირებული თვეების ამგვარი არა-თანაბარი, სხვადასხვა რიცხვებში დაწყება.

ძველ-ქართული თვეთა აღრიცხვის შესახები ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ძველი თვეების დასაწყისი დაკავშირებული ყოფილა ზოდიაკოთა რკალთან. თვითველი თვე იწყება იმ რიცხვში, როცა მზე შედის გარკვეული ზოდიაკოს ნიშანში, და ეს თვე სრულდება, როცა მზე სტოვებს ამ ზოდიაკოს ნიშანს.

რომ ეს ასეა, ამაში დავრწმუნდებით, როცა ცალკე თვეების კონკრეტულ განხილვას წარმოვადგენთ. — და თავისთავად ამ მოვლენაში მოულოდნელი არაფერია. ცნობილია, რომ მთელი რიგი ძველი ეპოქის კალენდრებისა შეფარდებული იყო ზოდიაკოთა რკალთან. აქ ჩვენ გვაქვს ცის წრე დაყოფილი 12 ზოდიაკოზე, რომელთაც გაივლის მზე წლიური მოქცევის დროს, ხოლო ყოველს ზოდიაკოს უდრის ერთი გარკვეული თვე. თვით იდეა ასეთი პარალელიზმისა, ცის წრის 12 ზოდიაკოდ დანაწილება ერთის მხრით, და წელიწადის თორმეტ თვედ დანაწილება მეორე მხრით, წარმოშობითაც დაკავშირებულია ერთმანეთთან, თორმეტი თვისათვის აქ მონახულია ასტრონომიული განსაზღვრა.

რაკი ამრიგად ქართული თვეების დაწყება ზოდიაკოთა რკალთან ყოფილა შეფარდებული, ამის გამო, ვიდრე ცალკე თვეების კონკრეტულ განხილვას დავიწყებდეთ, ჩვენ აქ წარმოვადგენთ ზოგიერთ განმარტებას თვით ამ ზოდიაკოთა რკალის შესახებ. — ეს საჭირო ხდება იმის გამო, რომ თვითველ კალენდარს თვეთა-სათვალავის ზოდიაკებთან შეფარდების დროს თავისი პირობითი ელემენტები ჰქონდა, და აქ გამოსარკვევია, თუ სახელდორ რაგვარ სისტემას მისდევდა ქართული თვეთა-აღრიცხვა.


\*

### ზოდიაკოს ნიშნები.

ძველ-ქართულ მწერლობაში ზოდიაკოთა ნიშნები შემდეგს შითოლოგიურ სახელებს ატარებდა (რასაც პარალელი აქვს სხვა ენებში): 1—ვერძი; 2—კურო; 3—ტყუბი; 4—კირჩხიბი; 5—ლომი; 6—ქალწული; 7—სასწორი; 8—ღრიაკალი; 9—მშკლდოსანი; 10—თხის-რქა; 11—წყლის-საქანელი; 12—თევზი.<sup>1</sup>

<sup>1</sup>) აქ ჩამოთვლილი ტერმინები ზოდიაკების აღსანიშნავად მიღებული იყო ჩვენი მწერლობის კლასიკურ ხანაში, მე-9—13 საუკუნეებში (—იხ. ხელნაწერები

ზოდიაკების ნიშნების შეფარდებას წლის სეზონებთან წარმოვედი-  
ლგენს შემდეგ სქემა:



სიძვ. მუხ. № 39, გვ. 243a—244a, 247b; № 65, გვ. 353b—354a); ქვემოთ ცალკე ზოდიაკები ამ ტერმინოლოგიის თანახმად გვექნება დასახელებული.

აღენიშნავთ ამასთან, რომ უფრო ძველ ხანაში, მე-4—6 საუკუნეებში, ზოგიერთ ზოდიაკს სხვა სახელი რქმევია, მაგალითად: „გაცე“ (უდრის „თხის-რქას“), „მეულღე“ (უდრის „სასწორს“).

ამის გარდა საბას მოყვანილი აქვს ორი ვარიანტი სახელებისა: „მერწყული“ (უდრის „წყლის-საქანელს“) და „მარჩბივი“ (იგივე „ტყუბი“). იგივე ტერმინები გვხვდება ღვთაების ცნობილ გუჯარში 1722 წლისა.

გარდა ძირითადი ქართული სახელებისა, მე-12—13 საუკუნის ქართულ მწერლობაში მიღებული ყოფილა არაბული ტერმინოლოგიაც. ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტრაქტატში, რომელიც დაცულია სიძვ. მუზეუმის ხელნაწერში № 65, გვ. 352—374, შემდეგი ტერმინები გვხვდება: ჰან-ლი—ვერძი, თავრი—კუროჯავზა—ტყუბი, სარატან—კირჩხიბი, ასად—ლომი, სუმბ-ლა—ქალწული, მიზან—სასწორი, აყრატ—ღრიაკალი, ყაეს—მშვილდოსანი, ჯადი—თხის-რქაჲ, დაღე—წყლის-საქანელი, ჰუთი—თევზი.

აღენიშნავთ დასასრულს, რომ ცნება „ზოდიაკოს“ აღსანიშნავად ძველ-ქართულ მწერლობაში რამდენიმე ტერმინი გვხვდება: „ცხოველთა-სახილველი“ ანუ „ცხოველთა-სახილავი“ (იხ. ხელნაწერები სიძვ. მუზეუმისა, № 38, გვ. 217, № 65 გვ. 354), და ბურჯი (ხელნ. № 65, გვ. 352—374).

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი შ თვეების განმავლობაში მზე თანდათან გარე-  
ლის შემდეგ ზოდიაკოთა ნიშნებს: ვერძს, ჭებროს და ტყუის; ზ ა ფ-  
ხ უ ლ ი შ თვეებში — კიჩიხიბს, ლომსა და ქალწულს; მ ზ მ ო დ გ ო მ ი ს  
თვეებში — სასწორს, ღრიაქალს და მშებლდოსხნს; ზ ა მ თ რ ი ს თვე-  
ებში — თხის-რქას, წყლის-საქანელს და თევზს<sup>1</sup>.

სეზონებისა და ტყეების გაანგარიშებისათვის ძველს კალენ-  
დრებში ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მომენტს: დღე და  
ღამის გასწორებას [რასაც ძველ-ქართულში „ზუნობა“ ეწო-  
დება], რომელიც წელიწადში ორჯერ ხდება; შენიღბომის დასაწყისსა  
და ჭაზაფხულის დასაწყისში.

1. მ ზ მ ო დ გ ო მ ი ს დღე-ღამის გასწორება ხდება ზო-  
დიაკოთა წრის იმ პუნქტში, როცა მზე სტოვებს ქალწულის ზოდია-  
კოს ნიშანს და გადადის სასწორის ნიშანში.

2. გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი შ დღე-ღამის გასწორება ხდება ზო-  
დიაკოთა წრის იმ პუნქტში, როცა მზე სტოვებს თევზის ზოდიაკოს  
ნიშანს და გადადის ვერძის ზოდიაკოს ნიშანში.

აქ მხედველობაში მისაღებია ერთი ასტრონომიული მოვლენა  
რაც ვაელენას ახდენდა თვეების ანგარიშზე იმ ძველ კალენდრებში,  
რომლებიც შეფარდებულნი იყო ზოდიაკოთა რკალთან.

საქმე შემდეგში მდგომარეობს.

როგორც ცნობილია, ორბიტის ელიპტიურობის გამო, დედამი-  
წა გარელის ხაზზე მანძილს მ ზ მ ო დ გ ო მ ი ს დღე-ღამის გასწორე-  
ბის წერტილიდან — გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი შ დღე-ღამის გასწორების წერ-

1) საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აქ, და ქვემოთაც ყველგან, ჩვენ მხედველობა-  
ში გვაქვს „ზოდიაკოთა ნიშნები“, როგორც ეს ჭაყინულის სახით მიღე-  
ბული იყო კალენდარში გარკვეულნი ეპოქიდან, და არა მითითონ ზოდიაკები და მათი  
თ. ნა-ვარსკვლავებდნ — თანამედროვე ჭაგებები.

როგორც ცნობილია, მის რეალური მდგომარეობა ზოდიაკების რკალში,  
თანდათანობით სცილდება იმ წერტილებს, რომელიც მოცემულია „ზოდიაკოთა  
ნიშნების“ სისტემაში. ეს თანდათან დაცილება გამოწვეულია იმ ასტრონომიული  
მოვლენის გამო, რომელსაც პრეცესია ეწოდება: დაცილება გამოინატება 1 გრადუსზე  
ყოველ 71 წლის და მ ზ მ ო დ გ ო მ ი ს განმავლობაში, და ერთი ზოდიაკის მანძილზე ყოველ-  
2150 წლის განმავლობაში.

ზოდიაკების რეალურ შეფარდებას პირობითს „ზოდიაკოს ნიშნებთან“ ჩვენ  
ქვემოთ სპეციალურად ვხვებით ამ გამოკვლევის მეორე ნაწილში, როცა ვიკვლევთ  
დროს, თუ როდის ჩამოყალიბდა წარმართული ქართული კალენდარი და აგრეთვე  
როდის მოხდა მისი ოქროშარი. (როგორც გამოიჩვენება, ადგილი ჰქონია კალენდარის  
ოქროშარსა და პრესბუტლ შეფარდებას თვეებში ზოდიაკოს ნიშნებთან ძველ-  
ქართულ კალენდარის ქრონოლოგიური განრიგების უკანასკნელ სტადიას წარმო-  
ადგენს).

ტილამდე — უფრო მოკლე დროის განმავლობაში, ვიდრე გ. ა. ზ. ა. ფ. ხ. ულის წერტილიდან შემოდგომის წერტილამდე. ძველად, რასაკვირველია, არ იცოდენ დედამიწისა და მზის სისტემის მოძრაობის კანონები (მნათობთა მოძრაობას სხვანაირ ახსნას აძლევდენ), მაგრამ თითონ ფაქტი კი, დღეების რაოდენობის განსხვავება ამ ორ პერიოდს შუა, შემჩნეული იყო. სახელდობრ შემოდგომის დღე-ღამის წერტილიდან ვიდრე გ. ა. ზ. ა. ფ. ხ. ულის დღე-ღამის გასწორების წერტილამდე უწევს ცოტა-მეტნაკლებობით 179 დღე, ხოლო გაზაფხულის წერტილიდან შემოდგომისამდე — 186 დღე. ამრიგად, ზოდიაკებს არ ხედება ზუსტად განაწილებული რიცხვი დღეებისა, ე. ი. გაზაფხულისა და გაზაფხულის ზოდიაკებზე 7 დღე მეტი მოდის, ვიდრე შემოდგომისა და ზამთრისაზე.

ამ უსწორობის გამო, რომელსაც შეიცავს სეზონების მოქცევის ცალკე პერიოდები, დღეების რიცხვის განაწილება ცალკე ზოდიაკებზე (ანუ რაც იგივეა, თვეებზე) სხვადასხვა კალენდარში შესაძლოა სხვადასხვანაირი ყოფილიყო.

აქ შესაძლოა ორი ძირითადი ვარიანტი.

**პირველი ვარიანტი.** შემდეგია: რაკი შემოდგომისა და ზამთრის ექვს ზოდიაკოს საერთო რიცხვით უწევს 179 დღე, ამის გამო ხუთ ზოდიაკოს მიკუთვნებული აქვს ოცდაათ-ოცდაათი დღე, ხოლო ერთ ზოდიაკოს 29 დღე. — ეს 29-დღიანი რკალი მიეკუთვნება ან „თევზის“ ზოდიაკოს (ე. ი. ზამთრის უკანასკნელ ზოდიაკოს, რომლის ფარგლებში შედის მზე 20 თებერვალს). ან და „თხის-რქის“ ზოდიაკოს (— რომლის ფარგლებში შედის მზე 22 დეკემბერს და რადროსაც უწევს ყველაზე მოკლე დღეები)<sup>1</sup>.

რაც შეეხება გაზაფხულის და ზაფხულის ექვს ზოდიაკოს, რაკ მათ საერთო რიცხვით უწევს 186 დღე, — ამიტომ აქ თვითეულ ზოდიაკოს ზუსტად მიეკუთვნება 31 დღე.

ამ რიგად, ამ პირველი ვარიანტის თანახმად, მთელი წლის განმავლობაში დღეები შემდეგი თანმიმდევრობით არის განაწილებული ცალკე თვეებზე (შემოდგომის დღე-ღამის გასწორების წერტილიდან დაწყებული): 30, 30, 30, 29 (ან 30), 30, 30 (ან 29), 31, 31, 31, 31, 31, 31.

**მეორე ვარიანტი** — უფრო გამართლებულს აღრიცხვას შეიცავს აქ თვითეულს ზოდიაკოს-თვეს მიკუთვნებული აქვს ოცდაათ-ოცდაათი დღე, ხოლო განსხვავება ხუთი დღე ემატება ზაფხულის თვე-

<sup>1</sup>) აქვე დაემატება ნაკიან წელიწადში ერთი დღე.

ების ბოლოში, მაშასადამე, ამ მეორე ვარიანტის თანახმად, შემოდგომის დღე-ღამის გასწორების წერტილიდან ვიდრე გაზაფხულისადმე მოდის 180 დღე, ხოლო გაზაფხულის წერტილიდან ვიდრე შემოდგომისადმე 185 დღე. როგორც ვხედავთ, აქ არის ერთ-დღიანი სხვაობა სეზონების რეალისა პირველ ვარიანტთან შეფარდებით, ე. ი. 180 დღე—179-ის ნაცვლად, და 185 დღე—186 დღის ნაცვლად. მაგრამ აღრიცხვის ეს მეორე ვარიანტიც არაა არსებითად დაშორებული ასტრონომიულს შეფარდებას. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა უსწორობათა გამო, რომელსაც განიცდის დედამიწის მოძრაობა, დღე-ღამის გასწორების წერტილები გაზაფხულზე და შემოდგომაზე ქანაობს ერთი დღის ფარგლებში: ამრიგად, ასტრონომიული საფუძველი აქვს როგორც ერთს, ისე მეორე აღრიცხვასაც.

აქ განხილული ორი ვარიანტიდან, რომლებიც როგორც ვხედავთ, სხვადასხვანაირად ანაწილებენ დღეების რიცხვს ცალკე ზოდიაკებზე (ანუ, რაც იგივეა, თვეებზე),—მეორე ვარიანტი ჩვენ გვხვდება, მაგალითად, მაკედონურსა და ეგვიპტურს კალენდრებში<sup>1</sup>, აგრეთვე ძველ-სონხურშიაც.

რაც შეეხება ძველ-ქართულ კალენდარს, იგი, როგორც შემდეგი გამოკვლევებიდან ცხადი გახდება, პირველ ვარიანტს მისდევს<sup>2</sup>.

ამ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ იყო განაწილებული ძველ-ქართულ კალენდარში დღეების რიცხვი ცალკე ზოდიაკებზე (თვეებზე), ჩვენ აქ განვიხილავთ იმ ძირითად ცნობებს, რომლებიც შენახულია ქართულ მწერლობაში ზოდიაკოთა წრის შესახებ.

მართალია, ეს ქართული წყაროები არ იძლევიან პირდაპირ განმარტებას ძველ-ქართული კალენდრისას, მაგრამ აქ მოცემულია

<sup>1</sup>) W. Kubitschek, Grundriss der antiken Zeitrechnung, München, 1928, გვ. 148.

<sup>2</sup>) ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ძველ-ქართული კალენდარის არსებული სახე, მისი უკანასკნელი სტადია, რომელიც პირველი ვარიანტის აღრიცხვას შეფარდება.

მოვავონებთ ამასთან მკითხველს, რომ ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარს თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხური გაუვლია, და შენახულა ჩვენებანი იმის შესახებ, რომ უფრო ძველ ხანაში ძველ-ქართული კალენდარი მეორე ვარიანტის აღრიცხვას მისდევდა. მაგრამ ეს დამოუკიდებელი საკითხია, და ძველ-ქართული კალენდარის განვითარების ისტორიას ჩვენ სპეციალურად ვეხებით ამ გამოკვლევების მეორე ნაწილში. ხოლო აქ კი ჩვენ ჯერ საუბარი გვაქნება ძველ-ქართული კალენდარის არსებული სახის, მისი უკანასკნელი სტადიის შესახებ, როგორადაც იგი წარმოდგენილია 4/5—7 საუკუნის წერილობითს ძეგლებში, და, რომელიც, როგორც ვნახავთ, პირველ ვარიანტის აღრიცხვასთან ყოფილა შეფარდებული.

ზოდიაკოთა ანტიციკლის სხვადასხვანაირი სისტემები, და მათ შორის შეგვხვდება ისეთი, რომელიც შეიცავს ძველ-ქართული კალენდრის ზოდიაკალურ ჩონჩხს. [ავტორებს უსარგებლნიათ ძველი დროის წყაროებით ზოდიაკოთა რკალის შესახებ, მაგრამ უკვე აღარ ესმოდათ, რომ ეს ზოდიაკალური რკალი ძველ-ქართულ წარმართულ კალენდართან ზუსტ დაკავშირებული; ეს ავტორები ეწებიან ზოდიაკებს, როგორც განყენებულს ასტრონომიულს სისტემას, ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარისაგან დამოუკიდებლად].

ქართული წყაროები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ზოდიაკოთა რკალის შესახებ, შემდეგია:

1. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. [ის ცნობები, რომელიც შემოუნახავს საბას ლექსიკონს, განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან, როგორც ანალიზი დაგვარწმუნებს, საბას ეს ცნობები გადმოუწერია უძველესი დროის ტექსტიდან].

2. მეათე საუკუნის მწერლის იოანე-ზოსიმე სინელია საკალენდარო ტრაქტატი, (რომელიც თავისი მხრივ დამოკიდებულია მეცხრე საუკუნის ნახევრის, 861 წლის პირველ-დენდიდან) <sup>1</sup>.

3. საკალენდრო ტრაქტატი, რომელიც დაცულია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 38 (გადაწერილია 870—904 წლებს შორის) <sup>2</sup>.

4. მეორე ტექსტი, რომელიც მოთავსებულია იმავე ხელნაწერში № 38, და იწყება სიტყვებით: „დასაბამი დაბადებისა“ <sup>3</sup>.

5. მესამე ტექსტი, რომელიც მოთავსებულია იმავე ხელნაწერში № 38 და იწყება სიტყვებით: „უკუეთუ გინდეს ცნობის, თუ მზ(ს) რომელსა ეტლსა ზედა ზის“. (ეს ტექსტი ჩვენ ქვემოთ ყველგან მოხსენებული გვეყენება «ექსცერპტი»-ს სახელწოდებით) <sup>4</sup>.

6. ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 65 (მე+12—13 საუკუნისა) <sup>5</sup>.

<sup>1</sup>) ტექსტი იოანე-ზოსიმეს ტრაქტატისა გამოცემული აქვს აკად. მარტი ბროსეს (იხ. Etudes de chronologie technique, S.—Pét., 1868, გვ. 2—9)

<sup>2</sup>) იხ. აღნიშნული ხელნაწერის ფურცლები 239a—243a.

<sup>3</sup>) იხ. აღნიშნული ხელნაწერის ფურცლები 243a—244a.

<sup>4</sup>) იხ. აღნიშნული ხელნაწერის ფურცლები 246b—247b.

<sup>5</sup>) იხ. აღნიშნული ხელნაწერის ფურცლები 353b—354a. (ეს უკანასკნელი ტექსტი იჭრება, რაც მე-4 ტექსტი „დასაბამი დაბადებისა“, მაგრამ აქ არის სხვაობა ორი ზოდიაკოს თარიღში).

გარდა აქ ჩამოთვლილი ექვსი ტექსტისა ქართულს ენაზე არსებობს აგრეთვე ვრცელი ასტრონომიულ-ასტროლოგიური გამოკვლევა ზოდიაკებზე, რომელიც შეტანილია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 65 (გვ. 352—374), მაგრამ ეს

ეს ტექსტები, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გადმოგვცემენ ზოდიაკოთა რეალს, სამ წყებად იყოფა: ერთ წყებას წარმოადგენს საბას ლექსიკონი, მეორეს ექსცერპტი, ხოლო მესამეს ყველა დანარჩენი ტექსტები.—

მოგვყავს აქ თვითეული წყაროს ცნობები.

1. საბას ლექსიკონის ცნობების თანახმად თვითეულ ზოდიაკოზე დღეების რაოდენობა ასეა განაწილებული, და მზე შედის ამა თუ იმ ზოდიაკოს ნიშანში თვეების შემდეგ რიცხვებში.

ცხრ-ლს ვალაგებთ შემოდგომის დღე-ღამის გასწორების წერიტილიდან:

ზოდიაკოს ნიშნები	მზე იმყოფება აღნიშნულ ზოდიაკოს ნიშნის ქვეშ:	თვე და რიცხვი, როდესაც შედის მზე აღნიშნულ ზოდიაკოს ნიშანში:
1. სასწიპრი	30 დღე	23 სექტემბერს
2. ღრიაკალი	30 „	23 ოქტომბერს
3. მშვლდოსანი	30 „	22 ნოემბერს
4. თნის-რქა	29 „	22 დეკემბერს
5. წყლის-საქანელი (მერწყული)	30 „	20 იანვარს
6. თევზი	30 „	19 თებერვალს
7. ვერძი	31 „	[21] მარტს
8. კურო	31 „	[21] აპრილს
9. ტყუბი (მარჩბივი)	31 „	[22] მაისს
10. კირჩხობი.	31 „	22 ივნისს
11. ლომი	31 „	23 ივლისს
12. ქალწული	31 „	23 აგვისტოს

ზმრიგად, საბას ლექსიკონში წარმოდგენილი რეალურ წარმოადგენს სრულებით გარკვეულ სისტემას. დღეების რიცხვი ცალკე ზოდიაკოსი არ წარმოადგენს ჩვენი საკითხისათვის პირდაპირ ინტერესს, რადგან იგი არაბულ წყაროდან მომდინარეობს და არა აქვს უშუალოდ კავშირი ქართული კალენდრის საკითხებთან.

დიაკებზე განაწილებულია იმ რიგად, როგორც ეს ნაჩვენები იყო პირველის ვარიანტით, ე. ი. გაზაფხულის და ზაფხულის ზოდიაკებზე 31 დღე, შემოდგომის და ზამთრის ზოდიაკებზე 30 დღე, ხოლო ზამთრის მზის-დადგვის („თხის-რქის“) ზოდიაკოზე 29 დღე!

\*

2. ზოდიაკოთა რკალი, რომელიც წარმოდგენილია მეორე წყაროში «ექსცერპტში». ზოგ ხაზებში უახლოვდება საბას ცხრილს, ხოლო ზოგ ხაზებში დაშორებულია. განსხვავება იმისგან წარმოსდგება, რომ საბას ცხრილში დღეების რიცხვი ცალკე ზოდიაკებზე განაწილებულია პირველი ვარიანტის თანახმად, ექსცერპტში კი მეორე ვარიანტის მიხედვით, ე. ი. თვითეული ზოდიაკოსთვის აქ მიკუთვნებულია 30 დღე, ხოლო განსხვავება ხუთი დღე ემატება ცალკე.

მოგეყავს აქ ზოდიაკოთა ქრონოლოგია ექსცერპტის საანგარიშო ფორმულის თანახმად, მხოლოდ აქ ჯერ არ ვუმატებთ ხუთ-დღიან განსხვავებას. ვლებულობთ შემდეგს სურათს. (ექსცერპტი აღრიცხვას „ვერძიდან“ იწყებს და ჩვენც ცხრილს ასე დავალაგებთ):

1) იხ. საბას ლექსიკონი, 1928 წლის გამოცემა, გვ. 130.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ საბას ცხრილი დღგენილი სახით. — ტექსტის დაცულობის შესახებ აქ საჭიროა შემდეგი ავნიშნოთ:

საბას ცხრილში, იმ სახით, როგორადაც აგი ჩვენამდე მოღწეულა, ადგილი აქვს, ორი ზოდიაკოს მიმოათ, გადაწერას შეცდომას, სახელდობრ:

თევზის ზოდიაკოს მიკუთვნება 29 დღე

ტყუბის „ „ 32 „

აქ აშკარა შეუსაბამობაა და ცხადია იმ თხზულებაში, საიდანაც საბას გადმოღწერილია თავისი ცხრილი, ტექსტი დამახინჯებული ყოფილა. შეუსაბამობა, როგორც შეამჩნევდა მკითხველი, შემდეგში მდგომარეობს:

1. „ტყუბს“ აქ მიკუთვნება 32 დღე, მაგრამ 32 დღიანი თვე ანუ ზოდიაკო არ არსებობს და ამგვარი აღრიცხვა საერთოდ უცნობია კალენდრის ისტორიაში.

2. 29 დღიანი თვე ანუ ზოდიაკო შესაძლოა იყვეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ; ხოლო საბას ცხრილში ერთხელ უკვე ნაჩვენებია 29-დღიანი ზოდიაკო („თხის-რქა“ — ზამთრის მზის დადგვის დროს), ანიტომ შეუძლებელია მეორე ზოდიაკოსაც „თევზს“ 29 დღე ჰქონოდა მიკუთვნებული.

ამრიგად, ტექსტის დამახინჯება აქ საესებრთ აშკარაა და ნამდვილი ვითარების აღდგენა შესაძლო ხდება, როცა ავიღებთ ამ ცხრილს მთლიანად და გავითვალისწინებთ იმ გარკვეულს სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ცხრილს; სახელდობრ „ტყუბს“ უნდა მიეკუთვნოს არა 32, არამედ 31 დღე (ისევე როგორც გაზაფხულისა და ზაფხულის დანარჩენ თვეებს), ხოლო „თევზს“ არა 29 დღე, არამედ 30 (— ისევე როგორც შემოდგომისა და ზამთრის დანარჩენ თვეებს; გარდა ზამთრის მზის-დადგვისა).

ზოდიაკები:	მზე შედის აღნიშნულ ზოდიაკოში:
1. ვერძი	21 მარტს
2. კურო	20 აპრილს
3. ტყუბი	20 მაისს
4 კირჩხიბი	19 ივნისს
5 ლომი	19 ივლისს
6. ქალწული	18 აგვისტოს
7. სასწაურო	17 სექტემბერს
8. ღრიაკალი	17 ოქტომბერს
9. მშვილდოსანი	16 ნოემბერს
10. თხის-რქა	16 დეკემბერს
11. წყლის-საქანელი	15 იანვარს
12. თევზი.	14 თებერვალს

რაც შეეხება ხუთ-დღიან ნაშთს, იგი, ასტრონომიული შეფარდების თანახმად, უნდა დავამატოს ზაფხულის ერთ-ერთ ზოდიაკოს, რადგან, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს ხუთ-დღიანი განსხვავება გროვდება გაზაფხულიდან—ზაფხულის ბოლომდე. კერძოდ, ეგვიპტური და მაკედონური კალენდარი, რომელიც ანალოგიურს 30-დღიან აღრიცხვას მისდევდა, ამ ხუთ-დღიან ნაშთს უმატებდა აგვისტოს ბოლოს (ლომის და ქალწულის ზოდიაკოს შუა) <sup>1</sup>.

და აქ ერთი საკულისხმო გარემოება ირკვევა. ექსცერპტის რედაქტორი საკმაოდ ძველ ხანას ეკუთვნის, არა უგვიანეს მე-9 საუკუნისა (თვითონ ხელნაწერი 870—904 წლებშია გადაწერილი), და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ძველი დროის ავტორსაც უკვე აღარ ესმის ამ ხუთ-დღიანი ნაშთის მნიშვნელობა და არ იცის სად მიაკუთვნოს იგი. ამ ხუთ-დღიან ნაშთს იგი უმატებს არა ზაფხულის ბოლოს (აგვისტოში) არამედ ზამთრის ბოლოს (21 მარტის წინ). ამის გამო აქ ხდება სრული არევა ასტრონომიული შეფარდებისა. ზამთარს უწევს აქ 185 (ნაცვლად ასტრონომიული 180-ისა), ხოლო ზაფხულს 180 დღე (ნაცვლად 185-ისა). ეს გარემოება ცხადლივ გვიჩვენებს, რომ თვით ისეთს საკმაოდ ძველ ხანაში, რა დროსაც ეკუთვნის ექსცერპტის უკანასკნელი რედაქტორი (ე. ი. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მე-9 საუკუნისა), ეს ძველი სისტემა ზოდიაკალური აღრიცხვისა უკვე საფუძვლიანად ყოფილა გადავიწყებული საქართველოში; ექსცერპტის რედაქტორს უსარგებლნია რომელიღაც უძველესი დროის ტექსტით, რომლის ცნობებშიაც იგი მთლიანად ვერ გარკვეულა.

<sup>1</sup>) W. Kubitschek, l. c. გვ. 148.

ამ განმარტების შემდეგ მოგვყავს აქ ექსცერპტის ცხრილი, ზუთ-დღიანი ნაშთის ღამეტებით თავის აღვილას (ე. ი. ზაფხულის მანძილზე, ლომისა და ქალწულის ზოდიაკებს შუა),—და მასთან შესადარებლად საბას ცხრილი.

ზოდიაკები	მზე იმყოფება აღნიშნულ ზოდიაკოში	
	ექსცერპტის ცხრილის მიხედვით	საბას ცხრილის მიხედვით
1. ვერძი	21 მარტიდან—19 აპრილ.	21 მარტიდან—20 აპრილ.
2. კურო	20 აპრილიდან—19 მაის.	21 აპრილიდან—21 მაის.
3. ტყუბი	20 მაისიდან—18 ივნისამდე	22 მაისიდან—21 ივნისამდე
4. კირჩხიბი	19 ივნისიდან—18 ივლის.	22 ივნისიდან—22 ივლის.
5. ლომი	19 ივლისიდან—17 აგვისტ.	23 ივლისიდან—22 აგვისტ.
ზუთ-დღიანი ნაშთი	(+5 დღე)	
6. ქალწული	23 აგვისტოდან—21 სექტემბ.	23 აგვისტოდან—22 სექტემბ.
7. სასწორი	22 სექტემბრ.—21 ოქტომბ.	23 სექტემბრ.—22 ოქტომბ.
8. ღრიაკალი	22 ოქტომბრიდან—20 ნოემბ.	23 ოქტომბრიდან—21 ნოემბ.
9. მშვილდოსანი	21 ნოემბრიდან—20 დეკემბ.	22 ნოემბრიდან—21 დეკემბ.
10. თხის-რქა	21 დეკემბრ.—19 იანვრამ.	22 დეკემბრ.—19 იანვრ.
11. წყლის საქან.	20 იანვრიდან—18 თებერვლ.	20 იანვრიდან—18 თებერვლ.
12. თევზი	19 თებერვლ.—20 მარტ.	19 თებერვლ.—20 მარტ.

ჩვენ ამით დავამთავრებთ საბას და ექსცერპტის ცხრილის განხილვას.

\*

3. რაც შეეხება ტექსტების შესაბამე წყებას, — ისინი ჩვენს საკრთხისათვის ნაკლებ ინტერესს წარმოადგენენ. ამ ტექსტებში წაშლილია არქაულობის კვალი, და აქ ჩვენ გვაქვს ნაგვიანები ქრისტიანული ნაწიხს გავლენა.

„დასტვამი დაბადებუხისაჲ“ (ხელნაწ. № 38) და მისი ვარიანტი დაცული ხელნაწერში № 65, ზოდიაკოთა შემდეგს ქრონოლოგიას იძლევიან:

ზოდიაკები	მზე იმყოფება აღნიშნულ ზოდიაკოში	თვითეულ ზოდიაკოზე მოდის დღეები
1. ვერძი	21 მარტიდან - 20 აპრილამდე	31
2. კურო	21 აპრილიდან - 20 მაისამდე	30
3. ტყუბი	21 მაისიდან - 20 ივნისამდე	31
4. კირჩხიბი	21 ივნისიდან - 20 ივლისამდე	30
5. ლომი	21 ივლისიდან - 20 აგვისტომდე	31
6. ქალწული	21 აგვისტოდან - 20 სექტემბრამდე	31
7. სასწორი	21 სექტემბრიდან - 20 ოქტომბრამდე	30
8. ღრიაკალი	21 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე	31
9. მშვილდოსანი	21 ნოემბრიდან - 20 დეკემბრამდე	30
10. თხის-რქა	21 დეკემბრიდან - 19 იანვრამდე	30
11. წყლის-საქანელი	20 იანვრიდან - 18 თებერვლამდე	30
12. თევზი	19 თებერვლიდან - 20 მარტამდე <sup>1</sup>	30

როგორც ვხედავთ ამ ცხრილიდან, „დასაბამი დაბადებისაჲ“-ს ტექსტში გატარებულია ერთგვარი სქემატიზაცია; ცალკე ზოდიაკები-სათვის მიკუთვნებული დღეების რაოდენობა აქ შეფარდებულია საერთო ხაზებში ჩვეულებრივი რომაული იულიანეს კალენდარის თვეების ხანგრძლივობასთან და თანმიმდევრობასთან, როგორც ეს მიღებული იყო საქრისტიანო მსოფლიოში. (ე. ი. „ვერძის“ ზოდიაკოს ნიშანი იწყება მარტიდან—მას ეკუთვნის 31 დღე როგორც მარტს; „კურო“ იწყება აპრილიდან, მას ეკუთვნის 30 დღე როგორც აპრილს; „ტყუბი“ იწყება მაისიდან; მას ეკუთვნის 31 დღე, როგორც მაისს, და ასე შემდეგ ბოლომდე. გამონაკლისია მხოლოდ უკანასკნელი სამი თვე, დეკემბერი იანვარი და თებერვალი, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ 30—30 დღე. თუ საიდან უნდა წარმომდგარიყო

1) ასეა ნაჩვენები უკანასკნელი ორი ზოდიაკოს თარიღები ხელნაწერში № 38, ხოლო № 65 უკანასკნელ ორ ზოდიაკოს ასე ათარიღებს: წყლის-საქანელი-20 იანვრიდან—19 თებერვლამდე (31 დღე); თევზი 20 თებერვლიდან—20 მარტამდე (29 დღე). — გარდა ამ ორი განსხვავებისა, დანარჩენში ხელნაწერები № 65 და № 38 ვთანხმებიან ერთმანეთს.

უკანასკნელი სამი თვის სხვაობა, ამაზე ქვემოთ).— ასეთი სქემატიზაციის გამო აქ დარღვეულია ასტრონომიული ქრონოლოგია სეზონების მოქცევისა; სახელდობრ, შემოდგომის დღე-ღამის გასწორების წერტილიდან—ვიდრე გაზაფხულის ასეთ წერტილამდე ჩვენ ვღებულობთ 181 დღეს, ხოლო გაზაფხულის აღნიშნულ წერტილიდან ვიდრე შემოდგომისამდე 184 დღეს, რაც არ ეფარდება იმ ასტრონომიულ რკალს, რომელსაც ძველი კალენდრები მისდევენ <sup>1</sup>.

\*

დასასრულ, უკანასკნელი ტექსტები, — იოანე-ზოსიმეს გამოკვლევა და საკალენდარო ტექსტი № 38. ამ ტექსტებში არაა ჩამოთვლილი ზოდიაკები და მხოლოდ აღნიშნულია ოთხი ძირითადი წერტილი მზის მოქცევისა ზოდიაკოთა წრეში:

მზის მოქცევა	სრულდება	იწყება
1. გაზაფხულის დღე-ღამის გასწორება (20—21 მარტის მიჯნაზე)	„თეზი“— 20 მარტს	„ვერძი“— 21. მარტს
2. ზაფხულის მზის დადგეი (19—20 ივნისის მიჯნაზე)	„ტყუბი“— 19 ივნისს	„კირჩხიბი“— 20 იანვარს
3. შემოდგომის დღე-ღამის გასწორება (18—19 სექტემბრის მიჯნაზე)	„კალწული“ 18 სექტემბერს	„სასწორი“— 19 სექტემბერს
4. ზამთრის მზის დადგეი (18—19 დეკემბრის მიჯნაზე)	„მშვილდოსანი“ 18 დეკემბერს	„თხის-რქა“— 19 დეკემბერს

<sup>1</sup>) აქ საჭიროა ხაზი გაუსვავთ შემდეგს გარემოებას, რაც მკითხველმა არ უნდა გაუშვას მხედველობიდან, ექსცერპტისა და მესამე ჯგუფის წყაროების შედარების დროს. ჩვენ ვნახეთ, რომ შეცდომა დღეების განაწილებაში ზამთარზე და ზაფხულზე მოიპოვება აგრეთვე ექსცერპტში, მაგრამ ექსცერპტი მაინც არსებითად განიჩნევა ამ მესამე ჯგუფის ტექსტებიდან. ექსცერპტში უცვლელად დაცულია ძველი აღრიცხვის ჩონჩხი, რაც სხვათა შორის მტკიცდება იქიდან, რომ ყველა თვეებს იქ მიკუთვნებული აქვს 30 დღე, რაც შემდეგდროინდელ ქრისტიანულ აღრიცხვაში შიღბული არ იყო. ექსცერპტის რედაქტორს სჩანს უცვლელად გაუმეორებია რომელიღაც ძველი დროის წყარო. რაც შეეხება იმ ერთ შეცდომას (ხუთდღიანი ნაშთის განაწილებას), რომელიც მოიპოვება ექსცერპტში, ეს შეცდომა, როგორც გამოირკვა, წმინდა მექანიკური ხასიათისაა, და იმისაგან წარმოსდგება, რომ უკანასკნელ რედაქტორს არ სცოდნია თუ სად მიეკუთვნებია ეს ნაშთი.

ხოლო მესამე ჯგუფის ტექსტებში („დასაბამი დაბადებისაჲ“-ში) არსებითად განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ, როგორც ვნახეთ, გარკვევით ეჩინევა იულიანის კალენდარის გავლენა და დღეები განაწილებულია ცალკე ზოდიაკებზე იმავე რაოდენობით და იმავე თანამიმდევრობით, როგორც ამას ჩვეულებრივი საქრისტიანო თვეთააღრიცხვა იძლევა.

როგორც ვხედავთ ამ ცხრილიდან, ეს უკანასკნელი ტექსტები კიდევ უფრო დაშორებულია ასტრონომიულ ფუძეს. სქემატიზაცია აქ ბოლომდე მიყვანილი: წლის ოთხი სეზონის ზოდიაკებზე აქ უბრალოდ არის თანასწორად გაყოფილი 365 დღე, ხოლო ნაშთი ერთი დღე დამატებული აქვს ზამთარს (ე. ი. გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ზოდიაკებს მიეკუთვნება 91—91 დღე, ზამთარს 92). გაზაფხულის დღე-ღამის გასწორების წერტილიდან—შემოდგომის დღე-ღამის გასწორების წერტილამდე, ამ გაანგარიშების თანახმად, მოდის 182 დღე, ხოლო შემოდგომის წერტილიდან გაზაფხულისამდე—183 დღე, რაც არსებითად დაცილებულია ასტრონომიულ შეფარდებას.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ზოგად მიმოხილვას არსებული ქართული წყაროებისას ზოდიაკოთა წრის შესახებ. როგორც გამოიკვია, ყველა ტექსტები, გარდა საბასი და ექსცერპტისა, მოკლებულია მნიშვნელობას ჩვენი საკითხისათვის, რადგან ისინი სქემატიზირებულია შემდეგში და აქ წაშლილია ასტრონომიული ქრონოლოგიის კვალი.

მაინც საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ამ შესამე ჯგუფის ტექსტებს ზოგჯერ ემჩნევათ მერყეობა ისეთ დამახასიათებელ ხაზებში, რაც გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი პირველ-წყარო ამ ჯგუფისათვის საბასეული ცხრილი ან ექსცერპტი ყოფილა.

ასე, მაგალითად, როცა „დასაბამი დაბადებისაჲ“ უკანასკნელ თვეებს მიაკუთვნებს 30—30 დღეს, აქ მოჩანს ექსცერპტის ფორმულის გაღვნა.

ამის გარდა, საკალენდრო ტრაქტატში № 38 ჩვენ გვხვდება ტერმინი „უამი“ ოცდაათ-დღიანი ციკლის აღსანიშნავად, რაც იმავე ექსცერპტის სისტემიდან მომდინარეობს.

※

გადავიდეთ ამის შემდეგ ჩვენი გამოკვლევის პირდაპირ საგანზე. წარმოდგენილი მიმოხილვიდან მაშასადამე ირკვევა, რომ ძველ-ქართულ კალენდარში მიღებული ზოდიაკოთა შესატყვისობის განხილვის დროს ჩვენ შეიძლება ვისარგებლოთ პირველი ორი წყების ტექსტებით, საბას და «ექსცერპტის» ცნობებით, რადგან ისინი არქაულ სახეს ატარებენ.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელ წყაროს უდგება ძველ-ქართული კალენდარი, საბას მიერ გადმოწერილს ტექსტს, თუ «ექსცერპტს»? ან და იქნება არც ერთ მათგანს არ უდგება, და ძველ-ქართული კალენდარის ზოდიაკალური ქრონოლოგია არ მოღწეულა? ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ცალკე თვეების შესახები ცნო-

ბებნისა და გვიმტყეცებს, რომ ქართულ კალენდარს, აწესებულის სახით, საფუძვლად უდევს ზოდიაკოთა რკალის სწორედ ის ქრონოლოგია, რომელსაც შეიცავს საბას მიერ გადმოწერილი ტექსტი<sup>1</sup>.

თავისთავად ეს გარემოება, რომ საბას გადმოუწერია ცნობები რომელიღაც უძველესი დროის ქართული წერილობითი ძეგლიდან, რომელიც ზოდიაკოთა რკალს და საერთოდ მნათობებს შეეხებოდა, — ეს გარემოება მოულოდნელი არაა ჩვენთვის.

ივ. ჯავახიშვილმა სხვა მაგალითის მიხედვით გამოარკვია, რომ საბას, მეორე ანალოგიურ შემთხვევაში, სწორედ ასეთი უძველესი დროის წყარო გადმოუწერია. ასე, ამგვარ წყაროდან აქვს ამოღებული საბას ცნობები კვირიაკის შეიდეულის ცალკე დღეების შესახებ, თუ რომელი დღე კვირიაკისა რომელ მნათობს მიეკუთვნებოდა ძველად.

როდესაც, მაგალითად, საბა გადმოგვცემს, რომ ხუთშაბათი აფროდიტეს (-ვენუსის) დღეა, ხოლო პარასკევი დიოსისა (-იუპიტერესა), საბას არ შეეძლო ეს ცნობა ამოეღო რომელიმე უცხო, არა-ქართული ძეგლიდან, რადგან ასეთი შეფარდება სხვაგან არსად არ გვხვდება, არც ძველ-ბერძნულსა და ლათინურ წყაროებში, არც ქრისტიანული ხანის მწერლობაში, არც ევროპიელ ხალხთა დღეების სახელებში, და არც რაიმე სხვა უცხო წყაროში, რაც საბასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. საბას ეს ცნობა შესაძლოა ამოეკითხა მხოლოდ ძველ-ქართულ ძეგლში, რომელიც ამა თუ იმ გზით, უშუალოდ თუ მეშვეობით, ქართული წარმართობის ხანიდან მომდინარეობდა, იმიტომ რომ ასეთი შეფარდება დღეებისა სწორედ ძველ-ქართულ წარმართობაში არსებობდა, როგორც ეს მხოლოდ ეხლა გამოარკვია ფილოლოგიურმა კვლევამ<sup>2</sup>.

რომ საბას ხელთა ჰქონია წარმართობის ხანიდან მომდინარე რაღაც მითოლოგიური ხასიათის წყარო მნათობთა შესახებ, ამას სხვა რეალიებიც გვანიშნებს. ასეთია მაგალითად უალრესად საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახელები ერქვა ძველ-ქართულად ცის მნათობთა სფეროებს (— „ჭირანო“, „ცორანო“, „მელტარო“ და სხვანი), რაც ქრისტიანული ხანის მწერლობის წრეს აგრეთვე დაშორებულა<sup>3</sup>.

<sup>1</sup>) ხოლო რა წარმოშობისაა მეორე ტექსტის, ე. ი. ექსცერპტის ქრონოლოგია, ეს სხვა საკითხია და მას ცალკე ვებებით,

<sup>2</sup>) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ., I გვ. 109-115, 128-132.

<sup>3</sup>) ამ საკითხებს—კვირიაკის დღეების განრიგებისა და ცის მნათობთა სფეროების სახელების შესახებ—ჩვენ გვექნება შემთხვევა ისევ დაუბრუნდეთ.

და რაკი, ამრიგად, მთელი ეს კომპლექსი ცნობებისა, რომელსაც საბა გადმოგვცემს მნათობთა შესახებ, სჩანს დამოკიდებულია ისეთი ძველ-ქართული წერილობითი ძეგლიდან, რომელიც ქართული წარმართობის ხანიდან მოდის, უშუალოდ თუ მეშვეობით,—გასაგებია ამის შემდეგ, რომ კერძოდ ზოდიაკოთა ქრონოლოგია, რომელიც გადმოუწერია საბას, საფიქრებელია—იმავე ძეგლიდან, უადრესად არქაულ სახეს ატარებს და უმეტესაკლებოდ უდგება ძველ-ქართულ წარმართული კალენდარის ქრონოლოგიურ განრიგებას.

ყველა ამ წინასწარი საკითხების განმარტების შემდეგ ჩვენ შევუდგებით თვით ძველ-ქართული კალენდარის მიმოხილვას და ცალკე თვეების მნიშვნელობის გამორკვევას.

## VI

### თვეების ძველ-ქართული სახელები, მათი თანმიმდევრობა და თარიღები.

მიმოხილვას ზამთრის თვეებიდან დავიწყებთ.

#### 1. «თთუჴ სურწყუნისაჲ» (ანუ «სურწყუნისაჲ»).

ამ თვის სახელწოდება ჩვენ გვხვდება ერთს ჰაგიოლოგიურს ნაწარმოებში, სახელდობრ სტეფანე პირველ მოწამის მარტვილობის უძველეს ვერსიაში, რომლის პირები გადმოწერილია მე-9—10 საუკუნეთა ხელნაწერების მთელ რიგში (სინას მთის „მრავალთავში“ 864 წლისა, ტფილისის სიძველეთა-მუზეუმის ხელნაწერებში № 19 და 95 მე-10 საუკუნისა, და საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში № 535,—აგრეთვე მე-10 საუკუნისა).

მარტვილობის ტექსტში ჩვენ გვხვდება შემდეგი თარიღი:

„აღესრულა... სტეფანე თთუესა სურწყუნისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა“<sup>1</sup>.

თუ რომელ თვეს უდრიდა „სურწყუნისაჲ“, და ამის გარდა რა რიცხვიდან იწყებოდა იგი, ამის გამორკვევა ზედმიწევნით

1) იხ. ხელნაწერი № 19, გვ. 134; № 95, გვ. 107; № 535, გვ. 49b.

[ხელნაწერებში თვის სახელი მოყვანილია ფორმით „სურწყუნისასა“, მაგრამ აქ შესაძლოა გამოშვებული იყვეს ქარაგმა („სურწყუნისასა“) და თავდაპირველ დედანში წერებულყო „სურწყუნისა“.—ყოველ შემთხვევაში, რომ არსებობდა ასეთი ხელნაწერიც, სადაც იკითხვოდა. „სურწყუნისაჲ“, ამას ადასტურებს საბა, რომელსაც ამ თვის სახელი შემდეგი ფორმებით აქვს მოყვანილი ლექსიკონში: „სურწყუნისა“, „სურწყუნისი“ (იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ., გვ. 326, 353, 139)].

შესაძლო ხდება. საქმე ის არის, რომ ჩვენამდე მოღწეულა სტეფანეს მარტვილობის მეორე ვარიანტიც, რომელიც აგრეთვე ქართული მწერლობის ძველ ხანას ეკუთვნის, და რომლის პირი მოიპოვება მე-10 საუკუნის ხელნაწერებში (—სიძველეთა-მუზეუმისა № 95, გვ. 102—115, და ათონის კოლექციისა № 57, გვ. 17a--21b). ამ მეორე ვერსიაში სტეფანეს მარტვილობის თარიღი უკვე ნაჩვენებია რომაული თვეთა-სათვალავით:

„აღსრულა... სტეფანს თთუესა დეკემბერსა ოც-და-შვდსა“<sup>1</sup>.

სტეფანეს აღსრულების ეს თარიღი, 27 დეკემბერი, ჩვენ გვხვდება არა მარტო ამ ტექსტში, არამედ იგი საერთოდ ცნობილია ქრისტიანული ჰაგიოლოგიის ძირითად ძეგლებში, კერძოდ ბერძნულში, აგრეთვე სხვა აღმოსავლურ და დასავლურ ტექსტებში<sup>2</sup>.

ეგვეთ თარიღი 27 დეკემბერი დადებულია სტეფანეს ხსენების აღსანიშნავად აგრეთვე სხვა-და-სხვა ძველ-ქართულ თხზულებებშიაც, ასე: «დიდ კანონში» (—რომლის ბერძნული დედანი მე-7 საუკუნის ეკუთვნის, ხოლო ქართული მე-8 საუკუნის ნახევარზე გვიანი არაა)<sup>3</sup>, და ქილ-ეტრატის ჰიმნოგრაფიულ კრებულში (გადაწერილია მე-8—9 საუკუნის საზღვარზე)<sup>4</sup>.

დასასრულ, ეგვეთ თარიღი, 27 დეკემბერი, მეორდება შემდეგი დროის ძეგლებშიაც: გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვანქსარში“<sup>5</sup>, და არსენი და იოანე მღვმელის „სვანქსარში ათორმეტთა თთუეთაჲ“<sup>6</sup>.

ამრიგად ყველა ამ ძეგლების ჩვენებათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ 6 რიცხვი სურწყუნისის თვისა უდრიდა 27 დეკემბერს. მაშასადამე I სურწყუნისისა უდრის 22 დეკემბერს.

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერი № 95, გვ. 114—115.

<sup>2</sup>) იხ. Сергий, Полный Месяцеслов Востока, 1901 წ., წიგნი I, გვ. 614 615, 410, 414, 418, წიგნი II, ნაწილი პირველი, გვ. 395, ნაწილი მეორე, გვ. 524.—ძველ-ბერძნულსა და აღმოსავლურ ტექსტებში ჩვეულებრივ 27 დეკემბერი გვხვდება, ხოლო ზოგ ლათინურსა (და ერთ სირიულში) განსხვავებაა ერთი დღით და ნაჩვენებია 26 დეკემბერი. ბუნებრივია, რომ ქართული დათარიღება, 27 დეკემბერი, ბერძნულ-აღმოსავლურს უდგება.

<sup>3</sup>) იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века, 1912 წ., გვ. 49.

<sup>4</sup>) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 2123, I ტომი, გვ. 4.

<sup>5</sup>) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 2211, გვ. 130b.

<sup>6</sup>) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 1342, გვ. 47a.

აქ გამოსარკვევი იყო მხოლოდ, თუ რად იწყებოდა სურწყუნისის თვე დეკემბრის 22 რიცხვიდან. მაგრამ ეს ჩვენთვის ეხლა გასაგები ხდება, მას შემდეგ რაც განვმარტეთ წარმართული ხანის თვეთა-ალრიცხვის პარალელიზმი ზოდიაკოთა გარკვეულ რკალთან. სურწყუნისის თვე იწყებოდა დეკემბრის 22-დან, რადგან ზოდიაკოთა ზემოთ განხილული ძველ-ქართული ქრონოლოგიის თანახმად, სწორედ ამ რიცხვში, 22 დეკემბერს, მზე შედის თხის-რქის ზოდიაკოს ნიშანში და იმყოფება ამ ეტლს ქვეშ ვიდრე 19 იანვრამდე. ამრიგად, თარიღების ეს ზედმიწევნელი შეხვედრა ადასტურებს, რომ ძველ-ქართული თვეთა-ალრიცხვა მართლაც დაკავშირებული ყოფილა ზოდიაკების რკალთან, და «თთუჲ სურწყუნისაჲ» იწყებოდა 22 დეკემბრიდან და სრულდებოდა 19 იანვარს იმის ვამო, რო გარკვეულს ზოდიაკალურ ნიშანს უდრიდა.

\*

## 2. «თთუჲ აპნისისაჲ».

ამ თვის სახელი აღნიშნულია სამს ძველ-ქართულ ძეგლში 1) შუშანიკის მარტვილობა; 2) კვრილე იერუსალიმელის საკითხავი «გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ» და 3) ლუკიანეს სახითხავი «პონაჲ...სტეფანსსი, რჩულისა მის მსახურისაჲ და პირველმოწამისაჲ».

„შუშანიკის მარტვილობა“, როგორც ცნობილია, მე-5 საუკუნის ძეგლია. დანარჩენი ორი საკითხავების პირი გადმოწერილია სინას მთის 864 წლის მრავალთავში და მე-9—10 საუკუნის მთელრიგ ხელნაწერებში<sup>1</sup>. ენის განსაკუთრებული არქაულობის მიხედვით ეს ორი უკანასკნელი საკითხავებიც სჩანს ქართული მწერლობის უძველეს ხანას ეკუთვნიან.

ამ სამი ძეგლის შედარებითი განხილვა გვიჩვენებს, რომ აპნისის თვე მომდევნო თვე ყოფილა სურწყუნისის თვისა. ხოლო რაკი სურწყუნისის თვე, ზოდიაკალური რკალის თანახმად, უდრიდა „თხის-რქის“ ნიშანს და სრულდებოდა 19 იანვარს,—მაშასადამე ეს მეორე აპნისის თვე უდრიდა შემდეგს „წყლის-საქანელის“, ზოდიაკოს ნიშანს; ამრიგად აპნისის თვე იწყებოდა 20 იანვარს (როცა მზე შედის „წყლის-საქანელის“ ნიშანში) და სრულდებოდა 18 თებერვალს (როცა მზე სტოვებს ამ ნიშანს).

1) სახელდობრ, კვრილე იერუსალიმელის საკითხავი: სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერებში № 1109, 19, 95, 144. ლუკიანეს საკითხავი—საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში № 535, სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 19 და ათონის კოლექციის ხელნაწერში № 57.

შუშანიკის მარტვილობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

„და არს დასაბამი ტანჯვათა მათ... შუშანიკისათაჲ თთუესა აპნისისასა, მერვესა თთვსასა“<sup>1</sup>.

შუშანიკის მარტვილობის მოთხრობის მიმდინარეობიდან ირკვევა, რომ „დასაბამი ტანჯვათა შუშანიკისათაჲ“ ყოფილა უწინარეს «დიდთა მათ მარხვათა»<sup>2</sup>, მაშასადამე იანვარ-თებერვალში, რაც უდგება აპნისის თვის ზემოთ-განმარტებულს რკალს: მე-8 რიცხვი აპნისის თვისა— „დასაბამი ტანჯვათა შუშანიკისათაჲ“ — უდრის, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, 27 იანვარს.

რომ აპნისის თვე ზემოთ-აღნიშნულ ფარგლებს შეიცავდა, ამას ადასტურებს აგრეთვე მეორე ძეგლიც, საკითხავი კვრილე იერუსალიმელისა. ამ საკითხავის ტექსტში ჩვენ გვაქვს ასეთი ჩვენება:

„მეშვდესა წელსა სუფევასა კონსტანტინუს დიდისა მეფისასა, თთუესა აპნისისა [რიცხვი ნაჩვენები არაა] შეკრბა დიდძალიერი წარმართთაჲ მდინარესა ზედა, რომელს ჰრქუიან დანუბი“<sup>3</sup>.

უძველეს თარიღიან ხელნაწერში 864 წლისა, და ზოგიერთ სხვა ხელნაწერებშიაც, ამ საკითხავს სათაურში დართული აქვს ზედწერილი: „იანვარსა: კთ: (ე. ი. 29-ს)“<sup>4</sup>. ამის მიხედვით იანვრის 29 რიცხვი აპნისის თვის ფარგლებში ყოფილა მოქცეული; და მართლაც ზემოთ-განმარტებული ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად: 29 იანვარი უდრის აპნისის 10-ს.

ამასვე ეთანხმება ამ საკითხავის შენახული ბერძნული დედანი, სადაც ქართული ტექსტის „აპნისის“ თვის შესაფარდად სწერია— იანვარი. (რაც შეეხება თვის რიცხვს, იგი, ქართულ ტექსტის მსგავსად, არც ბერძნულ დედანშია აღნიშნული)<sup>5</sup>.

მაგრამ ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მე-

<sup>1</sup>) იხ. 1917 წლის გამოცემა (ს. გორგაძის რედაქციით). გვ. 22.—1882 წლის გამოცემა (მ. საბინინის რედაქციით—„საქართველოს სამოთხე“), გვ. 192.

<sup>2</sup>) იხ. გვ. 10 (ს. გორგაძის გამოცემისა) და გვ. 185 (მ. საბინინის გამოცემისა).

<sup>3</sup>) იხ. ხელნაწერები № 1109, გვ. 30b; № 19, გვ. 487; № 95, გვ. 391; № 144, გვ. 280a; სინას მთის ხელნაწერი (ცნობებს ამ უკანასკნელზე ვღებულობთ ნ. მარრის აღწერილობიდან), გვ. 54. (სტილისტიურ ვარიანტებს აღარ აღვნიშნავთ; კერძოდ თვის სახელი ხელნაწერში № 19 და სინას მთის ხელნაწერში 864 წლისა მოყვანილია ფორმით „აპნისისა“, დანარჩენებში „აპნისა“).

<sup>4</sup>) იხ. ხელნაწერი 864 წლისა, გვ. 59; იხ. აგრეთვე ხელნაწერები № 19, გვ. 487 და № 95, გვ. 391.

<sup>5</sup>) იხ. E. Nestle, Die Kreuzauffindungslegende: *Byzantin. Zeitschrift*, IV, გვ. 324.

საშე ტექსტი, — ლუკიანეს საკითხავი „პოვნაჲ სტეფანსი“, რადგან მისი მიხედვით ირკვევა არა მხოლოდ თვის ზოგადი მოცულობა, არამედ რიცხვიც, და თვის დასაწყისი. ამ საკითხავში ნაჩვენებია ნაწილთა პოვნის თარიღი: «აპნისისა თთუესა სამსა»<sup>1</sup>. აპნისის თვის 3 რიცხვი, ზემოთ-განმარტეიული ზოდიაკალური ქრონოლოგიით, უნდა უდრიდეს 22 იანვარს. და მართლაც 22 იანვარი დაკავშირებული ყოფილა სტეფანეს ხსენებასთან, რასაც ადასტურებს ძველ-ქართული ძველი «დიდი კანონი», სადაც აღნიშნულია:

«22 იანვარს სტეფანე-წმიდას კსენებაჲ წთა მოწამეთაჲ, რომელნი სტეფანსით განვიდრე დღენდელად დღემდე წამებულ არიან»<sup>2</sup>.

ამრიგად, ყველა ამ წყაროების შეთანხმებული ჩვენებიდან ირკვევა, რომ ეს მეორე „აპნისის“ თვე ეფარდება წყლის-საქანელის ზოდიაკოს ნიშანს, იწყებოდა 20 იანვარს და სრულდებოდა 18 თებერვალს.

\*

### 3. «თთუჲ მიჰრაქნისაჲ» (ანუ «მიჰრაქანი») <sup>3</sup>.

ქართულ ბიბლიაში, ეზრას პირველ წიგნში, ჩვენ გვაქვს შემდეგი აღვლილი:

„რომელსა დღესა სამი იყო აღარ თთუსაჲ, წელსა მეექუსესა შარავანდედობასა დარეჰისსა, მიჰრაქნისა თთუესა ოც-და-სამსა, აღესრულა ტაძარი იგი ღ. და ყვეს ძეთა ისრაელისათა... სატფური“ (თავი 6, 14-15)<sup>4</sup>.

ამრიგად, ბიბლიაში მოხსენებული ებრაული თვის აღარის 3 რიცხვი ძველ ქართველ მთარგმნელს განუმარტავს როგორც ქართული მიჰრაქნის თვის 23 რიცხვი. მაშასადამე ქართული „მიჰრაქნის თთუჲ“ ეთანაბრებოდა ებრაულ თვეებს „შბატსა“ და „ადარს“ (ე. ი. იწყებოდა „შბატის“ მეორე ათეულში და გადმოდიოდა „ადარის“ თვეში).

ებრაული თვეების აღრიცხვა, როგორც ცნობილია, დამყარე-

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერი № 535, გვ. 51a.

<sup>2</sup>) იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, 1912., გვ. 51.

<sup>3</sup>) ჩვენ აქ ვეხებით „მიჰრაქნის“ თვის ძირითადს, პირველადს მნიშვნელობას, როგორადაც ეს უძველეს ტექსტებში, კერძოდ ბიბლიაში არის წარმოდგენილი. — რაც შეეხება ამ თვის თარიღის ვარიაციებს, ამას ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

<sup>4</sup>) იხ. ბიბლიის ხელნაწერები სიძველეთა მუზეუმისა № 570 და № 646 (ორთოგრაფიულ ვარიანტებს აღარ აღვნიშნავთ).

ბულია მთვარის მოქცევაზე, და მაშასადამე მოძრავია, ხოლო ქართული თვეები მზის მოქცევასთან არის დაკავშირებული და უძრავს კალენდარს შეიცავს. ამიტომ ებრაული მოძრავი მთვარის თვეები არ გადაიყვანება სრულის ზედმიწევნით მზის უძრავ თვეებზე და აქ მხოლოდ მიახლოებულნი შეფარდება მოცემული. ანალოგიურ შემთხვევებში, ქრისტიანულ მწერლობაში მიღებული იყო ხოლმე, რომ როცა ებრაული თვეების მნიშვნელობას რომაულ თვეთა სახელებით გადმოსცემდნენ, „შ ბ ა ტ ი ს“ თვის შეფარდებად ითვლებოდა. თებერვალი (ხან ზუსტად, ხან ცოტა მეტნაკლებობით), ხოლო „ა დ ა რ ი ს“ თვისა — მ ა რ ტ ი (აქაც ასეთი ოდნავი მეტნაკლებობით).

მაშასადამე, ბიბლიის ქართული ტექსტი, რომლის თანახმად ქართული „მიჰრაკნის თთუპ“ იწყებოდა შბატში და გადმოდიოდა ადარში, — გვიჩვენებს, რომ ქართული მიჰრაკნის თვე იწყებოდა თებერვალში და გადმოდიოდა მარტში.

აქედან ირკვევა, რომ მიჰრაკნის თვე უშუალოდ მოსდევდა აპნისის თვეს, რომელიც, როგორც ვნახეთ, სწორედ ამ დროს, თებერვლის 18 რიცხვში სრულდება, (როცა მზე სტოვებს წყლის-საქანელის ნიშანს); ამის მიხედვით მიჰრაკნის თვის დასაწყისი ყოფილა **18 თებერვალი** (როცა მზე შედის შემდეგი ზოდიაკოს — „თევზის“ ნიშანში) და დასასრული უწევს **20 მარტს** (როცა მზე სტოვებს ამ ნიშანს).

რომ მიჰრაკნის თვე შეიცავდა აქ ნაჩვენებს რკალს; ეს სჩანს, გარდა ბიბლიის აქ განმარტებული ტექსტისა, აგრეთვე არჩილის მარტვილობის თარიღიდან და «სახის-მეტყუელის» (ფიზიოლოგოსის) ძველ-ქართული ვერსიიდან.

არჩილის მარტვილობის თარიღი, რომელიც ძველი სვინაქსარული მოსახსენებელიდან შეუტანიათ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ასე იკითხვის:

„თთუჟსა მიჰრაკნისასა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თევსასა“<sup>1</sup>.

ოცი რიცხვი მიჰრაკნის თვისა, ზოდიაკალური რკალის თანახმად, მართლაც მარტის ფარგლებშია მოქცეული და უდრის მარტის 10 რიცხვს.

რაც შეეხება მესამე ძეგლს — «სახის-მეტყუელს» (ფიზიოლოგოსის ძველ-ქართულს თარგმანს), აქ, შეათე თავში, რომელიც ფენიქსს შეეხება, ვკითხულობთ:

<sup>1</sup>) იხ: მარიამ დედოფლის ვარიანტი „ქართლის ცხოვრებისა“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 215, და იქვე შენიშვნა 5.

„არს მფრინველი რაჟმე ჰინდოჲ, სახელი ჰრქვან მას ფკნიქს... და მოვიდის თთუესა მიჰრაქნისასა...“<sup>1</sup>.

ფიზიოლოგოსის უცხოურ დედნებში, იმ ადგილას, სადაც ქართულს თარგმანში მოხსენებულია „თთუე მიჰრაქნისაჲ“, ჩვენ ასეთი შეფარდება გვაქვს:

1. ბერძნულ დედანში აქ გვხვდება „ადარი“<sup>2</sup>, რაც, როგორც ვნახეთ, ცოტა მეტნაკლებობით მარტს უდრის და მაშასახამე უდგება ქართული მიჰრაქნის თვის საერთო რკალს;

2. სომხურ დედანში აქ მოხსენებულია თვე „არგიგ“<sup>3</sup>, რომელიც იწყებოდა თებერვალში და გადმოდიოდა მარტში, და მაშასადამე კიდევ უფრო ახლო უდგება ქართულს მიჰრაქნის თვის;

3. ამის გარდა, როგორც სომხურს, ისე ბერძნულს დედანში, ქართული „მიჰრაქნის თვის“ შესაფარდად დასახელებულია ეგვიპტური თვის სახელიც — „ფამნუდ“<sup>4</sup>, რომელიც აგრეთვე იწყებოდა თებერვალში და გადმოდიოდა მარტში.

ამრიგად, ყველა ზემოთ-მოყვანილი მასალების გათვალისწინების შემდეგ ცხადი ხდება, რომ მიჰრაქნის თვე ძველ-ქართულ კალენდარში შეიცავდა თებერვლის ბოლო ნაწილს და მარტის პირველ ნაწილს; მიჰრაქნის თვე შეფარდებული ყოფილა „თევზის“ ზოდიაკოს ნიშანთან, და ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად იწყებოდა 19 თებერვალს და სრულდებოდა 20 მარტს.

\*

#### 4. «თთუე იგრიკისაჲ» (ანუ «იგრიკაჲ»).

ამ თვის წნიშვნელობის განსამარტებლად ჩვენ ჯერ ქართულ რიბლიას მივმართავთ.

ეთერის წიგნის ძველ-ქართულ ვერსიაში ჩვენ ვკითხულობთ: „მეათორმეტესა დღესა ადარისასა, რომელ არს იგრიკისაჲ“<sup>5</sup> (თავი 3, 13).

„მეათსამეტესა დღესა თთუსა მის მეათორმეტისასა, თთუესა ადარსა, რომელ არს იგრიკაჲ“<sup>6</sup> (თავი 8, 12).

1) იხ. აკადემიკოს ნ. მარრის გამოცემა, TP, VI, გვ. 13.

2) შეადარეთ იქვე, გვ. 72.

3) იხ. იქვე, გვ. 71.

4) იხ. იქვე, გვ. 71 და 72, შენიშვნა 1.

5) იხ. ხელნაწერი სიძველეთა მუზეუმისა № 646. (ამ ხელნაწერში ნაცვლად „იგრიკისაჲ“ შეცდომით სწერია „იგრაკისა“).

6) იხ. ხელნაწერები სიძველეთა მუზეუმისა №№ 646, 570, 51. (აღსანიშნა-

„წელსა მეორესა მეფობასა ასკრეოსისა დიდისასა, რომელ არს არტახშენი, ერთსა მას თთუესა ნისანიასასა, ესე არს თთუე იგრიკისაჲ“<sup>1</sup> (ეთერის წიგნის ზედწერილში).

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ბიბლიის ძველ-ქართველი მთარგმნელები ქართულ მიჰრაკნის თვეს უფარდებენ ებრაულ თვეების ნაწილებს, შბატის ბოლო ორ ათეულს და ადარის პირველ ათეულს. ხოლო იგრიკის თვე, როგორც ვხედავთ, სწორედ ამის შემდეგ იწყება, ადარის ათეულიდან, და შეიცავს ადარის ბოლო ორ ათეულს და ნისანის პირველ ათეულს. (ეთერის წიგნის ზემოთ-მოყვანილ ტექსტების თანახმად, როგორც ვნახეთ, რიცხვები—12 ადარი, 13 ადარი და 1 ნისანი მოქცეულია იგრიკის თვის ფარგლებში). მაშასადამე იგრიკის თვე უშუალოდ მოსდევს მიჰრაკნის თვეს.

მიჰრაკნის თვე, როგორც გამოირკვა, უდრიდა „თევზის“ ზოდიაკოს ნიშანს და სრულდებოდა, რომაულის თვეთა-აღრიცხვით, 20 მარტს. ამრიგად ეს შემდეგი იგრიკის თვე იწყებოდა 21 მარტიდან (როცა მზე შედის მომდევნო „ვერძის“ ზოდიაკოს ნიშანში) და სრულდებოდა 20 აპრილს (როცა მზე სტოვებს ამ ნიშანს).

რომ იგრიკის თვეს სწორედ ეს ფარგლები ჰქონდა მიკუთვნებული, ამას, გარდა ბიბლიის ტექსტისა, ადასტურებს აგრეთვე ძველ-ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები: ფილეკტიმონის მარტვილობა<sup>2</sup>, და ბიკტორის მარტვილობა<sup>3</sup>.

1. ფილეკტიმონის მარტვილობაში ერთ-ერთი მოწამის აღსასრული ასეა დათარიღებული:

„მეშვდესა აპრილისა თთუესა, რომელ არს იგრიკაჲ“<sup>4</sup>.

აქაც, მაშასადამე, იგივე საერთო ქრონოლოგიური რკალი გვაქვს: აპრილის მე-7 რიცხვი იგრიკის ფარგლებშია მოქცეული და უდრის იგრიკის 17 რიცხვს.

2. მეორე ძველი—ბიკტორის მარტვილობა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი საკითხისათვის რადგან აქ გვაქვს შეხვედრა არა

ვია, რომ საბა ორბელიანსაც ეთერის წიგნის ასეთივე ხელნაწერი ჰქონია ხელთა; ლექსიკონში, იგრიკის თვის განმარტების დროს, საბა მიუთითებს ეთერის წიგნის ამ ადგილს—8, 12).

1) იხილეთ ხელნაწერები სიძველეთა მუზეუმისა № 507 და 646.

2) დაცულია მე-10 საუკუნის ხელნაწერში ათონის კოლექციისა (№ 57): ტექსტი ფილეკტიმონის მარტვილობისა გამოცემული აქვს კ. კეკელიძეს (იხ. Keimena, I, 1919 წ., გვ. 133—160).

3) დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში № 341 (მე-11 საუკუნის დასაწყისისა) და სინას-მთის კოლექციის ხელნაწერში № 52 (მე-10 საუკუნისა).

4) იხ. Keimena, I, გვ. 160.

მარტო საერთო რკალისა, არამედ აქ მოიპოვება პირდაპირი ჩვენება, თუ სახელდობრ რომელ რიცხვში იწყებოდა ივრიკის თვე.

ბიქტორის მარტვილობაში — შემდეგი თარიღია წარმოდგენილი: „იწამნეს ბიქტორ და სტეფანოს ოც-და-რვას თთუესა ავრიკისასა“<sup>1</sup>.

ივრიკის 28 რიცხვი, ზემოთ-განმარტებული ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, უნდა უდრიდეს 18 აპრილს. და მართლაც ერთ ხელნაწერში, სადაც მოთავსებულია ბიქტორის მარტვილობა, [სახელდობრ სინას მთის ხელნაწერში № 52, რომელიც გადაწერილია მე-10 საუკუნის მწერლის იოანე-ზოსიმეს მიერ], ბიქტორის მარტვილობას სათაურში წარწერილი აქვს თარიღი რომაულის სათვალავითაც და აქ აღნიშნულია სწორედ ეს რიცხვი: 18 აპრილი<sup>2</sup>.

ამრიგად, ეს ზედმიწევნითი შეხვედრა რომაული და ქართული თვეთა-სათვალავის რიცხვებისა ცხად-ჰყოფს, რომ ივრიკის თვე ვერძის ზოდიაკოს ნიშანს უდრიდა (დროს 21 მარტიდან—20 აპრილამდე).

\*

**ბ. «თთუჳ ვარდობისაჲ».**

ეს თვე ძველ-ქართულ ძეგლებში რამდენიმე სახელწოდებით არის ცნობილი:

- 1) «ვარდობისაჲ» (ანუ მისი pendant «ყუაველობისაჲ»), და;
- 2) «ახალთაჲ», ანუ «ახალთაჲსა».

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა, № 341, გვ. 3<sup>o</sup> 6.

<sup>2</sup>) იხ. აღწერა აღნიშნული ხელნაწერისა პროფ. ი. ყიფშიძის მიერ (Христ. Восток, II, вып. I, 1913, გვ. 64): „თთუესა აპრილსა: იმ: (ე. ი. 18-ს) კსენებაჲ წ'დისა ბიქტორისი“.

ამის გარდა ბიქტორის მარტვილობის ტექსტში, რომელიც გამოცემულია Acta Sanctorum-ის სერიაში (t. III, გვ. 265—271), ჩვენ შემდეგი დათარიღება გვაქვს:

„Passus est S. Victor martyr et B. Corona octava calendas Majas“.

„Octava“—ე. ი. რიცხვობრივი გამოხატულებით VIII, სჩანს, არის პალეო-გრაფიულ ნიადაგზე შეცვლილი XIII, რაც ირკვევა ამ ადგილის შეფარდებიდან სინას მთის ხელნაწერის ჩვენებასთან. რომაული აღრიცხვა—„ცამეტი დღით უწინარეს მაისის კალანდისა“ უმეტნაკლებოდ უდრის იმავე 18 აპრილს.

რომ ბიქტორის ხსენება დაკავშირებული იყო სწორედ 18 აპრილთან, ამას, გარდა სინას მთის ხელნაწერისა № 52, ადასტურებს აგრეთვე ამისი რემინისცენცია სხვა სვინაქსარულ-კალენდარულ ტექსტებშიაც. (იხ. Полный Месяцеслов Востока, წიგნი II, ნაწილი I, გვ. 113.—კონსტანტინეპოლის „დიდი ეკლესიის წესსა და განგებაში“ მე-9—10 საუკუნისა, და ბასილი მაკედონელის „თთვენში“ მე-10 საუკუნისა, 18 აპრილზე გადატანილია ხსენება ბიქტორ ნიკომედიელისა, რომელიც 303 წელს ეწამა).

თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა ეს პარალელური სახელები, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ, და იქ ვნახავთ, რომ ამ თვის ძველი სახელებია «ვარდობისა» და «ყუაველობისა», ხოლო სახელი «ახალთა» ანუ «ახალთაჲსა» შემდეგ არის შემოსული.

[აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, წინასწარი ორიენტაციისათვის, რომ თვის სახელის ეს შეცვლა, დაკავშირებული იყო იმ ისტორიასთან, რომელიც „ვარდობის“ დღესასწაულმა განიცადა. დღესასწაული „ვარდობა“, რომელმაც სახელი მისცა „ვარდობის-თოუს“ წარმართული ხანიდან მომდინარეობს, და თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ვეგეტაციის დღესასწაულს და დაკავშირებული იყო წარმართული ღვთაების „დიდი დედის“ კულტთან. შემდეგ მოხდა „ვარდობის“ ნაწილობრივი ქრისტიანიზირება და იგი „ღვთისმშობლის“ კულტს დაუკავშირეს. კიდევ უფრო გვიან ამ კულტმა ეორტოლოგიური ცვლილება განიცადა, მისი ვადებიც გადაიწია, ხოლო ის შვიდეული, როცა ძველად სრულდებოდა „ვარდობის“ დღესასწაული (8 მაისიდან—15 მაისამდე), „სატფურების“ ანუ „განახლების“ დღესასწაულად აქციეს].

ჩვენ აქ შევჩერდებით ვარდობის-თვის თარიღზე, როგორადაც ეს დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში, პირველ რიგში ბიბლიაში.

ბიბლიის ტექსტებში ჩვენ გვაქვს შემდეგი ჩვენებანი:

ეთერის წიგნი, 8,<sup>9</sup>:

„და მოუწოდეს მწიგნობარსა პირველსა მას თთუესა ჩისანსა, რომელ არს ვარდობისაჲ, ოც-და-სამსა მის თთვსასა, და მიუწერეს...“<sup>1</sup>

გამოსვლათაჲ 23,<sup>15</sup>:

„დღესასწაული უცომოებისაჲ დაიმარხეთ ყოფად, შუდ დღე უჭამდეთ უცომოსა, ვითარცა გამცენ თქუენ ჟამსა მას ოდენ თთუესა ახალთასა, რამეთუ მას თთუესა გამოხუედით ქუეყანით ეგვიპტით“<sup>2</sup>.

გამოსვლათაჲ 34,<sup>18</sup>:

„ჟამსა მას თთვსა ვარდობისასა, რამეთუ თთუესა მასა ყუაველობისსა გამოხუედ შენ ქუეყანით ეგვიპტით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერები სიძველეთა მუზეუმისა № 51, 570 და 646; თვის სახელი ხელნაწერებში ასეა მოყვანილი: № 51—„რომელ არს ვარდობისაჲ“; № 570—„რომელ არს ვარდობაჲ; № 646—„რომელ არს ვარდობა“.—(აღვნიშნავთ აქვე, რომ საბა ამ შემთხვევაში უდგება № 51-ს; ლექსიკონში თვის სახელი საბას მოყვას ფორმით „ვარდობისა“ და უჩვენებს ეთერის წიგნის ამავე ადგილს: 8,<sup>9</sup>.

<sup>2</sup>) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 1207, სიძველეთა მუზეუმისა № 5, 470.—(ათონურის პირი) და ბაქარისეული ტექსტი.—(სტილისტიური ვარანტები აღარ ავკინიშნავს.—სახელწოდება თვისა ყველა დედნებში ერთნაირადაა მოყვანილი: თთუესა ახალთასა“.)

<sup>3</sup>) იხ. ხელნაწერი № 1207 საქართველოს მუზეუმისა.—(ათონურს აქ ფურცლები აკლია).

იგივე ადგილი (—სხვა დედნებში: ხელნაწერში № 51 და ბაქარისეულში):

„უამსა მას ოდენ თთუესა მას ახალ[თა]სა, რამეთუ თთუესა მას ახალ[თა]სა გამოხუედ შენ ქუეყანით ეგვპტით“.

აქ ტექსტების შედარება ერთმანეთთან, და აგრეთვე ბიბლიის სხვა ენაზე თარგმანებთან შემდეგს არკვევს:

1. ტერმინები „ვარდობისაჲ“, „ყუავილობისაჲ“ და „ახალთაჲსა“, როგორც ვხედავთ, სინონიმები ყოფილა; როდესაც ერთ წყებად დედნებში ჩვენ გვხვდება „ახალთაჲსა“ მეორეში ამის საბადლოდ სწერია „ვარდობისაჲ“ — „ყუავილობისაჲ“.

2. ამ ვარდობის-თვის თარიღის გამოსარკვევად ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობები: ვარდობის-თვის ფარგლებში მოქცეული ყოფილა — „ეთერის“ წიგნის ჩვენების თანახმად — 23 რიცხვი ნისანის თვისა, და „გაშოსვლათა“ წიგნის ჩვენების თანახმად — დღესასწაული უცომობისაჲ, რაც ამავე ნისანის 15-ს ხვდება.

აქედან ცხადია, რომ ვარდობის-თვის უშუალოდ მისდევს იგრიკის თვეს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ბიბლიის მთარგმნელნი ქართულს იგრიკის თვეს უფარდებდენ ებრაული თვეების ადარის ბოლო ორათეულს და ნისანის პირველ ათეულს; ხოლო ვარდობის-თვის, როგორც ეს მოყვანილი ტექსტიდინ სჩანს, სწორედ ნისანის ათეულის შემდეგ იწყება, შეიცავს ნისანის 15-სა და 23 რიცხვებს, და მასასა-დამე უდრის ნისანის უკანასკნელ ორ ათეულს და იარის პირველ ათეულს.

იგრიკის თვე, როგორც გამორკვეული იყო, დასრულდება 20 აპრილს, როცა მზე დასტოვებს ვერძის ზოდიაკოს ნიშანს; მასასა-დამე ვარდობის-თვის იწყება **21 აპრილიდან**, როცა მზე შედის მომდევნო ზოდიაკოს — „კუროს“ ნიშანში და **დასრულდება 21 მაისს**, როცა მზე გაივლის ამ ნიშანს.

სხვა ძველ-ქართული ძეგლებიდან, სადაც მოხსენებულია ვარდობის-თვის, ჩვენ აქ შევჩერდებით კვრილე იერუსალიმელის საკითხავზე «პოვნაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ» და «სამქუელთა ჯუარისათა» რომლის პირები გადმოწერილია სინასმთის „მრავალთაჲში“ 864 წლისა და მე-9—10 საუკუნის სხვა ხელნაწერებში<sup>1</sup>.

აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი დათარიღება:

„ნეტარმან ჰელენე დედოფალმან ამცნო მამათა და დედათა აღსრულებად საკსენებელი წდისა ჯუარისაჲ და თუესა ვარდობისაჲსა, მეათესა დღესა მისეჲ თთუესაჲ და რავედენნი“

<sup>1</sup>) სახელდობრ, ხელნაწერებში სიძველეთა მუზეუმისა № 1109, 95 და 114.

აღსრულებდნ საკსენებელსა წდისა ჯუარისასა, ყოველნივე ღირს იქმნენ მოღებად ნაწილსა წდისა მარიამისასა“<sup>1</sup>.

ტექსტის შესახებ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შენახულ ხელნაწერებში, ყველა ნიშნებით, ადგილი აქვს მცირეოდენ შეცდომას რიცხვში, სახელდობრ უნდა ყოფილიყო რიცხვი 11, და არა 10. მაგრამ ამ ერთ-დღიან სხვაობას ჩვენი საკითხისათვის, საერთო რკალის გამორკვევისათვის, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ეს ერთდღიური შეცდომა საფიქრებელია იმისგან წარმოსდგა, რომ თავდაპირველ დედანში რიცხვი ეწერებოდა არა სიტყვებით, არამედ ანბანური რიცხვნიშნებით. რიცხვი თერთმეტი ანბანური რიცხვნიშნებით იწერება ამ-რიადა: „ი-ა“. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი დამწერლობა იძლევა წაკითხვის ორგვარ შესაძლებლობას. „ი-ა“ ნიშნავს თერთმეტს, მაგრამ ამავე დროს ი-ა შესაძლოა წაკითხულ იქმნას როგორც „მეთეს-ა“, ესე იგი „ი“ გაგებული იქმნეს როგორც ათი, ხოლო „ა“ როგორც ბრუნვის ჩვეულებრივი დაბოლოება „ა“: მეთეს-ა. ჩვენ გვაქვს სხვა მაგალითები, როცა რიცხვების ანბანურ გამოხატულებაში დაბოლოება „ა“ ზოგჯერ ბრუნვის დაბოლოების აღსანიშნავადაც იხმარება. მაგალითად სამწვერისის ერთი წარწერა მე-9 საუკუნის დასასრულისა ასე იწყება: ზა წელსა კონსტანტინუს მეფობისასა“, რაც ნიშნავს: „მეშვდესა წელსა კონსტანტინუს მეფობისასა“ (ესე იგი „ზ“ აღნიშნავს რიცხვს შვიდი, ხოლო ბილო „ა“ უჩვენებს ბრუნვის დაბოლოებას: მეშვდეს-ა“).

ეს ერთი ახსნა იმისი, თუ რა გზით შესაძლოა წარმომდგარიყო ეს ერთ-დღიანი შეცდომა, როცა ტექსტში, ნაცულად რიცხვისა „თ ერთმეტსა“ (ანუ; ძველ-ქართული მართლწერით, „მეთერთმეტესა“) გვხვდება „მეთესა“.

მაგრამ, ამის გარდა, შეცდომა შესაძლოა იმისგანაც იყვეს წარმომდგარი, რომ ორიგინალი, საიდანაც ითარგმნა ქართული ტექსტი, საფიქრებელია, კალენდებით აღრიცხვას შეიცავდა, ხოლო ასეთ შემთხვევაში ერთდღიანი შეცდომა მით უფროა მოსალოდნელი; კალენდების ჩვეულებრივ აღრიცხვაზე გადაყვანის დროს, როგორც ცნობილია, ერთდღიანი შეცდომა მოსდიოდათ არათუ უცხოელ მწერლებს, არამედ თვით რომაელ და ბერძენ მწერლებსაც.

ორიგინალი სიიდანაც უშუალოდ ითარგმნა ქართული ტექსტი, თუმცა ცნობილი არაა<sup>2</sup>, მაგრამ თარიღის განმარტება მაინც მოსახერხებელია არსებულ ჰაგიოგრაფიულ და კალენდარულ ტექსტების შედარებითი განხილვიდან.

ვარდობის-თვე; როგორც აღნიშნული გვექონდა, იწყებოდა, ზოლიაკალური რკალის თანახმად, 21 აპრილიდან და სრულდებოდა

<sup>1</sup>) იხ. ხელნაწერები: № 1109, გვ. 36a; № 95, გვ. 400; № 144, გვ. 288. — (სტილისტურ ვარიანტებს აღარ აღვნიშნავთ).

<sup>2</sup>) კერძოდ ბერძნულ დედანში, რომელიც ხელთა გვაქვს, ის ადგილი, რომელსაც აქ ვეხებით, ნაწილობრივ გამოშვებულია, ნაწილობრივ გადაკეთებული და მას სხვა ეორტოლოგიური ინტერპრეტაცია აქვს მიცემული. (იხ. E. Nestle, Die Kreuzauffindungslegende: *Byzantin. Zeitschrift*, IV, გვ. 331).

20 მაისს. მაშასადამე მე-11 რიცხვი ვარდობის-თვისა, რა დროსაც: მიეკუთვნება ჯვარის აღმოჩენა, უნდა უდრიდეს 1 მაისს. და რომ თარიღის ეს განმარტება სწორეა, სჩანს იმის მიხედვით, რომ ერთი-კვირის განმავლობაში, 1 მაისიდან 7 მაისამდე ჩვენ მართლაც გვხვდება ჯვარის დღესასწაულთა მთელი რიგი. მთელი ეს ერთი-კვირეული, 1—7 მაისი, ჯვარის ხსენებისთვის ყოფილა განკუთვნილი.

ასე, ბერძნულსა, ლათინურსა და აღმოსავლურს ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ელენეს მიერ ჯვარის აღმოჩენის ხსენება დადებულია. 1 მაისს (— „კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის წესსა და განგებაში“ მე-9—10 საუკუნისა) <sup>1</sup>; 3 მაისს (— სინას მთის ბერძნულ სენაქსარში მე-9—10 საუკუნისა და ძველ-რომაულ ტექსტებში) <sup>2</sup>; 4 მაისს. (აბაშურ სენაქსარში) <sup>3</sup>. 7 მაისზე გადმოტანილია ხსენება ჯვარის ნიშის გამოჩინებისა კვირიღე იერუსალიმელის დროს <sup>4</sup>.

იგივე რკალი. 1 მაისიდან 7 მაისამდე ჯვარის დღესასწაული საათვის განწესებული ყოფილა საქართველოშიაც ადგილობრივ დღეობათათვის უძველესი დროიდანვე. ასე, ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ქელიშური ტექსტის თანახმად, მცხეთის ჯვარის შექმნა მოხდა 1 მაისს, ხოლო მისი აღმართება 7 მაისს <sup>5</sup>.

ამრიგად პირველი კვირეული მაისისთვისა, 1-დან 7-მდე, ჯვარის ხსენებისათვის ყოფილა მიკუთვნებული; ხოლო შემდეგ კვირეულში, 8-დან 15-მდე, დაწესებული ყოფილა მარიამის სახსოვარი. რომ მარიამის მოხსენება ჯვარის დღეობასთან ყოფილა დაკავშირებული, ამას პირდაპირ გვანიშნებს კვირიღე იერუსალიმელის ზემოთ-დასახელებული საკითხავი, სადაც, როგორც ვნახეთ, ნათქვამია: „და რავდენნი აღასრულებდენ საკსენებელსა წდისა ჯუარისასა, ყოველნივე ღირს იქმნენ მიღებად ნაწილსა წდისა მარიამისსა“.

და მართლაც, ამ მეორე რკალის ფარგლებში, მაისის 8-დან 15-მდე, ჰაგიოლოგიაში შერჩენილა მთელი რიგი მარიამის სახსოვართა, რომელთაც უმთავრესად „განახლებაჲ“ („სატფური“) ეწოდება. ასე, ამგვარნი მოსახსენებელნი, მარიამის სახელთან დაკავ-

<sup>1</sup>) იხ. С е р г и й, Подный Месяцеслов Востока, II, ნაწილი I, გვ. 128.

<sup>2</sup>) ibid, გვ. 130 და 66.

<sup>3</sup>) ibid, გვ. 66.

<sup>4</sup>) idid, გვ. 135.

<sup>5</sup>) იხ. ნინოს ცხოვრების შატბერდული და ქელიშური ვარიანტები, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ОР, გვ. 788.

შირებულნი, ნაჩვენებია: 10 მაისს (ბერძნულში)<sup>1</sup>, 13 მაისს (ბერძნულში)<sup>2</sup>, 14 მაისს (ბერძნულში)<sup>3</sup>, 15 მაისს (ბერძნულსა და სირო-ფინიკიურში)<sup>4</sup>.

კერძოდ სირო-ფინიკიურს „თთუნში“ დღესასწაული ატარებს სახელწოდებას: „ღმრთის-მშობლისაჲ თავთავთა ზედა“, ე. ი. ღვთის-მშობელზე აქ გადმოტანილია ატრიბუტი წარმართული ღვთაების „დიდი-ღვდისა“, ჰურის თავთავთა და საერთოდ ვეგეტაციის მფარველისა<sup>5</sup>.

ჩვენი საკითხისათვის აქ განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ ანალოგიური მოსახსენებელი მარიამისა—მაისის თვის რკალში—საქართველოშიაც არსებულა, და ამ დღესასწაულს კარგა ხნის მანძილზე შერჩენია „ვარდობის“ სახელი, რაც ამჟღავნებს ქართული დღეობის კავშირს იმავე წარმართულ ვეგეტაციის კულტთან. ძველ-ქართულ საგალობელთა კრებულში, რომელიც სინას მთაზეა დაცული, აკადემიკოს ნ. მარრის აღწერილობის თანახმად, მარიამის ეს დღეობა ასეთის სახელწოდებით ყოფილა აღნიშნული: «ვარდობაჲ ღმრთის-მშობლისაჲ, მაისისა იე (—15-სა) დღესა»<sup>6</sup>.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

1) იხ. *Сергий, Полный Месяцеслов Востока*, წიგნი II, ნაწ. I, გვ. 139.

2) იქვე, გვ. 141 და 142.

3) იქვე, გვ. 143.

4) იქვე, წიგნი I, გვ. 202, წიგნი II, ნაწილი I, გვ. 144.

5) იხ. იქვე, წიგნი I, გვ. 202.

6) იხ. ნ. მარრი, *Архангел, монгольское название христиан: Византийский Временник*, 1905 წ., XII, გვ. 57.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ОТКРЫТОЕ ПИСЬМО ЗАВЕДЫВАЮЩЕМУ КРЫМСКО-КАВКАЗСКОЙ СЕКЦИЕЙ ИНСТИТУТА ГЕОЛОГИЧЕСКОЙ КАРТЫ  
А. П. ГЕРАСИМОВУ.

Многоуважаемый Александр Павлович!

В последнем выпуске *Известий Главного-Геолого-Разведочного Управления* Вы от лица Крымско-Кавказской Секции высказываетесь<sup>1</sup> по поводу моей критической заметки<sup>2</sup>, касающейся работы Б. Мефферта о геологии Рачи (Зап. Грузия)<sup>3</sup>. Ваш приговор не оставляет сомнений: «...голословные обвинения, набор хлестких, несправедливых и некорректных слов и выражений, совершенно необычных на страницах научных изданий».

Конечно я не мог пройти мимо такого суждения, выказанного от имени столь авторитетного учреждения. Но напрасно я старался узнать, что собственно Вы считаете некорректным в моем реферате? В Вашем письме указаний на это к сожалению не имеется. А хотелось бы знать. К тому же возможно, что самое представление о корректности у нас различное.

К примеру. Почти два года тому назад Б. Мефферт на публичном заседании Крымско-Кавказской Секции в самой недопустимой форме критиковал меня\*. Узнавши об этом от

<sup>1</sup>) *Известия Главного Геолого-Разведочного Управления*, XLIX, 1930, № 5, стр. 124.

<sup>2</sup>) *Bulletin du Musée de Géorgie*, V, Tiflis 1930, p. 300-323.

<sup>3</sup>) Мефферт, Б. Ф., Геологические исследования в Рачинском уезде Зап. Грузии в 1928 г. (предварительный отчет): *Материалы по общ. и прикл. геол.*, вып. 140, 1930 г., стр. 73-117, с геол. картой.

\*) Все свидетели единодушны в оценке характера этого выступления, на котором вообще неизвестный в отношении стиля Б. Меф-

случайного свидетеля, проф. К. Габуниа, я написал Вам письмо, в котором указывал на явную неосновательность тех из нападок Б. Мефферта, о которых мне стало известно, и просил довести это до сведения Секции. Вы мне ответили, что научный спор между Б. Меффертом и мной есть наше частное дело и Секция в него вмешиваться не может. Когда же я выступил с критикой Б. Мефферта, Вы уже считаете необходимым вмешаться и даже не находите нужным скрывать односторонность Вашего вмешательства. Это ли нужно разуметь под справедливостью и корректностью?

Моей просьбы осведомить Секцию Вы не исполнили, но зато нашли возможным передать мое письмо Б. Мефферту. Может быть это зовется корректностью?

Мне известны выражения, к которым прибегал Б. Мефферт на упомянутом заседании К.-К. Секции (под Вашим председательством), стиль его критики в уже опубликованной работе известен всем. И Вы находите, что критические замечания Б. Мефферта «опубликованы им в совершенно литературных и корректных выражениях», а меня находите нужным «осудить самым решительным образом». Не это ли корректность?

И еще один пример. Касаясь моей критики методов съемки, практикуемых Б. Меффертом, Вы изволите писать: «Все остальные указания относятся к крайнему восточному уголку карты (площадью около 150 кв. км.), который по совершенно ясному заявлению Б. Мефферта (I. с., стр. 73) *им посещен не был*» (курсив мой, А. Дж.).

А Б. Мефферт со своей стороны в том же номере *Известий Г. Г.-Р. У.* клянется: «*Никакой Хеоры я никогда не видел, как не был в сел. Бравалдзали, 1. Пир-Цитела и на хребте Хихалта*»<sup>1</sup>.

Между тем мои самые тяжелые замечания относятся именно к району Бравалдзали-Хихата. Моя некорректность Мефферт превзошел самого себя. Однако с моей стороны ничего абсолютно этому не предшествовало. Вы это прекрасно знаете и тем не менее хотите изобразить из Б. Мефферта нечто в роде жертвы неудавшегося покушения. Очевидно критику Вы относите к числу необратимых процессов.

<sup>1</sup>) Мефферт, Б. Ф., О критике геологии Рачи (Зап. Грузия): *Известия Г.Г.-Р.У.*, XLIX, 1930, № 5, стр. 130. (Курсив мой).

видна. Но посмотрим теперь, что говорится на стр. 73 работы Б. Мефферта, на которую вы ссылаетесь: «*С юга* (курсив мой) границей исследований пока являлись кряжи и обрывы ургона от высот Поцхвреви (1.125 саж. абс. в.) к Хихамта, Вельтхеви, Сацалико...» Район, о котором у меня идет речь лежит к северу от этой линии, причем, к слову сказать, высоты Поцхвреви находятся к востоку от р. Хеоры, которой Б. Мефферт «никогда не видел».

А вот, что пишет последний в критикуемой работе (стр. 88): «Строение восточной части хребта Хихамта (от высоты 1.019 саж. до главной вершины Хихамта—1.049 саж.) остается мне неизвестным». Значит западную часть хребта до вершины 1019 саж. он видел, а я касаюсь только этой части!

Или возьмем стр. 82 той же работы. Здесь Б. Мефферт пишет «...исходя из *исследованной мной области* Земо-Бари и *Мравалдзали*» (курсив мой)! И это называется «по совершенно ясному заявлению Б. Мефферта район им посещен не был».

Вот примеры корректности! И оперируя такими аргументами, Вы предлагаете «осудить А. Джанелидзе самым решительным образом». Но может быть Вы не заметили указанных мест в работе Б. Мефферта? К сожалению нет возможности допустить такое предположение: на эти места я специально ссылаюсь с указанием страницы и даже строчки! (см. стр. 11 моего реферата).

Положение Б. Мефферта понятно: он принужден изворачиваться. Но Вы почему влутываете себя в эту некрасивую историю? Нельзя не высказать искреннего сожаления, что под таким документом Вы подписываетесь в качестве официального лица, как председатель Кр.-Кавказской Секции.

Однако довольно о корректности. Перейдем к более существенному. Вы говорите о моих неясных и явно оскорбительных намеках. Помилуйте, Александр Павлович! Не намеками, а определенно и недвусмысленно указываю я на

1. Недобросовестные приемы критики Б. Мефферта;
2. На его чрезмерно неосторожное обращение с правом литературной собственности;
3. На неслыханный произвол в деле съемки;
4. На яркие примеры малограмотности (в обл. тектоники);

И Вы должны отдать мне справедливость: каждое из приведенных положений я подкрепляю целой цепью доказательств. Быть может слабых, но это следовало бы показать. Однако Вы даже попытки такой не делаете и ссылаетесь на Б. Мефферта, последний же явно злоупотребляет соображением, что на критику А. Джанелидзе отвечать не стоит.

Я смотрю на дело несколько иначе и намерен кое-что напомнить относительно каждого из перечисленных пунктов.

1. Первое положение я иллюстрировал целым рядом примеров (стр. 3—6 моего реферата). Из них Б. Мефферт в ответной заметке касается только одного: изверженной породы в сел. Никорцминда. Он утверждает, что мог заключить, что я считаю эту породу диабазом, так как на моей карте соответствующая сигнатура обозначает только диабазы и андезиты (*Известия Г.Г.-Р.У.*, XLIX—5, стр. 128). Между тем Вы можете без труда убедиться на моей карте, что это обозначение соответствует диабазам, андезитам и базальтам (см. стр. 5 моего реферата)\*. Далее Б. Мефферт добавляет, что не мог знать содержание грузинского текста. Между тем помимо перевода этого текста у него имелось мое письмо, переданное ему Вами, из которого он знал, как я смотрю на эту породу (см. подстр. примеч. на стр. 4 моего реф.).

После этого я кажется имею право считать, что мое заключение остается в силе.

2. Также рядом примеров я подкрепил свое заключение о неосторожности Б. Мефферта в отношении к литературной собственности: порфириновая серия, выход юры в Тхмори и т. д. Вместо того, чтобы ответить мне по существу, Вы называете все это открытиями в кавычках и даете вопросу такое освещение, будто речь идет о защите мной прав приоритета. Со своей стороны и Б. Мефферт объявляет упоминание или упоминание автора «пустяком» (l. c., стр. 129) и смело заявляет, что и сам о праве приоритета никогда не заботился (ib.)\*\*.

\*) Опять образец корректности!

\*\*) Меня же он упрекает в том, что я упоминаю лишь о найденной им *Parkinsonia*, тогда как он нашел целую *Parkinsonia Parkinsoni*. И любезно поясняет при этом, что Паркинсонии встречаются не только в байсском, но и в батском ярусе, думая, что поймал меня на ошибке,

Разрешите внести некоторую точность в обсуждение вопроса. Речь идет вовсе не о защите моих прав. Но, когда Б. Мефферт пространно разбирает мнение авторов, не заметивших складчатости порфиритовой серии, и заключает указанием, что он разрешил этот вопрос (Геол. иссл. в Рач..., стр. 106), а о том, что в критикуемой им моей работе, эта складчатость установлена, совершенно умалчивает; когда он говорит о возрасте порфиритовой серии, а о том, что мной по этому вопросу было сделано, умалчивает (ib.); когда он пишет, что на всех картах до него дается замкнутый выход юры у Тхмори, а о критикуемой им моей карте опять умалчивает (l. c., стр. 78); когда после этого он добавляет, что А. Джанелидзе ничего в своей работе не добавил к тому, что было известно уже за 50 лет, трудно избежать необходимость нравственной оценки такого поведения. Не то важно, что «открытия» сделаны мной, а то что Б. Мефферт их присваивает, чего Вы не можете отрицать. Вы пытаетесь извинить такое поведение Б. Мефферта тем, что грузинский текст не дает прав на приоритет. Это своеобразное возражение я предвидел\*, но я не мог

так как я говорю о байском возрасте порфиритовой серии. Опять странная неосведомленность. Когда пишут просто *Parkinsonia*, это значит, что видовых определений не касаются, и если дальше говорится о байосе, всякому ясно, что подразумеваются байосские виды. Точно таким же образом можно сказать, что найденные в глауконитовых песчаниках аммониты позволяют установить альбский возраст этих отложений, хотя хорошо известно, что аммониты встречаются не в одном альбском ярусе. Другое дело, когда пишут *Parkinsonia* sp. Это значит, что видовое определение не сделано, или не могло быть сделано, и в таком случае вопрос о байосском или батском возрасте ископаемого остается неразрешенным. Именно таково положение, когда Б. Мефферт, говоря о келловее в Цеси, ссылается на найденный им *Macrocephalites* sp. *Macrocephalites* sp. встречается от верхнего бата до нижнего оксфорда включительно и вопроса о келловейском возрасте цесских слоев решить не может.

\*) По этому поводу мне вспоминается следующий случай. Музей Грузии находится в отношениях обмена изданиями приблизительно с 200 научных учреждений. Из них около  $\frac{3}{4}$  в Союзе, а остальные в разных странах Старого и Нового Света. И вот единственное Русское Минералогическое Общество, председателем которого Вы состоите, вернуло посланные ему экземпляры *Известий Музея* обратно, мотивируя это тем, что работы пишутся на непонятном языке.

предвидеть, что мне его сделают после того, как я в своем реферате особо подчеркнул, что о складчатости порфиритовой серии говорится не только в грузинском тексте, но и во французском резюме, не говоря уже о карте и разрезе. А для выхода юры в Тхмори достаточно и одной карты. Кроме того у Мефферта был и перевод грузинского текста. Этого он не отрицает и в своем ответе (I. с., стр. 126): «По этому пустому (! А. Дж.) поводу могу заметить, что таким полным переводом я никогда не располагал, а на переводах своих частных знакомых конечно не мог основываться». Ни о каком другом переводе, кроме сделанного его «частными знакомыми», я и не говорил. Что же касается того, что он не может «основываться на переводах своих частных знакомых», так для чего же тогда он их беспокоит? \*

А относительно важности этих «открытий» вот что я писал на стр. 8 моего реферата: «Конечно речь идет о столь простых вещах, что их мог заметить всякий, в том числе и Б. Мефферт, и, если бы последний совсем не упоминал о моей работе, это бы меня не удивило. Но когда этот автор находит нужным писать даже о том, что «судя по карте» А. Джанелидзе считает никорцминдский эффузив диабазом, его умалчивание о вышеприведенных фактах приобретает вполне определенное значение». Пусть открытия в кавычках! Но думаете ли Вы, что это может облегчить положение Б. Мефферта? Согласитесь, что и здесь моя оценка остается в силе.

3. Совершенно недопустимый произвол, практикуемый Б. Меффертом в деле геологической съемки я иллюстрировал несколькими примерами. При этом определенно указывал, что ограничиваюсь случаями абсолютно убедительными «даже для читателя не видавшего Рачи». И к этому вопросу Вы должны были отнестись особенно серьезно.

Относительно района сел. Укеши Вы замечаете, что этот пример я сам считаю мелочным (?) и неубедительным. Не так-

\*) Однако Б. Мефферт не всегда был такого мнения. Когда при встрече с ним в Тифлисе я предупредительно заметил, что он не мог избежать недоразумений за недоступностью для него грузинского текста, он вызывающе ответил, что располагал полным переводом и просит об этом не беспокоиться. Так как речь идет о Б. Мефферте, считаю нужным добавить, что это происходило при свидетелях.

во должно быть Ваше мнение. Но пусть! Ну а восточная часть карты?

Здесь необходимо кое что уточнить. Если Вы читали мой реферат, конечно знаете, что затрагиваемый мной участок карты я разбиваю на две части и относительно района к востоку от Хеоры, Б. Меффертом не посещавшегося, пишу особо (стр. 9—10 моего реферата). Однако, когда Вы утверждаете, что и я признаю за автором право составлять схематическую карту непосещавшегося района и сам пользуюсь тем же методом, это требует пояснений. Давая схематическую карту местности, мной неисследованной, я основываюсь на данных предыдущих авторов, изменяя лишь то, что я видел, или то чего они непосредственно исследовать не могли и мне представляется мало вероятным. Б. Мефферт наоборот не задумался перекрасить участок карты, о нахождении на котором верхнего мела имеются точные указания Абиха, Симоновича и др., посещавших этот район. А между тем достаточно было бы проехать несколько километров, чтобы убедиться в правильности наблюдений названных авторов.

Однако для иллюстрации методов работы Б. Мефферта я этим не ограничился. Главное внимание я сосредоточил на районе Бравалдзали-Хихата, который он непосредственно исследовал (там же, стр. 10—11). Со всеми нужными подробностями я показал, что здесь дело обстоит еще хуже. Ни Вы, ни Б. Мефферт даже не думаете опровергать мои замечания. Единственный выход Вы ищете в безнадежной попытке установить alibi Б. Мефферта: он-де района не посещал. Об этом достаточно говорилось выше.

Значит и в районе им исследованном Б. Мефферт позволяет себе такие же вольности, как и в районе неисследованном. И у Вас хватает решимости утверждать, что А. Джанелидзе ничего не сказал о негодности методов работы «одного из виднейших геологов Геологического Комитета»; что им «никаких конкретных указаний на неправильность контуров не приводится!»

В течение последнего лета я руководил геолого-разведочными работами на другом участке района, снятого Б. Меффертом: в окрестностях селений Дзмуиси, Тхмори и

Баджи, и мне удалось посетить также участок Тола-Хванчкара. Естественно приходилось проверять карту Б. Мефферта. Результат превзошел самые пессимистические ожидания. И конечно речь идет не о деталях\*.

Это о съемке. Здесь же я скажу несколько слов о стратиграфии. Вы повторяете вслед за Б. Меффертом будто я касаюсь единственно лишь «красноцветной свиты». Быть может Вы потрудитесь проверить себя, Александр Павлович! А средний мел? А вопрос о трансгрессиях? А вопрос о фациях? Но допустим, что Вы правы. Разве «красноцветная свита» не играет у Б. Мефферта совершенно исключительную роль? Разве не она лежит в основе всей его тектоники? Мог ли я сделать лучший выбор? Или может быть мои замечания несущественны и «голословны?»

Во всяком случае эти замечания остаются, как и другие, без ответа. Единственное, что Б. Мефферт нашелся сказать, это, что слой с *Nerinea* у сел. Цеси, о котором я говорю, не тот, который имеется в виду у Л. Конюшевского и Б. Мефферта и который находится на берегу Риона. Но беда в том, что в юрских отложениях сел. Цеси пока известен только один горизонт с *Nerinea*ми и лежит он в основании келловея. Что же касается ссылки на Л. Конюшевского, свои заметки о Цеси я напечатал давно, кроме того, он присутствовал на моем докладе по поводу работы Б. Мефферта в Геологическом Институте Грузии и, очевидно, если бы разделял приписываемую ему мысль, сам бы заявил об этом.

К тому же Вы ведь подчеркиваете, что «для красноцветной свиты в районе работы Б. Мефферта никем отчетливой фаунистической характеристики не дано». А тут вдруг целый слой с *Nerinea*ми. Ведь это находка первостепенной важности. Где эти *Nerinea*и, кто их обрабатывает?

4. Мне особенно интересно было бы слышать компетентное мнение о моей критике тектонических построений Б. Мефферта (стр. 17—20 моего реф.). Вы этот вопрос разрешаете довольно просто: «фактические данные, опубликованные (Б. Меф-

---

\*) Краткий отчет вместе с геологической картой будет сдан мной в Закавказское Геолого-Разведочное Управление.

фертом), не противоречат предложенной им тектонической концепции». И это все.

Но Вы находитесь в приятном заблуждении. Речь идет не о соответствии тектонической схемы, предложенной Б. Меффертом, его же «фактическим данным», а о чем то совершенно ином. Вот что я писал, убедившись в полной ненадежности карты Б. Мефферта: «Никакой тектоники на наблюдениях Б. Мефферта строить нельзя. Но не ограничиваясь этим, рассмотрим его тектонические построения сами по себе, независимо от их реальности». Подробно изучив с этой точки зрения сброс к востоку от Дзмуиси, взброс по реке Шауле у сел. Тхмори, взброс между Сакеция и Ица, южный рачинский надвиг, северный рачинский надвиг, я пришел к заключениям, о которых Вы и Б. Мефферт предпочитаете умалчивать. Перед нами не схемы, которые могут оправдаться или нет, а вещи, за которые студентов гоняют с экзаменов. Или может быть я был «голословен?»

Если Б. Мефферт не находит нужным опровергать меня, зато я сам воспользовался первой же возможностью проверить свои выводы на месте и могу сообщить, что они оправдались полностью. При этом я был не один и фактов выдумывать не могу.

По поводу моей критики Вы высказываете очень интересное соображение, разделяемое и Б. Меффертом: «Еще меньше оснований признать правильность нападков критики на тектонические схемы Б. Мефферта. Такие суждения можно было бы делать лишь в том случае, если бы А. И. Джанелидзе облек свои представления в такие же графические изображения, как карта и разрезы критикуемого автора».

Так вот до чего мы договорились! Значит, чтобы иметь право критиковать какого нибудь геолога, необходимо самому проделать всю ту работу, которую тот выполнил. Интересно бы знать, когда комиссия Крымско-Кавказской Секции высказалась по поводу той же работы Б. Мефферта, сколько времени она провела в Раче и в какие «графические изображения» облекла свои суждения?

Если такова сила Ваших доводов, можно ли удивляться беспомощности Б. Мефферта? Благоразумно обойдя молчанием

вопросы тектоники, он имеет неосторожность вспомнить о знаменитых виргациях и мое слишком тяжелое для него замечание называет «игрой слов». Оказывается у него и в мысли не было принимать осевые линии складок за линии простирания. А вот, что он писал в своей работе (стр. 77): «Так, SSW—NNE *простирание* ургона правобережья р. Цхенис-цхали связано *одной непрерывной линией* с широтным *простиранием* (курсив всюду мой) миоцена правого берега Риона в Раче».

Другой пример. Анализируя карту Б. Мефферта в районе Тхмори, я прихожу к заключению, что по данным карты мы имеем здесь сброс по реке Шарауле с опущенным северным крылом. Между тем по описанию автора здесь проходит взброс\* крупного регионального значения с надвигом северного крыла на южное, т. е. дислокация диаметрально противоположного характера. Вывод ясен (см. стр. 18 моего реф.).

Касаясь этого щекотливого вопроса Б. Мефферт с самым невинным видом замечает (стр. 128): «Разбор А. Джанелидзе установленных мной крупных разрывов во всей рассматриваемой области в районах Хончиори, Шаври, Тхмори, Дерчи сводится к мало содержательному набору слов. Подчеркнутое шрифтом указание А. Джанелидзе, что в *сбросе* (курсив мой, А. Дж.) у Тхмори, „должно было произойти диаметрально противоположное“ тому, что есть на моей карте, предоставляю понять самому читателю».

Я сомневаюсь чтобы читатель сумел здесь чтонибудь понять, так как «короткий надвиг регионального значения» уже успел благополучно превратиться в сброс. Для меня это было так неожиданно, что слово сброс я счел за типографскую ошибку, но скоро убедился, что такая же метаморфоза постигла и всю линию разрыва вплоть до района Дерчи-Орхва (см. там же). Нужно ли Вам более яркое доказательство основательности моей критики?

И еще пример. Желая показать, что я ему приписываю мысль, которой он не высказывал, Б. Мефферт пишет: „В реферате А. Джанелидзе сказано: «келловейскую трансгрессию в Раче он (Б. Мефферт) отрицает (ссылка на стр. 105 работы Б. Меф-

\*) В действительности там нет ни того, ни другого.

ферта)». При рассмотрении района Цеси в работе Б. Мефферта на указанной странице значится: «не отрицая трансгрессии келловей, как возможной и действительно существующей в других областях Кавказа...» и т. д.

Уже из этой запутанной выписки видно, что *«не отрицающая в других областях»* (курсив мой, А. Дж.), в Раче он отрицает. Ведь без этого мне с ним и спорить было бы не о чем.

Прежде чем закончить, я хочу ответить еще на два упрека Б. Мефферта\*. Первый относится к моей фразе, что «критика Б. Мефферта имела в виду не только меня лично и даже не меня главным образом». Он называет это туманным намеком. Я считаю этот упрек заслуженным, хотя для самого Б. Мефферта никакого тумана здесь не может быть. Спешу исправить мою ошибку. Значение упомянутой фразы следующее. Критикуя мою работу, Б. Мефферт имел в виду на этом примере показать, что никакой научной работы в Тифлисе нет и быть не может, как нет и научных работников. Условий для того, чтобы подумать о создании здесь какой нибудь научной ячейки, придется еще подождать. Все это он откровенно высказал в Горном Отделе ВСНХ Грузии в присутствии многих свидетелей. Это не просто мнение, а целая программа, хорошо мне знакомая. Последнюю необходимо было учесть, а зарвавшемуся геологу указать его настоящее место.

Второй упрек касается того, что я сделал свой доклад относительно работы Б. Мефферта до официального опубликования последней. Так как Б. Мефферт освещает факты явно тенденциозно, я считаю нужным восстановить истину.

Выступление Б. Мефферта против меня на заседании Кавказской Секции состоялось в феврале 1929 года. Письмо мне Б. Мефферт написал двумя или тремя месяцами позже и не по своей инициативе, как он пишет, а после того, как Вы передали ему мое к Вам письмо. Содержание письма Б. Мефферта было такое, что на него можно было ответить только презрением.

В мае того же года состоялась, на этот раз действительно

\*) Критику работы Б. Мефферта я уже дал в вышеназванной моей заметке и здесь повторяться не намерен.

но по его почину, моя встреча с Б. Меффертом в Тифлисе. Каково было его поведение при этом и достаточно ли я проявил сдержанности, об этом знают присутствовавшие лица.

Через несколько месяцев в Тифлисе появился экземпляр работы Б. Мефферта, прошедший все стадии корректуры. Он был прислан автором Горному Отделу ВСНХ Грузии, геологическим подотделом которого заведывал инж. Л. Конюшевский. Около двух месяцев книга ходила по рукам, очевидно «для служебных надобностей», прежде чем она попала ко мне. Свой доклад в Геологическом Институте Грузии я сделал лишь после этого. Доклад был сделан на русском языке, но Б. Мефферта в Тифлисе уже не было. Однако член научного совета Г. И. Грузии проф. Г. Цулукидзе уведомил последнего, что я готов повторить свой доклад в его присутствии, если он того пожелает. Ответа не последовало. Печатание своего доклада я задержал до официального опубликования работы Б. Мефферта.

Как видите, в преждевременном распространении своей работы повинен сам автор. Сделать устный доклад по поводу книги, которая была направлена против меня и была пущена в обращение среди моих слушателей по университету, я имел полное право. Впрочем, уже после публичного доклада Б. Мефферта в Крымско-Кавказской Секции я имел право сделать ответный доклад и использовать все те материалы, которыми он аргументировал. Б. Мефферт на докладе не присутствовал не по моей вине (в этом необходимости и не было), но ему была предложена возможность это сделать\*.

Подведем итоги.

На тон критических выступлений Б. Мефферта я жаловаться не думаю. Тем лучше, если Вы находите, что он соответствует традициям академической этики.

Вопреки Вашему заявлению ни одного из замечаний мое-

\*) Впрочем, если Б. Мефферт выразит желание, я и теперь не откажусь повторить свой доклад в его присутствии. Мало того, в случае предложения со стороны Кр.-Кавказской Секции я готов воспользоваться первым же своим приездом в Ленинград, чтобы на публичном заседании сделать доклад по всем затрагиваемым мной вопросам.

го критика я без ответа не оставил. Быть может ответ Вас не удовлетворяет, но это уже дело другое. Если речь шла о местах мной непосещенных, я это указал, а по поводу Наманевского эффузива определенно отметил что высказанный мной взгляд—считаю подлежащим проверке, причем указал также на явные ошибки и противоречия в работе Б. Мефферта по этому вопросу. Это мешает последнему утверждать будто вопрос о роде залегающих Наманевского эффузива я замалчиваю (*Изв. Г.Г.Р.У.*, XLIX—5, стр. 128). Главное-же и неизменно повторяемое им обвинение состоит в том, что я ничего не понял в геологическом строении Рачи, так как не заметил описанных им надвигов. Очевидно он никак не может примириться с мыслью, что эти надвиги существуют только в его сочинении.

Моя ответная критика абсолютно корректна по форме, но крайне резка по своим выводам. При том ее можно назвать чем угодно, но только не голословной. Ее нужно опровергнуть или согласиться с ней. Третьего выхода не может быть. Нет сомнения, наш спор выходит далеко за пределы обычной научной дискуссии, но необходимо помнить, что и самая полемика и ее характер навязаны мне Б. Меффертом.

Теперь относительно Вашего вмешательства. Вы говорите, что Крымско-Кавказская Секция отвечает за методы работы своих сотрудников. Ничего возражать не имею. Скажу только, что требуется немало гражданского мужества, чтобы сделать все вытекающие отсюда выводы.

Однако Вы не сумели удержаться в рамках такой постановки вопроса. Вместо того, чтобы убедиться в удовлетворительности работы Б. Мефферта и ошибочности моей критики и этим ограничиться, Вы берете последнего под свою защиту, вмешиваетесь в спор, как сторона, и полемизируете со мной. Poleмика да еще при помощи ковычек вряд ли соответствует тону официального документа.

Ставши на этот скользкий путь, Вы уже не могли избежать прискорбных ошибок. Не довольствуясь до чудовищности односторонним освещением вопроса, Вы не задумываетесь писать, что моя критика «является попыткой опорочить работу одного из виднейших геологов Геологического Комитета,

*что может подорвать доверие и к другим работам этого учреждения*“ (курсив мой). Мое мнение о работах Геологического Комитета Вы могли найти на первой же странице моего реферата; думаю, что авторитет этого учреждения не может зависеть от случайностей полемики; но учитываете ли Вы всю серьезность последствий, вытекающих из формулированного Вами положения?

Ведь если признание негодной какой-нибудь одной работы, исходящей из Вашей Секции «может подорвать доверие и к другим работам», Секция будет всегда во что бы то ни стало отстаивать правоту каждого из своих сотрудников. Критиковать кого-нибудь из последних будет означать иметь дело со всей Секцией.

Впрочем такой вывод Вы уже сделали, пытаясь подменить мой спор с Б. Меффертом спором с Крымско-Кавказской Секцией: «Выступление профессора Грузинского Университета в Тифлисе А. И. Джанелидзе с весьма пространной критикой одной из работ Кавказской Секции Геологического Комитета можно было бы только приветствовать, *если бы в этой заметке содержались указания на неправильность принятых Секцией методов работы или на существенные недостатки и промахи, замеченные в уже опубликованных материалах*» (курсив мой). Т. е., если вы вздумали критиковать кого-нибудь из сотрудников Геологического Комитета, извольте сначала доказать, что сам Геологический Комитет никуда не годится!

И так как Геологический Комитет является одним из крупнейших учреждений Союза, притом пользующимся некоторыми монопольными правами, такая точка зрения не может не привести к полному уничтожению всякой свободы критики.

Вполне возможно, что не таково Ваше желание, но Б. Мефферт уже сделал соответствующий вывод. Он пишет: «...утверждается о недобросовестности *старшего геолога Геологического Комитета Б. Мефферта*» (курсив мой). Возникает дело об оскорблении мундира! Между тем недобросовестными может оказаться Иван или Петр несмотря на то, что он старший геолог, а не в качестве старшего геолога.

А вот еще пример иллюстрирующий всю шаткость Вашей

позиции. В том же самом номере „Известий Г.Г.-Р.У.“, где Вы пишете о моем реферате, помещена критическая заметка Б. Мефферта по поводу работы С. С. Кузнецова: «Нуммулиты темных известняков северо-восточного побережья озера Гокча». Работа издана Академией Наук в трудах научной экспедиции по изучению бассейна озера Севан. И вот как Б. Мефферт резюмирует свое мнение (стр. 110): «Невольные ошибки и погрешности возможны во всякой научной работе добросовестного типа, однако статья С. С. Кузнецова, опубликованная под высоким титулом, слишком превосходит пределы допустимого». И далее прямо инсинуируется, что очевидно в экспедиции не было ни одного компетентного палеонтолога, стратиграфа или, быть может, даже геолога!

Не касаясь всех достоинств этой критики, я хотел бы знать Ваше мнение: чтобы Вы ответили, если бы ктонибудь сказал, что она является попыткой «опорочить работу одной из экспедиций Академии Наук, что может подорвать доверие и к другим работам этого учреждения?»

Ваше положение тяжелое. Взявши на себя защиту явно безнадежного и в такой же мере несправедливого дела, Вы ставите меня перед необходимостью ловить Вас на каждом слове.

В заключении я Вам поставлю еще один вопрос из многих, которые напрашиваются. Вы изволили заявить, что, неся ответственность за доброкачественность работы своих сотрудников, Крым.-Кавказская Секция со всей строгостью изучила случай Б. Мефферта. Однако убедилась, что моя критика относится к району им непосещенному. Я Вам неопровержимо доказал противоположное и еще уличил Б. Мефферта в нехорошей попытке скрыть истину. Как Вы намерены на это реагировать?

С глубоким уважением А. Джанелидзе.

P. S.—В Вашем письме имеется ссылка на комиссию, выделенную Кр.-Кавказской Секцией. Так как никто не нашел нужным поставить меня в известность не только о ходе работ этой комиссии, но даже об ее существовании, полагаю, что она

является делом внутрисекционным, и касаться ее не считаю возможным. Замечу однако, что при Вашей постановке вопроса разрешение моего спора с Б. Меффертом таким способом вряд ли можно считать удобным. При наличии действительного желания выяснить дело можно было бы найти гораздо более подходящие методы, могущие удовлетворить не только Вас и меня, но и общественное мнение. А. Д.

## საქართველოს მუზეუმის 1928 – 30 წწ. მუშაობის ანგარიში.

### 1. ზოგადი მიღწევები.

სამი საანგარიშო წლის განმავლობაში „საქართველოს მუზეუმი“ თავისი განვითარების ახალი ფაზისის რამდენიმე საფეხური განვლო. ამ ახალ ფაზის საფუძველი ეყრება იმ დროიდან, როდესაც მუზეუმის ახალი შენობის (რუსთაველის პროსპექტზე) დამთავრება ხორციელდება და ამასთან დაკავშირებით ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (1928 წ.) მუზეუმს 50 ათასი მანეთი ეძლევა საგამოფენო დარბაზების მოსაწყობად. ეს ორივე მომენტი ჯერ კიდევ წინა პერიოდში მომზადდა მუზეუმის მაშინდელი დირექტორის პროფ. ალ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით. ამ ორი მნიშვნელოვანი საქმის დამთავრების შემდეგ ა. ჯანელიძემ ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება. 1928—29 საბიუჯეტო წლის დასაწყისში მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა და 1929 წლის იანვარში დირექტორად დანიშნულ იქმნა გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ან. კაკაბაძე, ხოლო იმავე წლის აპრილში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა პროფ. გ. ჩუბინაშვილი.

განყოფილებათა შორის საგამოფენო დარბაზების განაწილების გეგმა ხელახლა იქმნა გადასინჯული. ზოგიერთი მუხლი უფრო ზედმიწევნით და ზუსტად იქმნა ჩამოყალიბებული, რის შემდეგაც მუზეუმი შეუდგა გამოფენათა დაწვრილებით: გეგმისა და პროგრამის შემუშავებას. იმის გასაცნობად, თუ როგორ იყო დაყენებული გამოფენის საქმე კავშირის სხვა ცენტრებში, ჩვენი მუზეუმის დირექტორი სამი ჯვით იქმნა მივლინებული მოსკოვსა და ლენინარადში (1929 წელს), სადაც ის სარესტავრაციო საქმესაც ეცნობოდა. შემდეგ იმავე დირექტორმა მონაწილეობა მიიღო მუზეუმის მუშაკთა ყრილობაზე, რომე-

является делом внутрисекционным, и касаться ее не считаю возможным. Замечу однако, что при Вашей постановке вопроса разрешение моего спора с Б. Меффертом таким способом вряд ли можно считать удобным. При наличии действительного желания выяснить дело можно было бы найти гораздо более подходящие методы, могущие удовлетворить не только Вас и меня, но и общественное мнение. А. Д.

---

## საქართველოს მუზეუმის 1928 – 30 წწ. მუშაობის ანბარიში.

### 1. ზოგადი მიღწევები.

სამი საანგარიშო წლის განმავლობაში „საქართველოს მუზეუმი“ თავისი განვითარების ახალი ფაზისის რამდენიმე საფეხური განვლო. ამ ახალ ფაზის საფუძველი ეყრება იმ დროიდან, როდესაც მუზეუმის ახალი შენობის (რუსთაველის პროსპექტზე) დამთავრება ხორციელდება და ამასთან დაკავშირებით ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (1928 წ.) მუზეუმს 50 ათასი მანეთი ეძლევა საგამოფენო დარბაზების მოსაწყობად. ეს ორივე მომენტი ჯერ კიდევ წინა პერიოდში მომზადდა მუზეუმის მაშინდელი დირექტორის პროფ. ალ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით. ამ ორი მნიშვნელოვანი საქმის დამთავრების შემდეგ ა. ჯანელიძემ ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება. 1928—29 საბიუჯეტო წლის დასაწყისში მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა და 1929 წლის იანვარში დირექტორად დანიშნულ იქმნა გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ან. კაკაბაძე, ხოლო იმავე წლის აპრილში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა პროფ. გ. ჩუბინაშვილი.

განყოფილებათა შორის საგამოფენო დარბაზების განაწილების გეგმა ხელახლა იქმნა გადასინჯული. ზოგიერთი მუხლი უფრო ზედმიწევნით და ზუსტად იქმნა ჩამოყალიბებული, რის შემდეგაც მუზეუმი შეუდგა გამოფენათა დაწვრილებითი გეგმისა და პროგრამის შემუშავებას. იმის გასაცნობად, თუ როგორ იყო დაყენებული გამოფენის საქმე კავშირის სხვა ცენტრებში, ჩვენი მუზეუმის დირექტორი სამი აჯიტი იქმნა მივლინებული მოსკოვსა და ლენინარადში (1929 წელს), სადაც ის სარესტავრაციო საქმესაც ეცნობოდა. შემდეგ იმავე დირექტორმა მონაწილეობა მიიღო მუზეუმის მუშაკთა ყრილობაზე, რომე-

ლიც შედგა მოსკოვში 1930 წლის დეკემბერში. გარდა ამისა მუზეუმის ეთნოგრაფი გ. ჩიტაია მივლინებული იყო ხარკოვში ორიენტალისტთა ყრილობაზე 1929 წელს, რის შემდეგაც ის გაეცნო სამუზეუმო საქმეს უკრაინის ქალაქებში.

რადგან რეალურად შეუძლებელი იყო საგამოფენო მუშაობა მუზეუმის ყველა განყოფილებას ერთდროულად გაეშალა, გადაწყდა პირველ რიგში მუზეუმის ის კოლექციები გამოფენილიყო, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ნედლეულისა და წარმოების ეკონომიური გამოყენების საკითხს უკავშირდებოდა. ამასთან დაკავშირებით მოწყობილი იქმნა ორი ექსპედიცია ხევსურეთში ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და კვლევის მიზნით. ექსპედიციების შემდეგ მუზეუმში შეუდგა შეგროვებული მასალის დალაგებასა და გაფორმებას დროებითი გამოფენისათვის. ამ გამოფენის ძირითადი მოწყობილობა დამზადებულ იქმნა პროფ. შარლემანის ესკიზების მიხედვით, გამოყენებულ იქმნა აგრეთვე მუზეუმის ძველი ინვენტარი. სპეციალური დანიშნულების მოწყობილობის დასამზადებლად დირექციამ თვით მუზეუმის შენობაშივე შეადგინა სადურგლო არტელი, რომელმაც შეასრულა მთელი საინვენტარო მუშაობა დირექციის მუდმივი მეთვალყურეობით და პროფ. შარლემანის ხელმძღვანელობით.

1929 წლის შემოდგომაზე მოზეუმი შეუდგა ხევსურეთის დროებითი გამოფენის გაფორმებას. ამ გამოფენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, წამოჭრილი თემების დამუშავება, ჩაატარა მუზეუმის ეთნოგრაფმა გ. ჩიტაიამ ლენინგრადის მატ. კულტ. ისრ. აკადემიის ასპირანტ ვ. ბარდაველიძე-ლოშიას თანამშრომლობით. გამოფენის მხატვრული გაფორმების საკითხებს ხელმძღვანელობდა პროფ. ი. შარლემანი, ხოლო ცალკე დავალებებს ასრულებდნენ ახალგაზრდა მხატვრები რ. შმერლინგი, ს. საბუცკი და სხვები. ხევსურეთის გამოფენა გაიხსნა მნახველთათვის საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე; ახლო მომავალში მუზეუმი მოსტრუცემს სათანადო მეგზურს. საჭირო განმარტებისათვის და ექსკურსიების ხელმძღვანელობისათვის დაწესებულია მუდმივი შორიგეობა.

გარდა ხევსურეთის გამოფენის სამუშაოებისა მუზეუმის მიერ დამუშავებულ იქმნა აგრეთვე ეთნოგრაფიული განყოფილების მთლიანი საგამოფენო გეგმა. ამის მიხედვით მუზეუმის სადურგლო სახელოსნოში დამზადდა საგამოფენო ინვენტარის ნაწილი — ვიტრინები კოსტუმების გამოსაფენად. საყოფაცხოვრებო გამოფენის შემდგომი გაშლა მუზეუმის მორიგ ამოცანას წარმოადგენს. ამავ დროს მუზეუმი მუშაობს იმ მიმართულებით, რომ სმუს-ის მონაწილეობით მოა-

წყოს გეოლოგიური გამოფენა, სადაც გაშლილი იქნება ჩვენი ქვეყნის წილ-მადნეულის ექსპონატები.

1929 წლის გაზაფხულის განმავლობაში მუხეუმის მიერ შესრულებულ იქმნა გან. სახ. კომისარიატის დადგენილება სამუხეუმო ფონდების კონცენტრაციის შესახებ: ამ დადგენილების ძალით საქ. მუხეუმს შემოუერთდა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუხეუმის კოლექციები, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან მუხეუმის შენობაში იქმნა გადმოტანილი სრულიად დაუზიანებლად და შედარებით სწრაფად, ასე რომ ამ კოლექციებით სარგებლობა მხოლოდ მცირეოდენი ხნით შეჩერდა. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუხეუმის ხელნაწერების კოლექცია მუხეუმმა დამოუკიდებელ განყოფილებად მოაწყო და მისცა მას ორი ოთახი (სეიფი) ხელნაწერების დასაცავად და სამი სამუშაო ოთახი, ხოლო ბიბლიოთეკა შეუერთდა საქ. მუხეუმის ბიბლიოთეკას; სამუხეუმო კოლექციები კი დროებით მოაწყო ახალი შენობის მეორე სართულში, სადაც ეს კოლექციები მნახველთათვის ხელმისაწვდომია; აქვე გრძელდება მათი კვლევა და დამუშავება.

ამასთან შედარებით, რასაკვირველია, უმწყობროდ და წინასწარი გეგმის შეუმუშავებლად მოხდა სხვა სამუხეუმო ერთეულების შემოერთება. ასეთი ერთეულები იყო: 1) პედაგოგიური მუხეუმი, რომლის კოლექციათა უმეტესი ნაწილი საქ. მუხეუმმა სხვადასხვა ტექნიკუმებს გადასცა; 2) სასოფლო-სამეურნეო მუხეუმი (კოლექციების ნაწილი საქ. მუხეუმის ამორჩევით); 3) დენდროლოგიური მუხეუმი (საქ. მუხეუმს გადმოეცა მხოლოდ ის, რაც გადარჩა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს); 4) სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც მუხეუმმა შეურია თავის კოლექციებს; 5) სახ. უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან არსებული ძველ ქართული ხელოვნების მუხეუმი და 6) სახ. უნივერსიტეტის ფოტოთეკი (40 ათასამდე ჩეგატივით). ვინაიდან ის დაწესებულებები, სადაც ზემო აღნიშნული ერთეულები იყო მოთავსებული, სასწრაფოდ მოითხოვედნ მათ გადმოტანას საქ. მუხეუმში (ვადად სდებდენ ორ—სამ კვირას), საქ. მუხეუმს მოუხდა ამ კოლექციების გადმოტანა უდებინფექციოდ, რაც მუხეუმს ავალებს განსაკუთრებული თვალყური ადევნოს იმ ბინებს, სადაც ეს კოლექციები იქნა მოთავსებული. მთელი ეს მუშაობა უამრავი კოლექციების გადმოტანისა და დალაგებისა ჩაატარა საქ. მუხეუმის ტექნიკურმა პერსონალმა განყოფილებათა გამგეების უშუალო მონაწილეობით. ყოფილი პედაგოგიური მუხეუმის კოლექციათა გადარჩევა და რაციონალური დანაწილება ჩაატარეს მუხეუმის გან-

ყოფილებებმა; ეს სამუშაო დამთავრებულ იქმნა მუზეუმის მთელი შემადგენლობის მიერ დაკვრიტი წესით დამკვრელის მეორე დღეს. შემოსული სახელნაწერო ფონდის გადარჩევა და დალაგება ჩაატარეს აგრეთვე დამკვრელობის ხაზით განყოფილების მუშაკებმა ამხ. ამხ. ინგოროყვამ, ბერძენიშვილმა და ბარამიძემ. ახლად გადმოტანილი ერთეულებიდან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ორი—ძველქართული ხელოვნების მუზეუმი და ფოტოთეკი-ძველქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც უკვე გაფორმებული ჰქონდა ზოგიერთი განყოფილების გამოფენა სახ. უნივერსიტეტის შენობაში, გაძარცვულ იქმნა გადმოტანის რამდენიმე კვირის წინ, ხოლო მისი შტატი საქ. მუზეუმში გადმოტანის შემდეგ შემცირებულ იქმნა იმდენად, რომ დარჩენ მხოლოდ გამგე და მსახური. რადგან ამ ერთეულის გადმოტანას გვაჩქარებდნენ, საქ. მუზეუმმა შესძლო მხოლოდ ამ ერთეულისათვის საქ. მუზეუმში განკუთვნილი ბინის გამაგრება; რაც შეეხება დანარჩენ სამუშაოს—ექსპოზიციას და დამუშავებას—ეს ვერ მოხერხდა, რადგან ამ ერთეულისათვის განკუთვნილ ბინას ვამზადებდით მაშინ, როდესაც თვით კოლექციები უკვე ბინაში იყო მოთავსებული. ასე რომ კოლექციები ყუთებშია დაბეჭდილი და მუშაობა შეჩერებული. რაც შეეხება ფოტოთეკს, ისიც ნაჩქარევად იქმნა გადმოტანილი სათანადო ბინის მოუმზადებლად. მასაც მხოლოდ ერთი თანამშრომელი ჰყავს.

ზემო ჩამოთვლილ კოლექციათა და სამუზეუმო ერთეულთა შემოერთება მხოლოდ ერთგან იყო გათვალისწინებული სამუზეუმო მშენებლობის გეგმით. და ვინაიდან ამ გეგმით უკვე სათანადოდ იყო განაწილებული მუზეუმის მთელი შენობა საგამოფენო და სამუშაო ფართობებზე, ცხადია, ახალი სამუზეუმო ერთეულების მოულოდნელად მომატებამ დიდი სიძნელეები შეუქმნა მუზეუმს ორგანიზაციული მხრით, მით უმეტეს რომ საამისო მტკიცე მატერიალური ბაზა არ გააჩნდა მუზეუმს, რომელიც მხოლოდ ეხლა იწყებს თავის ორგანიზაციულ მუშაობას.

მუზეუმის დაგეგმვაზრებული მუშაობის მიზნით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა ფიზიკურ-ქიმიური სარესტავრაციო ლაბორატორიის მოწყობას, რასაც ხელს უწყობენ სხვადასხვა ორგანიზაციები. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს მუზეუმის დირექტორი ამხ. ან. კაკაბაძე და მან უკვე ჩაატარა ცდები ლითონთა წამლობისა და პალიმფესტთა ამოშიფრვისა და აგრეთვე მთელი რიგი ცდები საექსპოზიციო ტექნიკის დარგში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხერხდა აგრეთვე ფოტოგრა-

ფიული ლაბორატორიის გამოყოფაც. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მუზეუმში გადმოვიდა სახ. უნივერსიტეტის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფოტოთეკის ნეგატივები. ამრიგად, საქ. მუზეუმში ამჟამად მუშაობს სამი ლაბორატორია: ტაქსიდერმიული, სარესტავრაციო და ფოტოგრაფიული.

სარესტავრაციო და ფოტოგრაფიული ლაბორატორიების ჩამოყალიბებამ საშუალება მისცა მუზეუმს მიეღო ლენინგრადის მატკულტ. ისტ. აკადემიის გამოწვევა სოც. შეჯიბრებაში, თავისი მხრით საქ. მუზეუმმაც გამოიწვია სოც. შეჯიბრებაში სომხეთისა და აზერბეიჯანის მუზეუმები და აგრეთვე ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა და სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ხაზით მუზეუმი აწყოებს მოძრავ გამოფენებს და ლექციებს ზოოლოგიის, პირველყოფილი ადამიანის კულტურის და სხვა საკითხებზე.

თუ მუზეუმის მუშაკთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს კოლექციების საგამოფენო გაფორმება, რის საშუალებითაც მუზეუმი უშუალოდ უკავშირდება მნახველს და მასების განმანათლებელ-ორგანიზატორი ხდება, — ამ მიზნით მიღწევის ერთ-ერთ ძირითად წინასწარ პირობას სამუზეუმო კოლექციების მეცნიერული დამუშავება წარმოადგენს. ამ მუშაობის შედეგები მოცემულია მუზეუმის გამოცემებში. სამი საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს მუზეუმმა გამოსცა „საქ. მუზეუმის მოამბე“ ტომი IV (გამოვიდა 1928 წ.), ტ. V (1930 წ.); ამის გარდა გამოდის ეს VI ტომი და დაწყებულია VII ტომის ბეჭდვა.

მუზეუმთან არსებობს ხელოვნების, სიძველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელსაც უძღვება მუზეუმის დირექტორი მეცნიერ-მუშაკთა თანამშრომლობით. კომიტეტს ინსპექტორის გარდა მოეპოვება რწმუნებულები ადგილებზე, რომლებიც ადგილობრივი რაიადმასკომების კულტ. სექტორებთან შეთანხმებით თვალყურს ადევნებენ ძეგლებს.

სანგარიშო ხნის განმავლობაში აღსანიშნავია აგრეთვე ორი დიდი მოვლენა მუზეუმის ცხოვრებაში. 1930 წლის ზაფხულის თვეებში (ივნისიდან — ოქტომბრამდე) მოწყობილ იქმნა ძველქართული ხელოვნების ძეგლთა გამოფენა გერმანიაში (ბერლინში, კიოლნში, ლაიფციგში და მიუნქენში). ამ გამოფენის მოსაწყობად წინა წელს ჩატარდა სპეციალური ძიებანი, რის საშუალებითაც სამუზეუმო კოლექციები გამდიდრდა ფრესკების პირებით. გამოფენასთან დაკავშირებით აღნიშნულ ქალაქებში წაკითხულ იქმნა მოხსენებები (აგ-

პავლე ინგოროშვილი.

## ქველ-ქართული წარმართული კალენდარი

მე-5—8 საუკუნის ქველგაზე.

წერილი პირველი.

### I

#### მე-8 საუკუნის წინა-დროინდელ მწერლობაზე წინასწარი შენიშვნები.

საკითხი ქველ-ქართული წარმართული კალენდარის შესახებ ჩემს წინაშე აღიძრა ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების დათარიღების კითხვასთან დაკავშირებით.

ქართული მწერლობის შესახებ მე-8 საუკუნის უწინარესი ხანი-სა ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით. ქართული ლიტერატურის ისტორია, არსებულს მდგომარეობაში, დაგვისახელებს მხოლოდ თხუთმეტამდე ტექსტს, რომელთა შესახებ შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ ისინი ეკუთვნიან მე-8 საუკუნის ნახევარზე აღდრინდელ დროს. ესენია:

ა) ბიბლიური ტექსტები ახალი და ძველი აღთქმისა;

ბ) ორი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები: მარტვილობა შუშანიკისი და ევსტათი მცხეთელისა<sup>1</sup>;

გ) და რამდენიმე თარგმნილი თხზულება, აღმოჩენილი ხანმეტ-ჰანმეტ პალიმფსესტებში, როგორცაა — ტვიკონის ფრაგმენტი, აპოკრიფული აქტები მოციქულთა, და ზოგიერთი პატრისტული ტექსტი, დაცული ხანმეტ „მრავალთაგში“.

ამავე დროს ამ ტექსტების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქის ქართული მწერლობა, არათუ გვიან, არამედ უკვე თვით მე-5

1) მესამე ჰაგიოგრაფიული ტექსტი «წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ», ჩვენის დასკვნით, აგრეთვე ამავე ხანას ეკუთვნის, მაგრამ მას აქ არ ვასახელებთ, რადგან არც მისი თარიღი და არც წარმოშობის საკითხი დღემდე საბოლოოდ არ ყოფილა გარკვეული ჩვენს საისტორიო მწერლობაში.

რეთვე ქალაქ კილშიაც) და გამოცემულ იქმნა დასურათებული კატალოგი გერმანულ ენაზე<sup>1</sup>.

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მუშაობის მეორე, — მუზეუმის მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებულ — შედეგს წარმოადგენს რომაულ-ბიზანტიური არქეოლოგიის სპეციალისტის დოქტორ შნაიდერის ჩამოსვლა საქართველოში<sup>2</sup>, რომელსაც დავალებული ჰქონდა ნოქალაქევეში (ძველს არქეოპოლისში) ეწარმოებინა საცდელი გათხრა. მან გათხრები ჩაატარა 1930—31 წ. დეკემბერ—იანვარში საქ. მუზეუმის ორი ასპირანტის ამხ. ამხ. გ. გოზალი შვილისა და ლ. მუსხელი შვილის თანამშრომლობით. ამ საცდელი გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა ნივთები შემოვიდა საქ. მუზეუმში. გათხრების მოკლე ანგარიში დაიბეჭდება მუზეუმის გამოცემებში, ხოლო მათი ვრცელი ანგარიში გამოსაცემად მზადდება გერმანიაში.

## 2. განყოფილებათა მუშაობა.

ვიდრე ვალკე განყოფილებათა მუშაობის ანგარიშს შეუდგებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ბაზა, რომელსაც წარმოადგენს მუზეუმში შტატი და საოპერაციო ბიუჯეტი.

1927—28 საბიუჯეტო წელს მუზეუმს შეადგენდა 6 განყოფილება (გეოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია და ბიბლიოთეკა), სულ ირიცხებოდა 13 მეცნიერ-თანამშრომელი და 16 ტექნიკური მომუშავე. შრომის ხელფასს რომ უნდებოდა

<sup>1</sup>) აქვე აღვნიშნავთ ამ გამოფენასთან დაკავშირებით გერმანიაში გამოქვეყნებულ გამოცემებს: a) Georgische Kunst. Ihre Entwicklung vom 4—18. Jh. Ausstellung der Deutschen Gesellschaft zum Studium Osteuropas und des Volksbildungskommissariats der S. S. R. Georgien in Berlin, Köln, Nürnberg, München, Wien. Juli—Oktober 1930. Im Osteuropa—Verlag. Berlin 1930, in 8<sup>o</sup> (48 S.S. u. 16 Abb.)

b) Die altgeorgische Kunst. Hauptlinien ihrer Entwicklung. Mit 14 Abb. Vortrag von Prof. Dr. Georg Tschubinaschwili, Tiflis, gehalten in der Deutschen Gesellschaft zum Studium Osteuropas zu Berlin am 9. Juli 1930: Osteuropa—Zeitschr. f. die gesamten Fragen des europäischen Ostens. August—September 1930 (№ 11—12), S. 759—769.

გამოფენისა და იქ წარმოდგენილი ძეგლების შესახებ და აგრეთვე ამ ძეგლებთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემების შესახებ ბევრი რამ დაიწერა გერმანიის ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაგან აღვნიშნავთ: Zeitschrift für bildende Kunst, Der Sammler, Römische Quartalschrift და სხვ.

<sup>2</sup>) საქართველოში ჩამოსვლამდე ის აწარმოებდა არქეოლოგიურ თხრებს კუნძულ სამოსზე, იუდაში და სხვაგან.

21.157 მან. 73 კ., სამეცნიერო ხარჯები უდრიდა 2462 მ. 43 კ., ხოლო სამეურნეო ხარჯები—2742 მ. 98 კ. (სახ. ბიუჯეტით); მუზეუმის სპეციალური თანხებიდან დახარჯულია 3658 მ. 14 კაპ.

1928—29 საბიუჯეტო წელს მუზეუმი შედგებოდა იმავე 6 განყოფილებისაგან (13 მეცნიერ—თანამშრომლით და 18 ტექნიკური მომუშავეთ). შრომის ხელფასი—32861,85 მან., სამეცნიერო ხარჯები—7713,50 მან., ხოლო სამეურნეო ხარჯები 3300 მ. (სახ. ბიუჯეტით). გარდა ამისა დაიხარჯა 4150 მ. მუზეუმის სპეც. თანხებიდან.

1929—30 საბიუჯეტო წელს და 1930 წლის საგანგებო კვარტალში მუზეუმში უკვე 8 განყოფილება იყო (არსებულ 6 განყოფილებას დაემატა ხელნაწერებისა და ისტორიულ—ეთნოგრაფიული განყოფილებები) და მუშაობდა 17 მეცნიერ-თანამშრომელი და 21 ტექნიკური მოსახსახურე. გარდა ამ 8 განყოფილებისა მუზეუმშივეა ძველქართული ხელოვნების მუზეუმი. შრომის ხელფასს დასჭირდა 70857,87 მან., სამეცნიერო ხარჯებს 15427,42 მან., ხოლო სამეურნეო ხარჯებს—6219,09 მან. (სახ. ბიუჯეტით); სპეც. თანხებით—5061,16 მან.

მოყვანილი ციფრობლივი ცნობებით ცხადი უნდა იყოს, თუ რა სუსტი იყო საქ. მუზეუმის ბაზა როგორც ფინანსიურ შესაძლებლობათა, ისე მომუშავეთა რაოდენობის მხრით: თითოეულ განყოფილებას ორთაშუა რიცხვით მხოლოდ 2 მეცნიერ—თანამშრომელი ჰყვებოდა. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ორ განყოფილებას (გეოლოგიურსა და ბოტანიკურს) არ ჰყავს გამგეები, რაც დირექციის განსაკუთრებულ საზრუნავ საგანს შეადგენს. მუზეუმის ძველ მუშაკთაგან (გარდა მისი თხოვნით განთავისუფლებულ პროფ. ალ. ჯანელიძისა, რომელიც გეოლოგიურ განყოფილებას განაგებდა) საანგარიშო პერიოდში მუზეუმს გამოაკლდა ზოოლოგიური განყოფილების ტაქსიდერმიული ლაბორატორიის გამგე კარლ კრელი, რომელიც 1930 წლის შემოდგომაზე თავის სამშობლოში, გერმანიაში გაბრუნდა; კ. კრელი იშვიათი სპეციალისტი იყო: ტექნიკური სრულყოფით და ნამუშავეართა მხატვრული გაფორმებით მას მთელ საბჭოთა კავშირში ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე საანგარიშო პერიოდში მუზეუმმა დაკარგა დაუღალავი მუშაკი, გეოლოგიური განყოფილების ასისტენტი კ. თათარიშვილი, რომელიც ანაზღვეულად გარდაიცვალა 1928 წლის აპრილში.

მიუხედავად სუსტი ბაზისა ფინანსიური და თანამშრომელთა რაოდენობის მხრით, განყოფილებებში მაინც ენერგიული მუშაობა წარ-

მოებდა და ზოგ მათგანს უდიდესი მიღწევებიც აქვს. ამის ნათელსა-ყოფად მოგვყავს განყოფილებათა მუშაობის ანგარიში უკანასკნელი წლის განმავლობაში.

**1. გეოლოგიური განყოფილება.** დაცვის საქმე. გაშლილ და გადარჩეულ იქმნა პედაგოგიური მუზეუმიდან გადმოტანილი მასალები. მოყვანილ იქმნა წესრიგში და ტექნიკურად მომზადებული ასისტ. ივანე რუხაძის კოლექციები—ზემო იმერეთისა, რაჭისა, ლეჩხუმისა და ჩრდ. სამეგრელოს—ენგურის ხეობის, რომელიც ხსენებულია პირმა ამა წლის ზაფხულში შეაგროვა საქ. გეოლოგიური საკლევო ინსტიტუტის დავალებით.

ურთიერთობა სამეცნიერო დაწესებულებებთან. განყოფილება ურთიერთობაშია ს. ს. რ. კ. გეოლოგიურ კომიტეტთან, რომლის თანამშრომელს შტილკოს დავალებული აქვს ტფილისის შიდამოებში პროფ. ვლ. ბოგაჩევის მიერ შეგროვილი თევზების კოლექციების დამუშავება და წერილის შედგენა ჩვენი „მოამბე“-სათვის. — კატალოგიზაცია. ძველ დაბეჭდილ კატალოგში მოქცეული მასალების წესრიგში მოყვანა დამთავრებულია; ხოლო შემდეგ შემოსულებისა მიყვანილია 1924 წლამდე.

მასალების დამუშავება რაჭის პალეონტოლოგიური მასალების (იურა-ცარცი) საბოლოოდ დამუშავება მინდობილი აქვს პროფ. ალ. ჯანელიძეს, რომელიც ამ სამუშაოს უკვე ამთავრებს და სათანადო შრომასაც ამზადებს დასაბეჭდად. ქისათიბის თევზების ნამარხებს ამუშავებს პროფ. ვლ. ბოგაჩევი (ბაქო); აგრეთვე მუზეუმის Ζευგილინი-ს. ხარაგოულის, ლორეშის, ნიკორწმინდის, ენგურის ხეობის პალეონტოლოგიური ცარცეული მასალების დამუშავება შესრულებულია ივ. რუხაძის მიერ. „მუზეუმის მოამბე“-ში, მე-VI ტომში, დაიბეჭდა მისი წერილი Notice sur les Belemnites et les Nautilus de l' Aptien de Koutais.—გამოფენისათვის მოსამზადებელი მუშაობა. დგება გეგმა საქართველოს სასარგებლო ნამარხების გამოფენის მოსაწყობად: აღნიშნულია ყველა ის ადგილი ლიტერატურის მიხედვით, საიდანაც მოტანილი უნდა იქმნეს მასალები.

**2. ბოტანიკური განყოფილება.** დაცვის საქმე. კოლექციების დაცვისათვის ჩატარდა მთელი მასალების დეზინფექცია.—კოლექციების ზრდა და გაცვლა. განყოფილებას შეემატა მასალა ტფილისის შიდამოებიდან—გაზაფხულის ფლორა 50 ფურცელი; ელ. ქიქოძის მიერ თემის ხეობაში შეგროვილი კოლექცია—700 ფურცელი. გაცვლის წესით განყოფილებას შეემატა—გროსჭიმისა—

გან ახერბეიჯანის ფლორის ჰერბარიუმი 295 ფურც.; შვეციიდან-  
ლუნდის მუზეუმის ჰერბარიუმი—სპარსეთ-ოსმალეთის კოლექცია—  
407 ფურცელი; ბრნოს უნივერსიტეტის ბოტანიკური ინსტიტუ-  
ტიდან—ჩეხო-სლოვაკიის ფლორის ჰერბარიუმი — 226 ფურცელი.

ურთიერთობა სამეცნიერო დაწესებულებებ-  
თან. გამოყენებითი ბოტანიკის და ახალ კულტურების ინსტიტუტს-  
გაეგზავნა დასამუშავებლად გვარი *Amygdalus*. პროფ. ბ. შიშკინს-  
გაეგზავნა დასამუშავებლად გაურკვეველი მასალები 1916 წლ. ურ-  
მიის ექსპედიციისა.—კატალოგიზაცია. 1927 წლიდან განყოფი-  
ლებაში დაგროვილი მასალები სისტემაშია მოყვანილი და ჩატარე-  
ბულია ინსერაცია კავკასიის ფლორის ჰერბარიუმში.

მასალების დამუშავება. ატენის ხეობის მასალებიდან  
გარკვეულია და შედგენილია სიები შემდეგი ოჯახებისა: *Taxaceae*,  
*Pinaceae*, *Betulaceae*, *Fagaceae*, *Ulmaceae*, *Berberidaceae*, *Papave-  
raceae*, *Satifragaceae*, *Crassulaceae* და ნაწილობრივ *Borragaceae*.  
დამუშავებულია 1926 წლის ექსპედიციის მიერ თეძმის ხეობაში შე-  
გროვილი მასალების უმეტესი ნაწილი და 1930 წლის შეგროვილი  
კოლექცია ნაწილობრივ. დამთავრებულია ატენის ხეობის ფიტო-გეო-  
გრაფიული რუკის შედგენა. პროფ. ბ. შიშკინმა დაამუშავა ზო-  
გიერთი *Carex*-ები ატენის ხეობიდან და უმეტესად შეამოწმა ოჯ.  
*Cyperaceae*, გარკვეული ელ. ქიქოძის მიერ. ს. თამამშევამ  
(ერევნის უნივერსიტეტის ბოტანიკური კაბინეტი) დაამუშავა გვ.  
*Pelygala*. სპეც. სმირნოვის მიერ (მოსკოვის უნივერსიტეტის ბოტანიკური  
კაბინეტი) დამუშავებულია გვარი *Stipa*. განყოფილებას დაუბრუნდა-  
ვენის ბოტანიკური ინსტიტუტიდან ფირჰაპერის მიერ დამუშა-  
ვებული გვარი *Erigeron* (დაიბეჭდა „მუზეუმის მოამბის“ ამ მე-VI  
ტომში გვ. გვ. 115—124).

ექსპედიციები. ასისტ. ქიქოძე მივლინებულ იქმნა თე-  
ძმის ხეობაში. მიზანს შეადგენდა მასალების შეგროვება თრიალეთის-  
ქედის ჩრდილოეთ ფერდობის გეო-ბოტანიკური აღწერისათვის და,  
კერძოდ, თეძმის ხეობის მცენარეული საფარის შესწავლა და ამ-  
რაიონის გეო-ბოტანიკური რუკის შედგენა. ამისათვის შესწავლილია  
მთავარი ფორმაციების გავრცელება ხეობაში, ზონალობა.

ჰ. ზოოლოგიური განყოფილება. დაცვის საქმე. გატარებუ-  
ლი იყო სადებინფექციო კამერაში მწერთა მთელი მასალა და აგრე-  
თვე ადგილობრივად გაუკეთდა დებინსექცია გამოფენილ მასალას.—  
კოლექციების ზრდა. შემოვიდა შემდეგი მასალა: ძუძუმწოვ-  
რები—36 ცალი, ფრინველები—113 ც.; მწერები—500 ც. და სხვა—

